119
1983/В
(49)

ISSN 0132—599 X

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მნათობი

1

1983

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სიახლე დღეთა ესევითარი
საქართველოში მკვიდრი ვით არი,
რა ბედნიერი და რა მდიდარი
გვექნება წელი — თქვენ ნახავთ, ნახავთ!
დადგება დარი,
რჩეულებს მიზნად რომ დაუსახავთ.

# მნათობი

ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 58-ე | № 1 | იანვარი, 1983 წ.


## შინაარსი

### პროზა, პოეზია


ირაკლი აბაშიძე — ლექსები . . . . . . . . . . . . 3
ნაირა გელაშვილი — სარსო. მოთხრობა . . . . . . . . . . 5
მუხრან მაჭავარიანი — ლექსები . . . . . . . . . . . 28
მიხეილ ქვლივიძე — ლექსები . . . . . . . . . . . . 35

1783 — გეორგიევსკის ტრაქტატი — 1983

ანზორ სალუქვაძე — წიგნი ფიცისა. კინორომანი. გაგრძელება . . . . . . . 36

ბესიკ ხარანაული — ლექსები . . . . . . . . . . . . 83
ჯარჯი ფხოველი — ლექსები . . . . . . . . . . 84
ივან ბუნინი — ველგა. მოთხრობა. თარგმნა ლილი მჭედლიშვილმა . . . . . . . 87


### ჩვენი მივლინებით


მირონ ხერგიანი — გარდაბანი — ფაქტების პრიზმაში... . . . . . . . 93


### კრიტიკა და პუბლიცისტიკა


გურამ ასათიანი — უკანასკნელი საუბარი . . . . . . . . . . . . 104
ვლადიმერ ოგნევი — ცრუმაკაბელთა საგა . . . . . . . . . . 109
ლევან ბრეგაძე — მხატვრული ნაწარმოები და კრიტიკოსის პოზიცია . . . 132


### პუბლიკაცია


გურამ შარაძე — წერილები უორდროპებისადმი . . . . . . . . . . 133


### მეცნიერება


აკაკი ბაქრაძე — ისევ „ქებაჲს" გამო . . . . . . . . . . . 159



(იხ. მეორე გვერდი)



საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საზღვარგარეთის ლიტერატურა

დევიდ ლორენსი — მობი დიკი. ინგლისურიდან თარგმნა გოგი სულაკაურმა . . . 165

## წიგნების მიმოხილვა

მურმან თავდიშვილი — ლიტერატურულ ჭეშმარიტებათა ძიებაში . . . . 174

□

მთავარი რედაქტორი არჩილ სულაკაური

სარედაქციო კოლეგია:

გრ. აბაშიძე, ი. აბაშიძე, რ. ამაშუკელი (მთ. რედ. მოადგილე), ხ. ბერულავა, ო. გიგინეიშვილი, ა. გომიაშვილი, კ. კალაძე, მ. ლებანიძე, ლ. მრელაშვილი, გ. ნატროშვილი, ო. პაჭკორია (პ/მგ. მდივანი), ნ. წულეისკირი, ვ. წულუკიძე, ო. ჭილაძე, ბ. ხარანაული, რ. ჯაფარიძე, გ. ჯიბლაძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

**ირაკლი აბაშიძე**

* * *

ეს დიდი ზღვა და ხმელეთი
ჩემი შექმნილი არ არის,
მე მასზე პასუხს არ ვაგებ;
მე ჩემი გული ალალი,
ჩემი ჭირი და ვარამი,
მე მხოლოდ ჩემს გულს განვაგებ.

ეს დიდი ზღვა და ხმელეთი
შენი შექმნილი არ არის,
შენ მასზე პასუხს არ აგებ;
შენ შენი აზრი მაღალი,
შენ შენი აზრი მართალი.
შენ შენს მშვიდ აზრებს ალაგებ.

ეს დიდი ზღვა და ხმელეთი
მისი შექმნილი არ არის,
ის მასზე პასუხს არ აგებს, —
ის კი ჯოჯოხეთს უმზადებს
თავის დაფით და ნაღარით
ამ ჩვენს მთა-ბარს და ქალაქებს.

ჯერ კიდევ სანამ დრო არის,
ჯერ სანამ გვიან არ არის
ნაფუძვრად იქცეს ხმელეთი,
შხამად გადიქცეს ზედაშე —
ამ ჩვენი გულით ალალით
ამ ჩვენი აზრით მართალით
ჩვენ ვაგებთ, პასუხს ჩვენ ვაგებთ,
ჩვენ ვაგებთ, სწორედ მე და შენ!

კ. მარქსის სახ. საქ. სსრ
სახელმწიფო რესპუბლ.
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 1982

ორმოცი წელი ისე გაქანდა,
წლებს თითქოს წლები
          ფრთა ფრთას ალეწდა...
ისევ ბაქსანთან, ისევ ბაქსანთან,
მე ისევ ვდგავარ შენს სამარესთან,

რომ ამ ლურჯ მთებში, ამ ტრამალებში
დავტირო გამქრალ ორმოც ვარდობას,
რომ ერთხელ კიდევ შენს სამარეში
ჩავხედო ქვეყნის უკუღმართობას.

იქნება ჯობდა ამ საფიქრალებს,
ამ დიდ იმედებს არც გავეტაცე,
იქნება მართლაც ომებს, გრიგალებს
არა აქვთ ბოლო ამ პლანეტაზე.

იქნება მართლა დედა-ბუნებას
ტანჯვისთვის არ აქვს ბოლო წერტილი,
ვაი, თუ ასე დაუსრულებლად
უნდა ეჭიდოს ბოროტს კეთილი.

ვაი, თუ მუდამ უნდა ბრწყინავდეს,
უნდა ელავდეს ქვეყნად ფარ-ხმალი,
ვაი, თუ ხმალში
          მოდგმას წინანდელს
სულ უნდა ცვლიდეს მოდგმა ახალი

და დღეს
     იმ ახლით
          ჩვენც ვართ შეცვლილი,
ახალი მახვილით, ახალი ძახილით —
შენ, დარიალთან მკერდშელეწილი,
მე უღვთო წლებით ფარხმალდაყრილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნაირა გელაშვილი

# სერსო

მოთხრობა

ჩემს წინ შვიდი ფოტოა. შვიდი თანაბარი ზომის ფოტო. ყველა მათგანზე შემოდგომაა. ეს სურათები შარშან გადავიღე, სულ რაღაც ორი კვირის განმავლობაში.

იმ შემოდგომით შინ გული არ მიდგებოდა, ერთ წუთსაც ველარ ვჩერდებოდი ჩემს ოთახში, ჩემს წიგნებთან, ჩემს სურათებთან. აუტანელი იყო მარტო, პირისპირ, გვერდიგვერდ იმ ადამიანთან (იმ ადამიანში) ყოფნა, რაღაც უცნობ ტკივილშეყრილი და აწრიალებული უსაგნოდ რომ დაბორიალობდა უახლოეს ნივთებს შორის და შემაღონებლად გამოფულუროებული გულის გამო კავშირს ვერაფერთან ველარ ამყარებდა. ამიტომაც მისი ანუ ჩემივე აგრერიგად გულგასენილი თავის ველარ ამტანი სულ გარე-გარე ვეხეტებოდი, თითქოს ის ოთახში დარჩებოდა და მე კი, მისგან თავისუფალი, მსუბუქად შევერეოდი წელიწადის დამასრულებელი სიშიშვლისაკენ მშვიდად, ჭკვიანად მიმავალ შემოდგომის ქვეყანას.

ქალაქის ყველა ბაღი და პარკი შემოვიარე: უშფოთველად ჭკნებოდნენ, თვინიერად იხდიდნენ ხეები. ხშირად ცრიდა: წვრილად და აუჩქარებლად — და ამ თანაბარ, ნელ წვიმებში შიგადაშიგად გამოერეოდა ხოლმე მზით გამჭვირვალებული, თბილი, ქარვისფერი დღეები, როგორც ფერადი ნახატები წვრილშრიფტიანი წიგნის ნაცრისფერ ფურცლებში. ცარიელდებოდა კარუსელები, საქანელები, ატრაქციონები: მალე სეზონი დაიხურებოდა. ქარები ეწვეოდნენ მიტოვებულ პარკებს, შიშველ ტოტებსა და ყვითელი ფოთლებით ფსკერდალაქულ, ამომშრალ აუზებში ითარეშებდნენ, ყინვაში იცახცახებდნენ პატარ-პატარა შადრევნები და მრგვალ სახურავქვეშ საცოდავად მიიყუჟებოდნენ კარუსელის სალებავჩამორეცხილი, უპატრონო, უსარგებლო ცხოველები: მალე სეზონი დაიხურებოდა და გადავწყვიტე სურათების მთელი სერია გადამეღო ერთი საერთო სათაურით — შემოდგომის ბაღები.

აი ეს ფოტო მართლა კარგია: ჩანს რომ ოდნავ წვიმს, სუსტი ქარიც უბერავს, ერთი-ორი გამხმარი ფოთოლი ნისლოვან ჰაერში ტივტივებს როგორც ბრტყელი, პატარა თევზები აქვარიუმში. კარუსელის კაცი მრგვალ სახურავქვეშ, მრგვალი იატაკის პირას, დაბალ სკამზე ჩამომჯდარა, იდაყვით ყურმოგლეჯილ ცხენს დაყრდნობია, თავი ცხენის თავზე აქვს თითქმის მიკრული და ასე იყურებიან ორთავენი — უფიქროდ თვალგაშტერებული. ისეთი ადგილი შევარჩიე, რომ კარგად გამოჩენილიყო მისი სამწყსო: ცხოველები და ფრინველები, რომლებიც არასდროს იძვროდნენ ადგილიდან, რომელთაც მხოლოდ ტრიალი ერგოთ, ტრიალი ერთ დაკანონებულ წრეში, როგორც პარკის შად-

რევნების წყალს მოძრაობა უცვლელ რკალებად ან შვეულ ხაზად. და ახლა ეს ცხოვრებაც ენატრებოდათ: ნისკარტწატეხილ წეროს, თვალამოვარდნილ ირემს, გვერდჩამოფლეთილ სპილოს. და განა ჩვენც ასე არ გვაქვს თავები წინწაწვდილი და წინ არ მივისწრაფით? მაგრამ სად არის „წინ“? ვინ იცის რამდენჯერ გავიფიქრებთ, რომ მხოლოდ მრგვალი დედამიწა ბრუნავდა ჩვენ. ქვეშ და ჩვენ ვერსად მივედით.

ობიექტივს რომ ვატრიალებდი და გამოსახულებას ვაზუსტებდი, მაშინ მოვკარი თვალი სერსოს ქალს, რომელიც კადრის კუთხეში მოხვდა და საინტერესო, ოდნავ დაბინდული, მაგრამ მაინც აშკარა ფონი შექმნა. სწორედ ის მარიანა ეჯდა კალთაში, ხელები მოეხვია და ლოყა ლოყაზე მიეკრო. ამიტომ მიყვარს ჩემი აპარატი: კარგად იჭერს შორეულ ფონს, შორეულ საგნებს და აი ამ ფონის წყალობაა, ზოგჯერ ამისთანა საინტერესო სურათები რომ გამომდის. ჩემი ძველი აპარატი ამ მხრივ ძალზე მწყვეტდა გულს: მხოლოდ წინა პლანს აჩენდა, მთავარ საგანს, ისიც მეტისმეტად მკვეთრად, რაღაც ამოვარდნილად გარემოდან, შორი ფონი კი სულ დანისლული გამოდიოდა და ვერაფერს ვერ გაარჩევდი. ახლა კი ამ ფოტოზე კარუსელის მიღმა ისე ამაღელვებლად, ისე საინტერესოდ მოჩანს სერსოს კუთხე და დიდი, შავი ქოლგის ქვეშ მოაჯირთან მიმჯდარი ის ქალი კალთაში თავის მარიანათი.

როგორც ყოველთვის, სურათის გადაღება ისე მოვახერხე, რომ „ობიექტს“ ანუ კარუსელის კაცს არაფერი გაუგია. და ეს მთავარია, ეს არის სწორედ მთავარი, მის ბუნებრივ მდგომარეობაში ალბეჭდო წამი. ობიექტივს შავი სარქველი მივაფარე და სერსოსკენ წავედი, რადგან ის ქალი ახლოდან რომ უნდა გადამეღო, მაშინვე ცხადი გახდა ჩემთვის. მაგრამ სერსო კარუსელივით მრგვალი ხომ არ არის, რომ ადვილად შეარჩიო ადგილი. ქალი სახით უნდა გამოჩენილიყო; მის ზურგსუკან სერსოს ფიცარნაგი ზედ სიმეტრიულად მიმოფანტული სოკოს ფორმის სამიზნეებით, მოაჯირზე ერთად მიწყობილი ლურჯი სასროლი რგოლები... მაგრამ თუ წინიდან მივადგებოდი, ქალი დამინახავდა და ყველაფერი შეწყდებოდა, დამთავრდებოდა ის მთავარი, რამაც უჩვეულოდ მიმიზიდა და არა მხოლოდ პროფესიული თვალსაზრისით: ქალი მარიანას ელაპარაკებოდა და მთავარი სწორედ ეს იყო! სერიოზულად, ნდობით, გულახდილად რაღაცას უზიარებდა, უყვავებდა და არიგებდა როგორც ცოცხალ ბავშვს.

ვიდრე ასე შორიდან შევყურებდი, წინ დაისვა მოაჯირზე სახით თავისკენ და ხელების სწრაფი მოძრაობით რაღაც აუხსნა, რაღაცაში დაარწმუნა. მერე ისევ ჩაისვა კალთაში, ნიკაპი საფეთქელთან მიადო და გაირინდა. „გიჟია“ — გავიფიქრე მშვიდად და მივიხედ-მოვიხედე. არავინ ჩანდა. შემეძლო კარუსელისთვის შემომევლო და სერსოს უკანა მხრიდან შეუმჩნევლად მივახლოვებოდი, მაგრამ ქალს ზურგიდან ხომ არ გადავიღებდი. სერსოს წინ არც ხე იდგა, არც რაიმე პატარა ჯიხური, არც მესერი ჰქონდა შემოვლებული, წელან ასე რომ დამეხმარა, კარუსელს როცა ვუღებდი სურათს. მხოლოდ ორი მუქი მწვანე, ფაფუკი ფიჭვი ირხეოდა მის გვერდით კედელთან. ვფიქრობდი, რა მომეფიქრებინა და უცბად მივხვდი: ტირი, კარუსელი და სერსო ვიწრო წითელი ბილიკის ერთ მხარეს იყო გვერდი-გვერდ ჩამწკრივებული, ბილიკის მეორე მხარეს კი, ზუსტად სერსოს პირდაპირ „ეშმაკის ბორბალი“ ტრიალებდა გულისშემაღონებელი ჭრიალჭრიალით. ცარიელი კალათებიც გულისგამაწვრილებლად ნელა ადიოდნენ ჰაერში. ეტყობა, იმ მიზნით ჩაერთოთ, რომ პარკში შემოსულთ შორიდანვე მოეკრათ თვალი ხეთა კენწეროების თავზე ამავალ-ჩამავალი კალათებისთვის და მიმხვდარიყვნენ: პარკი ისევ ცოცხლობდა, ისევ ფეთქავდა, ამინდებს ჯერ

არ ნებდებოდა და ისევ მზად იყო გაერთო მოსეირნენი.

ბილიკი გადავჭერი და იმ მხარეს ჩარიგებული უთხოვარის განიერი, მოვერცხლისფერო მწვანე ბუჩქების წყალობით შეუმჩნევლად შევაღწიე „ბორბლის“ პატარა მოედანზე, ყვითელი ბადისებრი მესერი რომ ერტყმოდა გარს. ცალფეხა „მებორბლეს“, რომელსაც თავის ჯიხურში ჩასძინებოდა, რაფაზე ოცკაპიკიანი დავუდე, ჯიხურიდან გამოშვერილ, დაბალი კიბის პირველ საფეხურზე ჩამოდებულ იმ ცალ ფეხზე გადავაბიჯე, ფიცარნაგზე ავედი და კალათში მოვთავსდი... აპარატი მზად მქონდა. როგორც კი ჩემი კალათა უთხოვარის ბუჩქებს ასცდა, კადრი თანდათან დავაზუსტე და კიდევ ოდნავ რომ შემოკლდა მანძილი ჩემსა და სერსოს შორის, გადავიღე! აი, ეს ფოტო: ოდნავ მაღლიდან არის გადაღებული და საოცარ შთაბეჭდილებას ახდენს, რადგან მართლაც აუხსნელია: სად იდგა ფოტოგრაფი? ჰაერში? თუ ხის ტოტზე ამძვრალი იღებდა? ან ეგებ ოთხი ტაბურეტი დაადგა ერთმანეთს და იქ აფოფხდა?

აი, მარიანა, მარიანა, თავის ლურჯ არშია-მაქმანებიან საცეკვაო კაბაში გამოწყობილი და განა გუტაფისის თოჯინების უმეტყველო სახით... თუმცა სახე აქ უფრო მოსჩანს, ამ ფოტოზე, მაგრამ ამაზე შემდეგ... საოცრად ნამდვილი, ხვეული თმა მხრებზე აყრია და კალთაში უზის ქალს, რომელსაც ძველმოდური, ჩაის ლამბაქზე ოდნავ განიერი ყვავილებიანი შლაპა ახურავს, ყურისკენ ირიბად დაქანებული. მხრებზე მუქი, ნაქსოვი შალი მოუსხამს და ძველი, შავი ქოლგის ქვეშ მარიანასთან ერთად შეყუჟულს, მის საფეთქელზე ნიკაპმიკრულს სადღაც შორს გაშტერებია თვალი. მათ ზურგს უკან დახრილ ფიცარნაგზე სოკოს ფორმის დანომრილი სამიზნეები მოსჩანს, და კიდევ სამთაროიანი რაღაც პირამიდა სერსოს კედელთან, მოსაგები ნივთებით სავსე. ამ ფოტოსთვის, ასე შეუმჩნევლად რომ გადავიღე (რადგან აშკარად გადაღებული აღბეჭდავდა განა ამ ენითაუწერელ, გაშტერებულ გამომეტყველებას ქალისას, რომელიც იმ წუთას, ალბათ სადღაც ძალიან შორს, თავისი ცხოვრების უშორეს კუნჭულში იყურებოდა! როცა აშკარად უღებ, უმეტესად ისეთი სახე აქვთ, როგორც სარკეში ჩახედვისას, საგანგებო, რადგან სარკეშიც მაყურებლის წინაშე დგანან და ამის გამო ვერასოდეს ხედავენ თავიანთ ბუნებრივ იერს), ღირდა იმ გულზიდების ატანა, მე რომ დამეწყო, როცა კალათი ხის კენწეროებს ასცდა, როგორც ყოველთვის მემართებოდა „ეშმაკის ბორბალზე“. თან ზემოთ, ჰაერში, შემცივდა კიდეც და ფიცარნაგზე რომ გადმოვედი, ტანში მაჟრიალებდა. აპარატი ჩანთაში შევინახე, ქურთუკი შევიკარი და გადავწყვიტე, სერსოსთან მივსულიყავი: ისე, ვითომც არაფერი, რგოლები მესროლა, ახლოდან დავკვირვებოდი სერსოს უცნაურ წყვილს და გამერკვია, საიდან ჰყავდა ამ მოჩვენებას ეს საოცრება. მაგრამ უცბად გამახსენდა, რომ დრო აღარ მქონდა: მეორე დღეს ერთ ახალგაზრდულ ჟურნალში შეპირებული ფოტოები უნდა მიმეტანა, მე კი ის ფირი ჯერაც არ მქონდა გამჟღავნებული. ქალის გაცნობა მეორე დღისთვის გადავდე და შინ გავეშურე.

გვიან ღამით, სამი-ოთხი საათის მუშაობის შემდეგ ჩემი ოთახის პატარა ფოტოფანრით მუქშვინდისფრად განათებულ წყვდიადში ვიჯექი და დაბეჭდილ, სველ ფოტოებს დაქანცული, მზერაარეული თვალებით დავცქეროდი. კმაყოფილი ვიყავი: საჟურნალე ფოტოებიც კარგად გამოვიდა და ის ბოლო ორი ხომ მთლად შესანიშნავად: კარუსელი და სერსო. ვხედავ საოცრად ძლიერად გამოხატულ მარტოობას, მარტოობის წუთებს. რაღაცნაირადაა დაჭერილი შემოდგომის ფარული ჰიპნოზი, გარინდების, სიჩუმისა და სიმარტოვის ყვითელ წყალში რომ გვძირავს, მონუსხულებივით გვიშტერებს თვა-

ლებს. განა საშინლად მარტო არ არის ეს კაცი ცარიელ, უძრავ კარუსელზე, უსულო ცხენს რომ მიხუტებია და ეს ქალი მივიწყებული სერსოს მართკუთხა სივრცეში, დედოფალა რომ უზის კალთაში და მასთან ერთად შორს იმზირება, თითქოს სივრცის უხილავ წერტილს შეწებებოდეს მისი გუგები? და ეს ქალი და კაცი იქ არ არიან, სადაც სხედან, არამედ — სადღაც. ყველანი — ქალიც, დედოფალაც, ცხენიც და კაციც იმზირებიან შორს, ძალიან შორს ან არსად. ხომ მართლა დაამშვენებდნენ ისინი ჩემს ფოტოსერიას — „შემოდგომის ბაღები!“

ასე ვიჯექი ფიქრში წასული და მექანიკურად და სრულიად უაზროდ ზედმეტ ფოტოებს მაკრატლით ვჭრიდი და სხვადასხვა ნაკუწებს ერთად ვაწებებდი. რაღაც ფოტოკოლაჟს ვაკეთებდი, უაზროდ და უმიზნოდ. მაშინ მარიანაც ამოვჭერი და დიდხანს მეჭირა ხელში, რა კარგი იყო, რა მშვენიერი... მერე აპარატი ავიღე, შიგ ახალი ფირი ჩავდე და რაკი პირველ ორ კადრს მაინც არასდროს ვენდობი, ის ფოტოკოლაჟი გადავიღე, ცხადია, ისე, უმიზნოდ.

იცით, მართლა საოცრებაა ეს ფოტომონტაჟი. აიღებ მაკრატელს, დაჭრი სხვადასხვა ფოტოებს და შორეულ საგნებს, ერთმანეთთან არავითარი გარეგანი კავშირი რომ არა აქვთ, მუყაოზე ერთად დააწებებ. მერე ხელახლა გადაიღებ და ხელთ გექნება სიურეალისტური ფოტოეტიუდები და ეს ეტიუდები გაცილებით უფრო შთამბეჭდავია ვიდრე სიურეალისტური ფერწერა: რადგან ყოველი საგანი ზუსტი და ნამდვილია. მაგალითად: ხვეულთმიანი, ნატიფხელება პატარა ბიჭი თავის თმასავით და ბატკნის მატყლივით ფაფუკ ღრუბელზე დგას, კოჭებამდე მასში ჩაფლული და ვიოლინოს უკრავს, ხემზე ღრუბლის მსუბუქი, ციცქნა ქულა უზის დიდ პეპელასავით; მაღალ სართულებს შორის გაბმულ სარეცხის თოკებზე ქალი მიდის ჩაფიქრებული, ბოსტნეულითა და ხილით სავსე ბადურას გვერდზე სახიფათოდ გადაუხრია; ვიღაც მსუქან კაცს ზედ თავზე ამოსვლის დიდი გვირილა, ის კი იღლიაში პორტფელამოჩრილი — არხეინად მიაბიჯებს ხალხმრავალ ქუჩაში; ტროლეიბუსის სახურავზე ბეჰემოტი წამოწოლილა და აივნებიდან ბავშვები ხელს უქნევენ. ადრე ძალიან მიტაცებდა და მართობდა ასეთი მხატვრული მონტაჟი. ბოლოს მომბეზრდა. ახლა კი ისე, აზრმიუყოლებლად ვამოძრავებდი თითებს და სულ სხვა რამეზე ვფიქრობდი, ისეთ რამეზე, რომ მეტირებოდა, და რომ არ მეტირა, იმიტომ ვჭრიდი და ვაწებებდი, ვითომ ყურადღებით, და ბოლოს მაინც ტირილი წამსკდა.

მეორე დღეს ჟურნალის რედაქციას შეპირებული ფოტოები მოვუტანე, რითაც დიდად გავახარე ახალგაზრდა რედაქტორი. გულითადი მადლობა გადამიხადა და მეც უკეთეს გუნებაზე გავწიე პარკისაკენ, სადაც სერსოს უცნაურობა მეგულებოდა.

ნაწვიმარ პარკში ძველებური ტანგო გაისმოდა. ოო, პარკი ჯერ არ ნებდებოდა: აი, მუსიკაც აეხმიანებინა, „ეშმაკის ბორბალიც“ ძველებურად ტრიალებდა და ცარიელი კალათები ისე ირწეოდნენ ხეების თავზე, თითქოს ხელს უქნევდნენ იქაურობის სტუმართ. მაგრამ ეს უკანასკნელნი დიდი, შადრევანჩამქრალი აუზის ირგვლივ მიმოდიოდნენ კანტიკუნტად, გარინდებულნი, ატრაქციონებისაკენ კი აღარავის უწევდა გული.

უთხოვარის ბუჩქებს რომ მივუახლოვდი, მივხვდი: მუსიკა „მებორბლის“ ჯიხურიდან გამოისმოდა. როგორც ჩანს, მუსიკალურ გაფორმებასაც ეს კაცი ედგა სათავეში. და როცა სერსოსკენ გავიხედე, შევცბი: ქალს მარიანა მკერდზე მიეკრა, მისი ერთი პატარა ხელი ხელში აეტაცა და ტანგოს აცეკვებდა. მუსიკა შეწყდა, ქალმა მარიანა მოაჯირზე დასვა და მუქ, ჩაის ლამბაქივით მრგვალ, ყვავილებიან შლაპას და მის ქვეშ აწეწილ თმას რომ ისწორებდა,

უცბად მარცხნივ გაიხედა და გაშეშდა. მე უკვე სერსოს ვუახლოვდებოდი და დავინახე, რაღაც უცნაურმა სიანჩხლემ სახე როგორ წაუწვეტა, მარიანას ხელი სტაცა და მოსაგები ნივთებით ავსებული პირამიდის წვერზე დაასკუპა. თვითონ კი სწრაფად ჩამოჯდა სკამზე, დაძაბული და გაბოროტებული. მეც გავიხედე: ბილიკზე თორმეტიოდე წლის ბიჭი მორბოდა, კარუსელს გაუსწორდა, მეც ნაბიჯს ავუჩქარე და თითქმის ერთდროულად მივადექით სერსოს მოაჯირს...

ბიჭს ჩემთვის არ შემოუხედავს, ორი დაჭმუჭნული მანეთიანი გაუწოდა ქალს და ათიოდე ლურჯი რგოლი ორივე ხელით ჩაბღუჯა. მე კი დაძაბული შევჩერებოდი სახეში: „სად... სად მინახავს, სად მინახავს“... და უცბად ვიცანი: რა უცნაურიც არ უნდა ყოფილიყო, ჩემს წინ სწორედ ის ბიჭი იდგა — ორი კვირის წინ კუსტბაზე რომ წამოგვადგა თავს.

მე და მ. გ. (სახელის ხსენება რატომღაც მიჭირს) მაშინ უკანასკნელად ვიყავით კუსტბაზე, სადაც ასე გვიყვარდა ხეტიალი, განსაკუთრებით იმ ქედს გადაღმა, უზარმაზარი ხრამის თავზე, რომლის წვრილყვავილებიან ფერად ფერდზე მუდამ დანავარდობს იქაური ნიავი. რამდენი ეტიუდი მაქვს იქ გადაღებული. თუნდაც ის — დიდი, დაბზარული, ალაგ-ალაგ ხავსმოდებული ლოდის მკერდზე თავმიყრდნობილი, ნახევრადღეროგადატეხილი გვირილა. „მიშველე“ — ასე ერქვა ამ ფოტოს და გამოფენაზე პრიზი დაიმსახურა. იმ დღეს კი ქედისაკენ აღარ გაგვიწევია. „არა, იქ არ გვინდა“ — თქვა მ. გ.-მ და იქვე ტბასთან, კუნელისა და ასკილის ბუჩქნარისაკენ გადაუხვია, სადაც მუხის კუნძები იყო ბალახში სკამებად და მაგიდებად მიმოფანტული და მზიან დღეებში ბევრი მოსეირნე ეტანებოდა. ეს თქვა თუ არა — მაშინვე მივხვდი. უკან მივყვებოდი გულის ბაგაბუგით, ფეხს ძლივს ვადგამდი და უკვე ვიცოდი, რაც მოხდებოდა. თან უცნაური იყო, რომ სწორედ ის კაბა მეცვა, რაც ორი წლის წინ აქ პირველად ამოსვლის [illegible] ლურჯი, თეთრწინწკლებიანი [illegible] ხანი არც ერთხელ რომ არ გამხსენებია. კუნძებზე ჩამოვსხედით და ნერვიული სიჩუმის შემდეგ როგორც კი წამოიწყო „იცი... რაღაც მაქვს სათქმელი...“ მაშინვე ავდექი, უკან დავიხიე, ერთი წუთით ეგრე იჯექი-მეთქი და აპარატის ბუდე გავხსენი, ალბათ მხოლოდ იმ მიზნით, რომ დრო გამეგრძელებინა, მისი „სათქმელი“ ცოტახნით გადამედო. ობიექტივს შავი სარქველი მოვხადე და მისი სახე ნელა დავაზუსტე, ძალიან ნელა — ვეთხოვებოდი... კუნძზე იჯდა, ხეს მიყრდნობილი და ოდნავ შუბლშეჭმუხნული ამომცქეროდა და ის იყო, ღილაკზე უნდა დამეჭირა ხელი, რომ მის ზურგს უკან კუნელის ბუჩქი შეირხა და სწორედ ამ ბიჭმა ამოყო თავი: ერთი ამომხედა სახეზე აპარატმიფარებულს და მეც თითი დავაჭირე, ჩამობნელდა. მერე ბიჭმა ლუდის ორი ცარიელი ბოთლი აიღო ბალახიდან, რაღაც ზურგჩანთაში ჩააწყო და აღარ გამოუხედავს, ისე მიიმალა ბუჩქებში. ცარიელ ბოთლებს აგროვებდა. მერე კი მან, როგორც იქნა, თქვა, რის სათქმელადაც მიმიყვანა იქ. მის ნათქვამს კარგად ვერ ვიგებდი, მეგონა, რაღაც ძალიან ბევრ სიტყვას ამბობდა, ზედმეტს, სულ ერთნაირს. რადგან, ყველა მათგანს ერთი აზრი ჰქონდა და ერთსადაიმავეს ნიშნავდა: იმ დღიდან მე მარტო ვრჩებოდი. და წუხელ არ იყო, ის ფოტო რომ გამოვამჟღავნე! ამ ბიჭის სახესაც კარგა ხანს დავყურებდი. ეს იქ, ფოტოზე, პირველად მხედავდა და პირველი შემოხედვის წამიერი გაკვირვება, დაკვირვება თუ ინტერესი ედგა თვალებში, მ. გ. კი ალბათ უკანასკნელად და განშორების შემოხედვასაც ხომ აქვს რაღაც საშინლად მძიმე და გამოუთქმელი. ამ შემოხედვებზე ვფიქრობდი მაშინ და ტირილიც იმიტომ წამსკდა... რადგან იმ წუთიდან, სამუდამოდ რომ გაჩერდა ჩემს ფოტოზე, დაიწყო ჩემი უთავბოლო ხეტიალი შემოდგომის ბაღებში.

მანამდე კი ჩვენ ყველგან ერთად დავდიოდით, დავეხეტებოდით ჩვენი ქალაქის ძველ თუ ახალ, ვიწრო თუ განიერ ქუჩებში, სკვერებსა და პარკებში და მაშინ ბაღები სულ სხვას ამბობდნენ.

ბიჭმა ისროლა. ააცდინა. ორი — რგოლი მეშვიდე ნომერ სოკოს დაეკიდა ნახევრად. სამი — მეექვსე და მეშვიდე სოკოებს შორის დავარდა, ერთხანს იბარბაცა თავგზააბნეულმა და ბოლოს მიწაზე ჩამოგორდა. ოთხი—მერვე ნომერს შეეხო. ბიჭს, ცხადი იყო, ზუსტი ხელი და მახვილი მზერა ჰქონდა და რომ ნდომებოდა, ალბათ წინა რიგის ყველა სამიზნეს დაიპყრობდა. ის კი, რატომღაც შორს, სულ ერთ კუთხეში უმიზნებდა და წინა სოკოებს ზედაც არ უყურებდა... უცბად ქალს შევხედე და გამაჟრჟოლა: ერთიანად შეკუმშული, დაძაბული, ენით აუწერელი მტრობითა და სიძულვილით მიშტერებოდა ბიჭს; თითქოს უნდოდა შეელოცა: მწერად ან ჭიაყელად გადაექცია ან სულაც ადგილზე გაექრო. ის კი არცერთს არ გვაქცევდა ყურადღებას და არა მხოლოდ თვალებით, თითქოს მთელი სხეულითაც იმ თავის სამიზნეს შეერთებოდა. მეც გადმომედო მისი მღელვარება, დაძაბულად შევცქეროდი ჰაერში მიმფრინავ რგოლებს და შეიძლება, იმდენად ბიჭის კი არა, რამდენადაც მიზნის მიღწევის მხარეზე ვიყავი... „ეშმაკის ბორბალს“ გულისშემაღონებელი ჭრიალი გაჰქონდა. ქარმა დაუბერა და ტოტებზე შერჩენილი წვეთები გადმოგვაყარა, მაგრამ არცერთი არ გავნძრეულვართ.

ბიჭს ბოლო რგოლიღა ეჭირა ორივე ხელით. მისი ნასროლი, მიზანს აცდენილი ლურჯი რგოლები ზოგი სერსოს ფიცარნაგზე ეყარა ალუმინის სოკოებს შორის, ზოგიც მიწაზე. ბიჭმა მარჯვენა მოხარა: ნელა, სულ ნელა წაიღო მარცხენა მხრისაკენ, ოდნავ უკან გადაიზნიქა, ოდნავ გვერდზე შემობრუნდა და ისროლა: ლურჯი რგოლი ბრტყლად გასრიალდა ჰაერში და ზუსტად ჩამოეცვა მერვე ნომერს.

„ყოჩაღ!“ — დავიყვირე და ტაშიც შემოვკარი. ქალმა თვალებით განმგმირა, ბიჭი კი ხელებჩამოშვებული, გაფითრებული იდგა და სასოწარკვეთით შესცქეროდა სერსოს ფიცარნაგს.

— აჰა! მოიგე და წაიღე! რაღა გინდა! — წამოფრინდა ქალი, შლაპა ნერვიულად გაისწორა, იმ მოსაგები ნივთებიდან სანთებელას დასტაცა ხელი და ბიჭს წინ დაუდო მოაჯირზე. ახლაღა შევნიშნე, ნივთებიც დანომრილი ყოფილიყო და შავი რვიანის თავზე ადგილი განთავისუფლდა. ვიფიქრე, რომ ბიჭი სწორედ სანთებელას უმიზნებდა, რადგან იმ ნივთებიდან სხვა არაფერი ჩანდა საბიჭო. იქ, სამთაროიან პირამიდაზე ელაგა უცხოური საპონი, უცხოური შამპუნი, სუნამო, სიგარეტის კოლოფი, რეზინის პატარა ბურთი და რაღაც კაშნე. აბა, რა იყო იქ ისეთი, რომ ამისთანა ბიჭს მონდომებოდა... რადგან ეს ნამდვილი ბიჭი იყო, ნამდვილი ბიჭი: დაუდევრად ჩაცმული, არაფრად რომ აგდებს შიმშილს და სიცივეს, გაჭრილ ხელსა და დალილავებულ ადგილებს, რომელსაც მთელი ცხოვრება რცხვენია ახალი ფეხსაცმელების ჩაცმა, ჰალსტუხს კი ნამდვილად არასოდეს იკეთებს, არასოდეს მოუვა აზრად, ამხანაგს ჰკითხოს: „სად მუშაობს მამაშენი?“ და როცა ფულს ასესხებს ვინმეს, თავადვე რცხვენია, რომ შეიძლება იმ ვინმეს რცხვენოდეს, რცხვენია, რომ აი, თვითონ აქვს ფული და იმ „ვინმეს“ არა, და ბოლოს უკან რომ უნდა გამოართვას...

ბიჭმა ნაღვლიანად დახედა სანთებელას, მერე ისევ იმ მარცხენა კუთხეს მიაპყრო თვალი, ღრმად ამოისუნთქა, ხელი ჩაიქნია, მიბრუნდა და წავიდა. აღარ მირბოდა.

ჯერ მოაჯირზე დატოვებულ სანთებელას დავაჩერდი, მერე ქალს და მზერით შევეკითხე, რა ხდება-მეთქი.

— მარიანას უმიზნებს! არამზადა! — წაისისინა და პირამიდას ეცა, დედოფალა გადმოიღო, ისევ კალთაში ჩაისვა და ხელები მოჰხვია. „გიჟია“ — ისევ

გავიფიქრე და ახსნა-განმარტების გაგრძელებას დაველოდე, რადგან ქალს, ეტყობა, ლაპარაკის სალაღობელი აშლოდა და რაღაც, დიდიხნის დაგროვილი ბოღმა სწორედ ახლა უნდა ამოენთხია. ვუსმენდი და თან მარიანას შევცქეროდი სახეში.

არა, ეს მართლაც საოცრება იყო, ასეთი დედოფალა ჩემს ცხოვრებაში არსად მენახა. თუმცა რა დედოფალა! საოცრად ნამდვილი, ხვეული თმა მხრებზე ეყარა, სპილოსძვლისფერ, თითქოსდა თბილ სახეზე გონიერი, ნამდვილი თვალები უკრიალებდა... განა გუტაფოსის მაიკური თოჯინების უმეტყველო სახე გიმზერდათ (თუმცა მათ მზერა სად შეუძლიათ), არამედ დაუვიწყარი, ოდნავ სევდიანი გოგონა, რომელიც, სადაც იყო, გაიღიმებდა... რაღაც გამოუცნობი იერი ჰქონდა... სევდიანი, გასაღიმებლად გამზადებული ტუჩის კუთხეებისა თუ ღრმა უპეების წყალობით. ის ერთადერთი იყო, არავის არ ჰგავდა, მას სახელი ერქვა და არავის მოუვიდოდა თავში, ეთქვა „თოჯინა", არამედ მაშინვე იკითხავდა: „რა ჰქვია?" და მუდამ ამ სახელით მოიხსენიებდა. და კაბა, კაბა: ამქვეყნად ყველა პატარა გოგოს ოცნების მიხედვით შეკერილი, არა, უფრო მეტი, მათი ოცნების გამაოცებელი: ლურჯი, ლურჯი საცეკვაო კაბა, ცისფერ არშიებიანი და არშიები თეთრმაქმანმოვლებული, ვერცხლისფერი ჯვარედინი თასმებით გაწყობილ, მოსოსნისფერო ხავერდის გულისპირზე პატარა ვარდისფერი სადაფის ღილები ჰქონდა წვიმის წვეთებივით ჩაწიკწიკებული, სახელოები ფაქიზად ნაოჭაყრილი, იდაყვთან და მაჯებთან ისევ ვერცხლისფერი თასმებით შეკრული და იისფერი ხავერდის მაშიები... მაჯებზე ძაფის სიმსხო ვერცხლის სამაჯურები... და ისევ თვალები: უსახელო ფერის, უძირო, ნამდვილი თვალები, რომლებიც თითქოს ამბობდნენ „იცი რა?" და ასე ხომ რაღაც გასახარელს, რაღაც ახალ, უცნობ სათქმელს იწყებენ ხოლმე, ხოლო მარიანა სევდის შემდეგ ამბობდ ამას და მისი გამომეტყველება რაღაც საოცრად შუაში შეჩერებული იყო მწუხარებასა და გახარებას შორის: ცოტაც და გაიღიმებდა... ვისი ხელიდან გამოვიდა ეს საოცრება, ვინ იყო, სად ცხოვრობდა ამის შემოქმედი, რა სტანჯავდა და როგორ მოკვდა? მაგრამ ვინც არ უნდა ყოფილიყო, ეტყობა, ისევე ჩააქსოვა ამ არსებაში თავისი ყველაზე ფარული ტანჯვა, მიგნება და სინაზე, როგორც მონა ლიზასა თუ რომელიმე მადონნას სახეში იყო ჩაცრემლილი...

ასე ვფიქრობდი, რატომღაც უსაზღვროდ დანაღვლიანებული და თან ქალის შიგადაშიგ ჩურჩულ-სისინში გარდამავალ ლაპარაკს ვუგდებდი ყურს...

— მარიანას უმიზნებს, გესმის? სამი კვირაა ყოველდღე მოდის. ხომ ეტყობა, რომ ხულიგანი გაიზრდება? სახეზე ეტყობა! მითხარი, საიდან შოულობს ფულს! გეკითხები, საიდან შოულობს ყოველდღე ორ-სამ მანეთს, ვინ ეშმაკი აძლევს, ვინ რას მისცემს მაგ ჩამოკონკილს, რა თქმა უნდა იპარავს! რომ ვიცოდე, ვისი შვილია, გავაგებინებდი მაგის მშობლებს, ვინც ეზრდებათ. გესმის? მარიანა უნდა! გადაეკიდა! მაიმუნი! არგასაზრდელი! ეს რომ აქ არ იყოს, — თმაზე ნაზად ჩამოუსვა ხელი, — სერსოს შემოსავალი ხომ განახევრდებოდა! ამას რომ დაინახავენ, ყველა ამ სერსოს მოაწყდება ხოლმე, მაგრამ მალევე ხვდებიან, რომ უიმედო საქმეა! მეცხრე ნომერს ვერავინ ჩამოაცმევს რგოლს, ვერავინ!

გავიხედე: მარიანა მეცხრე ნომრის თავზე იჯდა.

— გესმის? — ქალი ჩურჩულზე გადავიდა, — ისეა ეს სერსო მოწყობილი, რომ თვალს ატყუებს... ხომ ხედავ, სხვადასხვაგვარად რომ არის სამიზნეები შეღებილი! წინა სოკოები მუქია და ზემოთ — ღია ფერის, მეცხრე ნომერი კი, ხედავ, მოცისფრო-მოთეთრო. მის ირგვლივ კედელიც [illegible] კუთხეში [illegible] [illegible] უფრო [illegible]ს[illegible], ვიდრე ჩანს, თითქმის კუთხეში,

კედელს უნდა დაუმიზნო, კედლის კუთხეს უნდა ესროლო და შეიძლება მაშინ შეეხოს ოდნავ... მაგრამ მაშინაც ვერ ჩამოეცმევა, რადგან სოკოს უკანა მხრიდან ლურსმანი აქვს მიჭედებული, რგოლი იმ ლურსმანზე დაეკიდება და ეგ არ ითვლება, ისე ზუსტად კი ვინ ისვრის, რომ ლურსმანს არ შეეხოს? და ხომ ხედავ, თუმცა რას დაინახავ, ფიცარნაგიც ისეა აწეულ-დაწეული და შეღებილი, რომ ვერავინ ამჩნევს, რა შორს არის მეცხრე ნომერი. თვალს ატყუებს, ერთხელ ერთი ჯარისკაცი გადაეკიდა, თხუთმეტი მანეთი დატოვა აქ და ბოლოს მხოლოდ მეშვიდე ნომერს ჩამოაცვა ორჯერ. აიღო მოგებული სუნამო, სავარცხელი და წავიდა. მერვე ნომერიც ძალიან ძნელია, ძალიან... მაგან კი მარიანა მოინდომა! რად უნდა ბიჭს თოჯინა, გეკითხები? გიჟია, ნამდვილად გეუბნები, არ არის ნორმალური. სამი კვირაა,გესმის? არა, სამ კვირაზე მეტია, ყოველდღე მოდის, დღეში ორ-სამ მანეთს ხარჯავს! ამისი წაყვანა უნდა! სერსოს შემოსავალი ხომ განახევრდება, თანაც ეს ჩემია! ჩემი! ყოველ საღამოს შინ მიმყავს, აქ კი არ ვკეტავ! აქ როგორ დავტოვებ მარტოს! ჩავაწვენ თავის ყუთში, — ქალმა მოაჯირს ქვემოდან მოგრძო, ოქროსფერი მუყაოს ყუთი გამოიღო — და მიმყავს და მომყავს, შენა გგონია აქ დავსვამდი? მაგრამ სერსოს შემოსავალი არა ჰქონდა და პარკის დირექტორი მე მიპირებდა მოხსნას, თითქოს ჩემი ბრალი იყო, მეც ავდექი და ჩემი მარიანა მოვიყვანე, მოველაპარაკე დირექტორს, აზრი მოეწონა, და მაშინ იყო, სერსო რომ ასე შეღებეს და გადააკეთეს — თვალის მოსატყუებლად. თან მარიანა აქ ჰაერზეა (ხმა დაურბილდა), ადრე შინ ვტოვებდი და მოწყენილი იყო მთელი დღე უჩემოდ, აქ კი ათვალიერებს ბაღს, ხეებს, ბავშვებს და უხარია.

ქალი შემეცოდა „გიჟი" — ისევ გავიფიქრე, თუმცა არც ადრინდელი დარწმუნებით.

მე და ეს ერთად ვცხოვრობთ, აგერ უკვე რამდენი ხანია, ადრე ჩემს მეზობელთან (ხმა გაუცივდა) ცხოვრობდა, მაგრამ ის ქალი მოკვდა (გულგრილად) და მარიანა მე დამიტოვა (ეჭვი შემეპარა). მუსიკის მასწავლებელი იყო, გერმანელი ქალი, მარტოხელა, და მარიანა სულ პიანინოს თავზე ეჯდა (საყვედურით), ხომ დაიღლებოდა იმ ბრახაბრუხში! ელიზას ეძახდა, რაღაც მუსიკას უკრავდა ხოლმე და მეუბნებოდა, ამისი საყვარელი მუსიკააო. მარიანა მე დავარქვი, ჩემს დისშვილს ერქვა (დადარდიანდა და უცბად სადღაც შორს წავიდა)... იცი? მარიანა მღერის (აწრიალდა), გესმის? მღერის, მაგრამ ორი-სამი თვეა აღარ უმღერია, აი, აქ, მესამე ღილზე თუ ხელს მიაჭერ, ამღერდება: ლა, ლა, ლა. იმ მუსიკას მღერის, ის ქალი რომ უკრავდა ხშირად (გულდაწყვეტილად), ერთად მღეროდნენ ხოლმე, ახლა კი, აი... ხმას აღარ იღებს — ქალი უცბად მოაჯირზე გადმოიხარა და ჩამჩურჩულა: — ეშინია. იმ არამზადის ეშინია... იმის დანახვაზე შეკრთება ხოლმე. მაგრამ ცოტაც და ყველაფერი დამთავრდება (წელში გასწორდა) — მასზეგ სეზონი იხურება! მაგას კი ალბათ გონია, თვის ბოლომდე აქვს დრო. წელს ადრე ვკეტავთ მასზეგ რომ მოვა, ოჰ, ნეტავ მაგის სახე დამანახა, აფიცრული სერსო რომ დახვდება!... და მერე როგორ გგონია, კიდევ დავბრუნდებით გაზაფხულზე? — (საზეიმოდ) — არაა! პენსიაში გავდივარ. და ვისხდებით ჩვენთვის ჩვენს ოთახში, და ვიქნებით წყნარად... არამზადა! თქვი, ხომ იპარავს ფულს, ხომ ნამდვილად იპარავს?

— იპარავს? — ვკითხე გულდამძიმებულმა და სანთებელას დავაჩერდი, ისევ ისე რომ ეგდო მოაჯირზე და ვერცხლისფრად ლაპლაპებდა — რატომ არ წაიღო სანთებელა? — მართალია, რასაც ქალი მიამბობდა, უზომოდ საინტერესო იყო, ყვლაზე მეტად მაინც ბიჭის საქციელმა ამაფორიაქა და ათასი შეკითხვა გამიჩინა. გული მომეწურა, მისი გაწბილებული სახე რომ გამახსენდა

და გულდაწყვეტილი ხელის ჩაქნევა — რატომ არ წაიღო სანთებელა?

ქალი წამით გაჩუმდა. სანთებელა აიღო, უცბად სახეში შემომხედა. ჭერმის კურკის მსგავსი მწვანე თვალებით. წრიულ ნაოჭებში ბეჭდის თვლებივით რომ ესხდა და მომახალა: — შენ ხომ ვერ წაიღებდა! ალბათ პაპიროსსაც ეწევა. მაგისთანა გზააცდენილი როგორ შეიძლება არ ეწეოდეს და ხომ დააქცევებდა მშობლებს, სანთებელა რომ ენახათ!

— მარიანა რაღად უნდა?

— გაყიდის! აბა რად უნდა უნდოდეს! გაყიდის! ძვირად, ძალიან ძვირად გაიყიდება, ხომ ხვდები.

— სანთებელაც ხომ შეეძლო გაეყიდა?

— როგორ არა! ვის რად უნდა? მალაზიები სავსეა...

„ნახევარ ფასში მაინც ხომ გაყიდდა" — ვთქვი გულში. ქალმა კი ისევ ჩაისვა მარიანა კალთაში, თავზე ხელი გადაუსვა და წელანდელივით ნაღვლიანად ჩაილაპარაკა: „ეს კი... აღარა მღერის... ეშინია".

ალბათ ნერვებმა უმტყუნა და უცხო ადამიანს ასე უცბად იმიტომ გამენდო, შენობითაც იმიტომ მომმართა, ნერვების გამო, ერთბაშად ისროლა სერსოს საიდუმლო, არც დაფიქრებულა, რომ შეიძლებოდა მესარგებლა. თუმცა სერსო ხომ ორ დღეში იკეტებოდა. ქალს დავემშვიდობე, გულში ჩემდა გასაკვირლად, მარიანასაც ვუთხარი: „ნახვამდის", რადგან ისე ნამდვილად იყურებოდა, თითქოს ყველაფერი ესმოდა და თან ამ დროს ნიავმა ისევ გადმოგვაყარა ფიჭვის ტოტებზე შერჩენილი წვიმის წვეთები, ერთი წვეთი მარიანას გრძელ, ახრილ წამწამებზე დაეცა, შეურხია და მერე ისე ცრემლივით ჩამოელვენთა ფერმკრთალ, თითქოსდა თბილ ლოყაზე...

არ ვიცი რატომ, რა უფრო მიზიდავდა, იმ ბიჭის ნახვის სურვილი თუ იმ ადგილისა, სადაც მ. გ. ვნახე უკანასკნელად. მეორე დღეს დილითვე ავედი კუსტბაზე და იქაურობა მოვათვალიერე. მერე ასკილისა და კუნელის ბუჩქნარისაკენ გავწიე. სადაც მუხის კუნძები იყო სკამებად და მაგიდებად მიმოფანტული. თბილი დღე იდგა. ბალახში ბუჩქების ძირას ერთი-ორი ცარიელი ბოთლი შევნიშნე. ბიჭი კი არსად ჩანდა. ნუთუ ხელი ჩაიქნია და დღეიდან აღარ აპირებს სერსოზე ბრძოლას? ეს გავიფიქრე თუ არა, კუნელის ბუჩქი შეირხა და მე რომ ბიჭის დანახვას ველოდებოდი, ვიღაც მოხუცი კაცი გამოჩნდა. ჩემსკენ წამოვიდა, ერთი გულგრილად შემომხედა, დაიხარა, თამბაქოს ბოლით გაყვითლებული, მოცახცახე, დაგრეხილი თითებით ბოთლებს დასწვდა, შიგ ჩარჩენილი სითხე გადაღვარა და ტოპრაკში ჩაიწყო, პირთამდე რომ ავსო უკვე.

ტბისკენ წავედი და გადაბრუნებულ ნავზე ჩამოვჯექი.

ის იყო აპარატი მოვამზადე, ხუთიოდე წლის გოგოსთვის მინდოდა გადამეღო, რომელსაც, ეტყობოდა, მამამისის შლაპა მოეპარა და ახლა მთელის გულმოდგინებით ცდილობდა ტბაში შეეცურებინა, რომ ზურგიდან ხველა შემომესმა, მივიხედე და ბიჭი დავინახე. ფერგაცრეცილი მომეჩვენა, ცარიელი ზურგჩანთა ხელით მოჰქონდა და ასკილის ბუჩქნარში რომ გადაუხვია, შემეცოდა: ბერიკაცმა ხომ უკვე აკრიფა, რაც იქ ბოთლები ეყარა, დღეს ალბათ ველარ წავიდოდა სერსოზე ბედის საცდელად. სეზონი კი იხურებოდა... ცოტა ხნის შემდეგ უკან გამობრუნდა, ცხადია, ცარიელი ზურგჩანთით და ჩემგან მორიახლო იმიც გადაბრუნებულ ნავზე ჩამოჯდა. მივუახლოვდი.

— რატომ არ წაიღე სანთებელა?

მომხედა, ერთდროულად გაუკვირდა და მიცნო. მხრები აიწურა;

— რაში მჭირდება.

— დღეს წახვალ?

გაწითლდა. მერე თავი გააქნია უარის ნიშნად.

— სეზონი ზეგ იხურება, იცი?

— ზეგ? არა, თვის ბოლოს. — შეშფოთებული მიყურებდა.

— არა, ზეგ. ნამდვილად ვიცი. ავადა ხარ?

სწორ, თხელ მხრებზე დავყურებდი. სვიტრის ქვეშაც ემჩნეოდა გამხდარი მხრისთავები.

— არაა. — თქვა არცთუ მტკიცედ.

— ნამდვილად იხურება?

— ნამდვილად. იქ მითხრეს.

— ხვალ წავალ. — თქვა უცებ და ისევ წამოახველა. — აქ ერთი მოხუცი კაცი ხომ არ დაგინახავთ. ბოთლებს ხომ არ აგროვებდა?

— აქ იყო. შეაგროვა და წავიდა. — ვყოყმანობდი. სერსოს საიდუმლო ენის წვერზე მედგა. მინდოდა მეთქვა, რომ მეცხრე ნომერი უფრო შორს იყო, ვიდრე მოსჩანდა, ძალიან შორს, რომ რგოლი კედლის კუთხისთვის უნდა დაემიზნებინა, რათა მეცხრე სოკოს შეხებოდა... რომ ეს სერსო თვალს ატყუებდა ფერებისა და უსწორმასწორო ფიცარნაგის წყალობით, რისი შემჩნევაც შეუძლებელი იყო და ეს ყველაფერი მარიანას გულისთვის... მაგრამ არაფერი მითქვამს, ჯერ ერთი, მან ხომ არ იცოდა, რომ მე ვიცოდი, რისი მოგებაც სურდა, გამახსენდა როგორ გაწითლდა, იქ წასვლაზე როცა ვკითხე, თან ვინ იცის, ბიჭს სულ გატეხოდა გული, მითუმეტეს თუ იმ ლურსმანსაც ვახსენებდი... თან იმ ქალის ნამდვილი გაყიდვა გამომივიდოდა, იმ საცოდავი, მწვანეთვალება მოჩვენებისა, ასე დაუფიქრებლად რომ გამენდო, თავისად ჩამთვალა, რა ვიცი რატომ... ხოლო თუ ბიჭს გამარჯვება ეწერა, რაც ასე წარმოუდგენელი ჩანდა, ეს გამარჯვება მხოლოდ ყოველგვარი დანაშაულის, დანაშაულებრივი დახმარების გარეშე შეიძლება რგებოდა მას... არ ვიცი, რატომ ვფიქრობდი აგრე, მაგრამ გუმანით სრულიად დარწმუნებული ვიყავი ამ ფიქრის სისწორეში, ლოგიკურად კი ვერ ამეხსნა... ისევე როგორც ვერ ამეხსნა ის განცდა, კიდევ რის გამოც არ დამრთო გულმა ნება, სერსოს საიდუმლო გამემხილა: მინდოდა ბიჭს ეს დაბრკოლებაც გადაელახა. სიცრუისა და თვალთმაქცობის ეს ბარიერი. უამრავი სხვა დაბრკოლების გარდა, იმის გარდა, რომ ფული არ ჰქონდა და ძლივს შოულობდა, რომ ავად იყო, რომ იმ ქალს სძულდა და ამ სიძულვილით, დარწმუნებული ვარ, ძალას ართმევდა...

მეორე დღეს ისევ ავედი კუსტბაზე და ტბია გასწვრივ ბილიკს რომ მივუყვებოდი, ბუჩქნარიდან გამოსული ის მოხუცი შემეფეთა. ბოთლებით სავსე, ალაგ-ალაგ დაკერებულ ტოპრაკს მოათრევდა და თავი უკანკალებდა. ბიჭმა ისევ დააგვიანა, ალბათ მართლა ავად იყო, ან რაღაც სხვა მიზეზი გამოუვარდა და ველარ ახერხებდა დროზე ამოსვლას.

უკანვე გავბრუნდი, საბაგიროს სადგურზე ავირბინე და იქ, სასაუზმეში ათი ბოთლი ლიმონათი მოვითხოვე. მხოლოდ ლუდი აღმოაჩნდათ. „სულ ერთია, ოღონდ გამიხსენით“, — ვუთხარი და დახლზე გამოდგმული ბოთლები სათითაოდ ჩავცალე იქვე, ონკანის ნიჟარაში, მერე ბადეში ჩავიწყე და გავიქეცი, რითაც მომსახურე პერსონალის ჯერ უსაზღვრო განცვიფრება და შემდეგ უსაზღვრო თანაგრძნობა გამოვიწვიე. ბოთლები ბუჩქნარში მივყარმოვყარე, აქოშინებული ისევ გადაბრუნებულ ნავზე ჩამოვჯექი და ცოტა ხნის შემდეგ საბაგიროს სადგურიდან ბილიკზე დაშვებულ ბიჭს როგორც კი მოვკარი თვალი, იქაურობას გავერიდე.

— გუშინ არ მოთრეულა! — მომახარა ქალმა, რომელიც უკვე მოკავშირედ მთვლიდა. ხვალ ვკეტავთ და წავალთ მე და მარიანა შინ. — თავზე აკოცა, მისი პატარა, მსუბუქი ხელები ხელში დაიჭირა და უცბად დაღონდა: — ეგებ ამღერდეს ისევ, იცით, როგორი წკრიალა ხმა აქვს? ვერ წარმოიდგენთ, აქ დაშინდა, ძალიან ნერვიულობს... ეს კურდღლები, ეს სათამაშოები სულ ამისია, მთელი ბაღიც ამისი არ არის?.. მაგრამ მაინც აღარ უხარია, აღარა მღერის...

„ავად ხომ არ არის"... კინაღამ ხმამაღლა ვკითხე და შევკრთი. მარიანას რომ შევცქეროდი, ჩემი დასკვნა ქალის არანორმალურობის შესახებ ნაჩქარევი და ზერელე მეჩვენებოდა.

ის კი მოაჯირზე გადმოიწია და ისევ გამენდო:

— შინ დიიდი, ძველი პალმა მაქვს.. იმის ტოტზე უყვარს ჩამოჯდომა, იქ ისე კარგად მღეროდა... პატარა ჰამაკი გავუკეთე, იცით? იქ დავაძინებ, ისე ნაზად, ისე საყვარლად ხუჭავს თვალებს... ეგებ ამღერდეს? — ქალმა უმწეოდ შემომხედა და ჭერმის კურკის ტოლა, მომწვანო თვალებში ცრემლი გაუკრთა.

— ამღერდება — ვუთხარი და ბიჭიც გამოჩნდა წითელ ბილიკზე, ტირს გაუსწორდა. ქალმა ჩემს მზერას გააყოლა თვალი და... „არ მოაღწიო აქამდე, გველის წიწილო, შენ მოგტყდეს ხელ-ფეხი, შენ არ გაეზარდე დედაშენს!"

დღეს განსაკუთრებით აგზნებული ჩანდა. ტანში დამბურძგლა, კინაღამ დავუყვირე: ნუ სწყევლი! და ბიჭმაც მოირბინა. ერთი შემომხედა გაკვირვებულმა, სჩანდა, იმაზე ფიქრობდა, თუ რა მინდოდა აქ, რისთვის ვიდექი და რა კავშირი მქონდა ქალთან.

თუმცა მეც ისეთივე დაძაბული ვიყავი, როგორც ის ორნი — ბრძოლის ველზე პირისპირ მდგომი მეტოქეები, და ბიჭის ხელის მოძრაობას გაფაციცებით მივშტერებოდი, ჩემმა პროფესიულმა სიფხიზლემ მაინც არ დამტოვა — ნელა მოვშორდი მათ და უკან დავიხიე: ყველა ხელოვნება ხომ ამ ცოდვაზეა დამყარებული, რადგან ასეთ უკანდახევას წარმოადგენს ცხოვრებიდან, ადამიანთა მიტოვებას ყოველდღიურ ვნებათაღელვაში, რათა ფხიზლად, დაკვირვებით და შორიდან შეხედო მათ და აღბეჭდო ისინი. ცხოვრების რა ორომტრიალშიც არ უნდა მოხვდეს ხელოვანი, ხომ დროებით მაინც უნდა დატოვოს გაafთრების, სასოწარკვეთის, ავენობის, ძიძგილ-სისინისა და ცრემლის ველი, რათა გარედან დაინახოს და გამოთქვას ის, რის შიგნითაც უკვე იცხოვრა? ერთი ჩემი მეგობარი მწერალი, სხვათა შორის, ნაღდი მწერალი, ისეთი ვნებითა და თავდავიწყებით წერდა ადამიანთა სიყვარულზე, სიკეთის ყოვლისმომცველობაზე, ამ დროს ხელი რომ შეეშალა ვინმეს, ალბათ იქვე მიასიკვდილებდა. პარადოქსია, მაგრამ იმასაც ვერავინ უარყოფს, რომ თუკი ყოველწუთს ხელს შეაშლევინებდა ცხოვრებას, რომლის ფარული სწრაფვა სწორედ ის არის, შემოქმედება მიჩქმალოს და შეაფერხოს ყოველნაირად, მაშინ ვერც იმ დიდ ხელოვნებას შექმნიდა. ეჰ, ყველაფერი დიდი და ნამდვილი მთლიანად გითხოვს და შენი არსების ერთი ნაწილი სასაცილოდაც არ ჰყოფნის. და რითი ხდება ამ აუცილებელი ცოდვის გამოსყიდვა ხელოვნებაში, ან ხდება საერთოდ თუ არა, მაშინ ეს არ ვიცოდი და ამაზე არც ვფიქრობდი. ახლა უფრო ხშირად და მართლა გულით ვფიქრობ ხოლმე ამ წინააღმდეგობებზე და იმიტომ მოვაყოლე სიტყვას, რომ გამახსენდა, რა ზუსტად შევარჩიე წამი, როცა მათ უნდა მოვშორებოდი (ვისთანაც უკვე მთელი არსებით ვიყავი გადაჯაჭვული) და ადგილი, საიდანაც ყველა და ყველაფერი კარგად და შთამბეჭდავად გამოჩნდებოდა. აი, ეს ფოტოც: ბიჭი ზურგითაა, წინ გაუწვდია ხელი, საიდანაც რგოლი გაფრინდება სადაც არის; ქალი მოაჯირთან; უკან, მოსაგები ნივთების სამ თაროიან პირამიდაზე — მარიანა, ხოლო შორს, ფიცარნაგის ერთი კუთხე სამიზნეებით.

უცბად ბიჭმა ჩემსკენ მოიხედა და ამ ხნის მანძილზე მგონი პირველად შეამჩნია აპარატი ჩემს ხელში, ჯერ თითქოს ვერ მიხვდა რას ვჩადიოდი, მერე გაკვირვებანარევი იმედგაცრუება დაეტყო სახეზე, თითქოს გაღიზიანებაც, მიბრუნდა და ისევ გააგრძელა. რგოლები ზუზუნით მიჰქროდნენ ჰაერში, მაგრამ არაზუსტად. დღეს ბევრად უარესად ისროდა. თან ხველებამაც უმატა, ცდილობდა შეეკავებინა და ხელები უკანკალებდა, რგოლები შორიახლოსაც ვერ

ეკარებოდნენ 7-8-9-ის საიდუმლო სამკუთხედს. ნუთუ მე ავაფორიაქე?

ქალი ზეიმობდა. სიხარულის ღიმილს ვერ იკავებდა. მე აქედან ვებჯინებოდი მოაჯირს, ის იქიდან და ჩვენი იდაყვები თითქმის ეხებოდა ერთმანეთს. ერთი-ორჯერ თვალი ჩამიკრა, წარბების რაღაც უცნაური მოძრაობითაც გამიზიარა გამარჯვების წინათგრძნობა; მოკავშირედ მთვლიდა. გავღიზიანდი და წელში გავიმართე. მაგრამ უეცრად პირამიდას ავხედე და... როგორ მოხდა, რომ აქამდე ვერ შევნიშნე, იქ, მეორე თაროზე რვიანის თავზე ახალთახალი ბოტასები ეწყო... უნებურად ბიჭის ძველი კედებისაკენ გამექცა თვალი... ააა, თურმე როგორ ეშინოდა, როგორ უკანასკნელი ზომაც მიუღია! რა ფული უნდა ჰქონოდა ამ საწყალ, ადამისდროინდელ შლაპიან მოჩვენებას, რომ ეს უცხოური ბოტასები შეუძენია, ალბათ საცოდავად შეკოწიწებული კაპიკებით. ხომ მოუწევდა მაღაზიებში უთავბოლოდ წოწიალი, ასეთი ბოტასები ხომ არ ყრია, ბიჭის ფეხის ნომერზეც ხომ იფიქრებდა, მის ტერფებსაც დააკვირდებოდა, ეცდებოდა რომ ლამაზი ეყიდა, გამძლე და მიმზიდველი, რათა ბიჭს მოსწონებოდა, გული მისვლოდა, მაშასადამე, ხომ უზრუნია თავის მოსისხლე მტერზე, ეგებ ცოტა ხნით უყვარდა კიდეც, როცა მისთვის ფეხსაცმელს არჩევდა, ეგებ ცოტა ხნით გადაავიწყდა, რა მიზანი ამოძრავებდა, რა ძალა ედგა, და მართლა დარდობდა. შეიძლება გამყიდველსაც კი წაეჩხუბა, თუ იმან რაიმე უვარგისი შესთავაზა, ვინ იცის, ეუბნებოდა, შემი შვილიშვილი მაგას არ ჩაიცვამსო, ან ეგებ ეხვეწებოდა, ბიჭს მე ვზრდი, ფეხზე კედები შემოაცვდა, რაიმე კარგი გამომიჩინეთო... სახტად დარჩენილი და გულშეკუმშული ვიდექი ერთხანს... ქალი შემეცოდა და მაჯაზე ხელი მოვკიდე, გავუღიმე.

ბიჭმა ჩვენსკენ გამოიხედა და შეკრთა. ცოტახანს შეჩერდა... სამი რგოლიღა ჰქონდა დარჩენილი და უცბად მივხვდი, რომ იმ სამ რგოლს ამაოდ გაისროდა... ბიჭს მოგება არ ეწერა და კიდევ რაღაც ვიგრძენი ბუნდოვნად, რაც იმ წამს ვერ გავაცნობიერე... მხოლოდ მაშინ, როცა სუსტად მოქნეული უკანასკნელი რგოლი მიწაზე უნიათოდ ჩამოგორდა, ბიჭი მაშინვე მიბრუნდა და წავიდა, მივხვდი, ის მარტო დარჩა, ძალიან მარტო, ჩვენს პირისპირ, ჩვენს გამო. აქამდე ერთი ერთზე იბრძოდა და ბიჭი მხნედ იყო, ახლა კი... თვლიდა რომ ორნი გავერთიანდით მის წინააღმდეგ, ორნი ვნატრობდით მის დამარცხებას. თან მხოლოდ ეს არაა; კუსტბაზე საუბრის შემდეგ, როგორც ჩანს თავისიანად მთვლიდა, დღესაც რომ აქ დავხვდი მხარდამჭერად მიიჩნია და ახლა ნაღალატევად იგრძნო თავი, იმ წუთიდან როცა მის დაძაბულობას გამოვეცალე და პროფესიული სიმშვიდით გადავუღე სურათი, იფიქრა, რომ შეცდა და როცა ქალი და მე ერთმანეთს ვამხნევებდით მაშინ ხომ უკვე...

მთელი ღამე თვალი არ მომიხუჭავს: ნეტავ რად უნდა მარიანა? ასეთ ბიჭს რად უნდა, ბოლოს და ბოლოს, თოჯინა? რა ამბავი აღარ შევთხზე, რა აღარ წარმოვიდგინე; დედასთან ერთად ცხოვრობს (რატომ დედასთან? რა ვიცი), ღარიბები არიან, თანაკლასელი გოგო უყვარს, ლამაზი და მდიდარი (ეს მდიდარი რაღაა? აბა, რა ვიცი) იმ გოგოს დაბადების დღე ახლოვდება, მთელ კლასს პატიჟებს და ბიჭს უნდა რაღაც საოცარი, არაჩვეულებრივი მიართვას საჩუქრად — და აი, მარიანა! აბა ისეთი, იმ გოგოს საკადრისი რა უნდა უყიდოს ღარიბმა დედამ? ოო, კარგად მახსოვს, როგორ მინდოდა ხოლმე რაიმე მაგ ასაკში, როგორ შემეძლო მდომებოდა, აბრეშუმის კაბა ან დედის ნაქონი მძივი, ან დაბადების დღეზე წასვლა, ან კინოში ამხანაგებთან ერთად გაპარვა ან ის, რომ ლამაზი ვყოფილიყავი, როგორ. შ ე მ ე ძ ლ ო მდომებოდა... და არ მიკვირდა ბიჭის ეს განწირული სიჯიუტე...

ან შეიძლება პატარა და ჰყავს ავად.

გოგონა თოჯინებზე გიჟდება, ლოგინში წევს და ველარ დგება, შეიძლება მორჩენა არც უწერია და ძმას სურს რალაცით გაახაროს...

ან შეიძლება თავისთვის უნდა, რადგან მარიანა უბრალო თოჯინა ხომ არ არის. ის საიდუმლოა, სრულყოფილება. რაღაცას გ ე უ ბ ნ ე ბ ა, დიდსა და საშიშს: სადღაც შორს გეძახის, აუხსნელი სევდის, მწუხარე სილამაზისა და აზრის მხარეში, და ბიჭს, რომელსაც არაფერი უნახავს ირგვლივ ამის მსგავსი, სურს თვალწინ ჰყავდეს როგორც აშკარა დასაბუთება, რომ რაღაც სხვაც არსებობს — გამოუცნობი და ტანჯვამდე მშვენიერი — იმ ცხოვრების გარდა, რაც ბიჭს გარს ახვევია, მაგრამ რაც ჯერ ვერ ათვინიერებს მას (ნეტავ რას დაარქმევდა, თუ კი ბოლოს და ბოლოს მოიპოვებდა, ხომ არ იცოდა რომ დედოფალლას მარიანა ერქვა?) და ეგებ სიყვარულის ადრეული ასაკიც ამოძრავებს ამ ბუნდოვან სურვილს?

ერთი შეხედვითაც ეტყობოდა ბრძოლისთვის იყო დაბადებული, ნებისყოფა უკვე ემჩნეოდა გამხდარ ყვრიმალებსა და ტუჩის კუთხეებზე... თვალები კი მუქი და დარდიანი ჰქონდა, მაგრამ თან მახვილი, მოუდუნებელი... ის კაცი გაიზრდებოდა ალბათ, რომელიც ადვილად არ თმობს და მაინც იმარჯვებს ბოლოს, შეიძლება სხვათათვის არადღირებული, უხილავი გამარჯვებით, ალბათ... რომელსაც მხოლოდ მთავარი უნდა და წვრილმან მოგებებს არაფრად აგდებს, წვრილმანი მოგებებით არ იკაფავს გზას ძნელისაკენ... გამახსენდა სანთებელას რომ არც კი დახედა... და მერე, ბოტასებიც არად ჩააგდო... არადა, შეამჩნია, კარგად შეამჩნია რვიანის თავზე გამოწყობილი, რადგან ქალი, რგოლები რომ გადაითვალა, ვიდრე მიაწვდიდა, იმ რგოლებიანად პირამიდისაკენ წავიდა და ბოტასები შეასწორა, განგებ, რა თქმა უნდა, რომ ბიჭს დაენახა და მანაც დაინახა. ეს მე არ მივაქციე ყურადღება მაშინ ქალის მოძრაობას... და რა იყო მეშვიდე ან მერვე ნომერი მისთვის? თუ მოინდომებდა სათითაოდ მოიგებდა ბოტასებსაც, ბურთსაც და მაშინ დიდ ზარალს ნახავდა ქალი, მაგრამ მას არც კი დაუმიზნებია სხვა ნომრებისათვის... და ისევ ის სანთებელა ამილაპლაპდა თვალწინ... და რატომღაც ის ამბავი გამახსენდა, რომელიც მუდამ მაწუხებდა და სულ მინდოდა მეამბნა მ. გ.-სთვის და ისე დავშორდით, მაინც ვერ მოვახერხე.

მაშინ ჩვენ მთელი დღეები ერთად ვბეჭდავდით ფოტოფირებს. ეს საქმე მან შემაყვარა და მასწავლა. რამდენიმე თვეში ისე გავიწაფე, ჟურნალებში და გამოფენებზე სიამოვნებით იღებდნენ ჩემს ნამუშევრებს. ერთი-ორჯერ პრიზიც დავიმსახურე, პრემიაც: სიარულითაც, ხომ უკვე ვთქვი, სულ ერთად დავდიოდით მთასა და ბარში. მას პორტრეტები იზიდავდა და დღესაც ბადალი არ ჰყავს ფოტოპორტრეტში... მე კი უფრო სიუჟეტური ნერვი მაღელვებდა: რაიმე პეიზაჟი ან ქალაქის სურათი, ქუჩის ეპიზოდი: ერთი ან რამდენიმე ადამიანი და მათთან ერთად ცხოველი ან ჩიტი, ნივთი, საგანი, ისეთ კომპოზიციაში წარმოდგენილი, რომ ფილმის კადრს ან მოთხრობის ილუსტრაციას ჰგვანებოდა — აი, ეს იყო ჩემი საუფლო... ერთხელ ჩვენს ქალაქში დიდი ფოტოგამოფენა მზადდებოდა. ჩემი მეგობარი მთაში იყო და იქიდან გამომიგზავნა თავისი ახალი ფოტოები: ჩემს ნამუშევრებთან ერთად მე უნდა წამეღო გამოფენაზე. მიმღები კომისიისა თუ ჟიურის თავმჯდომარემ გულდასმით დაათვალიერა ყველაფერი, რაც წარვუდგინე და მის ექვსივე ფოტოზე განაცხადა: „ამათ ვერ მივიღებთ, თქვენები კი მშვენიერია". „რატომ ვერ მიიღებთ?" — წამოვენთე მაშინვე. „ასეთი ტრაგიკული ფოტოები ჩვენ არ გვჭირდება. აბა, რა არის, სხვაგვარ გამომეტყველებას ვერსად ხედავს ის თქვენი მეგობარი? რა სულ სასოწარკვეთილ, მობერებულ, უიმედო და დათრგუნულ სახეებს არჩევს!" „მაგრამ ეს ხომ ბრწყინვალე ფოტოა!" — მოხუცი ქა-



კ. მარქსის სახ. საქ. სსრ
სახელმწიფო ...

ლის სახეს დავადე ხელი, მეორე წელს ახალგაზრდულ ჟურნალში დაბეჭდილმა ისეთი მოწონება რომ დაიმსახურა: რემბრანდტის ცნობილ ნახატს შეადარა ერთმა ჟურნალისტმა. „ვერ მივიღებთ! — მტკიცედ განაცხადა თავმჯდომარემ, თუ — ვინც იყო, — თქვენები კი დატოვეთ“. დავაპირე, მთელი ფოტოები წამომეკრიფა, ის კაცი ერთი გამომელანძღა და წავსულიყავი. მაგრამ იმ ხანად ჩემთვის ძალზედ მნიშვნელოვანი იყო ნამუშევრების გამოფენა, სამსახურს ვეძებდი და დამეხმარებოდა... თან ფულიც ძალიან მჭირდებოდა. „ასეცე გადავცე, რომ თქვენ ტრაგიკული ფოტოები არ გჭირდებათ? რომ არ უნდა შევამჩნიოთ ადამიანის სახეზე ტანჯვა და უიმედობა?“ შეკრთა. მ. გ.-ს შორიდან იცნობდა და იცოდა, ასეთი იდიოტური პასუხი უბრალოდ არ ჩაუვლიდა. „ყველასათვის ჯობია, — დაუთბა ხმა, — თქვენთვის, მისთვის, საქმისთვის და საერთოდ, — თუკი ეტყვით, რომ მისი ფოტოები გვიან მიიღეთ და საგამოფენო ნამუშევრების შერჩევა უკვე დამთავრებული იყო“ — დამარიგა მამაშვილურად. ხელის გული მექავებოდა კი არა და პირდაპირ მის ლოყას ითხოვდა. რას არ მივცემდი იმ ერთ სილაში. მაგრამ... მ. გ.-ს ფოტოები სათითაოდ ჩავიწყე ჩანთაში, ჩემი დავტოვე და მერე, როგორც იმ რეგვენმა დამარიგა, ისე მოვიქეცი; (თან რა შეწუხებული სახით ვუთხარი, ღმერთო ჩემო, არა, შეწუხებული მართლა ვიყავი და საშინლადაც, კი არ ვთამაშობდი, მაგრამ იმის გამო, რომ ვატყუებდი, მ. გ.-ს კი ეგონა, ფოტოების დაგვიანებას ვდარდობდი და ფოტოებსაც ხომ მართლა ვდარდობდი, იმაზეც ვიტანჯებოდი, რომ ასე სჯეროდა ჩემი, ამდენი „მართლა“ იყო და მაინც ვიტყუებოდი. ერთი სიტყვით, თავზე ხელი გადამისვა, მოგცლია, ეგ რა სალაპარაკოაო და მომეხვია. როგორ მიყვარდა მაშინ) ის პრემიაც მაშინ მომცეს და სწორედ იმ კაცმა გადმომცა, მოწონების და თანადგომის ღიმილით. გულს მაზიდებდა ხოლმე, როცა მე და იმ კაცის შეთქმულება მახსენდებოდა და სულ მინდოდა მეთქვა მ. გ.-სთვის და ვერ ვუთხარი... და რა იყო მაშინ მთავარი ჩემთვის? ღმერთო ჩემო, რასაკვირველია ის, რომ მ. გ. მყავდა, რომ ერთმანეთს ვყავდით, რომ ერთად ყოფნა ყველაფერს გვერჩია, ერთად ხეტიალი და წყალში ჩაძირულ ფირებთან დაძაბულ სიბნელეში ჯდომა. აბა რა იყო ამასთან შედარებით ან უფულობა ან უმუშევრობა? მაგრამ ისე ადვილად მეძლეოდა მაშინ ეს გამოფენა, ჩემი პირველი გამოფენა, მისი წყალობით კი ისე ადვილდებოდა სამსახურის საქმე და ისე წვრილმან დათმობად მომეჩვენა მაშინ ჩემი საქციელი და ამ წვრილმან მოგებაზე უარი ვერ ვთქვი, თუმცა მთავარი სულ სხვა იყო და მეგონა იმ მთავარს ამით არაფერი დააკლდებოდა — ასე ვფიქრობდი, ვიხსენებდი წლების წინანდელ ამბავს და მოაჯირზე დაგდებული სანთებელა მილაპლაპებდა თვალწინ. ეგებ იმ ტყუილმა დამალა ბოლოს ჩვენი სიყვარული? არა დანაშაულმა, არამედ დაფარულმა დანაშაულმა, სიცრუემ, რომელმაც, ვინ იცის, რაღაც უხილავი ფესვები გაიდგა ჩემში, მანამდეც უხილავი ფესვებიდან აღმოცენებულმა, სულ გაიტოტა და ათასი რამ განსაზღვრა მერე და მერე, მე რომ ერთხელ და სამუდამოდ წასული მეგონა, თითქოს სულში რაიმე მთავრდებოდეს და ქრებოდეს ერთხელ და სამუდამოდ... ბიჭმა კი სანთებელას არც კი დახედა... შეეძლო სათითაოდ მოეგო ის ნივთები, გაეყიდა და იმ ფულით უწვალებლად ესროლა მარიანას მოსაგებად. მაგრამ მისი ეს შეკრული და ერთადერთი მიზნისაკენ მიმსწრაფი შინაგანი ენერგია არ გაიფანტებოდა ამით? ან შეეძლო ბოლოს და ბოლოს იმ პატარა მოგებით დაკმაყოფილებულიყო; სულ არაფერს ხომ ჯობიაო, ეთქვა, აეღო სანთებელა, ბურთი, ბოტასები და წასულიყო. ნუთუ ჩემს ასაკშიც არ აიღებდა სანთებელას? ან: ნუთუ ეს ბიჭიც ჩვეულებრივ დაბერდებოდა, დაპატარავდებოდა და გადაიქცეო-

და დროის ერთ-ერთ რიგით ნადავლად: ოცნებებ-სიჯიუტე-სიამაყე შემოძარცულ, მხრებდავიწროებულ, ტანამჩატებულ, ჩია მოხუცად, რომელიც თავისი სიცოცხლის ბოლო წლებში, თავაკანტურებული მიეფიცხებოდა მზეს ღია ფანჯარასთან, ჩავარდნილი მკერდის ძაბუნი ფეთქვით ბამბის თბილ, გახუნებულ მაისურქვეშ, ახალშობილივით ლიბრიანი თვალებით და სულელურად გაიცინებდა, წკლაპუნით ჩაიხითხითებდა ჩამოვარდნილი ფოთლისა თუ აფრენილი ჩიტის დანახვაზე?.. ხოლო მარიანა ეგდებოდა სადღაც კამოდის თავზე ხელოვნური კბილების მტვრიან, წყლიან ჭიქასა, სათვალესა და წამლების შუშებს შორის, კაბადალაქული ვალერიანის ან კარდიამინის (ან რა ვიცი, იმ დროს კიდევ რა იქნება ჩვენი ძალაგამოცლილი გულებისათვის) მძაფრსუნიანი წვეთებით. გამაჟრიალა. არაა. არა. და მაშინვე წავშალე წარმოსახული.

არა და არ დამეძინა, რადგან ის სერსოს შავშლაპიანი ფუფალაც არ მშორდებოდა თვალიდან და მისი ჩურჩულსრუტუნ-სისინით ნაამბობი — სმენიდან: „მარიანა ხომ მე დავარქვი, იცით? ჩემს დისშვილს ერქვა — მაშინვე მივხვდი, რასაც იტყოდა და გული შემეკუმშა — მე და ჩემი უმცროსი და, მსახიობი იყო, ერთად ვცხოვრობდით და მარიანას ვზრდიდით... როგორ ცეკვავდა... და სულ ჰაეროვან საცეკვაო კაბაზე ოცნებობდა... ხვეული, ქერა თმა მსუბუქ ნიავზედაც კი ტალღებად აეშლებოდა ხოლმე... ცეკვაზე დაგვყავდა და მასწავლებელი საოცრებად თვლიდა... სულ ცეკვავდა, სულ: პირს იბანდა, წიგნს ათვალიერებდა თუ ყვავილებს კრეფდა, სულ ცეკვავდა, მხრები და ხელები უფარფატებდა და თმა ტალღებად ეშლებოდა... ათი წლისა მოგვიკვდა და ლოგინში სიკვდილის წინაც კი თითებს ამოძრავებდა მთლად ძალაგამოლეული, თითქოს მისი ათი თითი ათი მოცეკვავე იყო და ისინი ფარფატებდნენ, ჰაერში ლივლივებდნენ შვინდისფერი საბნის თავზე, იქამდე, ვიდრე ასე ჰაერში არ გაიყინნენ, „ელიზამ იმღეროს“ — ეს იყო მისი ბოლო სიტყვები. და ჩვენც ავამღერეთ ელიზა, და ისე სევდიანად წკრიალებდა მაშინ და ჩვენი პატარა გოგო ულონოდ აცეკვებდა თითებს... — ქალი აწრიალდა, ასრუტუნდა, შლაპა ნერვიულად დაიტკეპნა თავზე ყურისკენ, ცოტა ხანს გაირინდა და მერე, თითქოს უნებლიედ წამოსცდა — მარიანასთან ერთად ჩემი დის რეჟისორის გოგოც დადიოდა ცეკვაზე, თეატრის მთავარი რეჟისორისა... დიდი კონცერტისათვის ემზადებოდა საცეკვაო სასწავლებელი და მარიანას ორი-სამი ცეკვა უნდა შეესრულებინა... თვალს ვეღარ ხუჭავდა იმ ხანებში იმ დიდი კონცერტის მოლოდინში, რომელიც დიდ, ნამდვილ სცენაზე უნდა გაემართათ. ერთხელაც მეცადინეობაზე რომ მივიყვანე, ის რეჟისორიც იქ დამხვდა, თავისი გოგონა უკვე შეეშვა დარბაზში, და ახლა გარეთ ელოდებოდა. მარიანაც რომ შეფრინდა შიგნით, რეჟისორი მომიახლოვდა, მომესალმა, გაველაპარაკ-გამოველაპარაკეთ ერთმანეთს, ვიცნობდით, და მერე მითხრა: „იცით, ალბათ, ახალ სპექტაკლს ვდგამთ... თქვენს დას ძალიან კარგი როლი შევურჩიე, ძალიან საინტერესო“. გამეხარდა, ჩემი და გიჟდებოდა თეატრზე და უზომოდ განიცდიდა, აქამდე სულ უმნიშვნელო როლების შესრულება რომ უწევდა. თან ეს რეჟისორი, მგონი, უყვარდა, ყოველ შემთხვევაში, რომანი ჰქონდათ. „ერთი თხოვნა მაქვს, — განაგრძო რეჟისორმა, — ძალიან მინდა ლიზიმ, — მის შვილს ერქვა, — იცეკვოს ის ანდალუზიური ცეკვები, აი... მარიანა... რომ ასრულებს. ძალიან უნდა ბავშვს... ეგებ, ეგებ... რაიმე მოახერხოთ... კონცერტი ხომ კიდევ იქნება.“ მინდოდა ერთი გადამეხარხარა: „იდიოტო, შენ რა, გინდა, მარიანა ისე დავტოვო? მასავით ვინ ცეკვავს ანდალუზიურს“ მაგრამ მთავარი რეჟისორი იყო, თან ჩემს დას უყვარდა, მგონი, და ახლა კაცი და როლი რომ ერთად დაეკარგა, თავსაც მოიკლავდა. ერთი სიტყვით. მასწავ-

ლებელს ვუთხარით, აღარ მახსოვს, რა ვუთხარით, კინაღამ სისხლი ჩაექცა, გადაირია, რას მიშვრებით, ქვეყანა მოვიწვიე მაგ ბავშვის სანახავადო... კონცერტამდე ერთი კვირით ადრე მარიანა სოფელში წავიყვანეთ... მუხლის ჩოქზე იდგა და ხელებგამოწვდილი როგორც ღმერთებს ისე გვევედრებოდა, მე და დედამისს... ბოლოს ვუთხარით, რომ კონცერტი გადაიდო... მისი ცეკვები იმ გოგოს შეესრულებინა, ისე რა. მთელი სასწავლებელი კი მარიანას გამოსვლას ელოდა თურმე... მაშინ ცხრა წლის იყო... მარიანა. ჰო, ეს სახელი იმ გერმანელმა ქალმა დაარქვა, ჩვენმა მეზობელმა. ახალშობილს დახედა თუ არა წამოიძახა: „მარიანა! აჰ! მარიანა!" სულ მალაქიტის, ბალახისფერთვლიანი ბეჭდები ეკეთა თხელ თითებზე. გიჟდებოდა მალაქიტზე. მარიანა მთელ დღეებს მის ოთახში ატარებდა და ქალი როცა უკრავდა. ის კი სულ უკრავდა, გარინდებული საათობით უგდებდა ყურს. მერე კი ცეკვა დაიწყო. რა მუსიკაც არ უნდა გაეგონა, ცეკვით აჰყვებოდა ხოლმე და აი, ეს — ელიზა-მარიანა ჩაიხუტა — ძალიან, ძალიან უყვარდა. საერთოდ, სულ იქ, იმ ქალის ოთახში უნდოდა ყოფნა — ჩაილაპარაკა გულდაწყვეტილად — «Это не можно!» იძახდა და ბეჭდებიან ხელებს ასავსავებდა, როცა მარიანა სოფელში მიგვყავდა კონცერტის წინ. ყეყეჩი! იმას რა ენაღვლებოდა, თუკი ჩემი და როლს დაჰკარგავდა! იმ წელს ჩემი და გათხოვდა, ვიღაც მსახიობს გაჰყვა და დავრჩით მე და მარიანა მარტო". ქალს ცრემლები აუბრჭყვიალდა მწვანე თვალებში.

დიდ, ბებერ ბელურას მაგონებდა, კი არ დადიოდა, რაღაცნაირად დასკუპსკუპებდა მოაჯირს, პირამიდასა და ფიცარნაგს შორის. ისევ წარმოვიდგინე, როგორ ისკუპ-სკუპებდა მალაზიებში ბოტასებისათვის და შემეცოდა.

ასე გავათენე მთელი ღამე და ბოლოს მოზღვავებულ ფიქრებს, მოგონებებს, რაღაც ბუნდოვან მიხვედრებსა და წინათგრძნობას რომ ველარ გავუძელი, ლოგინიდან წამოვხტი, თავი და მხრები ისე შევარხიე, თითქოს ფიქრებს ჩამოვიბერტყე, ფანჯარაში გადავეყუდე და მქრქალვარსკვლავებიან ცის ნაგლეჯს შევაცქერდი.

მეორე დღეს კუსტბის საბაგირო ვაგონიდან ჩავცქეროდი უზარმაზარ ხეებს; საბავშვო ბაღს გადავუქროლეთ და ვაგონის ჩრდილმა ეზოში მოფუსფუსე თეთრ წინსაფრიან ბავშვებს გადაუარა... კარგი ფოტო გამოვიდოდა აქედან: გისოსებშემოვლებული ოთხკუთხა ეზო, ვეებერთელა ხეების ძირას ბავშვების ციცქნა სხეულები: ხელებგაწვდილები, თავგადაგდებულები თუ ჩაცუცქულები. ფოტო კარგად მიანიშნებდა, რა უზარმაზარ სამყაროში მოძრაობენ ადამიანები, მით უფრო ბავშვები, რა პატარები, რა ადვილად დასაღუპნი არიან, თუკი ეს სამყარო მათ დაღუპვას მოინდომებს. რა უმწეონი, რა დასაცავნი ჩანან, როცა მათ ასე ზემოდან დაჰყურებ. გული ამიჩუყდა. მერე კი კარგად წარმოვიდგინე, როგორ შეიძლებოდა ამ ფოტოს გადაღება. ეგებ მეთხოვა და როდესმე მებაგირეებს ვაგონი სწორედ იქ, საბავშვო ბაღის თავზე გაეჩერებინათ. კარს გავაღებდით, მე იატაკზე გავწვებოდი და ასე გადავიღებდი სურათს. ეს საქმე შემდგომისათვის გადავდე. გადავუფრინეთ ხრამებს და ფერდებს, სადღაც ნაძვებს შორის მიმოკლაკნილ ვიწრო ბილიკზე გოგო და ბიჭი იდგნენ და ერთმანეთს კოცნიდნენ. სუსტად ანათებდა მზე, ალბათ შემოდგომის უკანასკნელი თბილი დღე იდგა, ჯერ ისევ გიზგიზებდა შემოდგომის ხანძარი, ფერდებზე შემოდგომის წითელ კაბიანი პატარძალ-თრიმლი ღუოდა და ზეიმობდა თავის სეზონს...

ბუჩქნარი მოვათვალიერე, ბალახში აქა-იქ ცარიელი ბოთლები მოსჩანდა. უკან გამოვბრუნდი და იქვე ბილიკზე იმ მოხუცს შევეფეთე. არც დავფიქრებულვარ:

— აქეთ ტყუილად მოდიხართ, ძია. ერთი ბიჭი იყო და რაც კი ცარიელი ბოთლები ეყარა, სულ მოკრიფა...

— ძაღლიშვილი! — იფეთქა ბერიკაცმა და წვრილი, ლურჯი სისხლძარღვებით დაქსელილი მოწითალო ლოყები მთლად გაუჭარხლდა, — ვიცი, ვინც არის! ერთი თვეა სულ აქ დაეთრევა! ორი ბოთლი ღვინის ფულიც კი ვეღარ მიშოვია! ამასწინათ ერთ მენავეს ვაცემინე ორ მანეთად, ძაღლიც მივუქსიეთ, ქვაც მოხვდა კანჭებში და მაინც აქ დაწანწალებს!

მოხუცი შეტრიალდა და გინებ-გინებით წავიდა. არა უშავს, ერთი ბოთლი ღვინის სამყოფი უკვე შეეგროვებინა, ტოპრაკში ხუთიოდე ბოთლი ულაყლაყებდა.

ცოტა ხნის შემდეგ სასაუზმეში (სადაც მომსახურე პერსონალის სწრაფი და ერთობლივი შემოხედვა შემეგება, ასე აშკარად რომ ამბობდა ერთსა და იმავეს: „საწყალი, ასეთი ახალგაზრდა და ჭკვაზე შემცდარი“) „თხუთმეტი ლიმონათი ან ლუდი ან რაიმე“ მოვითხოვე, იქვე ჩავცალე და ბუჩქნარში ბოთლებს დავუმატე.

— ორ საათში სერსოც იკეტება! სეზონი იხურებაა, სეე-ზო-ნი! — მახარა ქალმა. — ის არ მოთრეულა, — მანუგეშა მერე. — როცა მოვა, გვიყაროს კაკალი! ჩვენ უკვე შინ ვიქნებით, შიინო. ის ხომ ნაშუადღევს მოდის ყოველთვის, სამიდან ოთხამდე, ხომ გითხარით, ალბათ მაგ დროს ახერხებს გამოპარვას, ჩვენ კი პირველ საათზე უკვე წავალთ, ავიკრავთ გუდა-ნაბადს და წავალთ.

— წასვლისას სურათს გადაგიღებთ თქვენ და მარიანას („ნეტავ მოასწრებს ბოთლების ჩაბარებას? ნუთუ ვერ მიხვდება, რომ დღეს ადრე მოვიდეს?“). კარგით? გადაგიღებთ და მოგართმევთ...

— ო, ძალიან გამეხარდება. ამასაც, ამასაც გაეხარდება. იცით? არცა მაქვს ამისი ფოტო... არც კი უნახავს საკუთარი სურათი, ალბათ როგორი ფოტოგენურია... სარკეში კი ვახედებ ხოლმე... რა კარგი ადამიანი ბრძანდებით... მშვენიერი ქალიშვილი, ეგ ჯინსებიც ძალიან გიხდებათ, ყველაზე კი არ მომწონს... სიარულიც. იცით რა სხვანაირად, რა კოხტად დადიხართ, როგორ გამოგართვათ სურათი?

ნუთუ ქალიც, ჩემსავით, მხოლოდ იმიტომ, ლაპარაკობდა, რომ თავისი დაძაბულობა გაეფანტა, დაემალა? მარიანა კი გვიყურებდა და გვისმენდა, მომლოდინე სახით, გაღიმების წინ.

— მისამართი მითხარით და გამოგიგზავნით („ნუთუ მარიანა იქ დარჩება სამუდამოდ, ძველი პალმის მარაოსავით ტოტებში, ძველ, დარწმუნებული ვარ, დაბალ ფანჯრებიან ოთახში, სადაც ალბათ ნიკელისთავიან საწოლზე ქალის მუქი კაბებია გადაკიდებული და ალაგ-ალაგ ამოჭმული (თითქოს ზეთი დასწუწებიაო) სარკის ჩარჩოში ძველი ფოტოებია ჩამაგრებული კერძო ფოტოატელიეების ძველებური, პრეტენზიული ემბლემით?“), ან თუ გნებავთ, შინ მოგიტანთ...

—გეტყვით, არა, მასე როგორ შეგაწუხებთ, მისამართს გეტყვით... როგორ გაეხარდება მარი... არგასაზრდელი! არ მოაღწიო აქამდე! შენ არ გაეზარდე დედაშენს!

შვებით ამოვისუნთქე: მორბოდა. სახეზე ფერი არ ედო. აქოშინებულმა მოაჯირზე დააგდო სამი მანეთი და კიდევ ხურდები. ერთი შემომხედა გამომწვევად და მზერაში ჯერ გულდაწყვეტა გაუკრთა, მერე კი ჯიუტად შეეკრა იერი. ქალის მოკავშირე ვიყავი მისთვის. მე კი იმ წუთებში, აღარც ვიცოდი, რა მინდოდა და ვის მხარეზე ვიყავი. იმათ რა უჭირდათ! თვითეულმა თავისი სურვილი და ტკივილი იცოდა მხოლოდ. მე კი ორივესას ვხედავდი. მაგრამ უცბად ვიგრძენი, რომ ბიჭის ჩაკეტილმა, გაკერპებულმა და გამომწვევმა სახემ გამალიზიანა. რა უაზრობაც არ უნდა ყოფილიყო, გულში მადლიერებას ვითხოვდი მისგან... თან ის ოხერი „ეშმაკის ბორბალიც“ ისევ ისე გულის შემაღო-

ნებლად ტრიალებდა და ჭრიალებდა. ვგრძნობდი, რაღაც უნდა მომხდარიყო. მაგრამ მთელი ჩემი დაძაბულობის მიუხედავად, აპარატი მაინც ამოვიღე ჩანთიდან და შეუმჩნევლად გავამზადე.

ქალი სკამზე იჯდა. მთელი თავისი ზედა ნაწილით მოაჯირზე მოკუნტული. საკუთარ ხელებშემოხვეული და თვალებად ქცეული. ისევ ავი შემლოცველივით მიჩერებოდა ბიჭს. თითქოს უნდოდა იქვე ადგილზე გაექრო. მტვრად ექცია.

ერთი — მეშვიდე ნომრის გვერდით დავარდა და დაბარბაცდა.

ორი — გარსშემოუარა მეშვიდე ნომერს.

სამი — მერვეს შეეხო ოდნავ.

ოთხი — მერვეს ირგვლივ დაბზრიალდა.

ნუთუ მერვეს ან მეშვიდეს უმიზნებს? არა, ბიჭი ისევ ზემოთ ისროდა, ცხრიანისაკენ, ჯიბრიანი, ამაყი სახით. ავდექი და ხელი ხელზე დავადე ქალს. მადლიერად ამომხედა, გამიღიმა და თავისი მეორე ხელი ჩემსას დაადო. სამი ხელით განმტკიცდა ჩვენი კავშირი, მე მეორეში აპარატი მეჭირა. ბიჭის ჯიბრით გავაკეთე, რა თქმა უნდა. მას სამი რგოლიღა დარჩა და აქ კი უცბად შეკრთა. რაღაც საწყლად გამოგვხედა. მივხვდი, მარტოობას ველარ უძლებდა.

ზედიზედ მიაყოლა ორი.

ბოლო რგოლიც ნერვიულად მოიქნია... ქალმა ხელები მომიჭირა და ოჰ! მერვე ნომერი ლურჯ რგოლში აღმოჩნდა! სამივეს სუნთქვა შეგვეკროდა. მარიანას თმა აუფრიალა ნიავმა.

ქალი გამოერკვა, წამოფრინდა და ბიჭს შეჰსისინა:

— ხომ მოიგე! არ გინდა ბოტასები?

— შევნიშნე, თვალებში იმედიანი ფიქრი გაუკრთა, ეგებ არ აიღოსო. ბიჭს შევხედე: ნელა, ძალიან ნელა გააქნია თავი უარის ნიშნად და აქ, ღმერთო ჩემო, საბოლოოდ გავლიზიანდი! „რაღა უნდა! აიღოს ბოტასები ბოლოს და ბოლოს და წავიდეს!“ არა, არა, სწორე არ არის. შიგნით, ღრმად ასე ვერა ვფიქრობდი და... ამ დროს ბიჭმა თავი მიაბრუნა და მარიანას შეხედა და მხოლოდ მაშინ მეცა თვალში, რომ ბიჭს მთელი ეს ხანი, არც ერთხელ არ შეეხედა მისთვის! რანაირად უყურებდა, ღმერთო ჩემო. მოწიწებით, შიშით, სირცხვილით, პატიების თხოვნით, თაყვანისცემით... ემუდარებოდ-ემშვიდობებოდა და მე მივხვდი, რომ იმ დღიდან, რაც ამ საოცრებას მოჰკრა თვალი, პირველად უყურებდა მას თვალებში, პირველად გაუბედა ასე შეხედვა: ასე დიდხანს, ასე აშკარად... გამახსენდა, ქალი როგორ კოცნიდა, პროშტნიდა და იხუტებდა ამ ფაიფურის ნაზ სილამაზეს... და ამ დროს „ეშმაკის ბორბალმაც“ ერთი დაიღრჭიალა და გაჩერდა... რაღაც შემაწუხებლად მოჭიმული ნერვი მომეშვა ტვინსა და გულში... და ამ დროს მოხდა ის, რაც მოხდა... უცბად ჩანთას ვეცი და ამოვაბრუნე, მერე ჯინსისა და ქურთუკის ჯიბეებში ვიტაცე ხელი... არა, ქაღალდის ფული აღარ მქონდა, მაგრამ ხურდები ხომ უნდა ყოფილიყო სადმე!

ბიჭი განცვიფრებული მიშტერებოდა ჩემს გაფაციცებულ, აღგზნებულ ხელებს. ქალიც არ მაშორებდა თვალს. ბოლოს ჩანთის ფსკერზე ერთადერთ ოცკაპიკიანს გადააწყდნენ ჩემი თითები. ხელის კანკალით დავდე მოაჯირზე და ქალს ვუთხარი:

— მიეცი რგოლი.

ქალი შეხტა. შეძრწუნებული შემომცქეროდა და ისე რომ ჩემთვის თვალი არ მოუშორებია, მექანიკურად გაუწოდა ბიჭს ერთადერთი რგოლი...

მე ისევ ვიქექებოდი ჯიბეებში, ჩანთაში, ბოლოს ავტოკალამი, და ჩემი საათი ჩავბღუჯე. ბიჭი მიყურებდა. მიყურებდა. მიხვდა, რომ მზად ვიყავი ქალისათვის ყველაფერი მიმეცა, რაც კი იქ მქონდა: საათი, კალამი, ძეწკვი, რამდენიმე რგოლში გამეცვალა, თუმცა ორივემ კარგად ვიცოდით, რომ ახლა ის არაფერს არ აიღებდა...

ბიჭი სწრაფად დასწვდა რგოლს, სახესთან ისე ახლოს მიიტანა, თითქოს

კოცნისო და უცბად, დაუფიქრებლად და ძლიერად ისროლა...

ღმერთო, დიდებულო! მეცხრე ნომერი — თეთრი, სოკოს ფორმის ალუმინის სამიზნე — ლურჯ რგოლში იყო დატყვევებული!

ბიჭმა ხელები აღაპყრო, მერე გულში ჩაიხუტა და გაფითრებულმა წამოიძახა: მეცხრე ნომერი!

ქალი დადამბლავებული, უსიცოცხლოდ და უაზროდ იჯდა. მერე ნელა გაემართა პირამიდისაკენ, მარიანა გულში ჩაიხუტა და ასევე დაჯდა. მაგრამ როდესაც ბიჭი მოაჯირზე გადაწვა და ორივე ხელი გაიწოდა, ქალმა მონუსხულივით, ჯადოშეყრილივით მორჩილად გადასცა: მარიანა.

ბიჭმა ფრთხილად მოხვია ხელები წელზე და... საოცრება! გაისმა მსუბუქი წკრიალი, ძველი, თითქმის უწონო ფაიფური წკრიალებდა სადღაც მარიანას გულსა და თმაში, სადაფის ღილებსა და უძირო თვალებში: ლა-ლა, ლა-ლა, ლალა, ლა-ლა-ლა! წკრიალებდა ბეთჰოვენის „ელიზას“ მელოდიას.

მარიანა მღეროდა... და იღიმებოდა.

ბიჭს წინგაწვდილ ხელებში ეჭირა. ფრთხილად, ძალიან ფრთხილად და შესცქეროდა, განცვიფრებული.

მაგრამ აქ კი უნდა მაპატიოთ, მეგობრებო, ჩემი სიფხიზლე, ჩემი გამოუსწორებელი გამორკვევის უნარი, ძალიან მტკივა თქვენი აცახცახებული გულები და გაფართოებული თვალები, მაგრამ, რა ვქნა, რომ ვერც ზეიმში გამოგყვებით ბოლომდე და ვერც ჭირში დავრჩები ყოველ წუთს თქვენთან. რადგან დგება წუთი, რომელსაც ვუცდი, მუდამ უცბად ვგრძნობ ჩასაფრებული, წუთი, როცა უნდა გაგცილდეთ, რაღაც ნახტომით მოგშორდეთ უცებ, რათა აღვბეჭდო თქვენი სახე და მოძრაობები! ოღონდ ნურც იმას დაივიწყებთ, ამის გამო როცა გამკიცხავთ, რომ მე თავადვე ვარ უბედური ამ ამოვარდნით, რომ არ შემიძლია ამ თქვენს მღელვარე ერთადყოფნაში თავის დაკარგვა, მასში ჩაძირვა და მხოლოდ იქ, პატარა ფანრით შვინდისფრად განათებულ ჩემს სიბნელეში, იქ ვარ მართლა, ბოლომდე თქვენთან, იქ მიხარია, ბნელი წყლიდან ამომავალ თქვენს სახეებს როცა დავყურებ:

უცბად უკან დავიხიე და ბიჭს სურათი გადავუღე.

ბიჭმა მარიანა ფრთხილად ასწია ჰაერში, მერე მომხედა, უსაზღვრო მადლიერებით, და მადლიერება თვალებში ედგა, ხოლო თქმით კი ეს მითხრა: „მაპატიეთ“. შებრუნდა და გაიქცა წითელ ბილიკზე.

თვალი გავაყოლე, მერე კი ახლოს მივედი ფიცარნაგთან და სერსოს კედელზე გადახრილმა ლურჯ რგოლში მომწყვდეული მეცხრე ნომერიც გადავაყოლაპე ჩემს ობიექტივს. ახლა არცერთი მომენტი აღარ აკლდა ჩემს ფოტომოთხრობას. აი, ეს ფოტოც.

ქალი მუჭისხელად ქცეულიყო და მკვდარი შეძრწუნებით შემომცქეროდა, როგორც მოღალატეს, გამყიდველს, ჯაშუშს. მაგრამ ეს ორი უბედურება — მარიანას დაკარგვა და ჩემი ღალატი რას შეედრებოდა იმ მესამეს და საშინლად მთავარს: რომ მარიანა მაშინ ამღერდა, როცა სამუდამოდ წავიდა მისგან!

— დაიმსახურა! გესმის? დაიმსახურა! — მომესმა ჩემი ჩუმი ყვირილი, — ქურდი არ არის! თვითონ შოულობდა ფულს! თვითონ და ტანჯვით! და იცი, იცი, რატომ მოიგო? სანთებელა რომ არ აილო, არც ბოტასები! აბა, დაფიქრდი! ასე არ არის? შენ კი, შენ კი იმიტომ წააგე, რომ მარიანა აქ მოიყვანე, სერსოს დედოფლად აქციე, შემოსავლის გასაზრდელ წყაროდ, მოსაგებ ნივთად! გაყიდე, გესმის? ხოლო მაშინ... — ვგრძნობდი, ეს აღარ უნდა მეთქვა საშინელებას ჩავდიოდი, სისასტიკეს, რომ ამის უფლება არ მქონდა, რადგან, აბა, რით ვიყავი ამ საცოდავზე უკეთესი, მაგრამ ხომ დგება წუთი, როცა არ შეგიძლია სასტიკი არ იყო, როცა სისასტიკე რაღაცნაირად უნდა ამოინთხეს

ჩვენგან, როცა საკუთარ თავს ჯიჯგნი და სილას აწნავ, სხვისი მხელით და სხვისი შერისხვით, როცა... — ხოლო მაშინ... ის ანგელოზი რომ მოატყუეთ იმ გათახსირებული რეჟისორის გულისათვის, იმისი გატყლარჭული, განებივრებული გოგოს გულისათვის, შენს დას ლოგინი, როლი და ფული რომ არ დაეკარგა, პატარას, უმწეოს ფეხით რომ შეადექით, ვარდის ფურცელი რომ გაქელეთ თქვენი მახინჯი, ტლანქი ფეხებით, ლაჩრებო, არამზადებო, ბინძურებო... არ მითქვამს თქვენი სერსოს თვალთმაქცობა, არ მითქვამს... არაფერი არ იცოდა, თვითონ მოიგო... ჩემი ოცი კაპიკი არაფერ შუაშია, სხვა რაღაც გვამოძრავებდა ყველას მის სასარგებლოდ, სხვა რაღაც ეხმარებოდა... და შეიძლება მარიანაც... დაიმსახურა! მეც ამილია სანთებლები, და აი, აღარ შემიძლია ასე თაყვანისცემით შევხედო რაიმეს, როგორც ის უცქეროდა მარიანას, ვერ შენიშნე? და შეიძლება... ყველაზე მთავარიც მაგიტომ დავკარგე... მეც... მეც შენნაირი ვარ, მეც... ერთნაირები ვართ ყველანი და მარიანა ჩვენი არ არის...

უცბად ხმა ჩამიწყდა... როცა გამოვერკვიე, ჩემი ამ ამონთხევისაგან თვითონვე შევცბი და რაღაც დაღლილად, ხმადაბლა დავუმატე, თან კარგად არ მესმოდა, ვის მივმართავდი — ჩემს თავს თუ ქალს:

— მშვიდად იყავი, რაც მოხდა, სამართლიანად მოხდა და ეს ძალიან დამამშვიდებელია, სამართლიანად როცა ისჯები... ნუგეშიც ეს არის... ოღონდ უნდა მიხვდე, რა ხდება, რა...

სხვა რაღა უნდა მეთქვა? რაღა შემეძლო? არაფერი, შევტრიალდი და წავედი. რადგან გზის ფული აღარ მქონდა, ფეხით გავუყევი ქუჩას და ჩემს სახლს, ამ მიყრუებული პარკიდან საკმაოდ შორს რომ მდებარეობდა, როდის, როდის მივაღწიე.

და როცა გვიან ღამით, ეს ფირი გამოვამჟღავნე, მაშინ დაგვირგვინდა ჩემი განცვიფრება, რითაც მთელი ის შემოდგომა იყო აღბეჭდილი [illegible] შემოდგომა. რადგან, ღმერთო ჩემო, ამ ფირის პირველი კადრი ნელ-ნელა რომ იკვეთებოდა, მეც თანდათან მიფართოვდებოდა თვალები და ბოლოს კინაღამ ბუდეებიდან ამომცვივდა: ბიჭი დგას რაღაც ბუჩქის წინ და მხარზე მარიანა უზის, ისე მსუბუქად, ისე ლამაზად: ჩიტივით. ტვინი გადამიბრუნდა. საიდან გაჩნდა ეს კადრი?! და მაშინ გამახსენდა ის ჩემი ფოტოკოლაჟი, უაზროდ რომ ვჭრიდი ზედმეტ ფოტოებს, უაზროდ ვაწებებდი და ყველაფერ ამას იმიტომ ვაკეთებდი, რომ არ მეფიქრა ჩვენს განშორებაზე და არ. მეტირა და ბოლოს რომ მაინც ტირილი წამსკდა.

ბოლოს ჩემი ფოტომოთხრობა წინ გავიშალე და ჩავუკვირდი:

1. მ. გ. და მის უკან, ბუჩქებში უცნობი ბიჭი.

2. ცარიელი კარუსელი და მის ფონზე ქალი მარიანასთან ერთად.

3. სერსოს მოაჯირთან ქალი. მის კალთაში მარიანა. შორს ფიცარნაგი სამიზნეებით.

4. ბიჭი რგოლს ისვრის. ქალი მოაჯირის კუთხეში და მარიანა პირამიდაზე.

5. მეცხრე ნომერი ლურჯ რგოლში.

6. ბიჭს მარიანა უჭირავს წინგაწვდილ ხელებში.

იმშემოდგომინდელი ამბავი თანმიმდევრულადაა აღბეჭდილი. მაგრამ ერთმა გარემოებამ გამაოცა და მიიპყრო ჩემი ყურადღება: რაც ერთ სურათზე ფონია, მომდევნოზე .მთავარ საგნად არის ქცეული. ეგრეა ბიჭი, კუსტბის ფოტოზე რომ ფონს ქმნის და მეოთხეზე მთავარ პლანს, და ქალი და მარიანაც; კარუსელის ფოტოზე შორეულ კუთხეში რომ მოსჩანან და შემდეგ წინ გადმოდიან (ამიტომ მიყვარს ჩემი აპარატი, ამ ფონის გამო და იმიტომაც, რომ ის მ. გ.-მ მაჩუქა). განა ეს წინგადანცვლება არ შეესაბამებოდა ჩემს მაშინდელ შინაგან მოძრაობას? იმას, რაც იმ შე-

მოდგომით ჩემში ხდებოდა, რაც დაიწყო?

თავიდან ჩემი მარტო დარჩენა და ამ მარტოობის ტკივილი იყო ჩემთვის მთავარი, შემოდგომის ბაღებსაც იმიტომ მივაშურე, რომ ამ ტკივილს გავქცეოდი, რამენაირად გამეფანტა და იქ მალულად რომ დავდიოდი, მზვერავივით, და სხვათა მარტოობას ვუთვალთვალებდი, თავს ვარწმუნებდი, რომ ახალი გამოფენისათვის ვამზადებდი ფოტოსერიას და თან ხომ გულში იმედი მქონდა, რომ შეიძლებოდა ჩემი მეგობარიც შემხვედროდა იმ პარკებში. და რა იყო ეს სხვათა მარტოობის, სხვათა გარინდებისა და ფიქრშიწასვლის ჩუმი თვალთვალი, განა იგივე არა, რაც სხვისი წერილის წაკითხვა ან სხვისი საუბრის მოსმენა ოდნავ გამოღებული კარიდან? ხომ მხოლოდ ცნობისმოყვარეობას ვიკმაყოფილებდი და აზარტს აყოლილი ქალსა და მარიანას იმიტომ ვიღებდი „ეშმაკის ბორბლიდან“? ქალისა და ბიჭის ბრძოლაც ხომ ამდენად მაინტერესებდა, გულის გადასაყოლებლად! ბოლოს კი ის გახდა მთავარი, რომ მე მეპოვა ჩემი ადგილი, რათა ბიჭს რგებოდა, რაც დაიმსახურა, რისი ღირსიც ნამდვილად იყო. და ხომ იმ პატარა, უცნობმა ბიჭმა მაიძულა, დავფიქრებოდი ჩემი მარტოდარჩენის შორეულ, ფარულ, ერთი შეხედვით არარეალურ, მაგრამ შეიძლება უხილავად მოქმედ ფესვებს? რადგან, ღმერთო ჩემო, განშორების მიზეზი, აბა როდის არის, რომ რაიმე საგანივით, ერთნიშნა ნივთივით თვალწინ გედოს? განა არ იყო ეს აზრის პოვნის პროცესი, როცა, იმისდა მიუხედავად კარგია ცხოვრება თუ ცუდი, მძიმეა თუ გასახარელი, რაც დაგემართა, მთავარი ის არის, აზრს მიაგნო, რა რატომ ხდება, აზრს, მუდამ უკან, საგნის მიღმა, სიღრმეში რომ არის ჩამალული. მიაგნო მას ამ ბურუსში და სინათლის ცისფერ რგოლში შეაჩერო? და ასე, რაც ადრე შორეული და უმნიშვნელო ფონი იყო მხოლოდ და მხოლოდ, ან სულაც არ ჩანდა, წინ გადმოიწევს და ეგებ ბოლოს იპოვო კიდეც, რაც მთავარია და რასაც ფონი აღარა აქვს და აღარც სჭირდება? და ამისათვის ის ადგილი უნდა ეძებო, სადაც დადგები, შენ მოთვალთვალე, მზვერავი და წარამარა განდგომისთვის გამზადებული, გულის წინაშე დამნაშავე — რადგან გარედან მაცქერალი, ფხიზელი მზერით, შენი აპარატით, კალმით თუ ფუნჯით — და დაინახო როგორ მოდის წინ მანამდე ბურუსში ჩაძირული რაღაცა აზრი წყალში ჩაძირული ძვირფასი ნივთივით, რა ნელა მოდის, რა წამ-წამობით და წუთ-წუთობით გვიახლოვდება და თანდათან ჩუმად ბრწყინდება. და ამ ადგილისა და მისი ძებნის გარეშე, აბა რა არის ეს ჩემი აპარატი, მე რომ მიყვარს, თუ არა „ინსტრუმენტუმ დიაბოლი“? თუმცა ხომ ისიც აშკარაა, რომ სწორედ მან მიმიყვანა მარიანასთან „ეშმაკის ბორბლიდან“ რომ გადავიღე!

აბა სხვა რა შეიძლება იყოს ჩვენი მ ი ს ა ს ვ ლ ე ლ ი, სად შეგვიძლია მ ი ს ვ ლ ა, თუ არა აზრთან და სხვა რანაირად თუ არ ცხოვრებით? აზრია ჩვენი ცოცხალი ჭოხი, საითკენაც ტანჯვისა და ცოდვის ციცაბოს მივუყვებით ჩვენ — მიმავალნი, მარადიული მისასვლელები, რომლებმაც სიყვარული უნდა შევიმატოთ და შევიმატოთ, ეს უმძიმესი და ნეტარი ტვირთი, რათა არ ავცდეთ ერთადერთ ბილიკს — ადამიანის ჩუმი ლამპრით განათებული სამყოფელისკენ.

ასე ვფიქრობდი და იცით? როცა რაღაცას მოვიპოვებ ხოლმე ფიქრით, რაღაცას მივაგნებ, შეიძლება სხვათა მიერ უკვე დიდი ხნის აღმოჩენილს, მაგრამ რაც ყველამ თვითონ უნდა აღმოაჩინოს, გული მეკუმშება, და ცრემლებს დაძრავს ხოლმე თვალებისაკენ, თითქოს ამ დროს გულით ვფიქრობ და არა გონებით. და რა გვეხმარება ამ ადგილის პოვნაში, საიდანაც კადრში ის მთავარი გამოჩნდება, რაც სხვას, თავისზე უფრო მთავარს გამოიხმობს და მოიყო-

ლებს? ზუსტად არ ვიცი... და აქ ერთ საიდუმლოსაც გაგიმხელთ.

იცით რატომ გამიფართოვდა კიდევ თვალები, როცა ის უცნაური ფოტო გამოვამჟღავნე? — ბიჭი, მხარზე რომ მარიანა უზის ჩიტივით — ეს ფოტო მაშინ შევაწებე, როცა კუსტბაზე ნანახი ბიჭი ჯერ სერსოსთან არ შემხვედროდა და მაშასადამე, წარმოდგენაც არა მქონდა, რომ როდესმე მარიანასთან ერთად ვნახავდი! და სად უნდა წამეღო ახლა, ეს მეშვიდე ფოტო, სულ ბოლოს გამჟღავნებული წინასწარი სურათი, რა ადგილი მიმეჩინა? სად უნდა ყოფილიყო? ბოლოს, ყველაფრის შემდეგ? თუ სულ თავში, ყველაფრის წინ?

მ. გ.-ს ყოველთვის უკვირდა ჩემი წინასწარმიხვედრის უნარი: როცა წინასწარ ვგრძნობდი სიუჟეტის განვითარებას წიგნში, ფილმში ან ცხოვრებაში. ეგებ წინასწარ განვსაზღვრავთ კიდეც რაღაც მსვლელობას, ისე რომ არც ვიცით? ეგებ ამ, მაინც საოცრად უცნობ, ჩვენს გულს უფრო მეტი ძალა შესწევს, ვიდრე გვგონია? ეგებ მისი ფეთქვა უფრო შორს ვრცელდება და ტბაში ჩაგდებული მძიმე ლოდივით გაცილებით უფრო დიდ სივრცეს ათრთოლებს, ატალღებს, ვიდრე ნეკნებით შემოწნული აეს ბუდეა? ეგებ სერსოსთანაც იმიტომ დავბრუნდი და ბიჭსაც სწორედ იმიტომ შევესწარი იქ, რომ ჩემივე, წინალამით გაუცნობიერებლად ჩაფიქრებული, ჩემთვისავე უცნობი სიუჟეტი — ბიჭი და მარიანა ერთად — მიძახდა, მიბიძგებდა? მერე კი ხომ მაინც გადამეღობა, და არა ერთხელ, ცდუნება ჩემშივე წარმომდგარი და გაჩენილი, რომელიც მაფერხებდა ჩემსავე სურვილს მივმხვდარიყავი და ბიჭის გვერდით დავმდგარიყავი.

და აი, ახლა ამ შვიდი ფოტოდან ჩემსკენ გამომცქირალ სახეებს რომ დავყურებ: ჩემს მეგობარს, ბიჭს, მარიანას, შავ შლაპიან ქალსა და კარუსელის ფიქრშიწასულ კაცს, რომლებიც, ვინ იცის, ახლა სად არიან, ჩემი ქალაქის რომელ კუთხეში, რომელ ქუჩას მიუყვებიან და რომელ ბაღში დარდიანობენ, რაღაც მადლიერებისა და დანაშაულის ბუნდოვანი განცდა მეუფლება მათდამი. მაგრამ ამ განცდას ახლა სიტყვებად ვეღარ ვაქცევ, ვრჩები მის ბუნდოვანებაში, ჩემი უნებური მოთხრობა (რადგან მე მხოლოდ შარშანდელი შემოდგომის გახსენება მინდოდა, ისე, უბრალოდ: ჩემთვის) დასასრულს უახლოვდება და მეც დაღლილი თითებიდან უნებლიედ მეშვება წლების წინ ნაჩუქარი ავტოკალამი. თვალს ვაყოლებ, როგორ მიგორავს ცალხაზიანი, თეთრი ფურცლიდან ლურჯ, რბილ სუფრაზე და შავ, პრიალა ზურგზე როგორ აშრება ჩემი თითების ნოტიო, თბილი ანაბეჭდები, საფეთქლით ხელის გულს ვეყრდნობი, თვალს ვუსწორებ ღამის ნათურის ლმობიერად მანათობელ, რძისფრად დაბინდულ ბურთს, მერე მის წრიულ შუქს ჩემს ნაწერზე და ამ შუქიდან ხავერდის სუფრის ჩრდილოვანში გადაცურებულ შავ მუდმივ კალამს. უკვე შემომასუნთქა დასასრულის ნაღველმა, ვაგრძელებ წელან შეწყვეტილ ფიქრს და ჩემს მოთხრობას ფიქრში ვამთავრებ:

ეგებ მაშინ, პატარა ფანრით შვინდისფრად განათებულ ჩემს სიბნელეში, როცა უაზროდ ვაერთებდი ბიჭსა და მარიანას, უკვე გუმანით ვგრძნობდი, რომ რაღაც სულ სხვა ტკივილია ასე მთავარი, რომელიც გადაგატანინებს შენს მარტოობას და კიდევ... თუ რაღაც... ნ ა მ დ ვ ი ლ ი იყო, შედგა ორი ადამიანის ურთიერთობაში, ის როდესმე, როცა იქნება, შეიძლება მრავალი წლის შემდეგ, გაუგებრობის მრავალფენოვანი ნისლების შემდეგ ისევ იჩენს თავს, არ დაიკარგება, სადღაც, როგორღაც გაბრწყინდება... ნ ა მ დ ვ ი ლ ი. ის გამოჩნდება, თუ მისი დამნახავი თვალი ახელილი დარჩება და მისი მაძიებელი გული არ დაიღლება... მივენდოთ დროს — ეჰ, თუკი დრო გვაქვს (თუ არა და, დროის გარეთაც ხომ გაგვყვება აქაურობა, დროის ფარული ნამუშაკარი) — მუდამ აკეთებს

თავის საქმეს და მუდამ ზუსტად: ჩუმად შლის, ცრიცავს, ჩუმად ამელავნებს და სახეცვლილად დაგიბრუნებს შენს დაკარგულს, თავის წართმეულს, ისევ თავიდან შეგძენს, თუკი მართლა შემძენელი ხარ... ხოლო ტკივილი ყველგან ძალაშია...

1980 წ. თბილისი.

P. S.

წელს საბავშვო ბაღიც გადავიღე, გაჩერებული საბაგირო ვაგონიდან, ფრიად უცნაურ ვითარებაში: ვაგონის იატაკზე გაწოლილს, გაღებული კარიდან წელზევით გადაკიდებულს ვაგონის დამფრთხალი, თავზარდაცემული გამცილებელი მყავდა ფეხებში ჩაფრენილი: მიჭერდა.

ამ ფოტოს ფონი აღარა აქვს. ქვემოთ დედამიწაა და ზედ ბავშვები უზარმაზარი ხეების ძირში: თავგადაგდებული, ხელებგაწვდილი, მოფუსფუსე სხეულები და მათზე რკინის ვაგონის მუქი ჩრდილი. ამ სურათს მხოლოდ შეჟული წინა პლანი აქვს, სიმაღლე, საიდანაც ის გადაიღეს და არაფერი აღარა ჩანს იმის მიღმა, რაც კადრშია: გულუბრყვილოდ მოძრავი ბავშვი უზარმაზარ დედამიწაზე, დედამიწაზე, რომელიც (ალბათ შერხეული ვაგონის წყალობით) რაღაც მყარად არ მოჩანს და თითქოს ტივტივებს: თითქოს ჩაძირვის წინ.

1982 წ. თბილისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მუხრან მაჭავარიანი

## გზისპირ ბოლთას სცემდა ყვავი

მივქშუოდით, როგორც ქარი,
მოვიტოვეთ უკან ჯვარი,
ნორჩი ნუში, — კლდეზე მდგარი, —
ჩანდა, როგორც იალქანი.

ლეშის დიდი ჭაშნაგირი, —
გზისპირ ბოლთას სცემდა ყვავი...
ნატახტართან ყაჩაღივით
გამოგვიხტა ნარეკვავი.

## ცაა როცა ტოლუმბაშის ხმაში

მარტოდმარტო ცაა როცა ცაში,
ზეცა როცა კრიალაა მაშინ,
პოეტია როცა ტოლუმბაში,
ცაა როცა ტოლუმბაშის ხმაში;

ცათა მიმართ სასოებით მზირალთ,
ცად წითლონი გვეცხადება რაში,
ალაზანი იმნაირად ბზინავს,
როგორც თეთრი წმინდა ნინოს თმაშე

## გატეხილი ხიდის ახლოს

გატეხილი ხიდის ახლოს
(ვით ვახუშტიმ განაცხადა):
ვახტანგ მეფე ხოცდა ხან გნოლს,
ხან შხეროს და ხან ასკატას.

გატეხილი ხიდის ახლოს
(რომ მოვეშვცთ თვითონ ვახტანგს):
ვინლა ნახავს ახლა ან გნოლს,
ან შხეროს და ან ასკატას.

გატეხილი ხიდის ახლოს
დღეს ლაქოლა ვინძლო ნახო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ეშხში შესულნი სმენ ვახტანგურად

ღორი ტალახში ამოლანგულა,
დადის ქევქევით სოფლად აგუნა,
ეშხში შესულნი სმენ ვახტანგურად,
კეცებში მჭადებს აცხობს ცაგურა...
— მოიტა ყანწი,
ყანწი, ან კულა,
რომ ვადღეგრძელო ბრძენი აგუნა!

## გაუმარჯოს ყველას ღმერთმა

დაბადება,
დამიწება,
გათენება,
დაღამება,
დღეობები,
ძეობები,
ქორწილები,
ალაპები...
ყველაფერი ვინაიდან
ხდება ქვეყნად წარამარა,
ვინაიდან ამა სოფლად
მხოლოდ ზეცა არი მარად,
ვინაიდან დღემდე ზეცას
მხოლოდ ჯვარი შეაბერდა,
მხოლოდ შხელდა შეაბერდა,
შეაბერდა მხოლოდ ბერთა...
გაუმარჯოს ყველას ღმერთმა,
გაუმარჯოს ყველას ღმერთმა,
ვინც კი როსმე
ქართლის მტერთა
ანგელოზნი დაუფეთა.

## ვაჟას

ეგება გულის ვარამი
ჩავკლა მა ჯიხვის რქაშია...
ვაჟა

დღეს ჯიხვის რქაში მე ვტენი ვარამს,
ამაოდ ვტენი, როგორც შენ გუშინ...
მე, მე ვიკითხო, მე რა ვქნა, თვარა
შენ რა ხანია გაქვს თავი ქუდში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სწორედ ამიტომ
## ხარ ნიმუში შენ ქართველთ ბედის

შენ რომ, ვთქვათ, ფრანგი ყოფილიყავ,
თუ გინდა შვედი,
გინდ ინგლისელი,
გინდ... ვინც გინდა,
გარდა ქართველის, —
და დაგეწერა, —
ხარ ქართულად რისი დამწერიც! —
დანტე ვინ არი! —
ჰომეროსზე იქნები მეტი!

შენ რომ, ვთქვათ, ფრანგი ყოფილიყავ,
თუ გინდა შვედი...
სწორედ ამიტომ
ხარ ნიმუში შენ ქართველთ ბედის!

. . .

თუ არ წაგილო ოცნებამ გზებზე,
ხანდახან მაინც, —
გზას თუ არ ეძებ,
თუ არ იფიქრე:
ვერ შევძლებ?
შევძლებ?
თუ არ გაივლე გულში, თუნდ ერთხელ:
კეთილი, მაგრამ
ასი წლის შემდეგ, —
შთამომავლობა რას იტყვის ჩემზე?! —
საქმეა მაშინ წასული
არა მარტოკა შენი! —
ქვეყანაც დაღუპულია, —
შენებრი თუა ბევრი!

## ღამის ღიმილი

სიცოცხლით სავსე,
ვითარცა კვერცხი,
არის დუმილი, —
ალმძვრელი შიშის;
არე და მარე
ჭედილა ვერცხლით,
ზღვა იმყოფება
ყველაფრის პირში.

ხმის ამოღება,
თუნდ ერთი სიტყვა,
ვინმემ გაბედოს, —
კარგი ბიჭია!...
არამც თუ შაშვმა,
არამც თუ გვრიტმა,
თვით იადონმაც
შორს დაიჭირა.

ხენი, ვით ქვანი,
სიჩუმეს ესვენ,
ასე განსაჯე, —
სიოც არ უსტვენს...
რომ დაარღვიოს
დუმილი ესე, —
გაუჭირდება
ალბათ თვით რუსთველს...

ანაზდად, სადღაც
აყეფდა ძაღლი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანაზდად, ღმერთო,
ყივილი მამლის!...
და, რაღა გეთქმის
კაცს ამის მერე!?...

და, მე ვიხილე
ღიმილი ღამის
ვით განეფინა
ზღვასა და ხმელეთს.

## სადაც მეტეხია, — კლდეზე გადმომდგარი

ტანს მიათამაშებს,
როგორც ამორძალი, —
თათრის ბანოვანი, —
ძალზე ვნებიანი, —
სადაც მეტეხია, —
კლდეზე გადმომდგარი
და შენობებია, —
აივნებიანი.

გახუნებულია
ყველა კაბოსანი, —
ტანს მიათამაშებს
ნაღდი ამორძალი...
თათრის ბანოვანი!
თათრის ბანოვანი! —
დილიხორისანი
მესმის გალობანი.

. . .

საფლავის ქვაზე დუმს მწვანე ხავსი.
ჭრიალებს ქარი.
ხბოს უხმობს ძროხა.
თქარუნებს წვიმა ევას ნიფხავზე, —
მწიფს ლეღვი ჭროლა.

## ქართველთ ზნეობანი

სტუმრადმყოფი ვათვალიერებ
საოჯახო ალბომს.

დამიწდა ვინ იცის რამდენი, —
თავისთავს ვინცავინ ეომა, —
მოყმე და ასული ქართველი, —
ნატანჯი ზნეობის ტყვეობით.

ქვეყანა დარჩება ლამურას, —
და მერე მიდი და ეომე...
წახდება, წახდება მამული, —
ტყვეობა რომ არა ზნეობის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ᲔᲡ ᲘᲡᲔ

თავს საკუთარს
(არც ეცადო),
გაექცევი ვერსაით!
არა! —
თუ არ დამიჯერებ, —
მოდექი და ეცადე!
ვინ ხარ,
რა ხარ,
რისთვის,
რატომ?! —
ნათელია მზესავით...
ისე,
თუმცა,
კაცმა რომ თქვას,
ახლა რა დროს ეს არი!

* * *

ვის გაუმარჯოს?
რას გაუმარჯოს?
ეგეც არ იცი?! —
ვაი, შენს პატრონს!
მას გაუმარჯოს,
სწორედ მას, მარტო,
და ღმერთმა ხელი
მას მოუმართოს,
ხმა ილიასი
რომელსაც ახსოვს:
— ჩვენ უნდა მივცეთ
მერმისი ხალხსო!

## ᲛᲐᲖᲐᲜᲓᲐᲠᲐᲜᲡᲐ, ᲮᲕᲐᲠᲐᲡᲐᲜᲡᲐ ᲓᲐ ᲤᲔᲠᲘᲐᲡᲐ

...წარიყვანნა აყრილნი კახნი ტყვედ და დასხნა
რომელნიმე მაზანდარანს, ხვარასანს და ფერიას.

ᲕᲐᲮᲣᲨᲢᲘ

ნატვრა აცვიათ სამშობლოსი უბედურთ კვართად,
საქართველოსი არ იციან რა ფერია ცა!
ცრემლით მათითა მდუღარითა იხარეს ვარდთა
მაზანდარანსა,
ხვარასანსა
და ფერიასა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პეტრე I

წევს მხარ-თეძოზე მდუმარება უზარმაზარი,
მდუმარებაში ხამუშ-ხამუშ ქუხს ზარბაზანი...
ვით ხმა ლომისა
თხათა პეტელში, —
ხმა გამოისმის
ხმათა სხვათა შინა
პეტრესი.

. . .

გაოცება ენას ართმევს კრწანისს,
ნარიყალა ილიმება ძალით.
ბასიანიც, ვატყობ, ცერად გვიმზერს, —
როგორც პეტრე ილიასი,
ისე.

## იქ

ხანდახან, —
ზღვა რომ
თავს აიწყვიტავს,
ანდა,
როდესაც
მზე ზღვაში ყვინთავს —
მიმოიხილოს
ჩაძირული
რათა ქალაქი...
თავისი ცითა,
თავისი ზღვითა,
ბზიფითა ლურჯით,
გეგათი თეთრით,
განსაკუთრებით ავადჰარათი,
ეს აფხაზეთი!
ეს აფხაზეთი! —
იცია?! —
არის რა საოცარი?!

დვრინს ერთვის ზღვისას
ჩურჩული წყვილთა,
ფოთოლთით მთვარე
გამოშუქს ყვითლად,
ვით ფორთოხალი...
და,
გინდა,
გინდა,
მოახტე გინდა,
მოახტე გინდა
ზურგზე თოხარიკს,
გაფრინდე გინდა,
ვით ჯადოქარი,
სახეში გინდა
გცემდეს ფაფარი,
მილახ-მოლახო
გინდა მთაბარი,
სიცოცხლე გინდა,
მოკლედ,
რომ
ხარ
იქ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

. . .

სახეს მე ამას მოწიწებით ვეამბორები,
პოეტისაა სახე ესე იაპონელის...
უტყუარია ტყვიასავით იგი ბერდანის
(მისით, ღმერთმანი, მოხიბლული ვარ ნამეტანი):
„ჩანან შამბნარში
ფეხადგმულნი კვერთხნი ბერთანი“.

. . .

გუშინ ნატრობდა ვინც დაფნის გვირგვინს, —
დღეს ბრძნად ცნობილი კაცია იგი.

გაცხარებული დავაა როცა,
აზრის თამამად გამოთქმა უჭირს...
დღეს საკუთარი სახელი ბოჭავს,
უსახელობა ბოჭავდა უწინ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიხეილ ქვლივიძე

## გვირგვინები

ადამიანს
მხოლოდ ერთი გვირგვინი
შეიძლება ეხუროს თავზე:
ან ოქროსი,
ან ეკლისა,
ანდა დაფნისა...
სამივე გვირგვინის
ერთდროულად ტარება შეუძლებელია.

## ბეწვის ხიდი

კაცობრიობა ბეწვის ხიდზეა,
ხიდი — ზღვაზეა თოკად გაბმული.
დღითიდღე უფრო მეტად იზრდება
ხიდის რყევა და ტალღის დგაფუნი.
ხიდზე გასულნი ბედს იწყევლიან,
რომ გზა საშიში აღარ მოკლდება...
მშვიდობის დაცვა უფრო ძნელია,
ვიდრე ათასი ომის მოგება!

## ბოლო მინაწერი

ალბათ არავის მოუვა აზრად
გუშინდ'ელი დღის „გამოსწორება"...
და მე ბრჭყალებში მოქცეულ ფრაზას
მაგონებს მთელი ჩემი ცხოვრება!

## დელფინი

დელფინარიუმში — კანგადაყვლეფილი —
წყალქვეშა გემივით ცურავდა დელფინი,
კედლებს აწყდებოდა, გვერდებს იხეხავდა
და პირზე „ჯოკონდას" ღიმილი ეხატა!

ჩვენ კი, ტურისტები — ქალები, კაცები, —
თვალყურს ვადევნებდით დელფინს ალტაცებით
და თან ერთმანეთთან დავით და ცილობით
დელფინის ღიმილის ამოხსნას ვცდილობდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ანზორ სალუქვაძე**

# წიგნი ფიცისა

## კინორომანი

### ერეკლე

სარეკელი რვალისა, რომელიც საბრალო მღვდელს ოდესღაც თავს წამოამხეს და გარშემო გეენია შემოუნთეს, სამოცდაათ შაჰურ მანს იწონიდა.

ამ არნახული მკრეხელობის მერე, ლამის იყო, ორმა საუკუნემ ჩაიარა. ზარი კი ისევ ძველსავე ადგილს შემორჩენოდა, უძრავად იდო — ჩილდირის ტბას ბექობიდან გადასცქეროდა. ათოვდა და აწვიმდა. მზე ახურვებდა და გრიგალი აგრილებდა. ხალხი უფრთხოდა, არ ეკარებოდა. ამბობდნენ: „სარეკელი ესე კრულ არს — მეხსა და ელვას იზიდავსო". დრო და დრო ცხვარი ან ხვასტაგი თუ გაედებოდა, ბოჩოლა შუბლს თუ შეახფხანდა, ან ჩიტი თუ შეაფრინდებოდა; ჩაქანგულიყო, ჩახავსებულიყო, სიმძიმით მიწას ჩაზრდოდა, ჩასტანებოდა...

იმ დილით ზარზე არწივი იჯდა. საფრთხე რომ შეიგრძნო აფრინდა, ცის კიბეს შეჰყვა — სილურჯეში გადაიხვეწა.

ცოტა ხნის მერე, ბექობს, რამდენიმე მხედარი მიუახლოვდა — ურემს მოჰყვებოდნენ. შედგნენ, ცხენები ურმის ბწკარებზე გამოაბეს, ჭოკი წარიტანეს და აღმართს შეუყვნენ. ზართან მისულნი შეყოვნდნენ, თათბირი ჰქმნეს, — აქედან ორი ზარბაზანი გამოვაო. — დაასკვნეს. მერე ზარს ყუაში ჭოკი გაუყარეს და რის ვაივაგლახით ზე შესწიეს.

ზარქვეშ ჯვარი გამოჩნდა — ოდესღაც მღვდლის მკერდზე მოელვარე, რვაწვეროვანი ქართული ჯვარი... — წყეულიმც იყავ! — შემოესმათ აშკარად. ზარქვეშ მომწყვდეული მღვდლის უკანასკნელი წყევლა თუ იყო?! ჭოკი გატყდა, ვეება ზარი ბექობიდან გუგუნით დაგორდა, ტბაში ჩაეცა, ჩაიძირა...

1.

თოვდა...

ნაპირზე ამოყრილი კარაპები თუ მომცრო ხომალდები ცალმხარეს დაკოჩილიყვნენ; იალქნებგაძრცვილი, შიშველი ანძები თოვლქვეშ ირიბად დაეხარათ და უიმედოდშთენილთ, განუზომელი მწუხარება დაუფლებოდათ.

თოვდა...

---

* გაგრძელება. იხ. „მნათობი", № 10, 11, № 12. 1982 წ.

სანკტ-პეტერბურღს, საფოსტო ნავსაბმელის მახლობლად, მოლდაველთა ყოფილი ღოსპოდარის დიმიტრი კანტემირის სასახლეში, რომელიც აწ მის შვილებს მათესა და სერგეის ეკუთვნოდა და რომელიც გასულის წლის მარტის მეთოთხმეტე დღეს, იმპერატრიცა ელიზავეტა პეტრეს ასულის მაღალი მოწყალებით, იმპერიის საგარეო საქმეთა კოლეგიამ საფრანგეთის ელჩს, კაპიტან ბერტენს, ქართლის მეფისა და მისი მრავალრიცხოვანი ამალისთვის ქირით დაათმობინა, დიდი უბედურება მოხდა — მეფე ქართლისა თეიმურაზ მეორე სიკვდილისაკენ უკურნებლად მიიქცა!

სენი უეცარი იყო...

. . .

— ლეკარი-მეთქი! — მოუთმენლად ჩამოსძახა კიბისთავს მომდგარმა თავადმა ალექსანდრემ, ციციანთა ერთგული აზნაურის ძეს, მეღვინეთხუციშვილს თომას.

ყმაწვილკაცს პატრონის შეხსენება არცარად სჭირდებოდა, ისედაც მზად იყო. გაფაციცებულს, ქურქიც რახანია მოესხა და გამართული მარხილიც კარგარე ედგა, ელოდებოდა.

— ღვთის ნებით სიმალითა ვიქმ, ბატონო. — მორჩილად დაუყვავა მბრძანებელს თომამ, კარიც მაშინვე გაიგდო და მარხილისკენ გარბენილი, კუჩერს გვერდით მიუჯდა.

— სტეპკო, მიშველე, გასწი!

კუჩერმა ლახტი დაიქნია, დაატყლაშუნა.

— იოოო! ბნელისშვილებო! იოოო! — დასძახა ცხენებს და ორთქლისმფრქვეველი ფაშატები იქაურობას წამიერად მოსწყვიტა.

თოვდა...

— ეგრეა! — დაძახილს სიტყვაც დააყოლა სტეპკომ, — წყვდიადსა შინა ოდენ ტანჯვა და სულთმობრძაობა სუფევს, კაცის უსაშველობაც ბნელისგან არის... აი, ევროპა სხვაა! ამბობენ, დანიაში, სოფლის თავს თითო ექიმი სახლობსო.

— იქ, ეგებ, სახლობს კიდეცა, მაგრამ, ჩვენ, ჯერე ჩვენი უნდა ვიღონოთ. — სავინცობოდ შეეხმიანა მეფის ავადობით გულშეღონებული თომა.

— წყვდიადში ვერ ილონებ, ძმაო... აგე, პეტრემ სასულე გახსნა, რუსეთს ევროპისკენ პირი მიუქცია, მაგრამ გათენებამდე კვლავაც შორი მანძილი გვიძევს.

თოვდა...

ქარსა და ყინვას წყალიცა და ხმელიც ორივე მყარად ექცია.

სიბნელეში დროდადრო ლახტი ტყლაშუნებდა.

— იოოო! ბნელისშვილებო, იოოო! — დაუნდობლად ერეკებოდა კუჩერი ცხენებს.

. . .

ღოსპოდარ კანტემირის ყოფილ სასახლეში ელდა და მწუხარება სუფევდა.

— ვაი, ჩვენს მოსწრებას! — ხმადაბლა გოდებდა იესე მაჩაბელი.

თავადი ზაალ ავალიშვილი თავდახრით იდგა. საგონებელს მისცემოდა.

ციციშვილი და ბეგთაბეგიშვილი ერთმანეთს თვალს არიდებდნენ.

მეფის სარეცელთან რუსთველი არქიერი იოანე და სვიმონ დეკანოზი იდგნენ. არქიერს ხელთ დავითნი ეპყრა, მომაკვდავს „სულთაბრძოლისას“ შეაგონებდა.

ავადმყოფმა გვერდი ინაცვლა, მხარმარჯვნივ მიწვა, რაღაცა მოჩქარებით ჩაილუღლუღა.

ყური მიუგდეს. მიხვდნენ — ლოცულობდა.

დეკანოზმა კოვზით ღვინო და შიგ ჩამბალი კორკოტი, ანუ იესო-ტკბილი მისცა. წამსზეით მეფე წამოიწია, ნახევრად წამოჯდა კიდეც.

— რა გეპრიანება? — ჩაეკითხა სვიმონ დეკანოზი.

— ხელმწიფის კურთხევაში ვიყავ, ვლოცულობდი, არ დამაცალეთო. — ღიმილით უსაყვედურა მეფემ. მერმე კვლავ მიწვა, მიილულა. აღარ ესმოდათ რას ამბობდა, რას ბუტბუტებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეკანოზმა ისევ იესო-ტკბილი მისცა და ფრთხილად ჩასძახა:

— თუ ენით ვერ აღმოსთქვამ, გონებაში გქონდეს.

— მესმის და გულში მაქვს. — ახლა გარკვევით უპასუხა სულთმობრძავმა.

— რას ბრძანებდი? — ხელახლა ჩაეკითხა დეკანოზი.

— კათოლიკებს ხომ შეიწყნარებენ? — კითხვითვე უპასუხა თეიმურაზმა.

— დიახ, შეიწყნარებენ. — დაუყვავა არქიერმა.

ციციშვილს ცრემლი მოერია, თავს ველარ სძლია, გარეთ გაიჭრა.

— მე ხომ აღმოსავლეთის კათოლიკე ვარ! — კვლავაც გარკვევით აღმოსთქვა მეფემ და საუკუნოდ მიიძინა.

თოვდა...

თომა მელვინეთხუციშვილმა, მარხილიდან გადმოსულ ექიმს კიბეზე ხელი შეაშველა, სასახლეში შეიმძღვარა, შეჰყვა, ქურქის გახდაშიაც შეეხიდა.

—საით? — იკითხა ექიმმა.

— არც საით. — მწუხარედ მიუგო კარისკაცმა და ვარაყიან სარკეს თალხი ჩამოაფარა.

ექიმი შეცბა.

კუჩერმა პირჯვარი გადაისახა.

გაწბილებული თომა კუთხეში მიჯდა, გულმწარედ აქვითინდა.

. . .

—წელსა ათას შვიდას სამოცდაორსა, იანვრის რვას, შუადღის უკან, ჟამისა მეექვსისა დაწყებისას, ნეტარხსენებული მეფე ქართლ-კახეთისა თეიმურაზ, რა ნებითა ღვთისაითა ამიერ სოფლით გასასვლელად განემზადა და მერმისა მის საუკუნესა მიმთხვევად წარსდგა, სულთ ბრძოლის წარკითხვის უკან მარჯვნივ კერძო მიწვა და მოჩქარებით უკაფიოდ საუბარი რამ იწყო.. — კარნახობდა სარკმელთან მიმდგარი თავადი სულხან ბეგთაბეგიშვილი მწერალს.

თოვდა...

სარკმელში ცივი, უსახური ღამე იმზირებოდა.

. . .

იმავე დღეს, წირვის მერე, საგარეო საქმეთა კოლეგიის მდივანი თავადი ბაკუნინი, გენერალ-ანშეფ გრაფ რომან ვორონცოვის თანდასწრებით, მის იმპერატორობით უდიდებულესობას, პეტრე მესამეს, უმოკლესი მოხსენებით წარუდგა.

— ცნობა ქართველთა მეუფის თეიმურაზ მეორის წარდგომის შესახებ მთლიანად დადასტურდა. — განაცხადა მან და სისრულისათვის „სათანადო მწუხარებით“ დასძინა: — იგი მიიცვალა ნაშუადღევს. ზუსტად ექვს საათზე, მძიმე, უკურნებელი სენით.

იმპერატორს ეს ამბავი აქამდისაც სარწმუნოდ მიაჩნდა. ამიტომაც პასუხიც წინასწარ განემზადებინა.

— პირველი, — ხმადაბლა წამოიწყო ხელმწიფემ, — სვიტა, რომელიც აწ განსვენებულ ქართლის მბრძანებელს თან ახლდა, საჩქაროდ დაითხოვეთ. ეცადეთ მათი სამშობლოში გამგზავრება აღარ დააყოვნოთ და შინ მიმავალთ, თეიმურაზ მეორის ძის პრინც ერეკლესათვის განკუთვნილი საჩუქრებიც თან წარატანოთ. მეორე, ვიდრემდის აწ განსვენებული მეუფის თანმხლები პირნი იმპერიის მიწა-წყალს გაცდებოდნენ, შეუწყვეტლივ მიუგეთ საბოძვარი ათასი მანეთი თვიურად ანუ იმდენივე, რამდენსაც მათი მბრძანებელი იღებდა.

იმპერატორმა დაასრულა.

გვიანი იყო.

ვორონცოვმა ფარულად დაამთქნარა...

. . .

რამდენიმე დღის მერე საგარეო საქმეთა კოლეგიის საგანგებო სხდომამ, რომელიც პეტერბურგს მყოფი ქართველთა წარმომადგენლობის საკითხს მიეძღვნა, თავად ბეზსონოვის მოხსენებით, ნათელჰყო სრულიად რუსეთის თვითმპყრობელის პეტრე მესამის პირადი მითითება.

— ზემოხსენებულ ამალას, — განა-

გრძობდა თავადი ბეზსონოვი, — რომელსაც მისმა იმპერატორობითმა უდიდებულესობამ დაუყოვნებლივ სამშობლოში დაბრუნება გადაუწყვიტა, უზენაესის მოწყალე ბრძანებით დაევალოს, ნუგეში სცენ აწ გარდაცვლილი მეუფის თეიმურაზ მეორის ძეს პრინც ერეკლეს და მიუზღონ პროტექცია, როგორც პირადად მას, ასევე მის ქვეშევრდომთაც. აგრეთვე, მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის მაღალი მოწყალების ნიშნად, მემკვიდრე პრინცს ებოძოს სიასამური, ფარჩა, ხავერდი, მკედნი ოქროსანი და მკედნი ვერცხლისანი, აბრეშუმეული და სხვა. სულ ხუთიათასი მანეთის ოდენობისა, ასევე მიეზღოს ფულადი სახსარიც, ხუთიათასი მანეთი სრულად! ზემოხსენებულ თანხას ამალის წევრები სენატისგან მიიღებენ. ხოლო ძვირფასეულს, როგორც გამონაკლისს, თვით კაბინეტი გასცემს, და კიდევ, კანცელარიის ამა წლის ოცდაერთი იანვრის ბრძანებით, დამტკიცებულ იქნა ქართველთა ელჩობის წარმომადგენელთათვის მისართმევი საჩუქრების სიაც: რუსთავისა და მარტყოფის არქიეპისკოპოსს იოანეს — ბეწვეული და სამასი მანეთი ფულად; ოთხ უპირველეს თავადს...

— მინდა შეგახსენოთ, რომ არქიეპისკოპოსი იოანე ამჟამად საქართველოში დაბრუნებას არ აპირებს. — შეაწყვეტინა ბეზსონოვს იმპერიის საგარეო საქმეთა კოლეგიის მდივანმა თავადმა ბაკუნინმა და საქაღალდეს ჩახედა. — თქვენის შუამდგომლობით, მწერს რუსთავ-მარტყოფის არქიერი, მინდა მოვახსენო კანცლერს, რომ ამიერიდან განზრახული მაქვს იმპერიის მიწა-წყალზე დარჩენა, რამეთუ, საწმყო ჩემი, ანუ ეპარხია ლეკთაგან სრულიად იავარქმნილ არს და საცხოვრისი მუნ ჩემთვის აწ არსად იპოვნების!... ვინათგან უნუგეშოდ აღსრულებული მეუფე ჩვენი თემურაზ თქვენთან დაუხმარებელ არს და ვერცა რომელი ჩვენთაგანი მამულსა შინა საწადელსა ვერღა ვეწევით, მეტოქეთგანაც ცოდვილთა შორის მოვიხსენიებით და ვერცა სულსა ჩვენსა ვიხსნით სიკვდილისაგან.

დარბაზში უამური სიჩუმე ჩამოვარდა.

ბეზსონოვმა მდივანს შეხედა.

— განაგრძეთ. — მშვიდად მიუგო ბაკუნინმა.

— ოთხ უპირველეს თავადს: ციციშვილს ალექსანდრეს, მაჩაბელ იესეს, ჯორჯაძეს დავითს და ჩერქეზიშვილს ქაიხოსროს — ორას-ორასი მანეთი ფულად და ბეწვის მოსასხამი თვითეულს; მეორე რანგის თავადებს: ციციშვილს გიორგის, ტუსიშვილ შიოს, ავალიშვილს ზაალს. ბეგთაბეგიშვილს სულხანს — ას-ასი მანეთი და ბეწვეული; აზნაურებს — ორმოცდაათ-ორმოცდაათი მანეთი: რიგით მსახურებს — ხუთ-ხუთი მანეთი და ასე ქვემოთ. გარდა ამისა, კანცლერის მიერ დამტკიცებულ იქნა ბოქაულ თავად ამილახვრის მოთხოვნაც. რათა ქართველთა წარმომადგენლობას, სამშობლოში დასაბრუნებლად, ებოძოს ასოცდაათი ცხენიცა და სამოცდაოთხი მარხილი.

ბეზსონოვმა საქაღალდე დაკეცა.

თავადმა ბაკუნინმა იმპერიის საგარეო საქმეთა კოლეგიის სხდომა დასრულებულად გამოაცხადა.

. . .

ნათლისღების ჭახჭახა ყინვას, ქვეყანა რახანია ბროლის საპყრობილედ ექცია, შიგ განმგებლად ქარბუქი ჩაეყენებინა და ყველა სულიერი მისთვის დაემონებინა.

ცის ქვეშ მხოლოდ გრიგალი ბობოქრობდა...

მეფის ნეშტი სამცხენიან მარხილს მოჰქონდა...

კოფოზე ორნი ისხდნენ — სტეპკო და თომა...

— იოოო! ბნელისშვილებო, იოოო! — გაჰკიოდა დროდადრო კუჩერი სტეპკო და ლახტს ჩვეულებისამებრ გამეტებით ატყლაშუნებდა...

მათ მარხილს დანარჩენი მარხილებიც კვალში ჩასდგომოდნენ...

— უკეთუ ჯერ არს შეგაწყინოთ კითილის ამბით,
გაუწყებთ, რომ მე, მეუღლისა ჩემის მხლებელი,
უფლის წყალობით ვარ ჯანსაღი და უვნებელი.
ამასთან მინდა მოგახსენოთ, რაც ალთქმულ ქვეყნის
და მუნ მდებარე სხვა მხარეთა შესახებ ისმის,
მაგრამ ყოველი გაოცების როდია ღირსი...
მაშ, ჯერე ის, რომ სარკინოზთა, ღმერთი დასწყევლის!
იერუსალიმის სამეფოსთან ინებეს ზავი
და ბაბილონის მბრძანებელმაც არმენთგან დევნილ
ანტიოქიის პრინციპატუსს დაუკრა თავი...
ახლა ისმინეთ გაოცების ღირსია რაიც,
რაიც ჩვენს იმედს ვით ღვთიური ნაკადი ერთვის,
რაიც ვირწმუნეთ, მაგრამ მაცნეთ წყალობით მაინც,
მრავალგზის კიდევ შევაჯერეთ, მოწმეა ღმერთი!
ცნეულ არს — ვინმე ქრისტიანე იბერიელნი,
გეორგენებს რომ უწოდებენ, გულადნი ასკეც,
შეგონებულნი უფლის ნებით, ლაშქრით ძლიერით,
ურწმუნოების წინაალმდეგ უშიშრად ალსდგნენ...
დასცეს, დალეწეს სამასამდე ციხე და კოშკი,
და ცხრა ქალაქიც, უდიდესი რომელთა შორის
თვით დაიკავეს, დანარჩენი სრულიად მოსრეს —
ნაცრის და ტუტის დააყენეს ჰაერში თქორი!
მოხსენებულ ქალაქთაგან მთავარი ევფრატს
ემიჯნებოდა და საქვეყნოდ იყო ცნობილი,
სათავე მისი ბაბილონის სულთნის ძეს ეპყრა,
მაგრამ იგიცა იქნა ძლეულ და დამცრობილი...
საქმისა ჩვენის მოშურალსა და არ მოკეთეს.
თავს დიდი რისხვა დაატეხეს უფლისმიერი.
შეიპყრეს იგი და ღიახაც თავი მოჰკვეთეს,
თუმც ქვეყნის ოქროს აღუთქვამდა სამაგიეროს...
სხვა რა გიამბოთ გამოწვლილვით, [illegible]ით,
თუ არა ის, რომ ხსენებული ჩემგან მხედრები
უთუოდ მივლენ იერუსალიმს ღვთის შეგონებით,
ქალაქს იხსნიან, ურჯულოთ კი დაიმონებენ!
ლაშქარს წინ უძღვის მოთაყვანე დედის ანდერძის,
ჭაბუკი მეფე, შემართული მახვილის დარად,

თექვსმეტი წლისა. დიდად მსგავსი ალექსანდრესი,
სიქველითა და მოკრძალებით, რწმენით კი არა!
ჭაბუკი ესე, მეფე-დედის წმიდა ნეშტს ახლავს.
რადგანაც თამარს, თურმე, ჯერე ცოცხალს ენება,
ცხედრისა თვისის იერუსალიმს გადასვენება
და იქ დაკრძალვა, სადმე, უფლის სამარის ახლოს...—

თავისთვის ბუტბუტებდა მარხილის ძგიდეს მოწოლილი იესე მაჩაბელი.

— ეგ რაა? — ჰკითხა ციციშვილმა.

— ფრანგი რაინდის ბარათია ბეზანსონის არქიეპისკოპოსისადმი წარგზავნილი. — მიუგო იესემ.

— რაო, როდის წარვგზავნეო?

მაჩაბელს გაეღიმა.

— ლაშა გიორგის დროს, — თქვა მან.

— ლექსად ვინ გარდაქმნა? — კვლავ ჰკითხა ციციშვილმა.

— უსაქმობის ჟამს კალამს ვაწვალებდი.

— ბიჭოს?! ბატონს თუ მოახსენე?

— მოვახსენე, შემაქო. ნეტაი იმ ხანასაო. ამოიოხრა. მის მერე საქართველო აღმდგარი ლარავის უნახავსო.

— ვაი, ჩვენს მოსწრებას. — აღმოხდა თავად ალექსანდრეს.

იყუჩეს.

სავალი გრძელი ჰქონდათ: იქორი, ჩუდოვო, ბრონიცკოე, ზიმნეგორსკი, ვიშნი-ვოლოჩეკი, ტორჟოკი, ტვერი, კლინი, მოსკოვი...

2.

კვლავ გადაუღებლად თოვდა.

კრემლის ალაყაფს გამოცდენილმა საუწყებო მარხილმა, რომელსაც თავით-თხემამდე შეიარაღებული ათიოდე ცხენოსანი კაზაკი მოაცილებდა, „ოხოტნი რიადი“ შეუჩერებლივ გადაჭკვეთა, შელმართს შეუყვა და ვახტანგ მეექვსის ძის, ბაქარ მეფის სასახლესთან შეჩერდა.

სასახლე ქვით ნაგები იყო, ორსართულიანი — ორმოცამდე სარკმლითა და, მცირე საკვამურთა შორის ამაყად აღმართული, ოთხი მაღალი საკვამლე მილით.

მარხილიდან გადმობრძანებული, იმპერიის საგარეო საქმეთა კოლეგიის მოსკოვს მდებარე კანტორის უფროსი მრჩეველი, თავადი სობაკინი სასახლის კიბეს მოწიწებით შეუდგა. სამგლოვიაროდ განმზადებულ დარბაზს მიაშურა და შესვლისთანავე თავმდაბლად განაცხადა:

— ღვთის წინაშე, გულწრფელად მსურს ვეზიარო თქვენს უკეთილშობილეს მწუხარებას ქართლის სახელოვანი მეფის, თეიმურაზ მეორის უდროოდ მიცვალების გამო.

სახლის პატრონმა, ვახტანგ მეექვსის ძის ბაქარის ქვრივმა, დედოფალმა ანა გიორგი არაგვის ერისთავის ასულმა, სამძიმარი ცივად მიიღო...

— ოდენ მადლობის მოხდით ვით აუვალ მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის, აწ განსვენებული ელისაბედის ტახტზე ახლად დამკვიდრებულ ხელმწიფის, პეტრე მესამის მამობრივ თანაგრძნობას ჩვენი უსამანო მწუხარების გამო, რაიცა მეფე თეიმურაზის ულვთო სიკვდილით ბედმა დაუნდობლად მოგვაერძა. ამიტომ თქვენი პირადი ყურადღებაც ჩემთვის ფასდაუდებლად მიმაჩნია, რამეთუ საწუთრო ესე უფლისაგან ოდენ კაცთა გულწრფელობითა და თანადგომით კეთილად განიქიქების... მაგრამ მსურს შევიტყო, რაისთვის ინებეს ციციშვილმან სარდალმა ალექსანდრემ, მოურავმან კნიაზმა დავით, კნიაზმან ქაიხოსრომ, მაჩაბელმან და სხვათა, მეფისა თეიმურაზის ასტრახანს დაკრძალვა, სადაც [illegible] ჩვენი კანონიერი მეუფე ქართლისა ვახტანგ განისვენებს?!

თავადმა სობაკინმა დედოფლის კითხვას უნებლიე დუმილი შეაგება.

— საგარეო საქმეთა კოლეგიის უფროს მრჩეველს ალბათ მოეხსენება, რომ თეიმურაზის ასტრახანს დაკრძალვა, მისი ძის, ერეკლე კახთ-ბატონის ქართლის ტახტზე დამკვიდრებას ნიშნავს. — განუმარტა თავადს ბაქარ მეფის ძმამ გიორგიმ და მხარდაჭერისთვის მოსკოვის კომენდანტს, გენერალ-მაიორ ათანასე ბატონიშვილს მიხედა.

— მართალი ბრძანებაა. — დასტურ ჰყო ბატონიშვილმა გიორგის ნაუბარი. მერმე პირი ანა დედოფლისკენ იბრუნა და სობაკინის გასაგონად მკვეთრად ნათელგახადა. — ქართლის ტახტი ვახტანგის შემდეგ კანონით ბაქარ მეფის ძეს, ალექსანდრეს ეკუთვნის!

სობაკინი უამურად შეიშმუშნა.

— აწ განსვენებული მეუფის, თეიმურაზ მეორის ამალის წევრებმა ესესაა შეიტყვეს, რომ სახმელეთო ტრაქტი კაბინეტმა და სენატმა მათ მხოლოდ ყაზანამდე განუწესა, ხოლო ყაზანიდან ასტრახანამდე წყლით მგზავრობა გაუთვალისწინა. მოგეხსენებათ, ვოლგაზე ყინული აპრილშიაც ძევს. ასე რომ, მეფის ნეშტს ასტრახანს ოდენ მაისის ბოლოს ჩაასვენებენ. ასტრახანიდან ტიფლისამდე სავალი კიდევ სხვაა. ამ ხნის განმავლობაში მეფის ნეშტი, შესაძლოა, განიხრწნას კიდეც.— ჩაილაპარაკა სობაკინმა და რატომღაც მხრები უხერხულად აიჩეჩა. — მისი უდიდებულესობის საგარეო საქმეთა კოლეგიამ, არა მგონი, ყურადიღოს ამალის წევრთა მოთხოვნა მეფის ასტრახანს დაკრძალვის შესახებ. თუ, რა თქმა უნდა, საამისოდ პრინც ერეკლესი და მისი კარის დასტურიც არ ექნათ.

— გაგიგონია, დალოცვილო, ბატკანს ფარეხგარეთ სტოვებდნენ და მო-

დი, მგელსა ვკითხოთო?! — გაგულისდა ათანასე ბატონიშვილი.

სობაკინი უნებლიედ დადუმდა, მერე ჩაახველა და მორიდებით განაგრძო, — რა მაგ სიტყვის პასუხია და, უმორჩილესად გთხოვთ განმიმარტოთ, პეტერბურგიდან მოსკოვს მოსულ ქართველთ ელჩიონს მისი უდიდებულესობა დედოფალი ანა მიიღებს თუ..

—არა, ჩემი სახლი სამაგისოდ მცირეა. მითუმეტეს, რომ ამ დღეებში მომსამძიმრებელნიც მრავალნი იქნებიან. — შეაწყვეტინა დედოფალმა.

უარი აშკარა იყო.

თავადმა სობაკინმა, იქ მყოფთ თავი მდაბლად დაუკრა და გაწბილებულმა დარბაზიც მაშინვე განუტევა.

. . .

ასტრახანში გაზაფხული იდგა.

თენდებოდა.

ამოსავლეთით, ცისა და მიწის შესართავთან, იქ, სადაც მდორედ მოზოზინე დედა-მდინარის კალთა უკიდეგანო, შიშველ ტრამალს ებჯინებოდა, მზის ვეება, ცეცხლოვანი ყვავილი ენთო.

საკრებულო ტაძართან მოქალაქენი შეკრებილიყვნენ.

გუგუნებდა სამრეკლო.

რეკდნენ ზარები დიდნი და რეკდნენ მცირენიც.

შეიხსნა კარი ჩრდილოეთისა — ასტრახანელმა არქიეპისკოპოსმა მეთოდემ ტაძრიდან ჯვარი გამოასვენა.

პროცესია სანაპიროსკენ დაიძრა.

ხალხი უზღვავი იყო — სახელმწიფო მოხელენი, ოფიცრები, პირნი სასულიერონი და პირნი საერონი.

გუგუნებდა სამრეკლო...

რეკდნენ ზარები დიდნი და რეკდნენ მცირენიც.

დიდებული სანახავი იყო იმ დღეს ქონგურებს შიგან მოქცეული ღვთისმშობლის მიძინების ხუთგუმბათოვანი ქათქათა ეკლესია.

ხომალდი — თეიმურაზის ცხედრით, ნაპირთან მოეყენებინათ.

ცხედარი დასძრეს, გემბანიდან ფრთხილად გადმოიღეს... ოქროქსოვილით მორთულ სარეცელზე დაასვენეს, მერე სარეცელი მხრებზე შეიდგეს და კვლავ ტაძრისკენ აიღეს გეზი.

გუგუნებდა სამრეკლო...

რეკდნენ ზარები დიდნი და რეკდნენ მცირენი.

კუბო ქართველებს მიჰქონდათ.

. . .

ცხედარი ტაძრის ქვემო პალატში შეასვენეს, ვახტანგ მეექვსის სამარესთან ჩამოდგეს, გაალამაზეს. კუბოს სახურავი ახადეს.

ბალზამცხებული ნეშტი საბედნიეროდ უცვლელად შენახულიყო, მეფე ცოცხალივით იწვა... ტანთ ორი წინგახსნილი ძვირფასი კაბა ემოსა. ორივე გრძელი — კალთები მუხლებსქვემოთ ჩამოსდიოდა. კაბები ღილკილოებით წელსზეით იკვროდა, გარეთა კაბას ოცდაორი ღილი და ამდენივე კილო ეკერა. ღილნი გირჩისებრნი იყვნენ, ოქრობადით გარშემოსილნი.

ტაძრის წინა სვეტებთან, მეფე ვახტანგის საფლავის ახლო, ხატებ ქვეშ, სპილენძის სამი კანდელი იდგა. მათ შორის ერთი უმაღლესი. მეფე-პოეტის სამარეს ივერიის ღვთისმშობელი და მისი „ბაია“ დაჰნათოდნენ. საფლავს ძვირფასი, მეწამული ხავერდი ეფინა, ხავერდს ჯვარი ამშვენებდა, — ოქროსფურცლოვან პოზუმენტით შემკობილი, რვაწვეროვანი ქართული ჯვარი!

— პრინც ერეკლეს თანხმობა თეიმურაზის აქ დაკრძალვის შესახებ, რატომღაც აგვიანებს?! — გაუბედავად ჩასჩურჩულა ასტრახანის გუბერნატორმა თავად ალექსანდრეს.

— ღვთისა და ხელმწიფის წინაშე პასუხს მე ვაგებ! — მიუგო თავადმა.

ასტრახანში მაისი იწურებოდა.

3.

...ნეკრესის წმიდა გიორგივ,
რად არ მკრავ შუბის წვერსაო,
რად არ გამიქრობ მზის შუქსა,
არ დამიბნელებ დღესაო!..

ბუტბუტებდა აკაფულ ზვარში მდგარი დედაკაცი.

აბჯროსანმა მხედრებმა უკაცრიელი სოფელი ჭენებით ჩამოიარეს. ნაკაფში შემოვიდნენ, დედაკაცს თავს წამოადგნენ.

— რა გქვიან? — ჰკითხა მხედართ შორის უხნოვანესმა.

— ხვარამზე. — უპასუხა დედაკაცმა.

— ვაზი ვინ აკაფა?

— ჩემმა ქმარმა აკაფა.

— რად აკაფა?

დედაკაცი ჩაფიქრდა.

— სახლ-კარი ლეკებმა აგვიოხრეს, ბალღები ბატონმა გაგვიყიდა... უღელში შეგვაბა. კალო გვალეწინა...

— ქმარი რა გექნა?

— გამშორდა, გადაიხვეწა.

მწუხარება უსაზღვრო იყო.

აბჯროსნებმა ცხენები შეაბრუნეს, გასწიეს, თან მტვრის ბულიც გაიყოლეს.

...ნეკრესის წმიდა გიორგივ,
რად არ მკრავ შუბის წვერსაო,
რად არ გამიქრობ მზის სხივსა,
არ დამიბნელებ დღესაო!

კვლავ აბუტბუტდა ხვარამზე.

. . .

წელან ხსენებული მხედრები ქალაქში შეღამებისას შემოიჭრნენ.

ცხენები სასახლის კარიბჭესთან მიაგდეს, ჩამოქვეითდნენ.

მათ შორის უხნოვანესმა კიბე სიმალით აიარა.

— დივანბეგს უხმეთო! — უბრძანა მცველებს.

— ეხლავ გაახლებთ, მეფეო, — მიუგეს დაუხანებლად.

. . .

ქართლ-კახეთის ერთიანი სამეფოს ახლადაღიარებული მბრძანებლის, ერეკლე მეორის გამოჩენას დარბაზში მყოფნი მოუთმენლად ელოდნენ. გუმანით გრძნობდნენ, რომ ხელმწიფის ნაუბარი ამჯერად მჭრელი და პირდაპირი იქნებოდა. ამიტომაც ფრთხილობდნენ — ჯგუფ-ჯგუფად მდგარნი, ნაფიქრალს ერთმანეთს უზიარებდნენ, სათქმელსა და სადაოს მისხალ-მისხალ წონიდნენ...

— კარისმოძღვარს დასცდენია, ბარე ავირაზე მეტი იქნება, რაც ერეკლე დივანბეგებთან ზის, წირვასაც აღარ დასწრებიაო. — გადაულაპარაკა დავითმა აბდულა ბეგის ძემ ვახტანგ მეექვსის არარჯულიერ მემკვიდრეს, პაატა ბატონიშვილს.

— ნეტავ, რადაო? — ყური მოჰკრა ნაუბარს დიმიტრი ამილახვარმა.

აბდულ ბეგის ძემ, პასუხად, მხოლოდ მხრები აიჩეჩა. გულწრფელიც იყო, რადგან წვეულთაგან იჭვითაც არვინ იცოდა, რას უქადდა მათ ეს თათბირი!..

— ყიზლარში ხმა დარხეულა, იმპერატრიცამ ქართლის ტახტი კვლავ ალექსანდრე ბაქარის ძეს დაულოცაო. — წასჩურჩულა ქსნის ერისთავმა მაჩაბელს, დიდი ლიახვის პატრონს.

— ღმერთმა ჰქმნას სიმართლე იყოსო. — უნდობლად ჩაილაპარაკა ზაალ ორბელიანმა.

ამასობაში ხელჯოხიანი ყაფიჩნიც შემოვიდნენ, კარებთან შედგნენ, მერე მანდატურებით ხლებული ეშიკაღასიც გამოჩნდა.

მანდატურებმა თათბირად ხმობილთ ალყა შემოარტყეს, დარბაზის ყველა გასასვლელი დაიჭირეს.

— ეს რაღას ნიშნავს?! — შეცბნენ დიდებულნი.

მერმე სახლთუხუცესი და დივანბეგნიც გამოჩნდნენ, მათ პატრიარქი მოჰყვა, თან ეპისკოპოსნიც შემოიყოლა.

სულ ბოლოს მეფე და დარეჯან დედოფალი შემობრძანდნენ.

— დამნაშავესაც უხმეთო! — ბრძანა ერეკლემ.

საკრებულოში ხვარამზე შემოიყვანეს — საცოდავი, ჩამოძენძილი, ფეხთუცმელი ხვარამზე.

დარბაზის დანახვაზე დიაცი შეძრწუნდა, შეკრთა — გაქცევა დააპირა... არ დაანებეს, ნუგეში სცეს, დაუყვავეს. მეფეს მიჰგვარეს, ტახტის წინ დააყენეს.

— ვაზი ვინ აკაფა? — ჰკითხა ხელმწიფემ.

ხვარამზემ ხმაზე აბჯროსანი მხედარი იცნო, მიხვდა რაც გადახდენოდა...

— ვაჰ მე! — აღმოხდა საბრალოს.

— ნუ შიშობ, სთქვი! — კვლავ უბრძანა ერეკლემ.

— ჩემმა ქმარმა აკაფა. — მიუგო ქალმა.

— რად აკაფა?

— სახლ-კარი ლეკებმა აგვიოხრეს... ბალღები ბატონმა გაგვიყიდა... უღელში შეგვაბა, კალო გვალეწინა...

— ქმარი რა გექნა?

— გამშორდა, გადაიხვეწა.

მეფე წამოდგა.

— მინდა მუხლმოყრით შეისმინოთ. რასაცა ვბრძანებ! — სთქვა მან და დარბაზს მომნუსხველივით მიაჩერდა. გაფითრებულიყო. სახე კუშტი ჰქონდა — უდრეკი, მიუდგომელი...

დარბაზი წახდა, ხელმწიფის მრისხანებას დაჰყვა, დაემონა, ჯერ ერთმა დაიჩოქა, მერე მეორემ... მხოლოდ დიმიტრი ამილახვარი და ძე მისი, ჭაბუკი ალექსანდრე არ შერხეულან.

— მუხლმოყრით-მეთქი! — დაიქუხა ერეკლემ.

მისმა სიმტკიცემ მამა-შვილის ნებაც გასტეხა.

დარბაზში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა.

— უტყუვრად გწამდეთ, რომ არა მხოლოდ ჩემს წინაშე ხართ მუხლმოყრილნი, არამედ წინაშე ღვთისა და წინაშე ერისა, რამეთუ მეფე არს მახვილი მამულისა და რაიცა ვბრძანო. მსურს ოდენ ესრე ისმინოთ! — ერეკლეს ხმაში ფოლადი წკრიალებდა, — ყოველთა უწყით, — განაგრძო მან, — რომ ბარე ორასი წელი იქნება, რაც კახთ-ბატონმან მეფემან ალექსანდრემ საქრისტიანო ესე რუსეთი გინდ ოსმალოთა, გინდ სპარსთაგან გავერანებულ საქართველოს მხსნელად ირჩია. ხოლო ამაზედ განრისხებულმა ირანის შაჰმან შვილი მამაზედ დაგეშა; იუდა კონსტანტინემ ძმისა და მამის მოკვეთილი თავები შაჰს გაუგზავნა. ღალატი მერმეც მრავალი ვნახეთ! ერთნი რო შაჰს კახეთზედ მოუძღოდნენ, მეორენი ციხეს შიგნიდან სტეხდნენ — თეიმურაზს პაპისა მისის გზის დაგდებას და ირანელთა მორჩილებას შეაგონებდნენ. იმდენიცა ჰქმნეს რომ მტერს კახეთზედ გამარჯვება მისცეს, მეფე იმერეთს გადახვეწეს... მერმე ეგრე მოხდა, რომ თეიმურაზის თაოსნობით, შვიდსავ საქართველოს მეფემთავართა რუსთ ხელმწიფეს ერთიანი აჯა მიართვეს, სახსარი სთხოვეს, მაგრამ საშველი არც ამან მოგვცა, თქვენნაირთა სიბეცის გამო ციხე კვლავ შიგნიდან გატყდა — მარაბდის ომში ცხრა ათასი ვაჟკაცი მოჰკლეს! თეიმურაზის წარდგომის მერე ერი მთლად წახდა, განადგურდა, ქვეყანა თქვენდა სათარეშოდ გადიქცა, სამეფო ყმასა და მამულს ერისთავ-მოურავნი დაეპატრონეთ. ხელმწიფობა დაიჩემეთ! საეკლესიო მიწები და სოფლებიც მიიტაცეთ. ასეთ ყოფაში ვერცა არჩილმან, ვერცა სხვამან და ვერცა ვახტანგმან ვერა იღონეს რა, ვერ შეგასმინესთ, რომ საქართველოს აღდგომაცა და გამოხსნაცა ოდენ რუსთ ხელმწიფის მფარველობით თუ მოხდებოდა. თქვენს თვითნებობას ვერცა მამამან ჩემმან და ვეღარცა მე ვერ რა ვუღონეთ. მაშ, ვინა ხართ თქვენ? თუ არა სულმოკლენი, ქვეყნის გამყიდველნი, ერის გამცემნი, მოღალატენი, ბერიკები, ღორები სალაფავთა მაძიებელნი... ვიცი, ერთი გწადთ, რომ მამა-პაპათგან აქამდე მოტანილი ქვეყანა მხოლოდ მუცლების ამოსაყორად მოიხმაროთ. მაგრამ იცოდეთ, ვინც ჩემთან არა დგა, ერისა ჩემის მახვილქვეშ მოექცევის! აწ გასწით, თქვენთან თათბირი მე აღარა მსურს. სამართალიც უთქვენოდა ვქმენ, რაც გარდავწყვიტე დივანბეგთა მოჰკითხეთ.

მეფე დადუმდა.

— ნეკრესის წმიდა გიორგივ,
რად არ მკრავ შუბის წვერსაო,
რად არ გამიქრობ მზის სხივსა,
არ დამიბნელებ დღესაო...

გაისმა სიჩუმეში ხვარამზეს გულისწამლები, შემზარავი ბუტბუტი.

4.

ზემო ხარფუხში, საცა უმთავრესად ფეიქარნი სახლობდნენ, უდრტვინველობა და ღარიბული სიაზატე სუფევდა.

კვირა დღე იყო.

მზე ნარისციხეს რახანია მიჰფარებოდა.

ტაბახმელიდან ჩამოტანილ სიგრილეს ნიავი ეზო-ეზო დაატარებდა.

ქოხმახებს იქეთ, ოდნავ შეყვითლებულ გორაკზე, ორნი ისხდნენ — არუთინა და დათუნა ფეიქარი. წინ ტაბლა ედგათ, ღვინოსა და მუსაიფს თანაბრად შეექცეოდნენ. საეგებისოდ თარიც თან წამოეღოთ — შეზარხოშებას-ღა ელოდნენ.

— ეგრეა, მწყურვალი წყაროსთან მიეყვანათ, ის კი მარილსა ჰლოკამდაო.— დაიჩივლა არუთინამ, საქართველოს მეფის საზანდარმა.

— ეგ რისთვის სთქვი? — ჩაეკითხა დათუნა ფეიქარი.

— როგორ არ მეთქო, ღმერთიანო, როცა ამოდენა ცოდო თავს მაძევს!? წყურვილიც დიდზე-დიდი მაქვს, რო ჩემს მწყალობელს გული წინ უსტარივით გადაუშალო. ალალად ვუთხრა, რაც მისდამი ორგულობისა რაიმე შემიტყვია, ანამც მე თავად მიჰაზრია, მაგრამ მფრთხალადა ვარ, წყლისპირად მდგარი მარილსა ვლოკავ, ვაი თუ კარგა გასაგონი ერეკლემ ავად შეისმინოს და პატივის ნაცვლად, მისთვის მლოცველს, რისხვა მომაგოს.

— ეჰ, არუთინ ჩემო, ეგ დარდი, ბარე ორი წელიც იქნება მღრღნის და მაწამებს... მეცა მწადს მეფის წინაშე გულმართლად ვიყო, მინდა სუ წვრილად დაუთვალო, რაც მის წინააღმდეგ მე და ჩემს დედაკაცს ბოროტება გულში გვდებია, რაც ჩვენი ხელმწიფის მტრებისათვის სამსახური გაგვიწევია, მაგრამ რა ვუყოთ, წვრილშვილში ვდგევართ... შენი თქმისა არ იყოს, ვაი თუ აღარც ჩვენ შეგვიწყალოს და შებრალების ნაცვლად რისხვა მოგვე[illegible]ძოს. მერე რა თავში ქვა ვიხალოთ? ბალღები როგორღა შევინახოთ თუ მეფეც მტრად მოვიკიდეთ და მეფის ორგულნიცა? არა, თუ ისიცა ჰქმნეს, რო ერეკლე სასიკვდილოდ გაიმეტეს, ნამუსსა ვფიცავ, ვეტყვი! ყველაფერს ვეტყვი. თავს დავდებ, მამაჩემის სულს წინ მივიგებებ...

— თამამი ხარ, დავითავ, როცა ღვინოსა სომ თამამი ხარ. ის კი აღარ გახსოვს, რო ხელმწიფის სამართალი ორლესულ მახვილსა ჰგავს. თუ საბუთი მყარი არ გექნა, პაატა ბატონიშვილიცა და მისი დამქაშნიც მეფის წინაშე თავს იოლად იმართლებენ. ცილსა გვწამებსო, იტყვიან... მაგრამ თუ მეფეს დროზედ უჯელეს და ტახტი პაატამ დაირჩინა, მაშინ, ეგება მდივნის სახელოც ამაგისებრ გიბოძონ და თავადებშიაც წელგამართული გაგატარონ...

— დამცინი თუ რა არი! — შეფიქრიანდა დავითა.

— დასაცინი რა გაქვს, რო? — შეჰღიმა არუთინამ. მერე თარს მიწვდა, გამართა, დაამღერა.

— ერთგული ვარ. ორგულობა არ მინდა.
მე გლეხი ვარ, თავადობა არ მინდა,
შემინახე ატლასითა, ხასითა...
შავი კაბა, შავი ქობა არ მინდა!...

დავითას ცოლმა, მართა-ქალმა სუფრას ცხელი კერძი შეჰმატა. არუთინა ახლა მისკენ გადაიხარა.

— ერი ვიყავ, ბერობა რაღ მინდოდა,
მოდი, მითხარ, მღვდელობა რაღ
მინდოდა...

— აი, შენ კი ჩაქრი, შენა, ჰა! — დაიმორცხვა დიასახლისმა. დავითამ სურა ასწია, ხელში მსუბუქად მოჰყვა.

— დაცლილაო. — ჩაილაპარაკა.

ცოლმა ქმარს სურა მაშინვე ჩამოართვა, ქოხისკენ დაეშვა.

— დედი, ძია კოლამ მითხრა, შენნაირი ჩოჩორი ჩემს ვირსაცა ჰყავსო. — ტიტინით მიეგება მართას პაწია ბიჭი.

დავითას ცოლმა ქოხთან შემააკიდებული სახედარი, ნახშირგორელი სიკეთე-კოლა და მისი ოხუნჯობით გახალისებული სხვა ბალღებიც შენიშნა.

— სად დაგვეკარგე, შე ვირთაბაშო, შენა? — მოიკითხა მართამ მულიშვილი.

— ჩამოვცალო თუ გავაბრუნო? — პასუხად ეს მიუგო მულიშვილმა ძალუას.

— ჩამოცალე!

მართა ქოხში შევიდა, სურა ღვინით აავსო, გამოიტანა...

ამასობაში სიკეთე-კოლამ სახედარი ტვირთისგან გაათავისუფლა, ბალღები სახედარზე შესხა, თან გულისყური იქითკენ დაიჭირა, საიდანაც არუთინას წკრიალა სიმღერა ესმოდა.

— ბიძაჩემი სადა ბრძანდება? — ვითომ სხვათაშორის ჰკითხა ძალუას.

მართა წადილს მიუხვდა, გაეღიმა, პასუხის ნაცვლად ღვინიანი სურა გაუწოდა...

— წაიღე, იქა სხედან, ამ ბილიკს გაჰყე.

კოლამ გაიხარა, სახედარი ბალღებს მიანება და ღვინიანი სურით ხელდამშვენებული ბილიკს შეუყვა.

მართამ ნაპობი აკრიფა, შინ შეიტანა.

— სიკეთეს გაუმარჯოს, სიკეთესა! — მიაგებეს კოლას სუფრასთან მსხდომთა...

— ჩემი თავი ძალუამ გაახლათ. — მოიბოდიშა სტუმარმა და ღვინიანი სურა მაგიდაზე ჩამოდგა.

არუთინამ თარს თავი მიანება...

— დაგვესამე. — უთხრა და ჯამი შეუვსო.

— მადლი აქაურობას! — დაილოცა კოლა. მერმე ხელში ჯამი კარგა მოირგო, აკოცა, ხახაში ჩაიპირქვავა, დასცალა, თითზე დაიწურა.

— მწყურვალი ვყოფილვარ?! — გაიკვირვა.

— ნახე, ეგებ, მშიერიცა ხარ? — უთხრა დავითამ.

— მაგას რა ნახვა უნდა, მაძღარი ეხლა ვინღა არი. — ღვინოს ლუკმაც დაატანა შემოსწრებულმა და მადიანად დახვეული წიწმატი მარილისკენ — წაიღო. — ხელმწიფის ხალხნი ხართ, გაგეგონებათ, ქვეყნად ხმა დაირხა, ერეკლე გლეხებს დასდგომია, ბატონებს სუ კუდით ქვა ასროლინაო, მართალია?

— მართალია. — დაუდასტურა დავითამ დისშვილს.

— მაშ, ისიც მართალი ყოფილა, თუ საწყალმა კაცმა ლეკის ტყვეობიდან თავი თვითონ დაიხსნა, აზატი ხდებაო?

— ეგეც მართალია.

— მერმე ისიცა სთქვეს. ხელმწიფემ ბატონებზე გული მოიყვანა, ერისთავსა და სხვებსაც რაც ზედმეტი მამული ჰქონდათ, სუ ერთიანად ჩამოართო და საუფლისწულო გახადაო!

— ეგრე ჰქმნა, მაგრამ ვინ იცის, შაარჩენენ ნაქმნარსა თუ აღარ შაარჩენენ, შენ ბატონებისა არა გცოდნია, ძალა მაგათაც დიდი აქვთ. — ამოიოხრა არუთინამ.

— ძალა რა შუაშია. — მოიწყინა კოლამ. — სიმართლე მეფის მხარეს არი. გლეხობა განადგურდა, გაწყალდა, სოფელი დაილია. ბატონებმა მთელი ქართლი ოჯახობით დაჰყიდეს. ვინც გაყიდვას გადაურჩა, გაყაზახდა, ტყეში გავიდა. დანარჩენებს უღელში სული ამოჰხადეს.

სუფრა დასევდიანდა. სამთავე საგონებელს მიეცა...

5.

ცხენმა ფიქალზე ნალი წაიკრა, წაიფრუტუნა.

ბნელი, ნოტიო ღამე იყო. ქინქლლავდა. ხარფუხის მხარეს ღრმა, უჩქამო ძილი დაუფლებოდა.

— მგონი აქა დგა. — გადაუჩურჩულა ერთმა ლანდმა მეორეს.

ჩამოქვეითდნენ.

ქოხმახის კარს მიადგნენ, მიაკაკუნეს.

მცირე ხნის მერე ღრიჭოში შუქმა გამოანათა.

— რომელი ხარ? — მოისმა კარს იქედან.

— დათუნაი გვინდა, ფეიქარი. — უპასუხეს ხმადაბლა.

სახლის პატრონი შეყოვნდა.

— გახსენ, ივანე ვარ, ნათლიანთი. თაქთაქიშვილი, — მშვიდად შეაგონა მოსულთაგანმა.

კარი გაიღო.

მეორე კაცად, მასპინძელმა, ვახტანგ მეექვსის უკანონო ძე პაატა ბატონიშვილი შეიცნო!..

— ასტვაც!? — აღმოხდა გაოცებულს, — ღვთის წყალობაა, მე და ჩემის შვილების მზემან! ღვთის წყალობაა! აქეთ მობრძანდით, თქვენი ჭირი ჰქონდეს თქვენს დავითასა, აქეთ მობრძანდით! ხო მშვიდობაა, ნათლიმამ ჩემო? ხო მშვიდობაა? — დაფაცურდა მასპინძელი.

სტუმრებმა ლამფის შუქზე საქსოვი დაზგა და დაზგასთან, ერთი საბნისქვეშ მძინარე, სამი ბალღი შენიშნეს.

თაქთაქიშვილმა დიასახლისი მოიკითხა:

— მართა-ქალი სადა გყავ, სასახლეში თუა?

— დღეც იქ არი და ღამეცა. თქვენი წყლობა ნუ მოაკლოს ღმერთმა ჩემს ჯალაბსა! — აქეთ მობრძანდით, თქვენს გახარებას! ეხლავ ყველაფერს ვიქმ, ეხლავ ვიქმ ყველაფერსა.

სტუმრები შინ შეჰყვნენ, მძინარე ბალღებს განერიდნენ, სხვა ოთახს მიაშურეს.

დავითა ბუხართან მიდგა, საღამისოდ ჩახვეული ნაღვერდალი გაჩხრიკა, გააღვივა.

ბატონიშვილმა უბიდან დაბეჭდილი ბარათი ამოიღო.

— დეკანოსიანთ სახლი თუ იცი, ნავალი თუ ხარ? — ჰკითხა მასპინძელს.

— ნავალი ბარე ათასჯერა ვარ. — მიუგო დავითამ. — ერთი დღე იქით მინდა, ერთი — აქეთა. — დაუმატა საქმეში გართულმა. ტაბლა დადგა, ჩარექიდან ღვინო გადმოიღო, ხელადა აავსო, ააპიპინა...

— მაგისთვის სადა გვცალიან. — იუარა თაქთაქიშვილმა.

— მა, უამისოდ როგორ-ღა იქნება?! — ქვას თავი შეუშვირა მასპინძელმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაჰყვნენ...

. . .

ფილაქანზე წვიმა ხმაურობდა.

მიუსაფრად მდგარი ცხენები ერთმანეთს მიჰკროდნენ, მიტმასნოდნენ.

6.

ერეკლე მეფის საგანგებო მოწვევით რუსეთიდან შინ დაბრუნებულ ანტონ კათალიკოსს თბილისი დიდის პატივით მიეგება.

ნარის-ციხეზე ზარბაზნები დასცალეს.

რომაული სარწმუნოების აღიარებისთვის ბრალდებულსა და ათიოდე წლის უკან ექსორიაქმნილ მის უწმინდესობას, რომელსაც, სინოდის წინაშე თავისმართლების შემდეგ, სამწყსოდ ვლადიმირის ეპარქია მიანდეს, ადგილობრივი სამღვდელოება სიონისკენ მოწიწებით მიაცილებდა.

გარემო მრევლით აღვსილიყო.

გუგუნებდა სამრეკლო.

. . .

მეფე და უავგუსტესი ოჯახის დანარჩენი წევრები კათალიკოსს ტაძარში დაუხვდნენ.

ანტონი ჯერ ჯვარს ემთხვია, მერე ხატისწინ მუხლმოყრილმა, მაცხოვარს მადლი მოახსენა და ღვთისწინაშე მოკრძალებით კდემამოსილი, ერეკლეს მიეახლა.

ქართლ-კახეთის ერთიანი სამეფოს ახლად დადგენილმა მბრძანებელმა დედისა თვისის ბიძაშვილი, მკერდში მხურვალედ ჩაიკრა...

— თეიმურაზის წარდგომის აქეთ, სული ჩემი დღეს პირველად ხარობს!— შესჩივლა თვალცრემლიანმა.

— ყოველივე უფლისგან მოიკითხების. — ცრემლითვე ანუგეშა ანტონმა.

უწმინდესმა და უნეტარესმა ხელმწიფის მერე დედოფალი მოიკითხა, მერე თეიმურაზ მეორის ქვრივი ანახანუმ — დედინაცვალი მეფისა; მერე

გიორგი ბატონიშვილი და მისი ახლადშერთული მეუღლე—ქიზიყის მოურავის პაპუნა ანდრონიკაშვილის ქალი ქეთევანი; მერე ერეკლეს დაი ანა; მერე უფლისწულები: თორმეტი წლის ლევანი, ოთხი წლის იულონი, პაწია ვახტანგი... მერე ქალნი ხელმწიფისანი: თამარ, ელენე, მარიამი... მერე ვახტანგ მეექვსის უკანონო ვაჟი პაატა ბატონიშვილი და ნახევრადძმაი თვისი — დავითი...

— ღვთის წინაშე, ჩვენდა საგულისხმოს, ახალს რას იტყოდი? — ღიმილით ჰკითხა პაატა ბატონიშვილმა.

— კვლავაც ერეკლეს თანადგომას და ერთმორწმუნე რუსთ ხელმწიფის მფარველობით, სრულიად საქართველოს აღდგომა-გამოხსნისთვის ვიტყოდი. — მიუგო კათალიკოსმა.

— ხმამაღლა ეგრე ითქმის. — ჩაილაპარაკა დავითმა.

უწმინდესსა და უნეტარესს სხვა ალარაფერი უბრძანებია. კვლავ ხატებისკენ მიიქცა, დაიჩოქა.

— ცდუნებულთათვის ევედრე, ღვთისმშობელო, რამე-თუ სულმოკლეობა კაცთა უფსკრულივით ღრმა და აღუვსებელ არს. ვინცა ოდენ თავისთვის მიიმკიდეს, ვეღარცა როდის გაძღებოდეს. ხოლო, ვინცა მოყვასისთვის ეცადოს, მცირედითაც კმაყოფილი იქნეს.

. . .

ის ღამე მეფემ კათალიკოსის სენაკში გატარა, ტრაპეზთან ისხდნენ, ზედაშესა და სამარხვო ხმიადს შეექცეოდნენ...

— თავადაც უწყი, — ბჭობდა ერეკლე, — მამისა ჩემის თეიმურაზის ასტრახანს დაკრძალვით, იმპერიის მთავრობამ, ქართლისა ტახტზედ, მემკვიდრედ მე მაღიარა. ჟამსა ამასა შინა, ქერიმ ხანმაც მეტოქენი თვისნი დაამხო, მათ შორის აზატ ხან ავლანიც, რომელიც მერმე მე შევიპყარ და ქერიმს „საჩუქრად" გავუგზავნე! — ერეკლეს ჩაეცინა, —სამსახურს ფუჭად არ ჩაუვლია, — დასძინა სიცილითვე და კვლავ ფიქრიანად განაგრძო: — ქართლ-კახეთის ერთ სამეფოდ შეკვრა-შეკავშირება ირანმაც სცნო, განჯა-ერევნის სახანოებზედ დასტური დამცა და აღმოსავლეთ ზღვათაშორეთში ჩემი ხელმწიფების უპირატესობაც უეჭველი გახადა... ეს ხანია, ოსმალთაგანაც აჯანი რამ მცირე მომეცა — რუსთ ხელმწიფის პრუსიაზედ ამაღლებამ მოსკოვის ყადრი ქვეყნის თვალში ერთიასად გაზარდა, სულთანიც დაფრთხა, გულისყური ჩრდილოეთისკენ დაიჭირა, შიშობს, თუ რუსმა ფეხი მოიდგა, შვიდ წელიწადს ნაომარი ჭრილობებსაც ადვილად მოიშუშებს და ჩემგან მორღვეულ სამხრეთ საზღვრების შემომაგრებასაც უმალვე შეუდგებაო. სულთნისგან უნუგეშოდ შთენილი ლეკიც დიდრონ ბრძოლებს ვეღარ მიბედავს, წვრილად მებაცაცება, დაძრწის, ტყვესა და ხვასტაგსა მტაცებს. ჩემი მოქიშპე ქართლის თავადებიც სოროებს შეჰფარვიან, ორგულად ყოფნას, ჯერჯერობით, ისევ მორჩილებას არჩევენ. თუ ღმერთმან ინება და მისი უდიდებულესობა ჩვენი ქვეყნის მფარველობაზე დროულად დავითანხმეთ, მერმე ეგების წინაპართა ჩვენთა საუკუნო სასოებაც კეთილად აღვასრულოთ, იმერთა მეფე სოლომონთან ადრე ნათქვამი პირობით სრულიად საქართველო ერთის გვირგვინის ქვეშ შემოვიკრიბოთ. მერე, ეგების, სამცხეც გამოვიხსნათ და წუთისოფლიდან ღვთისა და ერის წინაშე ვალმოხდილნი წავიდეთ.

— სიმართლითა ბჭობ, ერეკლე ჩემო. რუსეთი ეხლა მართლაც ძლიერადა დგა, მაგრამ იმდენად არა, რომ ქვეყნისა ჩვენის მფარველობით აღარც ოსმალთა და აღარც სპარსთა გაგულისებას დაერიდოს. ეგეც არ იყოს, რუსთ ხელმწიფის კარზედ მდგარი ქართველთაგანნი, შენს ქართლზედ გამეფებას უპირატესად ალმაცერად უმზერენ. ტახტის მემკვიდრედ ჯერაც ალექსანდრე ბაქარისძეს, გინა პაატა ბატონიშვილს უფრო მიიჩნევენ. იმათ დაძახილზედ თავადნიც ქართლისანი

სოროებს უმალ დააგდებენ და ნაღვაწიც ჩვენი განსაქიქებლად უგუნურთა ხვედრი გახდება. ამიტომაც, სიფრთხილეც დიდი გვმართებს.

დადუმდნენ...

მეფე წამოდგა, მუხლი გამართა, წასასვლელად განემზადა.

— ყველაფერი ხვედრიაო. — ამოიოხრა.

ანტონიც დათრგუნული ჩანდა.

— წალკასა და სომხითს დაბუდებული ლეკები ქართლს ედებიან. ჭარელები — კახეთს. ამასწინებზედ წავკისს მიუხდნენ, ხუთი კაცი მოჰკლეს, ხუთიც ტყვედ წაასხეს. ვერეს რო დაეცნენ, მე თვითონ გაველ, გამექცნენ. წუხელ-ღამ ტაბახმელას ყოფილან, ოთხი კაცი მოუკლავთ. — მეფის ხმაში მწუხარება იგრძნობოდა. — ქვეყანა ხალხისგან დამეცალა, გლეხი გაწყდა, ვინც რომ ტყვეობას გადაურჩა, ხიზნად გავიდა.

ანტონს აღარაფერი უთქვამს.

კარს გაცდნენ, თვალს მიეფარნენ...

. . .

ტალანში გამოსულნი ქრისტესია მღვდელსა .და ვინმე ანაფორიან ჭაბუკს გადააწყდნენ, მოყურადეებს მიამსგავსეს, მღვდელი მართლაც დამფრთხალი ჩანდა.

— რადა თრთი!? — შეუწყრა ერეკლე.

ჭაბუკმა ანაფორის სახელოდან ბარათი გამოიღო, მეფეს გაუწოდა. ერეკლემ ჩამოართვა, ჩირაღდნისკენ შებრუნდა, თვალით ჩაიკითხა, მერე კვლავ ჭაბუკს მიუბრუნდა.

— ვისა ჰქონდა? — ჰკითხა გაფითრებულმა.

— დათუნა ფეიქარსა ჰქონდა, მეფევ ბატონო. მამა ქრისტესიას ალსარებაში გაანდო, მაგრამ ნაწერი ბერძნული იყო და ამიტომაც, წამკითხველად მე მიხმეს. — უპასუხა ჭაბუკმა.

ერეკლე შეფიქრიანდა.

— ფეიქარი სადღაა? — აჩქარებით იკითხა.

— კარში დგა, თქვენს რისხვას ელოდება. — მოკრძალებით მიუგო მღვდელმა.

ხელმწიფემ აღარ დაახანა, ანტონს გახედა, — ჟამი არ ითმენსო, — აგრძნობინა და გამალებული იქაურობას უსიტყვოდ გაეცალა...

სხვათა მღელვარება კათალიკოსსაც გადასდებოდა. სარკმელთან მიდგა, დაინახა — თან როგორ გაიყოლა ერეკლემ დათუნა ფეიქარი, როგორ ამხედრდა და მცირე ამალით ხლებული, სიონის არეს ჭენებით როგორ განერიდა.

ანტონი სარკმელს მოსცილდა.

— ვინა ბრძანდებიო? — დააკვირდა ჭაბუკს.

— სემინარიის მრევლიდანა ვარ, უნეტარესო. გვარად თაყაშვილი. — უპასუხა ჭაბუკმა.

7.

კრწანისის ჭალა თოფის უეცარმა გრიალმა გააყრუა.

მარჯვედ ნაკრავმა ტყვიამ გარეული ეშვი მიწას მოსწყვიტა, ზეშეაგდო, შეაყირავა; მერმე ძირს დასცა, დაამხო, დაასიკვდილა — დინგით ნიადაგს დაანარცხა!

ნატყვიარიდან ნაჩქეფმა სისხლმა შეფიფქული ქვა-ღორღი მაყვლისფრად შეაწითლა.

ქრისტეშობისთვის დამდეგი იყო

სუსხავდა.

არსიანის მთას თოვლი ფითრივით მოჰკიდებოდა.

. . .

მეტეხსქვემოთ, მტკვრის რიყეზე მდებარე მარკოზაანთ ეზო-დარბაზს, სადაც იმ ხანად ვახტანგ მეექვსის უკანონო, ანუ არარჯულიერი ძე პაატა ბატონიშვილი ბინადრობდა, შეღამებისას ნანადირევით ხელდამშვენებული ოთხი დიდებული მიუახლოვდა.

მხედრებმა თავლის არეზედ ათიოდე საკაზმაუყრელი ბედაური შენიშნეს. ცხენები ბაგას მისდგომოდნენ, შეჭირხლულ თივას ნება-ნება წიწკნიდნენ, იცოხნებოდნენ...

— წვეულნი ჩემნი, ვგონებ, ჩვენზედ ადრე მობრძანებულანო. — გადაულაპარაკა ვახტანგის ძემ იესე აბდულა-ბეგის მემკვიდრეს დავითს.

— მაგასა ჰგავსო. — დაეთანხმა ბიძაშვილი მამისა.

ჩამოქვეითდნენ.

ძაღლების ყეფა-წკმუტუნზე, მოსულთ დარბაზისელნიც გამოეგებნენ და „მიმხვდომ-დამხვდურნიც“ ერთმანეთში უმალვე აირივნენ. „ბიჭებმა“ მოკლული ტახი სამზადისკენ წაათრიეს.

— რომელმან ჰკარით? — ქებით იკითხა დიმიტრი ამილახვარმა.

— პაპუნაიშვილმან დაგვასწრო, პაატამან! ამისთვინაც თავ-თავი კერძი მაგას უნდა არგუნოთ, ჩლიქები კი ჩვენა. — ღიმილით მიუგო დავითმა.

— ან კი, საკითხავიც რაღა იყო?! ეგრე უტყუვრად პაატას გარდა, აბა, სხვა რომელი ჰკრავდა?! — თვითვე გაიკვირვა ამილახვარმა.

— უნდა ეკრა, მაშა! — კვლავ მიუგო დავითმა და ღიმილითვე დასძინა: — რა ვი, რად არა ჰკრავდა. როცა თოფიც თავის ნახელავი ეპყრა, წამალიცა და ტყვიაცა... აკი, ხელმწიფის თურგანხანის ამგებელიც ეგა ბრძანდება და განმგებელიცა!

ნაუბარს სიცილი მოჰყვა.

— ნეტა, ეგრე მარჯვედ, ერეკლესთვის ეკრაო. — ჩაისისინა ელიზბარ თაქთაქიშვილმა.

შეცბნენ, მიმოიხედეს — უცხო ხომ არავინ გვისმენსო! — ამის შეეშინდათ.

აივანზე მოხუცი მარკოზაშვილი და სულეიმან ახალციხის ფაშის დისწული, არუშან დიასამიძის ქალი, მშვენიერი აიდე იდგნენ. არუშანის ასულს მონადირეთა შორის დიმიტრი ამილახვრის შუათანა ვაჟი, ჰაბუკი ალექსანდრე გამოერჩია — იმას ულიმოდა. თავადაც თხუთმეტი წლისა თუ იქნებოდა, მეტისა არა! ქალ-ვაჟს ერთმანეთი დაუფარავად შეჰყვარებოდათ, ნიშნობასღა ელოდნენ.

ვახტანგის ძემ აივანს ახედა.

— მადლობა ღმერთს, რომ ყველანი ერთნი ვართ, ერთის პირისანი და ერთის გულისანი. — ჩაილაპარაკა მოხუცი მარკოზაშვილის მისამართით.

დიასამიძის ასული უმალვე შეტრიალდა, თვალს მიეფარა.

— თქვენგან უარესებსაცა ვარ ჩვეული. — განაწყენდა ბერიკაცი და უნდობლობით გულდაკოდილმა, ნათქვამს თან ესეც ამოატანა: — მეფე ვახტანგის ნატახტარს ჩემებრ ერთგული. ნეტა სხვაც მრავლადა ჰყვანდესო!

— შენი სამდურავი ვინ რა იუბრა, ოჯახაშენებულო?! — გაღმა შეედავა ვახტანგის ძე.

მოხუც მარკოზაშვილს სხვა აღარაფერი უთქვამს. საბრჯენს დაყრდნობილი, ისიც აიდეს კვალს მიჰყვა. მერმე კართან შეყოვნდა. შემობრუნდა:

— ყრმასა სიძვისა ჰკითხე, ბერიკაცს — სიბრძნისაო! — დააგდო ყველას საგულისხმოდ და კარიც მაშინვე შეიხურა.

— მართლადა იქმს, ჩვენს თავს ისეე ყმაწვილი ქალი არჩია. — იხუმრა დავითმა, აბდულა-ბეგის მემკვიდრემ.

— შენი რო ვიცი, მალე მაგ ბერიკაცს სიძვასაც დასწამებ! — მხარი აუბა გლახა ციციშვილმაც.

ამგვარი ქილიკი, მაინცდამაინც, არავის ეამა.

არუშანმა სასიძოს გადახედა. — ხომ არ იწყინაო? — გაიფიქრა.

დაიძრნენ.

კიბეზე უფროს-უმცროსობით შეაბიჯეს.

ნანადირევის მომტანი ესენი იყვნენ: პაატა ბატონიშვილი, აბდულა-ბეგის მემკვიდრე დავით, არუშან დიასამიძე და დიმიტრი ამილახვრის შუათანა ვაჟი ალექსანდრე.

დამხვდურნი: გლახა ციციშვილი, ზაალ ორბელიანის ერთგული კაცი ვინმე იორამი, თაქთაქიშვილი ელიზბარ, ძე მისი ივანე, დიმიტრი ამილახვარი, დავით ქსნის ერისთვის მოურავი ქაიხოსრო, დათუნა ფეიქარი და სხვანი — აზნაურნი გინა უაზნონი.

. . .

მოახლეებს ვახშამი რახანია გაეწყოთ.

— თუ ყველანი ვართ?—იკითხა დავითმა, აბდულა-ბეგის ძემ.

— ყველანი. — მიუგო გლახა ციცი-შვილმა.

დასხდნენ.

— იროდის აღსასრულის დღედ ქრისტეშობის მეორე შაბათი გვიაუქვამს. — ხმადაბლა წამოიწყო ელიზბარ თაქთაქიშვილმა, — წინარე საქმნელს, პირობისამებრ, დათუნა ფეიქარი იქს, რამეთუ კლიტენი სასახლისანი თანამეცხედრეს მისას, დედოფლის პირისფარეშს, მართა-ქალს აბარია, ცოლთან სურვილის მიზეზით, პარასკევ ღამეს დათუნა სასახლეში გაათევს... მამლის მესამედ ყივილამდე კარებებს გახსნის... ნიშანზედ ჩვენს ხალხთან ერთად სასახლეში ერისთვისა და ორბელიანის ერთგული ბიჭებიც შეცვივდებიან. თუ ღმერთმა ინება და კეთილის თვალით გადმოგვხედა, ერეკლეს თავი პაატა ბატონიშვილს დარჩების, გიორგი უფლისწულისა — დავითს, ლევანისა — ალექსანდრეს, იულონისა...

— კმარა-ღა, ადამიანო! — შეაწყვეტინა დიმიტრი ამილახვარმა. — ბალღთა სულების მოსაკითხად დრო მერმისინაც გვექნებაო.

— ჟამსა განკითხვისა სათნოება და გულჩვილობა არამც თუ კაცთაგან, არამედ ანგელოსთაგანაც აღარა ხამს, დიმიტრი ჩემო. მოსახდენი უნდა მოხდეს!... თუ უხსენებლის მოხშობაი გწადს, ნუცა წიწილთა მისთა და ნუცა კვერცხთა ნუღა დაინდობ, რამეთუ ჯერე ერთნი და მერმე მეორენი გესლითა დამყრელისა თვისისა აღივსებიან მოსაკვდინებლად ჩვენდა! ვითარცა უწინ თეიმურაზ, ხოლო მას უკან ძესლმან მისმან ერეკლემან საცხოვრისა ჩვენი გესლითა აღმოავსეს, ტახტი ქართლისა წარიტაცეს და სამწყსოი ჩვენი ბოგანოთა სამუსრავად დააგდეს... მერმე ერეკლემ ეგეცა ჰქმნა, ძეს შენსას, გიორგის, უკაცობა დასწამა, ასული თვისი თაფლობისავე თვეს უკანვე წაჰგვარა და პირმშო შენი თავსლაფდასხმული დაგირჩინა! აკი მაშინაც დაიქადე, თუ აღარ მოვკვდი და ფეხზედ წამოვდექ, მე ვიცი რასაცა ვიქმო!

თაქთაქიშვილი დადუმდა.

— წყეულიმც იყოს უკუნითი უკუნისამდე! — აღმოხდა არუშან დიასამიძეს.

— ამინ! — კვერი დაუკრა პაატა ბატონიშვილმაც.

სანთლების შუქი იქაურობას იდუმალებას ჰმატებდა — ალი დროდადრო ირხეოდა, შეთქმულთა ლანდებს კედლებზე უცნაურად აფარფატებდა...

ამასობაში ტახის ხორციც შემოიტანეს.

მარკოზაანთ დარბაზში სიჩუმემ დაისადგურა.

— მიირთვი, რა უამურად ზიხარ! — გადაულაპარაკა ივანე თაქთაქიშვილმა დათუნა ფეიქარს...

— დეკანოზაანთი მედარდების, არ ვიცი რად დაგვიანდნენ, ან ხმა აქამდე რად აღარ მოგვაწვდინეს. — თავი მოიკატუნა დათუნა ფეიქარმა, თან მწვადიც უმალვე გაწიწკნა, გაიფიქრა — ღმერთმან ნუ ჰქმნას, რომ გულის ნადებს ეგრე იოლად მიმიხვდნენო.

...კარებში მეფის ეჯიბი, მეღვინეთუხუციშვილი თომა გამოჩნდა.

— თუ მიკადრებთ? — იკითხა შორიდანვე.

ეჯიბის მოსვლა თანამოდასეებს ცუდად ენიშნათ.

— მობრძანდი, სტუმარი ღვთისაა! — თვალი მოჭუტა დავითმა აბდულა-ბეგის ძემ.

უბარათო სტუმარი სუფრასთან მიიწვიეს.

— გვადღეგრძელეო! — უბრძანეს...

თომა დაჯდა.

— ღვინო ხომ სამყოფი გაქვთ? — ეხლა ეს იკითხა გალიმებულმა.

— მაგის ნუ გენაღვლება, შენცა და შენს მანდატურებს, სუყველას კისრებს დაგტეხავთ. — ცივად გამოსცრა ალექსანდრემ, დიმიტრი ამილახვრის ვაჟმა.

— მაშ, თუ ეგრეა, მოდით, იმათაც

უხმოთ. — მშვიდად უპასუხა თომამ.

ნიშანზედ დარბაზში ეჯიბნი შემოიხირნენ, სუფრასთან მსხდომნი თავს ორ-ორად წამოადგნენ.

— ცოტანი ყოფილხართ. — სიმწრით ჩაიცინა არუშანმა.

— სხვები გარეთა დგანან. — მიუგო ეჯიბმა.

პაატა ბატონიშვილმა სარკმელს გახედა — ეზოში მართლაც ლაშქარი იდგა! ნირი წაუხდა.

— დაგვლოცეო! — უბრძანა მელიქნეთხუციშვილს.

თომამ ჯამს ჩახედა.

— ტყუილს არ გკადრებთ, ჩემი ლოცვა აწ ვეღარაფერს გიშველით. — სთქვა და წამოდგა.

ამილახვრის ძე წამოენთო.

წამოიჭრა...

— ამის ატანას სიკვდილი სჯობს! — დაიგმინა, ხელი ხანჯალზედ შეივლო, მაგრამ მანდატურებმა აღარ დააცალეს, შებოჭეს, მუხლებქვეშ ამოიდეს...

8.

საკრებულო პალატსა შინა, სადაც ერეკლემ სამართალი ჰქმნა და „ქალისა ხვარამზის გამო" დიდებულთა ქართლისათა თავს დიდი რისხვა დაატეხა, „ერი" იმ დღესაც უკლებლივ შეკრებილიყო. შეთქმულთა გასამართლებას, დიდგვაროვან თავადთა გარდა, აზნაურნი, ვაჭარნი, მოქალაქენი, ხელოსანნი და გლეხთაგან „პირველის სახლის შვილნიც" ესწრებოდნენ. წვეულთა შორის უცხოელიც ბევრი ერია — განსაკუთრებით პატრნი და სხვანიცა იტალიელნი...

დამნაშავენი მანდატურებს ხალხისგან განერიდებინათ, ცალკერძ დაესხათ, სავინიცობოდ თავადაც გარს შემორტყმოდნენ.

მეორე მხარეს დივანბეგნი ისხდნენ, შუაში — ანტონ კათალიკოსი და ეპისკოპოსნი სრულად: თბილელი, მანგლელი, ალავერდელი, წილკნელი, ნიქოზელი, ნინოწმინდელი, რუსთველი, ნეკრესელი, ბოდბელი, თიანელი სამთავნელი.

არცა ხელმწიფე და არცა დარეჯან დედოფალი სამსჯავროს არ ესწრებოდნენ — ადგილი მათი უკაცრიელ იყო!

კათალიკოსი წამოდგა.

სხვანიც უმალვე წამოიმართნენ. წამით იყუჩეს, სრულ სიმყუდროვეს დაელოდნენ.

— სარჩიელი მეფისა ირაკლისა ესე არს, — მშვიდად წამოიწყო პატრიარქმა და მშვიდადვე განაგრძო: — კარგა ხანია ცნეული გახლავთ, რაც ბიძამან და ბიძაშვილმან ჩემმან, ბატონიშვილმან პაატამან და ძმან აბდულა-ბეგისამან დავით და თანამედასეთა მათთა წინააღმდეგ ჩემისა და ჩემისა ოჯახისა განიზრახეს. ამისთვისცა გეაჯებით თქვენ, რათა სამართალი ჰქმნათ მათსა ზედა და მოყვარეობითა და რჩახურებითა ღვთისაითა და გინა ქართულისა და გინა უცხოთა მსაჯულებითა გამოიძიოთ ბოროტება ესე და საქმე მათი განსაჯოთ არა კერძოობითა, არამედ ჭეშმარიტებითა ღირსეულითა. ხოლო, მიხვედრილთა, ღვთის მოშიშეობით გამოავლინოთ, განაქიქოთ, გარდასწყვიტოთ და დაადგინოთ და აღბეჭდოთ უტყუარითა სიმართლითა წიგნთა საჭიროთა შინა, რამეთუ საუკუნოდ დაწერილ იქნეს, რათა შემდგომთა ჩვენთა დაუკვირდნენ და განერიდნენ მათ ვისგანაცა განრიდება ხამს და ამითა ჰქმნან მართლმსაჯულებანი უფლისა ჩვენისა. წერილ არს დღესა მეხუთესა დეკემბრისასა, ქრისტეს აქეთ წელსა ათას შვიდას სამოცდახუთსა.

ანტონმა დაასრულა.

აწ, სიტყვა მსაჯულთ ეკუთვნით, — დასძინა.

განაჩენის მოლოდინში პალატში მყოფთ სუნთქვა შეეკრათ.

— გამოიძიეს რა სიმრუდე ბოროტისა, დარბაზისელთა და მსაჯულთა დღესა ათსა ბჭობაი დიდი ჰქმნეს და დაადგინეს: რამეთუ შეითქვნენ რომელნიმე თავადნი და აზნაურნი ქართლისანი და აბარეს ბუშსა ვახტანგ მეფისასა პაატას და ბიძაშვილსა მისსა აბ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დულა-ბეგის ძეს დავითს, რათამცა წარეწყმინდათ მეფე ირაკლი და დაეპყრათ თვით მეფობაი ქართლისა. მსმენელმან ირაკლიმ შეიპყრო ისინი და პატიმარ ჰყო მეტეხის ციხესა შინა, ხოლო ერმან საქართველოისამ თანხმობითა სულიერთა კრებათაგან განაწესეს დასჯა მათი სიკვდილით!

პაატა ბატონიშვილმა თავი ჩაჰქინდრა.

— წყეულიმც იყოს ერეკლე და ნაშიერნიც მისი! — დაიგმინა დავითმა აბდულა-ბეგის ძემ.

დარბაზი შეირხა, აჩოჩქოლდა.

კათალიკოსმა ხელი შემართა, სიჩუმე ბრძანა.

— თაქთაქიშვილი ელიზბარ, — განაგრძო დივანბეგმა, — რომელმან ერეკლეს ცილი სწამა და გამეფებული ავაზაკი უწოდა. შთავარდეს გეენიასა შინა!... ყარაულსა ზედა შეისვას დიმიტრი ამილახვარი... არუშან დიასამიძეს დასთხარონ თვალნი და მოჰკვეთონ თითი საჩვენებელი... გლახა ციციშვილს მოჰგლიჯონ ენა!.. ხოლო შემდგომთა მათთა თავადთა, აზნაურთა და გლეხთა განუწესონ რომელთსამე ნასალითა განპატიჟება და რომელსამე ექსორიობა. თავადთაგან ესენი იყვნეს: თაქთაქიშვილი ივანე ძე ელიზბარისა, ამილახვარი ალექსანდრე ძე დიმიტრისა...

. . .

ანტონ კათალიკოსის წყალობით ანჩისხატის არბიდიაკვნად ამაღლებულმა ჭაბუკმა ბერმა, გვარად თაყაშვილმა, გამთენიისას ეკლესიის ბჭესთან დავარდნილი ყმაწვილი ქალი შენიშნა. წამოაყენა...

— ავი ხომ არაფერი გჭირს, დაო ჩემო? — ჰკითხა დაყვავებით.

— არაფერი. — ამოიკვნესა ქალმა. თან ჭაბუკ ბერს მადლიერად ახედა, დიდრონი, სევდიანი თვალები შეანათა. მერე ძაძის კალთა აიკრიფა, წავიდა, ქუჩაბანდს გაჰყვა.

ჭაბუკმა ბერმა უცნაური სასოება იწვნია — მიმავალს მზერა ველარ მოსწყვიტა, გული აუჩქროლდა, შელონებული ეკლესიის კედელს მიეყრდნო, პირჯვარი გადაისახა.

— დიდ არს ძალა შენი, უფალო! აღმოხდა.

ყმაწვილი ქალი მოსახვევს გაცდა, თვალს მიეფარა.

აიდე იყო — არუშან დიასამიძის მშვენიერი ქასული!

. . .

დღე-ღამიერმა ულევმა ჯაფამ და შემზარავმა განცდებმა ჰარმაგ მეფის დამბლა კინაღამ დასცა — სისხლი აუჯანყდა. გულისცემამ უხშირა, თავის ქიცინმაც გაუხსენა. ამიტომ მეფე ბნელს იჯდა, კეფასა და ფერხთა ზედა წურბელნი ესხდნენ.

— არუშანის ქალი თავს იკლავს, ღამეებს სასახლის ბჭესთან ათენებს, შენი ხილვა სურს, სტირის: მამისთვის აღარას ვჩივი, ხელმწიფემ საქმრო მაინც მიპატიოსო. — უთხრა დარეჯან დედოფალმა ერეკლეს და ქმრის დასახედად შემოსულმა სარკმელს დარაბა შეხსნა.

ავადმყოფს შუქი არ ეამა. თვალნი მოჭუტა.

— საქმრო ვინა ჰყავს? — იკითხა უნდომელმა.

— დიმიტრი ამილახვრის ვაჟი, ალექსანდრე. — უპასუხა მეუღლემ.

მეფე ჩაფიქრდა.

— არც მიკვირს. ყმაწვილი ესე მეც მამაცი მეჩვენა, — ჩაილაპარაკა მცირე ხნის მერე და დარეჯანს მცდელობით გახედა.

— ამიტომაც გთხოვს. — გაეღიმა დედოფალს. — ამბობს: შეუძლოდ მყავ, მეფის სურვილით ბეგლარაანთ ვაჭრის სახლში წევს, მანდატურთაგან უწყალოდ ნაგვემს სიცხე დიდი აქვსო.

ერეკლე კვლავ ჩაფიქრდა...

— ვაი, თუ გვიან-ღა იყოს. — ამოიოხრა, დედოფალს მიუბრუნდა. — სცადე, შენ მაინც შენი ჰქმენ, დასტური მიეც, საბუთიც სიჩქარით შეუდგინე, უთხარ: ერეკლემ მოწყალება მოიღო, სიჭაბუკის გამო აპატია-თქო...

საკანში ექიმი და დალაქი შემოვიდნენ. მეფე-დედოფლის წინაშე ქედი მოიხარეს.

დარეჯანმა მოსულთ სალმითვე უპასუხა.

გავიდა, კარი გაიხურა.

9.

ხელმწიფის მანდატურებმა ვირზე უკუღმა გადამჯდარი დიმიტრი ამილახვარი დასასჯელთ წინ წარუმძღვანეს. მერმე შეთქმულნი მეტეხიდან მოედანზე ჩამოატარეს და რიყისკენ გარეკეს...

ხალხი შფოთავდა, მეფის ორგულთ ზიზღითა და წყევლა-გინებით მიაცილებდა. ვირზე ანუ ყარაულზე უკუღმა შესმულს პატივს არ აკლებდა — ხსენსა და ტალახს ესროდა, ათახსირებდა.

— რაც ბერი, ისიც ერიო! — მიაფურთხა ბრბოს მოხუცმა თაქთაქიშვილმა.

სხვანი მორჩილად ვიდოდნენ, მოსეირეებს პირს არიდებდნენ.

. . .

რიყის უბანში, მტკვრის პირას, სადაც შეთქმულნი უნდა დაესაჯათ, დილიდანვე ზღვა ხალხი შეკრებილიყო. ჯალათნიც ადრევე მოსულიყვნენ, საზარი ხელსაწყოებიც თან მოეტანათ, საკოცონე შეშაც რახანია განემზადებინათ.

— მოჰყავთ! — გაისმა საიდანღაც.

შეთქმულთა გამოჩენისას ყველა ერთბაშად გაისუსა.

ახლოვდებოდა განკითხვის ჟამი!

მანდატურებმა წრე გაშალეს.

დასასჯელნი ერთმანეთს ბლავილითა და გოდებით გამოეთხოვნენ.

მერმე ეს მოხდა — ჯალათნი დაფაცურდნენ — მოხუცი თაქთაქიშვილი ბოძზე გააკრეს. ირგვლივ მორები შემოუწყვეს, ცეცხლი შეუნთეს.

მერე პაატა ბატონიშვილი და აბდულა-ბეგის ძეც წამოაქციეს, თავწასაკვეთად განამზადეს.

არუშანს თვალნი დათხარეს.

წამს ზეით იქაურობა არაადამიანურმა გმინვამ და გოდებამ გაავსო.

. . .

ზემოუბანში მდებარე დიდვაჭრიანთ სახლს, სადაც სნეული ალექსანდრე ერეკლეს სამკურნალოდ განეწესებინა, ეშიკაღასის მარჯვენა ხელი, მელვინეთხუციშვილი თომა ეწვია. თან „ექიმიც“ მოიყოლა...

— რა გნებავთო?! — გაკვირვებით ჰკითხა სახლის პატრონმა — დიდვაჭარმა გოსტაბაშ ბეგლარიშვილმა.

— სნეულის ნახვა გვსურსო. — უპასუხა „ექიმმა“.

— აქეთ მობრძანდითო. — გზა მისცა მასპინძელმა.

„ექიმი“ და მანდატური ავადმყოფთან შევიდნენ, კარიც შეიხურეს.

მელვინეთხუციშვილი სახლის პატრონთან დარჩა, სკამი მოსძებნა, ჩამოჯდა, თავი მუხლებში ჩარგო.

. . .

მანდატურებმა სნეულს საბანი გადახადეს.

„ექიმმა“ სამართებელი განამზადა.

— რას მიპირებთ? — ჰკითხა ალექსანდრემ.

— ნუ გეშინია, — უპასუხეს, — მარჯვენა ფეხზე დიდი ძარღვი უნდა გადაგიჭრათ, თან ცხვირიც უნდა გაგაცილოთო...

წამოაყენეს, ხელები ზურგზე შეუკრეს, ტალანში დასვეს, დანაპირები სასწრაფოდ აუსრულეს.

მერე თოკი შეხსნეს, გულწასული კვლავ საწოლში ჩააწვინეს, პირი თავშალით შეუხვიეს, ფეხი კი — წინდით. „მკურნალობას“ რომ მორჩნენ, კვლავ იმ ოთახში გამოვიდნენ, სადაც ნირწამხდარი მელვინეთხუციშვილი იჯდა.

მასპინძელს გულმა რეჩხი უყო.

— მაგ ყმაწვილის სისხლს ჩემს სახლში ნუ დაღვრითო. — ტირილით შეევედრა დიდვაჭარი თომას, ეშიკაღასის მარჯვენა ხელს.

— ტყუილა სტირი, მოსახდენი უკვე მოხდა. — მიუგო „ექიმმა“.

კარი გაიღო.

ოთახში აიდე შემოვიდა. ნარბენი

სულს ძლივს-ღა იბრუნებდა. მანდატურების დანახვაზე გაშრა, გაშეშდა. ერეკლე მეფის ბეჭდიანი საბუთი ხელში შეაცივდა.

— რა ჰქენით? — იკითხა გაფითრებულმა.

არ უპასუხეს.

დიასამიძის ასული ავადმყოფისკენ წავიდა. კარი შეაღო. შეჰკივლა, ჩაიკეცა.

. . .

იმ ღამეს დიდი თოვლი მოსულიყო.

დილით, გამთენიისას, დათუნა ფეიქარმა, მართა-ქალმა და სიკეთე-კოლამ ერეკლესგან შერისხული საბრალო არუთინა თბილისის კარიბჭემდე მიაცილეს. ბერის სამოსელში გამოწყობილს მხურვალედ გამოეთხოვნენ, სიკეთე-კოლას ნაწყალობევ ვირის ურიკაზე შესვეს და ახპატის მონასტრისაკენ მიმავალ გზას გაუყენეს.

— ნეტა არ გამეგო მე ის ქართული,
წადი, ჭუჭყიანი ხალიჩა ხარო!

კიდევ კარგა ხანს ესმოდათ ახალდათოვლილ ბორცვზე შემდგარ გამცილებლებს არუთინას გულსაკლავი, მტირალი ჰანგი.

...წადი, ჭუჭყიანი ხალიჩა ხარო!

10.

სამი გამალებული მხედარი ცხენებს დაუზოგავად მიაჭენებდა. მეწინავე თომა იყო — მელვინეთხუციშვილი. ჩქარობდნენ. მოკლეებზე ვიდოდნენ, უგზოობასაც აღარ ერიდებოდნენ.

ბორცვნი დალახნეს.

მოდიდებული მდინარე გასტოპეს და...

ახპატის მონასტრისკენ მიმავალ აღმართს შეუყვნენ.

ადრიანი გაზაფხული იდგა. ბუნება სადიდმარხვოდ განმზადებულიყო...

. . .

მარტის პირველი კვირა ხელმწიფემ და კათალიკოსმა ბორჩალოს მხარეში გაატარეს. იმ დღესაც ახტალას იყვნენ, ჭაბუკი ლევან ბატონიშვილიც თან ახლდათ. სპილენძის, ვერცხლის და ოქრო-ნა-ქვის საბადოებს ათვალიერებდნენ.

ერეკლე კმაყოფილი სჩანდა. მადნის მოპოვების საქმე, მართლაც რომ შესანიშნავად იყო გამართული! იმერეთიდან ლუკმა-პურის საშოვნელად გადმოხვეწილი ბოგანო გლეხები და არაფრისმქონე უსახლკარო ლუთები მაღანს მაღაროდან გოდრებით ეზიდებოდნენ, ურმებზე ჰყრიდნენ და ჩინებულად გაწყობილ სადნობი ღუმელებისკენ, ანუ ქარხნებისკენ მიჰქონდათ. გზაც დიდებული გახლდათ.

სამთო-საქარხნო საქმეს ამ შვიდიოდე წლის წინათ ერეკლეს მიერ ანატოლიიდან საგანგებოდ ჩამოყვანილი ბერძენი ხელოსნები განაგებდნენ. მათი ზემდეგი ანასტას თედორიდი, გვარად ჰაჯიფოტუსი, „სტუმრებსა“ და ადგილის მეპატრონეებს — სოლომონ და არშანდირ მელიქიანებს წინ მიუძღოდა.

— წლიური შემოსავალი, მეფევ ბატონო, ოთხმოცდათორმეტ ფუთ ვერცხლზედ ორ ფუთამდე ოქრო გამოვა; ერთ ყვითელ ფულზე, ხუთ-ხუთ მანეთობით რო ვთქოთ, ორმოცდათხუთმეტი ათასი გროვდება. ვერცხლისაც კიდევ ოცდაორი ათასი. სუ სამოცდაჩვიდმეტი იქნება. აქედან გასავალი: ქვილი, ლორი, საჩუქრები, ლალუში, ათას მუშაზე ოცდასამი ათასი მაინც დაჯდება. ეგრე, რომ ორმოცდათოთხმეტი ათასი მანეთი სუფთა მოგება რჩება! — უანგარიშა მეფეს ანასტას ჰაჯიფოტუსმა.

— ეგ მერმედ იყოს. ეხლა ის მიქვირს ლეკმა რო თავი დაგანებათ, კარგა დიდი ხანი იქნება არ დაურბევიხართ?! — ღიმილით მიუბრუნდა ერეკლე სოლომონ და არშანდირ მელიქიანებს.

— ხუდიას შიშით აქ ლეკს რა უნდა!? — ღიმილითვე მიუგო არშანდირმა.

— ბიჭოს?! — გაიკვირვა ერეკლემ.— ხუდია ვინღა ბრძანდება?...

— ბორჩალოელი ხუდია, მეფე ბატონო, მიკვირს რომ აქამდე არ გაგიგონიათ?! — იხუმრა სოლომონ მელიქიანმა.

— ლეკები თუ უფრთხიან, ერეკლეზე დიდი ვაჟკაცი ისა ყოფილა. — ჩაიცინა კათალიკოსმა.

— ეხლავ აქ მომგვარეთ! — სიცილითვე ბრძანა ხელმწიფემ.

ანასტასი და მელიქიანნი დაფაცურდნენ.

. . .

მეღვინეთხუცისშვილმა გახვითქული ცხენი ახპატის გზიდან თავქვე მიმავალ ბილიკზე გადაიყვანა. მხლებლებიც მიჰყვნენ.

. . .

ამასობაში, მაღაროდან ვიღაც გამურული, ტლუ ჯეელი გამოიყვანეს. ერეკლეს მიჰგვარეს.

ხუდია მართლაც ჩინებული ვაჟკაცი ჩანდა, წარბს ზეით მამაცობის ნიშანი — ნაიარევი ეტყობოდა. ოცდახუთი წლისა თუ იქნებოდა, მეტისა არა.

— ხმალი სადა გაქვსო? —, ჰკითხა ერეკლემ.

ხუდიამ ქამარი წელზევე შემოიბრუნა, უკან მოქცეული მახვილი წინ გადმოიგდო.

— აქა მაქვსო. — დაანახა მეფეს.

— მართლა ხუდია ყოფილაო. — ჩაილაპარაკა კათალიკოსმა.

ლევან ბატონიშვილს სიცილი აუვარდა.

მეფემ კოპები შეიკრა.

— სწორნი რომ ვიყვეთ, ფეხდაფეხ შევებათ თუ ცხენდაცხენაო?

— თუ საქმე სწორობაზე მიდგება, ხელმწიფე ხარ, შენ უნაგირზე შებრძანდი, მე დაჩოქილი დაგიხვდები. — მიუგო ხუდია ბორჩალოელმა და ერეკლეს წინ მუხლი მოხდენილად მოიყარა.

მეფეს ხუდიას ქცევაცა და პასუხიც მოეწონა. შუბლი გაეხსნა, სახეზე ღიმილი მოეფინა.

ნაგზაურმა მხედრებმა ცხენები მაღაროსთან მოაგდეს. ჩამოხტნენ. თომა მეღვინეთხუცისშვილი ხელმწიფესთან მიიჭრა, უსტარი გაუწოდა.

— ვისგან არის? — ჰკითხა ერეკლემ.

— გიორგი ბატონიშვილმა გააახლათ. — უპასუხა თომამ.

ერეკლემ წერილი გახსნა, თვალით ჩაიკითხა.

— ხომ მშვიდობაა? — ფრთხილად შეესიტყვა კათალიკოსი.

— რუსეთის ელჩი, თავადი ბეზსონოვი, სულთანს სტამბოლშივე შეუპყრია ჩემთვისაც მოციქული უახლებია. კეთილ მეზობლობის დასტურსა მთხოვს. ეჭვი არაა რუსეთთან შებმას აპირებს. — დაუფარავად უპასუხა ერეკლემ. მერე უსტარი დაკეცა, უბეში შეინახა და კვლავ ჰაჯიფოტუსს მიუბრუნდა.

— მაშ ორმოცდათოთხმეტი ათასი, არა?

— დიახ, მეფეო. — დაუდასტურა თედორიდმა.

— არ ივარგებს. — იცოტავა მეფემ.

. . .

შეღამებისას ახპატის მონასტერს ვინმე ეული ცხენოსანი მიადგა, ჩამოქვეითდა.

წირვიდან გამოსულმა ბერებმა მხედარს ცხენი ჩამოართვეს, სადაურობა და გარჯის მიზეზი ჰკითხეს.

— არუთინა მინდა, ტფილისიდან ვარ. — უპასუხა მხედარმა.

— ძმა არუთინა ავადა გვყავ, აგე იმ საკანში გვიწევს. — მიასწავლეს სტუმარს.

ერეკლეს მიერ ამ ოთხიოდე წლის წინათ ბერად აღკვეცილი საბრალო არუთინა მართლაც შეუძლოდ იყო, საწოლზედ წამომჯდარს გვერდით სანთელი ედგა, წერდა — სიჩუმეში კალამს აწრიპინებდა. კარის ჭრიალმა შეაღონა, თავი ასწია, მოსულს სანთელი შეანათა. კარგახანს უმზირა, ეგებ თვალი მატყუებსო, — გაიფიქრა...

— ლეონ, შენაო! — აღმოხდა ბოლოს.

— მე ვარო. — უპასუხა ბატონიშვილმა.

არუთინა წამოიჭრა, ყმაწვილ კაცს მხურვალედ ჩაეხვია, გულში ჩაიკრა.

— ეს რამოდენა გაზრდილხარო. — აქვითინდა.

ცრემლი უფლისწულსაც მოერია.

— ავად რადა ხარო? — მოეფერა ბერად აღკვეცილ მგოსანს.

— სიბერითა ვარო. — შესჩივლა საიათნავამ.

უფლისწულმა უბიდან განასკვული დარაია ამოიღო, გაუწოდა.

— ანახანუმ დედოფალმა მოგართვათო. — უთხრა.

არუთინამ საჩუქარი ჩამოართვა, ნაზად აკოცა, გახსნა, გაშალა. შიგ ლარები იყო.

— ჩვენი ირმისა არისო. — დასძინა უფლისწულმა.

— რად დაკალითო. — გული მოუკვდა არუთინას. კვლავ წამოდგა, მივიწყებული ჭიანური მოსძებნა, ლარები შეუცვალა, გამართა. — მეფე თავისთან ხომ არ მიხმობსო? — ვერ მოითმინა რომ არ ეკითხა. პასუხად უარი მიიღო. კვლავ აქვითინდა, მერე საწოლზე ჩამოჯდა, ქამანჩა მოიმარჯვა...

— შევარდენო, რად გარჯილხარ
ტყავგახდილი მელისათვინ?
თვალები ალმასს მიგიგავს, ნისკარტი
გაქვს გველისათვინ,
წადი, ახალი მოძებნე, ფრთას ნუ გაშლი
ძველისათვინ!
რა დავჯდე და რა ვიტირო! რომელ ერთი
ნაღვლისათვინ?
ჩემსა გარდა ოცდაორსა სხვას ამბობენ,
მართალია?..

გაისმა არუთინას ტკბილი სევდიანი სიმღერა.

. . .

ერეკლეს ვარაუდი სწორი გამოდგა.

1769 წლის 23 იანვარს ყირიმის ხანმა ქერიმ გირეიმ უკრაინის ასაოხრებლად ცხენოსანთა ასიათასიანი ლაშქარი დასძრა!

11.

მარტმა თავისი ჰქმნა, ძალღონე მოიკრიფა, ვერეს ხეობას ჩაყოლებული ტანდაბალი ჩოფურა შინდები და ნუშის ნაზამთრალი, რტოსპეტაკი ხეები ერთბაშად ააფეთქა, აანთო, [illegible]

მზიანი დარი იდგა.

დიდუბეს გამოცდენილი რუსი მხედრები ბორანზე ცხენებიანად შედგნენ, მტკვარი გადმოლახეს და მდინარე ვერეს შესართავთან, სატივე უბანში, ჩამოინაცვლეს.

სამხრეებითა თუ ელვარე აქსელბანტებით დამშვენებულ, ულვაშა პორუჩიკსა და მის მხლებლებს მებორნე ბიჭი მორიდებით უჭვრეტდა, თვალს ვერ აცილებდა...

პორუჩიკმა ჯიბეში უზალთუნი მოიძია, ბიჭს გადაუგდო.

— რა გვარისა ხარ? — ჰკითხა ქართულად.

— ვაჰ, მე?! — გაოცებით აღმოხდა ყმაწვილს, — რუსნი მეგონენით. — ჩაილუღლუღა გაწბილებულმა და სინანულის დასაფარავად, ნაჩუქარი უზალთუნი სახელოზე შეიპრიალა.

ჩვენი რუსობა რას გარგებდა, რო?... — ახლა გულისყურით ჩაეკითხა პორუჩიკი.

— რა ვი... ეგების არც გვარგებდა, მაგრამ.. — დაიბნა ბიჭი, — კენჭოანნი გახლავართ, ბარათაანთ ყმანი — წელანდელ კითხვას მხოლოდ ეხლა-ღა უპასუხა შეცბუნებულმა და მდინარესთან ჩაცუცქულ, თავგადაპარსულ ხალიჩების მრეცხავ თათარს ალმაცერად გახედა.

— მყრალ ალიას იორდანის წყალში განბანილი რუსი გერჩივნოსო, ეგრე ამბობენ... — დასძინა ეშმაკურად.

პორუჩიკს გაეცინა. ცხენს დეზი ჰკრა, აღმართს შეუყენა.

დანარჩენებიც მიჰყვნენ.

მრეცხავმა ალიამ ცხენოსნებს თვალი გააყოლა, კარგა ხანს უცქირა. მერმე წყალში ჩაფენილი ვეება ქილიმი ხალიჩა ნაპირზე გამოათრია და მუქარით ჩაილაპარაკა:

— მაშ, მყრალ ალიას რუსი გერჩივნოსო, არა!

. . .

პორუჩიკ ხვაბულოვსა და მის მხლებლებს თბილისის კარიბჭესთან რამდე-

ნიმე ცხეხოსანი შემოეგება.

— ქალაქში რუსულის ტანსაცმლით შებრძანება არა ხამს, თავადო! — სალამთან ერთად ესეც მოახსენა ცხენოსანთა მეთაურმა სტუმარს და მოწიწებულის ღიმილით დასძინა: — ჩვენებურ ჩოხას, ალბათ, მონატრულიც იქნები და თუ საწყენად არ დაგრჩებათ, ეგ თქვენი მუნდირები ჩოხებზედ გადასცვალეთ.

ხვაბულოვმა გაოცება ველარ დაჰფარა. თან დამხვდურიც ეცნო, დააკვირდა...

— მელვინეთხუციშვილი გახლავარ, თავადო, თომა მქვიან. გახსოვს, ასტრახანს, სულმნათი მეფის თეიმურაზის დაკრძალვის დღეს, ტაძარში გვერდიგვერდ ვიდექით. მაშინაც ვინაობა მკითხეთ და, ეტყობა, მეხსიერებაც კეთილი შეგრჩენიათ, შვიდი წლის უნახავი რო კვლავ მომიგონეთ და აღარ დამივიწყეთ. — შეაშველა ხვაბულოვს ციციანთ აზნაურიშვილმა თომამ.

პორუჩიკმა ქათინაური შეიშნო.

— ბარემ კი გიცან, მაგრამ... ე, მუნდირების ჩოხებზე გადაცვლა რაღას მოასწავებს?! — ჰკითხა დაეჭვებულმა.

— არც რას. — კვლავაც ღიმილით დაუყვავა თომამ, — სიფრთხილისა არის, თავადო. ეს თვეა ქალაქში ოსმალო ელჩი დგა, მეფის თანხმობას ელის. ერთგულებასა სთხოვს, ნამუსზედ აგდებს, ემუდარება, ადრეც ჩვენი მორჩილი იყავ და ეხლაც კეთილი მეზობლობა ჰქმენ, ამ გაჭირვების ჟამს რუსს ნულა შეუდგებიო.

— მეფემან რაო? — ახლა ეს ჰკითხა პორუჩიკმა.

მელვინეთხუციშვილმა მხრები აიჩეჩა.

— მეფისა არრა ვუწყი. — თქვა, მერე ჩაიღიმა, ხელი ულვაშზე შეისვა, — ამბობენ, პასუხის მოლოდინში ოსმალო ელჩი უგუნებოდა ზისო.

დაიძრნენ. გეზი აშიკალაბაშის, ანუ მანდატურთუხუცესის სადგომისკენ აიღეს.

. . .

ხვაბულოვს ბინად ანჩისხატთან მდებარე, ორსენაკიანი მცირე ნაგებობა დაუთმეს. სამყოფელი ესე, იმჟამად პატრიარქ-კათალიკოს ანტონის უსაჩინოეს მოწაფეს, არქიდიაკონ გაიოზს ეჭირა. ამიტომ საპატიო სტუმრის მოვლა-მასპინძლობაც მასვე მიანდეს და საიმისო სახსარიც საკმაოზე მეტი გაუჩინეს. გაიოზი მაშინ ოცდასამი წლისა იქნებოდა, მეტისა არა. ხმელ-ხმელი გახლდათ, ტანადი, შავწვეროსანი. თვალებიც შავი ჰქონდა — ელვარე, შთაგონებული — ნიჭიერთა თუ სულით მდიდართათვის ჩვეული ლმობიერებით ალსავსე.

ნასადილევს, არქიდიაკონი და მისი სტუმარიც სახლის წინ, ქვემო-ბანზედ ისხდნენ.

შუადღე კარგა ხნის გადასული იყო.

ხვაბულოვს, რომელიც წარმოშობით თავად ქვაბულიძეთა განთქმულ გვარს ეკუთვნოდა, რუსული მუნდირის ნაცვლად, ტანთ ვერცხლის ქამარ-ხანჯლითა და ვერცხლისავე მასრებით გაწყობილი, ანგორული შალის ძვირფასი ჩოხა ემოსა.

იგი ტახტს მიფენილ ხალიჩაზე იჯდა, მუთაქებს შორის მადლიანად მოკალათებულიყო.

გაიოზი კალმის წვერს ცდიდა — საწერად ამზადებდა.

— გაიოზ... გაიუზ... გაიუს... სახელი სწორედ რომ პატრისა გაქვს. — ამოატანა ნაფიქრალს ხვაბულოვმა.

— მართალი ბრძანებაა. — ღიმილით დაეთანხმა დიაკვანი, — მაგრამ სარწმუნოებით ჯერ ისევ მართლმადიდებელი გახლავართ. — დასძინა ღიმილითვე და სტუმრის წადილს მიხვედრილმა, საუბარიც შესაფერისად წარმართა. — წინაპარნი ჩემნი, გურულ აზნაურთაგანნი, თაყაიშვილნი, სხვა გვარისანი ყოფილან. ქრისტეს საფლავსა ზედა მირონცხებული პაპისა პაპა ჩემი იოსები, შემდგომში იერუსალიმელად წოდებული, აჭის მონასტერს, თურმე, ჯერ კიდევ გურიელ ქაიხოსრო პირველის დროს წინამძღვარობდა. იოსების მე-

რე წინამძღვრობას ძმისშვილი მისი, თაყას ძე ნიკოლაოს შესდგომია. კვალად ნიკოლაოსისა აჲის მონასტრის წინამძღვრად, ანუ აჲიელად, ძმაი პაპისა ჩემისა, თაყასაშვილი იოსებ დაუდგენიათ. მალე იგი შემოქმედელადაც უაურთხებიათ და ეპარხიაც მისთვის მიუნდიათ... მამაჩემი იესე მოთარეში თურქებს ჯერ ისევ ყმაწვილობისას გაუტაცნიათ. სხვა ტყვეებთან ერთად ახალციხეს გადაულალავთ და გასასყიდად განმზადებული ვიღაც მდიდარი მამლუქისთვის უჩვენებიათ. მამლუქი ჩვენებური ყოფილა, მამაჩემისთვის ვინაობა გამოუკითხავს, მერე შეუსყიდნია კიდეც და გერმანოზ ბარათაშვილისთვის გადაულოცავს — კარგი ბიჭია, შენა გყვანდეს, ეგებ ჩვენს სისხლისგან დაცლილ მამულსაც გამოადგესო. გერმანოზს მამაჩემი მოსწონებია, თან წამოუყვანია, პირმშოსავით გამოუზრდია. სოფელ შინდისთან მისთვის მცირე მამულიც უბოძებია. მერმე ვაგოშოშვილის ქალზედ დაუქორწინებია და ძეობისას ნათელ-მირონსაც შეჰპირებია... ხანს ზეით, ისიცა და ჩემი საწყალობელი მშობლებიც ჟამიანობას გადაჰყოლიან. დაი ჩემი, სალომე, ადრე გათხოვილა. ნაცვლიშვილს გაჰყოლია, მეც თან წარუტანივარ და გერმანოზისგან ნაბოძები მამული ჩემი უფროსი ძმებისთვის, იესესა და ვახტანგისათვის დაუტოვებია...

— ჩუ!.. — გაფაციცდა ხვაბულოვი, სიჩუმეს მიაყურა.

— თული, ჰაი, თული! — მოისმა შორიდან, — ქურდია, ხალხო! მპარავია, მპარავი...

გაიოზმა კალამს თავი მიანება, წამოდგა, ალაყაფს მიაშურა.

მოსახვევში ყმაწვილი ქალი გამოჩნდა. ფეხშიშველი იყო, კაბის კალთები ბარძაყებამდე აეკრიფა. აღმართაღმართ მორბოდა, პერანგშემოხეული დამხვდურებს ხელიდან უსხლტებოდა, კვნესოდა, წკმუტუნებდა, იკბინებოდა... თან შიშველი სხეულის დაფარვასაც ლამობდა. ხელოსანთა რიგს რომ გამოცდა, ანჩისხატისკენ წამოვიდა.

—მღვდელო, მიშველეო! — შეევედრა ალაყაფთან მდგარ არქიდიაკონს და ეზოში შეჭრილი პირდაპირ ხვაბულოვს ეცა, კინაღამ წააქცია. მერმე მოსავებულივით დაბარბაცდა, წაიფორხილა, ქვედაბანზე მიიქცა და სენაკში ხოხვით შეიმალა.

მდევარი ალაყაფს მოაწყდა.

ოსმალთა ელჩის ხალხსა ჰგვანდნენ.

ხვაბულოვი მომხვდურთ წინ აღუდგა, ხელი ხანჯალზედ იტაცა!

შედრკნენ...

ამასობაში ქუჩაბანდი ხალხით აივსო. მერმე რამდენიმე ცხენოსნით ხლებული ოსმალთა ელჩიც მალევე მობრძანდა და მთელის თავის ღირსებით ხვაბულოვის პირისპირ აღიმართა.

— ჰაჯი-ეფენდი წყრება, ქალი ჩვენიაო! — განუცხადა თავადს თარჯიმანმა.

ხვაბულოვმა მხედართა შორის თავგადაპარსული ხალიჩების მრეცხავი იცნო, დააკვირდა...

— მე სტუმარი ვარ, ეს სახლი ანჩისხატის არქიდიაკონს გაიოზს ეკუთვნის. — გამოსცრა ცივად.

ჩოხოსანი თავადის მხნე ქართულმა ოსმალო ელჩი დააეჭვა, თვალით იმანაც ხალიჩების მრეცხავი მოძებნა.

ხოტორა ალიამ თავი ჩაქინდრა.

ჰაჯი-ეფენდიმ ცხენი მოაბრუნა.

— მომყევითო! — ანიშნა მისიანებს და იქაურობას უსიტყვოდ განერიდა.

გაიოზმა ალაყაფის კარი მიხურა — ბრბოს ცხვირწინ მიუკეტა, ჩარაზა.

. . .

ხვაბულოვის გაოცებას საზღვარი აღარ ჰქონდა, როცა სენაკში შესულმა, ლტოლვილი ქალი ველარსად მოიძია. ხოლო მის რუსულ მუნდირს, რომელიც კვლავინდებურად ძველს ალაგს ეკიდა, ცალი ეპოლეტი აკლდა.

— ფუი, ეშმაკს! — აღმოხდა პორუჩიკს.

გაიოზმა პირჯვარი გადაისახა.

. . .

ქვეყანა კარგახნის მიძინებული იყო, როცა მოთარეში ლეკთაგან ხელმოცა-

რული ჰარმაგი მეფე ნავთლუღის ციხეს მოუახლოვდა.

დაღლილს ცხენზედვე ეძინა.

მხარმარჯვნივ ქველადხსენებული მეომრის, ოთარ ვაჩნაძის ღირსეული ძე ლუარსაბი და ერისთვისშვილი ალაბაბა ამოსდგომოდნენ. მხარმარცხნივ — სვიმონ მუხრანბატონის ვაჟი ნასაღჩიბაში და ხუდია ბორჩალოელი — „ჩინებული, ანუ მამაცი ყოველსა საქართველოსა ზედა“.

მათ მერე „შვიდნი ხევსურნი“ მოდიოდნენ — მეფის მცველთაგან უგულადესნი.

მერმე — ლაშქარი.

დახოცილთა გვამები ურმებს მოჰქონდათ.

მეციხოვნე გუშაგებს უსიტყვოდ ჩაუარეს.

ჯარის ნაწილი ნავთლუღს დასტოვეს, სხვანი ისნისკენ წამოვიდნენ.

სადღაც მამალმა შუაღამისას იყივლა.

. . .

გამთენიისას, გაიოზ-არქიდიაკონმა ცხენი მომცილებელ მანდატურს თან გაატანა, ალაყაფს კარი სიფრთხილით მიუგდო, ეზოც უ`მაუროდ გაიარა და სენაკში, ხატის წინ მუხლებზე დაეცა....

— ღმერთო მაღალო! მოხედე მოყვასსა შენსა ერსა ბედკრულსა ქართველისასა, რამეთუ სისხლითა სრულად დაწრეტილ არს და არცა საშველი რამე არსაიდან სჩანს...

სანთლის შუქმა ხვაბულოვი გამოაღვიძა.

— სად იყავ, ვერცა წასვლა შენი და ვერცა მობრძანება რომ ვეღარ შევიტყვე?! — ჰკითხა გაკვირვებულმა.

გაიოზი დადუმდა. პასუხი შეაყოვნა. მერე უნდობლად წამოიწია. საწოლს მიენდო, ბალიშზე მიესვენა...

— იმ ქვეყნად ვიყავ. უფალს გმირთა სულებს ვაბარებდი. — ჩაილაპარაკა ნაღვლიანად და გულმოკლულმა, ცრემლიანის ხმით დასძინა: — მეფე ხელმოცარული დაბრუნდა. დახოცილნი უთენია დავფალით, წესიც ხალხის უჩუმრად ავუგეთ...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

12.

პორუჩიკი ხვაბულოვი და მანდატურთა მცირე რაზმით მხარდამშვენებული თომა მელვინეთხუციშვილი ერეკლეს სასახლეს შებინდებისას მიადგნენ.

აპრილის გრილი, სურნელოვანი ამინდი იდგა.

პორუჩიკი ჩამოქვეითდა, ცხენი ფარეშს მიანება და სასახლის კარიბჭესთან შემოგებებულ მესტუმრეთუხუცესს ჰიშკარში მოწიწებით შეჰყვა.

ეზო მდუმარედ გაიარეს. მოფარდაგებულ კიბეებს შეჰყვნენ და ბანზედ გასულნი კარს იქეთ გაუჩინარდნენ.

. . .

— მისი უდიდებულესობის იმპერატრიცა ეკატერინე მეორის საგანგებო რწმუნებული, ჰუსართა ქართული პოლკის პორუჩიკი, თავადი ქვაბულიძე გეახლათ. — მოახსენა მესტუმრეთუხუცესმა მეფეს.

დარბაზში ოთხნი იყვნენ — ერეკლე, მამიდაშვილი მისი კათალიკოსი ანტონ, მემკვიდრე უფლისწული გიორგი და მეთვრამეტე გაზაფხულს მიტანებული, ბატონიშვილი ლევან.

ანტონმა სტუმარი დალოცა, პირჯვარი გადასახა.

ხვაბულოვი ხელზე ემთხვია.

—დაბრძანდით! — ანიშნა მეფემ.

დასხდნენ.

— ნეტავ ჰუსართა ტანსაცმელში მეხილეთ. — შეჰლიმა ლევან უფლისწულმა პორუჩიკს.

— რას იზამ, ბევრი ვიომე, მაგრამ მელვინეთხუციშვილთან მაინც ვერაფერს გავხდი. — ღიმილითვე მიუგო ხვაბულოვმა.

გაეცინათ.

დარბაზში სიკეთის ანგელოსმა დაისადგურა.

— დიდად არა გიჭირს რა, ჩვენებური ჩოხაც მეტისმეტად გშვენის! — მხიარულად შეესიტყვა ერეკლეც და

სტუმარი მოწონებით შეათვალიერა.

ხვაბულოვს შერცხვა, შეიშმუშნა.

მეფე დაღლილი სჩანდა, უძინარი.

— მპყრობელმან იმერეთისამ სოლომონ მდაბლად თაყვანი გცა. წრფელითა გულით ესამბორა და სურვილითა დღეგრძელობისა შენისა მოიკითხა სახელულიცა შენი, სამწყსოი შენი სრულად და კათალიკოსი ანტონ. — მოახსენა ხვაბულოვმა ერეკლეს.

მეფემ მადლობა მიუძღვნა.

— თავად სოლომონიც ხომ კეთილად ვიგულოთ? — ჰკითხა.

— ღვთის ნებით არა უჭირს, მაგრამ განუწყვეტელს ომსა შინა დგას, იქეთ ოსმალთა მომხრე თავადებს აქიშპებს, აქეთ რაჭის ერისთავს როსტომს ავიწროვებს, საცაა, ალბათ, დასცემს კიდეც და აღარც თქვენ ცილვას დააყოვნებს. — მიუგო თავადმა.

ერეკლე ჩაფიქრდა.

— სოლომონს ერთი იმედი აქვს.— განაგრძო ხვაბულოვმა. — რუსეთ-თურქეთის ომიდან შვებას გამოელის. ფიქრობს, ოსმალო იმერთა მიმართ თავის ზრახვებს დროებით მაინც შეანელებსო.

— ეგ ფიქრი მეცა მაქვს... — თვალი მოჰკუტა ერეკლემ.

დარბაზში წამიერი სიჩუმე ჩამოვარდა.

მისი უდიდებულესობის ეკატერინე მეორის საგარეო საქმეთა კოლეგიის კანცლერი, გრაფი ნიკიტა პანინი წარსულის წლის ოცდაათი ნოემბრის უსტარით, იმერთა მეფეს პორტასთან ომის დაწყებისა და იმერთა თხოვნის შესაძლებელი შეწყნარების შესახებაც აცნობებს. ამასთან მოუწოდებს კიდეც, რომ მან, მპყრობელმან იმერეთისამ, ოსმალნი კვლავაც ნიადაგ ავიწროოს... თან იმასაც აუწყებს, რომ იმერთა ელჩის, მიტროპოლიტ მაქსიმე ქუთათელის პეტერბურღს ჩასვლისთანავე, მისი უდიდებულესობის სამეფო კარი საჭირო გადაწყვეტილებას მიიღებს და იმერთა მეფეს სათანადო დახმარებასაც გაუწევსო; ხოლო, თუ რუსეთის იარაღს ომში წარმატება ექნა, თურქებთან დადებულ ტრაქტატში იმერეთისთვის სასარგებლო მუხლებს შეიტანსო... ამასთან, მისი უდიდებულესობის, იმპერატრიცა ეკატერინე მეორის სახელით, საგარეო საქმეთა კოლეგიის კანცლერი, გრაფი პანინი, იმერთა მეფეს ქართლ-კახეთის სამეფოს მომხრობასაც ავალებს... მეფე სოლომონის ბრძანებით ის უსტარიც თან წამოვიღე და თუ ინებებთ, ძალმიძს ეხლავე მოგართვათ. — დაასრულა სათქმელი ხვაბულოვმა და უბიდან ამოღებული დაბეჭდილი გრაგნილი ერეკლეს გაუწოდა.

მეფემ ჩამოართვა, ეამბორა და კათალიკოსს გადასცა.

— გარდა ამისა სოლომონ მეფე რუსეთისგან დამხმარე ჯარსაც ითხოვს, ამბობს, თუ მისმა უდიდებულესობამ ლაშქრითაც ხელი გამიმართა, თურქთა წინააღმდეგ ოციათას საკუთარ სპასაც გამოვიყვანო. — დაუმატა ნაუბარს ხვაბულოვმა.

მეფე წამოდგა.

— არცა სულთანმა და არცა შაჰმა ამ ამბისა არა უნდა იცოდნენ რა! — ჩაილაპარაკა ფიქრიანად და გახალისებულმა სიცილი ველარ შეიკავა, — მუნდირის გახდაც იმიტომა გთხოვეთ.

კვლავაც ახარხარდნენ.

კარებში მესტუმრეთუხუცესი გამოჩნდა. ხელში ლანგარი ეპყრა.

— ოსმალთა ელჩმა ჰაჯი-აბდულმა მოგართვათ. — განაცხადა მან და ძღვენი მეფის წინ, მაგიდაზე დასდო.

ლანგარზე ჰუსართა მუნდირის აგლეჯილი ეპოლეტი ეგდო!

13.

აპრილის მიწურულს, როცა ჩრდილოეთის მდინარეთა შორის ურჩეულესმა, დიდებულმა ნევამ ყინულის აბჯარი ტანზე საბოლოოდ შემოიძრო და წყალნი თვისნი ფინეთის ყურისაკენ დაუბრკოლებლად დასძრა, იმპერიის სამხედრო მინისტრმა, გრაფმა ზახარი ჩერნიშევმა, საგარეო საქმეთა კოლეგიის საგანგებო სხდომას, რომელსაც სა-

ხელმწიფო საბჭოს სხვა წევრებთან ერთად თვით იმპერატრიცა ეკატერინე მეორეც ესწრებოდა, რამდენიმე ფრიად საგულისხმო მოსაზრება გაუზიარა.

— პირველ ყოვლისა, — განაცხადა მან, — მდინარე დნესტრს გაღმა რუსული იარაღის წარუმატებლობა ახალციხის საფაშოდან ოცათასიანი დამხმარე კორპუსის მიღებამ და მოწინააღმდეგის შესაძლებლობათა წინასწარმა გაუთვალისწინებლობამ გამოიწვია. ხოტინის ციხის მისადგომებთან განცდილი მარცხის მერე, იმპერიის სამხედრო სათათბირომ შეიწყნარა თავად გოლიცინის თხოვნა მისი გადაყენების შესახებ და სენატს სამხრეთის ფრონტის მთავარსარდლად გრაფ პეტრე ალექსანდრეს-ძე რუმიანცევის დანიშვნა გაუთვალისწინა. გარდა ამისა, თავს ნებას მივცემ შეგახსენოთ, რომ გასული წლის ნოემბრის მეოთხე დღეს გამართულ სახელმწიფო სხდომაზე გრაფ გრიგორი ორლოვის მიერ წამოჭრილი საკითხი, რომელიც ისლამის ბატონობის ქვეშ მოქცეული მართლმორწმუნე ხალხების ოსმალთა წინააღმდეგ ამხედრებას და ქრისტიანობის სახელით მათ ომში ჩაბმას გულისხმობს, დაუყოვნებლივ გადაჭრას მოითხოვს! — მინისტრმა დაასრულა.

ფავორიტის ამგვარმა ხსენებამ მის უდიდებულესობას ფარული სიამოვნება მოჰგვარა. ჩერნიშევს, ალბათ, ესეც გათვალისწინებული ჰქონდა. იმპერატრიცამ სავარძელზე ანიშნა. გრაფმა თავი მორჩილებით დახარა, დაჯდა.

სიტყვა საგარეო საქმეთა კოლეგიის მესვეურმა, კანცლერმა ნიკიტა ივანეს-ძე პანინმა ითხოვა.

— თქვენი უდიდებულესობის მოწყალე ნებართვით, — წამოდგომისთანავე წამოიწყო მან, — სავალდებულოდ მიმაჩნია. დამსწრეთა წინაშე ნათელვჰყო იმერთა მეფის, სოლომონ პირველის ათას შვიდას სამოცდარვა წლის ოცდასამი ივლისით დათარიღებული არზა, რომელიც ქუთათელმა მიტროპოლიტმა მაქსიმემ ამა წლის მარტის მერვე დღეს ჩემის მეშვეობით გადმოგცათ.

იმპერატრიცამ თანხმობა ანიშნა.

პანინმა გრაგნილი მოიმარჯვა.

— საყოველთაო დედაო მართლმადიდებელთა ქვეყანათაო, რომელი ღვთაებრივსა მოწყალებასა გვფენ და არა ხოლო როსიისა სიქადულ ხარ, არამედ ჩვენიცა! ამისთვის, სიტყვასა სამსა საველრებელსა განვფენ წინაშე ღედობრივისა მოწყალებისა შენისა: პირველად რათა გამომიხსნა უცხო თესლისაგან, მძლავრი ხელი დასდვა სამეფოსა ჩემსა ზედა და შემრთო მონათა შენთა, რათა ათორმეტი წელიწადი არს ვიბრძვი წინააღმდეგ ხონთქარისა... ოსმალო სარასკერები და ფაშები ჩემს ქვეყანაში მრავალჯერ შემოსულან, ტყვის ხარაჯა ანუ ტყვეც უთხოვნიათ და რომ არ მიმიცია, ზამთარ-ზაფხულ სისხლი მიღვრია. ვინძლო თუ ხელდება ჩვენი არ ინებო, მეორედ ამასა გვედრი: ეგების საჩხარი რაიმე მომცე, რომ ჯარის ქირა მაინც შევიძლო და ღვთის სახელით ოსმალოთ წინ აღვუდგე!.. ხოლო თუ არარც ეს იქნას, მინდა ვუწყოდე, რომ მტერნი ფრიად უძლიერეს ჩვენსა არიან და ვინიცობა იყოს ვეღარა უძლოთ წინააღმდგომად, მაშინ მესამედ ამასა გთხოვ — შემიწყნარე საიმპერიოსა შენსა, ვითარცა მეფენი სხვანი ქართველთანი, რათა მართლმადიდებლობას ვმსახურებდე მონათა შენთა თანა. სხვა ჩემი გულის სიტყვა და განზრახვა ქუთათელი მიტროპოლიტის მაქსიმესგან მოგხსენდების. — კანცლერმა დაასრულა.

იმერთა მეფის ეპისტოლემ დამსწრენი გამოაცოცხლა.

იმპერატრიცა მაგიდაზე განფენილ რუკებს დასცქეროდა, უკმაყოფილო სჩანდა.

— ნუთუ საგარეო საქმეთა კოლეგიას არ მოეძევა სხვა უფრო სრულყოფილი რუკა? — სთქვა მისმა უდიდებულესობამ და კანცლერს შეხედა. — მსურს ზედმიწევნით ზუსტად შევიტ-

ყო სად, ან რაგვარად მდებარეობენ ქართველ მეფეთა სამფლობელონი ჩვენსა და ჩვენი მეზობლების მიმართ!... აი, ამ რუკაზე თბილისი შავი ზღვის პირად დგას, სხვა რუკებზე კასპიის პირად...

პანინი შეიშმუშნა.

— თქვენო უდიდებულესობავ, ადრე ივერიად წოდებული ქართველთ ქვეყანა ამჟამად თურქთა სამფლობელოებით, შავის ზღვით, კავკასიის ქედითა და სპარსეთით არის მოსაზღვრული. ლიხის წყალგამყოფით საქართველო ორად იყოფა. ქვეყნის დასავლეთ ნაწილი იმერთა მეფეს სოლომონს უპყრავს, ხოლო აღმოსავლეთი ქართლ-კახეთის მპყრობელს, ერეკლე მეორეს. ქუთათელი მიტროპოლიტის რწმუნებით ერეკლე და იმერთა მეფე სოლომონ პირველი დიდი მეგობრები არიან.

— რა მიზნით იყო ჩამოსული ერეკლეს მამა? — შეაწყვეტინა ეკატერინემ.

კანცლერმა ჩაახველა, ხრინწი ჩაიწმინდა:

— ერეკლეს მამა, ანუ მბრძანებელი ქართლისა თეიმურაზ, როგორც მან ჯერ კიდევ ყიზლარში ყოფნისას განაცხადა, რუსეთს იმ განზრახვით ეწვია, რომ მსგავსად წინაპართა მისთა, თაყვანი ეცა სრულიად რუსეთის მონარქისთვის, კერძოდ, აწ განსვენებული ხელმწიფის, იმპერატრიცა ელიზავეტა პეტრეს ასულისათვის. უკვე პეტერბურგს მყოფმა იმპერატრიცა ელიზავეტა პეტრეს ასულს თავისი ქვეყნის დასაცავად ლაშქარი სთხოვა. განუცხადა — თუ თქვენ არ მიშველეთ, იძულებული ვიქნები კათოლიკობა მივიღო და ქვეყანა ჩემი პაპის ხელდებული გავხადოო... ამბობენ, ჩვენგან გაწბილებული, რომაულის რწმენით აღესრულაო. რაც შეეხება მის ძეს ირაკლის, საგარეო საქმეთა კოლეგიამ მტკიცედ არ უწყის, კვლავ ბერძნულ სარწმუნოებაზე დგას თუ მსგავსად მამისა, იმანაც რწმენა იცვალა და კათოლიკედ მიიქცა.

— ქუთათელ მიტროპოლიტს რატომ არ ჰკითხეთო! — უსაყვედურა ეკატერინემ კანცლერს.

— ვკითხეთ, მაგრამ მტკიცედ მიტროპოლიტმაც არა იცის რა. გვიპასუხა: კათოლიკობისკენ მიდრეკას თვით ერეკლეს მამიდაშვილს პატრიარქ ანტონსაც სწამებდნენო.

მის უდიდებულესობას სხვა აღარაფერი უკითხავს.

— განაგრძეთო. — ჩაილაპარაკა მხოლოდ.

კანცლერი წამით შეყოვნდა, წინმდებარე საქაღალდეს ჩახედა, ფურცლები გადაადგილა, საჭირო საბუთი მოიმარჯვა და აუჩქარებლივ განაგრძო:

— ყოველივე ზემოთქმულთან დაკავშირებით მინდა მოგახსენოთ, რომ ამა წლის მარტის მეთექვსმეტე დღეს, მისი უდიდებულესობის სურვილით, იმპერიის სახელმწიფო საბჭოს გავაცანი საქართველოში შექმნილი ვითარება, თან დავსვი საკითხიც სოლომონ პირველისათვის ჯარისა და ფულადი დახმარების გაგზავნის შესახებ. ამ საკითხის გამო პროექტის შედგენა სამხედრო მინისტრს, გრაფ ზახარი გრიგორისძე ჩერნიშევს დაევალა. სენატმა მოიწონა გრაფის მიერ შედგენილი პროექტი. ოცდაშვიდ მარტს მისმა უდიდებულესობამ ხელი მოაწერა ბრძანებას სამხედრო კოლეგიისადმი, რომლითაც საქართველოში გასაგზავნი საექსპედიციო ჯარის შემადგენლობა სამი ასეულითა და საველე არტილერიის ექვსი მცირეყალიბიანი ზარბაზნისაგან შემდგარი რაზმით განისაზღვრა. ხსენებული რაზმის შტატი ასეთია: მთავარი მეთაური (სასურველია გენერალი), ერთი შტაბს-ოფიცერი, ქვეითი ასეული ასორმოცდაცხრამეტი კაცი, დრაგუნთა ასეული ოთხმოცდაცხრამეტი კაცი, ჰუსართა ასეული ოთხმოცდახუთი კაცი, საველე არტილერიის მომსახურე პერსონალი სამოცდათორმეტი კაცი, საინჟინრო ჯარების პოდპორუჩიკი ერთი, მკურნალი ერთი. სულ ოთხასთერთმეტი კაცი. საექსპედიციო რაზმის ფორმირება მოხდება ყიზლარს. ამ მიზნით ასტრახანის გუბერნატორს,

გენერალ-მაიორ ბეკეტოვს მიეცეს განკარგულება, რათა, — პირველი: ქალაქის გარნიზონიდან შეარჩიოს ერთი ქვეითი ასეული, ჩააბაროს იგი სამხედრო კოლეგიის მიერ მასთან მივლენილ კაპიტან როგოვს და გაგზავნოს ყიზლარს. მეორე: ორენბურგის დრაგუნთა პოლკიდან გამოჰყოს ასეული, ჩააბაროს იგი კაპიტან ზამარაევს და გაგზავნოს ყიზლარს. მესამე: უზრუნველჰყოს ასტრახანს მისული არტილერიის შეუფერხებელი მოძრაობა და დაუყოვნებლივ გაგზავნოს ყიზლარს...

— მაქვს წინადადება დაკმაყოფილდეს სამხედრო კოლეგიის თხოვნა და არტილერიის მეთაურად დაინიშნოს პოდპოლკოვნიკი თავადი ჩოლოყაშვილი. — განაცხადა სენატის გენერალ-პროკურორმა ალექსანდრე ალექსის ძე ვიაზემსკიმ.

— დიდებული აზრია! — აღფრთოვანდა თავადი პოტიომკინი.

— ვინ არის წინააღმდეგი? — იკითხა იმპერატრიცამ.

დარბაზმა დუმილით უპასუხა.

წინადადება მიღებულ იქნა.

— გარდა ამისა, — განაგრძო პანინმა, — სამხედრო კოლეგიამ სიბირსკის პოლკიდან გამოითხოვა კაპიტანი რემენნიკოვი, იგი მაიორის წოდებით აღამაღლა და გაგზავნა ყიზლარს, რათა მთავარი მეთაურის დანიშვნამდე მოახდინოს საექსპედიციო კორპუსის ფორმირება და...

— მთავარ მეთაურად ვის ითვალისწინებთ? — გააწყვეტინა ორლოვმა.

— თურქეთის ფრონტზე შექმნილი ვითარების გამო, მოქმედ გენერალთაგან დაუსაქმებელი არავინ დარჩა. საქართველოში გამგზავრების სურვილი გამოსთქვა მხოლოდ გენერალ-მაიორმა გრაფმა ტოტლებენმა გოთლიბ-კურტ-ჰაინრიჰმა, რომელიც პრუსიაში მომხდარ ინციდენტის გამო მიმდინარე საქმეთაგან სრულიად განრიდებული გახლავთ და მისი უდიდებულესობის უზენაესი მოწყალების მოლოდინში პირობას სდებს, რომ დანაშაულს მამულისთვის გაღებული სისხლით გამოისყიდის...

— რომელი მამულისთვის?! — ღვარძლიანად ჩაილაპარაკა სამხედრო მინისტრმა ზახარი ჩერნიშევმა.

მისი ნაუბარი გრიგორი გრიგორისძე ორლოვის გარდა, სხვას არავის გაუგონია.

— ფრთხილად, გრაფ! — ღიმილით შენიშნა ორლოვმა და იმპერატრიცას გაჰხედა.

— ვფიქრობ, საექსპედიციო კორპუსის მეთაური, მხოლოდ, რუსი უნდა იყოს! — ახლა ხმამაღლა განაცხადა მინისტრმა.

— ტოტლებენი გოთლიბ-კურტ-ჰაინრიჰ. — გერმანულის ეშხით წარმოსთქვა იმპერატრიცამ და ფიქრიანად დასძინა. — რა თქმა უნდა, რუსი აჯობებდა...

14.

დარიალის პირქუშკლდოვანებში საწვიმარი ღრუბელი შემოხირულიყო.

ჟინჟღლავდა.

საქართველოსკენ მომავალი საექსპედიციო კორპუსის მეთაური, გენერალ-მაიორი გრაფი გოთლიბ-კურტ-ჰაინრიჰ ტოტლებენი კლდისპირად იდგა. ლაბადამოსხმულს გუნებაც ამინდივით წახდენოდა, სახეც კუშტი ჰქონდა — მოღუშული, შეძრწუნებული...

ხევი ჩასცქეროდა — თერგის ვიწროებში უიმედოდ გახირულ ლაშქარს უნდილად უმზერდა — ბუზღუნებდა, ილანძღებოდა...

ველი მათრახებით გავაშქრელებული ცხენები მთის მდინარეს უფრთხოდნენ, ჩქერებს თავს არიდებდნენ, მხედრების რისხვას აღარაფრად აგდებდნენ, ყალყზე შემდგარნი გულსაკლავად ჰიხვინებდნენ.

წელამდე წყალში ჩაცვენილ საბრალო სალდათებს მოხევე ბიჭები ეხიდებოდნენ — ერთგულად ძმობდნენ, ამხნევებდნენ, ზარბაზნებისა თუ საველე

საზიდრების თრევაში შველოდნენ, წვალობდნენ, თავს არ იზოგავდნენ.

სხვები ვეება მორებს ებღლარძუნებოდნენ, ლოდთაშუა სდებდნენ, სახელდახელო ბოგირებს ამზადებდნენ.

—თქვენს ზარბაზნებს ყალიბი მეტად მცირე აქვს, გენერალო. წვალებად არ ღირს. რემენნიკოვი მართალი იყო, არა საველე, არამედ საალყო ზარბაზნები უნდა წამოგველოთ. ვშიშობ ეს ჯართი არაფერში გამოგადგებათ! — შენიშნა იმპერიის სახელმწიფო საბჭოს საგანგებო წარმომადგენელმა, ანტონ მოურავოვმა.

— თქვენ რას მირჩევდით, თავადო? — ალმაცერად გახედა ტოტლებენმა.

—. ბევრს ვერაფერს, გრაფ, მე რომ თქვენს ადგილზე ვიყო ამ რკინებს აქვე დავყრიდი. აღარც სალდათებს ვაწვალებდი.

— ამიტომაც არ ხართ ჩემს ადგილზე! — ნიშნის მოგებით გაუღიმა ტოტლებენმა და კარვისკენ წასულმა ღიმილითვე განაგრძო, — როგორც თქვენ ინებეთ გეწოდებინათ, ეს „ჯართი“ პრესტიჟისთვის უფრო მჭირდება, ვიდრე საალყოდ ან საბრძოლველად. ხომ ხედავთ, რა ველურ ქვეყანაში მოვხვდით. აგე, მოხევე ქართველებიც მხოლოდ ამ „ჯართის“ .ხათრით გვეხმარებიან. სალდათებზედ კი სულ ტყუილა დარდობთ, ჯარისკაცი წვალებაში იწრთობა, მეტადრე რუსი! თუ არ ვცდები, მე მგონი, წარმოშობით თქვენც ჩემსავით უცხოელი ხართ. მე გერმანელი, თქვენ კი?!

— ქართველი! — მკვახედ ესროლა მოურავოვმა.

— ნუთუ?! — განგებ გაიოცა გენერალმა. თუმცა ზედმიწევნით ზუსტად იცოდა, რომ იმპერიის სახელმწიფო საბჭოს საგანგებო წარმომადგენელი, დიდი ქართველი მოურავის, სააკაძის შთამომავალი იყო.

ტოტლებენი კარავში შევიდა.

. . .

ნაშუადღევს, დარიალის ხეობაში შემოხიზნული საწვიმარი ღრუბელი თანდათან დაიწრიტა, ჯიქ·ნი დაიშრო, გამსუბუქდა, გაფარღალალდა და ნისლად ქცეული მარმაშის ფარდასავით აცურდა, ზე აიწია, ცისკენ აიზიდა, გამჭვირვალდა, გაუფერულდა.

მზესთან ერთად ღრუბლიდან მყინვარწვერმაც გამოანათა, მერმე გერგეთის სამებაც გამოჩნდა და სტეფანწმინდისკენ მიმავალ მხედრებს მაღლიდან შუქთაფენით გადმოხედა.

ცხენოსნები სოფლის მახლობლად ფერდობზე შეფენილ ბანაკს მიუახლოვდნენ. წამით გუშაგებთან შეყოვნდნენ, მერმე კვლავ დაიძრნენ და გეზი ტოტლებენის კარვისკენ აიღეს.

ოთხნი იყვნენ. წინ შავ ტაიჭზე ამხედრებული ჭაბუკი ბერი მიუძღოდათ..

. . .

კარვიდან გამობრძანებულ ნამძინარევ გენერალს მყინვარის ელვარებამ თვალი მოჭკვეთა.

— ღმერთო, ეს რაა?! — აღმოხდა გაოცებულს.

— მყინვარწვერი და სამების ეკლესია გახლავთ, თქვენო ბრწყინვალებავ. — მოკრძალებით გაუღიმა ჭაბუკმა ბერმა.

— ცაში!?

— ცაში რად იქნება?... მთაზეა, დედამიწის შემაღლებულ ადგილზე...

— სლავური სად ისწავლეთ, მამაო? — ახლა ეს ჰკითხა გენერალმა.

— სლავური ენა, თქვენო ბრწყინვალებავ, საღვთო წიგნებში დაცულ არს, ვითარცა ჰებრაული, ასურული, ბერძნული, ლათინური, სომხური, გინა ქართული და სხვაცა მრავალი, რომლითა ენითაც სჯული ქრისტესი იქადაგების.

— სხვა რა ენა იცით?

— სომხური, ლათინური და ბერძნული... ცოტა ჰებრაულიც.

— სპარსული თუ იცით?

— ვიცი.

— თურქული?

— ეგეც.

— ბიჭოს!? — გენერალმა დამსწრეთ გადახედა.

მოურავოვი ამაყად იდგა, სახეც ნაამები ჰქონდა.

ჰაბუკი ბერის განსწავლულობამ სხვა რუსი ოფიცრებიც მოხიბლა.

— ფრანგული თუ იცით? — ჰკითხა გენერლის ადიუტანტმა კაპიტანმა დე გრაი დე ფუამ.

— სამწუხაროდ არა. — მოუბოდიშა ბერმა.

გაეცინათ.

ტოტლებენმა ჩაახველა, სიჩუმე მოითხოვა.

— ვინ ბრძანდებით? — ჰკითხა უცნაურ ჰაბუკს.

— მე ერეკლე მეფის მოციქული გახლავართ, თქვენო ბრწყინვალებავ, ანჩისხატის არქიდიაკონი გაიოზი. მეფემ თქვენი თავი მიბრძანა, მეგზურობაც მე დამავალა.

— სად არის მეფე?!

— აქვეა, ადოს მინდორზე ბანაკადა სდგას. თქვენს მოლოდინში გზა და ხიდები შეაკეთებინა.

ტოტლებენი გაიფხორა.

. . .

მეორე დღეს, ოფიცრებითა და მეგზური ბერით ხლებული გრაფი ადოს მინდორზე გაშლილ ბანაკს მიუახლოვდა. ტოტლებენმა სხვა კარვებს შორის ერეკლეს კარავი ადვილად ამოიცნო, ჩამოქვეითდა, ოფიცრებიც თან გაიყოლა და ჯიქურ მიმავალმა პირდაპირ მეფესთან შესვლა განიზრახა.

მედიდურ სტუმარს სამეფო კარვიდან თორმეტი ხელკვერთხიანი დიდებული გამოეგება, მოწიწებით მიესალმნენ.

— ჯერემ აქეთ მობრძანდით! — ჰკადრეს და მისთვის საგანგებოდ გამზადებულ მცირე კარავში შეიპატიჟეს.

გრაფი სახტად დარჩა.

— არა უშირს რა, თუ მეფე მზად არაა გარეთ დავრჩები, ჰაერზე ყოფნას ვარ მიჩვეული. — ჩაილაპარაკა უკმაყოფილოდ, მერე ოფიცრებითურთ უკან გაბრუნდა, ფერდობზე ჩამოჯდა, აბუზღუნდა...

— ერთი ეგეც ფარაონი მყავსო. — ჩაილუღლუღა ერეკლეს მისამართით.

დე გრაი დე ფუას გაეღიმა.

მოურავოვმა რატიევს გადახედა.

როგოვმა და ზამარაევმა დუმილი არჩიეს.

ამასობაში თომა მელვინეთხუციშვილმა ფარეშებს ტაბლა მოატანინა, სტუმრებს წინ დაუდგა. მერმე ტაბლაზე, ხილთან ერთად, შარბათი, ღვინო და ტკბილეულიც დააწყობინა...

ტოტლებენმა ჯიბე მოიჩხრიკა, მელვინეთხუციშვილს ჩერვონეცი გადაუგდო.

თომა შეცბა, იუკადრისა, მაგრამ ზრდილობისთვის საჩუქარი მაინც აიღო, „მწყალობელს“ თავი მდაბლად დაუკრა და ფული სუფრის გამწყობთ გადასცა.

ცოტა ხნის მერე განაწყენებულ გენერალს ზაალ ორბელიანი და თავადი ალექსანდრე ციციშვილი მიეახლნენ.

— მეფის ბრძანებით საქართველოში კეთილად მობრძანებას მოგილოცავთო. — უთხრეს.

— მადლობა მომიხსენებიაო. — ცხვირი აიბზუა გენერალმა. — ვერ წარმომედგინა თუ ეს აზიელი პატარა მბრძანებელი ასე ძნელი სანახავი შეიქნებოდაო. — გადაულაპარაკა ადიუტანტს ფრანგულად.

— რა ბრძანაო? — იკითხა ორბელიანმა.

— ქართველებს დიდებული ქვეყანა გაქვთ, შვეიცარიის ალპებს მაგონებსო. — იცრუა დე გრაი ფუამ.

— მოახსენეთ გრაფს, რომ ამ პატარა აზიელ მბრძანებელს თქვენთვის, ევროპიელთათვის ესდენ საოცნებო ინდოეთი ნადირშაჰის ხმლით ერთხელ უკვე დაპყრობილი აქვს! — ღიმილით მიუგო ალექსანდრე ციციშვილმა გენერლის ადიუტანტს.

ტოტლებენს ლუკმა ყელზე დაადგა.

ქართველმა დიდებულებმა სტუმრებს თავი მდაბლად დაუკრეს, იქაურობას მოწიწებით განერიდნენ.

— კმარა, ცხენები! — წამოიჭრა ტოტლებენი.

— მეტი მოთმინება, გრაფ! — შეახსენა იმპერიის სახელმწიფო საბჭოს სა-

განგებო წარმომადგენელმა თავადმა მოურავოვმა.

— წასვლა არ ივარგებს, რაც არ უნდა იყოს, მაინც მეფის სტუმრები ვართ! — ჩაილაპარაკა რატიევმაც.

გრაფი კვლავ დაჯდა.

მეფის კარვიდან ხელკვერთხიანი დიდებულები გამობრძანდნენ.

— გელიან, შეგიძლიათ მეფესეახლოთ. — მოახსენა სტუმრებს მელვინეთხუციშვილმა.

წამოიშალნენ.

გრაფიც უხალისოდ წამოდგა.

. . .

ერეკლეს სამყოფელთან უამრავი ხალხი ირეოდა, ახლო მისვლას კი ვერავინ ბედავდა.

სამეფო კარვისკენ გრაფსა და მის მხლებელ ოფიცრებს იგივე თორმეტი ხელკვერთხიანი წარჩინებული წარუძღვა.

კარავი შიგნითაც დიდებული იყო — აზიურ ყაიდაზე მორთული.

როცა გრაფი კარვის პირველ კალთასთან მივიდა, წინ ერეკლეს უფროსი ვაჟი, ბატონიშვილი გიორგი შემოეგება.

გრაფმა უფლისწული გადაკოცნა.

ბატონიშვილს გაუკვირდა, ეუცხოვა კაცისგან კოცნა.

კარვის მეორე კალთასთან მეფის მამიდაშვილი, პატრიარქი ანტონი იდგა. გენერალი იმასაც საკოცნელად წაეტანა, მაგრამ უწმინდესმა უკან დაიხია, გრაფს კურთხევით პირჯვარი გადასახა და მეფესთან შეუძღვა.

ოფიცრებიც შეჰყვნენ.

ერეკლე წამოდგა — მოსულთ მიეგება...

— დაღლილნი სჩანხართ. სთქვეს, კავკასიის გადმოლახვა გაუჭირდათო. — ჩაილაპარაკა ღიმებულმა და სტუმარი გვერდით მოისვა.

— დაღლისა რა მოგახსენოთ. გაჭირვება კი უარესიც მინახავს. ალბათ უწყით, რომ ყრმობიდანვე სამხედრო სამსახურში ვდგევარ, მთელი ევროპა ბრძოლითა მაქვს შემოვლილი! — თავი შეიქო გენერალმა.

— უცილოდ მჯერა. — კვლავ გაუღიმა ერეკლემ სტუმარს.

პატრიარქმა და ბატონიშვილმა გიორგიმ მათთვის განკუთვნილი ადგილები დაიკავეს. მერმე თავადი რატიევიც დაბრძანდა. ოფიცრები კი კვლავ ფეხზე დარჩნენ.

სიჩუმე ჩამოვარდა.

— რა გსურთ, რას მიბრძანებთ, ჩემგან რა სამსახურს ითხოვთ? — იკითხა მეფემ.

ტოტლებენმა ერეკლეს თავმდაბლობა საკუთარი უპირატესობის აღიარებად მიიჩნია.

— აი რა, — ჩაახველა მან. — მე მსურს, რომ ჩემს ჯარს შენს ქვეყანაში გზა მისცე, რათა სოლომონ პირველის თხოვნა შევიწყნარო და იმერეთს გადასულმა, თურქეთს ომი გამოვუცხადო.

— სალვთო საქმეს უკეთესს ვერც რას იქმ. — წააქეზა ერეკლემ.

— მეორე: — განაგრძო გენერალმა, — შენს სამეფოში ჯარისთვის სანოვაგის შეძენაც დამჭირდება.

— აბა, უმაგისოდ როგორ იქნების?! — გაიკვირვა მეფემ.

ოფიცრებმა შენიშნეს, რომ ერეკლეს გაკვირვება ალმაცერი იყო, სამართლიანი, ოდნავ დამცინავიც. ქვეშეცნეულად ყველანი მეფისადმი განეწყვნენ — სიცილი კინაღამ წასკდათ.

ტოტლებენს ესეც შეუმჩნეველი დარჩა.

— და ბოლოს, — თავი ამაყად ასწია მან, — თუ თქვენი...

გენერალი წამიერად შეყოვნდა, ერეკლეს მიაჩერდა.

— უდიდებულესობა, გრაფ! — შეახსენა რატიევმა.

— დიახ, თუ თქვენი უდიდებულესობა ინებებს და თურქებთან ომში მხარს დამიმშვენებს, პირობას ვდებ, რომ ჩემს მიერ დაპყრობილი მიწები მთლიანად საქართველოს დარჩება!

— ბიჭოს?! — ჩაეცინა გიორგი ბატონიშვილს.

პატრიარქმა ანტონმა უფლისწულს დარიგებით გადახედა, მერმე წვერზედ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელი შეისვა და გენერალს მიუბრუნდა:

— დიდი წყალობაა, მე და ჩემმა ღმერთმა! მაგრამ, ერთი ესეცა ვთქვათ, თქვენო ბრწყინვალებავ, რა იმდენი სპის პატრონნი ხართ, რო ოსმალთა ძლევაში ეჭვი წამითაც არ გეპარებათ?

— სპის გარდა, თქვენი ლოცვა-კურთხევის იმედიცა მაქვს, მამაო. — მყისვე მიუგო გრაფმა.

—ეგ კი მჭრელადა ბრძანა! — გაიცინა მეფემ, მერე კვლავ გენერალს მიხედა, მხარზე ხელი მეგობრულად სდო.

— თქვენს მესამე სურვილზედ ჩემი პასუხი, ცოტა არ იყოს, ძნელი საქმეა. არა, თქვენს უფლებაში ეჭვი როდი მაქვს, რომ იმპერატორ-დედოფლის სახელით ოსმალთ წინაალმდეგ ომში მხრისჭერა შემომთავაზოთ, პირიქით, ეგ მე ხელსაცა მაძლევს და დიდად უპირატეს ვითარებაში მაყენებს, მაგრამ... მოდით, ამაზედ უფრო გამოწვლილვით მერმე ვილაპარაკოთ. აწ კი, ჩემის სამეფოს წიაღში მე თავად წარგიძღვებით, ვინძლო ლაშქარმაც საკადრისად მოისვენოს და სათქმელიც პირუთვნელად ითქვას.

15.

ნარისციხის ალმართში, მეჩეთთან, რომელსაც ცამდე შეჭრელებული, ყელმაღალი მინარეთიც ამშვენებდა, თბილისელ მაჰმადიანებს ახალციხის საფაშოდან მოვლენილი მორიგი ელჩის, ალი-აღასა და მისი ამალის პატივსაცემად, თავ-თავიანთ ბაგებზედ ძვირფასი ხალიჩები გადმოეფინათ.

ოსმალო მხედრებმა ქუჩაბანდი ჭენებით აიარეს, ჩამოქვეითდნენ, ალაჰის სახლს მდაბლად თაყვანი სცეს და საელჩო-სამყოფელში შებრძანდნენ.

. . .

შუაღამე კარგახნის გადასული იყო, როცა ალი-აღას საწოლ ოთახში საელჩოს მესაიდუმლე, საჭურისი იზმაილქოსა შეიძურწა. მძინარე აღა სიფრთხილით გააღვიძა, ჩურჩულით რაღაც აუწყა, მერმე სანთლები სანთლ და კარს იქეთ უჩუმრად მიიმალა.

ელჩი ზეწამოიჭრა, სასწრაფოდ შეიმოსა, შანდალს წვდა, გზა გაინათა.

ფარდის იქეთ, შუა დარბაზში მპარავი ქალი იდგა სწორედ ის, ხვაბულოვის რუსულ მუნდირს ეპოლეტი რომ აალალა! კვლავ ფეხშიშველი იყო, გარეკაბის კალთა წელსახვევში გვერდულად ჩაეტნია, პერანგის ქვემოთ შიშველი კოჭი მოუჩანდა, თმა გაეშალა, ხელში დაირა ეჭირა — ვერცხლის ზანზალაკებით შეკაზმული საცეკვაო დაირა... ჭეშმარიტად ჰურიის ჰგავდა — სამოთხის მღერალა ქალს... ყმაწვილურ თვალებში გონისმიერი სინათლე ჩასდგომოდა. ბაგე ულიმილო ჰქონდა, მკაცრი, მაგრამ ტკბილი და სანდომიანი.

ხილულმა ალი-აღა შეაკრთო. შანდალი, იქვე, ექვსწახნაგოვან, ათასფრად შეჭრელებულ, მცირე მაგიდაზე დადგა, ღამეულ სტუმარს სავარძელი განუმზადა.

— აიდეს, სულეიმან ფაშას დისწულსა თავს მიწამდე ვუხრი. — უთხრა ხმადაბლა.

— ვერა ვხედავ! — ცივად მიუგო ქალმა. დაბრძანდა, დაირაც გვერდით მოიდო.

ელჩმა შეცდომა უმალვე გამოასწორა — თაყვანი სცა, ქედი მოუხარა.

ვაჟკაცის უკადნიერებამ აიდეს გული ოდნავ მოულბო.

— დაჯექი! — ანიშნა მედიდურად.

ალი-აღამ სკამიც სიჩქაროდ მოიძია, ჩამოჯდა...

— დედისა ძმა შენი, მზემდე ამაღლებულისა და ცათასწორი სულთნის მაღალი მოსამართლე, სერასკირი და ვეზირი სულეიმანი. — შემპარავად წამოიწყო მან. — ჩილდირის ტახტს მცირე ხნით განერიდა. მის ნაცვლად დიდმა მბრძანებელმა ახალციხე დროებით სელენიკელ ნაამან ფაშას მისცა...

— ჩილდირის ტახტი ოდითგანვე ჯაყელებს გვეკუთვნის! — შეაწყვეტინა

აიდემ. ფაშის დისწულმა — ამბობენ ეგ თქვენი სელენიკელი ფაშა ადრე ებრაელი იყოვო... — დასძინა მერე და მეფურის სიმკაცრით განაგრძო: — ეს დაირაც იმად მჭირდება, რომ ჩილდირის საათაბაგო მხოლოდ ჩვენ, ჯაყელებს გვეპყრას! აკი, ბოშადაც ამიტომ ვიქეც, გამვლელ-გამომვლელს თავს დაუნდობლად ვათელვინებ, მთელი დუნია კახპასა და მეიდანხანუმს მეძახის!...

ამ სიტყვებზე აიდემ დაირას ხელი ჰკრა, ზიზღით მოიშორა.

საკრავი ხალიჩაზე ჟღარუნით გაგორდა.

ალი-ალა ხმაურს მოერიდა, წამოიჭრა, დაირას ეცა.

— ნუ, ანგელოსო... ალაჰი მოწყალეა! ტანჯვის სანაცვლოდ მარადიულ სამოთხეს მოგცემს. იმ ქვეყნად სუცათა სანახებში გამყოფებს!..

— ამ ქვეყნად? — კვლავ წამოენთო აიდე.

ალი-ალა საწოლ ოთახში შეიჭრა, წამსზეით იქიდან ყელსაბამი გამოიტანა.

—ნაამან ფაშამ მოგიძღვნაო.—სთქვა და ალმასის ასხმა ფაშის დისწულს კალთაზე მიაფინა.

— დავილალე. — ამოოხდა აიდეს.

— ნაამან ფაშამ რუსის იანარალი ტოტლებენი, თურმე, ჯერ კიდევ ავსტრიაში ყოფნის დროს დაიძმობილა. — საიდუმლოდ განაგრძო ელჩმა, — ეჭვი დიდია, რომ ეგ გერმანელი გრაფი რუსის სამსახურში ყასიდადა დგას. ნამდვილად კი, შენის სულდიდობისა არ იყოს, ეგეც თავის ქვეყნისათვის იღწვის. ახალი ფაშა იმ აინარალთან პაემანსა გთხოვს, სანიშნოდ მურად მესამის ბეჭედი გადასცესო!

აიდემ ელჩს მისკენ გამოწვდილი თვალალმასა ბეჭედი უგულოდ ჩამოართვა, დახედა:

— ერთ სამეფოდა ღირს. — ჩაილაპარაკა. მერე ყელსაბამიცა და ბეჭედიც ნაგიდაზე დასტოვა, წამოდგა, ფარდა გადასწია და ტანთ გახდილი ალი-ალას საწოლში ჩაესვენა.

ელჩი გაშტერდა.

— მოდი! — მოესმა ფარდის იქიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

16.

მოზდოკიდან კავკავამდე გაქნეულ ტრამალს წინ მთვარით გადაკაშკაშებული მყინვარწვერის მარად თოვლიანი ქანდაკი და მის ირგვლივ შემოჯარული ზვიადი ჭიუხები გადასდგომოდნენ.

კავკავის კარიბჭესთან, შელმართში, საიალქნე სელით მოჩარდახებულ ოთხთვალა დროგს, რომელსაც სამიოდ ცხენოსანი კაზაკი მოაცილებდა, ჰუსართა რაზმით ხლებული ძვირფასი ეტლი წამოეწია.

— ა ვოე!... გზა-მეთქი! — გასძახა ახალგაზრდა პოდპოლკოვნიკმა მედროვეს და ჰაბუკურის სიხალისით დასძინა: — იჩქარეთ კაპიტანო, რა დროს ძილია. ამბობენ ამ ადგილებში მგელი ილისო.

— პატივი მაქვს, თქვენი ვინაობა შევიტყო? — თავი გამოყო ჩარდახიდან მართლაც ნამძინარევმა, ქერათმიანმა ოფიცერმა.

— დამეწიეთ და შეიტყობთ, თან ჩემი სტუმარიც იქნებით! — უპასუხა პოდპოლკოვნიკმა და კუჩერს მიხედა, სტეფანევ, გასწი!

— ისედაც გაქანებულ ცხენებს კუჩერმა სტეპკომ ლახტი რამდენჯერმე აგემა.

— იო, ბნელისშვილებოო! — დასძახა.

ეტლმა ჩაიქროლა. ჰუსარნიც მიჰყვნენ.

ოთხთვალა მტვრის ბულში გაახვიეს.

. . .

პოდპოლკოვნიკმა და მისმა სტუმარმა, კაპიტანმა ლვოვმა, ის ღამე სამანძილო სადგომში გაატარეს.

ოსმა მასპინძელმა სტუმრებს რახი და ხაბიზგინო შესთავაზა

დასხდნენ.

ლვოვმა რახი მოსვა, არ ეამა, ზიზღით გადმოაპურჭყა.

— ღმერთი დასწყევლისო! — დაა-ყოლა.

პოდპოლკოვნიკს გაეცინა. სუნდუკი გახსნა, იქიდან გამხმარი ძეხვი და კარგად დაბეჭდილი არყიანი ბოთლი ამოიღო.

— ამიხსენით, პოლკოვნიკო, რას მივაწეროთ თქვენი ესოდენ დიდის შტატითა და უზღვავის ბარგით ამ ველურ მხარეში მობრძანება? — მორიდებით ჰკითხა კაპიტანმა.

— სხვაგვარად არ გამოდის. მე, საყვარელო, ნაუმ ნიკოლოზის-ძე ჩოგლოკოვი ვარ, დიდი ჩოგლოკოვების შთამომავალი. ალბათ გაგეგება, თუ რამხელა როლი შეასრულა ჩვენმა გვარმა მისი უდიდებულესობის ახლად ამაღლებულ კარზე?.. .დედაჩემი, გენდრიკოვას ქალი, დედოფლის მკვიდრი ბიძაშვილი იყო, ასე რომ, იმპერიაში რიგით მესამე კაცი ვარ ეკატერინესა და პავლე უფლისწულის მერე, რუსეთის ტახტი მე მეკუთვნის! — ამ სიტყვებზე ჩოგლოკოვმა სუნდუკი ხელახლა გახსნა, — აქეთ მოიწიო! — ანიშნა ლვოვს და, როცა ეს უკანასკნელი თავისთან დაიგულა, განაგრძო: — აი, იხილე... ეს ყველაფერი, სულ ცოტა, შვიდი ათასი მანეთი მაინცა ღირს... — სუნდუკში რამდენიმე ოქროს სათუთუნე, ბეჭდები და ორმოციოდე სხვა ძვირფასი ნივთიც ელვარებდა. — გარდა ამისა ჩემი წილხვდომილი უკანასკნელი სოფელიც გავაყიდვინე, დიდძალ ფულს ველი.. მართალია მოხალისე ვარ, ტოტლებენთან არაფერი მესაქმება, მაგრამ ერთს მაინც გეტყვი, ვიცი, ეგ თქვენი გერმანელი გენერალი თავის მისიას საქართველოში არნახულის სირცხვილით დაასრულებს. მე კი ჩემის ქონებით კავკასიელ ქრისტიანთა შორის ჯარს შევყრი, რუსულ რაზმებსაც შემოვიერთებ, სომხებსა და ქართველ მეფეებს ერთმანეთთან დავაკავშირებ, თურქებს ვძლევ, კონსტანტინეპოლს ოსმალთაგან დავიხსნი. ჩემის მფარველობის ქვეშ, რუსეთს, მეზობლად, მძლავრ სამეფოს შევუქმნი. ან ტახტი, ან ეშაფოტი!

ისევ მაგიდისკენ მიბრუნდნენ.

ჩოგლოკოვის ნაუბარში კაპიტანმა ლვოვმა განწირულება [illegible]

— ტოტლებენის მიმართ, ეგებ, მართალიცა ხართ, თქვენო ბრწყინვალებავ. ამბობენ, საექსპედიციო კორპუსის იმერეთიდან კვლავ ქართლში დაბრუნებამ, სოლომონსა და ერეკლეს შორის უკმაყოფილება ჩამოაგდოო. — ეშმაკურად ჩაილაპარაკა მან და სავინიცობოდ ცარიელ ჭიქას ჩააცქერდა.— თან ისიცა სთქვეს, თითქოს გენერალს ერეკლესთვის ადიუტანტის პირით შეეთვალოს: შენი ვარაუდი გამართლდა, სოლომონი მართლაც ღატაკი და უქონელი აღმოჩნდა. უსურსათობით ჯარი კინაღამ დამიღუპა, ამიტომ იმერეთი დავაგდე და კვლავ შენს მხარეში მოველ, რათა ოსმალებს ერთად ვეომოთო.

— ჰმ! — ჩაიცინა ჩოგლოკოვმა, — მტკნარი სიცრუეა. სოლომონს ცილსა სწამებს. ხუთასიოდე კაცის საზრდო რა სახსენებელია!? ეგ თქვენი გერმანელი გრაფი პირწავარდნილი აფთარია, თან არც ღორობას იუკადრისებს... ყური დამიგდე, საყვარელო, გუმანითა ვგრძნობ, რომ ტოტლებენი თურქებთან ბრძოლას სულაც არ აპირებს! უფრო მეტიც, ერეკლეს ორგულ თავადებთან საერთოს ეძებს, ქვეყნის დაშლასა და ლუკმა-ლუკმად ჩაყლაპვას ცდილობს, სურს ყველაფერი ერთბაშად მოინელოს!.. საუბედუროდ მომხრენიც უამრავი ჰყავს. მაგრამ ნამდვილი რუსეთი სხვაგვარად ფიქრობს! მე რუსი ვარ და ჩემი ქვეყნისა უკეთ გამეგება. აკი, ერეკლეც, თურქთა წინააღმდეგ მოკავშირეობაზედ დედოფლისადმი გაგზავნილ წერილში ერთსულოვნებას აცხადებს, კავკასიის ქრისტიანებს იარაღისკენ მოუწოდებს, ჩვენგან მხარს ელის, ახალციხეზედ სალაშქროდ არა მხოლოდ ხუთასკაციან საექსპედიციო კორპუსს, რომელსაც ტოტლებენი მეთაურობს, არამედ ნამდვილ ჯარს მოითხოვს. საფაშოზე შეტევას ჩქარობს, ამბობს: ვიდრე ოსმალნი გონს მოვიდოდნენ, ჩვენ ჩვენი უნდა

ვიღონოთო. მართალიც არის... თან იმასაც სჭვრეტს, რომ რუსეთთან კავშირი სამუდამო მფარველობასაც მოუტანს. დიახ, მიზანი ნათელია! როგორც კი თავადი რატიევი ახალ ჯარს მოგვაშველებს, მტერს დაუყოვნებლივ დავჰკრავთ, ახალციხის ფაშას კუდით ქვას ვასროლინებთ, სამცხეს წავართმევთ, მერე იმერთა მეფესაც მხარს მივცემთ და, როგორც წეღან ვთქვი, რუსეთს მეზობლად მთლიანსა და ძლიერ ქრისტიანულ სამეფოს შევუქმნით. აი, რა არის ჭეშმარიტად საზრუნავი!

ჩოგლოკოვმა ჭიქები შეავსო.

თანდათან დამშვიდდა კიდეც.

— თქვენი მისია როგორიღაა, კაპიტანო? — ჰკითხა ლვოვს.

— მეც მოხალისე გახლავართ, თქვენო ბრწყინვალებავ, თან უზენაესი კარის დავალებით ქართლ-კახეთის მეფისთვის ანდრია პირველწოდებულის ორდენიც მიმაქვს. — ღიმილით უპასუხა ლვოვმა.

— ოჰო! — აღფრთოვანდა ჩოგლოკოვი, — ეგ უკვე ბევრს რამეს ნიშნავს! მაშ, მოდი, ამ ჭიქით ერეკლეს გაუმარჯოს!

გადაჰკრა...

17.

— ვინა ხართ თქვენ და რას აკეთებთ ჩემს სახლში?! — შემოსვლისთანავე მიახალა ერეკლემ ტოტლებენის ადიუტანტს კაპიტან დე გრაი დე ფუას და რისხვაშეგუბებულმა პასუხის მოსაფიქრებლად სწორედ იმდენი დრო დაუტოვა, რამდენიც გაელვებიდან დაქუხებამდის დარჩება ხოლმე.

სტუმარს შიშით მუხლები მოეკვეთა. გაფითრდა, მაგრამ არ დაბნეულა, თავს ძალა დაატანა და სავინიცობოდ გულუბრყვილობის ნიღაბი აიფარა, — თქვენო უდიდებულესობავ, განრისხებას რად ინებებთო? — მხოლოდ ამის თქმა-ღა მოახერხა, რომ აღარც ქუხილმა დაახანა.

— თავს ნუ იბრიყვებთ! — იგრიალა მეფემ, — თქვენ გსურდით მოგეტაცათ ელჩი, რომელიც მე ახალციხის ფაშამ მაახლა! დიახ, სტამბულში ყოველივე წვრილად იციან. იციან ისიც, რომ ჩემს სამეფოში რუსის მხედრობა დგას და თურქთა წინააღმდეგ გალაშქრებასა მთხოვს. ის ელჩიც ამისთვის მაახლეს. ნაამან-ფაშა, სულთნის სახელით, აურაცხელ ოქროსა და დიდ მიწებს მპირდება, რათა კვლავაც კეთილად ვუმეზობლო, თქვენი თავი ტყვედ ვუყო და, ჩემი სულთნისადმი ერთგულების ნიშნად, ფაშას საჩუქრად მივართვა. მაგრამ მე ხელმწიფეთ-საშუალი სამართალი სხვაზედ უკეთ ვუწყი... ამიტომ ოსმალო ელჩი უარით განვირიდე! თქვენ კი, ჩემი სტუმრები, ვისაც პატივი დაგდეთ და დედოფალიმპერატორის ყოველგვარი წერილობითი რწმუნების გარეშე ჩემს კარზედ შეგივრდომეთ, აღარც საქვეყნო სამართალს დადევთ და აღარც ელჩების მოტაცებას თაკილობთ! დიახ, ჩემს სამეფოში, როგორც დაპყრობილ ქვეყანაში ისე ირჯებით, თავხედობთ, ორგულ თავადებს უჩემოდ ნუგეშსა სცემთ, ქვეშევრდომებს მიმხედრებთ. მაშ, ვინა ხართ თქვენ? ნაცვლად იმისა, რომ ჩემს ფერხთით მუცელზედ ხოხავდეთ და უფალს იმასა სთხოვდეთ, რათა რატიევმან პეტერბურღიდან რწმუნების უსტარი დროულად შემოგაწიოთ, თვალთმაქცობთ, ჩემს მოღორებას ცდილობთ. მაგრამ იცოდეთ, მოთმინებასაც ზღვარი აქვს! მე მეფე ვარ და ძალმიძს თვით სამოთხეც ჯოჯოხეთად გიქციოთ!

ერეკლე დადუმდა.

— თქვენო უდიდებულესობავ, — გაუბედავად წარმოსთქვა დე გრაი დე ფუამ, — დავალებული მაქვს მოგახსენოთ, რომ უმაღლესი კარის ამა წლის ოცდაორი ოქტომბრის ბრძანებით, საქართველოში განლაგებული საექსპედიციო ჯარის რაოდენობა მომავლისათვის თითქმის ერთი ათად გაიზრდება.

— საბუთი. — ცივად გამოსცრა მეფემ.

ტოტლებენის ადიუტანტმა უბიდან დალუქული პაკეტი ამოიღო.

ლუქს იმპერიის უზენაესი ბეჭედი — ორთავიანი არწივი ამშვენებდა.

. . .

ის ღამე ტოტლებენმა ბუხართან გაატარა — საფიქრალი მართლაც რომ ჰქონდა — ცალ ხელში მურად მესამის ნაქონი ბეჭედი ეპყრა, — აიდეს მიერ საიდუმლოდ მორთმეული, ერთ სამეფოდ ღირებული ალმასისთვალა ბეჭედი! მეორეში — ნაკვერჩხლის საჩხრეკელი მაფრახა შოლტი.

გამთენიისას ბუხარი დაცხრა, ცეცხლი მინავლდა, მიიფერფლა.

გრაფმა ბეჭედი შეინახა.

— დე გრაი! — გასძახა მეორე ოთახში ადიუტანტს.

— გისმენთ, თქვენო ბრწყინვალებავ. — მოისმა კარს იქედან დე გრაის ფრთხილი, ნამძინარევი ხმა.

— გძინავთ? — ჰკითხა გენერალმა.

— არ ვიცი რა გიპასუხოთ, მაგრამ თუ თქვენ გნებავთ, შემიძლია ახლავე გეახლოთ, თქვენო ბრწყინვალებავ, — უპასუხა ადიუტანტმა.

— მაშ, მეფე ვარ და ძალმიძს თვით სამოთხეც ჯოჯოხეთად გიქციოთო. არა?

— დიახ, სწორედ ეგრე ბრძანა, თქვენო ბრწყინვალებავ.

— არაყი თუ გვაქვს?

— გვაქვს, თქვენო ბრწყინვალებავ.

გრაფი დადუმდა, კვლავ ბუხარს ჩააცქერდა.

ცოტა ხნის მერე ოთახში ადიუტანტი შემოვიდა. ჯერ გენერალს შეხედა, მერე საწოლს.

— მგონი არც კი გძინებიათ?! — გაოცვირვა და სუფრის გაწყობას შეუდგა.

— აბა, ძილისთვის სად მცალა, ჩემო ძვირფასო! საფიქრალი უამრავი მაქვს, საცაა დაზამთრდება კიდეც.

— საფიქრალი მართლაც ბევრია, თქვენო ბრწყინვალებავ, მაგრამ....

— განგებ არ გაგაღვიძე, ჩემო ძვირფასო! — ამოიოხრა გრაფმა და მისთვის ჩვეული ორჭოფობით დასძინა,— ვიჯექი, ცეცხლს ვეთამაშებოდი...

— ცეცხლს?!

— დიახ, ცეცხლს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

18.

მრავალქირნახულ სურამის ციხეს თავს გადაფხულის სუსტი ნათელი დასდგომოდა.

ქვემო ქალაში, საცა რუს-ქართველთა გაერთიანებული ლაშქარი ბანაკად იდგა, ორი ალამი ფრიალებდა: ერთი რუსთ ხელმწიფისა, მეორე — ერეკლესი.

მთავარ კარავთან, რომელიც მეფეს ეკუთვნოდა, მუშკეტერთა ასეული, კარაბინერთა და ჰუსართა ოთხი ესკადრონი, დონის კაზაკნი, ყალმუხნი და არტილერიის მომსახურე პერსონალი ლამაზად ჩამწკრივებულიყო. ქართველებსაც თავისი ეცადნათ — ცხენოსნები ცალკე დამდგარიყვნენ, ქვეითნი— ცალკე.

— მაინც აბრაგებსა ვგევართო. — სწუხდა ლევან პატონიშვილი.

დაფდაფების საზეიმო დაძახილზე გრაფ გოთლიბ-კურტ-ჰაინრიჰ ტოტლებენი და კაპიტანი ლვოვი ერეკლეს მიეახლნენ.

— მისი უდიდებულესობის იმპერატრიცა ეკატერინა მეორის სახელით გილოცავთ! — საჯაროდ განაცხადა გენერალმა და ქართლ-კახეთის ჰარმაგ მბრძანებელს მკერდზე ანდრია პირველწოდებულის ორდენი დააბნია.

— ურააა! — ერთხმად იგრიალა მწყობრმა.

— ვაშა! ჩვენს მეფეს გაუმარჯოს! გაუმარჯოს ერეკლეს! — დასძახეს ქართველებმაც.

ერეკლემ ხელი შემართა.

— სახელითა ერისა, მისი უდიდებულესობა იმპერატრიცისათვის მადლი მომიხსენებიაო. — ბრძანა.

— გაუმარჯოს მეფეს! — კვლავ დასძახეს ქართველებმა.

რუსთა „ურამაც" მაშინვე იგრიალა.

გრენადერებმა ზარბაზნები დასცალეს...

. . .

ჩამოლამდა.

რიკოთის უღელტეხილს გადმომცდარი საწვიმარი ღრუბელი ფერდობზე ჩამოიშალა.

. . .

ერეკლეს კარავში გამართულ სამხედრო თათბირს იმერთა მეფის მოციქულნი, თავადი ქაიხოსრო აბულაძე და სოლომონ პირველის ძმა, კათალიკოსი იოსებიც დაასწრეს.

შეკრებილნი ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ, ბაასობდნენ, ტოტლებენის მობრძანებას-ღა ელოდნენ.

— მიკვირს, ღმერთმანი, რუსების ასე მცირე ჯარს რომ აჰყევ და ხვანთქარს აეშალე?! — ეუბნებოდა თავადი ქაიხოსრო მეფეს. — ახლა, ეს მიბრძანე, შენი ჭირი ჰქონდეს შენს მტერსა და ავს, ხვანთქარმა რომ ერთი სერასკირი წამოაყენოს და იქიდან დაღესტანს უბრძანოს: ახლა შენ იციო! მერე რაღას შვები?!... ეს უცხო გენერალიც, შენ ხარ ჩემი ბატონი, ან შლეგია, ან ეშმაკი. ჩემი შეტყობით, მაგას რუსეთიც სარცხვენელზე ჰკიდია და იმერეთ-ამერეთიც. სოლომონ მეფემ რომ ახალციხეზე წასვლა განიზრახა, რა უთხრა თუ იცი? თუ ხუთასი კაცით წამოხვალ, წამოდიო და თუ მეტს წამოიყვან. შენი წამოსვლა არ იქნებაო, აპა?!.

— ნუთუ?! — განვებ გაიკვირვა მეფემ.

— კი, მამის სული ნუ წამიწყდება! — დაიფიცა თავადმა ქაიხოსრომ და ეშხში შესულმა, კვლავაც მონდომებით განაგრძო: — ჰო და, ამის სმენა ჩვენს მეფესაც დიდად ეოცა და გაწკვირდა კიდეც: ხვანთქართან ბრძოლა და დიდრონი ქალაქების დაპყრობა ხუთასი კაცით რავა იქნებაო!?

ამასობაში კარავს ოფიცრებით ხლებული ტოტლებენიც მოადგა. დაგვიანებისთვის ბოდიში მოიხადა.

— გეფიცებით ყოვლად უბრალონი ვართ, საათმა გვიმტყუნა. — განაცხადა უტიფრად.

ჩოგლოკოვმა და ოემმენიკოვმა ერთმანეთს გადახედეს.

ერეკლემ წვეულნი მაგიდასთან მიიპატიჟა, დასხდომა უბრძანა.

— ჯერ იმერთა მეფე სოლომონის ძმას, იოსებ კათალიკოსს ვუსმინოთ. — ჩაილაპარაკა უხალისოდ.

— სასმენი იმდენიც არაფერი გახლავთ, მაგრამ სარწმუნოდ კვლავაც იმავეს მოგახსენებთ. — დინჯად წამოიწყო იოსებმა და ტოტლებენის საგულისხმოდ დინჯადვე განაგრძო: — სოლომონ მეფეს დიდადა სურს, რომ რუსეთის იმპერატორს ომში დახმარება გაუწიოს, თუმცა, შინაურ მტრებსა და ოსმალო მოთარეშეებს ვერა და ველარ აუვიდა. თუ უფალმა ინება და იმათ წინაალმდეგ რაიმე დროულად გაახერხა, იმერთა ლაშქრით პირდაპირ ახალციხეზედ წავა და იქ შემოგიდგებათ.

კათალიკოსის ნაუბარი მოკლე და ნათელი იყო. იმერთა მეფეს ახალციხეზე ლაშქრობა ამჯერად ხელს არ აძლევდა. საამისო მიზეზი მართლაც მრავალი ჰქონდა, მაგრამ მათ შორის უმთავრესი მხოლოდ ერეკლემ თუ იცოდა.

-- სამწუხაროა. — ამოიხვნეშა ტოტლებენმა, თუმცა მის სახეს მწუხარებისა ბევრი არაფერი დასტყობია.

— აკი წელანაც დავიჩივლე: ღმერთმა იცოდეს, სოლომონისა აწ ველარა შევიცან-მეთქი. — შუბლი შეიკრა ერეკლემ, მერე თათბირად ხმობილნი სათითაოდ შეათვალიერა და გულნატკენმა, ფიქრიანად განაგრძო: — ზრახვანი ჩემნი ყოვლისაგან დაუფარავ არს. თავადაც უწყით, რომ ქვეყანა ახალციხისა ორასი წელი შესრულდება, რაც თურქთ უპყრიათ. თუმც, მიწა ესე უფლისაგან ქართველთ გვეკუთვნის. დიახ, საქმნელი საშურალი დღეს სხვა არცაა, ვინემ გამოხსნა ამა მიწის და რუსთ ხელმწიფის შემწეობით ქართლის აღდგომა! თუ ეს ვილონე, უფალს ვფიცავ, კახთ ჭარ-ბელაქანს, არარატს მიჯრილ სომხეთ მხარეს, ყარსს, გინა არზრუმს და ზღვის მახლობლად იავარქმნილ ჩვენკერძ ადგილებს, ღვთის შემწეობით დაუდგრომ-

ლად შემოვიმტკიცებ! იცოდეთ ესეც, რომ ინდოეთს მყოფ დიდვაჭართა მოთავე კაცი, შაჰმირ გვარად შაჰმირიანი და სხვა სომეხი დიდებულნიც იმასა მთხოვენ, რომ კავკასს აქეთ, ივერიის წმინდა დროშის ქვეშ, ქრისტიანთათვის ერთიანი სამეფო შევქმნათ! ეპისკოპოსი ისაიაც მოციქულს ჰგზავნის: ასურელთ შენთან ერთობა და ძმობა სწყურიათო. თუ ესეა, ორჭოფობას რად აქვს ფრთა შლილი!? ეგებ, სოლომონს სხვა აწუხებს და ის ჰგონია, რომ მე მხოლოდ-ღა თავისთვის ვიღწვი და თუ საწადელს ერისასა ღვთით აღვასრულებ, არც ორ-მეფობას შევიწყნარებ და იმერთ ტახტსაც სულმოკლეობით ჩემად ვიგულებ? არა, ღმერთმანი, ფიქრი ესე მე არ მეგების!

მეფე დადუმდა.

იოსებ კათალიკოსმა თავი ჩაქინდრა, — მაგგვარი გარჯა ზეციერმა ყველას აშოროსო. — ჩაილუღლუღა...

ტოტლებენმა ჯიბიდან საათი ამოიღო, დახედა.

— ეტყობა სიტყვა გამიგრძელდა. — იწყინა ერეკლემ.

— უდიერებად ნუ ჩამომართმევთ, თქვენო უდიდებულესობავ, ჩვეულებითა ვქმენ. — ბოდიში მოიხადა გრაფმა.

მოთათბირეთა შორის უამურმა სიჩუმემ დაისადგურა.

გაწვიმებულიყო.

კარვის გუმბათზე უთვალავი შხეფი ერთბაშად ხმაურობდა.

— თქვენო უდიდებულესობავ, — ხმაში ნაღველი გაურია ტოტლებენმა. — სამწუხაროა, მაგრამ უგზობისა თუ პირველი ამინდების გამო აპრილის შუა რიცხვებამდე საექსპედიციო კორპუსის ახალციხეზედ დაძვრა მეცა და ჩემს ოფიცრებსაც შეუძლებლად მიგვაჩნია. თან, რა თქმა უნდა, ჰუსართა მორიგი ესკადრონის, არტილერიისა და დრაგუნთა დამხმარე რაზმის ჩამოსაყვანად მოზდოკს მივლინებულ თავად რატიევსაც უნდა დაველოდოთ. ესეც რომ არა, დროის საკითხიც გადაუჭრელი გვრჩება. სურსათი, საზიდრები... ყველაფერს სათანადო მომზადება სჭირდება! — როგორც შევიტყვე, ახალციხემდე სავალი დიდია. გზად არა ერთი ფორტისა თუ ციხე-სიმაგრის აღება და შიგ გარნიზონების ჩაყენებაც მოგვიხდება. ასე რომ, საფაშოს დედაქალაქზე გადამწყვეტი იერიშის დაწყება ზაფხულისთვის უნდა გადავდოთ.

ტოტლებენის ეშმაკურმა ვარაუდმა ერეკლეს სიმწრის ღიმილი მოჰგვარა.

— დალოცვილნო, გამოქვაბულსა და სოროებში მეციხოვნეთა ჩაყენება სად გაგონილა?! ან გზად მდებარე ციხეები რას-ღა მიქვია!? არა, ამ საქმის ზაფხულამდე გადადება აღარ იქნების, სიჩქარე გვმართებს! ვიდრე ოსმალო თადარიგს დაიჭერდეს, ახალციხეზედ უნდა მივიდეთ. თუ ვიმარჯვეთ და საფაშოს გული ჩვენ დავიმორჩილეთ, ჯაყელთა ტახტიც უმალვე წაიქცევა, თურქებს საყრდენი, ხოლო მთთარეში ლეკის აბრაგებს ბუნაგი მოეშლებათ. ქართლი შვებას იგრძნობს, უზურგოდ შთენილი ურჩნიც სოლომონისანი მალევე შედრკებიან, ფარ-ხმალს დაჰყრიან, იმერეთი ხელს გამოიღებს, ოსმალთ კირთებქვეშ ქედმოხრილი ქრისტიანენიც აღსდგებიან, მერმე თავადი რატიევიც ჯარს მოგვაშველებს და, საფაშო რაა? უფლის წყალობით, ეგებ, თვით კონსტანტინეს ქალაქამდეც აღარ დავყოვნდეთ. ამადაცა ვთქვი, სიჩქარე გვმართებს-მეთქი... ციხეებს გვერდი უნდა ვუქციოთ. სურსათისაც ტყუილა გვედარდების, საზრდოს მტრის მამულში თარეშითაც იოლად მოვიპოვებთ. ამით ერთბაშად ორ საქმესა ვიქმთ: ჯერე რომ საგზალს არ ვიტვირთებთ, მერმე მეციხოვნეებსაც დავამშევთ, ისეთ დღეს დავუყენებთ, ხვეწნითა ჰყეფდნენ: სიკეთე ჰქმენით, თქვენის ძალლების გვერდით დაგვაბით, ვინძლო სალაფავი მაინცა გვქონდესო.

— ვივატ, თქვენო უდიდებულესობავ, — ველარ დაჰფარა აღფრთოვანება ჩოგლოკოვმა. — მართალია, თქვე-

ნის სიბრძნისა და სიმამაცისა ადრეც მრავალი მსმენია, მაგრამ ხილულმა გაგონილს დიდად აჯობა და ყოველგვარ მოლოდინსაც ჭეშმარიტად გადააჭარბა.

ჩოგლოკოვის მოულოდნელმა აღტაცებამ და ერეკლესადმი მიძღვნილმა თავშეუკავებელმა ქათინაურმა დამსწრენი, ცოტა არ იყოს, გააკვირვა. ხოლო, ტოტლებენს, ზიზღიც კი მოჰგვარა.

— მესიე ლო ლეიტენანტ კოლოხელ, ილ ნე-ფო პა უბლიე კე სე ჟეორჟიან კი დუა ა ნუ ედე, მე ნე კონტრერ (ნუ გავიწყდებათ, ბატონო პოდპოლკოვნიკო, რომ ქართველები, შეთანხმებისამებრ, ჩვენ გვეხმარებიან და არა ჩვენ მათ!) — შენიშნა გრაფმა.

— ეგ ერთი და იგივეა, გრაფ! — წამოენთო პოდპოლკოვნიკი, — მოვალე ვარ, შეგახსენოთ, რომ მე, ნაუმ ნიკოლოზის-ძე ჩოგლოკოვი, იმპერატრიცისა და პავლე უფლისწულის მერე, რუსეთში პირველი კაცი ვარ, ამიტომაც, ჩემი ქვეყნის ღირსებისა მე უფრო გამეგება, ვინემ სხვას! მოსკოვის დიდი მთავრის, ივანე ვასილის-ძის აქეთ, ჩვენი მისია, ბარბაროსთა უღელქვეშ მოქცეული ერების დახსნა და მათი მფარველობა გახლავთ! მისი უდიდებულესობის, ქართლ-კახეთის სახელგანთქმული მეფის, ერეკლეს გეგმა მითაც უფრო მომხიბვლელია, რომ ჩვენს მიზნებს, ვითარცა ხანჯლის ორი პირი, ისე წაავავს. თქვენ კი უარყოფთ ამ დიად მისწრაფებას, ფრთხილობთ, გინდათ მცირედით დაკმაყოფილდეთ! რუსულ იარაღს სახელს უტეხთ! დიახ, როგორც ყოველთვის, ეხლაც მხოლოდ თავისთვის იღწვით და არა რუსეთისათვის!

— ცდებით, თქვენო ბრწყინვალებავ, გრაფის მიერ რწმუნებულ საექსპედიციო კორპუსს კავკასიაში მხოლოდ ოსმალთა გარკვეული ძალების დაბანდება ევალება. — შეეწინააღმდეგა ჩოგლოკოვს გენერალ ტოტლებენის ერთგული ოფიცერი, ბარონი შტეინი.

— არა მხოლოდ დაბანდება, არამედ მათთან ბრძოლაც! — გაუსწორა ბარონს საგარეო საქმეთა კოლეგიის წარმომადგენელმა მოურავოვმა.

ერეკლემ იგრძნო, რომ მოკავშირეთა ბანაკი აშკარად ორად გაყოფილიყო.

— უცნაურია, — გადაულაპარაკა ლევან ბატონიშვილმა მამას, — ტოტლებენის მომხრეთა შორის, მაიორ კარპისა და ლვოვის გარდა, ყველანი უცხო არიან: ეგ ბარონიც, პიკსნერი, ვინკლერი, ზორნაი, კელლერი... ჩოგლოკოვისა კი რუსნი: რემმენიკოვი, კაპიტანი ზამარაევი...

— თქვენო უდიდებულესობავ, — თავი აიღო ტოტლებენმა. — მიზანი თქვენი, როგორც წელან მისმა ბრწყინვალებამ, პოდპოლკოვნიკმა ნაუმ ნიკოლოზის ძე ჩოგლოკოვმა ბრძანა, მართლაც მომხიბვლელია, მაგრამ ასეთი გეგმა ევროპული სამხედრო ხელოვნებისთვის უცხო და მიუღებელი გახლავთ, რადგან წარუმატებლობის შემთხვევაში არა მარტო ჩვენი საერთო ჯარის სრულ დაღუპვას, არამედ, რუსეთ-ოსმალეთის ომში იმპერიის კავკასიისკენ მოპყრობილი იმედების გაცრუებასაც ნიშნავს. მოხალისე ჩოგლოკოვს რა ენაღვლება. ასეთ შემთხვევაში მთელი პასუხისმგებლობა თქვენ და მხოლოდ თქვენ გეკისრებათ!

— ყაბულსა ვარ. — წამოდგა ერეკლე და თათბირიც ამით დასრულდა.

წვიმდა...

19.

ნაადრევმა გაზაფხულმა და გადაუღებელმა თბილმა წვიმებმა ჯავახეთის ქედს თოვლის ქათქათა სამოსელი ერთბაშად ჩამოძენძეს. მოსკდნენ ნიაღვარნი რუგეთის, კოდიანის, ჰერულასა და თისელის მთებიდან. ახმაურდნენ: მანგალას წყალი, შავწყალი, ბადალას ხევი... ღვართქაფი თავქვე დაქანდა, თან ლეხი და ნამეწყრალი ქვაღორღიც წამოიტანა — მტკვარს შერთო... გადელდა მტკვარი, გაგულისდა, კალაპოტი ველარ იგუა, ნაპირებს

გაცდა. სოფლებს შემოადგა, ტაფობებსა და საყანე ადგილებში ჩაილვარა, ნახნავები დატბორა.. მრავალი ხიდი თუ! ბოგირი წარიტანა. მეთევზეებს ფაცერ-ბადეები წაართვა, ნავები დაუმსხვრია. ბოლოს ასპინძის ბურჯმაგარ ხიდსაც წაეტანა, ლამის შეწვდა კიდეც, მაგრამ იმდენი ძალაც აღარ ეყო და დროებით თავი მიანება.

იმ დღესაც კოკისპირულად წვიმდა.

წვიმდა. თუმცა, კახეთსა და ქართლზედ გარდმოვლილი ლეკთა ლაშქარი ავდარს არ ეპუებოდა, თან გზადაგზა ნაშოვნი ტყვეც მოჰყავდა — ქალები უნაგირებზე მოეგდოთ, ზოგნი წინ, კეხთაზე შემოესვათ. ვაჟები სამარქაფო ცხენებზე ხელფეხგაკრულნი ხურჯინებივით გადაეკიდათ. მოაგელვებდნენ კაცისმჭამელ ჩერქეზულ რაშებს...

ლაშქარს, ოსმალთა ელჩი ალი-აღა, ყუმუხის მთავრის ვაჟი ჰაჯი გახრაი, ლეკთა განთქმული წინამძღოლი მალანჩა კოხტა ბელადი და სულეიმან ფაშის დისწული დიასამიძის ქალი მშვენიერი აიდე მოუძღოდნენ.

— ცხენები ველარ გაუძლებენ, ფაშის დისწულო, დაწყდებიან! — გასძახა მალანჩა ბელადმა აიდეს, არუშანის ასულს.

ფაშის დისწულმა ულაყს მათრახი დაუნდობლად გადაუჭირა.

— გზაც იქითა ჰქონიათ! — გამოსძახა პასუხად.

ახალციხისკენ მიმავალნი, ასპინძის ხიდზე ყიჟინით შეცვივდნენ, მტკვარზედ გარდახდნენ და სამშვიდობოს გასულნი იწროებს შეეფარნენ.

წვიმდა...

. . .

უამინდობის, უემური ფიქრებისა თუ ერეკლესთან მომხდარი უთანხმოების გამო ტოტლებენს, უძილობასთან ერთად, კეფის აუტანელი ტკივილებიც დასჩემდა.

საწონელი ქამისა, რახანია, ალიონისკენ გადახრილიყო.

სახოცით თავწაკრული გენერალი სამოვარს მიჯდომოდა, რომ გარეულ ჩაის ხვრეპა-ხვრეპით შეექცეოდა და თან, ვოლტერის მიერ „ხალხთა სულისა და ზნე-ჩვეულებათა შესახებ“ შედგენილ ტრაქტატს ლოცვანივით ჩაჰბუტბუტებდა.

— მონ ჟენერალ, ლე დე პრენს ჟორჟიენ ვე ვუ ვუარ (ორ ქართველ თავადს თქვენი ნახვა სურს). — ჩაესმა ანაზდად.

კარვის კალთასთან ნამძინარევი დე გრაი იდგა.

ტოტლებენმა წიგნს თავი მიანება.

— ვინ ორ თავადსო?! — იკითხა გაკვირვებით.

ადიუტანტმა პასუხად მხოლოდ მხრები-ღა აიჩეჩა.

გრაფი წამოდგა, სახოცი მოიშორა.

წამსზეით კარავში ზაალ ორბელიანი და დავით ქსნის ერისთავი შემოვიდნენ.

— საჭირო საქმე რომ არა, ასე უდროოდ არ გეახლებოდით. მოიბოდიშეს.

გენერალმა სტუმრებს დაბრძანება სთხოვა. თან დე გრაისაც ანიშნა — სუფრას მიხედეო!

დასხდნენ.

— თქვენო ბრწყინვალებავ! — დროის დაუკარგავად წამოიწყო ზაალმა, მაგრამ უმალვე შეყოვნდა. სიფრთხილემ სძლია, ადიუტანტის კარვიდან გასვლას დაელოდა.

— ნუ გერიდებათ, თავადო, ბრძანეთ! დე გრაი სანდოზედ სანდო კაცია, მისგან დაფარული არაფერი მაქვს. — ღიმილით შეაგონა გრაფმა, თან ორბელიანს ხლებული უცხო სტუმარიც სახელდახელოდ შეათვალიერა.

ქსნის ერისთავი დუმდა, მაგიდაზე დარჩენილ წიგნს დასცქეროდა.

— მგონი ფრანგულსა ჰგავს? — იკითხა მორიდებით.

— დიახ, ვოლტერი გახლავთ, ხალხთა სულისა და ჩვეულებათა შესახებ გვებაასება. — დაუმოწმა მასპინძელმა.

დავითმა „უცხო ხილს“ თავი მიანება.

— თქვენო ბრწყინვალებავ! — კვლავ წამოიწყო ზაალმა. — მეცა და

ჩემს მძახალსაც, ქსნის ერისთავს დავითს, რახანია თქვენთან ბჭობა გვსურს. გვინდა ჩვენის ხვედრისა გკითხოთ და პასუხიც ისეთი შევისმინოთ, რომ არცა საქმესა საქვეყნოსა რაიმე ევნოს და არცა მამული ჩვენი ხელთა ჩვენთა გარე არ დაგვირჩეს. ალბათ, უჩვენოდაც უწყით, რომ ერეკლე მემკვიდრეობით ოდენ კახეთსა ჰფლობს. ქართლი მართალია მამისგან ერგო, მაგრამ მამასაც მისსა, თეიმურაზს, მეუფება ესე არა ღვთისაგან, არამედ ნადირ-შაჰისაგან ჰქონდა უსამართლოდ ბოძებული და ერი ქართლისაი მეფობას მისას არა სურვილებდა. ამადაც კახეთი, ანუ ჭეშმარიტი სამწყსო თვისი, რახან ერეკლემან ორსავ ქვეყნის მეფობა ხელთ იგდო, კეთილად შეინახა, ხოლო დიდებულნი ქართლისანი, ვითარცა უნდონი, ისრე ავიწროვა, რომ არცა რომელსა ბარბაროსსა ეგ არ უქნია!. მისი მზაკვრობით, დიდ შანშეს, ბიძას ცოლისძმას ჩემისა დავითისა შაჰმან თვალნი დასთხარა, დაუშანთა. საამილახვრო ამოაგდო. საერისთაო არაგვისა წარიტაცა, საუფლისწულოდ იქცია. ძეს მეფისა ჩვენის ჭეშმარიტისა სულმნათი ვახტანგისას ბატონიშვილს პაატას თავი მოჰკვეთა!

ორბელიანი დადუმდა, სავსე ხონჩით ხელდამშვენებული დე გრაის სუფრის გაწყობა აღროვა.

ადიუტანტმა მაგიდაზე ძეხვი, ნამცხვარი, რომის გაუხსნელი ბოთლი და საჩაიე ფინჯნები ჩამოარიგა.

სტუმართა მდუმარებამ, გენერლის ადიუტანტს, დროული განრიდება უკარნახა. ასეც მოიქცა, — წავიდა, დაცლილი ხონჩაც თან გაიყოლა...

— ბატონიშვილ პაატას თავი მოჰკვეთა-მეთქი, იმას ვამბობდი, — განაგრძო ორბელიანმა. — არც სხვა დაინდო. შავს დღეში მყოფნი თავადნი ქართლისანი უფალს მხოლოდ ერთსა-ღა სთხოვენ, რომ მისმა უდიდებულესობამ, იმპერატრიცამ ეკატერინემ შეიწყნაროს ვედრება მათი და კალთა თვისი დედობრივი გადააფაროს!

ხოლო, ნაცვლად ერეკლესი, სურვილისამებრ თვისისა, მოუვლინონ ქართლისა მბრძანებელი ვინმე რუსთაგანი! ანაც მეფე იმერეთისა სოლომონ. ანაც ქართლისა ვინმე დიდებული, გინდა ქსნის ერისთავი დავით, გინდა ეშმაკი და ბელზებელი... ანაც უპირატესი ყოველთა ამათსა ზედა, შვილიშვილი მეფისა ვახტანგისა ბექარის ძე ალექსანდრე, რომელიცა უბედობითა თვისითა, იმპერატრიცისგან უბრალოდ შერისხული, ეხლა ირანსა დგა.

ორბელიანი კვლავ დადუმდა.

— ქართლი ჩვენა ვართ და არა ერეკლე! — გაგულისდა აქამდე ჩუმად მყოფი ქსნის ერისთავი.

ტოტლებენი ჩაფიქრდა.

ზაალმა ჩაი მოწრუპა.

— მაშინაც სწორი ბრძანდებოდით, თქვენო ბრწყინვალებავ, ახალციხეზედ წასვლა არ იქნება. თუ ფაშას ვძლიეთ, მაშინ ერეკლე აღზევდება, გაზვიადდება, ხონთქართან ზავსა იქმს და მერმე, ალარც რუსეთის ერთგულებას ინდომებს. — შემპარავად ჩაილაპარაკა ზაალმა.

— თუ ფაშამ გვძლია? — ფრთხილად იკითხა ტოტლებენმა და პასუხის დაუცდელად კარისკენ შეტრიალდა. — დე გრაი!

— ახლავე, თქვენო ბრწყინვალებავ.

— უბრძანე ტყვე ებრაელი მონგვარონ!

— მესმის, თქვენო ბრწყინვალებავ!

გრაფი საგონებელში გახლდათ, დიდებულთა დაურიდებელმა ალსარებამ, ცალკერძ, უცნაური ეჭვი აღუძრა,ვაი თუ მცდიანო. ცალკერძ კი იმედი ჩაუსახა, ეგებ ამათი მხარდაჭერით იმდენი ვილონო, რომ ახალციხეზე ლაშქრობა თავიდან ავიცდინოო.

— ჩემმა გუშაგებმა ნაამან ფაშას ჯაშუში შეიპყრეს. ამბობს: ყუმუხის მთავრის შვილი, ჰაჯი გაპრაი, სულთანს თბილისის ბეგლარბეგად წინასწარვე ჰყავს დანიშნულიო. — ცალი თვალი მოჭუტა გრაფმა.

— თუ ფაშამ გვძლია ეგრეც მოხ-

დება... ოსმალო კავკასიონის ქედს აქეთ რუსეთს ფეხს ამოუკვეთავს! — დაუდასტურა ორბელიანმა.

კარავში ხელებშებორკილი ტყვე ებრაელი შემოიყვანეს.

ტოტლებენმა ბადრაგი დაითხოვა. დე გრაისაც ანიშნა განგვერიდეო და სტუმართან მარტო შთენილი ტყვეს მიუბრუნდა:

— აბა ელიაზარ, ერთხელაცა სთქვი, ვინ და რამდენნი შემოუდგნენ ახალციხის ფაშას?

პასუხს არ დაუგვიანია.

— არტაანის ბეგი ბექირ ახალციხის ჩინებული და დაუდ ფაშა და გოლა ფაშა შავშეთის ბეგი და ორი არტაანბეგის დისწულნი და ემინ ბეგი და ქისკენ ბეგი და ნარიმან ბეგი და არტაანის ყალაი ბეგი და რაჯაბ-ალა და ახალციხის გემრუჩი ჰამად-ალა და ბაშბაშდელი ბელუქ ბაში და დაღესტნის თავკაცნი ყუმუხის მთავრის შვილი ჰაჯი გაჰრაი და მალაჩა კოხტა-ბელადი და ყოყა-ბელადი და უსუფ-ბელადი და ჰაჯი-მამედ-ბელადი და მუსაბელადი და...

— კმარა! — შეაწყვეტინა ტოტლებენმა.

ელიაზარი დადუმდა.

— იმდენი ყოფილან, მაგათ ლაშქარიც აღარ უნდათ. — ჩაილაპარაკა დავითმა.

სიჩუმე ჩამოვარდა.

— შეთანხმებისამებრ, ამა თვის მეთოთხმეტე დღეს სადგურს მივაღწევთ. — ჩაიში რომი ჩაურია ტოტლებენმა. — ჯარის ნახევარს იქ დავტოვებ. სადგურიდან აწყურისკენ ორი გზა მიდის. ერთი საურმე, რომელიც მტკვარს მარცხნიდან გასდევს და ორმოცამდე ვერსით განიზომება. ხოლო მეორე, მტკვრის მარჯვნივ მიმავალი, საცალფეხო, მაგრამ შედარებით მოკლე. პირველი გზით ერეკლე წავა, მეორეთი მე... ჩვენი ლაშქარი სოფელ საკირესთან შეერთდება და აპრილის თექვსმეტს, ესე იგი სადგირს ჩასვლის ორი დღის მერე, აწყურის ციხეს შემოადგება. დანარჩენს მომავალი გვიჩვენებს.

კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა.

ზაალმა დავითს გადახედა. წამოდგნენ.

— მასპინძლობისთვის მადლი მოგვიხსენებიაო. — თქვეს და წასასვლელად განემზადნენ.

— ამას წინებზედ მეფემ ნავროზოვის პირით საიდუმლოდ შემომითვალა: ფრთხილად იყავით, ზოგიერთი რუსი ოფიცერი შენს დაღუპვას და შენს ნაცვლად ჩოგლოკოვის გასარდლებას აპირებსო. — ეშმაკური მცდელობით ჩაილაპარაკა გენერალმა და სევდანარევი ღიმილით დასძინა: — არც მიკვირს, დე გრაიმაც იგივე მითხრა: მაგ თქვენმა კუდაბზიკა ჩოგლოკოვმა ჩამოსვლისავე დღეს რამდენიმე ოფიცრისა და ჩემი თანდასწრებით რემმენიკოვის კარავში უტიფრად განაცხადა, რომ მას დავალებული აქვს თვალი ადევნოს თქვენს ყოფაქცევას და თუ გენერალი ქინიანობას არ დაიშლის, იგივეს დავმართებ, რაც ადრე პრუსიაში დაემართაო...

ტოტლებენის ნაუბარმა სტუმრები გააოცა.

— პრუსიაში რაღა დაგემართათ, თქვენო ბრწყინვალებავ?! — ველარ დაფარა ცნობისწადილი დავით ქსნის ერისთავმა.

— არაფერი. ოფიცრებმა შემიპყრეს და პეტერბურგს ბადრაგით ჩამომიყვანეს, — მშვიდად მიუგო გრაფმა.

— მერე?

— მერე, იმპერიიდან გამაძევეს...

დანარჩენი ყველასათვის ნათელი იყო.

— დე გრაი!

— გისმენთ, გრაფ,

— გთხოვ სტუმრები გააცილო! ჰო, მართლა, კინაღამ დამავიწყდა თავადო, რომ თქვენი თანამემამულე, პოდპოლკოვნიკი ჩოლოკაევი უკვე დავაპატიმრე.

ეს ცნობა გრაფმა ზაალ ორბელიანს კარვის კალთასთან ნიშნისმოგებით შეაჩეჩა.

მარტო დარჩენილ საბრალო ელიაზარს აღარ გაუგონია რა ისაუბრეს კარვიდან გასულებმა. იგი ტრატომღაც შემკრთალი და ზომაზე მეტად გაფითრებულიც იყო.

როცა გრაფი კარავში შემობრუნდა, აქვითინებული ელიაზარი მუხლებზე მოეხვია.

— ნუ მომკლავთ, თქვენო ბრწყინვალებავ; წვრილშვილის პატრონი ვარ, ენა ამომგლიჯეთ, დამაყრუეთ, დამაბრმავეთ... ოღონდ ნუ მომკლავთ!

— რატომ გგონია, რომ მოგკლავ, ელიაზარ?!

— ვხვდები, თქვენო ბრწყინვალებავ! თქვენ და იმ ორმა დიდებულმა ბატონმა იმდენი საიდუმლო გამანდეთ, მკვდარსაც არ გაანდობენ, თქვენო ბრწყინვალებავ!

— განა ყველაფერი კარგად დაიმახსოვრე ელიაზარ?

— დამამახსოვრდა, თქვენო ბრწყინვალებავ...

გრაფი წამიერად ჩაფიქრდა.

— ნაამან ფაშამ თუ გითხრა რაიმე, ელიაზარ?

— მითხრა, თქვენო ბრწყინვალებავ. თუ ტყვედ ჩავარდნა გეწეროს, გირჩევნია გერმანელ გენერალს ჩაუვარდიო.

— სწორედ უთქვამს. — ამ სიტყვებზე ტოტლებენმა ტყვეს ხელები შეუხსნა, წამოაყენა, მერე უბიდან ბარათი ამოიღო და ჩურჩულით უთხრა: — წადი ელიაზარ, ეს წერილი ნაამან ფაშას მიეც!

ებრაელმა ყურებს არ დაუჯერა.

— იჩქარე, წადი! — უბრძანა ტოტლებენმა — დე გრაი, ცხენი!

— ჩემს საქონელს თუ დამიბრუნებთ, თქვენო ბრწყინვალებავ?

— რა საქონელს, ელიაზარ?

— ფართალსა და ბატს, თქვენო ბრწყინვალებავ.

— ბატს?! — გაოცდა გენერალი.

ელიაზარს შერცხვა.

— არა, თქვენო ბრწყინვალებავ, ბატს როდი ვჩივი, ღმერთმა შეარგოს თქვენს სალდათებს, მაგრამ გზად ათასი ხიფათი მელის. უბატონოდ და უსაქონლოდ რაღა მეწვრილმანეს ვემგვანები, თქვენო ბრწყინვალებავ.

20.

იმ დილით, მაიორი რემმენიკოვიმისმა ჭაბუკმა მეგობარმა პოდპორუჩიკმა სვეჩინმა გამოაღვიძა.

— ადექით, თუ ღმერთი გწამთ, გევედრებით, ჩქარა ადექით! — ღელავდა სვეჩინი.

მაიორი საწოლზე წამოჯდა, თვალები მოიფშვნიტა...

— რაო, ანდრიუშა, რა გინდაო? მთქნარებით იკითხა მან.

ჭაბუკ პოდპორუჩიკს რემმენიკოვის სიმშვიდე ყოველთვის აღტაცებას გვრიდა, მაგრამ ამჯერად მისმა გულგრილობამ რატომღაც საშინლად აღაშფოთა...

— რა დროს მთქნარებაა, თქვენო კეთილშობილებავ?!.. გრაფის ბრძანებით მისი ბრწყინვალება პოდპოლკოვნიკი ჩოგლოკოვი ეს ხანია დააპატიმრეს!...

— რად ღელავ, ანდრიუშა, ყველაფერი გასაგებია... ალბათ, მეც იგივე მელის, არა?

— რა თქმა უნდა, იგივე გელით! — უმალ მიუგო სვეჩინმა.

მაიორმა კვლავ დაამთქნარა...

— ერთი ის მუნდირი მომაწოდე, გეთაყვა. — მშვიდადვე უთხრა.

სვეჩინმა სამოსი მიაწოდა...

— იჩქარეთ, ღვთის გულისათვისო!— შეევედრა მოუთმენლად.

— კარგი, ანდრიუშა, ნუ თუხთუხებ... ჯერ ის მითხარი, ჩოგლოკოვი ვინ დააპატიმრა?

— რა თქმა უნდა კარპმა!.. — ზორნაიმ, პესკნერმა და კარპმა! მათ გარდა ყველა რუსი ოფიცერი ჩვენს მხარესაა... ილანძღებიან, ტოტლებენმა სამშობლო გაყიდა, ქრთამი აიღო, განსაცდელის ჟამს ბრძოლის ველიდან გაქცევა გადაწყვიტაო!.. იჩქარეთ, თქვენო კეთილშობილებავ, აღშფოთებული ოფიცრები თქვენს თანხმობასღა ელიან, გენერლის დატყვევებას და

მის ნაცვლად ჩოგლოკოვის გასარდლება აპირებენ...

— ყური დამიგდე, ჩემო კარგო!.. გენერლის დაპატიმრება შეუძლებელია, არც ერთს ციმბირი არ აგვცდება.

— რატომ, თუ კი ღალატი ნათელია?!

— გააჩნია ვისთვის.

რემმენიკოვის ყურადღება ცხენთა ფლოქვების თქარუნმა მიიქცია.

— მგონი მოვიდნენ. — ჩაილაპარაკა მან და მუნდირის უკანასკნელი ღილიც შეიკრა.

კარავში ჯერ კაპიტანი პესკნერი და კაპიტანი ზორნაი შემოვიდნენ, მერე — მაიორი კარპი.

— გენერლის ბრძანებით დაპატიმრებული ხართო! — ცივად მიახალეს მასპინძელს.

სვეჩინმა დაშნა ამოზიდა...

— რუსული იარაღის შერცხვენას არავის შევარჩენ! — წინ აღუდგა მოსულთ.

— რა დროს ხუმრობაა, ანდრიუშა, ხომ ხედავ, ბატონი ოფიცრები სარდლის ბრძანებას ასრულებენ... არა მგონია, რომ ამ საქმეს, დიდის ხალისით სჩადიოდნენ, მაგრამ წესი წესია! — დაშნა უკანვე ჩააგებინა რემმენიკოვმა სვეჩინს. მერმე ზორნაისა და პესკნერს თავისი იარაღი მორჩილად ჩააბარა და კარპს მიხედა. — ერთი ეს მითხარით, ბატონო მაიორო, რატომ არ ურჩიეთ ჩვენს გენერალს, რომ ბრძოლის წინ ოფიცრების დაპატიმრება ჯარზე ცუდ გავლენას მოახდენს. ან იქნებ მისი ბრწყინვალება ბრძოლას არც აპირებს?

— ეგ მისი საქმეა. — უხეშად მიუგო კარპმა.

— რა თქმა უნდა, მისი საქმეა... ამიტომაც ჩემს კეთილ მეგობარს ვთხოვ, ყველა რუს ოფიცერს შეახსენოს, რომ სამხედრო კოლეგიის წესდებით, ვიდრე გენერალი ღალატს არ ჩაიდენს, მისი უსიტყვო მორჩილება გვმართებს!... ხომ ყველას შეახსენებ, ანდრიუშა?

— არის, შევახსენო, თქვენო კეთილშობილებავ. — მონუსხულივით უპასუხა აწ პატივ აყრილ მაიორს ერთგულმა ხელქვეითმა.

— ძალიან კარგი. — გაუღიმა რემმენიკოვმა სვეჩინს და კვლავ ოფიცრებს მიუბრუნდა: — წავიდეთ, ბატონებო!

კარავში მხოლოდ სვეჩინი დარჩა...

პოდპორუჩიკს თვალები ცრემლით ავსებოდა...

ცრემლი კი უმწეობისა იყო...

21.

ტოტლებენმა დანაქადი აასრულა — თავისი ჯარის ნახევარი მართლაც სადგურს დასტოვა.

. . .

აპრილის მეთოთხმეტე დღეს, განთიადისას, დაფდაფების მხნე დაძახილზე წამოშლილი რუს-ქართველთა ლაშქარი სადგერიდან ახალციხისკენ დაიძრა. კლდეთა-ხიდს მიღწეული, შეთანხმებისამებრ, ორად გაიყო — ქართველები, მტკვრის მარცხენა ნაპირს მინდობილ, საურმე გზას გაჰყვნენ, ხოლო ტოტლებენის განახევრებულმა საექსპედიციო კორპუსმა მტკვარი გადალახა და აწყურისკენ მიმავალ საცალფეხო ბილიკებს შეუდგა.

. . .

ერეკლე მოწყენილი იყო.

მეფის უგუნებობა თითქოს მის თეთრონსაც გადასდებოდა. ხელმწიფის ულაყი უხალისოდ ვიდოდა — სხვათა ცხენებივით არღა ცმუკავდა, არ ჰიხვინებდა, აღარც ლაგმის დაჭერა ეჭირვებოდა...

— მოურავოვმა რაო? — ჰმუნვით ჰკითხა ერეკლემ ალექსანდრე ციციშვილს, ზემო-ქართლის სადროშოს მეთაურს.

— მრავალი ვემუდარე, იმპერატრიცასთან ჩივილითაც დავემუქრე, მაგრამ მაინც ვერაფერს გავხდი, სადგერს ჯარის დატოვებაზე ხელი ვერ

ავალებინე. — რიდით მიუგო ციციშვილმა.

იყუჩეს.

მეფეს ხელმარცხნივ გიორგი ბატონიშვილი, სარდალი დავით ორბელიანი, ქსნის-ერისთავი და მაჩაბელი მიჰყვებოდნენ. მარჯვნივ — ლევან უფლისწული, ზაალ ორბელიანი, ალექსანდრე ციციშვილი და ლუარსაბ ვაჩნაძე...

— ჩოგლოკოვი და რემმენიკოვი რალად შეიპყრო? — კვლავ უქმურად იკითხა მეფემ.

— ტოტლებენს უთქვამს, ჩემი დალუპვა უნდოდათო. — ფრთხილად უპასუხა ციციშვილმა.

ზაალმა და დავით ქსნის-ერისთავმა ერეკლეს გახედეს, სურდათ შეეტყოთ — იცრუა თუ სიმართლითა სთქვა გენერალმა: შეთქმულებისა, ლეიტენანტ ნავროზოვის პირით, თვით ერეკლეს მაცნობაო.

ვერაფერს ჰმიხვდნენ.

— სურსათისა რაღა ბრძანა?

— იცოტავა, მეფევ-ბატონო, მოურავოვისთვის შეუჩივლია, როგორ ვიკმარო, მტერზედ მივდივარ, საავარაკოდ ხო არაო!

— ნეტავ, სიმართლით ეთქვას. — ჩაილაპარაკა ერეკლემ, თან ცხენს დეზი ჰკრა, ლაშქრის შუაგულიდან სათავისკენ გაიჭრა.

დანარჩენებიც მიჰყვნენ.

ხეობაში საავდრო ნიავმა ჩამოიქროლა.

. . .

სწორედ იმ დღეს ერეკლესგან კვლავ სულჩადგმულმა ხვარამზე-ქალმა ნაკაფზე გახარებულ მცირე ვენახში ახლად-ალნაგ ვაზს ორი რქაწითელი ლერწი ააცალა. მერმე სასხლავით ნაწნავი მოკვეცა, მონაკვეცი თმით ლერწთაგან ჯვარი შეკონა — ემთხვია,

— ღმერთო, ჩვენს მეფეს გაუმარჯვეო! — აღავლინა მხურვალედ.

. . .

ნაშუადღევს, სურამიდან თბილისს მომავალმა ანტონ კათალიკოსმა, რომელსაც მცხეთის კარიბჭესთან ანჩისხატის არქი-დიაკონი გაიოზი მიჰგებებოდა, სვეტიცხოვლის უხვმრევლოვან ტაძარში რუს-ქართველთა ლაშქრისა ფაშაზედ გამარჯვებისათვის ილოცა...

— დამბადებელო დამბადებლისაო ღვთისმშობელო ქალწულო მარიამ, ერეკლესათვის ევედრე, რამეთუ თანამდგომნი ზრახვათა უფლისათა, რუსნიცა და ქართველნიც ამას გასაოებენო!

ასე დაასრულა წირვა, ქართლ-კახეთის ერთიანი სამეფოს კათალიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ანტონ პირველმა.

. . .

— დამბადებელო ყოვლისაო,
მოკვდავთა და უკვდავთაო,
მამავ, არსო ზეთაო, მოგვმადლე,
მხოლოდ შობილი ძისათვის.
განუცდელად სდავდე ირაკლის,
კურთხევა შენი მარადის მასზედ იყვნენ!
სამეფო კეთილად განეგოს,
ყოველ მტერს თვისსა სძლიოს,
სახელი მხსნისა დაიმკვიდროს...
მხოლოდ შობილი ძისათვის.
განაძლიერე ირაკლი,
რათა თრგუნოს უცხო თესლი,
ძალად ჰყვეს წმიდა ძელი,
მოგვემადლე,
მხოლოდ შობილი ძისათვის.
უფროს ალექსანდრესა განდიდდეს,
უფროს სოლომონისა ამაღლდეს.
დღითი-დღე განძლიერდეს, მოგვემადლე,
მხოლოდ შობილი ძისათვის.

ავეტიკ ამის მთხზუელი,
ყარიბი გამლექსი,
გვედრი უფალო! — აღავლინა ლაღადისაც თვისი, ანჩხატს სტუმრად მყოფმა ნახჩევნის ეპისკოპოსმა ავეტიკ ვართაპეტმა, მანამდე „არმენთა კათალიკოზისგან თბილისად წარმოვლენილმა“ თაყვანისმცემელმა ანტონისა, „კაცმან ფრიად საქებარმა და განსწავლულმა“.

— მითხარ ვართაპეტ, ლექსად რისთვის აღმოსთქვი? — ჰკითხა საიათნოვამ, როცა წირვაგადახდილი [illegible]ტის ბერ-მონაზონნი საყდრიდან ეზოში გამოეფინნენ.

— გულსა შინა როგორცა მქონდა,

ისევე ალმოვსთქვი. — უპასუხა მოძ-ლვარმა.

— კარგი ჰქმენ, ლექსად თქმულს ღმერთი უკეთ შეისმენსო. — შეაქო არუთინამ.

— ეგრე რადა ჰფიქრობ? — ახლა ავეტიკმა ჰკითხა.

საიათნოვა დაღონდა...

— რა ვი... ლოცვასა და ბერობაში ნეტა რა ჰყრია... თბილისი მომენატ-რა.. როცა გულით ვმღეროდი, ღმერ-თიც ჩემკენ იყო... როცა გულს ვუღა-ლატე, ღმერთმაც მიღალატა... აღარც ერეკლემ დამინდო, ქეციანი ლეკვივით მომიშორა... ეხლა რომ იმასთან ვყო-ფილიყავი, არ მოვაწყენდი, ომსაცა და ლხინსაც ლექსად ვუქცევდი. თარზედ ვიტყოდი, დავამღერებდი, უფალს მი-ვაწვდენდი...

— უბრალო თუ ხარ? — ახლა ეს ჰკითხა ვართაპეტმა.

— ეჰ, როგორ გითხრა! — ამოიოხ-რა საიათნოვამ .— გული მიტირის, უბ-რალო ხარო, მეუბნება...

მოძღვარი ჩაფიქრდა. უბრალო ყო-ფილაო, გაიფიქრა.

□ დასასრული იქნება □

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბესიკ ხარანაული

## შეხვედრა

კურთხეულ იყავ,
დილის მზის სხივო,
იმოდენა გზა
გაქვს გამოვლილი,
რომ ფეხზე

ხამლიც კი გაგცვეთია.
და ამიტომაც
ფეხშიშველი
დგახარ
ჩემი ფანჯრის რაფაზე.

## ძილისთვის

მოდი, ჩემო ლოგინო,
დავწვეთ და დავიძინოთ,
დღე თუ ცალკე ვიყავით
ღამე ერთად ვითმინოთ.

მოდი, შემომეგებე,
მომეფერე, დამათბე,
შემომსუდრე ეჭვებით
რითაც ღამეს გავათევთ.

მოდი, ჩემო ლოგინო,
ჩემო ციხევ მაგარო,
შემომერტყი, სამყარომ
კბილი ვერ მომაკაროს,

მოდი, გითხრა ამბავი,
გრძელი, გამწვდო ღამისა,
დღის თავგადანაყარი
გულს ვიმცვრიოთ ხალისად.

მოდი, ჩემო ლოგინო,
ღამის მეხრევ, პატრონო,
არ გამექცე დილამდის,
დილამდის არ დამტოვო...

როგორც ვეფხვი შამბნარში,
ვით ვარსკვლავი ღრუბელში,
ისე გავიყუჩებ
მე შენს მყუდრო უბეში

ხოდა, გადამეფარე,
როგორც კუბოს კარავი,
აღარავინ აღარ მსურს,
აღარ მინდა არავინ...

ან რა უნდა ვიტიროთ,
ან რა უნდა ვიცინოთ,
მოდი, ჩემო ლოგინო,
დავწვეთ და დავიძინოთ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

**ჯარჯი ფხოველი**

## სიმღერა იმედზე

1. ცრემლი, რომელიც მე დავღვარე,
მიწის გულმკერდს დაეფინება
და ივლის ბნელი მღვიმეებით წარსულის ძვლებზე
და ზღვასთან მივა დაუშურველი
და ბაგეგამშრალ ოკეანეს შეეხიდება.

2. სიყვარულის ხე, მე რომ დავრგე ღამის მიწაზე,
შენ ჩამოგიშვერს ნამცეცა ფესვებს,
შენი თვალების უდაბნოს მორწყავს
ნათლის შხეფებით
და გზას გასწავლის,
იმ გზას,
რომ გადის სამყაროთა ჰორიზონტებზე...

3. ცეცხლი, რომელიც მე დავანთე, შუქს მოიწურავს,
ცისკენ აიშვერს კენწეროებს, აიწვერება
და სინათლის ზღვას შეერევა,
დაუვსებელი...

## ნუ დასწყევლი ჩემს გზას

სიზმრების ველზე გადის ჩემი ძველისძველი გზა, —
ცოდვის ფოთლებით გადაფარული...

და თვალს რომ მომკრავ,
ნუ დასწყევლი ჩემს ძველისძველ გზას —
შენი სახლისკენ რომ მომიძღოდა,
ღამეების ეკლებზე რომ გადმომატარა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზამთრის დერეფანში რომ გამომაძვრინა...
ნუ დასწყევლი ჩემს ძველისძველ გზას...

გაალე ჭიშკარი...
სახლში შემიყვანე...

და წყვდიადის ხერხემალზე დაყრდნობილებმა
ჩავქოლოთ უკვდავი სიძულვილი!

## ლტოლვილი

და სიმარტოვის ჩრდილი მისდევდა
და ის გარბოდა მოგუგუნე ქალაქისაკენ...

მაგრამ იქაც,
იმ ხალხმრავალ საკრებულოშიც —
ყოველი ცათამბჯენის
და ყოველი მცენარის ფერხთით,
ყოველი ხიდის მოაჯირთან, გაჩერებასთან,
ყოველ სახლთან
და ყოველი სახლის სარკმელთან
ის ჩრდილი იდგა — ის უფორმო და აჯაგრული
ჩრდილი იძვროდა და ხელს უწვდიდა
და მისდევდა და მისდევდა შეუსვენებლივ...

და ის გარბოდა მოგუგუნე ქალაქიდან და გაურბოდა
სიმარტოვის ჩრდილს მატარებლით,
თვითმფრინავით,
ავტომობილით...
და ის გარბოდა შორეულ სიზმრებისაკენ...

მაგრამ იქაც...

## ჩრდილების ქალაქი

როცა ჩავუვლი ჩემს ანარეკლს ვიტრინების გრძელ
სარკეებში,

მე მახსენდება რომ ხის ჩრდილი ვარ —
ჯერაც რომ დგას და გაძარცული, ფოთოლდაყრილი
ქარებს რომ ებრძვის ჩემი ხსოვნის ყინულოვან ოკეანეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენ კი, ალბათ, ანგელოზის ცრემლის ჩრდილი ხარ,
ჩემი ქალაქის დიდო მდინარევ...
რომ გამღვრევს, ალბათ, მწუხარების ცრემლის ჩრდილია,
ან, ეგებ, ღამის მონაწური ცრემლის წინწკალი...

და ცათამბჯენი,
შენს ზვირთებს რომ დასჩერებია,
ჩრდილთა წუხილის უხმოდ მზიდავი,
კაცთა ოცნების ჩრდილი არის, დამძიმებული...

და რაც ხმიანებს, რაც შენს ირგვლივ დაიჭლიკება,
ყველა ჩრდილია
სიხარულის,
წუხილის,
ცრემლის...

და ეს ლექსიც ხსოვნის ჩრდილია,
მხოლოდ ჩრდილია, ჩემო ქალაქო,
ჩრდილების ველზე დავარდნილი ობოლ კენჭივით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივან ბუნინი

# ველგა

## მოთხრობა

გესმის, რა საწყალობლად კივის თოლია ზღვის თავზე?

ნისლიან შორეთს უერთდება წყლის ბინდისფერი ზედაპირი დასავლეთისაკენ, ნისლიან შორეთში იკარგება ჩრდილოეთით მისი კლდოვანი ნაპირი. სუსხიანი ქარი ქრის, ცივა... აჭავლებული წყლის შრიალი ხან მიწყდება, ხან ქარდაკრული ფიჭვნარივით აჩურჩულდება და თოლიას კივილთან ერთად ზღვის ნაპირებს შეეფინება... ხედავ თოლიას? ქარს აყოლილი, ქარისაგან შეციებული მოქნილ ფოთლებზე როგორ ირწევა, ეული და მიუსაფარი რძისფერ ნისლში როგორ ფარფატებს...

ამ პირქუშ ზღვაზე, მის უკაცრიელ კუნძულებსა და სანაპიროზე მუდამ უემური ტაროსია, ცა იღრუბლება, იქუშება, ცა დილიდანვე კოპებს იკრავს, მითუმეტეს, ახლა უკვე შემოდგომაა, ჩრდილოეთში კი შემოდგომა უფრო ცრიატი, კიდევ უფრო პირქუში და სევდიანია. ზღვა მრისხანედ გაიფოფრება, გარკინისფრდება, გაშლილი და თვალშეუდგამი ნისლოვან სივრცეს შეერევა დასავლეთისკენ, დასავლეთიდან ქარი კვლავ უკან გამორეკავს ტალღას ტალღაზე, თოლიას კივილს წამოიღებს, შორს სივრცეებს გამოატარებს.

— კრიი... — საცოდავად კივის თოლია და ეს კივილი გულსაკლავად გაისმის ქარში...

დღეს დილას იგი ზღვას მოუსვენრად დასტრიალებდა, წყალკვეთის თავზე მოწყენილი დაფარფატებდა. ზღვა ბობოქრობდა, უშველებელი ტალღები ნაპირს ეხეთქებოდა, ლოდსა და ქვიშას იტაცებდა, ღრმულებს სტოვებდა, ხორხოშელა თოვლის შრიალით წვრილ შხეფებად იფანტებოდა. სანაპიროდან, ვით სარკიდან, ისევ ზღვაში ჩაიქცეოდა, ზღვიდან წამოსულ ახალ ტალღას შეიშველებდა და შორს, შორს, სადღაც, მძიმე ლოდებს შეემსხვრეოდა... თოლია კი ცაში აწვდილ ტალღებს შორის გაიქროლებდა, წყლის ოღროჩოღრო ზედაპირზე მოტივტივეს ახალი ტალღა დაეწეოდა, მრუდე ქოჩორზე მოიქცევდა, თეთრი ქაფით ფრთამოხატული ფარფატ-ფარფატით ისევ ცაში აიჭრებოდა... ქარი არწევდა, ტალღებს ზემოთ ნება-ნება აქანავებდა... აი, ცრიატი დღე მიილია, ბინდისფერი მწუხრი ჩამოწვა... აი, დაღლილი, ქარს მინდობილი თეთრი თოლია მდორედ მიიწევს, ნაცრისფერ ნისლში იცრიცება, თვალს ეფარება... გესმის, როგორ საწყალობლად კივის თოლია, რა მწარე და რა ტკბილია მისი გოდება? აი, ბინდში ძლივსღა ირჩევა, ბნელ ღამეში ნელ-ნელა უჩინარდება. ქარი თანდათან ძლიერდება, ქაფის ჭაღარა ღალალები სულ უფრო ხშირად იწეწება ღამეული ზღვის ზედაპირზე... ზღვა ბობოქრობს, ზარი მატულობს, ყინულივით ცივი ქარი მაღლა მიიწევს, დიდრონ ტალღებს შეჭიდებული ზღვის სუნით და წყლის შხეფებით ჰაერს აჯერებს.

— კრიი... — საცოდავად კივის თოლია, შორს, შორს, ზღვიდან ძლივსღა აღწევს მისი კივილი.

...ყური დამიგდე, ამ ხმაურში, ამ ბობოქარი ზღვის ხმაურში, მე მოგიყვები ერთ ლეგენდას, ჩრდილოეთის ერთ ძველსა და ლამაზ ლეგენდას...

2.

ეს იყო უხსოვარ დროს...

ჩრდილოეთის ცივი ზღვის ნაპირას ცხოვრობდა ახალგაზრდა და ძლიერი ველგა. დასავლეთით იყო ზღვა, აღმოსავლეთით ჰორიზონტს მიკრული ქვიშიანი ნაპირი. ველგა არასოდეს ყოფილა აღმოსავლეთით, არ ყოფილა არც დედა, არც მამა, არც უფროსი და სნეგარი... ველგამ არ იცოდა რა იყო აღმოსავლეთით — ველგამ იცოდა მხოლოდ ზღვა...

ამ ზღვის პირას ჩაიარა მისმა მხიარულმა ბავშვობამ. ზამთრობით, როცა ზღვის ნაპირი თეთრი თოვლით იყო დაფარული, როდესაც ზღვას სილურჯე მხოლოდ ცის კიდურთანღა შერჩენოდა, თბილ გერმაში გახვეულს ეძინა ველგას, დაბალი, ბნელით მოცული ქოხის კერიაზე კი მუდამ ცეცხლი ღუღუნებდა. ზაფხულობით, როცა თბილი ზღვაური ქროდა, როცა ზღვაში ჩუმად შრიალებდნენ ტალღები, ველგა ხოჭოებისა და სუსხურის კვერცხებს დაეძებდა ქვიშაში ან ნაპირისაკენ წამოსული ზვირთების შესახვედრად გარბოდა, წაწვებოდა სილაზე პირაღმა და ზურგზე დგაფუნით გადაუვლიდნენ ტალღები. ასე ატარებდა ზაფხულის გრძელ დღეებს ველგა და ირვალდი და სნეგარიც მუდამ ველგას გვერდით იყვნენ.

ტანსრული სნეგარი ერთთავად მღეროდა და კისკისებდა, მაგრამ არც ველგასავით წკრიალა ხმა ჰქონდა, ვერც ბობოქარ ტალღებს შეებმებოდა ველგასავით... მხოლოდ ირვალდი თუ შეედრებოდა ველგას. და აი, ერთხელ ველგამ უთხრა:

— ნეტავი ჩემი ძმა იყო, ირვალდ... რატომ შენსავით საყვარელი ძმა არა მყავს, მაშინ ასე მოსაწყენი ხომ არ იქნებოდა ზამთრის ეს გრძელი და უფერული დღეები უშენოდ.

ირვალდმა კი მხოლოდ გაიღიმა და წყალს მიეცა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შეხედე, შეხედე, ლორიხვი!

და აი, ისინი ქარივით გაედევნენ ერთმანეთს... მათი ზარივით ხმა ხან ზღვისპირა მღვიმეებს აგუგუნებს, ხან სანაპიროზე აყუდებულ ლოდებს შეასკდება... ხან იქით მიქრიან, სადაც კლდეებს შორის აზავთებული ზღვის ბლანტი წყალი სიპ ქვაზე მოჩქრიალე ნაკადულებად იფანტება, ხან ბობოქარ ტალღებს გაეთამაშებიან, ზვირთებს გაეჯიბრებიან.

ნეტავ ასე სწრაფად რატომ ჩაირბინა ველგას მხიარულმა ბავშვობამ?

აი, უკვე თოთხმეტი წლისაა ველგა, უკვე თექვსმეტი წლისაა ირვალდი. ახლა იგი დღედაღამ ზღვაშია, დღედაღამ სათევზაოდაა. სამაგიეროდ რა ზეიმი, რა სიხარულია ირვალდის ზღვიდან დაბრუნება!

— ძვირფასო ირვალდ, როცა აქ მეგულები, მინდა სულ ვიტირო და ვიტირო, მაგრამ, ზღვიდან დაბრუნებულს რომ დაგინახავ, გული კვლავ სიცილით და სიხარულით მევსება!

მაგრამ სნეგარიც უკვე გაიზარდა და ირვალდმა თანდათან დაივიწყა ველგა, ახლა იგი სულ უფრო ხშირად და ხშირად არის სნეგარის გვერდით, ზის და მხიარულ სახეში შესციცინებს. ველგა შორიახლოს უტრიალებს, არ უნდა, დის თანდასწრებით რაიმე უთხრას, მაგრამ როგორც კი ირვალდი სანაპიროზე თავისი სახლის გზას დაადგება, წამოეწევა და კარის ზღურბლამდე მიაცილებს:

— ძვირფასო ირვალდ, რატომ იჯექი ასე დიდხანს სნეგართან?.. გულს დარდით ასე რატომ მიკლავ?

იმ დღიდან ველგას წკრიალა, ცრემლნარევი სიმღერა მთელ სანაპიროს ეფინება. მხოლოდ მეგობარი ქალიშვილების დანახვაზე თუ მიწყდება მისი ეს სევდიანი სიმღერა — მათ დანახვაზე თავს ამაყად ასწევს, სახე ცივი და მიუკარებელი გაუხდება.

3.

ველგას მშობლიური ქოხი ქვიშით მოფენილ, კლდოვან სანაპიროზე მეთევზეთა სოფლის განაპირას დგას, ზღვის მოქცევისას ტალღები ქოხის ზღურბლამდე აღწევენ.

თუ ამ დროს ქარიშხალია, თუ ძლიერი ქარი უბერავს, წყალი სუსხურის ნაწლავებგადაკრულ ფანჯრებს ეხეთქება, შეშინებული სნეგარი სიმღერას შესწყვეტს, ხელსაქმეს მიატოვებს და ფანჯარას ელდანაკრავივით მოსცილდება. ველგას მოხუცი დედაც ქარის ზუზუნს შეშინებული ყურს მიუგდებს და ჩუმად ლოცულობს. მხოლოდ ველგას არ აშინებს ქარიშხალი, იგი თამამად გადმოაბიჯებს სველ ზღურბლზე, მამას მხარში ამოუდგება და ქარსა და ქარაშოტში მასთან ერთად ბადეს ახვევს, ყინულივით ცივი წყალი შიშველ კანჭებზე ელერსება, ფეხებშუა ღიამწვანე ზღვის ბალახი ლორწოსავით აებლანდება. ველგა ზღვის ბალახს ფეხით გაგლეჯს, ძლიერი მკერდით ნოტიო და ცინცხალ ჰაერს ღრმად ჩაისუნთქავს, მოვარდნილ ზღვაურს შუბლს მიაგებებს, ქარი ქერა თმას აუწეწავს. დგას წყალში ასე ტანაყრილი, სახეთამამი, დგას და ზღვისფერი, გამჭრიახი თვალებით სადღაც სივრცეში იმზირება. მაგრამ იქ მხოლოდ წმინდა პეტრეს ჩიტები ფრენენ, საწყალობელი წივილ-კივილით ზღვას გუნდ-გუნდად დასტრიალებენ, მთაგრეხილივით ჰაერში აჭრილ დიდრონ ზვირთებზე ფრთებგაშლილი კივკივ არბიან.

აღარ იცინის ველგა, მუშაობის დროს ხმაშეწყობილი აღარ მღერის სნეგართან ერთად... ჭირვეული და მწუხარეაო, — მხარი უქციეს დაქალებმა. მაგრამ, აბა, ვის ენახა დღემდე იგი მწუხარე და ჭირვეული, ახლად აფრენილი ჩიტივით გაბედული გული ჰქონდა ველგას, ცასა და მიწას შეჰხაროდა, ზღვას და ქარიშხალს, თავის ლალსა და უღრუბლო სიყმაწვილეს. მხოლოდ ირვალდის გარეშე თუ მოიწყენდა ხანდახან, მას ხომ ერთი სული ჰქონდა, როდის მოუყვებოდა ირვალდს, რა ბედნიერი იყო ველგა, მისი ბედნიერება იყო სიცოცხლე და ცხოვრება ამქვეყნად.

მაგრამ, აგერ რა ხანია ირვალდი ზღვაშია, ველგა კი დღედაღამ სანაპიროზეა და ერთთავად ზღვას გასცქერის — უნდა ზღვას გასძახოს, ტალღებს ხმა გადააწვდინოს, რომ იგი უკვე დაშლალა ირვალდის ლოდინმა, რომ არა, არ უნდა უყვარდეს ირვალდს სნეგარი, თუკი ველგას სიცოცხლეც ვერ წარმოუდგენია მის გარეშე.

და როცა თბილმა ზღვაურმა დასავლეთიდან დაბერა, როცა მზემ ზღვისკენ დაიწია, ველგა სნეგართან მივიდა:

— ძვირფასო სნეგარ, გინდა მოგიყვე, რა ნაზი და ალერსიანია ზაფხულის ნიავი, რა ამო, რა სასიამოვნო სურნელი უდის ზღვას, როგორი სევდითა და მწუხარებით არის სავსე ჩემი გული, როდესაც ირვალდს ვერა ვხედავ.

— არა, — უპასუხა ქოხის ზღურბლზე არხეინად მოკალათებულმა სნეგარმა.

ველგა სნეგარს გაეცალა, ზღვის ნაპირას ჩამოჯდა და საღამოს ბინდბუნდში დიდხანს, დიდხანს უსმინა წყლის შხრიალს, ზაფხულის ზღვასავით თბილი ცრემლი ღაპაღუპით სცვიოდა ხელებზე...

...ირვალდის დანახვაზე ველგამ სიხარულით იკივლა, ირვალდმა კი მხოლოდ გაიცინა და ნავიდან ბადეების გადმოტანა უბრძანა. მთელი საღამო თავაუღებლად იშრომა ირვალდის მხარდამხარ, მერე როცა ფერგამკრთალი მთვარე ზღვას თავზე წამოადგა, დაღლილი ველგა ცარიელ ნავში ჩაჯდა და მთვარეს შეჰკვნესა:

— იცი, როგორ გელოდი, ირვალდ, როგორ ვღელავდი, როგორ მიწყალდებოდა გული შენს ლოდინში და როგორი შვებით ამოვისუნთქე, თვალი რომ მოგკარი.

ირვალდი კი იჯდა და მთვარეს შეჰყურებდა. შერცხვა ველგას, პასუხი

რომ ვერ მიიღო, თვალები დახარა და წყნარად ჰკითხა:

— გესმის, რას გეუბნები, ირვალდ?

— მესმის, — თქვა ირვალდმა...

მაშინ თავი კიდევ უფრო ძირს დახარა ველგამ და ჩურჩულით წარმოთქვა:

— შენს სახლში წამიყვანე, ირვალდ! სულ შენს გვერდით ვიქნები, შენთვის ვიმღერებ, შენს მხარდამხარ ვიმუშავებ, ზღვაშიაც შენთან ერთად წამოვალ. რომ იცოდე, რა ბედნიერებაა შენს გვერდით ცხოვრება და სიცოცხლე, ირვალდ!

— ჩვენ ერთად არასოდეს ვიცხოვრებთ... — იყო შეუვალი ირვალდის პასუხი, — ხვალ კვლავ ზღვაში უნდა გავიდე, ზღვიდან რომ დავბრუნდები, მოვაიდებ ხელს სნეგარს და მთელ ზამთარს ერთად გავატარებთ, ზაფხულში კი ორი სუსხურივით ზღვაში ერთად შევცურავთ.

— მე? — თითქმის ჩურჩულით წარმოთქვა ველგამ და იგრძნო, გული როგორ შეუქანდა, — მერედა, მე მარტო უნდა დავრჩე?

— ჰო... — თქვა ირვალდმა...

ველგა თვალის დახამხამებაში სანაპიროზე ახტა, სწრაფი ნაბიჯით ზღვის ნაპირ-ნაპირ გასწია. თვალს რომ მიეფარა, ნაცრისფერ ლოდზე პირქვე დაემხო, თავისი გულისტკივილი მთვარეს შეჰღაღადა და მწარედ აქვითინდა.

გესმის, როგორ დაძრწის ქარი უკუნეთ სიბნელეში? როგორი ავი და პირქუშია დღეს ჩრდილოეთის ზღვა?

მეორე დილას კი ზღვაზე უკვე ნამდვილი შემოდგომა იდგა. ცივი ქარი ქროდა, ნაცრისფერ ნისლში გახვეული ზღვა ბღლვინავდა. ველგა წამოდგა, ზღვაში ჯიქურ შეიჭრა, ცივ ტალღებს შეერია, მაგრამ ზღვა კიდევ უფრო აზავთდა, მთასავით აგორებული ტალღა გრიალით წამოვიდა და ველგა კვლავ ნაპირზე გამოსტყორცნა.

— ზღვას ჩემი სიკვდილი არ უნდა... ჩუმად ჩაილაპარაკა ველგამ, — მაშასადამე, ჯერ ირვალდი უნდა მოვკლა...

ველგამ პირუჩუმრა შეაღო მშობლიური ქოხის კარი. მკაცრ, ცრემლშემშრალ სახეზე მშვიდი ნათელი მოჰფენოდა, მშვიდად იმზირებოდნენ მისი ზღვისფერი თვალები, თუმცა გული კვლავ მწუხარებით ჰქონდა სავსე.

— სნეგარ, წავიდა ირვალდი?

— ჰო... — თქვა სნეგარმა.

— როდის, როდის დაბრუნდება ირვალდი, სნეგარ?

— თოვლ-ჭყაპი რომ წამოვა, ზღვა რომ ჩამუქდება...

ველგა მიბრუნდა, ერთი თევზი შეჭამა, მერე კარის ზღურბლთან ჩამოჯდა და ქარს სახე მიუშვირა. მწუხარედ წარბშეკრული მთელ დღეს ფეხმოუცვლელად იჯდა კარებწინ, შინ რომ შევიდა, შუაღამე უკვე კარგახნის გადასული იყო... მრავალი დღე და მრავალი ღამე გაატარა ველგამ ირვალდის მოლოდინში, ვიდრე თოვლ-ჭყაპი არ წამოვიდა, ვიდრე პირველმა თოვლმა მიწა არ გაათეთრა.

„ესე იგი, საცაა ირვალდი დაბრუნდება...“ — ფიქრობდა ველგა და მის გულში წყენა და ნაღველი ერთმანეთს ერთვოდა, — მაშასადამე, ჯერ ირვალდი უნდა მოვკლა, მერე კი მეც მალე განვისვენებ საფლავში...“

მაგრამ დღე დღეს მისდევს, ირვალდი კი არა და არ ბრუნდება.

აი, უკვე ააღამოვდა, ცა მწუხრისფერმა მოიცვა. ველგა ერთ ადგილას ვეღარ ისვენებს, წამდაუწუმ წამოდგება, აღელვებული ზღვას გასცქერის. აი, ჩაბნელებული ქოხიდან ველგას მოხუცი მამა გამოდის, ქარი გრძელსა და ჭაღარა თმას უშლის, უწეწავს.

—ველგა, შვილო ჩემო, შენი მშობლიური ქოხი ასე რატომ მოიძულე? საცაა ავბედითი გრიგალი დაიწყება, კაცის გულს მარტოობისა და მიუსაფრობის სევდა მოიცავს. ადექი, შვილო, კედლებს საბჯენი შევუყენოთ, სელაპის ტყავის სახურავი ქვით გავამაგროთ, მერე კი ამ ბნელ ღამესა და ავ ტაროსს საკუთარ ჰერქვეშ შევეფაროთ.

ნაზმა სიტყვებმა გული მოულბო ველგას, მოხუცი მამა შეებრალა, ირვალდისა და საკუთარი თავის ცოდვით აივ-

სო, ბერიკაცს მხარში ამოუდგა, საქმეში ხელი წააშველა. გაავებული ქარი კი ქროდა, ჰაერს წყლის წვრილი შხეფით ავსებდა. შეშინდა ველგა, კარი შეაღო, თავი სასწრაფოდ ქოხს შეაფარა. და აი, ღამის სიბნელეში თვალწინ ირვალდი წარმოუდგა, გაახსენდა, ოდესღაც, მრავალი წლის წინათ, ჯერ ისევ ყმაწვილი ირვალდი ამ ქოხში ღამის გასათევად როგორ დარჩა, საკუთარი ხელით ლოგინი როგორ გაუშალა, მასპინძლობის წესის თანახმად, ძილის წინ ლაწვზე როგორ აკოცა და გულს კიდევ უფრო ძალუმად შემოენთო ჭაბუკის სიყვარული, შეებრალა სიყრმის მეგობარი. დაავიწყდა ძიკვდილს რომ უქადდა, საწოლიდან სასწრაფოდ წამოხტა. ქარის გრიალს მიაყურა და ყურში თითქოს ირვალდის ძახილი ჩაესმა. შემკრთალსა და შეშინებულს მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს, იწვა და ზღვის ხმაურს გაჩუმებული უსმენდა.

დილით ზღვა თანდათან დამშვიდდა, ჰაერში ზამთრის ასუხი დატრიალდა. ის იყო, ველგა წამოდგა, დილის სინათლისათვის ქოხის კარი უნდა გამოეღო, რომ ზღურბლზე სნეგარმა გადმოაბიჯა.

— ველგა, — თქვა სნეგარმა, — ქარიშხალმა ირვალდი ყინულოვანი ზღვის კუნძულზე გაიტაცა, ნავი დაუმსხვრია, ახლა იგი მარტოდმარტოა ზღვაში და შიმშილითა და სიცივით სიკვდილი ემუქრება.

— ვინ, ვინ გითხრა, სნეგარ?!

— ეს-ეს არის ჩარნასთან ვიყავი, — სნეგარმა სახეზე ხელები აიფარა და უმწეოდ ატირდა...

— სნეგარ... — უნდოდა ნაზად მოეფერებოდა ველგა...

მაგრამ, წარბები მკაცრად შეჰყარა და ქოხის კარი ლონივრად გამოაღო...

4.

ველგა სწრაფად მიაბიჯებდა ჩრდილოეთისაკენ ზღვის ნაპირ-ნაპირ. ჩარნას თბილი, ცეცხლის ალით განათებული ქოხის კარი რომ შეაღო, გარეთ უკვე ზამთრის ცივი და ბნელი საღამო იდგა.

-- ო, გულთმისანო, — შეემუდარა ველგა, — მასწავლე, როგორ წავიდე ირვალდთან!

— იჩქარე! — თქვა ჩარნამ, — ორი დღე და ორი ღამე ზღვაში უნდა იცურო, მესამე დღეს გამთენიისას თუ ვერ მიასწარი, დაიღუპება... მაგრამ, გსმენია კი ოდესმე ყინულოვანი ზღვის უკაცრიელ კუნძულთა შესახებ. სად ახლაც ისეთივე სევდის აღმძვრელი უდაბურებაა, როგორც სამყაროს პირველ დღეს?

ამ სიტყვებზე გული წყლიდან ახლად ამოყვანილი თევზივით აუფართქალდა ველგას:

— შემიბრალე, ჩარნა! მწარე და გულსაკლავია სიცოცხლესთან განშორება, მაგრამ, თუ ეს გარდაუვალია, თქვი, რა მომელის?

— ორი დღე და ორი ღამე მარტოდმარტო იქნები უკაცრიელ ზღვაში, შიშსა და მწუხარებაში გაატარებ ორ დღესა და ორ ღამეს, მაგრამ კუნძულზე ფეხს შეადგამ თუ არა, თოლიად იქცევი და ირვალდი ვერასოდეს გიგებს, ასე უდროოდ ვისთვის დაიღუპე.

სახეზე პირველი თოვლისფერი დაედო ველგას, თვალებში კი სიხარულის ნაპერწკალი გაუკრთა:

— მივდივარ, ჩარნა! — თქვა ველგამ.

— იჩქარე! — თქვა ჩარნამ.

ველგა აველ ქვიშაზე შავად ჩაბნელებული, აბობოქრებული ზღვისაკენ გარბის, ზღვიდან ცივი ქარი უბერავს. უნდა იყვიროს, დედას, დასა და მოხუცებულ მამას ხმა მიაწვდინოს, უნდა, პატიება სთხოვოს, მაგრამ, აი, ნავი ზღვის ნაპირს გაავებული ეხეთქება, ტალღები ბურთივით ათამაშებს. ველგა სასწრაფოდ ნავში ჩახტება და დასავლეთისაკენ შეაბრუნებს — ცის დასალიერს დაფიონის მეწამული ზოლი გადაჰკვრია, დგას ველგა ტალღებზე მოტორტმანე პატარა ნავში, ყინულოვანი ზღვიდან მონაბერი

ცივი ქარი სახეში ურტყამს, თვალებიდან მწარე ცრემლი სცვივა, ქარი სიბნელეში თეთრ ტანისამოსს უფრიალებს,

5.

აი, როგორც იქნა, ინათა, აი, ველგა უდაბურ, ქვიშროვ კუნძულს მისდგომია, irგვლივ სულიერის ჭაჭანება არ არის, არის მხოლოდ ცივი, ნაცრისფერი ზღვა და ყრუ, ნაცრისფერი კუნძული... დროდადრო ზღვის წყალი თუ გაეთამაშება უკაცრიელი კუნძულის ქვიშიან ნაპირს და ზედ ქაფის თეთრ ღრუბლებს დასტოვებს. ხანდახან წვრილ, მაღალ ფეხებზე შემდგარი ლალღა ტალღას გაეკიდება, საკვების საძებნელად წყლისაგან გამორიყულ ნიჟარებში იქექება.

აი, ყინულოვანი ზღვაც დაიწყო, ველგამ მთელი დღე და მთელი ღამე იცურა, ირგვლივ კი ისევ გაშლილი, უკიდეგანო წყალია, სადღაც, ქვეყნის დასალიერში წყალი ჰორიზონტს ეკვრის და ცისფერ სივრცეში იკარგება. ადამიანებისაგან შორს, აქ, ამ უკაცრიელ, კლდოვან კუნძულებზე მხოლოდ გარეული ფრინველების სიმრავლეა. ციცაბო კლდეები თუ კლდის ძირები ათასობით მათი ბუდეებითაა მოფენილი. ირგვლივ მხოლოდ უხეში, გამძლე ბუმბულით შემოსილი თეთრი ფრინველები ირევიან, მიწას თეთრი თოვლივით დაჰფენიან, ცაში თოვლის თეთრი ფანტელებივით ტრიალებენ.

მწუხრი უკვე გადასული იყო, ველგამ ყველაზე დიდ კუნძულს რომ ჩაუარა.

კუნძულს ნაცრისფერი სუდარასავით დაჰფენოდა ფრინველის გამხმარი სკინტლი, გერმა და ბუმბული. ჩიტები გრძელ რიგებად ჩამწკრივებულიყვნენ ფრიალო კლდეებსა და კლდის ქიმებზე, ქვემოთ მომცრო ფრინველებს დაებუდებინათ, კლდის თავზე კი იდგნენ და მშვიდად თვლემდნენ უშველებელი, შავზურგა, თვალებპრიალა და სქელკისერა, მახინჯნისკარტიანი, თეთრგულისპირა უშველებელი ფრინველები.

აი, უკვე ასაღამოვდა, თანდათან ცას ბინდი წამოერია და ქარსა და სტიქიასთან ჭიდილში დაღლილმა ველგამ სულის მოსათქმელად ნავი ნაპირთან მიაცურა. ათასობით ფრინველი ხმაურით აიშალა კლდეებიდან, ველგას თავს ზემოთ ირაო შეკრა და გახარებული ყივილი ატეხა. თოვლივით გათეთრებულმა ველგამ უკანასკნელი ძალ-ღონე მოიკრიბა და ისევ ნავში ჩახტა.

აი, მესამე დღეც მიიწურა... აი, ნაცრისფერ ბინდბუნდში კაცის თვალსაწიერზე უშველებელი პიტალო კლდე ლანდივით აიმართა. სიჩუმეა, მხოლოდ ტალღების გაავებული გუგუნი და ნისლში მორიალე მტაცებელ ფრინველთა კივილი ახმაურებს ყრუ, უკაცრიელ გარემოს. აი, შორს, კლდის ძირას ველგამ შიმშილისა და სიცივისაგან ძალაგამოცლილი, ცოცხალ-მკვდარი, ზღვის ქაფივით უფერული ირვალდი დალანდა.

— ირვალდ! — იყვირა ველგამ.

უნდა მოასწროს, უნდა უთხრას, უნდა გააგებინოს, რომ ისევ ძველებურად უყვარს, უყვარს, როგორც იმ შორეული ბავშვობის დღეებში უყვარდა, მაგრამ მიწაზე ფეხიც არ დაედგა, ჰაერში ფრთებს თეთრ თოლიად გამოეკიდა და მისი მუდარით სავსე ხმა თოლიას საწყალობელ კივილად გაისმა. კივილზე ირვალდი გამოფხიზლდა, ყურში მეგობრის ხმა ჩაესმა და თვალი რომ გაახილა, ჰაერში კივილით აფრენილი თეთრი თოლია დაინახა...

აი, ირვალდმა ნავი აღმოსავლეთისაკენ შეაბრუნა... თოლია დიდხანს, დიდხანს მიაცილებდა ირვალდს გაშლილ ზღვაში, მაგრამ როდესაც ირვალდი თვალს მიეფარა, ქარს აყოლილი, საბრალო და მიუსაფარი ჰაერში თეთრ ფრთებზე აქანავდა, გულიდან საწყალობელი კივილი აღმოხდა...

...გესმის, როგორ საწყალობლად კივის თოლია!

თარგმნა **ლილი მჭედლიშვილმა.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მირონ ხერგიანი

# გარდაბანი—ფაქტების პრიზმაში...

ერთობ კვიმატიანი და ულალო გამოდგა წლევანდელი წელი მთელი ქვეყნის სოფლის მეურნეობისათვის. ბუნების ასეთი ჭირვეულობა ჭაღაროსანთაც არ აგონდებათ. ჩვენი რესპუბლიკისათვის განსაკუთრებით საცნაური იყო იგი უჩვეულო სიცივეებით, წვიმიანობით, ღვარცოფებით, სეტყვებით და ქარებით...

სოფლის მეურნეობის მშრომელებს მძიმე განსაცდელის ჟამი დაუდგათ. მკაცრი გამოცდა უნდა ჩაებარებინათ მათ ქვეყნისათვის, საზოგადოებისათვის, პარტიისა და მთავრობისათვის... დაახლოებით ერთნაირ სამეურნეო პირობებში ვინ გაიტანდა ღირსეულად ღელოს; ვის აღმოაჩნდებოდა ყველაზე სტაბილური, უკეთესი შედეგები? არა და ჩვენში უკვე, რამდენი ხანია, სახელმწიფო გეგმების შესრულება კანონად იქცა, ჩვეულებრივი ამბავი გახდა. და არა მარტო გეგმები, ნაკისრი ვალდებულებანიც გადაჭარბებით სრულდებოდა რესპუბლიკაში და ამიტომაც იყო, რომ ბოლო წლების მანძილზე ასე დავეჩვიეთ საკავშირო გარდამავალ დროშებს სახალხო მეურნეობის დარგებში მოპოვებული წარმატებებისათვის. ასეთი რამ უბრალოდ არ მიიღწევა, მკითხველმა კარგად იცის, როგორი რუდუნებითა და მოწადინებულობით, ყოველდღიური მეცადინეობითა და გარჯით იჭედებოდა და მზადდებოდა საქართველოს ცენტრალური კომიტეტისა და მთავრობის მიერ მტკიცე საფუძველი ამ გამარჯვებებისათვის, რამდენი გაბედული სიახლე და ექსპერიმენტი, თამამი ჩანაფიქრი დაინერგა და იქცა რეალობად; რესპუბლიკაში განხორციელებულმა სამეურნეო და სხვა ხასიათის ღონისძიებებმა ფართო აღიარება ჰპოვა მთელი ქვეყნის მასშტაბით, ოცდამეექვსე ყრილობაზე კი ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელთა საქმიანობასა და ინიციატივიანობას დიდი შეფასება მისცა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა. თავი და თავი კი ყველა ამ ახალი წამოწყებისა და წარმატებისა დემოკრატიული ცენტრალიზმის კიდევ უფრო განვითარება და სრულყოფა გახლდათ. უნდა შემუშავებულიყო სამეურნეო ურთიერთობის ისეთი მექანიზმი, სადაც ხელსაყრელი ვითარება შეექმნებოდა მშრომელთა ენთუზიაზმს, ქვემოდან მომდინარე ინიციატივებს, ეფექტური და ქმედითი სამეურნეო ფორმების დანერგვასა და აღორძინებას... ხატოვნად რომ ვთქვათ, დასრულდა თბილ კაბინეტებში მოკალათებული მავანი თეორეტიკოსების მიერ „ვჯდოდი და ვთქოდის" პრინციპით შემუშავებული და სახალხო მეურ-

ნეობის დარგებში დანერგილი საწარმოო თუ აგრო-მეთოდებისა და ფორმებისადმი უსიტყვო მორჩილების ხანა, ფორმებისა, რომელთა წყალობითაც „ეკონომიკა არაეკონომიური გახდა“. ყველაზე ძალიან მაინც სოფლის მეურნეობა დაზარალდა. ქართულ სოფელს მძიმე განსაცდელის ხანა დაუდგა, რაც თავის მხრივ კიდევ უფრო დააჩქარა მთელი კავშირის მასშტაბით განხორციელებულმა, ეგრეთ წოდებულმა „საქონლის ლიმიტირების ღონისძიებამ“. ამასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 29 დეკემბრის ბრძანებულებაში, მოქალაქეთა პირად საკუთრებაში მყოფი პირუტყვის ნორმების რეგულირების თაობაზე შემდეგი იყო ნათქვამი:

„დაწესდეს, რომ საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეებს, გარდა კოლმეურნეებისა (იმ ადგილებში, სადაც აკრძალული არ არის პირუტყვის ყოლა) შეუძლიათ იყოლიონ საქონელი:

ერთი ძროხა (ფურკამეჩი), ერთი სული მოზარდი, მიმდინარე წლის ნამატის ჩაუთვლელად, ერთი ნეზვი ნამატით ან ერთი ღორი გასასუქებლად და ერთ წელზე უხნესი სამი ცხვარი და თხა ნამატით, ხოლო თუ ძროხა არ ჰყავთ — ერთ წელზე უხნესი ხუთი ცხვარი და თხა ნამატით. უფლება მიეცეს მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს ცალკეულ შემთხვევაში ნება დართონ სოფლად მცხოვრებ მოქალაქეებს იყოლიონ აგრეთვე ერთი ცხენი პირადი მეურნეობის საჭიროებისათვის...“

ამ ბრძანებულებით გათვალისწინებული იყო ჯარიმა იმ პირებზე, რომლებიც აღრიცხვის დროს გადამალავდნენ საქონელს... ამ დადგენილებაში არ იყო გათვალისწინებული ერთი უმთავრესი მომენტი — პირად-დამხმარე მეურნეობის რენტაბელობის საკითხი. აგროთეორეტიკოსებმა კერძო სექტორში არსებული მთელი საქონლის რაოდენობა ცალკეულ ოჯახებზე გადაანაწილეს და, ეტყობა, არც თუ ურიგო სურათი მიიღეს, მაგრამ დაავიწყდათ, რომ მესაქონლეობას ძირითადად სოფლის მცხოვრებთა ერთი ნაწილი მისდევდა და მათ, როგორც წესი, საკმაოდ მომრავლებულიც ჰყავდათ პირუტყვი, რადგანაც ოჯახის შემოსავლის მთავარ წყაროს მათთვის სწორედ მესაქონლეობა წარმოადგენდა; რა თქმა უნდა, ეს ოჯახები მიწათმოქმედებასაც ეწეოდნენ, — საქონელი და მიწა ხომ საბელით იყო ყოველთვის და არის ახლაც ერთმანეთზე გადაბმული, მეორენი კი სოფლად არსებულ წარმოება-დაწესებულებებში მსახურობდნენ და მესაქონლეობასა და მიწათმოქმედებას თავიანთი ამ უმთავრესი საქმიანობის პარალელურადღა მისდევდნენ. ამ კატეგორიის ოჯახები რესპუბლიკაში მრავალი იყო, ისინი სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე როგორღაც იკმაყოფილებდნენ საკუთარ მოთხოვნილებებს, რაც შეეხება მარაგნამატს, მას კი მხოლოდ პირველი კატეგორიის ოჯახები ქმნიდნენ — პროფესიული მესაქონლეები და მიწათმოქმედნი...

იმათ კი, საშუალო არითმეტიკული რომ გამოიანგარიშეს, ამ შექმნილ ვითარებას და ზოგად კანონზომიერებას არ გაუწიეს ანგარიში. მათი ვარაუდი — სოფლად საქონლის ჰარმონიული, სასურველი გადანაწილების თაობაზე ცხოვრებაში არ განხორციელდა, არც განხორციელდებოდა, რადგანაც საკითხისადმი ამგვარი ხელოვნური მიდგომა ეწინააღმდეგებოდა მეურნეობრიობის ზოგად არსსა და ბუნებას, მესაქონლეობის დარგის ტრადიციულ გაგებას, ამ სფეროში ათადან და ბაბადან ჩამოყალიბებულ ისტორიულ ვითარებას და საბოლოო ჯამში მესაქონლეობის დარგის ეკონომიკურ, მორალურ და ფსიქოლოგიურ საფუძვლებს, რენტაბელობის, ერთი შეხედვით უჩინარ, მაგრამ მეტად მნიშვნელოვან და ანგარიშგასაწევ პრინციპებს.

ასეთმა გაუგონარმა ნიველირებამ

თავისი დაღი დაატყო სოფელს, იგი თანდათან დაცარიელდა ყოველთა სულიერთაგან, მართლაც რომ — ყოველთა სულიერთაგან, რამდენადაც ამ პროცესმა მოულოდნელად ჯაჭვური რეაქციის ხასიათი მიიღო, საქონელი, მიწა და ადამიანები მართლაც საბელით აღმოჩნდნენ ერთმანეთზე გადაბმულნი, ერთის გაქრობამ მეორის გაუჩინარება გამოიწვია, იმან კიდევ მესამისა და ასე შემდეგ... მართლაცდა, მთიანეთში ოჯახებს ძირითადად საქონელი ამაგრებდა, მარტოოდენ ლამაზი ბუნება, სუფთა ჰაერი და კრიალა ცა, სამწუხაროდ, არ იყო საკმარისი თავის რჩენისა და გატანისათვის. მარჩენალი საქონელი კი ჩამოართვეს, ანდა ისე მკვეთრად შეუმცირეს, რომ ორიოდე სული უკვე დევნად აღარ ღირდა. ოჯახურ მეცხოველეობას რენტაბელობა დაეკარგა, ისე კი, ქარის წისქვილებთან ყოველდღიური ბრძოლა არავის ეხალისებოდა... მალე ყოფილმა მწყემსებმა, სარქლებმა და თავჩობნებმა — აწ „გადაყენებულმა“ თავისი საქმის „გენერლებმა“ თვითონაც ჩამოივაქეს, ბარის სოფლები შეავსეს, მშენებლობისათვის ანაგული სავარგულები დაიკავეს, ძალაუნებურად მოხდა ბარში არსებული სახნავ-სათესი ფართობების მასშტაბური „ანექსია“, ასე რომ საქონელი ხომ შემცირდა და შემცირდა, ამ ზარალს ახლა მეორეც დაემატა — საქონელთან ერთად მიწაც გავერანდა, როგორც უკვე ითქვა, ეს დიდი სოფლები მთიდან ჩამოსახლებულთა ხარჯზე გაფართოვდნენ, სიგრძე-სიგანეში მოიმატეს, გაიწგამოიწიეს და მალე საქართველოს მთისწინეთი დაბებით მოიფინა. ამას კი, ბუნებრივად მოჰყვა სადაბო საბჭოს საკომლო წესდებით გათვალისწინებული საკარმიდამო ნაკვეთების საგრძნობი შემცირება; შესაბამისად შემცირდა ამ ფართობზე მოწეული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაც... მთელი ეს არც თუ სასიამოვნო პროცესები გვქონდა მხედველობაში, როცა ვამბობდით, ჯაჭვური რეაქცია განვითარდა-მეთქი...

ასე თანდათან, როგორც ამას ხშირად ვამბობთ ახლა ხოლმე, პროდუქციის ტრადიციული მწარმოებლები მომხმარებელთა ბანაკში გადაბარგდნენ, ქალაქთან ერთად სოფელიც საზოგადოებრივ სექტორს, ცენტრალიზებულ მომარაგებასა და მაღაზიებს დააწვა. შეიქმნა სურსათის მოსალოდნელი დეფიციტი .

რესპუბლიკაში პირადი მეურნეობის დაქვეითების იმჟამინდელ სურათს მკაფიოდ ასახავს ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები:

მაგალითად, თუ 1960 წელს პირადი დამხმარე მეურნეობის წილად ჩვენი ქვეყნის ერთობლივი პროდუქციის ერთი მესამედი მოდიოდა, ათას ცხრაას ოთხმოცი წლისათვის იგი ერთ მეოთხედამდე შემცირდა. რვა წლის განმავლობაში (1970-1977 წ.წ.) ჩვენს რესპუბლიკაში ხილისა და კენკრის წარმოებაში პირადი დამხმარე მეურნეობის ხვედრითი წილი შემცირდა 73 პროცენტიდან 67 პროცენტამდე, კარტოფილის წარმოებაში — 32 პროცენტიდან 20 პროცენტამდე, ბოსტნეულის წარმოებაში — 36 პროცენტიდან 28 პროცენტამდე, ხორცისა და ქონის წარმოებაში — 49 (!) პროცენტიდან 44 პროცენტამდე, კვერცხის წარმოებაში — 35 პროცენტიდან 10 პროცენტამდე...

მაგრამ აქვე უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოებაც, რომ შედარებისათვის სამანად აღებული სამოცდაჩვიდმეტი წლიდან დღემდე კერძო სექტორისათვის მეტად მძიმე ხუთიოდე წელი კიდევ გავიდა, ასე, რომ თუ კი ზემოთ მოცემული სტატისტიკური მონაცემები კერძო სექტორის წიაღში წარმოშობილ დაქვეითების საწყის ტენდენციასღა ასახავენ, შემდეგ და შემდეგ ამ დაქვეითების პროცესმა კიდევ უფრო ცხოველი ხასიათი მიიღო, ასე ვთქვათ, თავის აპოგეას მიაღწია.

აქვე კვლავ მოვიშველიოთ საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობები:

„1980 წლისათვის კოლმეურნეთა 120 645 კომლს, ანუ ასეთ კომლთა 41 პროცენტს და სოფლად მცხოვრებ მუ-

შა-მოსამსახურეთა 114 919 კომლს, ანუ ასეთ კომლთა 48 პროცენტს პირად სარგებლობაში არ ჰყავდათ ფური ან ფურ-კამეჩები“.

აქ კვლავ შევნიშნავთ, რომ ოთხმოცი წლიდან დღემდე ორი წელი მიილია, და უნდა ითქვას, რომ პირადი-დამხმარე მეურნეობისათვის არც ეს ორი წელი ყოფილა მაინც და მაინც ფართო მასშტაბით დიდად საგრძნობი შვების მომტანი. შესაძლოა, მოხდა დაქვეითების ტენდენციის ერთგვარი დამუხრუჭება, მაგრამ არა მისი საბოლოო შეჩერება. ინერცია, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მართალია მხოლოდ ნაწილობრივად, მაგრამ ჯერ კიდევ ინარჩუნებს თავის ცხოველმყოფელობას და მხოლოდ რესპუბლიკის მოწინავე რაიონებშია იგი საბოლოოდ დათრგუნული.

შექმნილ ვითარებაში პარტიისა და მთავრობის მიერ დასახულმა და განხორციელებულმა სასიცოცხლო ღონისძიებებმა, რომელთა შესახებაც ამ ნარკვევის დასაწყისში გვქონდა საუბარი, თავისი სასურველი შედეგი გამოიღო. დაისახა უკუტენდენცია ამ სფეროში დაქვეითების არასასურველი პროცესისა. მტკიცედ დამკვიდრდა დევიზი — „ეკონომიკა ეკონომიური უნდა იყოს!“ დევიზი, იგივე სამოქმედო პროგრამა, პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდება და ყოველდღიური მოთხოვნაა წარმოება-დაწესებულებებისა და რაიონული პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელებისადმი. და, აი, სურათი ძირფესვიანად შეიცვალა: თუ აქამდე ყველა ღონისძიება „ზემოდან“ მოდიოდა და მის შემსრულებლებს მოხსნილი ჰქონდათ ყოველგვარი პასუხისმგებლობა ამ ღონისძიების მიმდინარეობასა და სარგებლიანობაზე, დღეს რესპუბლიკის ხელმძღვანელობა პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციათა მესვეურებს პირდაპირ ავალებს იმოქმედონ უფრო გაბედულად, შემოქმედებითად, გამოიჩინონ მეტი ინიციატივიანობა სამეურნეო, სოციალური თუ სხვა საკითხების გადაწყვეტისას. მათ სიამოვნებით უსმენენ, ხოლო ნოვატორულ წინადადებებს საგულდაგულოდ, მეცნიერულ დონეზე იხილავენ და მოწონების შემთხვევაში მყისვე ნერგავენ პრაქტიკაში. ნერგავენ და მერმე ინიციატორებს ყველანაირად ეხმარებიან სიახლეთა თანმდევი დაბრკოლებების გადალახვაში, გზადაგზა წამოჭრილი ზოგიერთი გაუთვალისწინებელი საკითხის მოგვარებაში.

პარტია, როგორც არასდროს, მხარში ამოუდგა რაიონის პარტიულ და სამეურნეო ხელმძღვანელებს. აჯამებს კიდევაც მათს საქმიანობას, ავლენს სასიკეთო ტენდენციებსა და საჭიროების ჟამს განაზოგადებს ამ გზაზე მოპოვებულ წარმატებებს, მეურნეობრიობის ახალ ფორმებსა და მეთოდებს, განაზოგადებს და ფართო პროპაგანდას უწევს მას.

ყოველივე სიახლისადმი პარტიის თანადგომისა და მხარდაჭერის ნათელ მაგალითად გამოდგება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეათე პლენუმი, რომელიც 1982 წლის 29 ოქტომბერს ჩატარდა. პლენუმზე განხილულ იქნა გარდაბნის რაიონში სასურსათო პროგრამის შედგენისა და განხორციელებისათვის გაწეული მუშაობის შედეგები. გარდაბნის რაიონისა, რომელმაც მიუხედავად ზემოთ აღნიშნული ბუნების უჩვეულო ჭირვეულობისა, შესანიშნავი წარმატებები მოიპოვა სასურსათო პროგრამის განხორციელების საქმეში.

„საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს მიაჩნია, რომ გარდაბნელი კომუნისტების მეცადინეობა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის დონის ამაღლების დარგში მოწონებას იმსახურებს, ეს კარგი მაგალითია იმისა, როგორ უნდა წყდებოდეს ბევრი საპრობლემო საკითხი“ — თქვა ამ პლენუმზე თავის შემაჯამებელ სიტყვაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ. შემდეგ მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ —

„გარდაბნის რაიონის გამოცდილება დიდად საინტერესოა საერთოდ რესპუბლიკისათვის, რომ იგი შეიძლება სასარგებლო და ყურადსაღები გახდეს სხვა რაიონებისათვისაც“.

რესპუბლიკის პარტიული ხელმძღვანელის ამ მაღალ შეფასებას კომენტარი არ სჭირდება. ეს წარმატებები თავისით არ მოსულა, მეურნეობრიობის ტრადიციული ფორმებისა და მეთოდების კიდევ უფრო სრულყოფამ და განვითარებამ, ახალი, უკვალავი გზების ძიებამ, ნოვატორულმა ინიციატივიანობამ მიიყვანა რაიონის პარტიული და სამეურნეო ხელმძღვანელები ამ გამარჯვებამდე. მათ ნდობა გამოუცხადეს, თვითონაც არ შეურცხვენიათ თავი...

მაშ ასე, ჩვენს ობიექტივშია გარდაბნის რაიონის ერთ-ერთი მოწინავე რგოლი — მარტყოფის მებოსტნეობა-მერძევეობა-მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობა, ეს თერთმეტიათასიანი კოლორიტული სოფელი თავისი დალხინებითა და საზრუნავებით, სამომავლო ამოცანებით, ყველაფერით, რასაც უშუალო კავშირი აქვს ამ გამარჯვებასთან, სასურსათო პროგრამის რეალიზაციასთან, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და ასევე ქართული სოფლის კულტურულ-მატერიალურ, სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასთან, რამეთუ ეს ყველაფერი ერთი მთელის შემადგენელი ნაწილია, ეს მთელი კი გახლავთ ჩვენი ქვეყნისა და საზოგადოების დღევანდელობა, მისი ნათელი ბედნიერი მერმისი, მშვიდობიანი ცა საბჭოეთის ქვეყნის თავზე...

## მარტყოფი და მარტყოფელები...

უჩვეულოდ სუსხიანი დილა გათენდა. ნისლის გაცრეცილ ფთილებს ქარი დაატარებს მარტყოფის ველებზე, ოჯოჯოხავით გორგლავს და მიერეკება აღმა-დაღმა, ხანაც დამცავ ზონაში ჩამწკრივებულ ალვისხეთა კენწეროზე შემოაფხრიწავს, საჩეჩელივით დაძენძავს და თავისი იდუმალი გზით გაუყენებს; ხანდახან ამ ფთილებივით გაცრეცილი მზე გამოაჭყიტავს ღრუბლებიდან, უშურველად მიეფერება გარემოს, მაგრამ მის სხივებს ის ძველი ცხოველმყოფელობა დაშრეტომია, ძალა და ენერგია გამოჰლევიაო თითქოს. ბრჭყვიალა სათამაშოსავით ჰკიდია ცის კაბადონზე, ვალის მოსახდელად ვარვარებს და ბჟუტავს...

დილის ათი საათია და ჯერ კიდევ თრთვილით არის მოშანდაკებული აქაური მინდვრები, ქაცნის ველი, ულევარისა და ორგორების სანახები, თეთრად გადაპენტილან გრაკლიანისა და ძელახოს წარაფები, ხოლო მაღლა, ჩრდილოეთით აყუდებული დაბურულტყიანი იალნოს მთა ფაფუკ თოვლს დაუბარდნია. ჯერ კიდევ ნოემბრის შუა რიცხვებია და არ ეგების ბუნებისაგან ასეთი ნაადრევი სუსხიანობა, მაგრამ რადგანაც წლევანდელი წელი ასე უჟამურად წამოიწყო, თითქოს ჯიბრზეო, პირშავობას ახლაც არ იშლის. ადამიანებიც ყოველთვის კრიჭაში ედგნენ უამინდობას, ფარ-ხმალის დაყრა ოდითგან ქალაჩუნათა და მუქთახორათა წესი იყო. მშრომელი კაცი ჯიუტად ჩაუდგებოდა ხოლმე კვალში ბუნების ხუშტურებს — დასაბარს, გინდაც თოვლსა და ქარბუქში, დაბარავდა, დაასარგველს — დარგავდა, დასაბინავებელს — დააბინავებდა, მოსაჭრელს — მოჭრიდა, დასაწურს — დაწურავდა და ბოლოს, ერთ გემრიელ „პარიპარალესაც“ შემოსძახებდა. ასეთი იყო ოდითგან მშრომელი კაცის ფსიქოლოგია. არ ეპუებოდა იგი სიძნელეებს, ამ სიძნელეთა კვალობაზე იძაბებოდა და ეშვებოდა. მისი შემართებულობა.

ახლაც ასე იყო, ბრიგადები ნაკვეთებზე გასულიყვნენ და ყინჩად ჩასდგომოდნენ თავთავიანთ სვე-კვალს, ჰრიდნენ, რგავდნენ, რწყავდნენ, ხნავდნენ, აფხვიერებდნენ, ამზადებდნენ მიწას გარდამავალი თუ საადრეო კომბოსტოსა და პამიდვრისათვის, სხვადასხვა ბოსტნეული კულტურებისათვის. ვისმა ბრიგადამაც ადრე წამოიწყო საშემოდგომო ციკლები, თითქმის ბოლოში იყო

გასული, სხვები კიდევ ახლა იწყებდნენ, ზოგიც ჯერ მოყვანილსა და დასაბინავებელს დასტრიალებდა თავს. ერთი შეხედვით ადამიანს შეიძლება მოსჩვენებოდა, რომ აქ რაღაც უთავბოლობას ჰქონდა ადგილი, თითქოს ერთნი ალთას იყვნენ, მეორენი — ბალთას, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით, სინამდვილეში კი ასე როდი იყო — მშრომელთა მთელ ამ ორომტრიალს ქვეშეცნეულად რაიონში ფართოდ დანერგილი მიწათმოქმედების ახალი, მეცნიერული სისტემა წარმართავდა, რომელსაც თავისი ურთულესი მექანიზმი გააჩნდა.

ბუნებრივია, ყოველგვარ რთულ აპარატურას თავისი ამამოძრავებელი საწვავი და ძალა, ენერგიის განსაკუთრებული წყარო ესაჭიროება, გარდაბნელთა, ანუ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, მარტყოფელთა მთავარ სტიმულიატორს ანაზღაურების პრემიალური სისტემა წარმოადგენდა. მშრომელთა თვალში კვლავ მოიცა ძალა მამაპაპურმა ნათქვამმა — „რასაც დასთეს, იმასვე მოიმკიო“. ადრე ასე არ იყო, ვერ იმკიდა მშრომელი ადამიანი გარჯის ნაყოფს, ქარს მიჰქონდა თუ სხვა ვინმეს, ვერ გაიგებდი, ცხოველი ენთუზიაზმი და შემართებულობა, რომელიც ოდითგანვე თან დაჰყვა მიწის მუშას, თანდათან ჩაქვდა, ასეთ ყინვასა და სიცივეში თავს ვინ გამორგავდა საზოგადოებრივი საქმისათვის, ქარ-ოხრობას ვინ შეეშვირებოდა, „მიზეზ მიზეზ, დოს მარილი აკლიაო...“ — თავს მოიავადებდა, გადაუდებელ საქმეს გაიჩენდა. შესაბამისად ამოქმედდებოდნენ ბრიგადირები და მერგოლურებიც. ესენი მეურნეობათა ხელმძღვანელებთან, ხოლო ეს უკანასკნელნი ზემდგომი ორგანოების წინაშე აღძრავდნენ საკითხს ურჩების წინააღმდეგ... გაუთავებელ კონფლიქტებს, კინკლაობებს ბოლო არ უჩანდა. მყვირალა ფრაზეოლოგია და მაღალფარდოვანი ნოტაციები სამომავლო ბედნიერებაზე, მოსალოდნელ კეთილდღეობაზე ვერ აღუზღუზებდა რწმენის ბუხარს, ვერ აღძრავდა ენთუზიაზმს ადამიანებში...

აქაც აუცილებელი იყო რენტაბელობა, გაცემულისა და მიღებულის ერთგვარი ბალანსირება, წონასწორობის დაცვა, შრომითი ურთიერთობის ჰარმონიაში მოყვანა. ამას ყველა გრძნობდა და ხვდებოდა, მაგრამ გამბედაობა არ ჰყოფნიდა, რათა თავისი მოსაზრება ამ საკითხზე ხმამაღლა წამოეყენებინა.

და აი, ამ ბოლო წლებში მოხდა ერთგვარი შემოტრიალება ჭეშმარიტებისაკენ. აღმოჩნდნენ გაბედულები, თამამები და მათ დასვეს საკითხი სადაც ჯერი იყო. იქ მათ გაუგეს და მოწონების ნიშნად მხარზეც მოუთათუნეს ხელი. ხალხმა კვლავ გაიხსენა მამაპაპური ნათქვამი — „რასაც დასთეს იმასვე მოიმკიო“. ყოველივე ამის ჭეშმარიტი დასტური გახლდათ ამ ქარსა და ყინვაში მინდვრებს შეფენილ მარტყოფელ მშრომელთა დღევანდელი შეუპოვრობაც...

## საუბარი პარტიის გარდაბნის რაიკომში

**ავტორი:**

— თქვენი რაიონის სინამდვილეში, რა ვითარებაში ჩაეყარა საფუძველი სასურსათო პროგრამის შემუშავებას, რამ განაპირობა მისი მასშტაბურობა, სითამამე, როგორც ეს პლენუმზე აღინიშნა და რა საფუძვლებს ეყრდნობა მისი რეალობა, რითი დაიწყო ეს ყველაფერი? — ამ შეკითხვით მივმართეთ პარტიის გარდაბნის რაიკომის პირველ მდივანს ამხანაგ ოთარ ბოკერიას, ვისმე მოხსენებამაც საქართველოს კომპარტიის მეათე პლენუმზე საყოველთაო ინტერესი გამოიწვია: „ყურადღებას იპყრობს ის, რომ პარტიის რაიონული კომიტეტის მიერ პლენუმისათვის წარმოდგენილი მთელი ანგარიში განმსჭვალულია დაუცხრომელი ზრუნვით წარმოების ინტენსიფიკაციისათვის, ძალზე საქმიანი ანალიზია. პირდაპირ სასიამოვნოა ყოველივე ამის წაკითხვა. ერთბაშად ჩანს, რომ ამხანაგები სწორად ჩასწვდნენ თანამედროვე ეტაპზე პარტიის ძირითად მოთხოვნათა არსს“. — ასეთი

მაღალი შეფასება მისცა რაიონის პარტიული ხელმძღვანელის მოხსენებას თავის შემაჯამებელ სიტყვაში ედუარდ შევარდნაძემ.

და მართლაც, საქმის ადამიანთან საუბარი ყოველთვის საინტერესოა, რაიკომის მდივანი მთელი არსებით არის ჩართული სასურსათო პროგრამის არსში, მისი მიმდინარეობის წვრილმანებსა და მსხვილმანებში, კომპიუტერული სიზუსტით გაუსიგრძეგანებია პროგრამასთან დაკავშირებული საკითხების მდგომარეობა, ამ ლაშქრობაში წარმოქმნილი სუსტი წერტილები, ცხელი ადგილები, მათი მკურნალობის საშუალებანიც მონიშნული აქვს, ეს არის ყამირი, გარდაბნული ყამირი, როგორი ამბავია ისე გატეხო იგი, რომ აჩაჩას წვერი არ წაატეხო...

მოვუსმინოთ მას...

— თქვენ გაინტერესებთ, რითი დაიწყო ყოველივე. ცოტა შორიდან მოვყვები, ნათქვამია — „აწმყო შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავალისა"... ჩვენი სინამდვილეც რაღა გამონაკლისი იქნება. საგარეუბნო რაიონის სპეციფიკამ თავიდანვე განსაზღვრა რაიონის სოფლის მეურნეობის პროფილი და ფუნქცია. ჩვენი რაიონის აგროსამრეწველო კომპლექსის ძირითადი ამოცანაა რესპუბლიკის დედაქალაქის — თბილისისა და მსხვილი სამრეწველო ცენტრის ქალაქ რუსთავის მშრომელთა მომარაგება ხორცით, რძით, კვერცხით, ბოსტნეულით, სუფრის ყურძნით, ხილით და სხვა. დიდი რაოდენობით პროდუქცია იგზავნება აგრეთვე საკავშირო ფონდში, რესპუბლიკის სხვა ქალაქებში და სამრეწველო ცენტრებში.

ამ ამოცანებმა განაპირობეს რაიონში სოფლის მეურნეობის წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის მაღალი დონე. რაიონზე მოდის რესპუბლიკაში დამზადებული ბოსტნეულის მეოთხედზე მეტი, ანუ 90 ათას ტონამდე, კვერცხისა 20 პროცენტამდე (93 მილ. ცალი), ხორცის 10 პროცენტამდე (15 ათას ტონამდე), რძის 6 პროცენტამდე (16,3 ათასი ტონა).

მიუხედავად ასეთი დონისა, როდესაც ჯერ კიდევ 1980 წელს გასული ხუთწლედის შედეგებს ვაანალიზებდით, გამოიკვეთა, რომ პროდუქციის წარმოების გაზრდის დიდი რეზერვები გაგვაჩნდა მოსავლიანობის და პროდუქტიულობის გადიდების საშუალებით. კერძოდ გასულ ხუთწლედში ბოსტნეულის მოსავლიანობა რაიონში უმნიშვნელოდ გაიზარდა და ჰექტარზე 160 ცენტნერსლა მიაღწია, როდესაც მოწინავე მეურნეობებში 250-300 ცენტნერამდეც კი იღებდნენ, მარცვლეული კულტურების მოსავალი 18-20 ცენტნერის ფარგლებში მერყეობდა, რაც მეტად დაბალ შედეგად უნდა ჩაითვალოს ჩვენი პირობებისათვის. წველადობა ერთ ძროხაზე მხოლოდ 8 პროცენტით გაიზარდა და 2 180 კილოგრამს ძლივს მიაღწია; გამოიკვეთა, რომ თითქმის ერთიდაიგივე სამეურნეო და ბუნებრივ-კლიმატურ პირობებში მყოფი მეურნეობები ერთმანეთისაგან მეტად განსხვავებულ შედეგებს იღებდნენ. გაინტერესებთ ალბათ მიზეზები. ძირითად მიზეზად მიგვაჩნია, რომ ყველგან ერთნაირად როდი ზრუნავენ აგროტექნიკით და ზოოტექნიკით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარებაზე, წარმოებაში მეცნიერების, ტექნიკისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვაზე. საილუსტრაციოდ ერთი ასეთი ფაქტი მინდა მოვიყვანო. სართიჭალის მეურნეობის ხელმძღვანელები და სპეციალისტები მარცვლეული კულტურების დაბალი მოსავლის მიზეზად ასახელებდნენ ქარისმიერი ეროზიით გამოწვეულ სიძნელეებს, ამავე სოფელში არსებულ საცდელ სადგურს კი წლობით ჩატარებული კვლევა-ძიების შედეგად დიდი ხანია მზად ჰქონდა ამ მოვლენის წინააღმდეგ ბრძოლის ყველა საჭირო რეკომენდაცია და ტექნიკა წარმოებაში დასანერგად.

ასეთი ფაქტები ერთეული როდი იყო და, რაც მთავარია, ფაქტიურად ვერავის ვერ დაადანაშაულებდი ამისათვის. საქმე ის არის, რომ მეცნიერებასა და წარმოებას შორის მთელ რიგ დარგებში არ არსებობს საშუალედო რგოლი —

დანერგვის სამსახური, ხოლო დანერგვის უწყებრივი გეგმები ფორმალურ ხასიათს ატარებენ. ასეთ შემთხვევაში სამეცნიერო დაწესებულებები მოკლებულნი არიან შესაძლებლობებს დანერგონ წარმოებაში თავიანთი დამუშავებები, რეკომენდაციები, ახალი ტექნიკა, ტექნოლოგია, ხოლო სამეურნეო ხელმძღვანელები და სპეციალისტები იმის გამო, რომ სიახლის დაუნერგაობის გამო წარმოება ჩამორჩა არავითარ პასუხს არ აგებდნენ, ისიც აღსანიშნავია, რომ რაიონის პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ხელმძღვანელები არ იყვნენ ჩართულნი წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვის გეგმების შემუშავებაში.

გავითვალისწინეთ რა ყოველივე ეს, გადავწყვიტეთ წარმოების ინტენსიფიკაცია მოგვეხდინა აგროსამრეწველო კომპლექსში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა ფართოდ დანერგვის საფუძველზე.

**ავტორი:**

—როგორც ცნობილია მეათე პლენუმზე ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ თქვა, რომ გარდაბნის რაიონის სასურსათო პროგრამა უწინარეს ყოვლისა გამოირჩევა თავისი მასშტაბურობით და მეცნიერულობით. იგი არსებითად მუშავდებოდა მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვის სამწლიანი პროგრამის განხორციელების პარალელურად... და გარდაბნის რაიონის სასურსათო პროგრამა — ამავე დროს მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების საყოველთაო ფართო დანერგვის პროგრამაც არისო.

თქვენ უკვე გვიამბეთ, რამ განაპირობა სიახლეთა დანერგვის ასეთი პროგრამის შემუშავება, ახლა, თუ შეიძლება, მოკლედ მოგვიყევით ამ პროგრამის შემუშავება-განხორციელების მიმდინარეობისა და მისი ზოგიერთი ძირითადი შედეგების შესახებ.

**ოთარ ბოკერია:**

—წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების დანერგვის მიზნით გადავწყვიტეთ რაიონული საკოორდინაციო საბჭოს შექმნა შესაბამისი დარგობრივი სექციებით. პროგრამაში გავითვალისწინეთ იმ აუცილებელი მიღწევების დანერგვა, რომელთაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებდით ჩვენი პირობებისათვის. ყოველივე ამის განხორციელებას ვითვალისწინებდით რაიონში არსებული საცდელი სადგურებისა და სამეცნიერო საყრდენი პუნქტების მეცნიერ მუშაკთა, აგროსამრეწველო გაერთიანების სპეციალისტების, მეურნეობათა და სხვა საწარმოთა ხელმძღვანელებისა და სპეციალისტების ძალებით.

გაეცნო რა ჩვენს მოსაზრებებს ამ საკითხზე, ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ გვირჩია, რომ რახან ასეთი კარგი საქმე წამოვიწყეთ ხელი მოგვეკიდა პროგრამის შემუშავება-განხორციელებისათვის უფრო ფართოდ, უფრო მასშტაბურად. აქედან დაიწყო ყველაფერი. პარტიის რაიკომს მხარში ამოუდგნენ და მეტად დიდი მუშაობა გასწიეს და იწვევიან ამჟამად რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტი, სოფლის მეურნეობის, მელიორაციის და წყალთა მეურნეობის სამინისტროები, საქსასოფლტექნიკა, საქმთავარწყალმშენი, დარგობრივი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები, რომლებთანაც ერთად შევიმუშავეთ და 1980 წლის ივლისში ერთობლივად დავამტკიცეთ სასოფლო-სამეურნეო წარმოებასა და გადამამუშავებელ მრეწველობაში მეცნიერების, ტექნიკის მიღწევებისა და პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვის კომპლექსურ ღონისძიებათა სამწლიანი (1980-1982 წლები) პროგრამა.

მთელი ამ ხნის განმავლობაში მუდმივად ვგრძნობდით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მხარდაჭერას და დახმარებას. პარტიის რაიკომის ბიუროსა და სამინისტროებისა და უწყებების კოლეგიათა გაერთიანებული სხდომის მუშაობაში, რომელმაც განიხილა და დაამტკიცა აღნიშნული პროგრამა მონაწილეობა მიიღო ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. გ. ი. პატიაშვილმა.

ამ წლებში წარმოებაში დაინერგა მეცნიერებისა და მოწინავე პრაქტიკის 100-ზე მეტი დამუშავება და რეკომენდაცია ნიადაგის ტექნოლოგიის ახალი მეთოდებისა და ეფექტური თესლბრუნვის უზრუნველყოფის მიზნით — ახალი და ჩვენი პირობებისათვის გადაკეთებულ-მორგებული მანქანები და მოწყობილობები, ახალი ჯიშები და ჰიბრიდები მემცენარეობასა და მეცხოველეობაში, პროგრესული ხერხები და მეთოდები ქიმიზაციაში და მელიორაციაში, საკვებწარმოებასა და მცენარეთა დაცვაში, რომლებმაც განაპირობეს მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის კულტურის ამაღლება, მოსავლიანობისა და პროდუქტიულობის გაზრდა.

მთავარ მიღწევად ამ გზაზე მაინც მიგვაჩნია, რომ მკვეთრად ამაღლდა სამეურნეო ხელმძღვანელობა, პასუხისმგებლობა და აქტივობა: არა მარტო დანერგვის პროგრამით გათვალისწინებული დავალებათა განხორციელებისათვის, არამედ ხშირ შემთხვევაში ისინი თავად გახდნენ მრავალ სასარგებლო საქმეთა ინიციატორები. მათ შორის არიან მეურნეობათა დირექტორები—მერი მდივანი, მაგარამ გასანოვი, ვასილ ჩიტიშვილი, ვაჟა ბებიაშვილი, შოთა სიბაშვილი, ტრისტან ჭრელაშვილი, ბიჭიკო მუხიაშვილი და სხვები. განსაკუთრებით გამოირჩინა თავი სიახლეთა დანერგვის საქმეში მარტყოფის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა, მეურნეობის დირექტორის ანგელატ რუსეიშვილის ხელმძღვანელობით. მისი ინიციატივით მარცვლის ამღები კომბაინი ისეთნაირად გადაკეთდა, რომ იღებს საკვებ კულტურებსაც, რაც შესაძლებლობას იძლევა თვითმავალი მანქანები გამოვიყენოთ არა მხოლოდ ერთი თვის განმავლობაში მარცვლის ასაღებად, როგორც ეს იყო ადრე, არამედ წელიწადში 6-7 თვის მანძილზე, როგორც ერთი ისე მეორე კულტურის ასაღებად.

ამავე მეურნეობაში რესპუბლიკის გარედან შემოტანილი იქნა პამიდვრის ახალი უხვმოსავლიანი ჯიშები და უკვე მეორე წელია წარმატებებსაც აღწევენ. აქ დაინერგა ხახვის, კომბოსტოს, ბოლოკის მექანიზებული აღება, რაც ამ კულტურების მოყვანის ინდუსტრიული ტექნოლოგიის დანერგვის საშუალებას იძლევა. ამ მეურნეობაში ამ ბოლო დროს გააძლიერეს მოთხოვნა აგროწესებით გათვალისწინებული ღონისძიების მაღალ დონეზე შესრულებისადმი, შეიქმნა მებოსტნეობაში პირველი უგანრიგო ბრიგადა რაიონში, რაც მაღალნაყოფიერი შრომის შესაძლებლობას იძლევა.

## ერის მუშტა ქვა

საქმეს მართლაც ამაზე უკეთ სად შეაფასებდა ადამიანი. აქ, შრომის ფრონტზე, ამ ქარსა და ყინვაში ადამიანები თავდაუზოგავად მუშაობდნენ...

—აქეთ მეურნეობის მეთოთხმეტე ბრიგადის ნაკვეთებია,—მეუბნება ჩემი მეგზური, მარტყოფის მერძევეობა-მებოსტნეობა-მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანი გივი კირეულიშვილი, — ენთუზიაზმით აღსავსე ადამიანი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი, ჭკვიანი და დაკვირვებული ახალგაზრდა.

ჩვენც იქითკენ ჩავუყევით. მინდვრის ბოლოში ტრაქტორი მუშაობდა, ალვის ხეებთან და თავშესაფარ ქოხთან კი სატვირთო მანქანა იდგა, ქალები და კაცები კი მინდორში თავჩარგულები, ერთ რიგზე გამწკრივებულნი უჩუმრად საქმიანობდნენ. რომ მივუახლოვდით, ტრაქტორზე დამონტაჟებულ ჩითილების სარგავ აგრეგატს ადევნებულ ქალების ლაშქარს მამაკაცი გამოეყო და ჩვენსკენ გამოემართა. მან იცნო მეურნეობის ერთერთი თავკაცი, იფიქრა, რაღაც მნიშვნელოვანი ამბავიაო და აქეთკენ გამოსწია. მოგვესალმა, ცისფერთვალება, ქერა კაცი იყო, ასე, დაახლოებით, ორმოცი წლისა იქნებოდა. ქარდაკრული, სასიამო შესახედაობისა, შუბლზე კაკარდაქუდჩამოფხატული, ამ სუსხსა და ყინვაში ვინ არ ინატრებდა ასეთ მოხერხებულ სახედამცავ საშუალებას.

გამარჯობათო, მოგვესალმა. გივის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელი ჩამოართვა, ჩემი თავი რომ წარუდგინა პარტკომის მდივანმა — თენგიზიო — გამეცნო.

— წარმოშობით შენი მხარისა უნდა იყოს, გვარი ნამდვილად იქაური აქვს — განმარტა გივიმ — ახვლედიანი გახლავთ.

— იმერელი ვარ, ოდესღაც ალბათ რაჭა-ლეჩხუმიდან გადმოსული... — თქვა თენგიზმა.

— შენ არ წაგიკითხავს მურმანის ლექსი? „გასვანებაზე“ რომ ოცნებობს? მეგონა, შეიფერებდი... — გაეხუმრა გივი.

— სულ თავიდან კი ჩვენც იქაურები ვიქნებოდით, ალბათ... — გატყდა ბოლოს თენგიზი.

— ეს ისე, სიტყვამ მოიტანა თორემ ამ წუთში, მარტყოფის ველზე, სადაურობას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს... — თქვა გივიმ — სტუმარს თქვენი ბრიგადის საქმიანობა და განწყობილება უფრო აინტერესებს...

— კეთილი და პატიოსანი... — მხრები აიჩეჩა თენგიზმა.

— მარტყოფელი იქნებით, ალბათ... — ვკითხე თენგიზს.

— არა, თბილისელი გახლავართ...

— თბილისელი?

— დიახ, თბილისელი. ერწოს ქუჩაზე ვცხოვრობ.

— კი მაგრამ... ამ სიშორეზე... — არ დამიმთავრებია ბოლომდე სათქმელი, ჩავთვალე, რომ ისედაც გაიგებდა.

— ყოველდილაუთენია ხუთზე ვდგები, ექვსზე სახლიდან გამოვდივარ. შვიდისთვის მაინც აქა ვარ. პარტკომის მდივანი დამემოწმება, დაგვიანება არა მჩვევია...

გივი, თითქოს დასტურის ნიშნადო, მხარზე ადებს ხელს. თქმით არაფერს ამბობს. მე კი წამიერად ჩვენს ნებიერა ახალგაზრდებზე ვფიქრობ, მთელი დღე ლოგინში კოტრიალი რომ არ მოსწყინდებათ. რამოდენა მანძილია იმათი ძილისგუდობიდან თენგიზის მუყაითობამდე.

— თბილისი — მარტყოფი და პირიქით ყოველ დილა-საღამოს... ეტყობა, შეეჩვიეთ კიდევაც ამ ერთფეროვან მარშრუტს...

— მართლაც ეგრეა. თბილისი — მარტყოფი და პირიქით! ჩემთვის ეს ჩვეულებრივი ამბავია. და არც მახსოვს ამ ხნის მანძილზე, რაც არ უნდა დამგვიანებოდა სამუშაოზე. შინ არ მივსულიყავი. ოჯახი. ბავშვები, ხომ იცით...

— დიდი ხანია. რაც აქეთა ხართ?

— ჩვიდმეტი წელი! სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი რომ დავამთავრე, განაწილებით გამომიშვეს.

— კმაყოფილი ხართ ხვედრისა?

— როგორ გითხრათ. ჩემი მეგობრები წინ წავიდნენ, ყოველშემთხვევაში, ბევრი მათგანი, განსაკუთრებით ისინი, ქალაქში ვინც მოახერხა დარჩენა. ზოგჯერ კეთილად შემშურდება ხოლმე იმათი. მაგრამ წამიერია ეს განცდა, მერე რა მოხდა, ბრიგადირობას რომ ვერ გავცდი — თავიდანვე ბრიგადირი ვარ და ვარ... მიყვარს, ეტყობა ჩემი საქმე და იმიტომაცაა, რომ ქარ-წვიმა და ყველაფერი ეს არაფრად მიჩანს, აქაურობა არ მბეზრდება, ალბათ ასეა, თორემ კი არვინ მიმაჯაჭვა ამ ქაცნიის ველს. გასაქცევ გზებს რა გამოლევს... ერთი რამეც არის, მგონია, რომ ქვეყნისა და ხალხის საქმეს ვემსახურები, სამომავლო შენობის კედელში უშველებელი ლოდი თუ ვერა ერთი მომცრო, მაგრამ უტყუარი და ნაღდი მუშტა ქვა, ან ულალატო ხიჭი მაინც უნდა იყო. ეგ კი, ჩემის აზრით, მთავარია.

— ბრიგადირი ვარო, ამბობს, მაგრამ ბრიგადირსაც გააჩნია... — ებმება ჩვენს საუბარში პარტკომი, — თენგიზი ჩვენს მეურნეობაში ერთ-ერთი მოწინავეთაგანია. ამაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ იგი მთელი ამ ჩვიდმეტი წლის მანძილზე უკვე რამდენიმე უბანზე გამოვცადეთ, უფრო სწორად, რამდენიმე ჩამორჩენილ ბრიგადას შევაშველეთ, მეთოთხმეტეშიაც ახალი გადმოყვანილი გვყავს. ჩამორჩენილი ბრიგადა ხელათ წამოსწია, წელი წამოუმართა...

— ამჟამად რაზე მუშაობს თქვენი ბრიგადა? — ვკითხე თენგიზს.

— საადრეო კომბოსტოს ჩითილებსა

ვუგავთ... დალოცოს ღმერთმა ამ აგრეგატის მომგონი... — ხელი გაიშვირა ტრაქტორისაკენ თენგიზმა — მახსოვს, პირველ წლებში სულ ხელით გვიხდებოდა მთელი აგროციკლების შესრულება. დღეს ტექნიკა გვეხმარება, მართალია, მხოლოდღა გვეხმარება, რადგანაც მიწას თუ ადამიანის თბილი ხელიც არ მოხვდა, არ მოეფერა და მოესიყვარულა, რაც არ უნდა იყოს, მოსავალს ჩვეული ბარაქა მაინც არ ექნება, მაგრამ ეს დახმარება განუზომლად ქმედითია...

აგრეგატი მართლაც მეტად გონიერი ჩანდა. ჩითილებს ფაქიზად უმზადებდა ნიადაგს, ბრიგადის წევრები კი უკან ასდევნებოდნენ ტრაქტორს.

— ბრიგადაში ოცდაორი წევრი მყავს. მათ შორის მოწინავეებიც არიან, ვერა ტუტარაშვილს ყველა იცნობს გარდაბანის რაიონში. მზია ფუხაშვილი ჩვენი ბრიგადის მერგოლეური, პარტიის წევრობის კანდიდატია...

ალნოს მთიდან უფრო ძალუმად დაჰბერა სუსხიანმა ქარმა. მართალია, მინდორში დილანდელი რთვილის ნაახიც კი აღარსად ჩანდა, მაგრამ ისევ გვარიანად ციოდა, ცხრათვალა მზეს თავისი ცხოველმყოფელობა ჯერაც ვერ მოეკრიბა. ძველებურად ვერ მზეობდა, ვერ ათბობდა და აცხუნებდა ქვეყნიერებას, ყოველშემთხვევაში, მარტყოფელთა სანახებს. მეთოთხმეტე ბრიგადას კი ყოველივე ეს არაფრად უჩანდა, და არც მის თავკაცს ეტყობოდა შეძრწუნება ბუნების ჭირვეულობის გამო, ჯანსაღი და მშვიდი, ქარდაკრული, გარუჯული, დახვეწილი სახით გვემშვიდობებოდა მოულოდნელ სტუმრებს.

„ეს არის ალბათ ყველაზე დიდი დაწინაურება — ვფიქრობდი ჩემთვის, — ავადობანი რომ არ შეგაწუხებს ადამიანს, ბუნების წიაღში ტრიალებ, მასთან წილნაყარი ხარ, ქონი არასოდეს არ მოგედება მუცელზე“.

— მართალია, თენგიზი მოწინავეთაგანია, მაგრამ ასეთებს ჩვენს მეურნეობაში რა გამოლევს... — მითხრა გივიმ, მეთოთხმეტე ბრიგადას რომ დავემშვიდობეთ და ახლა მეცამეტესაკენ ავიღეთ გეზი — ნათქვამი როა — „გაზაფხულს ერთი მერცხალი ვერ მოიყვანსო“, ერთი ბრიგადირი და ერთი ბრიგადა სასურსათო პროგრამას ვერ განახორციელებს...

ღიმილი დასთამაშებს სახეზე გივის. ეს არის ხელმძღვანელის ჯანსაღი, ალალი და გულწრფელი ღიმილი, კმაყოფილების ღიმილი.

— ერთი კაცი ბრძოლის ველზე მეომარი ვერ იქნება, გაიმარჯვებდა გიორგი სააკაძე ამ ულევარის ველზე მარტოკელა? — არა მგონია! ასეა ჩვენი საქმეც...

მე ვხვდები, პარტკომის მდივანს სიამოვნებას ანიჭებს ამ გაშლილი შრომითი პანორამის ცქერა, ჯილებივით მოჩანან ადამიანები ქარსაცავი ზოლებით დასამანებულ მინდვრებში, ეამაყება ეს ადამიანები პარტკომის მდივანს. რაც მთავარია, მას გააჩნია საამისო საფუძველი, უტყუარი ნივთმტკიცებულობა ამ კმაყოფილებისათვის, ეს არის მეურნეობის შესანიშნავი მაჩვენებლები მიმდინარე და ასევე გასული წლებისა... ამ მაჩვენებელთა ღმერთებზე მას დაუსრულებლად შეუძლია საუბარი...

□ გაგრძელება იქნება □

# კრიტიკა, პუბლიცისტიკა

ელექტრონული ბიბლიოთეკა

გურამ ასათიანი

## უკანასკნელი საუბარი

ეს, მართლაც, უკანასკნელი საუბარია გურამ ასათიანისა... გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე საქართველოს რადიოს კორესპონდენტი ეწვია გურამს საავადმყოფოში და ეთერში გადასაცემად მაგნიტოფონზე ჩაიწერა მისი საუბარი. რედაქცია გაეცნო ამ ჩანაწერს და მიზანშეწონილად სცნო მისი გამოქვეყნება. საუბრის სტილი დაცულია.

„ვეფხისტყაოსანი“ ისეთივე მნიშვნელობის ნაწარმოებია, ისეთივე მხატვრული ძეგლია კაცობრიობის ესთეტიკური განვითარების გზაზე, როგორადაც ჩვენ წარმოგვიდგება, მაგალითად, „თქმულება გილგამეშზე“, შემდეგ „ილიადა“, „ოდისეა“, „შაჰნამე“, უფრო გვიან, შუა საუკუნეებში, „ღვთაებრივი კომედია“ — ეს არის ერთ-ერთი გზაჯვარედინი კაცობრიობის პოეტური გენიის, მხატვრული გენიის განვითარების მრავალათასწლოვან გზაზე. თუ ჰეგელის ხელოვნების განვითარების ყველაზე უნივერსალურ კლასიფიკაციას დავეყრდნობით, მაშინ, შეიძლება ითქვას, რომ ეს არის ერთ-ერთი ფაზა, ერთ-ერთი სტადია ამ ევოლუციისა, მაგრამ სიტყვა „გზაჯვარედინი“ ამ შემთხვევაში ჩვენთვის უფრო საინტერესოა და მნიშვნელოვანი, ვინაიდან პოემა სწორედ იმით გამოირჩევა, რომ აქ გადაჯვარედინებულია და ერთმანეთს ერწყმის ის ელემენტები, რომლებიც ჰეგელისეულ ამ სისტემაში სხვადასხვა ფაზების დამახასიათებელ თვისებებს წარმოადგენენ. მოკლედ შეგახსენებთ: ეს არის — პირველი, ძველაღმოსავლური ხელოვნება, რომელსაც ჰეგელი სიმბოლურს უწოდებს; შემდეგ კლასიკური ხელოვნება, ანუ ის, რაც ელინისტურ სამყაროსთან არის დაკავშირებული, ანტიკასთან, ანტიკურ კულტურასთან, და შემდეგ რომანტიკული ხელოვნება, ანუ კოველივე ის, რაც წარმოქმნა ქრისტიანულმა კულტურამ.

„ვეფხისტყაოსანი“ არის ის, თითქმის უნიკალური ნაწარმოები, რომელშიც შუა საუკუნეებში, კერძოდ მეთორმეტე საუკუნეში, ძირითადად შენარჩუნებულია, თითქმის დაუმახინჯებლად, კლასიკური სული, ესე იგი ფორმის კლასიკური გაგება. ჰარმონია მატერიალურსა და იდეალურს შორის, პროპორციები და ყველაფერი ის, რაც შეადგენს ამ გაგებით კლასიკური ნაწარმოების პოეტიკას, პოეტური ხელოვნების საფუძველს. ეს მით უფრო განსაცვიფრებელია, რომ ამ ნაწარმოებში ჩვენ უკვე ვხედავთ რომანტიკული ხელოვნების ღრმა ზემოქმედებასაც. რუსთაველის პოემა თავისი მსოფლმხედველობით ქრისტიანულ მოძღვრებას, კერძოდ არეოპაგიტიკულ სისტემას რომ ეფუძნება, ეს უკვე დაზუსტებული და დამტკიცებულია, მაგრამ ამ შემთხვევაში საინტერესოა ის, თუ როგორი მხატვრული ფორმით გამოიხატება ასეთი ახლებური მიმართება სამყაროსადმი, სინამდვილისადმი. როგორ უკავშირდება და როგორ არის შეუღლებული ეს ახალი, რომანტიკული პოეტური ხედვა სინამდვილისა და კლასიკურ მხატვრულ მსოფლგაგებასთან.

შეიძლება უბრალო მაგალითით დავიწყოთ: რუსთაველის პოემას, მის სიუჟეტს, ერთ-ერთ მთავარ ხაზად გასდევს ავთანდილის „მოგზაურობა“. ეს არ არის უბრალო მოგზაურობა, ეს არის ძიება. ამ მხრივ ის ენათესავება და მოგვაგონებს, ვთქვათ, „ოდისეას“ და ვირგილიუსის პოემის — „ენეიდას“ ფაბულას. ჩვენს თვალწინ იშლება მთელი რიგი მოვლენებისა, ხიფათებისა, დაბრკოლებებისა, გმირმა რომ უნდა დასძლიოს და შესაბამისად მოცემულია მისი გმირობის, მისი მოხერხების, მისი გამჭრიახობის ამსახველი სურათები. ეს არის, ვთქვათ, ობიექტური პლასტი ნაწარმოების მხატვრულ ქსოვილში; ეს გახლავთ ობიექტური ფენა ამ ნაწარმოების, ანუ ვთქვათ, მოქმედებისა. მაგრამ აქვე, ამ პოემაში არის მეორე ფენა, მეორე შრე, ასევე მოქმედების, ეს გახლავთ შინაგანი მოქმედება, ესე იგი ის, რაც ხდება ავთანდილის ცნობიერებაში. და აქ უკვე იგრძნობა დიდი სიახლე, ვინაიდან, განსხვავებით ჰომეროსისა და ვირგილიუსის გმირებისაგან, ყველაფერი, რაც პოემაში ხდება, მდიდარია არა მხოლოდ ამ ხაქციელით, ამ სიტყვის პირ-

დაპირი გაგებით, არამედ იმ შინაგანი ექსპრესიითაც, რაც თან ახლავს ავთანდილის სახეს. აქ ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ეს შინაგანი პერსპექტივა, სულიერი, ინტიმური ცხოვრების მოძრაობა, არანაკლებ საინტერესო და მნიშვნელოვანია, ვიდრე ის ნაბიჯები, რომელსაც გადადგამს ავთანდილი თავისი ძიების გზაზე. სხვათაშორის, გავრცელებულია აზრი, რომ ავთანდილი ნაკლებ ემოციური, ნაკლებ ვნებიანი, ნაკლებ ექსპანსიური გმირია, ვიდრე ტარიელი, მისი მეგობარი. ეს მხოლოდ შეფარდებითი მნიშვნელობით არის სწორი. იმიტომ, რომ ავთანდილსაც ახასიათებს გასაოცარი, შეიძლება ითქვას, რომანტიკული, როგორც ჩვენს საუკუნეში ხმარობენ ამ ტერმინს, „გადავარდნები". მისი საუბარი ციურ სხეულებთან, მისი სიმღერა, რომელიც საყოველთაო, რაღაც უნივერსალურ ჰიმნად ჟღერს, მისი აღტკინება სიყვარულით, მისი ცნობილი, სულიერი მდგომარეობის ამსახველი, ბრწყინვალე ხატი, როდესაც გაზაფხულზე ის და ბუნება თითქოს ერთად ტირიან რაღაც ახალი შეხვედრის, ახალი პაემანის მოლოდინში. აი რა არის ახალი „ვეფხისტყაოსანში". ჩვენ პირობითად ამას ვუწოდებთ რომანტიკულ სულისკვეთებას. გმირის სულიერი, შინაგანი ცხოვრების აი ასეთი ფართო პლანით წარმოსახვა, ეს უკვე ახალი ნიშანია და, შეიძლება ითქვას, რომ ეს წინამორბედია იმ ხელოვნებისა, რომელიც ახალ და უახლეს დროებში იქმნება, კერძოდ, დასავლურ კულტურაში.

ეს ორი ესთეტიკური ასპექტია გმირის ცხოვრების წარმოსახვისა, ვიმეორებ: გარეგანი და შინაგანი თავის გამოხატულებას პოვებს თვით ვერსიფიკაციულ ფორმაში, პოემის ლექსთწყობაში. რუსთაველის სტროფი, საერთოდ, აგებულია ფართო კლასიკურ პერიოდებზე, მაგრამ აქვე ვხვდებით ისეთ სტროფებს, ისეთ უჯრედებს, რომელიც თავის თავში შეიცავს არაერთ წინააღმდეგობას, შეიძლება ასე ითქვას — წყვეტილ მანერას, და ეს დამახასიათებელია განსაკუთრებით იმ ადგილებისათვის, სადაც ასახულია გმირის შინაგანი მდგომარეობა. მხედველობაში მაქვს ნესტანის წერილი საყვარელთან, ასევე ავთანდილის ანდერძი, სადაც ვისმენთ გმირის ალსარებას. აი აქ ემოციური მდგომარეობა იწვევს ერთგვარ უთანასწორობას, ერთგვარ გადახვევებს, ამაღლებას, და მერე უცებ ერთგვარ თითქოს დეპრესიას, რაც არ არის დამახასიათებელი თხრობისთვის, ეპიკური ნაწილისთვის. მაგრამ საინტერესოა ის, რომ დისჰარმონიის ყველა ეს ელემენტი, ყველა ეს უწონასწორობა, დარღვევა, გადახვევა, მომწყვდეულია „ვეფხისტყაოსნის" სტროფში, რომელიც გამოირჩევა ფოლადისებური ნაჭედობით, ესე იგი ყოველივე ეს მაინც გამთლიანებულია საბოლოოდ და იღებს კლასიკური დასრულების ფორმას, განსხვავებით, ვთქვათ, ბარათაშვილის „მერანის" ვერსიფიკაციისაგან, სადაც ყოველი სტროფი მოითხოვს გაგრძელებას, განვრცობას, გადასვლას შემდგომ სტროფში და უკანასკნელი კი თითქოს უსასრულობაში გადადის და რაღაც დიდ სივრცეებს ეტანება.

ეს რომანტიკული ხელოვნების, რომანტიკული პოეტიკის დამახასიათებელი თვისებაა: რუსთაველთან ყოველი აზრი, ყველა გრძნობა, თუნდაც ის იყოს შინაგანად წინააღმდეგობრივი, მაინც დასრულებულია. რაც კლასიკური პოეტური აზროვნების, პოეტური თვითგამოხატვის ნიშანდობლივი თვისებაა. აქ მე ერთ გარემოებას მინდა განსაკუთრებით გავუსვა ხაზი: „ვეფხისტყაოსანი" ის ნაწარმოებია, იშვიათი ნაწარმოები, რომელიც თავის თავში ითავსებს მრავალ უკიდურესობას. ორი მე უკვე აღვნიშნე — კლასიკური და რომანტიკული. მაგრამ, ასევე, „ვეფხისტყაოსანში" შეთავსებულია ერთმანეთთან წარმართული და ქრისტიანული. ეს თითქმის რაღაც სინონიმური ცნებებია. მაგრამ არის კიდევ ერთი საოცარი და ნიშანდობლივი სინთეზი „ვეფხისტყაოსანში", ეს არის აღმოსავლურისა და დასავლურის უცნაური შერწყმა, იშვიათი შერწყმა, რამაც, სხვათაშორის ჩვენს საუკუნეში, ჩვენს დროში მიიპყრო განსაკუთრებული ყურადღება. შუა საუკუნეების ლიტერატურისა და კულტურის დიდი სპეციალისტებისა, კერძოდ ცნობილი ინგლისელი ლიტერატურისმცოდნე, ისტორიკოსი და ესთეტიკოსი მორის ბოურა, თავის ფუნდამენტურ გამოკვლევაში — „ხელოვნება და შთაგონება" წერს, რომ „ვეფხისტყაოსანი" ის ნაწარმოებია, რომელშიც მკითხველი ერთნაირად ხედავს და მოიხილავს როგორც აღმოსავლეთს, ისე დასავლეთს. ეს აზრი ჩვენშიაც გამოთქმულა, მაგრამ საინტერესოა, რომ ეს სიტყვები ეკუთვნის უკვე არა ქართველ რუსთველოლოგს, არა იმ კაცს, რომელიც, ვთქვათ, გაზრდილია ქართულ კულტურაზე, არამედ ეს არის შთაბეჭდილება გარეშე თვალისა, და ამდენად ასე ცოცხალი და ასე მკვეთრი.

სხვათაშორის, „ვეფხისტყაოსანში" მიღწეული ეს ახალი ტიპის ჰარმონია, მე ვგულისხმობ ჰარმონიას, რომელიც წინააღმდეგობათა შეულლებაზე არის დაფუძნებული, შემდგომ საუკუნეებში იმ საერთო დეკადანსის გამო, რომელიც განიცადა ქართულმა კულტურამ, ქართული სულის, შემოქმედი სულის განვითარებამ, ძირითადად ობიექტური მიზეზების გამო, ეს ჰარმონია დაირღვა და ჩვენ უფრო ხშირად ვხედავთ უკიდურესობებს, ერთი მხრივ, აღმოსავლური ნაკადის მომძლავრებას, რომელიც უკვე გადადის სრულ ფორმალიზმში, უაზრობაში, უსაგნობასა და მდარე ეპიგონიზმში, ხოლო, მეორე მხრივ, სასულიერო მწერლობის ზემოქმედება საერო მწერლობაზე, სადაც მატერი-

ალური მხარე — ხორცი, სხეული, მიწა უკვე გამოთიშულია ამ სინთეზებიდან და წმინდა სულიერება იმარჯვებს. საბოლოოდ, მე ვიტყოდი, რომ თავისი იდეალური სახით ამ სინთეზის აღდგენა ხდება ვაჟა ფშაველას შემოქმედებაში. თუმცა, რასაკვირველია, აკაკისთანაც, ილიასთანაც არის უკვე ამის ტენდენციები და ის ცნობილი ცისა და მიწის ერთიანობა, რაც აკაკის ლექს „პოეტში" მჟღავნდება. ყოველივე ეს, თითქოს განხორციელებული, განსაგნებული, თავისი სრულყოფილი სახით წარმოგვიდგება ვაჟა ფშაველას შემოქმედებაში. შეიძლება ითქვას, რომ რუსთაველი და ვაჟა — ის ორი შემოქმედია, რომელთა მემკვიდრეობაში, რომელთა ოსტატობაში, რომელთა მხატვრულ მსოფლმხედველობაში ყველაზე უფრო აშკარად, მკაფიოდ გამოვლინდა ქართული სულის ესთეტიკური ბუნება. ახლა ერთ საკითხზე მინდა კიდევ გავამახვილო თქვენი ყურადღება და მოგახსენოთ, რომ ჩვენ ერთი უკვე ვახსენეთ. ჰეგელის ცნობილი კლასიფიკაცია, რომელმაც მთელი ეპოქა შექმნა. პარალელურად გერმანიაშივე შეიქმნა ხელოვნების მეორე თეორია — შილერს ეკუთვნის, ხოლო ჩვენს დროში, განსაკუთრებით XX საუკუნის დასაწყისში, მთელ დასავლეთ ევროპაში და შემდეგ რუსეთში გახმაურდა და ჩვენამდე მოაღწია ნიცშეს ხელოვნების ფილოსოფიამ. მთელი მისი კონცეფცია აგებული იყო ორ საწყისზე: აპოლონურსა და დიონისურზე. აპოლონური, ნიცშეს გაგებით, ნიშნავს დაახლოებით იმას, რასაც ჰეგელისთვის კლასიკური, ხოლო შილერისთვის მიამიტური ხელოვნება. ხოლო დიონისური იმას, რასაც ჩვენ, ჩვეულებრივ, რომანტიკული ხელოვნების შინაარსში ვგულისხმობთ. მოკლედ რომ ვთქვათ, აპოლონური არის ყველაფერი ის, რაც დაკავშირებულია ჰარმონიასთან, ნათელთან, ნატიფთან, გონებით გაწონასწორებულთან, ხოლო დიონისური — ქვეცნობიერთან, დისჰარმონიულთან, მტანჯველთან. თვით ნიცშესთვის აპოლონური საწყისი არის ილუზია. მაგალითად, იგი აცხადებს, ბერძნებმა იცოდნენ რომ ცხოვრება თავისთავად არის სიმახინჯე, ტანჯვა, დისჰარმონია, ამიტომ მათ ამ ნამდვილ ცხოვრებას გადააფარეს თავიანთი ილუზია, ლამაზი ფარდაგი. ეს გახლავთ ოლიმპო, მათ მიერ შეთხზული მშვენიერი სამყარო ლამაზი, ადამიანის მსგავსი სრულყოფილი ღმერთებისა. ხოლო დიონისე ის ღმერთია, რომელიც ჩვენი ნამდვილი ცხოვრების მწუხარებაში, ტანჯვაში, სიმახინჯეში ჰპოვებს შვებას, მაგრამ არა ილუზიის, არამედ თრობის მეშვეობით. ამიტომ ყველამ იცით, რომ დიონისე ღვინისა და თრობის ღვთაებაა, ისევე, როგორც მისი ორეული ბახუსი. უნდა ითქვას, რომ ყველა, ასე თუ ისე, განვითარებულ ეროვნულ ხელოვნებაზე ეს ორი საწყისი მოქმედებს, იგი ასევე მოქმედებს ქართულ ხელოვნებაზე, ქართულ ლიტერატურაზეც. ჩვენ თვალნათლივ დავინახავთ ამ ორი ნაკადის ურთიერთ ზემოქმედებას, კერძოდ, რუსთაველის პოემაში. მე მოგახსენეთ დისჰარმონიისა და ჰარმონიის ურთიერთმიმართებაზე. მაგრამ ქართული კულტურისთვის, ქართული სულის განვითარებისათვის, მისი რაობისათვის მთავარ ემბლემად ჩემი რწმენით, არც ერთი ეს სახე მაინც არ გამოდგება. ბერძნული პანთეონიდან ჩვენთვის გაცილებით უფრო ახლობელია სხვა სახე. პრომეთეოსის სახე, მისი ლეგენდა, მასთან დაკავშირებული მითოსი. შემთხვევით არ არის, რომ პრომეთეოსის საბოლოო სამყოფელი კავკასიაა და ასევე შემთხვევითი არ უნდა იყოს ის კონცეფცია, ის ჰიპოთეზა, რომ ეს ლეგენდა სწორედ ჩვენში დაიბადა და შემდეგ ჩვენგან გადავიდა ელინისტურ სამყაროში. ასე თუ ისე, პრომეთეოსისა და ამირანის სახეების ნათესაობა, თუ იდენტურობაზე არაფერს არ ვიტყვით, სპეციალისტებში ეჭვს თითქმის აღარ იწვევს. რითი არის ახლობელი ეს სახე ქართული სულის მრავალი თავისებურებისათვის? ეს აშკარად გამოჩნდება, თუ ჩვენ ამ სახეს შევუპირისპირებთ იმავ აპოლონსა და დიონისეს. აპოლონის მსგავსად, პრომეთეოსიც ღვთის შვილია, უკვდავია. მაგრამ ის თავის ღვთაებრივ ხელშეუხებლობას, შეუვალობას ანაცვალებს ადამიანებთან ყოფნას, ადამიანებისთვის ტანჯვას. პრომეთეოსი დაბადებით მეამბოხეა. მე ამას ხაზი მინდა გავუსვა. დაწყებული ესქილედან, შემდეგ, ახალ დროში, შელიმდე, ასე არის გააზრებული ეს სახე თავისუფლების მოყვარული ღმერთისა. ის დაუმორჩილებელი ღმერთია. ის არის პიროვნება, რომლის მოთანგვა, რომლის რაღაც სტერეოტიპად გადაქცევა და, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, ღვთაებრივი მოსახლეობის ერთ-ერთ რიგით წევრად წარმოდგენა შეუძლებელია. პრომეთეოსი განსაკუთრებით იმით არის ახლო ქართული კულტურის, ხელოვნების სულთან, რომ იგი, ერთ და იმავე დროს, ღვთაებრივი ნატურაც და მიწის შვილიცაა. მისი მოწოდება ხომ მიწაზე მოსვლაა, მიწაზე სინათლის მოტანა, ცეცხლის, ღვთაებრივი სითბოსი და სინათლის მოტანაა. ეს არის ერთგვარი ხიდი ზეციერსა და მიწიერს შორის. არ შეიძლება არ გაგვახსენდეს ვაჟას ცნობილი სიტყვები: „ვნუგეშობ იმით მიწას მიწურად, და ცას ციურად მივეთავისე" და როგორ არის ეს გაბნეული საერთოდ ჩვენს პოეზიაში. ივანე ჯავახიშვილს აღნიშნული აქვს, რომ ჩვენი ისტორიის ოქროს ხანაში, დიდი მოაზროვნენი, მათ შორის დავით აღმაშენებელი თავის „გალობანი სინანულისანში", ადამიანს წარმოიდგენენ, როგორც ღვთაებრივ არსებას. სწორედ იმიტომ, რომ ის, მათი თვალსაზრისით, არის შემკვრელი გრძნობადისა და გონებისმიერისა; გრძნობადში იგულისხმება ამქვეყნიური, მიწიერი, რასაც ჩვენსა და ჩვენს შეგრძნებებში

მივიღებთ, ხოლო გონებისმიერში ის ტრანსცენდენტური, ის მიღმა, იმიერი სამყარო, რომელიც სწორედ ზეცას, ღვთისმიერს, ღვთაებრივს ნიშნავს. აი ეს სინთეზი სულიერისა და ხორცისმიერის, სინთეზი იდეალურისა და რეალურისა იმავ ვაჟასთან გამხელილია ერთ-ერთ წერილში, სადაც ის ქართული პოეზიის იდეალს სწორედ ასე გამოხატავს. ვაჟას ქართული პოეზიის იდეალად მიაჩნდა ფშაური პოეზია, ქართული ფოლკლორი; ის წერს, რომ ფშაური პოეზიისთვის დამახასიათებელია შერწყმა და შეერთება უკიდურესი იდეალიზმისა უკიდურეს რეალიზმთან. აქ შეიძლება ჩვენ ცოტათი შევყოვნდეთ და ვთქვათ, რომ ეს შერწყმა იდეალურისა და რეალურისა საერთოდ კლასიკური ხელოვნების თავისებურებაა, კერძოდ, მთელი ანტიკური სამყარო, როგორც ძველი საბერძნეთი, ასევე რომი, მათ კულტურასა და ხელოვნებას ვგულისხმობ, სწორედ ამაზეა დაფუძნებული, ფორმისა და შინაარსის, ანუ ხორცისა და სულის ადექვატური ერთიანობაა. ახალი თითქოს აქ არაფერი არ არის, ერთადერთი სიტყვით გაშველის ჩვენ ვაჟა ფშაველა, ეს არის სიტყვა — „უკიდურესი". საქმე ის გახლავთ, რომ ეს არ არის ჩვეულებრივი სინთეზი, ჩვეულებრივი ერთიანობა, ეს არის დრამატული ერთიანობა, აქ ანტაგონისტური საწყისები კი არ ნებდებიან, კი არ უთმობენ ერთმანეთს. რომ მშვიდობა იყოს მათ შორის ან ზავი დადონ, ისინი უკიდურესი სახით მონაწილეობენ ამ ალიანსში. აქ შეიძლებოდა კიდევ ერთი პარალელი გაგვევლო — როგორ ესმის ქართველ კაცს მეგობრობა, კერძოდ, მამაკაცების მეგობრობა. მოგახსენებათ და ამაზე შემდეგაც ვიტყვით, ქართველ ხასიათს, გარდა ღირსებებისა, ბევრი ნაკლიც აქვს, ნაკლი. ერთ-ერთი ის გახლავთ რომ ქართველებმა ერთმანეთის მტრობა ვიცით. ყველაზე მეტად ქართველი ქართველს მტრობს იმასთან სურს მეტოქეობა, თითქოს ძალის მოსინჯვა, მაგრამ, ამავე დროს, ჩვენ ვეკუთვნით მსოფლიოს ხალხთა იმ რიგს, რომელსაც განსაკუთრებით აქვს განვითარებული მეგობრობის გრძნობა. თუ შეიძლება ითქვას, უმეგობრო ქართველი, საერთოდ, ქართველი არ არის. ამით ჩვენ გამოვირჩევით და დღესაც შეგვრჩა ეს თვისება, თითქოს უამისოდ ვერ ვძლებთ, ვერ ვარობთ, მაგრამ მეგობრობა ჩვენ, სხვათაშორის, თავისებურად გვესმის: ეს მეგობრობა არ ნიშნავს ორი პიროვნების ნიველირებას, რომ ორი ადამიანი თითქოს ერთნაირი უნდა გახდეს. პირიქით, ჩვენ ისეთ კავშირზე ვაფუძნებთ მეგობრობის ჩვენებურ წარმოდგენას, როცა ორი პირი თავისი ხასიათით ერთმანეთს გარკვეული თვალსაზრისით უპირისპირდება. ამისი ცოცხალი ნიმუშია ავთანდილი და ტარიელი, ისინი ნამდვილად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. მართალია, არსებობს აზრი, რომ ორივე იდეალური რაინდები არიან და რუსთაველმა მათში გამოხატა რაინდობის იდეალი, მაგრამ ეს, ასე ვთქვათ, სქემაა. რუსთაველი ისე ამუშავებს მათ ხასიათებს, ისე დეტალურად, ისე მხატვრულად ხსნის სხვადასხვა სიტუაციებში და სხვადასხვა კუთხით, სხვადასხვა რაკურსით გვაჩვენებს მათი ხასიათების სულ სხვადასხვა თვისებებს, რომ ეს არ შეიძლება ჩაითვალოს რაღაც შემთხვევითობად. ნამდვილად, ტარიელი და ავთანდილი ერთმანეთისაგან განსხვავებული ის პიროვნებები არიან, რომლებიც ერთმანეთს ავსებენ და მათი კავშირი სწორედ მათ სხვადასხვაობაზეა დაფუძნებული და არა იმაზე, რომ ისინი იმეორებენ ერთმანეთს.

უსათუოდ უნდა ითქვას ორიოდე სიტყვა და მე ჩემს თავს ნებას მივცემ, მიუხედავად იმისა, რომ სპეციალისტი არა ვარ, მაინც ვთქვა, არსებობს დიდი კავშირი „ვეფხისტყაოსნის" პოეტიკასა და მისი ეპოქის სახვით ხელოვნებასთან, სახვითი ხელოვნების თავისებურებასთან, ოსტატობასთან, წამყვან პრინციპებთან. უბრალოდ რომ გავიხსენოთ (აქ აუცილებელი არ არის ხელოვნებისმცოდნე იყო, კერძოდ სახვითი ხელოვნების მცოდნე), გავიხსენოთ იმ ეპოქის ნაგებობანი, კერძოდ საეკლესიო ხუროთმოძღვრება. დიდი რწმენა ადამიანისადმი და ადამიანში ბუნებრივი თვისებების, ბუნებისაგან შეძენილი თვისებების კეთილისმყოფელობისა, ჩემი აზრით, რაც განსაგნებულია „ვეფხისტყაოსანის", თუ შეიძლება ასე ითქვას, პოეტურ მუსიკაში, ასევე განხორციელებულია ჩვენს შუასაუკუნოვან ტაძრებში. ჩვენ შეგვიძლია ზოგიერთი მათგანი შევადაროთ, როგორც შორეულ პარალელებს, ასევე ახლომდებარე, მეზობელ კულტურასაც. ქართული ხელოვნებისთვის, ხუროთმოძღვრებისთვის უცხოა დედამიწისგან, ნიადაგისგან ის სრული განლტოლვა, სრული დაცლა ხორცისგან , რაც ახასიათებს თუნდაც გოთიკას — ცისკენ ატყორცნილი ხაზები, სრული დაცარიელება, შემსუბუქება ყოველივე მიწიერისაგან. ეს ელემენტი ჩვენშიაც არის, მაგრამ ეს არ არის მთავარი. ქართული ხუროთმოძღვრებისათვის ასევე უცხოა მიწაში ჩაბჯენაც, ჩამკვრივებაც. ამავე დროს, ეს ორივე ელემენტი მაინც მოქმედებს. თუ წარმოვიდგენთ როგორც ადრეული შუასაუკუნეების, ისე XI-XII საუკუნეების ჩვენს შედევრებს, დავინახავთ, რომ ყოველი ჩვენი კლასიკური ნაწარმოები (ხუროთმოძღვრებას ვგულისხმობ — ტაძრებს, საეკლესიო ნაგებობებს) უსათუოდ არის დაკავშირებული მიწასთან, ნიადაგში ღრმად აქვს ფესვები გამდგარი, საიმედოდ დგას, არ არის ნიადაგს მოწყვეტილი, მაგრამ, ამავე დროს, მთელი მისი ტორსი ზეაღმართულია და მიილტვის ზესკნელისკენ. ასეთია სვეტიცხოველი, ეს სიტყვა შეიძლება სიმბოლურ განსაზღვრებად გამოგვადგეს, იმიტომ, რომ ეს არის ცხოველი სვეტი ზეცასა და დედამიწას შორის რომ უნდა ჩადგეს, ეს არის ხიდი, რომელიც აერთებს ამ ორ სამყაროს,

როგორც დავით აღმაშენებელს აქვს ნათქვამი, შემკვრელი ამ ორი რეალობისა, ამ ორი სინამდვილისა. ეს არის ქართული სახვითი ხელოვნების თავისებურება, მე მეტის თქმის უფლებას არ მივცემ ჩემს თავს, ყოველივე ეს თვალითაც მოიხილება და იგრძნობა, განსაკუთრებით, როცა მას ვადარებთ სხვა ძეგლებს. მე ამით არავის არ ვაკნინებ, არავის არც ვაქებ. ეს არის თავისებურება, სპეციფიკური, რაღაცნაირი ნაირსახეობა. ასევე, როცა ჩვენ პრომეთეოსზე ვსაუბრობთ, ამით არავის არაფერს ვართმევთ. პრომეთეოსი საერთოდ კაცობრიობის, პროგრესის, სინათლის, კულტურის სიმბოლოდ იქცა. უბრალოდ, სასიხარულოა ის, რომ ჩვენს ხელოვნებაში, ჩვენს სულიერ ცხოვრებაში სწორედ ეს სიმი აჟღერდა ასე ძლიერად, სწორედ ამან იმძლავრა. გარდა ამისა, ჩვენი ამირანი უსათუოდ ენათესავება სამყაროს პრომეთეულ გაგებას. პრომეთეულ საწყისს კულტურაში, რაც, დღეისათვის ყოველგვარი უგონოს, ღრმად მთვლემარე, უსახურის, გარდაქმნის და გაადამიანურების სინონიმად იქცა, გაადამიანურება ერთ-ერთი წამყვანი ტენდენციაა საერთოდ რენესანსული აღორძინების ხანის ხელოვნებისა, მე დასავლეთს ვგულისხმობ. რაოდენ სასიხარულო და ნიშანდობლივია, რომ ეს სულისკვეთება ასე დამახასიათებელია ქართული ხელოვნებისთვის არა მხოლოდ ოქროს ხანაში, ანუ ქართული ნამდვილი რენესანსის ხანაში, არამედ ადრეულ საუკუნეებშიაც, იმ დროს, როდესაც, თუ შეიძლება ასე ითქვას, სასულიერო კულტურა სრული ჰეგემონი იყო. მე მხედველობაში მაქვს ისეთი ნაწარმოებები, როგორიცაა „შუშანიკის წამება“, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ და სხვ.

ალბათ ბევრს გაუგონია ასეთი სიტყვები,ვიდრე ამქვეყნად ერთი ქართველი მაინც დარჩება, საქართველო იარსებებს. შეიძლება ამ აზრის სხვანაირად შემოტრიალება — საქართველო იარსებებს მანამ, ვიდრე ერთი ქართველი მაინც შეინარჩუნებს თავის ქართველობას, საქართველოს ნამდვილი სიყვარული, ქართველური პატრიოტიზმი უნდა ეფუძნებოდეს არა ჯოგურ გრძნობას, არამედ იმის შეგნებას, რომ ქართულმა სულმა შესძლო მოეპოვებინა მაღალი მწვერვალები, მიეღწია ისეთი დონისთვის, რომელიც დღეს ჩვენ მეტს გვავალებს. ქართველმა ხალხმა ხანგრძლივი ბრძოლის შედეგად გადაარჩინა არა მხოლოდ საკუთარი სხეული, მან ამ ბრძოლითვე შეინარჩუნა და დღემდე მოიტანა თავისი შინაგანი სახე, თავისი სულიერი რაობა. ქართული ბუნება, როგორც მთის ერთი ღვართქაფიანი მდინარე, მუდამ, სადაც კი გასაქანი მისცემია, მედგრად, თავბრუდამხვევი სისწრაფითა და შემართებით მიაპობდა თავის ქარაფოვან კალაპოტს, თუ ერთ მოსახვევში სუნთქვა ელეოდა, მეორეში საოცარი კამარით გადაევლებოდა უფსკრულის პირს. ვახუშტი ბატონიშვილი, საქართველოს ზნეთა და ჩვეულებათა პირველი სისტემატიზატორი, ხაზგასმით აღნიშნავს რამდენიმე წინააღმდეგობას ერთი ეროვნული ხასიათის შიგნით; მისი სიტყვით, ძველმა ქართველებმა „ერთნაირად უწყოდნენ ურთიერთთან მტერობა და მოყურობა, ლხინთა ლხინობა და ჭირთა ჭირობა“. ჩვენი ეროვნული ხასიათის ორი პოლუსია მინდია და მურმანი, ცოტნე დადიანი და ზურაბ არაგვის ერისთავი. ქართული ხასიათის ორბუნებოვანება ერთ საფრთხეს შეიცავს მისი ინტერპრეტატორისთვის. თუ ამ მთლიანობის, ამ წინააღმდეგური მთლიანობის მხოლოდ ერთ მხარეს შეამჩნევ და მხოლოდ მას დაეყრდნობი, ან სრული იდეალიზაციისაკენ გიბიძგებს, ან პირიქით, გაიძულებს ასევე მთლიანად დაგმო ეს ხასიათი, ერთთ საქართველო ამქვეყნიურ სამოთხედ წარმოუდგენიათ, მეორენი რაღაც ულვთოს ხედავენ ჩვენში, ვინაიდან მათ არ უნდათ შეამჩნიონ, ან არ შეუძლიათ შეამჩნიონ, ამ ხასიათის შინაგანი დრამატიზმი, მისი დიალექტურობა, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით.

ქართული ხასიათის ღირსებები და ხარვეზები ზოგჯერ ერთმანეთთან არის გადახლართული, და, უფრო მეტიც, ხშირად ისინი ერთმანეთს განაპირობებენ. მე ერთ სისუსტეზე მოგახსენებთ, რომელიც თავისი საფუძვლით ძალიან რთულია, ქართველი კაცისთვის დამახასიათებელია უკმარობა, უკმარისობის გრძნობა, რეალურ მდგომარეობასთან შეურიგებლობა და გამარჯვების, მასზე ზეიმის, მისი დაძლევის წყურვილი, რაც ხშირად მცირე, არაარსებითი წარმატებით უზომო აღფრთოვანებაში ან ფსევდოგამარჯვებულის პოზაში ვლინდება. ორივე ეს თვისება გარეშე თვალს ამხიარულებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვლადიმერ ოგნევი

# ცრუმაკაბელთა საგა

ოთარ ჭილაძის მეორე რომანმაც, ისევე, როგორც პირველმა, დიდი ინტერესი გამოიწვია. თუმცა, ხელოვნების ნებისმიერი უჩვეულო მოვლენისა არ იყოს, ეს რომანიც — „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან..." — იმდენად მრავალი მნიშვნელობის შემცველი და იმდენად მრავალწახნაგიანია, შეუძლებელია სერიოზული კრიტიკის გასაგები დუმილი იმ თვალსაზრისითაც არ აიხსნას, რომანში ყველაფერი ერთბაშად რომ არ ექვემდებარება ყველასათვის უკვე ნაცნობი და ჩვეული კრიტიკული აქსიომების ჩარჩოში მოქცეულ ანალიზს. რომანი ჯერ მხოლოდ იწყობოდა ჟურნალ „დროება ნაროდოვში", როცა მითქმა-მოთქმა, ტექსტთან უშუალო ნაცნობობას რომ უსწრებდა წინ, უკვე აგზავნიდა მკითხველს... გარსია მარკესთან. რა თქმა უნდა, სწორედ მასთან! დღეს ხომ რომანის ჟანრში წარმოუდგენელია რაიმე თამამი და ორიგინალური მოვლენა გარკვეული იარლიყის გარეშე: „გაკეთებულია სამხრეთ ამერიკაში"... „ისე, როგორც მარკესთან".. და ა. შ. თუმცა, ამჯერად, ფოლკნერიც იქნა ნახსენები.

არა მგონია, ამ პარალელებს რაიმესათვის მაინც მოეფინოს ნათელი, რადგან ოთარ ჭილაძის ტალანტი უაღრესად თვითმყოფადია. თანაც, რომელ მარკესზე შეიძლება ლაპარაკი, როცა ჭილაძის სამყარო პირქუშია და მკაცრი, როცა გმირების არსებაში თუ მათ ირგვლივ გამეფებული ღამე, კიდევ უფრო ამუქებს სულის დაძაბულ მისტერიას და თვით ქართული მზეც კი ბიბლიურად მრისხანეა და ადამიანის უზენაეს მსაჯულსა ჰგავს, მსხვერპლის თავზე აღმართულ ცეცხლოვან მახვილს. მარკესი წარმოუდგენელია ნიღბების კარნავალის, ცოცხალ ფერთა სიმშვიდის, იმ ვეებერთელა წარმართული ფრესკის გარეშე, რომელზედაც, მთელი სიგრძე-სიგანით, თავაწყვეტილი ზეიმობს გაუმაძღარი სიცოცხლე! ხოლო თუ ისტატური თამაშის, სამყაროს „მოდელის" დასრულებული სახისა და პერსონაჟთა ფარსული გამძაფრების ელემენტთა მსგავსებაზე ვილაპარაკებთ, უნდა ვაღიაროთ, რომ ჭილაძესთან ისინიც საკუთარია, განსაკუთრებული. რომანში ვნებათა ფოლკნერულ დაძაბულობასა და ტრაგიკულობასაც ხედავენ, „საოჯახო" ქრონიკის ეპიურ გაქანებას. დიახ, ეს ალბათ მართლაც ასეა. მაგრამ თუ მაინცდამაინც ანალოგიებზე მიდგა საქმე, პირადად ჩემთვის არაფერია ისე ახლოს ჭილაძის რომანთან, როგორც დოსტოევსკი.

მინდა, ახლავე განვმარტო ჩემი თვალსაზრისი. ნე აზრადაც არა მაქვს რაიმე პირდაპირი გავლენის ძიება. უბრალოდ, პათოსის ნათესაობას ვგულისხმობ, ზოგადსაკაცობრიო მცნებებისა და მისწრაფებების ურთიერთგადამკვეთ მოტივებს...

სამყაროსა და ადამიანის მასშტაბურ ხედვაზე რომ მიდგება ხოლმე საქმე, ჩვენ, რატომღაც, იძულებულნი ვხდებით, უცხო სამოსსა და უცხო ნიღბებს მივმართოთ, სულერთია, გინდაც ისეთ თვალისმომჭრელს, როგორიც მარკესისა თუ ფოლკნერის ნიღაბია; ეს მეტად სევდისმომგვრელი ფაქტია და თან, ცოტა არ იყოს, სამარცხვინოც, რადგან ამაში, ჩვენი ფარული სულმოკლეობა მჟღავნდება. ჩვენი ლიტერატურისთვისაც და ჩვენი კრიტიკისთვისაც ჯერაც უცხოა ის სითამამე, ადამიანზე და ამქვეყნად მის დანიშნულებაზე ფიქრის ახალი ჰორიზონტების აღმოჩენას რომ სჭირდება. ჩვენ ჯერ ისევ გაუბედავად ვებღაუჭებით სოციალურ თუ „ისტორიულ" კონკრეტულობას, დღევანდელობას, თუმცა, ზოგადსაკაცობრიოს თამამი კონცეფცია ერთსაც გულისხმობს, მეორესაც და მესამესაც. ყოფით განპირობებული, ვიწროდ, ჩვეულებრივად გაგებული სულიერი ცხოვრების ჩარჩოებიდან თავის დაღწევა ჰაერივით აუცილებელია ლიტერატუ

* ქვეყნდება პირველად.

რისათვის. სწორედ ამიტომ უსწრებს წინ ჩვენს შეგნებაში კულტურის ამ მიმართულებით სტიქიური განვითარება კრიტიკის დასკვნებს და ინსტინქტურად აიძულებს კიდეც კრიტიკას უცხო მისამართები მოუძებნოს საკუთარ აღმოჩენებსაც კი.

დოსტოევსკის შემდეგ რუსი ლიტერატორისათვის უზერხულია ფოლკნერით „გაოცება“, ხოლო გოგოლის, თუნდაც, ტინიანოვის ანდა ბულგაკოვის შემდეგ — მარკესით. ქართველ ლიტერატორს, ვის ზურგსუკანაც წერილობითი კულტურის საუკუნეები დგას, არაერთი წყარო გააჩნია უნივერსალური მნიშვნელობის ფორმებისა თუ იდეების მოსაპოვებლად. განა მარტო რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსანი“ არ შეიცავს კაცობრიობის ყველაზე უფრო მარადიული და მშვენიერი მისწრაფებების მარცვალს? განა იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამებაში“ ახწლეულებით ადრე არ იდო ერთგულების, მოვალეობის, მონანიებისა და სიყვარულის მარადიული თემების ორიგინალური უალრესად ქართული გაგება, რაც, თავისი ფესვებით, ეტყობა, იმ დროს ქართულად ახლადთარგმნილი „სახარებით“ იკვებებოდა?.. თანაც, როგორი პოეტური, თვითმყოფადი ძალისხმევა იგრძნობა ტრაგედიისა! რა თამამადაა გადაწყვეტილი „ჯალათისა“ და „მსხვერპლის“ საკითხი! ხად მოვლენ მასთან კამიუ და სარტრი! მაგრამ, ჩვენ გულმავიწყნი ვართ და ხელთაც, უფრო იოლად, მოდური მაგალითები გვივარდება, მაგალითები, დროის თვალსაზრისით უფრო ახლოს რომ არიან ჩვენთან.

სხვათა შორის, ამ პრობლემასთან უშუალო კავშირშია ოთარ ჭილაძის რომანიც. მაგრამ, უკვე არა იმ ვიწრო ლიტერატურული გაგებით, ადრე რომ ვლაპარაკობდი, არამედ უფრო ფართო და არსებითით: აქ საქმე გვარის მახსოვრობას ეხება. თანაც, გვარი მხოლოდ გენეტიკური მნიშვნელობით არ იგულისხმება, და არც მარტო ეროვნულით.

ჩვენ საკუთარ თავში უნდა აღმოვაჩინოთ კაცობრიობის მახსოვრობა.

უკვე სათაურიდანვე მოკიდებული, ოთარ ჭილაძის რომანიც სწორედ ამაზეა დაწერილი. კაენმა მოკლა აბელი, ძმა თვისი, და ღმერთს უთხრა, ამქვეყნად ცხოვრება აღარ შემიძლია, რადგან „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან მომკლას მე“. ღმერთი კი პასუხობს შენს ცოდვას სხვა იტვირთებს და ახლა იმისი სისხლი დაიღვრებაო.

ოთარ ჭილაძის რომანში არ არის მხოლოდ ერთი ცოდვილი. მართალია, ბოროტების გორიგალი ქაიხოსროს ირგვლივ იგრაგნება, მართალია, სწორედ მას პასუხობს ზოსიმე მღვდელი სათაურშივე გამოტანილი ბიბლიური სიტყვებით, მართალია, სხვისი სისხლიც იღვრება მისი ცოდვის გამო, მაგრამ მაინც მარტო ამ ერთ ადამიანში (ვინც გვახსენებს კიდეც კაენის ცოდვას). მარტო ქაიხოსროში როდი დაგროვილა სამყაროს ნაღველი, ადამიანთა ბოროტების შედეგად, მთელ ქვეყანას რომ მოსდებია....

ქაიხოსროს კიდევ ერთი დანაშაული მიუძღვის ადამიანთა წინაშე — მან სხვისი სახელი მიითვისა. თავფეხიანად ისე გაითქვიფა მაკაბელთა უცხო გვარში, მაკაბელი არასოდეს ყოფილა. ეს ტრაგიკული დანაშაულია, რომელიც ბერძნულ მითებს მოგვაგონებს. მაგრამ ამ დანაშაულს ბოროტების მთელი ჯაჭვი მოჰყვა, თავის რკინის მარწუხებში რომ მოაქცია რომანის სხვა გმირებიც. |მაკაბელთა სახლის ამ გამომპალ ნანგრევებში თურმე სიკვდილი დაბუდებულიყო — სარეველა ბალახის, მტვრის, გველისა თუ იმ გოგოს საფლავის სახით, მამიდად რომ ერგებოდა ქაიხოსროს, თუმცა ქაიხოსრო მისი ძმისწული არა ყოფილა, და ქაიხოსროს შთამომავლობას, სხვისი გვარის წყევლა დააწვა მხრებზე.

მათი დანაშაული კიდევ უფრო ტრაგიკულია, რადგან გვარის მომდევნო თაობებს ცრუწინაპრის ცოდვა უწევთ და მონანიების ტვირთის ზიდვაც უხდებათ. ო. ჭილაძე ისევ და ისევ გვისვამს მარადიულ კითხვას — ვალდებულია თუ არა კაცი, სხვისი ცოდვები გამოისყიდოს და ხად უდევს ზღვარი მოყვასისადმი სიყვარულსო?

ეს მხოლოდ ერთ-ერთი კითხვაა, ერთ-ერთი იმ მრავალთაგან, ო. ჭილაძის რომანის გმირთა წინაშე რომ წამოიჭრება. მაგრამ აქედან რომ დავიწყოთ, იქნებ უფრო გაგვიადვილდეს ცრუმაკაბელთა შესახებ შექმნილი ამ საგის რთული, დახლართული ინტრიგის ძაფის გახსნა. მე ზნეობრივ-ფილოსოფიური პრობლემატიკის ერთიანობითა და სიუჟეტური ხასიათის დამთხვევებით ვიხელმძღვანელებ და შევეცდები, გარკვეული პარალელები გავავლო ჭილაძის ამ რომანსა და დოსტოევსკის „ძმებ კარამაზოვებს“ შორის.

მართლაც, ორი რომანის მსგავსებს უკვე პირველივე შეხედვისთანავე იგრძნობ. თევდორე პავლეს ძეც დოსტოევსკისთან და მოხუცი ქაიხოსროც ჭილაძესთან, ნათესაური ბუნების იმ მოვლენათა ტრაგიკული გადახლართვის ცენტრს წარმოადგენენ, მათივე უნებლიე „რეკისურით“ რომ თამაშდებიან. ორივესა ჰყავთ ვაჟები სხვადასხვა ცოლებისაგან, ჰყავთ ნაბუშარებიცა და „მოძულებული“ შვილებიც (გიორგა — ჭილაძესთან, სმერდიაკოვი — დოსტოევსკისთან), ერთს მეამბოხე შვილიშვილი ალექსანდრე უმხედრდება, მეორეს — ვაჟი დიმიტრი, რომლებიც, ასე თუ ისე, აშკარად თუ ფარულად, გვარის მამამთავრის სიცოცხლის ხელყოფაზე ოცნებობენ. თათრის შიში აიძულებს ქაიხოსროს თავის ოთახში გამოიკეტოს და ბოლოს იქ ამოხდეს კიდეც სული, ღამღამობით თევდორე პავლეს

ძე კარამაზოვიც თავის ოთახ-სიმაგრეში იკეტებოდა. მოხუცი კარამაზოვისთვისაც და ქაიხოსროსთვისაც „განსაკუთრებულად“ უნდა დაეკაკუნებინათ, რათა იმათ კარის გაღება გაებედათ — ერთს, მხოლოდ სმერდიაკოვისათვის, მეორეს — მხოლოდ ალათიასათვის. ალათიამ რომ თავი ჩამოიხრჩო, ოთახში ჩამოჭრილი ქაიხოსრო ალარავის გახსენებია და მისი გვამიც, ყროლის სუნმა აპოვნინა მეზობლებს. მოკლული იპოვეს მოხუცი კარამაზოვიც, მას შემდეგ, რაც დიმიტრი კარამაზოვმა მამამისის ერთგული მსახური გრიგორი მოკლა. დოსტოევსკის რომანშიც თავისებურად აისახება ჯიუტი ლეიტმოტივი სიკვდილის „სუნისა“, რომელსაც მტანჯველად გრძნობს ქაიხოსროს შვილიშვილი ანეტა და რომელიც აიძულებს კიდევაც მას, უკანმოუხედავად გაიქცეს შინიდან. ალბათ გახსოვთ გრუშენკასთან მიმავალი ალიოშა კარამაზოვის პატარა „ამბოხის“ მიზეზი — თურმე, „წმინდა“ ზოსიმასთვისაც არ ყოფილა უცხო ყველა მოკვდავისათვის საერთო „სუნი ხრწნისა“... ქართველი მწერალი სულ სხვანაირად, თავისებურად ხატავს ზოსიმე მღვდლის სახეს; ის, თითქოს ქაიხოსროს სინდისის სარკეა და სრულიად განსხვავებულ როლს თამაშობს ო. ჭილაძის რომანში, ვიდრე ბერი ზოსიმა — დოსტოევსკისთან („ძმებ კარამაზოვებში“ ზოსიმე მღვდელის მსგავს მაძიებლურ პოზიციას, ინტრიგის ზამბარის ამოქმედებას რომ უწყობს ხელს, სმერდიაკოვი იკავებს. გახსოვთ? „სმერდიაკოვი სულ რაღაცას იძიებდა, შეფარულ, ეტყობა წინასწარ მოფიქრებულ კითხვებს სვამდა, ოღონდ რისთვის და რა მიზნით — არავინ უწყოდა. ხოლო როცა მისივე გამოკითხვები უკიდურესად დაიძაბებოდა ხოლმე, ჩვეულებრივ ჩუმდებოდა. ანდა სულ სხვაზე გადაჰქონდა სიტყვა“). ივანე კარამაზოვისა და სმერდიაკოვის დაძაბული დუელი ო. ჭილაძის რომანის დიდ ნაწილს, ქაიხოსროსა და ზოსიმე მღვდელის თითქმის ყველა საუბარს გასდევს ფარულ ქვეტექსტად. „ღმერთის მოგზავნილი იყო ეს გველაძუა მღვდელიო“ — ფიქრობდა ქაიხოსრო, რათა ჩუმად გამოეცადა, ენახა, რამე ხომ არ წამოსცდებოდა ცრუმაკაბელს, უნებლიედ ხომ არ გასცემდა თავს... მღვდელი, ეს მაძიებელი სული, თითქოს „დიდ საიდუმლოს უნახავდა“ ქაიხოსროს, თანდათანობით დანაშაულის გრძნობასაც ულვივებდა და ერთდროულად, ვითომ, იმის ცოდვასაც მალავდა. თავისი მნიშვნელობით ცენტრალურ სცენაში, მღვდელთან ერთ-ერთი საუბრის დროს, გაწამებული ცრუმაკაბელი გამოტყდება, ღამღამობით კოშმარული ჩვენებები მოსვენებას არ მაძლევენო — სახლის ბზარებში, თითქოს მთელი ქალაქი შემოეტევა ხოლმე და ყველას ქაიხოსროს მოკვლა სწყურია. „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან, მომკლას მე...“ იწყებს მღვდელი ცნობილ ციტატას. ქაიხოსრო შეცბუნებულია, თუმცა ჯერ მაინც კამათობს: მას ხომ არავინ მოუკლავს! „გინდა მოგეკლას და გინდა მოკვლა გდომებიაო“, პასუხობს ზოსიმე მღვდელი. ეს კი, უკვე მიტია კარამაზოვის ამოძახილია — „ვთანხმდები ტანჯვას არა იმიტომ, რომ მოვკალი, არამედ იმიტომ, მოკვლა რომ მინდოდაო“ — ყვირის მიტია, როცა ციხეში მიჰყავთ. ეს მართლაც ერთი და იგივეა, თუკი საქმე ცხოვრების აზრის პრობლემას შეეხება და არა ერთი კაცის მიერ მეორის მოკვლის კერძო შემთხვევას. მოდით, ახლა ის წინასწარმეტყველური სიზმარიც გავიხსენოთ, ზუსტად განაჩენის წინ რომ ესიზმრება მიტია კარამაზოვს: „ბავშვი ტირის — ნეტავი რატომ?“ „მოიცა... მოიცა... შენ ეს მითხარი: რად დგანან დედები პირგამეხებულნი, რად არ ადევს ხალხს სახეზე ფერი, რადაა ბავშვი ღატაკი, რადაა შიშველი სტეპი...“ ყველა ეს კითხვა, სიზმარში მეეტლისადმია მიმართული, მეეტლე კი, ჯიუტად დუმს. „ის კი, შინაგანად გრძნობს, თავისი კითხვების უაზრობასაცა და უნაყოფობას, მაგრამ არ შეუძლია, სწორედ ეს არ ჰკითხოს და თან ისიც იცის, სწორედ ასე რომ უნდა ჰკითხოს კიდეც. იმასაცა გრძნობს, სულში რაღაც ჯერაც უცნობი ნათელი რომ ელვარება, თვალზე ცრემლი ადგება, სურს ყველას რამე ისეთი გაუკეთოს, რომ აღარც ბავშვმა იტიროს, აღარც ბავშვის ჩამომხმარმა დედამ, საერთოდ აღარც იყოს ამქვეყნად ცრემლი და ყველაფერი ეს, ახლავე მოხდეს. დაუყოვნებლივ, მიუხედავად ყველაფრისა...“

ლერმონტოვის პეჩორინი ერთგან ამბობს, ვნებები — ჯერ განუვითარებელი იდეებიაო. მიტიას ვნება, მისი ამბოხებული სული, ადამიანის, უპირველეს ყოვლისა კი საკუთარი არასრულყოფილების შეგნებით იტანჯება, და ის ფაქტი, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ არასრულყოფილებას რომ ამჩნევს, უკვე „განვითარებაა“ საერთოდ ადამიანის, სიმართლისა და სიცრუის, სიკეთისა და ბოროტების იდეისა. ასე ეხილება თვალი ო. ჭილაძის რომანში ქაიხოსროს ერთ-ერთ შვილიშვილს, ხეიბარ ალექსანდრესაც, ვინც ტრაგიკულად და მტანჯველად გრძნობს ამ არასრულყოფილი სამყაროს ფესვებს. ალექსანდრე მუდამ — შინიდან გაქცევამდეც და მერე, გზაშიც — გაუმართლებელი საქციელისა და უკიდურესობების ბეწვის ხიდზე დგას. მაგრამ, ავტორმა სწორედ მას განუმზადა იმედი სიცოცხლისათვის გადარჩენილი პატარა არსების, ციმბირში, გადასახლებაში დაღუპული ძმის ქალიშვილის სახით. პატარა მართას გადარჩენა, ალექსანდრესათვის საკუთარი თავის გადარჩენას უდრის.

მაშ, სად ძევს, ბოლოს და ბოლოს, მოყვასისადმი სიყვარულის ზღვარი? საიდან იწყება თავგანწირვა? ბუნებრივია ეს თვისება ადამიანისათვის, თუ თავგანწირვა ძალადობაა პუ-

ნებაზე, სამყაროში გონების მიერ დანერგილი იდეის საკეთილდღეოდ? ერთგან, ქაიხოსრო თავის პესიმისტურ აზრს გამოსთქვამს ათი მცნების შესახებ. ქაიხოსროსათვის. ეს მცნებები, არსებითად „სხვა არაფერია, თუ არა ათი ძირითადი ადამიანური თვისების აღმოჩენა, ხოლო ადამიანობა — ამ ათი, ერთმანეთზე ძლიერი და ერთმანეთზე ძნელად მოსარევი თვისების დათრგუნვისა თუ მიჩქმალვის ცდა". საკუთარი თავისავე გამანადგურებელი სამყაროს ამგვარ აღქმას უახლოვდება ალიოშა კარამაზოვის მიერ ბერი ზოსიმას კარნახით ჩაწერილი ერთი აზრი: „...და მოითხოვენ, რათა არ იყოს ღმერთი ცხოვრებისა, რათა გაანადგუროს ღმერთმა თავი თვისი და ყოველივე შექმნილი მისგან." „ძმების" თემა (კარამაზოვები იქნებიან ისინი, თუ ცრუმაკაბელები), ავტორთა ჩანაფიქრით, საერთოდ ადამიანთა მოდგმის თემაა; ო. ჭილაძე შემთხვევით როდი მოიხსენიებს თავისი გმირის ერთ-ერთ აღსარებაში იმ „ორმოცი ათას ძმას", რომელთა შესახებ ჰამლეტიც ლაპარაკობს: „ადამიანი ყოველთვის კლავდა ანდა ეკვლევინებო და საკუთარ ძმას, რადგან სწორედ ძმის, მისი მსგავსის, მისი ჩანონაჭერის არსებობა აღიზიანებდა ყველაზე მეტად..." და შემდეგ. „ეს ღმერთისაგან თავსმოხვეული წყევლა იყო და ერთადერთი გამოსავალი არსებობდა ამ წყევლისგან გასანთავისუფლებლად: ყველაფერზე თვალის დახუჭვა, ყველაფერზე უარის თქმა..." მაგრამ ესო, აგრძელებს ქაიხოსრო — „საკუთარი არსებობის უარყოფამდეც მიიყვანდა კაცს, ძმის მკვლელობიდან — თვითმკვლელობამდე, რაც სრულებითაც არ არის საერთო ადამიანური თვისება და ღალატად, უმადურობად და უსვინდისობადაც ითვლება..." იმიტომო, ამბობს ქაიხოსრო, მწარე სარკაზმით, რომ „თვითმკვლელმა შენს ორმოციათას ძმას არა მარტო ერთნაირობის რწმენა დაურღვიე, არამედ შენი მოკვლის შესაძლებლობაც წაართვიო". სულის ამგვარი აწეწილობა. ივანე კარამაზოვის გაუნელებელი პროტესტის გრძნობას ენათესავება იმ იდეის წინააღმდეგ, რომელიც, მისი აზრით, უნივერსალური ხასიათისაა: სიყვარულის უნარს სწორედ ახლობლები არიან მოკლებულნი! „...ყოველთვის მიჭირდა იმის გაგება, როგორ შეიძლება შენივე ახლობელი გიყვარდეს კაცს. მე მგონი, სწორედ ახლობლების სიყვარულია შეუძლებელი და თუკი საერთოდ გვეყვარება ვინმე, მხოლოდ შორებელი თუ გვეყვარებაო" — ამბობს ივანე კარამაზოვი. მაგრამ ეს მწარე სიტყვები ხომ სწორედ სიყვარულის სურვილით, ახლობლის, საკუთარი ძმის სიყვარულის მოთხოვნილებითაა ნაკარნახევი?! ალექსანდრეც ისწრაფვის ნიკოსაკენ და თან საკუთარ თავსაც ეკამათება, სიძულვილის იდეასაც. და ბოლოს, მაინც მიდის ძმასთან ციმბირში, ოღონდ, უკვე ნიკოს სიკვდილის შემდეგ. ძმის, მეორე ადამიანის სიყვარული განუყოფელია თავგანწირვის, პატიების, გაგების უნარისაგან. ალიოშა კარამაზოვის ჩანაწერებში ბერი ზოსიმას „ცხოვრებიდან", არის ერთი ადგილი იმის შესახებ, „თუ როგორ გაჰყიდეს მონად ძმებმა საკუთარი ძმა თვისი" იოსები, მამას კი უთხრეს, შენი ვაჟი ნადირმა დაგლიჯაო და მისი გასისხლიანებული სამოსიც უჩვენეს. ხოლო მერე, როცა იოსები დიდი ვეზირი გახდა მეფის კარზე, ისევ შეხვდა თავის ძმებს, „შეიყვარა" ისინი და უთხრა: „ძმებო, მე ვარ იოსებ, ღვიძლი ძმა თქვენიო."

ო. ჭილაძის რომანში ცრუმაკაბელთა პირქუშ სახლს, თვითონ სახლშივე უპირისპირდებიან სიკეთის ნათელი ძალები, უპირველეს ყოვლისა, ტანჯული ანას სახით, ქვრივისა, რომელიც თათრის ხელყოფისაგან დაიცვა „მაიორმა" ქაიხოსრომ, ცოლად შეირთო და რომელთან ერთადაც, სათავე დაუდო ცრუმაკაბელთა გვარს. სიკეთე რომანში დაუცველია. მას ტანჯულის ფუნქცია აკისრია. სიკეთე თავისსავე მსგავსთ შობს — ბოროტების ნების სუსტს და მორჩილ აღმსრულებლებს. მაგრამ, ამავე დროს, სიკეთე იმდენ სინათლეს ასხივებს ირგვლივ, რომ მისი თბილი სიცოცხლის პატარა სხივში ახალი სიცოცხლე ისახება, სიკეთის ესტაფეტას აგრძელებს და შეუმჩნევლად აღხობს სიმარტოვის ყინულს. ანასკენ ისწრაფვის ანეტა, მისი შვილიშვილი; სიკვდილამდე, იმ წუთამდე, ვიდრე სკამს გაჰკრავს ფეხს და ყულფში თავგაყოფილი, ხეზე ჩამოეკიდება — უსიტყვოდ ემსახურება სხვებს ალათია. პირქუშ სახლში, რომლის მაღალი ქვის გალავნისა და რკინის ალაყაფის მიღმაც საიდუმლოებით მოცული წყევლისა და მახლობელ ადამიანთა გაუცხოების კოშმარი გამეფებულა, უცბად დათბება ხოლმე, როცა ეზოში ექიმი ჯანდიერის ეტლი გადმოუხვევს, ექიმი ჯანდიერისა, სხეულს კი არა, იმათ სულს რომ ჰკურნავს, ვისაც სული ჯერ კიდევ შერჩენია... პეპელასავით აფარფატდა ანეტა გზის ინჟინერის, შემთხვევითი სტუმრის შესახვედრად, ერთიანად გაცისკროვნდა, როგორც ოდესღაც ანა, როცა ექიმი ჯანდიერის თეფში და ჭიქა შეინახა ცალკე, აღარავის რომ აღარ ეხმარა ეს თეფში და ეს ჭიქა, როცა დასორსოლავებული პურის გულისგან ექიმის გამოძერწილი თოჯინა შეჭამა... ანა სიკვდილითაც ზამთარში კვდება, როცა არემარე ქათქათა, თეთრი თოვლითაა დაფარული. მის დაკრძალვაზე ირემი მოდის, რომელსაც „დატოტვილ რქებზე ზამთრის სუსტი მზე სანთლებივით ანთებოდა". ირემი „გიორგას სულია, გაანათლოს უფალმა" — ასე ფიქრობს ზოსიმე მღვდელი. გიორგაც ტანჯულია, ანას ვაჟი პირველი ქმრისგან. ქაიხოსროს მიერ მოტყუებული და მსხვერპლად

შეწირული თათრის სისხლიან შურისძიებას: „რკინის ალაყაფთან თავაწეული ირემი იდგა და ზმუოდა“.

სიკეთეს დამცველები არა ჰყავს, ანდა, თუ ჰყავს, ისინიც სუსტები არიან. „...ქურდულად, ფაცაფუცით... იმარხებოდა მარადიული „უნიფხო გოგო“, მარადიული მხევალი და მარადიული გადია, რომელსაც საკუთარი არაფერი ჰქონდა, ღმერთ-ქალის შესაშური სიყვარულისა და სიკეთის გარდა.“ ავტორის ხმა, აქ უჩვეულოდ პათეტიურია. „სუფთა, გაუზავებელი სიყვარულისა და სიკეთის რძე ედგა მარად ქალწულ ძუძუებში,“ ღვთაებრივად მსუყე, ღვთაებრივად ბარაქიანი და, ამიტომაც, დამღუპველი უბრალო მოკვდავთათვის, როგორიც თვითონ იყო და როგორებიც მის გამოხუნებულ კალთაში გამოზრდილი ბავშვები იყვნენ, კუტი პურებივით რომ ცვიოდნენ ცხოვრების თონეში, რადგან სიძულვილისა და ბოროტების საფანელი აკლდათ“. ეს — ალათიას შესახებაა ნათქვამი. ახლა კი ვნახოთ, როგორაა აღწერილი ანეტას სულიერი ლტოლვა, როცა ის ბრმად გაეშურა უხეში ძალადობის შესახვედრად, რადგანაც არ უწყოდა სიბინძურის საშიშროება, რადგან მეტი აღარ შეეძლო, უკვე აზრჩობდა დამყაყებული ჰაერი იმ მკვდარი სახლისა, სადაც მხოლოდ თვითონ გრძნობდა ხრწნის სუნს, ჯერ კიდევ იქამდე, ვიდრე თავის ჩახუთულ ოთახში ამოსძვრებოდა სული ყველასაგან დავიწყებულ, ყველასაგან მიტოვებულ, საზარელ ქაიხოსროს: „იმ ღამეს, იმ ოთახში, იმ საწოლში მარტო ცრემლი იყო მხურვალე, ქომაგისა და მამაკაცის ბრმად მაძიებელი, თოვლის სიჩუმითა და სიცივით დაქალებული გოგოს ცრემლი.“

ალექსანდრე სიკეთეს ბოროტების ძორჩილებისათვის კი არ სდებს ბრალს, არამედ ცხოვრების კანონის დარღვევისათვის. „სიმახინჯე სილამაზის ხვალინდელი დღეაო...“ ამბობს ალექსანდრე. ცალხელა ხეიბარი ფატალურად აღიქვამს სამყაროს, სადაც „სიმახინჯე შემთხვევით გაჩენილი, ანდა შემთხვევით გადარჩენილი სიცოცხლეა, ბედისწერაა მისი დედ-მამა და ამიტომაც გარდაუვალიცაა...“ გარდაუვალს კი ან უდრტვინველად ემორჩილებიან, ანდა უჯანყდებიან. მაგრამ, ჯანყს არა აქვს აზრი. უბრალოდ, ბოროტების კანონთა კარნახით ცხოვრების სწავლაა საჭირო. ალექსანდრეს ეჩვენება, რომ მისი არსება გაორებულია: ამქვეყნად ალექსანდრე უკვე ორია — „ის გამოგონილი იყო, ეს კი — ნამდვილია...“ ბოლოს იმ დასკვნამდეც მიდის, ერთი ხელი ყოვლისშემძლე რომაა, თუკი მას ძლიერი, ბოროტი, ეშმაკი გოხება წაოძართავს, თუკი „თავიდანვე მოუხპობს (მკლავს, ვ. ო.), სხვისი დახმარების იმედს.“ ალექსანდრეს ალვზნებულ გონებაში მთელი ქვეყანა ერთ მთლიან ჯრილობად გადაქცეულა. ტანჯვა ქვეყნიერებას წალეკვით ემუქრება და ისიც, როგორც შეუძლია, უძალიანდება. „ამიტომაც უყვარს ხალხს ჯამბაზები, ყველაფერს აბიაბრუებენ; სიკვდილსაც, ბოროტებასაც, სიმახინჯესაც, და ამავე დროს წვრთნიან კიდეც ხალხს სიკვდილთან, ბოროტებასთან და სიმახინჯესთან შესახვედრად...“ ალექსანდრეს მკაცრი სიმართლე სწყურია, სურს ყველამ აღიაროს „მოყვასის სიყვარულის“ მოტივების პირმოთნეობა. „...უნდა თუ არა, ალექსანდრე მათი სისხლი და ხორცია, მათი სახელის მატარებელი, და თუკი სახელი გაუზიარეს, მაშინ თავადაც უნდა გაიზიარონ მისი სიმახინჯე. ეს აბნევთ, ეს აშინებთ, ეს აიძულებთ თვალთმაქცობას, თავის ძალად გაბრიყვებას...“ ძმისადმი სიყვარული? არამც და არამც — შიში მის წინაშე, რადგან ის „გამორჩეულია“. „მათგან განსხვავებული“ აი, ჭეშმარიტი ფასი მოყვასის სიყვარულისა. გამორჩევით კი ალექსანდრე თავად ღმერთისგანაა გამორჩეული. „სხვებზე ადრე რომ ახელოდა ქვეყნის დასანახი თვალი.“ ალექსანდრე მზადაა ბოროტების მოციქულის მისია იტვირთოს, „რამეთუ ღმერთი არის ტკივილი და საკუთარი სიმახინჯის მიხვედრა“. მაგრამ ქვეყნის სიმახინჯე საყოველთაო ხასიათისაა, ამიტომაც, სხვათა მიმართ უსამართლო ბოროტების წინააღმდეგ ამხედრებული, ალექსანდრე ამჩნევს, ხედავს, ბოროტების საწყისი ბაბუაშისი ქაიხოსრო რომაა („პაპაჩემმა მოგვცა დასაბამი“), აღარ სურს, ივანე კარამაზოვის მსგავსად, სამართლიანად ჩათვალოს ბავშვის ტანჯვა (მართას სახე რომანის ფინალში) და ბოლოს, თვალი ეხილება კიდეც, სინათლე ელვრება სულში.. ოდესღაც, შურისძიების წყურვილით შეპყრობილი — როცა ბაბუამისის გვამი მოიტაცა და ვირზე შემჯდარი სოფელ-სოფელ ატარა — ზოსიმე მღვდელს ეუბნებოდა, ღმერთმა ადამიანი ჯოჯოხეთში შექმნაო. ანკი, კაცმა რომ თქვას, სამოთხე ვისთვის უნდა გაეშენებინაო? ახლა კი იცის, ვისთვისაც: მართასთვის, ალექსანდრეს მიერ ამოცნობილი საყოველთაო ჭეშმარიტებისათვის; ახლა მან ისიც კარგად იცის, ძმა იმიტომ რომ წაართვეს, ნამდვილი მტრის სიძულვილი რომ არ გასჩენოდა.

ალექსანდრე, ანუ როგორც ზოსიმე მღვდელი ამბობს, საკუთარი სიმახინჯისა და უძლურების წინააღმდეგ ამხედრებული ადამიანი — სრულიად ახალი, მოულოდნელი ტიპია, იმ ქრისტიანული სისტემიდან გამოსული კოორდინატი, დოსტოევსკის ფილოსოფიას რომ უდევს საფუძვლად.

აი, იაგორა კი სწორედ იმ ჩიხის განსახიერებაა, რომელსაც, ალბათ, ალექსანდრეც მიადგებოდა, უკანმოუხედავად რომ ევლო. ადამიანს, თუკი მისთვის უცხო და მიუწვდომელია ყოველგვარი სილამაზე, სრულყოფილება, სიწმინდე — თავისთავად შეიძლება

გაუჩნდეს სამყაროსადმი ბრმა შურისძიების გრძნობა. იაგორა — ეს ორგზის მოძალადე — ამსხვრევს და თელავს საკუთარ გზაზე ყველაფერ ცოცხალს, რასაც თავდაცვის უნარი არ შესწევს. იაგორას სახის თავისებურებას განაპირობებს შური იმათ მიმართ, ვისაც ყველა ამქვეყნიური სიამე გააჩნია, ყველა ის სიამე, რასაც იაგორა, თავისი სოციალური მდგომარეობის გამო მოკლებულია. თანასწორობისაკენ მახინჯად განვითარებული სწრაფვა — ახალი, თამამი შემობრუნებაა თავისუფლების იდეის მხატვრული განვითარების გზაზე. იაგორას სახის დიალექტიკა გვაიძულებს ახლებურად დავაკვირდეთ ამ მოვლენას. „მთავარი, რამაც ყველაზე ძალიან შეაძრწუნა და დააბნია კიდეც, ის იყო, რომ ამ ხალხს არაფერი არ უნდოდა, თითქოს ბალახივით ამოსულიყო მიწიდან და ბალახივით სულერთი იყო მისთვის, ვინ გადათელავდა, ვინ მოძოვდა თუ მოთიბავდა". ეს, იაგორას ამხანაგებზე, რკინიგზის მუშებზეა ნათქვამი. სრულ სოციალურ აპათიას, მონობას, პიროვნების მტაცებლურ ჟინი და ნებისმიერი საშუალებით იმათთან გათანაბრების დაუოკებელი სურვილი უპირისპირდება, ვისაც ყველაფერი აქვს.

იგივე დოსტოევსკი, ივანე კარამაზოვის მეშვეობით ილაშქრებდა ამგვარი „თავისუფლების ალქმის" წინააღმდეგ, რომელიც ყველანაირი ზნეობრივი ფასეულობისაგან ათავისუფლებს ადამიანს, ასეთ დროს ერთმანეთს ეჯახება შიში, „ავტორიტეტის" წინაშე მოწიწება, ბრმა რწმენის მორჩილება და უსაზღვრო „ყველაფერი ნებადართულია." „იცი თუ არა შენ", — ამბობს დიდი ინკვიზიტორი, — რომ საუკუნეთა შემდეგ, თავისი სიბრძნისა და კანსწავლულების დახმარებით კაცობრიობა განაცხადებს — დანაშაული აღარ არსებობს, ამდენად, აღარც ცოდვაა ამქვეყნად და არიან მხოლოდ და მხოლოდ მშივრებიო."

ივანე კარამაზოვს მიაჩნია, რომ სამყაროსა და კაცობრიობის მთელი მომავალი ისტორია იმ სამი „ცდუნების" ფარგლებში თავსდება, ქრისტეს რომ განუმზადა უდაბნოში „ძლევამოსილმა და ჭკვიანმა სულმა". თავისუფლების ის ალქმა, რომლითაც ქრისტე მოდის ხალხთან, ხალხს არ სჭირდება. ხალხს საოცრება, საიდუმლო და ავტორიტეტი უნდა. ქრისტემ არ მოისურვა უდაბნოს ქვები პურად ექცია — ამიტომ ხალხი თვითონ აღსდგება ქრისტეს წინააღმდეგ პურის სახელით. „არა პურითა ხოლო?" არც მთლად ასეა საქმე!.. ხომ არსებობს კიდევ საიდუმლო, საოცრება, ავტორიტეტი... იქნება აქედანაც მოდის ინსტინქტთა ჯოგურობა, ცოდვაში სოლიდარობა, — იაგორას „ავტორიტეტის" ხელყოფის მოსურნე ათობით მუშის ნიჩბით ჩაიქოლა, ცალ-ცალკე კი ვერცერთი მათგანი ბუზსაც ვერ მოკლავდა, „რადგან იმავე გუმანით იმასაც გრძნობდნენ, მხოლოდ და მხოლოდ. საერთო დანაშაულის ჩადენის უნარი რომ ამართლებდა მათ არსებობას, საერთო დანაშაულის ჩადენის უნარი და მძაფრი, მტკივნეული, სიგიჟემდე მისული ჟინი მონანიებისა". გავიხსენოთ ივანე კარამაზოვის სიტყვები: „მე მესმის ადამიანთა შორის ცოდვის სოლიდარობა, მესმის სოლიდარობა, განკითხვის დროსაცო".

განკითხვა კი მართლაც მოულოდნელად მოდის. ცრუმაკაბელთა გაპარტახებული სახლი საძირკველშივე ლპება, ილუპება მტყუანიცა მართალიც. ჭკუიდან იშლება ანა, ხეიბრად რჩება ალექსანდრე, თავს იხრჩობს ალათია, გადასახლებული შვილის დარდს გადაჰყვება ქაიხოსროს რძალი ბაბუცა, თვითონ ოჯახის უფროსს შიგნიდან ჩარაზულ ოთახში ამოხდება სული, ქარის მოტეხილი სუსტი ტოტივით რჩება გაუპატიურებული, დამბლადაცემული ანეტა.

მაგრამ ამ სახლმა ბევრი რამის მოწამვლა მოასწრო ირგვლივ: ტყუილად როდი ახრჩობ და ანეტას „მამისეული სახლის დამყაყებული სუნი და ჰაერი, როგორც გარდუვალი, საერთო უბედურების მაუწყებელი ნიშანი..." ანეტა, თითქოს თავისი საყვარელი თოჯინის ცხოვრებით ცხოვრობდა — უცნაური სახელი, ასკლეპიოდოტა რომ ერქვა — და საერთოდ არ შეეხებოდა არაფერი. სინამდვილეში კი, დედამისივით რომანტიული ანეტა ღრუბელივით ისრუტავდა ყველაფერს, „თანდათანობით ივსებოდა ამ კედლებს შორის დატრიალებული სიკვდილით, შიშითა და უნდობლობით..." მაგრამ, აი გატყდა თოჯინა და „წარბის ნაცვლად გაჩენილ ხვრელში" გამოჩნდა რკინის წვრილი ჩხირი, რომელზედაც თოჯინის თვალი იყო მიმაგრებული და ასკლეპიოდოტასაც მაშინათვე დაეკარგა ცოცხალის იერი. ირემი კი, რომელმაც ანეტას „სიცოცხლის ველური, დაუდეგარი და იდუმალი სული შეასუნთქა", ზაქარია ჩაფარმა მოკლა. ალათიამ თავი ჩამოიხრჩო და ანეტას პროტესტის, თხუთმეტი წლის გოგოს პირველი, სუსტი პროტესტის მიუხედავად, გადია „ცოფიანი ძაღლივით" დამარხეს ღამით. ალათიას საფლავში ანეტამ თავისი თოჯინაც ჩააყოლა — იმის ნიშნად, ბავშვობაც რომ დამთავრებულიყო და დასამარებულიყო უკვე; მერე გაიქცა კიდეც შინიდან გზის ინჟინერის საძებნელად, ქომაგის საძებნელად. გაიქცა და იაგორას ჩაუვარდა კლანჭებში...

ცრუმაკაბელთა სახლის სენი თანდათანობით ვრცელდება. „გასკდა ნაღველი, გადმოიღვარა, ახლა აღარაფერი ეშველება, წავა, მოედება ქვეყანასო," — ფიქრობდა ზოსიმე მღვდელი, როცა ქაიხოსრომ შინიდან გაყარა ალექსანდრე და მისი კოჭლი ცოლი მარო. შორეულ სოფელში კი, „მაიორის" დაჭრილი თათარი შურისძიებისთვის იკრებდა ძალას. თათარმა იცოდა, რომ „ჭრილობა უფრო მეტს და უკეთესად

ლაპარაკობს კაცზე, ვიდრე კაცი ჭრილობაზე." ის თავის შვილებსა და შვილიშვილებს ნაზ, სუსტ თითებს აყოფინებდა ნატყვიარებში და ისინიც „ჭრილობის უხეში და უშნო ნაოჭებიდან ცხოვრების ამოკითხვას სწავლობდნენ... როგორც ბრმები — ანბანისას." ქაიხოსროს ბოროტებისა არ იყოს, თათრის შურისძიებაც „მოიდო ქვეყანას". თათარმა გიორგას სისხლი დაღვარა, ბედს შერიგებული, მორჩილი, კეთილი, ქაიხოსროს ცოდვის მტვირთველი გიორგასი, ანას ვაჟისა, იმ ანასი, მთელი სიცოცხლე მალულად რომ უყვარდა თათარს, და ამით შურისძიების უცნაური, იდუმალი ალთქმა აღასრულა. შურისძიებისა იმის გამო, სიყვარული რომ შეუცინეს, სხვისი შვილის სიყვარული, რომელიც საკუთარ შვილებში არ გამოერჩეოდა, ის კი არა, იქნებ შვილებზე მეტადაც კი უყვარდა. კვლავ განმეორდა ქრისტიანობის მისტერია, თუმცა გიორგას მკვლელი მაჰმადიანი იყო. სულით ძმამ მოკლა ძმა, მოკლა არა ის, ვინც მისი მტერი იყო, არამედ ის, ვინც ნებაყოფლობით იკისრა სხვისი ცოდვის გამოსყიდვა...

განა ასეთ განკითხვაზე ოცნებობდა ივანე კარამაზოვი? არა. ის ოცნებობდა არა ძმის მკვლელ ძმაზე, არამედ „მგელზე", რომელიც „ლომის" გვერდით დაწვებოდა, ყელგამოჭრილ კაცზე, რომელიც, მკვდრეთით აღმდგარი, საკუთარ მკვლელს გადაეხვეოდა. განკითხვა — ჰარმონიაა, რომელზედაც კაცობრიობა ოცნებობს და რომელიც, ჯერჯერობით, როგორც ივანე კარამაზოვი ამბობს, „საჩვენო საქმე არ არის", რადგან ძვირი, ძალიან ძვირი ღირს სამართლიანობის მომავალ სასუფეველში „შესვლა!" ნუ ეუბნებიან ადამიანს, რომ ვილაცამ შეიძლება და უნდა იტვირთოს კიდეც სხვისი ცოდვები, ნურც ყოვლის პატიებაზე ელაპარაკებიან! „რას მაძლევს მე იმის ცოდნა, რომ არ არიან დამნაშავენი და რომ მე ეს ვიცი, — მე განკითხვა მჭირდება... და არა სადღაც უსასრულობაში, როდისმე, არამედ აქ, მიწაზევე, თანაც ისე, თვითონ რომ მოვესწრო. მე მწამდა, ამიტომ მინდა ჩემი თვალით ვნახო, კიდეც. ხოლო თუ იმდროისათვის უკვე მკვდარი ვიქნები, მაშინ მკვდრეთითაც აღმადგინონ..." აზრთა და გრძნობათა კორიანტელში გახვეულს, ბოროტების მწარე უარყოფის ტყვეობაში ჩავარდნილს, მაგრამ, ამავე დროს, სამართლიანობის სასუფევლის არსებობაში დაეჭვებულს ვტოვებთ ჩვენ ივანე კარამაზოვს.

მაგრამ, როგორ „განკითხვაზე" ოცნებობს ო. ჭილაძის გმირი? და რომელი გმირი? ამ რომანის თავისებურება ისაა, რომ მასში მნიშვნელოვან როლს გვარის მოტივი თამაშობს — მოტივი, ერთსა და იმავე დროს გენეტიურიცა და დროისმიერიც.

ი. ტრიფონოვი „სხვა ცხოვრებაში" თავისი გმირის, სერგეის შესახებ წერდა: „ადამიანი, ამბობდა ის, ვერასოდეს შეურიგდება სიკვდილს, რადგან მასში იმ ძაფის უსასრულობის შეგრძნება ძევს, რომლის ნაწილს თვითონაც წარმოადგენს. ადამიანს ღმერთი კი არ ანიჭებს უკვდავებას და რელიგია კი არ უნერგავს იდეას, არამედ სწორედ ეს გენებით გადაცემული შეგრძნება უსასრულო რიგისო". სტიქიურად თუ ინტუიტიურად — როგორც გენებით — ჩვენი საუკუნის სამოცდაათიანი წლების მწერალი თავისი იმედად ქცეული გმირის უკვდავებისაკენ ისწრაფვის. განა უბრალო დამთხვევით შეიძლება აიხსნას, რომ ა. რიბაკოვის „მძიმე ქვიშაში" დედა („გვარის" დედა) ჩვეულებრივი ადამიანური სიკვდილით კი არ კვდება — „ამაღლდება" და ტყის ნისლში „დნება", ხოლო ჩ. აიტმატოვის მონადირენი („ზღვის პირას დარბის ამლაკი ძაღლი"), თავს სწირავენ ბიჭის (გვარის გამგრძელებლის) გადასარჩენად და მარადიულ ტალღებად, ვარსკვლავებად, ქარად იქცევიან?... პატარა მართა ო. ჭილაძესთან, გადაშენების უფლებას არ მისცემს გვარს, გვარს, რომელმაც კათარზისი გამოიარა. ის — წინა თაობების ცოდვათაგან განწმენდაა!

და თუმცა ჯერ კიდევ ჰორაციუსმა თქვა: „დროს ახალი ყვავილებიც ვერ დაამარცხებენო", ჩვენი დღეების ლირიკულ-ფილოსოფიური პროზა მაინც ჩაუფიქრდა კაცობრიობის განვითარების უსასრულობას. „ორივე ბოლოს" დანახვის სურვილი იქნებ იმ საფრთხის შედეგიც იყოს, დედამიწის ცივილიზაციას რომ ემუქრება? სადღაც ამოვიკითხე, ნიცშეს თურმე საკმაოდ პირქუში იგავი შეუქმნია — რომელიღაც პლანეტაზე გონიერი ცხოველები ცხოვრების აზრის გარკვევას შესდგომიან, სწორედ ამ პლანეტის დაღუპვის წინ, როცა პლანეტის გამყინვარება დაწყებულა...

ო. ჭილაძის რომანში არც ივანე კარამაზოვისეული „მკვდრეთით აღდგომაა" და არც გვარის განკითხვა, ზოგიერთი დღევანდელი წინასწარმეტყველის გადამრჩენელი ნაციონალური ნიშნის მიხედვით რომ უარყოფს „უცხოს". ჩვენი ხელოვნების განვითარების სპირალის ახალ ხვეულზე უფრო მკაფიოდ ჩანს „ნაციონალური ფესვებისაკენ" უკუსვლითი მოძრაობის შეზღუდულობაცა და ბიწიერებაც. მაშინ, როცა სულისმიერის ჭეშმარიტი ტრადიცია — გვარის სულიერი უკვდავების კლასიკური ტრიადის — სახლის, მახსოვრობისა და შთამომავლობითობის — ახლებურ გააზრებაში მდგომარეობს. როდესაც სიკვდილი მთელ კაცობრიობას ემუქრება, ადამიანებმა, კურდღლებივით, თავთავიანთ სოროებს არ უნდა შეაფარონ თავი და გვარიც, მხოლოდ ნაციონალურ-გენეტიკურად არ უნდა აღიქვან. სახლი — დედამიწაა, მახსოვრობა კი — კაცობრიობის ისტორია.

ჩემი აზრით, ყველა ხელოვანსა აქვს მიმა-

დლებული მახსოვრობის იმგვარი თვისება, რომელზედაც პრუსტი ლაპარაკობს. შოპენჰაუერისთვისო, ამბობს პრუსტი, ციტატები მხოლოდ ის მინიშნებებია, მის საკუთარ აზრს რომ უსწრებენ წინო; მას ციტატებში საკუთარი იდეის რაღაც ნიშნის აღმოჩენა უყვარდაო. დიდი მწერალი, მაშინაც კი, როცა მარტოოდენ „შინაგანად" ახდენს დიად წინამორბედთა ციტირებას, როგორც წესი, მისთვის ახლობელ იდეებსა და სახეებს ეყრდნობა, ამ თვალსაზრისით მთელი საკაცობრიო კულტურა მუდმივი და დაძაბული ციტირებაა ადამიანის გონების ძველი აღმოჩენებისა. ამასთანავე, რაც უფრო დიდია ხელოვანი, გარდასული ტრადიციის მით უფრო მნიშვნელოვან პლასტს აღმოაჩენს ხოლმე. ო. ჭილაძისათვის არ შეიძლება რუსთაველი დოსტოევსკის, ცურტაველი კი — ფოლკნერის გვერდით იდგეს. მთავარი ისაა, ყველანი ერთ რიგში რომ დგანან, მეოცე საუკუნის ადამიანთან ერთად, რომელიც შეუკრთალი გარინდულა ოცდამეერთე საუკუნის მიჯნაზე...

სამყარო ახალ მხსნელზე ოცნებობს. თუმცა წინასწარ იცის, იმასაც... გოლგოთა ელოდება.

გავიხსენოთ ქაიხოსროს ისტორია. პატარა ბიჭი, ხოცვა-ჟლეტის დროს შემთხვევით გადარჩენილი, თბილისის ერთ-ერთი სახლის აივნიდან გადმოგდებული თუ გადმომხტარი, მთელი ცხოვრების მანძილზე თავისი დაკარგული გვარის უსახელო მევალედ დარჩა. სიკვდილის წინ, ქაიხოსრო დედასა და თბილისურ ჩუქურთმიან აივანს ხედავს. „იასე, იასე! — იძახდა აივანზე გადმომდგარი ქალი. „მე მეძახიხო, — გაუხარდა ქაიხოსროს — მაგრამ მე რომ იასე აღარა ვარ?" — შეშფოთდა მაშინვე." „დედა! — მაინც გაბედა, მაინც დაუძახა, იმავე წუთს ჩიხტიკოპიანი ქალიც გაქრა და ლამაზაივნიანი სახლიც." „ვაღიარებ... ვაღიარებ... — ამოიღუღლუღა დაბნეულმა და ყელში გაჩხერილი ცრემლის გორგალი ჩაყლაპა".

ვის, ან რის წინაშე აღიარებს რომანის გმირი? რას აღიარებს? როგორი იქნება „განკითხვა" მისი? შედარებისათვის, მოდით, სხვა გმირის შესახებ ნათქვამი სიტყვები გავიხსენოთ. გზის ინჟინერმა, რომლის ნათელმა სახემაც შინიდან გაქცევა აფიქრებინა უბედურ ანეტას, „ბავშვობიდან იცოდა, ყველა ადამიანი თავის ჯვარს რომ ზიდავს და მხოლოდ მისთვის განკუთვნილ გოლგოთაზე ადის ბოლოს, რათა იქ სამუდამოდ გაქრეს ანდა მეორე სიცოცხლე დაიწყოს, პირველით დამსახურებული, მაგრამ უკვე სხვათა საკუთრება". როცა იაგორას მიერ გაუპატიურებული და დამბლადაცემული ანეტა ნახა, გზის ინჟინერმა თქვა: „აი, თურმე რა ყოფილა ჩემი ჯვარიო." მისთვის ცხოვრება ახლა უკვე „სხვა ადამიანისათვის" გრძელდება, მისი სიცოცხლე სხვას „ეკუთვნის". მაგრამ, ეს არაა სხვისი ცოდვას გამოსყიდვა, არც მოყვასისადმი ქრისტიანული სიყვარულია. ეს — ცხოვრების უწყვეტი ჯაჭვით მისი უძვირფასესი მარცვლის, სიკეთის, სიყვარულის გადაცემაა, რასაც არავითარი ლოგიკური, გონიერი, უზენაესი იდეითა სისტემით არ სჭირდება განპირობება. „გვარის" თემა სხვისი ჭირის გაზიარების ბუნებრივი ნოტით იწყება და მთავრდება. გვარის შეგრძნებას ის სულიერი ნათესაობა, სულიერი კავშირი აძლევს ბიძგს, რომელსაც გულისხმობდა რუსი პოეტი, როცა წერდა: «Меня ты слышишь друг потомок? Ты повторишь мои слова?» და სწამდა, რომ „გაიმეორებდა", რადგან თვითონვე ამბობს:

«Между своими связь жива!»

მაგრამ ვინ გაიგებს ქაიხოსროს ხმას? ზოსიმე მღვდელი ქაიხოსროს სიკვდილზე ფიქრობს: „გაანათლე უფალო. მაგრამ ვინ? იყო და არა იყო რა. ვართ და არცა ვართ. ვართ და არ ვიცით, რომ ვართ, ვართ და არ ვიცით, რა გვქვიაო..." დიახ, მამაცმა მეომარმა ყაფლან მაკაბელმა იშვილა ერთ-ერთი ლაშქრობის დროს ჯარს აღევნებული პატარა იასე, მერე, სიკვდილის წინ, თავისი სკივრი და გვარი უანდერძა. და კიდევ — ურუქის სახლის ამბები, მაგრამ განა ყველაფერი ასე იოლია? სხვისი შვილი, გიორგა, სამუდამოდ უცხო დარჩა, ხოლო საკუთარი, პეტრე, ანამ ვერ მიიხუტა გულზე. ვერ შეღუღაბდა ორი უცნაურად, სამარცხვინოდ შეერთებული გვარი, რადგან ოქროსეპოლეტებიანმა „მაიორმაც" ძალით დაიმორჩილა ანა, ისევე, როგორც მანამდე თათარი იმორჩილებდა. და რაც მთავარია, ქაიხოსრო კი არ „ცხოვრობდა" ურუქში, არამედ მაღალი გალავნის იქით, ციხედქცეულ სახლში იმალებოდა და ვეებერთელა, სხვა ყველაფერივით უაზრო საათის ხმაურში მრავლდებოდა. პეტრესა და გიორგას შორის დაწყებული პირველობისათვის ბრძოლაც უკვე თავისებურად მოასწავებდა ოჯახის განხეთქილებას, ეჭვსა და ტკივილს, უცხოობასა და ურთიერთუნდობლობას ბადებდა, თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ გიორგა თვითონვე გადგა გვერდზე, გომურშიც კი გადასახლდა საცხოვრებლად. პეტრე კი, მამის კვალს გაჰყვა. წვრილმანმა, ბოროტმა, შურიანმა, თავკერძა პეტრემ ცოლად გაღარიბებული თავადის ახული ბაბუცა შეირთო, თუმცა, არც უყვარდა და არც ესმოდა მისი. მათი შვილები — ნიკო, ალექსანდრე და ანეტა — მკვდარ სახლში დაიბადნენ. იზრდებოდა და იზრდებოდა განხეთქილების, უთანასწორობის, ზიზღისა და უცხოობის ძალა, ვიდრე ბოლოს, ჭირი, სიკვდილი და გვარის გადაშენება არ დაიწყო.

ო. ჭილაძე თითქმის სიურეალისტურად ხატავს ქაიხოსროს ღამეულ კოშმარებს. ქაიხოსროს „ყორის რქისხელა ულვაშებიანი, ორი

თვის გოგო“ ელანდებოდა. სული ეხუთებოდა ხალხმრავალი, ჭრელი ქალაქის ფსკერზე, სადაც ხრწნაგამჯდარი, სახეგადაშლილი გვამები, ოდესღაც მისიანები რომ იყვნენ, მთელი მთები გვამებისა — „თანდათან ლაგდებოდნენ მის გარშემო... და ისიც იხრჩობოდა, იხრუკებოდა გამძხარი ქალაქის ძღულარე ნორევში.“ და ისევ პარალელი: ნიკომ და ალექსანდრემ ბავშვობაში ჩონჩხი აწყვეს და ხკოლაში წაიღეს. ხალხი თვალს არიდებდა, მაგრამ ბიჭები ძალიან ამაყობდნენ თავიანთი ნაოსტატარით. მათ საქციელში იყო ცელქობაც, თუმცა, ამავე დროს, რაღაც სხვაც იგრძნობოდა, თითქოს ძმებმა, სისხლის იდუმალი ინსტინქტის კარნახით, „თავიანთი ნამდვილი გვარის გარკვევა და აღდგენა სცადეს უნებურად.“ ისინიო, ამბობს მწერალი, თავიანთ წარსულში ბრმაზე მეტს ვერ ხედავენ და ყრუზე მეტი არ ესმითო, მაგრამ განა ყრუებს არ ესმით, განა ბრმები ვერ ხედავენ? უბრალოდ, „ეს სხვა სმენა და მხედველობაა, სისხლისმიერი და, ამიტომაც ღვთაებრივი, უკიდეგანო, რომელიც არსებულ საგნებსა და ხმებში კი არ დაეძებს წარმოდგენილ სულს, არამედ ჭეშმარიტი სული ეხმარება, წარმოიდგინოს მისთვის არარსებული საგნებიცა და ხმებიც.“ ჭეშმარიტი სული ეხმარება! რომანის სახეების რთულ სისტემაში — ზოსიმე მღვდელის მაძიებლური, შემპარავი სიტყვების დახმარებით, ექიმი ჯანდიერის გადამრჩენელი სიკეთისა და სულიერი თანადგომის მეშვეობით, სხვებზე გადაყოლილი ანასა და ალათიას, მიუსაფარი ბაბუცასა და ანეტას წყალობით, გიორგას იდუმალი განდგომილების გამოისობით — სინათლისაკენ მოიკვლევენ გზას ახალი შეგნების კვირტები და ნიკოსთვის, ალექსანდრესთვის, ანეტასათვის იფურჩქნებიან... მათსა და სხვა ქვეყნიდან, თავისუფლებიდან მოსულ ხალხს შორის — როგორებიც გზის ინჟინერი და პატარა მართა არიან — ნათესაობისა და ურთიერთგაგების კავშირი იხახება. რომანის ფინალს ურუქის უკუნეთ ღამეში ახალი ხმები, სინათლის გაელვება, იმედის ნაპერწკალი შემოაქვს... ადამიანთა მოდგმა ისევ აღსდგება ბრძოლისა და წარწყმედის ფერფლიდან. მაგრამ, ალორძინების კანონები მეტად მკაცრია. ქაიხოსროს, ვისაც სიკვდილზე მეტად სიცრუის გამომჟღავნებისა ეშინია, სხვისი გვარის მითვისებაში რომ მდგომარეობს, იმედი აქვს, „თავისად“ აღიარებს მაკაბელთა გვარის ამ გაპარტახებულ ფუძეს და ამით, ლამის გმირობას ჩაიდენს, „წმინდათაწმინდა მოვალეობას“ აღასრულებს („ხიდს გადებს უცნობ წინაპრებსა და ასევე უცნობ შთამომავლობას შორის“). მაგრამ, რა მწარედ ცდება ქაიხოსრო! ჯაჭვი არ შეიძლება ყალბი იყოს. ოქროს ჯაჭვში ჟანგიანი რკინის რგოლებს ვერ შეურევ.

რკინაზე გამახსენდა. არის რომანში ერთი ახეთი ადგილი: „მხოლოდ და მხოლოდ ამ რკინის ვიწრო და უსასრულო ზოლის მეშვეობით ინარჩუნებდნენ არსებობის უფლებას (ლაპარაკია მთებში შემოჭრილ ცივილიზაციაზე. ვ. ო.) და სრულებითაც არ ადარდებდათ, რომელ ციხქვეშ დაძინებულნი, რომელ ციხქვეშ გაახელდნენ თვალს. ისინი ყველგან შინ იყვნენ, თუკი ფეხქვეშ ლიანდაგის სიმტკიცეს გრძნობდნენ... უფესვონი და უწარსულონი — ბრმად, უსაზღვრო ნდობით მიჰყვებოდნენ რკინის ნაკარნახევ გზას, რადგან არც დრო ჰქონდათ და არც უნარი უკან შემობრუნებისა...“ ხომ არის რაღაც საერთო ამ ხატოვან დახასიათებასა და ანეტას „თოჯინის“ მოტივს შორის, რომელსაც „თავისი“ ცხოვრება ჰქონდა, ხოლო ამ ცხოვრების აზრი დროისაგან განთავისუფლებაში მდგომარეობდა: „...მისთვის სულერთი იყო, ვის ხელში მოხვდებოდა, არც ყუთში დაკარგული დრო ენანებოდა, რადგან ვერც გზა დაღლიდა, ვერც დრო დაამჩნევდა კვალს.“ დაკვირვებული მკითხველი რომანის ლეიტმოტივთა სისტემაში ალბათ კიდევ ერთ სახესაც შეამჩნევდა, რომელიც სიცოცხლის „მკვდარ“, თითქოსდა უსულო მდინარებას უსვამს ხაზს. ესაა მაკაბელთა კარადისხელა საათი. „გუგუნებდა, ერიალებდა მაკაბელების ორსართულიანი სახლის მოუსყიდველი და ფხიზელი მცველი, ეძახდა, აფრთხილებდა, აშინებდა გაქცეულ პატიმარს, ამაოდ რომ ცდილობდა ნისგან თავის დაღწევას, წარსულში შებრუნებას, არარსებულ მკვდარ დროში დამალვას. საათს ის დრო ერთხელ უკვე გამოეთვალა, მოეშორებინა და სრულებითაც არ აპირებდა, ვინმეს გულისთვის ხელახლა მიბრუნებოდა... როცა ისედაც თავზე საყრელად ჰქონდა გამოსათვლელი, მოსაკლავი, მოსაშორებელი დრო.“ დრო —მკვლელია, გულცივი მოწმეა, შეუვალი მსაჯულია სხვათა არსებობისა თუ არარსებობისა... ამდენად, რომანში რკინიგზის, თოჯინისა და საათის სახით წარმოდგენილი მექანიკური, უსულო საწყისი, საერთოდ ადამიანთა ცხოვრების მკვდარი საწყისების მამხილებლად გვევლინება. რკინიგზის სახესთან თავისებურადაა დაკავშირებული იაგორაც. „მათთვის (ამ რკინის სამყაროს ბინადართათვის — ვ. ო.) მთავარი დღევანდელი დღე იყო.. ხვალინდელისა კი არ სჯეროდათ და დღესვე უნდა მიეღოთ, რისი მიღებაც შეიძლებოდა... ამიტომაც, ათვისებას მითვისება ერჩიათ. მითვისებას დროც ნაკლები ჰირდებოდა და ცოდნაც. მარტო ძალაც საკმარისი იყო საამისოდ.“ ამ მოტივის ქვეტექსტად უნდა ვიგულისხმოთ იაგორას ძალადობაც, ქაიხოსროს მიერ სხვისი გვარის „მითვისებაცა“ და მისი სულიერი დესპოტიზმიც ანას მიმართ. მაგრამ, გზის სახე, თან უსახლკარობის, ჭერის, კერიის, ანუ, იგივე გვარის დაკარგვის შემაწუხებელ თემასაც მოიცავს. „უკან მოხედვის შესაძლებლობა“ — წარსულისა და მომავლის დაკავშირება სწო-

რედ ისაა, რასაც მოკლებულია „რკინა“ და რაც, მხოლოდ ბუნებას ხელეწიფება, რადგან ამ სიტყვის ფუძეში უკვე თავისთავად ძევს გვარის ცნება.[1] „მათ არსებობას რკინა და განუწყვეტელი მოძრაობა ედო საფუძვლად და ამიტომაც, თავისებური, უფრო სწორედ ნაჩქარევი, დაუზუსტებელი წარმოდგენა ჰქონდათ დანარჩენ სამყაროზე.“

ვფიქრობ საჭიროა, განსაკუთრებული ყურადღება დავუთმოთ „საათის“ თემას. კარადისხელა საათი, თავის ცივ სახლში რომ დაიდგა ქაიხოსრომ, არაერთხელ გაიელვებს რომანის ფურცლებზე. საათი აფრთხობს, მბრძანებლობს, თავის ნებას ახვევს თავზე რომანის გმირებს. ესაა საათი — ოკუპატორი. მაგრამ, აი დგება ოჯახის უფროსის ბოლო წუთები. მამის იმქვეყანას გადაბარგების ამ უკანასკნელ დღეებსა თუ საათებში, პეტრე, ტურასავით მფრთხალი, მაგრამ თან პირველობის იდეით, უფრო სწორედ, ამ იდეის დამღუპველი, დამანგრეველი ფორმით შეპყრობილი, სულ უფრო და უფრო ხშირად შეიგრძნობს ჟილეტის ჯიბეში შენახული თავისი საკუთარი საათის წიკწიკს. „....გრძნობდა, როგორ წიკწიკებდა ჟილეტის ჯიბეში მონოგრამიანი ვერცხლის საათი, როგორც მისი მეორე გული. კარადისხელა საათი კი — დუმდა. მართლა გაჩერებულიყო, მაგრამ პეტრეს რატომღაც ვერ გადაეწყვიტა, დაექოქა თუ არა იგი, თუმცა თავიდან ამ განზრახვით შეჩერდა მამისეულ საათთან.“ მერე კი, პეტრემ თვალდახუჭულმა, ალალბედზე, შორს მოისროლა კარადისხელა საათის გასაღები. ნან უკვე იცოდა, რომ „ამ სახლში მამაზეც მეტი იყო იგი და როცა მოეპრიანებოდა, მაშინ გახდებოდა ნამდვილად პირველი...“ იცოდა და ეს ცოდნა ახარებდა კიდეც. აი, ასეთ მახინჯ, ასეთ არაადამიანურ სახეს იძენს პირველობის კანონი და ბუნებრივად კი არ აგვირგვინებს გვარის შთამომავლობითობას, არამედ ძალადობით სცვლის მას. იმ კარადისხელა საათს, თავისი ტრაგიზმი ჰქონდა, რომელიც ბედისწერისაგან მომდინარეობდა. ეს პატარა საათი კი, თავისი პატარა პატრონის სასარგებლოდ წიკწიკებდა მხოლოდ „და ამ წიკწიკის ბრალი იყო, თუ რა იყო, თითქოს დაცოცავდა კიდეც, ერთ ადგილას ტრიალებდა, ფრთებდაგლეჯილი მწერივით“. მართლაც რომ თვალნათელი სურათია გვარის გადაშენებისა...

რა თქმა უნდა, ო. ჭილაძის პროზის პოეტური, ასოციაციური მანერისათვის უცხოა მუდმივი სიმბოლოები, ერთხელ და სამუდამოდ მინიჭებულნი ამა თუ იმ სახისათვის, უცხოა თემებისა თუ ლეიტმოტივების მკვეთრად განსაზღვრული მნიშვნელობები. ამგვარი პროზის მთელი მხატვრული ქსოვილი ერთგანზომილებიანობას ეწინააღმდეგება. ხატოვანი აზრების მთელი სიღრმე და მომხიბვლელობაც სწორედ ისაა, მრავალმნიშვნელოვანნი რომ არიან, კონტექსტისდა შესაბამისად, გარკვეული პერსონაჟის შეხედულებათა მიხედვით, ავტორის ჩანაფიქრის დიალექტიკის განვითარებიდან გამომდინარე. ესაა დადასტურება ადამიანის ფსიქიკის სირთულისადმი პატივისცემისა, პატივისცემისა თავად სამყაროს სირთულისადმი, რაც განაპირობებს კიდეც პოზიციათა შეხლა-შემოხლას. იგივე ცივილიზაცია, ნიკოს, გზის ინჟინერისა თუ ნიკოს ციმბირელი მეგობრების თვალსაზრისით, რომელთაც ადამიანთა ინტერნაციონალური ძმობის ბედნიერება შეუგნიათ, კიდევ უფრო რომ აფართოებს გვარის ცნებას — ისტორიული სიკეთეა, ურუქის ხანგრძლივ ღამეში შემოჭრილი სინათლის შუქი. მაგრამ რკინიგზას, მთელი თავისი „უსახლკარობითა“ და „უსულგულობით“, ხომ ერთად აშენებენ თავისი გოლგოთისათვის გამზადებული გზის ინჟინერიცა და იაგორაც, სხვებს რომ მიერეკება გოლგოთისაკენ.... ასევე არაერთგანზომილებიანია თოჯინა ასკლეპიოდოტას სახეც, ვისთვისაც უცხოა ადამიანური დროის მდინარება, მაგრამ ვინც, თავის მარადიულ დუმილშიც, კარგად გრძნობს სხვათათვის დაფარული სილამაზისა და ერთგულების საიდუმლოს. და განა საათიც „დროის“ ქაიხოსროსადმი ღვთაებრივი დაუმორჩილებლობის დარაჯი არ არის? ქაიხოსროს უნდა დრო გაჩერდეს, სიკვდილმა დაიგვიანოს, იმასაც კი ოცნებობს, შვილიშვილები ჩაამწყვდიოს დროში, რათა მათმა ზრდამ, დროის დამოკლეს მახვილის მოახლოება არ აუწყოს, თუმცა, „... (საათი) საკუთარი სიფხიზლითა და სიზუსტით კმაყოფილი, ისევ ხარბად, ისევ ფაცაფუცით აგრძელებდა წამების თვლას, როგორც საგანძურში შეპარული ავაზაკი ფულისას, რომელმაც კარგად იცის, დაყოვნება მისთვის დაღუპვას რომ ნიშნავს, მაგრამ მაინც ვერ მოუთმენია, ვერ მორევია ცნობისწადილს და იქვე, აუწერელი, დაულეველი სიმდიდრის ხილვით გათავხედებული, ითვლის სხვის საკუთრებას“.

მაგრამ, რთული მნიშვნელობებისა და დიალექტიკის მხატვრული მაგალითების პლასტებში, როგორც მზის სხივი ზღვის ტალღებში, ისე იჭრება ბუნების მარადიული სამართლიანობის იდეა, იდეა მისი უზენაესი სამსჯავროსი — ოპტიმისტური სამსჯავროსი, არა მისტიური „განკითხვისა“, არამედ მიწიერისა, სადაც საკაცობრიო გვარი დაუნაწევრებლად, თავისი კანონზომიერი ერთიანობით წარსდგება ჩვენს წინაშე.

ჰეროდოტე, „ისტორიის“ პირველსავე წიგნში (კლიო), როცა ქალაქებისა და ადამიანების შედარებას იწყებს, გვპირდება, დიდსა და პატარა ქალაქებზედაც და ადამიანებზედაც „ერთნაირად“ ვილაპარაკებო, რადგან „...ვიცი, რომ

1. სტატიის ავტორი ხმარობს სიტყვებს; «природа» და «род» (მთარგმნელის შენიშვნა).

ადამიანური ბედნიერება არაა უცვლელიო.“ ო. ჭილაძის რომანშიც არის ასეთი სიტყვები ურუქის შესახებ: „ადრე თავადაც ქალაქი ყოფილა... მაგრამ ერთი დრო ვის შერჩენია, ურუქს რომ შერჩენოდა, და ისიც თანდათანობით სოფლად გადაქცეულაო“. ურუქი ო. ჭილაძის განსაკუთრებული სამყაროს კრებითი სახეა (როგორც, ვთქვათ, იოკნაპატოფა ფოლკნერთან). ამიტომაც, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ურუქის ბედ-იღბალს მიღმა, სხვა ქალაქების — დიდთა თუ მცირეთა — და თვით სახელმწიფოთა ბედ-იღბალიც დგას. ბედნიერება არც მათთვისაა „უცვლელი“, რადგან ერთნიცა და მეორენიც სიცოცხლის საერთო კანონებს ემორჩილებიან.

„არაფერი არ იბადებოდა ბუნებაში უმიზეზოდ და უმოვლოდ, არც პატარა, ტალახისფერი ჩიტი და არც სახედრის ჩლიქზე აკრული ბალახი. ყველაფერი კანონზომიერების ჯადოსნურ წრეში იყო მოქცეული და ერთმანეთთან სამუდამოდ დაკავშირებული ჯაჭვის რგოლებივით, ხოლო ყველა რგოლს, ყველაზე მცირესაც კი, თავისი საკუთარი, განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, რაიმე აზრს მოიცავდა და რაიმე ნიშანს იძლეოდა, თავისებურად, შეფარულად, მაგრამ, ბოლო-ბოლო, არც აზრი რჩებოდა ჩაუწვდენელი და არც ნიშანთა დანიშნულება — ამოუხსნელი.“ ერთი ჯაჭვის რგოლებია სიკვდილიცა და სიცოცხლეც. ალექსანდრემ ბავშვობაშივე იგრძნო სიკვდილის ფრთების შხუილი. ბაბუაზე უაზრო შურისძიების ცდა იმით დასრულდა, რომ ხელი დაკარგა. დაიბადა სხვა ალექსანდრე, ცხოვრების ტახჯვა-ვაებაში, სასოწარკვეთილების მიჯნაზე, ახალი ადამიანი იშვა — ბოროტების ჩადენით სამყაროს ბოროტებას მიმხვდარი და ამ ბოროტებასთან სამკვდრო-სასიცოცხლოდ შერკინებული, რომელიც, მართალია მახინჯად, გამომწვევად, მაგრამ მაინც პროტესტს აცხადებდა ადამიანის უძლურების წინააღმდეგ. თავადის ასულ ბაბუცას სიკვდილი პეტრეს მეორე ცოლის შერთვას აფიქრებინებს — ესაა ქორწინება დასრულებულ უხამსობასთან, „ტკბილ“ ქალთან, რომლის უტვინო ვაჟის დოლის გაუთავებელი ბრახუნიც ცრუმაკაბელთა გვარის ტრაგედიის დასრულებასა და ფარსის დაწყებას მოასწავებს... ასე ადასტურებენ ჯაჭვის ცალკეული რგოლები „რაღაც აზრს“, გვაძლევენ „რაღაც ნიშანს“ ცხოვრების საყოველთაო ტრანსფორმაციისა.

სიკვდილი აუცილებლად მიცვალებულის სახით როდი მოდის. ის შეიძლება რაღაც გზის ჩიხადაც მოგვევლინოს, გამოცდილების ამოწურვად, მაგრამ ყოველთვის, აუცილებლად, მდუმარედ და მბრძანებლურად ეღერს ბედისწერის იდუმალი საყვირი... „რაც არ ცოცხლობდა, არც კვდებოდა. ადამიანი მხოლოდ სიცოცხლე ან მხოლოდ სიკვდილი კი არ იყო, არამედ ორივე ერთად, სიკვდილიცა და სიცოცხლეც, სიკვდილ-სიცოცხლე, ერთი მეორეს ქმნიდა. ორივე ერთად კი — ადამიანს. ეს ღვთაებრივი წყვილი ისევე აუცილებელი იყო ადამიანის შესაქმნელად, როგორც ბავშვის გასაჩენად მშობლები: დედა და მამა, როგორც დედა, ისევე მამაც“. ადამიანურ ფასეულობათა ასეთ მაქსიმალისტურ სისტემაში, ქაიხოსროს სახე, მაგალითად, ღირსშესანიშნავ თვისებებს იძენს როგორც ფილოსოფიური, ისე ისტორიულ-სოციალური თვალსაზრისით. სიკვდილის შიში, მისგან თავდაცვის ცდა სიმაგრედ ქცეულ სახლში, სიმაგრედ ქცეულ დროში — განა ეს გარკვეული ბუნებრივი საწყისების დარღვევა არ არის? სულში სამარადისოდ ჩაბუდებული შიში უპირველეს ყოვლისა სიცოცხლის უნარს ართმევს ქაიხოსროს. ბუნებრივი, გაუთიშავი მთლიანობიდან მხოლოდ ერთი ნახევრის — სიცოცხლის — არჩევა ხომ შეუძლებელია? სიცოცხლე უსიკვდილოდ — არაბუნებრივია. მაგრამ, როგორც უკვე ითქვა, ქაიხოსრო სხვა თვალსაზრისითაც ღირსშესანიშნავი სახეა — ისტორიულ-სოციალური თვალსაზრისითაც. უაღრესად სწორია გურამ ასათიანის დაკვირვება: „ქაიხოსრო... განსახიერებაა ჩვენი ეროვნული ორგანიზმის იმ ნაწილისა, რომელმაც ახალ დროში, ახალ ისტორიულ ვითარებაში (იგულისხმება მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისი. ვ. ო.), გადარჩენის ელემენტარული ბიოლოგიური გზა აირჩია. ეს არის კონფორმიზმის ეროვნული, ჩვენი ეროვნული ისტორიით განპირობებული ნაირსახეობა და ამავე დროს, ზოგადადამიანური, გარკვეული თვალსაზრისით, მარადიული ხასიათი“.

მაგრამ, ჩემი აზრით, ქაიხოსროს თვითგაუცხოება მხოლოდ ნაციონალურ-ისტორიულსა და „მარადიულ“ საწყისთა ნიშან-თვისებებს კი არ ატარებს, არამედ თან, ადამიანთა შეგნებაში გარკვეული ეპოქისათვის დამახასიათებელი და, ერთდროულად, უნივერსალური ძვრების აღმნიშვნელიცაა. და ჩემი ფრთხილი პარალელებიც დოსტოევსკის „ძმებ კარამაზოვებთან“. მხოლოდ და მხოლოდ ამ ძვრათა კვალის აღმოჩენის ცდა გახლდათ. სიკეთისა და ბოროტების, დანაშაულისა და სასჯელის ქრისტიანულ მოდელთა ხუნდებიდან განთავისუფლებული გონება, განთავისუფლებული მოყვასის სიყვარულის „მოდელებისგან“ თუ „სამოთხისა“ და „ჯოჯოხეთის“ პრობლემებისაგან — უახლესი კულტურის ცენტრალური იდეაა, „დასავლურ“, „ევროპულ“ იდეად აღქმული და ამიტომაც ჩვენთვის გარკვეული უხერხულობის გამომწვევი ლათინურ-ამერიკულ სამოსში, ესაა იდეა მეცხრამეტე საუკუნის სულისკვეთებით განმსჭვალული მეამბოხეებისა — ერთი სიტყვით, ესაა მთავარი, გამარჯვებისთვის გამზადებული, თუმცაღა, დღევანდლამდე ცუდად გააზრებული

იდეა საუკუნისა. ახლა ამ აზრის გასაღრმავებლად არც დრო და არც საშუალება, მაგრამ მე მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ანალიზის უაღრესად სოციალური მეთოდების შეზღუდულობაცა და, პირიქით, დროისაგან დამოუკიდებელი „სულისმიერის“ სპეკულატიური კონცეფციებიც, რომელთა მოწმენიც ჩვენა ვართ, იმგვარი მოვლენებია — „უკულმიდან“ რომ ახასიათებენ ისტორიის მომენტს. მართალია, ო. ჭილაძის რომანის ფილოსოფია არ პასუხობს კითხვაზე— რა ალტერნატივას წინაშე დგანან ლამის უკვე მინავლებული შეხედულებანი სამყაროს აგებულების შესახებ (ისე, კაცმა რომ თქვას, ან ვინ მოითხოვს ამგვარ პასუხს მხატვრული ნაწარმოებისაგან), მაგრამ მწერალი თავად იმ ფაქტს ხდის თვალსაჩინოს, რომ კლასიკურმა შეხედულებებმა ისტორიაზე (გვარი — უპირველეს ყოვლისა ისტორიული ცნებაა), პროგრესსა და რეგრესზე, როგორც სამყაროს „სამართლიანობისა“ თუ „სიკეთის“ გამარჯვების გაშიშვლებულ კონცეფციებზე — თითქმის მთლიანად ამოწურეს საკუთარი შესაძლებლობანი. ამასთანავე, ჭილაძესთან ამ არცთუ ისე იოლი პრობლემების წამოჭრა, მათი დიალექტიკური ბუნება, ხასიათდება არა „ზემოდან“ მიდგომით (ვთქვათ. ქრისტიანული იდეით, როგორც დოსტოევსკისთან, ანდა კირკეგორისეული თუ სარტრისეული ფილოსოფიური სქემებით, ბუდიზმისა თუ ნეოპლატონიკოსთა რეკონსტრუქციით), არამედ „ქვემოდან“, მიწიდან, ბუნებიდან და თანაც. მისი კანონების, მისი განვითარების წინააღმდეგობებიდან გამომდინარე. გავბედავდი და ვიტყოდი. ჭილაძისეული მიდგომა მეცნიერული და მატერიალისტურია მეთქი, ძალიან რომ არ დაგვეხურდავებინა ეს ცნებები. არაფრისგან არაა ისე შორს ო. ჭილაძე, როგორც თეორეტიკული ნახაზების სიმშრალისგან, რაციონალური სქემებისგან, უტილიტარულობის ზეიმისაგან. ჯერჯერობით იმით შემოვიფარგლები, რომ ხაზს გავუსვამ ო. ჭილაძის რომანის ერთ-ერთ ფილოსოფიურ აზრს ჩვენგან ჯერაც შეუცნობელი ცოცხალი სიცოცხლის უსაზღვრო სირთულესა და იდუმალ კანონზომიერებაზე.

სიკეთე რომანში გვევლინება არა ჭეშმარიტების აბსოლუტად, არამედ ძალთა ბუნებრივი წონასწორობის შემადგენელ ნაწილად. როგორც არ არსებობს სიცოცხლე უსიკვდილოდ, ისე არ არსებობს სიკეთე მისი შედეგების გარეშე ძალთა რეალურ სისტემაში. მაგრამ, განა „მიწამ იცის, რისი თესლი ღვივის მის წიაღში, ანდა განა მიწა ერთმანეთისაგან არჩევს ვაზსა და ძაღლყურძენას, განა ერთნაირად არ კვებავს ორივეს და განა ორივენი ერთნაირი სიფრთხილით, ერთნაირი სიძლიერით არა ჰყავს გამობმული ყოვლის ამტანსა და ყოვლის შემწყნარებელ გულზე?“ ამ სიტყვებს პირდაპირი კავშირი აქვს ანასთან. მისი უსაზღვრო, ყოვლისმიმტევებელი სიკეთე თავად ბუნების მონათესავეა. მისი ძუძუები ხომ, გიორგასავით, პეტრესაც კვებავდნენ, ამ ადამიანთა ტყის „ძაღლყურძენასაც“. ანას სიკეთე ბოროტების მიჯნაზე დგას, რადგან უჩუმდება, ემორჩილება მას, და ამდენად, საკუთარი სიძლიერის შეგნებას უძლიერებს ბოროტებას, ხელს არ უშლის უფრო ფართოდ, უფრო დაუნდობლად რომ მოედოს ქვეყანას... მაგრამ ვინ გამოჩნდება ისეთი, პირველი რომ ესროს ანას ქვას?

ადამიანი ადვილად ემორჩილებაო საკუთარ გამონაგონ ბედს, გვეუბნება ო. ჭილაძე, ეგუებაო ამ ბედს. მაგრამ არა ნებაყოფლობით — უბრალოდ, იძულებულია და იმიტომო. მხოლოდ ასე თუ გადარჩება, ასე იხსნის საკუთარ თავს, თავის გვარს. თუმცა, ამგვარი მორჩილება ამახინჯებს ადამიანს, ადამიანურ ბუნებას, რადგან ეს მორჩილება ხანგრძლივი სულიერი ბრძოლის შედეგია, მტანჯველი და უთანასწორო ბრძოლისა. „ეს ყოფილა ჩემი ბედიო!“ — ამბობს ბოლოს ადამიანი და ნებდება, თეთრ დროშას სწევს. პიროვნების „შეცდომა“ ყოველთვის ერთი და იგივეა: ადამიანს ჰგონია რომ მარტოა, რომ მას „თავისი“ ბედი აქვს. ბედი კი საერთოა, საერთოა გარკვეული თვალსაზრისით. „...რადგან რაც არ უნდა მძაფრად ჰქონდეს სიმარტოვის გრძნობა განვითარებული, ადამიანი მარტო არასოდეს არ არის, მარტო თავის თავს არასოდეს ეკუთვნის, ის იმ რთული, მრავალფეროვანი, მრავალწახნაგოვანი და მრავალსახოვანი სხეულის ნაწილია, რომელსაც ცხოვრება ჰქვია და რომლისთვისაც, ბუნებისა არ იყოს, სულერთია, ვინ როგორ, ანდა როდის შეეგუება მისგან დადგენილ წესსა და კანონს, საზღვრებსა თუ პირობებს.“ ესე იგი, არსებობა, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, სწორედ ეს „წესი“, „კანონი“, „საზღვარი“ და „პირობაა“ და არა რაღაც იდეალი, რაღაც მისწრაფება, მომავალი, იდეალური არსით დატვირთული და „სამოთხედ“ წოდებული. სხვა საქმეა, რომ ილუზიის ტვირთისაგან განთავისუფლებული ადამიანი არ ნებდება თავისი არსებობის „კანონებსა“ და „წესებს“, „პირობებსა“ თუ „საზღვრებს“ და მარადჟამს აკაკუნებს ჯერ შეუცნობელ „კანონთა“ და „საზღვართა“ კარებზე. მისი ოცნების საბურველში რომ არიან გახვეულნი!

არის ო. ჭილაძის რომანში ერთი უმაღლესი სინჯის ჭეშმარიტების შემცველი აზრი: „ბავშვებს... ერთმანეთი გამოჰყავთ ბავშვობიდან, როგორც დიდებს ბრძოლის ველიდანო...“ სწორედ რომ ბავშვებს! სწორედ რომ ერთმანეთი. მოზრდილებს არ გამოჰყავთ ისინი ბავშვობიდან. ისინი ხომ, ბავშვები, გვერდიგვერდ, მხარდამხარ მოდიან ერთად და სწორედ საკუთარი ძმის, და არა მამისა თუ დედის შემხედვარე, ამჩნევენ დროის მდინარებას. დიახ. მართალია მწერალი:

„...რადგან ადამიანების ბუნება საფუძვლიანად ვერც ერთ ასაკს ვერ ეგუება, შემდეგი, უფრო ზემო საფეხური მიაჩნია სრულყოფილად და, ამიტომაც დაუნანებლად, უკეთესობის იმედით გადადის ერთი ასაკიდან მეორეში, სანამ ბოლო საფეხურს მიაღწევდეს, რომელსაც სიბერე ჰქვია, რომლის იქითაც არარაფერი არარაა...“ დროის საიდუმლო დიადი საიდუმლოა. არაფერია იმაზე სამწუხარო, ვიდრე სამყაროს ვითომდა ყოვლისმხრივი შეცნობით გამოწვეული დაბნეულობა. ვიდრე ჰიპოთეზების მექანიკური ჩართვა აქსიომების რიგში. ის დაუნდობლობა, რომლითაც ადამიანი ერთი ასაკიდან მეორეში გადადის — მისი კი არა, იმ სამყაროს უბედურებაა, „დაუნდობლად“ რომაა მოწყობილი. მაგრამ, უკვე შეგრძნება ამ „დაუნდობლობისა“ — დიდი შვებაა ადამიანისათვის. ეს სანინდარიცაა დროსთან შებრძოლებისა, არა იმგვარი შებრძოლებისა, რომელსაც ქაიხოსრომ მიუძღვნა თითქმის მთელი თავისი ცხოვრება, არამედ სულ სხვა ბრძოლისა, ძალას კაცობრიობის ერთიან და უწყვეტ ჯაჭვში რომ პოულობს, იმ ჯაჭვში, რომლისთვისაც არც „სიბერე“ არსებობს და არც „სიკვდილი“ და სწორედ ამით იმორჩილებს კიდეც დროს.

„ნებისმიერი არსებობის ისტორია, თავისებურად საინტერესოა“ — წერდა ჯერ კიდევ გერცენი. „... ეს ინტერესი იმის შემჩნევას გულისხმობს, თუ რა ზეგავლენას ახდენენ სულის განვითარებაზე დრო, გარემოება და შემთხვევითობა, რომლებიც ან ავრცობენ, ანდა აბრკოლებენ მის ნორმალურ, საერთო წინსვლას.“ დრო (არა ფილოსოფიური, არამედ ისტორიული თვალსაზრისით) და გარემოება (კონკრეტულ-ისტორიული ფორმით) დღევანდლამდე ითვლებოდნენ ადამიანის სულის ყოვლისშემძლე „მოქანდაკეებად“. მაგრამ, ეგრეთ წოდებული „შემთხვევითობა“ შემთხვევითობადვე რჩებოდა. იმიტომ ხომ არა, ლამის ჩვეულებად რომ გვექცა ნორმიდან გადახვევად, „საერთო, ნორმალური წინსვლის“ ლოგიკიდან ამოვარდნად, ანდა, უკეთეს შემთხვევაში, დოსტოევსკისა თუ კაფკას განსაკუთრებული ზრუნვის საგნად მიგვეჩნია ნებისმიერი გამონაკლისი, ალოგიზმი, სულის მოულოდნელი, უჩვეულო მოძრაობა... ასევე საკითხავია, ხომ არ შეირყა ახალი ურთიერთობანი ადამიანის „გარემოსა“ და ადამიანის „ბუნების“ ცნებებს შორის, ხომ არ შეირყა შეხედულებანი მათ მარადიულობასა თუ წარმავალობაზე, მათი ურთიერთგანპირობებულობის უნარზე... 1848 წელს, პეტრაშეველთა პროცესთან დაკავშირებით დაპატიმრებული ნ. ი. დანილევსკი განსაკუთრებულ ბარათში ფურიეს მოძღვრების არსის შესახებ წერდა: „ადამიანთა შორის ურთიერთობათა კანონების განსაზღვრისათვის, დაკვირვებათა ორი წყარო გაგვაჩნია: თავად ადამიანი და ერთად ცხოვრების ის ფორმები, რომლებიც დღესაც გვხვდება ადამიანთა საზოგადოებაში და რომელთა შესახებაც ისტორია მოგვითხრობს. დღევანდლამდე, ერთად ცხოვრების ფორმები ყოველთვის იცვლებოდა და მათი არსიდან გამომდინარე, შეიძლება კვლავ და კვლავ შეიცვალოს, ადამიანის ბუნება კი, მარადჟამს უცვლელი იყო და, ისევ თავისივე არსის გამო, არც შეიძლება რაიმე ცვლილება განიცადოს“. ბანალურს არაფერს ვიტყვი — ადამიანის უცვლელი ბუნების იდეალისტური შეფასება აშკარაა. მაგრამ ფურიეს, უფრო სწორად, მეცხრამეტე საუკუნის შუა ხანებში მცხოვრები რუსი ფურიერისტის პოზიციასა და ჩვენს განსხვავებულ პოზიციას შორის, რომელიც გულისხმობს, რომ ადამიანის ბუნება ყოველთვის დროითაა განპირობებული — განა ასეთი დიდი უფსკრულია? „პლიუსის“ „მინუსით“ შეცვლა ჯერ კიდევ არ ნიშნავს ამოცანის ამოხსნას. სულიერი ცხოვრების დიადი რევოლუციების — საზოგადოებრივისა თუ მეცნიერულის — გამოცდილება გვასწავლის, რომ თუკი საზოგადოებაში მცხოვრები ადამიანის განვითარებაში მოულოდნელი ბიძგი ხდება, თუკი ცივილიზაცია წინ უსწრებს პიროვნების ზნეობრივ საფუძვლებს, აუცილებლად იკარგება ადამიანის ორგანული კავშირი ბუნებასთან, ამ ცნების ყველაზე უფრო ფართო გაგებით. ეკოლოგია მოდად იქცა, მაგრამ ვითომ მარტო ტყეებსა და წიაღისეულს სჭირდება დაცვა? მხოლოდ ზღვებსა და მდინარეებს? ჰაერს? განა ადამიანს კი არ სჭირდება გაფრთხილება? რა მოვუხერხოთ მის თითქმის უკვე დაკარგულ კავშირს საკუთარ ბუნებასთან?

მე ვფიქრობ, რომ ო. ჭილაძე ისევ და ისევ გვაბრუნებს ადამიანის „ბუნებისაკენ“, მისი „არსისაკენ“, მაგრამ უკვე ახალ, ცოდნით გამდიდრებულ დონეზე — ის კვლავ და კვლავ, ოღონდ უფრო დაკვირვებით და ფხიზლად ადევნებს თვალს ადამიანის ბუნების იმ მხარეებს, რომლებიც არცთუ ისე ძალიან შეიცვალა ჩვენი თვალმისაწვდომი ისტორიის მანძილზე. ქართველი მწერალი კვლავინდებურად მოგვიწოდებს ადამიანის პიროვნების პატივისცემისადმი, რითაც, თითქოს ჯონ დონის სიტყვებს ეხმიანება: „ადამიანს მონათვლა მცირე სამყაროდ, საკმარისი არ არის, ადამიანი რაიმეს დაპატარავებული ასლი როდია... ის გაცილებით უფრო მეტი ნაწილაკისაგან შედგება ვიდრე სამყარო...“ ხოლო ის, რომ სამყაროს შეცნობა ადამიანის, მისი ბედის, მისი სულიერი ისტორიის, მისი ალმოჩენებისა და ტრაგედიების გარეშე შეუძლებელია — ვფიქრობ, სრულიად აშკარაა.

და ოთარ ჭილაძის რომანიც „ყოვლმან ჩემმან მპოვნელმან...“ კიდევ ერთი საფუძვლიანი დადასტურებაა ამგვარი დასკვნის სისწორისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლევან ბრეგაძე

# მხატვრული ნაწარმოები და კრიტიკოსის პოზიცია

გურამ დოჩანაშვილის შემოქმედებამ ერთბაშად მიიქცია მკითხველი საზოგადოებისა და სალიტერატურო კრიტიკის ყურადღება. მწერლის თითქმის ყოველი ახალი ნაწარმოები გამოქვეყნებისთანავე უაღრესად პოპულარული ხდება. (ამ პოპულარობას დიდად უწყობს ხელს მისი მოთხრობების მიხედვით დადგმული ტელესპექტაკლები(;). გ. დოჩანაშვილმა შექმნა ორიგინალური, თვითმყოფადი მხატვრული სამყარო, რომელიც დასახლებულია შთამბეჭდავი, შეიძლება ცოტა ახირებული, მაგრამ, ამავე დროს, მეტად საყვარელი პერსონაჟებით. აი, მაგალითად, მთავარი გმირი მოთხრობისა — „იგი სიყვარულისთვის იყო შექმნილი ანუ გრიშა და მთავარი", რომელსაც თავისი ცხოვრების მიზნად დაუსახავს, რომ „მისი ხელშეწყობით ადამიანები გახდნენ უკეთესები, ვიდრე არიან" და ამის მიღწევას მათთვის „უშუალობის", გულახდილობის, გულითადობის გაკვეთილების ჩატარებით ცდილობს. ან, თუნდაც, ბუკუტა, მოთხრობიდან, „ჩემი ბუკუტა, ჩემი ტერეზა", რომელიც ძალღონეს არ ზოგავს, რათა ქალაქ ჰარალეთის ობივატელებს თვალი აუხილოს ბუნების მშვენიერებათა მიმართ, არწმუნებს მათ, რომ „ყველაფერი, რაც მართლა კარგია, უფასოდა გვაქვს, ესაა ჰაერი... წყალი... ნიადაგი... მზე. ისე მრავლად გვაქვს, რომ შევეჩვიეთ ამ ჩუმ სიკეთეთ და აღარც გვახსოვს". ან განა შეიძლება დაგვავიწყდეს უცნაური ფოტოგრაფი, „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა", ვისაც უნდა ეს სიყვარული სხვასაც გადასდოს, მეტიც, სურს აიძულოს წიგნთან მწყრალად მყოფი ადამიანები მასავით შეიყვარონ მხატვრული ლიტერატურა, რადგან სჯერა, რომ „ყოველი ნორმალური მოთხრობის წაკითხვის შემდეგ ხდები ოდნავ უკეთესი, ვიდრე ხარ, უფრო ჭკვიანი, ვიდრე იყავი..."

თავიდანვე საგანგებო ყურადღება მიიქცია გ. დოჩანაშვილის დამოკიდებულებამ სიტყვასთან. მისი პირველი მოთხრობებიდანვე ცხადი შეიქნა, რომ ამ შემოქმედს მშობლიური ენის, სტილის განსაკუთრებული გრძნობა ჰქონდა. ვნახოთ, რას წერს ენათმეცნიერი გიორგი შალამბერიძე 1980 წელს გამოცემულ წიგნში — „ქართული სწორმეტყველების სწავლების ზოგიერთი საკითხი":

„მოსწავლეებს ადრეული ასაკიდანვე უნდა ჩავუნერგოთ მშობლიური ენის სიყვარული, გამოვუმუშაოთ ენობრივი ალღო, სიტყვის ძალის შეგრძნების უნარი. ამასთან დაკავშირებით გვაგონდება მწერალ გურამ დოჩანაშვილის საინტერესო მოთხრობა — „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა". ამ ნაწარმოების ერთ-ერთი პერსონაჟი ვასილ კეჟერაძე მხატვრული ლიტერატურით არის გატაცებული. მას საგულისხმო შეხედულებები აქვს ქართულ სიტყვებზედაც. მაგალითად, სიტყვა „მოიისფრო" მისთვის საიდუმლონარევი, შორეული სილამაზით აღსავსეა, სიტყვა „გავძეხი" უსიამოვნო გამომეტყველების ასოციაციას იწვევს, ხოლო სიტყვა „მაშასადამე" ზედმეტია ისე, როგორც ორ მიჯნურთან მესამე პირი... რა თქმა უნდა, ვასილ კეჟერაძის ეს შეხედულება სიტყვებზე შეიძლება სადავო და გულუბრყვილოც კი იყოს, მაგრამ მწერლის ღირსებად ის მიგვაჩნია, რომ იგი თავისი მოთხრობის პერსონაჟს ენობრივი ალღოს მქონე პიროვნებად წარმოგვიდგენს. ასევე საინტერესოა ვასილ კეჟერაძის დაკვირვება ქართული ენის გამომსახველობით საშუალებებზე. მოვიგონოთ, როგორ თხზავს იგი ისეთ სიტყვებს, როგორიც არის „გავაუმცროსმეცნიერთანამშრომლე", ან „ჩამომალაბორანტეს". მწერალს ნამდვილად აქვს დედაენის ძალის შეგრძნების უნარი" (გვ. 9).

სიტყვა გ. დოჩანაშვილის ხელში მართლაც რომ ცვილივით მოქნილია და უდიდეს გამომსახველობას იძენს. ერთი მარჯვედ მოძებნილი ორიგინალური ეპითეტი ხშირად მასთან მთელ აღწერებს ცვლის. არაიშვიათად იგი ამას აზრ-

ხებს ენაში არსებული პოტენციური შესაძლებლობების თამამი გამოყენებით, რაც ერთი შეხედვით, უცნაურ, მაგრამ მეტად ეფექტურ, მრავლისმეტყველ ნეოლოგიზმთა შექმნასთან არის დაკავშირებული. საერთოდ, ავტორის შეხაშური უნარი, მოძებნოს მოცემული კონტექსტისთვის ერთადერთი და აუცილებელი სიტყვა, დიდ ესთეტიკურ სიამოვნებას იწვევს მისი ნაწარმოებების კითხვისას. მეტად ძლიერია გ. დოჩანაშვილი მაშინაც, როცა პერსონაჟს მისივე მეტყველების საშუალებით გვიხატავს ასეთ დროს იგი პაროდისტის დიდ ნიჭს ამჟღავნებს. მაგალითად, მწერლის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მოთხრობა „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“ ასე იწყება:

„ყველაფერი დაიწყო იმით, რომ ხელმძღვანელმა დამიბარა და თქვა:

— თქვენს მომავალ ნაშრომში უნდა აისახოს ქალაქის ტიპის დასახლებაში მცხოვრებ მუშა-მოსამსახურეთა ყოველდღიური საქციელის ასპექტების ასახვა და გამომჟღავნდეს კანონზომიერებანი, რომლებიც განსაზღვრავენ მის დამოკიდებულებას ცხოვრების პირობებისადმი. საზოგადოების ფუნქციონერობებისა და განვითარების იმ მხარეებში, რომელსაც ამჟამად გაცილებით მეტი ყურადღება ექცევა, ვიდრე აქამდე, პატარა ადგილს როდი იჭერს ყოფაცხოვრება, წარმოების გარეთა სფერო ადამიანის საქციელსა და მოქმედებაში. ასანთი ხომ არა გაქვს?“.

აქ პაროდირებულია ცრუმეცნიერის მეტყველების მანერა. ვიდრე ახლოს გავეცნობოდეთ ამ პერსონაჟს, უკვე მისი პირველი სიტყვებიდანვე გვექმნება წარმოდგენა, როგორც ბრტყელ-ბრტყელი, თანაც უაზრო ფრაზებით მოლაპარაკე, სულიერად დაცარიელებულ, გონებაშეზღუდულ ადამიანზე.

ავიღოთ ახლა ეს ნაწყვეტი, ასე ამოგლეჯილი კონტექსტიდან, ვაჩვენოთ იგი ქართული ენის მცოდნე ნებისმიერ ადამიანს და ვკითხოთ, შეიძლება თუ არა ასე წერდეს მწერალი? პასუხი, რა თქმა უნდა, უარყოფითი იქნება. მართლაც, რა უბედურებაა ეს — „უნდა აისახოს... ყოველდღიური საქციელის ასპექტების ასახვა“, ან „მუშა-მოსამსახურეთა ყოველდღიური საქციელის ასპექტები“ რას ნიშნავს? შემდეგ: „გამომჟღავნდეს კანონზომიერებანი, რომლებიც განსაზღვრავენ მის დამოკიდებულებას (ვის დამოკიდებულებას? თუ „მუშა-მოსამსახურეთა“, მაშინ უნდა იყოს „მათ“ და არა „მის“) ცხოვრების პირობებისადმი“, ან კიდევ: „იმ მხარეებში, რომელსაც...“ (უნდა იყოს „რომლებსაც“), ან რა ქართულია „წარმოების გარეთა სფერო“, ან რა ფორმაა „ფუნქციონერობები“ და ა. შ და ა. შ.

ისე გამოდის, რომ მწერალს არც ნაცვალსახელთა სწორად ხმარება სცოდნია, არც რიცხვში შეთანხმება, არც მართლწერის ელემენტარული ნორმები, ფრაზის ლოგიკურად აგებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია...

მაგრამ ეს ნაწყვეტი ხომ სწორედ იმ მოთხრობიდანაა, რომელიც ენათმეცნიერმა, ზემოთ ნახსენებ წიგნში, სანიმუშოდ მოიყვანა, როგორც ნაწარმოები, რომლის ავტორსაც „ნამდვილად აქვს დედაენის ძალის შეგრძნების უნარი“.

ხედავთ, რა ადვილია მცდარი წარმოდგენ შევუქმნათ ადამიანს გურამ დოჩანაშვილი! ყაიდის მწერალზე, თუკი მისი ნაწარმოებიდან კონტექსტს მოწყვეტილად მოვიტანთ სიტყვებს, გამოთქმებს, ფრაზებს, აბზაცებს. ამის შემდეგ რასაც გინდათ, იმას დააბრალებთ მწერალს: ენის უცოდინარობასაც, დეკადენტური ლიტერატურის გავლენასაც, აბსურდის ელემენტების თვითმიზნურ გამოყენებასაც, მშობლიური ენისა და გრამატიკის აბუჩად აგდებასაც, უნიჭობასაც და ა. შ.

ამგვარად განიხილავს ელიზბარ ჯაველიძე „მნათობის“ 1982 წლის მეცხრე ნომერში გამოქვეყნებულ წერილში გ. დოჩანაშვილის მოთხრობას „ვატერ(პო)ლოო ანუ აღდგენითი სამუშაოები“ („ცისკარი“, 1981, № 10). არავითარი მცდელობა კონკრეტული ანალიზისა, მოთხრობაში დახატული სიტუაციის, ნაწარმოების ჟანრული თავისებურების, პერსონაჟთა ხასიათების, საერთოდ, კონტექსტის გათვალისწინებისა! „განაჩენი“ კი უმკაცრესი გამოაქვს: გ. დოჩანაშვილი თურმე „საერთოდ უგულებელყოფს ქართული ენის ნორმებს და გრამატიკის ნომინალურ (?) წესებს...“ (გვ. 145).

ე. ჯაველიძის აზრით, „გ. დოჩანაშვილი ქმნის ისეთ კომპოზიტებს თუ ფორმებს, რომელთა დანიშნულება მხოლოდ ის არის, რომ გააოცონ და გააკვირვონ მკითხველი. ასე, მაგალითად, სადღაცას, მაინცცოტათიოდნავთითქოსდაიქნებ,[1] მიმოფანტასტე, მიმოიარე, ცხელიანი, გულვერჩატანებული, ექვსნაბიჯოვანი, ჟანგბადოვნად მანათოებული, კეთილად ნაშობშობილებავ, კეთილშობოვადშობილებავ, მიმოძინებული, მიმოწყენილი, ღამისღამინდელი, იქოვანი, დაწინაურ-აწინარეულ-ჩინმენდლებიანი, მომცრო-არშიყულ-შეხლა-შემოხლით, პირდაბნეულ-გახარებულ-ღიმილიანნი, გულისულშიგან შემატკივარნი, და სხვა მრავალი...“ (გვ. 145).

ამის შემდეგ იგი განაგრძობს: „მკითხველს ბუნებრივად გაუჩნდება კითხვა, რა მიზნით ქმნის მწერალი ასეთ ფორმებს? ეს სიტყვები

---

1 ეს და ბევრი სხვა სიტყვაც ციტატებში არასწორად არის მოტანილი, არც გვერდებია მითითებული, რაც დაინტერესებულ მკითხველს მეტისმეტად უძნელებს კრიტიკოსის მოსაზრებების შემოწმებას.

იძენენ თუ არა ახალ სემანტიკურ დატვირთვას მხატვრულ კონტექსტში?“ (გვ. 145).

აი, „მხატვრული კონტექსტი“ ახსენეს და გაჩნდა იმედი: იქნებ ამას კონკრეტული ანალიზი მოჰყვეს! მაგრამ არაფერი ამის მსგავსი. აქ დასმულ უმნიშვნელოვანეს კითხვას— „ეს სიტყვები იძენენ თუ არა ახალ სემანტიკურ დატვირთვას მხატვრულ კონტექსტში?“ — ასეთი პასუხი მოსდევს: „ვფიქრობთ, არა“. ეს არის და ეს. ჭეშმარიტებისათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ვინ რას ფიქრობს, ვიდრე არ დავასაბუთებთ იმას, რასაც ვფიქრობთ.

კრიტიკოსი ძალიან გაუოცებია სიტყვას „მიმოიარე“. ვნახოთ ის კონტექსტი, სადაც ეს სიტყვა გვხვდება: სოფლიდან ახლად ჩამოყვანილი, კონსერვატორიაში პირველად მოხვედრილი ბესამე შედის ოთახში, სადაც სკამებზე მისთვის უცნობი უამრავი საკრავი აწყვია. ამ სანახაობით გაოცებულს ზემოდან ხმა მოესმა: „მიმოიარე და ყოველ მათგანს დაადე ხელი“ (გვ. 25). გულზე ხელი დავიდოთ და ვთქვათ: არის აქ რამე გაუგებარი? ნუთუ საჭიროა იმის განმარტება, რომ „მიმოიარე“ აზრობრივად იგივეა, რაც „მიიარ-მოიარე“, ისევე როგორც, ვთქვათ, „მიმოიხედე“ იმასვე ნიშნავს, რასაც „მიიხედ-მოიხედე“.

ეს „გულვერჩატანებული“ რაღაა? კონტექსტიდან ამოგლეჯილი, მართლაც, რაღაც საშინელებას ჰგავს! კონტექსტი კი ასეთია: ბესამეს სულ ახალი დაწყებული ჰქონდა უსაყვარლეს საკრავზე — ფლეიტაზე — მეცადინეობა, რომ უცებ მძიმედ დაავადდა. და აი, ოდნავ მოიკეთა თუ არა, იგი მიემართება იმ ტახტისაკენ, რომელზეც მისთვის ესოდენ ძვირფასი ნივთი — „ჯერაც გემო და გულვერჩატანებული მოგრძო საკრავი... იდო“ (გვ. 81). მაშასადამე, კონტექსტსაც რომ თავი დავანებოთ, „გულვერჩატანებულის“ ცალკე ამოწერა მაინც არ შეიძლებოდა, უკიდურეს შემთხვევაში უნდა ამოწერილიყო „გემო და გულვერჩატანებული“. მაგრამ მაშინ ხომ ვერ დავაბრალებდით მწერალს, თითქოს იგი ცდილობდეს „სიტყვას საერთოდ მოუხსნას აზრობრივი ფუნქცია, არაფრის გამომხატველად აქციოს“ იგი (გვ. 145), იმიტომ, რომ „გემოს ჩატანება“ ყველამ იცის, რაც არის, ცნობილი იდიომაა. „გემო და გული ჩაატანა“ — ესეც იმავე შინაარსის გამოთქმაა, ოღონდ უფრო გაძლიერებული, ხოლო „გემო და გულვერჩატანებული“ იმას ნიშნავს, რამეს გემოსა და გულს რომ ვერ ჩაატან, გულით რომ ვერ იგემებ რამეს, გულს რომ ვერ იჯერებ რამეთი.

ახლა ვნახოთ „კეთილადნაშობშობილებავ“ და „კეთილშობოვადშობილებავ“. ასე მიმართავს აღელვებული და დამფრთხალი კარტუზო ბაბილონია ჰერცოგ ლოპეს დე მორალესს. სრულიად აშკარაა, რომ აღელვებულ პერსონაჟს ენა ებმის და ამახინჯებს ისედაც არცთუ მაინცდამაინც ადვილად გამოსათქმელ მიმართვას — „თქვენო კეთილშობილებავ“. მოთხრობაში გარკვევით წერია, რომ ამ საუბრის წამოწყებამდე კარტუზო „ძლიერ ღელავდაო“ (გვ. 38). თანაც გავიხსენოთ რა დღეში ჩააგდეს იგი ჰერცოგის მცველებმა. ესეც არ იყოს, ორჯერ რომ სხვადასხვა ფორმით ამახინჯებს სიტყვას პერსონაჟი, ამან მაინც ხომ უნდა მიგვახვედროს, რომ ამ შემთხვევაში აღელვებული და შეშფოთებული ადამიანისთვის ესოდენ დამახასიათებელ ენის ბორძიკთან გვაქვს საქმე? ნუთუ პირველად ვხვდებით ამგვარ რამეს მხატვრულ ლიტერატურაში? ან იქნებ მხოლოდ დასავლური ბურჟუაზიული ლიტერატურისთვის არის დამახასიათებელი სიტყვათა ამგვარი „მსხვრევა“? ხოლო, მაინცდამაინც ამ სიტყვას რომ ამახინჯებინებს აღელვებულ პერსონაჟს, ამით მწერალი თავის ირონიულ დამოკიდებულებასაც გვაგრძნობინებს მიმართვის ამ არადემოკრატიული ფორმისადმი.

„ექვსნაბიჯოვანსაც“ გაუკვირვებია კრიტიკოსი, ალბათ იმიტომ, რომ უფრო ბუნებრივი ფორმაა „ექვსნაბიჯიანი“. „იან“ და „ოვან“ სუფიქსები ხშირად უმტკივნეულოდ ცვლიან ერთმანეთს, მაგალითად, „კლდიანი“ —„კლდოვანი“, „ყინულიანი“ — „ყინულოვანი“, „ძვლიანი“ — „ძვლოვანი“ და სხვ. თანამედროვე ქართულ ენაში „იანი“ უფრო აქტიურია, ვიდრე „ოვანი“. გ. დოჩანაშვილთან კი პირიქით არის: ამ მოთხრობაში მწერალი უფრო აქტიურად „ოვანს“ იყენებს. ახირებაა ეს? არა, სტილისტური ხერხია. ვნახოთ, რა ფუნქცია აქვს მას. დავიწყოთ იმით, რომ „კლდიანი“ და „კლდოვანი“ თუმცა კი წარმატებით მონაცვლეობენ, მაგრამ აბსოლუტური სინონიმები მაინც არ არიან. „კლდოვანი“ „კლდიანთან“ შედარებით უფრო ამაღლებული მეტყველების ფორმაა. მაშასადამე, ისინი სტილისტურ დონეზე განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. „ოვან“ სუფიქსი თანამედროვე ქართულში ემფატიკურ სტილს უკავშირდება. რაც შეეხება „ექვსნაბიჯოვანს“ და სხვა ამის მსგავსად ნაწარმოებ სიტყვებს, რომლებსაც გ. დოჩანაშვილთან ვხვდებით, ეს ემფატიკური სტილის პაროდიაა.

იმის დასამტკიცებლად, რომ გ. დოჩანაშვილი სიტყვებს ამახინჯებს და „ამსხვრევს“ კრიტიკოსს მოჰყავს კომპოზიტი „პირ-დაბნეულ-გახარებულ-ღიმილიანნი“. ასე კონტექსტიდან ამოგლეჯილი ეს გამოთქმა, მართლაც, მეტი რომ არ ვთქვათ, ძალიან ბუნდოვანი ჩანს. კონტექსტი კი, სადაც იგი გვხვდება ასეთია: ბესამე კარო უკვე სახელგანთქმული სპორტსმენია, გულშემატკივართა სათაყვანებელი კერპია, მასთან ქუჩაში შემთხვევით შეხვედრაც კი სპორტის მოყვარულთათვის უდიდესი ბედნიერებაა. მოთხრობაში ვკითხულობთ: „...გულშემატკივრები ხომ უცნაური ხალხია... შემოხვედრილნი ჯერ

მოწიწებით. პირ-დაბნეულ-გახარებულ-ღიმილიანნი უთმობდნენ გზას...“ (გვ 54).

მაშასადამე, გულშემატკივრები ბესამესთან ანაზდეული შეხვედრით ერთდროულად დაბნეულნიც არიან და გახარებულნიც. დაბნეულობა და სიხარული ერთიმეორის მიყოლებით კი არა, არამედ ე რ თ დ რ ო უ ლ ა დ ეხატებათ პირსახეზე. ამ ერთდროულობის შთაბეჭდილების უკეთ გადმოსაცემად იქმნება სწორედ ეს კომპოზიტი. ხომ სრულიად აშკარაა, რომ მწერალი იმიტომ კი არ ქმნის მას, ვინმე „გაიოცოს და გააკვირვოს“, არამედ მისი მიზანია, რაც შეიძლება, თვალნათლივ დაგვანახოს მოვლენა.

წყალბურთის მოყვარულებს გ. დოჩანაშვილი ამ მოთხრობაში, როგორც ეს საერთოდ მიღებულია, „გულშემატკივრებს“ უწოდებს, მხოლოდ ერთგან, როცა სურს სრულყოფილად გადმოსცეს ის არაჩვეულებრივი დაძაბულობა, რომელმაც ერთ-ერთი მატჩის დროს მოიცვა ტრიბუნები, იყენებს ნეოლოგიზმს „გულსულშიგანშემატკივარნი“. აი ეს ადგილი: „...გაუუჩებულ მაყურებლებს... ტანი უგრძნობდათ რაღაცა დიადს, კისერწაჭვდილნი, სანახაობის ერთ გოჯს იგებდნენ, ტუჩმოკუმულნი, დაბერილი ნესტოებით სუნთქავდნენ გულსულშიგანშემატკივარნი...“ (გვ. 53).

მოთხრობაში ნამდვილად გვხვდება უაზრო გამოთქმა „ყანგბადოვანად მანათობელი“ (და არა „მანათოვბული“, როგორც ე. ჯაველიძის წერილშია). ეს რეგვენი კარტუზოს სიტყვებია, რომლითაც იგი არანაკლებ რეგვენ ჰერცოგს მიმართავს: „უდიადესად დიდო ჰერცოგო, სახელოვანი ვრცელ-პროვინცია თქვენის წყალობით განათებული მურსიის ყანგბადოვანად მანათობელო მზევ, ხომ ძალიანი კარგად ლამაზად ბრძანდებით, ჰაა?“ (გვ. 34). აქ მარტო „ყანგბადოვანად მანათებელი“ კი არა, უამრავი სხვა უაზრობაც არის, იმიტომ, რომ ეს გონებაჩლუნგი პერსონაჟის სიტყვებია.

გ. დოჩანაშვილი ავტორისეულ მონოლოგში პ. მერიმეს კარმენის შესახებ ამბობს: „...ვის რად უყვარდი, ვერ გამიგია, თუმცა ერთი რამ მაინცა გქონდა, მცირედი რაღაც მაინც გაგაჩნდა ძლივს ღირებული... სადღაცასმაინცცოტათითოლდნავთითქოსდაიქნებ თავისუფალი იყავი, არა? ამით გვხიბლავდი? რა ვიცი, ეგებ“ (გვ. 26).

კითხულობთ ამ „უზარმაზარ“ კომპოზიტს, რომელიც მიჯრით მიწყობილი, დაყინებით განმეორებული — სიმცირისა და ალბათობის გამომხატველი სიტყვებისაგან შედგება, და ხვდებით: ის „მცირედი“, ის „ძლივს ღირებული“, რის გამოც კარმენმა ბევრ ცხოვრებისეულ სიამეზე თქვა უარი, სინამდვილეში ძალიან დიდი, „უზარმაზარი“ რამ არის... მწერალი იმიტომ კი არ თხზავს ამ კომპოზიტს, რომ ვინმე გააოცოს ან გააკვირვოს, არამედ მას სურს მის ხელთ არსებული გამომსახველობითი საშუალებებით, რაც შეიძლება სრულყოფილად გვაგრძნობინოს, რაში მდგომარეობდა კარმენის ცხოვრების აზრი. აქ ფორმისა და შინაარსის არაჩვეულებრივი ერთიანობა დიდ ესთეტიკურ სიამოვნებას იწვევს და მკითხველის ცნობიერებამდე სათქმელის ნათლად და შთამბეჭდავად მიტანას ემსახურება.

ე. ჯაველიძე წერს: „გ. დოჩანაშვილი ცდილობს სიტყვას საერთოდ მოუხსნას აზრობრივი ფუნქცია, არაფრის გამომხატველად აქციოს. როცა ამას თავისი შექმნილი ლექსიკური ერთეულებით ვერ ახერხებს, მაშინ ის გვაძლევს ისეთ სიგმატიკურ (?) წყვილებს, რომელთა შორის მოშლილია ლოგიკური კავშირი, ამავე დროს, ის უადგილოდ ხმარობს უაზრო ეპითეტებს, მაგალითად, ნატიფად უხეში, მარტივი ლოგინი, დიდად ობოლი, სალუქად საშიში, მოთმოდ (უნდა იყოს „მოთბოდ“) დამზრენი, ნატიფად უილაჯო, მშრალად ლბილი, უხამსოდ მოტკბო და სხვ.“ (გვ. 145).

დავიწყოთ „ნატიფად უხეშით“. გასაგებია, რატომაც მიიჩნევს ამას კრიტიკოსი უაზრო გამოთქმად: თუ უხეშია რამე, ნატიფი როგორღაა. მართლაც, ერთი შეხედვით, განა შეიძლება რამე ერთდროულად უხეშიც იყოს და ნატიფიც? მაგრამ, ვიდრე საბოლოო განაჩენს გამოვუტანდეთ ამ „უაზრობის“ დამწერს, მოვიძიოთ ის კონტექსტი, სადაც ეს გამოთქმა გვხვდება. აი ისიც: „...დედის ნატიფად უხეში, თბილი ხელებით იმლებოდა ბესამეს მოკლე, მარტივი ლოგინი“ (გვ. 19).

ბესამეს დედას, „სოფლის მეორე ქალს სილამაზით“, მშრომელ, მაგრამ ღარიბ დედაკაცს, ჯაფით გაუხეშებული ხელები აქვს. ეს ხელები, ცხადია, ბესამესთვისაც უხეშია, მაგრამ, სხვებისაგან განსხვავებით, ისინი მისთვის „ნატიფად უხეშია“, ეს დედის მზრუნველი ხელებია და იმიტომ. ხოლო რას ნიშნავს „მოკლე, მარტივი ლოგინი“, ვფიქრობ, სავსებით ნათელია, მას შემდეგ, რაც გავიხსენებთ, რომ ბესამეს ცხვრის ტყავზე აძინებდნენ.

„დიდად ობოლს“ ბესამე კაროს უწოდებს ავტორი. ობოლი, მოგეხსენებათ, უდედმამო ადამიანს ნიშნავს, მაგრამ ობოლიც არის და ობოლიც! ბესამეს შესახებ მოთხრობაში ვკითხულობთ: „...დედა მოუკვდა, მერე იმის დარდს წუნარად გადაჰყვა უთქმელი მამა; ნათესავთაგან არავინ შერჩა... ჩვენი ბესამეც, მამამისივით, სამისა იყო, როცა დაობლდა... სამადლოდ ცხვრის რძეს ასმევდნენ სოფლად... ადრე გაიგო დაუმსახურებელი როზგის ბევრმაგი სუსხი... ბესამე კაროს ორადორი მეგობარი — ტბა და სალამური — ჰყავდა. ცოცხლები იყვნენ — ციმციმა ტბაში თავფეხიანა გადაშვებული, უცხოდ ნაზ ალერსს გრძნობდა ბესამე, დიდად ობოლი“ (გვ. 20).

აქ იხსენიება პირველად ბესამე „დიდად ობოლად“. დიდად ობოლია ბესამე იმიტომ, რომ ბავშვს ტბის ტალღების მეტი არავინა ჰყავს მომფერებელი!

ე. ჯაველიძე განაგრძობს: „ამას თუ დავამატებთ ჯერაც გაუგონარ ზმნურ ფორმებს (შეაზუსტა, ამოესმოდა, მტკივიხარ, აწრუწმაწუნე და სხვ.) და ნაცვალსახელთა შეგნებულ არამართებულ ხმარებას, მაშინ ადვილი წარმოსადგენია, თუ რაოდენ „ამსხვრევს“ მწერალი ქართულ ენას“ (გვ. 145).

როდის აქეთ იქცა „ამოესმოდა“ „ჯერაც გაუგონარ ზმნურ ფორმად“. „ამოესმოდა“ ნიშნავს რაიმეს მოსმენას ქვემოდან, როცა ჩვენ ზემოთ ვდგავართ. მისი ანტონიმია „ჩაესმოდა“.

ახლა მოვნახოთ „მტკივიხარ“.

გ. დოჩანაშვილი წერს: „...მაგრამ მიყვარხარ, მტკივიხარ, კარმენ...“ (გვ.32). „მტკივიხარ“ ნეოლოგიზმია, ნაწარმოებია ზუსტად ისე, როგორც მის გვერდით მდგარი „მიყვარხარ“, ამიტომ მის გაუგებრობაზე ლაპარაკი შეუძლებელია. ამ ნეოლოგიზმის გამოყენებით მწერალი მეტ ექსპრესიას სძენს ნათქვამს. ეს ენის „მსხვრევა“ კი არ არის, არამედ ენაში არსებული პოტენციური შესაძლებლობის თამამი და გონივრული გამოყენება, ავტორის წინაშე მდგარი მხატვრული ამოცანის უკეთ განხორციელების მიზნით.

ნუთუ ამაზე უფრო „გაუგონარი“ ზმნური ფორმები არ შეგვხვედრია სიტყვაკაზმულ მწერლობაში? „მიაკვანე“, „აწამწამე“, „გასისხლმდინარდა“ — ვეფხისტყაოსანში გვხვდება. ასე უკონტექსტოდ ამოწერილი ესენიც ხომ „უაზრო“ ზმნური ფორმებია. მაგრამ აბა კონტექსტში ვნახოთ: „მე სამარე გამითხარე, აქა მიწა მიაკვანე“, „...ვინ გიშერი აწამწამე“, „დანა დაიცა, მო-ცა-კვდა, დაეცა გასისხლმდინარდა“. ეს ზმნური ფორმები „ჯერაც გაუგონარი“ იყო რუსთაველამდეც და არც დღეს იხმარება ქართულ ენაში, მაგრამ სწორედ ამის გამო არიან ისინი უაღრესად ეფექტურნი.

სრულიად ნათელია „შეაზუსტას“ მნიშვნელობაც თავის კონტექსტში:

„ისე ახლოდან ჩაჰყურებდა მოხუცი, რომ მის თვალებზე ვერც შეაზუსტა ბესამემ მზერა. და ბუნდოვნად გაშლილ ფერადოვან რასმე, სივრცეს ხედავდა აჭრელებულს, რადგანაც მოხუცს ასე ახლოდან მრავალი ფერის ნამცეცი ერია თვალში...“ (გვ. 26). „მზერა ვერ შეაზუსტა“ აქ ნიშნავს—„თვალი ვერ გაუსწორაო“. მაგრამ თვალს ვერ უსწორებენ მაშინ, როცა რაღაც დანაშაული მიუძღვით. აქ ეს მომენტი გამორიცხულია, ამიტომ უხერხული ორაზროვნების თავიდან ასაცილებლად მწერალი აზრობრივად სრულიად გასაგებ ნეოლოგიზმს ქმნის.

ზმნა „აწრუწმაწუნეც“, აგრეთვე კონტექსტის გარეშეა მოტანილი. მოვნახოთ ახლა ეს „გადამალული“ კონტექსტიც. მოთხრობაში ვკითხულობთ: „რა არი, ბიჭო, არაფერს არ გაჰმევდნენ სახლში? — ჩია მუსიკოსს ამოჰკრა ფეხი, — შენ ვიოლინოს აწრუწმაწუნებ? ხომ?“ (გვ. 39).

ეს წყალბურთელთა მხეცი აღმზრდელის რექსაჩის სიტყვებია. საინტერესოა, რას გვირჩევს კრიტიკოსი, როგორ უნდა მიემართა ამ არაკაცს თავისი აღსაზრდელისათვის? იქნებ ასე: „უკაცრავად, თქვენ ვიოლინოს აჟღერებთ, არა?“

ე. ჯაველიძე ხშირად უარყოფით პერსონაჟთა ცოდვებს ავტორს აბრალებს. მაგალითად, იმის დასამტკიცებლად, გ. დოჩანაშვილს იუმორის გრძნობა ღალატობსო, მას მოჰყავს იმავ რექსაჩის ვულგარული მეტყველების ნიმუში და მოულოდნელად გვეკითხება: „სად გავიცინოთ?!“ (გვ. 144). აქ არსად, რა თქმა უნდა! ამ ეპიზოდის გამო იგი ამბობს: „ზოგჯერ მწერალი ეთიკურ ჩარჩოებს სცილდება და ამით სურს იუმორის არსში და დღევანდელობაში ჩაგვახედოსო“ (გვ. 144). რანაირად შეიძლება ეთიკური ჩარჩოების დარღვევით ვინმე ჩაახედო „იუმორის არსში“ და ამავე დროს „დღევანდელობაში“! კრიტიკოსის მიერ ციტირებული ნაწყვეტით მწერალს იმის პრეტენზიაც კი არა აქვს, რომ „იუმორის არსში“ და „დღევანდელობაში“ ჩაგვახედოს (ამას მთელი ტრაქტატები არ ეყოფოდა), არამედ მისი განზრახვა ამ შემთხვევაში ბევრად უფრო მოკრძალებულია: მას სურს თავისი უარყოფითი პერსონაჟის სულში ჩაგვახედოს და ამას იგი მშვენივრად ახერხებს.

„სად გავიცინოთო“! გავიცინოთ, მაგალითად იქ, სადაც მწერალი იუმორისტული ხერხების გამოყენებით შესანიშნავად გვიხატავს თავმომწონე, მაგრამ რეგვენ ჰერცოგს: „...ბონაპარტესი არ იყოს, ორი საქმე ერთდროულად ეკეთებინა, მასაც შეეძლო — აწრიალებული ბოლთას რომ სცემდა, ეს ჯერ ერთი და, ფიქრობდა თანაც“ (გვ. 34). ამგვარი დახვეწილი იუმორით შესრულებული პასაჟი მოთხრობაში უამრავია, ამიტომ ვერ გავიზიარებთ კრიტიკოსის აზრს, თითქოს „ავტორმა ვერსად ვერ შეძლო ისეთი კომიკური სიტუაციისა და ფრაზობრივი კონსტრუქციის შექმნა, რომელიც გემოვნებით დაჯილდოებულ მკითხველს გაალიმებდა“ (გვ. 144).

ე. ჯაველიძე წერს: „ნაწარმოებში ჩატანილია სქოლიოები და მოცემულია ახსნა, მაგალითად, „მეხაზე ხაზის დამამზადებელს ნიშნავს, ხაზი კი — საჭმელია ერთგვარი“, რომელიც ძირითადად გამიზნულია სიცილის გამოსაწვევად, ვერ აღწევს თავის მიზანს“ (გვ. 144). ეს მიზანი აქ სწორედ „მინუს ხერხით“ არის მიღწეული, რაზეც ამდენს ლაპარაკობს კრიტიკოსი ამ წერილში, მოთხრობის ტექსტში ერთგან ნახსენებია „ვალენსია-ალდაბადაკრა-მადრიდის გზა“, სქოლიოში კი ვკითხულობთ: „მადრიდი — ქალაქი ესპანეთში“. წესით და რიგით, თუ აქ რაიმე განსამარტავი იყო, ალბათ უფრო ვალენსია და ალ-

დაბადაკრა და არა მადრიდი, რომელიც ყველამ იცის, რაც არის (თანაც იგი უბრალოდ „ქალაქი" კი არა, დედაქალაქია!). იუმორი აქ სწორედ „მინუს ხერხით" არის მიღწეული. ამავე დროს ეს მშვენიერი პაროდიაც არის სქოლიოებით ზედმეტად გატაცებაზე, რაც ფრიად გავრცელებული სენია ამჟამად.

ამ ნაწარმოებში თხრობის პროზაულ მანერას რიტმულად ორგანიზებული ტექსტი ენაცვლება ხოლმე. ამის გამო მოთხრობის ბოლოს ვკითხულობთ, რომ ავტორმა, ვისაც „ბევრი ჰკვამხიარული გასართობი" შეხვედრია ამ ქვეყნად, „ამოირჩია შეხვედრილთაგან ყველაზე მეტი ხელობა, პროზა, და თუ ხანდახან ლექსად უქცევდა, ოჰ, აპატიეთ, ვის არ გაგვირბის ლამაზ ქალისკენ ოხერი თვალი" (გვ. 59).

ე. ჯაველიძეს ეს „თვალის გაქცევა" თვითმიზნურ, უფუნქციო ახირებად და, რატომღაც „დასავლელი მწერლების მიბაძვად" მიაჩნია (გვ. 144). ქართულ პროზაში რიტმულად მოწესრიგებული პასაჟების არსებობა ახალი ამბავი არ არის. ასეთი რამ ჩვეულებრივი მოვლენაა, მაგალითად, ვ.ბარნოვისა და კ. გამსახურდიას შემოქმედებაში. სოსო სიგუას თავის მონოგრაფიაში— „კონსტანტინე გამსახურდიას პროზის სტრუქტურა" ამ მხატვრული ხერხისადმი მთელი ქვეთავი აქვს მიძღვნილი სათაურით „რიტმი და ინტონაცია" (გვ. 168). აქ მას მოაქვს კ. გამსახურდიას რიტმული პროზის ნიმუშები „დიონისოს ღიმილიდან", „მთვარის მოტაცებიდან", „ხოგაის მინდიადან" და დაწვრილებით საუბრობს ამ ხერხის ფუნქციაზეც. იქვე ვკითხულობთ, რომ „კ. გამსახურდიას მიდრეკილებას რიტმული ორგანიზებისადმი საწყისი და გამართლება ჰქონდა ძველქართულ პროზაში (ბიბლიის თარგმანები, ჰაგიოგრაფია, „ვისრამიანი"...) (გვ. 166).

ასე რომ, ამ ხერხის გამოყენებისას დღევანდელ ქართველ მწერალს, როგორც ვხედავთ, „დასავლელი მწერლების მიბაძვა" სრულიადაც არა სჭირდება. გ. დოჩანაშვილი თავის სხვა ნაწარმოებებშიც ხშირად იყენებს რიტმულად ორგანიზებულ მეტყველებას. ეს ხერხი მასთან ზოგჯერ ლირიკული საწყისის გაძლიერებას ემსახურება, ზოგჯერ კი ამით პათეტიკური სტილის პაროდირება ხდება. ეს არის და ეს.

ძნელი საკითხავია ამგვარი ტექსტიო, აცხადებს კრიტიკოსი. სიძნელე და სიადვილე ფარდობითი ცნებებია. ხომ არიან მკითხველები, რომელთაც სიამოვნებით წაიკითხეს ეს მოთხრობა? ე. ჯაველიძე თვითონვე წერს: „მკითხველი საზოგადოების გარკვეულ ნაწილს მოსწონს ეს ნაწარმოებიო" (გვ. 135).

მოთხრობაში არის რამდენიმე ჩართული პასაჟი — ავტორის მედიტაციები, მონოლოგები (და არა „დიალოგები", როგორც ე. ჯაველიძე წერს) პ. მერიმეს „კარმენის" თემებზე. კრიტიკოსის აზრით, ეს ჩართული ეპიზოდები „ებრძვის მიზეზ-შედეგობრივი მიმართებებით აგებულ ძირითად სიუჟეტურ ხაზს, არღვევს ნაწარმოების ლოგიკურობას, შემოაქვს აბსურდის ელემენტი და ამკვიდრებს უსისტემობას" (გვ. 140). ვინც გ. დოჩანაშვილის შემოქმედებას დაჰკვირვებია, ის უთუოდ შეამჩნევდა მისი წერის მანერისათვის დამახასიათებელ ერთ თავისებურებას: მასთან ძლიერია ესეისტური ნაკადი, რომელიც ორგანულად ერწყმის მხატვრულ ქსოვილს და სპეციფიკურ, მე ვიტყოდი, ძალზე თ ა ნ ა მ ე დ რ ო ვ ე ელფერს ანიჭებს ნაწარმოებს („საქმე", „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა"...). ეს ესეისტური ნაკადი განსახილავ მოთხრობაში სწორედ ამ ჩართული ეპიზოდების სახით გამოვლინდა. ამგვარი ჩართული ეპიზოდები, ძირითადი სიუჟეტური ხაზიდან, ერთი შეხედვით, მეტისმეტად დაცილებულ თემებზე, ჩვეულებრივი მოვლენაა „ეპიკურ" ხელოვნებაში. ამ მოთხრობაში მედიტაციებს „კარმენის" თემებზე იმის მსგავსი ფუნქცია აკისრია, რაც „ეპიკურ" დრამატურგიაში „ზონგებს", რომელთა დანიშნულება კარგად არის ცნობილი და ამაზე სიტყვას არ გავაგრძელებ. „კარმენის" ეპიზოდები ამ ნაწარმოებში „უსისტემობას" კი არ ამკვიდრებს, არამედ, პირიქით, მხატვრული იდეის გამოკვეთას ემსახურება. თავისუფლებისმოყვარე კარმენი აქ რექსაჩის „ზედმეტად" მორჩილ აღსაზრდელებს უპირისპირდება.

ე. ჯაველიძე ამ მოთხრობას დასავლური ლიტერატურის მიბაძვით შექმნილ ნაწარმოებად მიიჩნევს. იგი აცხადებს: „ეს მოთხრობა ქართული სინამდვილისათვის უცხო ესთეტიკური პრინციპებით არის დაწერილი" და სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ მასზე რეაგირებაო (გვ. 135).

რომელ პრინციპებს მიიჩნევს კრიტიკოსი „ქართული სინამდვილისათვის" ბუნებრივ ესთეტიკურ პრინციპებად? ამაზე იგი გარკვევით არაფერს ამბობს. როგორც ცნობილია, სამწუხაროდ, „ქართულ სინამდვილეში" ჯერჯერობით ორიგინალური ესთეტიკური პრინციპები არ ჩამოყალიბებულა. ყველა ლიტერატურულ მიმდინარეობას, რომელიც კი ჩვენს სინამდვილეში არსებობდა, ევროპაში მიეცა დასაბამი, რადგან იქ უფრო ადრე იქმნებოდა სათანადო სოციალურ-ეკონომიკური პირობები. მათ შორის რომელი იყო ყველაზე უფრო „ქართული?" განა შეიძლება ითქვას, რომ, მაგალითად, ქართველი რომანტიკოსი ან კრიტიკული რეალიზმის მიმდევარი მწერლები უცხოელ რომანტიკოსთა და რეალისტთა მიბაძვით წერდნენ? თუმცა კი ბევრი აქვთ მათთან ტიპოლოგიურად საერთო. გ. დოჩანაშვილსაც აქვს საერთო ტიპოლოგიურად ბრეჰტის პრინციპებთან, „ეპიკურ" ხელოვნებასთან, მაგრამ ტიპოლოგიური მსგა-

ვსება სხვაა და მიმბაძველობა და გავლენა სულ სხვა.

„ვიდრე უშუალოდ ნაწარმოების ანალიზს შევუდგებოდეთ, — აცხადებს კრიტიკოსი, — მიზანშეწონილად მიგვაჩნია თანამედროვე დასავლეთის ზოგიერთი მიმართულებისა და მათი ესთეტიკური სისტემის მოკლე მიმოხილვა“ (გვ. 135).

ე. ჯაველიძის სიტყვით, ავანგარდისტები ფიქრობდნენ, რომ „საერთოდ, ცხოვრება აბსურდია. ამიტომაც ადამიანის სიცოცხლესაც უაზრობად მიიჩნევდნენ. მათი აზრით, ადამიანის ყოფას ამქვეყნად არ აქვს ფასი და თავად ადამიანი იქმნის თავის არსებობის მნიშვნელობის ილუზიას“ (გვ. 138).

„ავანგარდი“ ფრანგული სიტყვაა და ქართულად „მოწინავე რაზმს“ ნიშნავს. განა შეიძლება ის, ვინც თავის თავს ხელოვნების „მოწინავე რაზმს“ აკუთვნებს, ადამიანის ცხოვრებას უაზრობად თვლიდეს? სწორედ რომ პირიქით: ავანგარდისტები თავიანთი შემოქმედებით კაცობრიობის უკეთესი მომავლისათვის იბრძოდნენ (თავისებური საშუალებებით, ცხადია). ბოლოს და ბოლოს, ავანგარდისტი იყო ვლადიმერ მაიაკოვსკი. დასავლური ლიტერატურის შესანიშნავი მცოდნე დ. ზატონსკი წერს: „...ავანგარდისტული ძიების საფუძველი (ამოსავალი წერტილი) იყო იმედი. ეს იმედი შეიძლება ბუნდოვანი და გაუბედავი იყო, მაგრამ იგი ადამიანის გარშემო ტრიალებდა; მის იდეალს „მსოფლიო ძმობა“ წარმოადგენდა“ (დ. ზატონსკი, ჩვენს დროში, მ., 1979, გვ. 42. რუს. ენაზე).

კრიტიკოსი „აბსურდის ხელოვნების“ გამო წერს: „ეს შემოქმედნი (იგულისხმება ადამოვი, ბეკეტი, იონესკო—ლ. ბ.) განსაკუთრებით ხაზს უსვამდნენ სამყაროს ქაოტურობას, ადამიანის სიცოცხლის უაზრობას. ისინი წარმოგვიჩენდნენ აბსურდამდე დაყვანილ დეფორმირებულ სინამდვილეს...“ (გვ. 138).

ნუთუ ის, ვინც „ადამიანის სიცოცხლეს უაზრობად“ თვლის, მოახერხებს რაიმე ღირებულის შექმნას? (არადა თვითონვე ამბობს: „ამ მოძღვრების საუკეთესო წარმომადგენლებმა... შექმნეს მაღალი რანგის მხატვრული ქმნილებებიო“ — გვ. 138). ვინც ადამიანის სიცოცხლეს უაზრობად თვლის, ის, საერთოდ, ვერ შექმნის და არც შექმნის რამეს. „აბსურდის ხელოვნების“ წარმომადგენლები თავიანთი შემოქმედებით იმას კი არ ქადაგებენ, მთელი სამყარო აბსურდია და არსებობა უაზროაო. ისინი მშვენივრად გრძნობენ რა არის ამქვეყნად აბსურდული და რა გონივრული. მხატვრული აბსურდით ისინი ცხოვრებისეულ აბსურდს ებრძვიან. ასეა ეს ობიექტურად.

ერთ წერილში ჩვენ ვწერდით: „არაფერია იმაზე ადვილი, ვიდრე ამგვარი ხელოვნების (ვგულისხმობდით ბრეჰტის პრინციპებზე დაფუძნებულ ხელოვნებას) კრიტიკა ტრადიციული პოეტიკის პოზიციებიდან. გაცილებით ძნელია (მაგრამ უაღრესად საჭირო!) ამ პრინციპებში გარკვევა და მათი მიღება; ძნელია რადგან ეს თანმიმდევრულ დიალექტიკურ აზროვნებას მოითხოვს, რაც ადამიანთა დიდ ნაწილს, როგორც ჩანს, პრაქტიკულად ჯერ კიდევ უჭირს“.

ე. ჯაველიძე წერს: „...კრიტიკოსისა და ლიტერატურათმცოდნის დანიშნულება ის კი არ არის, თითი უქნიოს მკითხველს და გამოაცხადოს ის დიალექტიკურ აზროვნებას მოკლებულ ადამიანად, როცა ეს უკანასკნელი ამა თუ იმ მიმდინარეობას არ მიიღებს და არ მოიწონებს, არამედ, პირიქით, უნდა ახსნას და განმარტოს, თუ რა არის ხელოვნების ძეგლის საიდუმლოება...“ (გვ. 129).

ბრეჰტის ხელოვნება რომ მეტაფიზიკურად მოაზროვნე ადამიანს ბევრს ვერაფერს აძლევს, ეს საყოველთაოდ ცნობილია. თანმიმდევრული დიალექტიკური აზროვნება რომ ძნელია, არც ეს გახლავთ ჩვენი „აღმოჩენა“. იგი ძალიან უჭირს არა თუ „რიგით“ ადამიანს (ვინც ჩვენ გვყავდა მხედველობაში), არამედ დიდ მეცნიერებსა და მოღვაწეებსაც კი. ფ. ენგელსი წერს: „...თითებზე შეიძლება ჩამოითვალოს იმ ბუნებისმეტყველთა რიცხვი, რომელთაც ისწავლეს დიალექტიკური აზროვნება“. ნუთუ ესეც „თითის ქნევაა“ და არა რეალურად არსებული ვითარების კონსტატაცია? ფ. ენგელსი იქვე განმარტავს, რატომ არის დიალექტიკურად აზროვნება მეტაფიზიკურად აზროვნებაზე ძნელი. მეტაფიზიკურად მოაზროვნისათვის, წერს იგი „საგანი ან არსებობს, ან არ არსებობს; (მისთვის) აგრეთვე შეუძლებელია საგანი ერთსა და იმავე დროს თავისთავიც იყოს და სხვაც... აზროვნების ეს წესი პირველი შეხედვით სავსებით ცხადი გვგონია იმიტომ, რომ იგი ეგრეთწოდებული საღი ადამიანური განსჯის დამახასიათებელია. მაგრამ საღი ადამიანური განსჯა, რომელიც მეტისმეტად პატივსადები თანამგზავრია შინაურობაში, ოთხ კედელს შუა, გასაოცარ თავგადასავალს განიცდის, როცა კი გაბედავს კვლევა-ძიების ფართო ასპარეზზე გამოსვლას“.

ნუ დავიწყებთ იმის მტკიცებას, რომ ამ სიძნელეებისაგან თანამედროვე ადამიანის აზროვნება უკვე თავისუფალია. ე. ჯაველიძის მეთოდი, რომლითაც იგი გ. დოჩანაშვილის მოთხრობას განიხილავს, მეტაფიზიკური მეთოდია. დიალექტიკური მიდგომა მოითხოვს მოვლენების არა იზოლირებულად, არამედ ერთმანეთთან კავშირში განხილვას, ამიტომ კონტექსტიდან ამოგლეჯილი ცალკეული სიტყვებისა და ფრაზების მიხედვით მწერლის ენაზე, მის შემოქმედებითს პრინციპებზე მსჯელობა არ შეიძლება. აკი ე. ჯაველიძე თავად წერს, „როცა ვსაუბრობთ რომელიმე ხატის ორიგინალურობაზე, უპირველეს

ყოვლისა, უნდა ამოვიდეთ კონკრეტული კონტექსტიდან“ (გვ. 128).

არ შეიძლება უარყოფითი პერსონაჟის აზრები ავტორის პოზიციად გავასაღოთ, მაგრამ მოთხრობაზე საუბრისას იგი რექსაჩის კაცთმოძულე იდეებს ამ ნაწარმოების ავტორს მიაწერს. კერძოდ, ე. ჯაველიძე წერს: „ცხოვრება მწერლის პაროდიული დახატვით, თამაშია, სადაც მთავარია გამარჯვება. უფრო სწორად, ადამიანთა ურთიერთობა მას აგონებს წყალბურთს — ვატერპოლოს, რომლის დროსაც მოთამაშეები წყალზემოთ ძალზე მორიდებულად და ეთიკურად ღირსეულად ექცევიან ურთიერთს, ხოლო სინამდვილეში, ე. ი. წყალსქვევით, არ ერიდებიან არავითარ ხრიკებს და საშუალებებს, რათა გამარჯვებას მიაღწიონ“ (გვ. 139).

უნდა ითქვას, რომ მწერალს კი არ აგონებს ადამიანთა ურთიერთობა წყალბურთს, არამედ მოთხრობის უარყოფით პერსონაჟს კაცთმოძულე რექსაჩს. ე. ჯაველიძეს ხომ თვითონვე მოაქვს იქვე რექსაჩის სიტყვები, სადაც ეს აზრებია გამოთქმული. ამ ნაწარმოებში მწერალი რექსაჩის მხარეზე კი არა, არამედ კეთილშობილი მუსიკოსის ქრისტობალდ როხასის მხარეზეა, რომელმაც საბოლოოდ კიდევაც დაიხსნა ბესამე ამ კაციჭამია მწვრთნელისაგან.

კრიტიკოსი წერს: „მწერალი უფრო შორს მიდის. ის დასცინის ზოგადად ადამიანის ყოფასა და ცხოვრებას...“ (გვ. 139).

მწერალი „ზოგადად ადამიანის ყოფასა და ცხოვრებას“ კი არ დასცინის, არამედ ის დასცინის მხოლოდ იმას, რაც დაცინვას იმსახურებს. კერძოდ, ამ მოთხრობაში იგი არ დასცინის უკეთილშობილეს როხასს, არ დასცინის უსათნოეს რამონას, არ დასცინის არც ბესამე კაროსა და მის მასწავლებლებს კონსერვატორიიდან (გონებაშეზღუდულ კარტუზოს გარდა), რომელთა შესახებაც მოთხრობაში ვკითხულობთ: „მაესტროთაგან თითქმის ყველანი კარგები იყვნენ: თეორიისა — წვერმოშვებული თამამი კაცი, სოლფეჯიოსი — მზერანათელი, კანონებივით მკაცრი თითებით კლავესინზე დაბჯენილი...“ და ა. შ. (გვ. 28).

კრიტიკოსი წერს: „გ. დოჩანაშვილის ამ მოთხრობაში პაროდიული დამოკიდებულება იგრძნობა ყველაფრისადმი და განსაკუთრებით კი ტრადიციულისადმი“ (გვ. 148). ამ მოთხრობაში პაროდიული დამოკიდებულება არ იგრძნობა, მაგალითად, სამუსიკო ხელოვნებისა და მუსიკოსებისადმი. და, რაც მთავარია, სწორედ ტ რ ა დ ი ც ი უ ლ ი მუსიკაა განსაკუთრებით დიდ პატივში. მოთხრობის ბოლოს ჩამოთვლილია კომპოზიტორები: ბახი, ჰენდელი, მოცარტი, ვივალდი, როსინი, ვერდი, რომელთაც ავტორი „სათაყვანებელ ხალხს“ უწოდებს (გვ. 59).

კრიტიკოსი წერს: „...მწერალი ცდილობს შემოიტანოს აბსურდის ელემენტი, რათა მკითხველს ამ გზით კიდევ უფრო ნათლად დაანახოს სამყაროს უაზრობა და აბსურდულობა“ (გვ. 145). პირიქით, მოთხრობა სიკეთისა და გონიერების გამარჯვებით მთავრდება. თვითონ ე. ჯაველიძე წერილის ბოლოს წერს: „მისი (გ. დოჩანაშვილის — ლ. ბ.) ღრმა რწმენით, სიკეთე ბოლოს მაინც გაიმარჯვებს ბოროტებაზე. ამაზე მეტყველებს თუნდაც ამ მოთხრობის ფინალიო“ (გვ. 146). კი მაგრამ, როგორ შევუთანხმოთ ერთმანეთს მისი ეს ორი ურთიერთგამომრიცხავი დებულება?!

მოთხრობის ფინალს კრიტიკოსი ასე განმარტავს: „ეს სიმბოლური კონტექსტი ადვილი ასახსნელია. თანამედროვე ცივილიზაცია კარგს არაფერს უქადის ადამიანს, რომლის უმწიკვლო და უცოდველი სული, ძალმომრეობის და უხეში ფიზიკური ძალის წყალობით, ჭუჭყში და ბნელეთში ეფლობა... მაგრამ ხელოვნების მეშვეობით, ანუ ამაღლებულის წყალობით, იბრუნებს თავის დაკარგულ პირველ სახეს. ბესამე გაურბის ცივილიზებულ ქალაქს, სადაც პოლიტიკური ძალმომრეობა, უხეში ფიზიკური ძალა, ფული და ჭუჭყი ბატონობს, და უბრუნდება სოფელს, რომელიც პირველყოფილი უცოდველობის სიმბოლოდ გვევლინება“ (გვ. 142).

მოთხრობაში მინიშნებაც კი არ არის „თანამედროვე ცივილიზაციის“ ავკარგზე. კრიტიკოსის აზრით, ამ ნაწარმოებში ქალაქისა და სოფლის ურთიერთდაპირისპირების პრობლემა დგას და ავტორი უპირატესობას სოფელს ანიჭებს, რაც ასე არ უნდა იყოს: ის ქალაქი, სადაც ბესამე მუსიკას სწავლობდა, მარტო სიბნელის, ძალმომრეობის, ფულისა და ჭუჭყის ასპარეზი კი არ არის, ან, სხვა სიტყვებით, მარტო მორალესებისა და რექსაჩების სათარეშო მოედანს კი არ წარმოადგენს, არამედ ამ ქალაქში დგას, აგრეთვე, ხელოვნების ტაძრის, კონსერვატორიის თეთრი, ნათელი შენობა, სადაც კეთილშობილი და ძლიერი ადამიანები მოღვაწეობენ. ხოლო, რაც შეეხება სოფელს, რომელიც „პირველყოფილი უცოდველობის სიმბოლოდ“ წარმოუდგენია კრიტიკოსს, სამწუხაროდ, იგი ვერ შეასრულებს ამ ფუნქციას, თუ გავიხსენებთ, რა გატანჯული ბავშვობა გაატარა ბესამე კაროშ „პირველყოფილი უცოდველობის“ სამყაროში, რამდენი სიავე და გაჭირვება იწვნია იქ ამ „დიდად ობოლმა“.

ამგვარი დასკვნები გამოიტანა კრიტიკოსმა ნაწარმოების ფინალიდან და შემდეგ თვითონვე გაუკვირდა: „უნდა ვაღიაროთ, ასეთ ტრადიციულ ფინალს ამ მოთხრობის კითხვისას არ მოველოდით“ (გვ. 142).

ამ ნაწარმოებში არც დიქტატორის პრობლემა დგას. ტყუილად ახსენებს კრიტიკოსი ამასთან დაკავშირებით მარკესის „პატრიარქის შემოდგომას“ (გვ. 189). ე. ჯაველიძის სიტყვით: „...ბესამეს მოხუცი მუსიკოსი ჩამოიყვანს მუსიკის

ტრადიციებით მდიდარ ქალაქში, ალკარასში, რომელსაც განაგებს დიქტატორი" (გვ. 140). ლოპეს დე მორალესს არაფერი სცხია დიქტატორისა, იგი ერთი რიგითი ჰერცოგი და თანაც მეტად გონებაჩლუნგი ადამიანია. ის თვითონვე ამბობს ერთგან: „მე რა, რითი ვარ სხვა ჰერცოგებზე ბევრად ნაკლები?" (გვ. 85). განა ეს დიქტატორის ნათქვამს გავს?

გ. დოჩანაშვილის ამ მოთხრობის იდეურ შინაარსზე ჩვენ ვრცლად ვილაპარაკეთ „ლიტერატურულ საქართველოში" გამოქვეყნებულ რეცენზიაში (1982, № 4) და აქ ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. უმთავრესი ის არის, რომ ამ ნაწარმოებიდან გამოსჭვივის დიდი სითბო და სიყვარული ადამიანების მიმართ, რასაკვირველია, მთელი იმ სიძნელეების გათვალისწინებით, რაც ყოველთვის ახლავს ადამიანურ ურთიერთდამოკიდებულებებს.

ახლა რაც შეეხება ბესიკ ხარანაულის ლექსს „კარტოფილის ამოღებას". ამ, მართლაც, უაღრესად საინტერესო და ორიგინალური პოეტის შემოქმედებაზე კრიტიკოსი, საერთოდ, ძალიან მაღალი აზრისაა. მისი სიტყვით, „თუ ვერლიბრი დამკვიდრდა ქართულ სინამდვილეში და არსებობის უფლება მოიპოვა, ეს ნიჭიერი პოეტის ბესიკ ხარანაულის დამსახურებაცაა. ვისაც მისი ლექსები და განსაკუთრებით კი პოემა „ხეიბარი თოჯინა" გულდასმით წაუკითხავს, — წერს ე. ჯაველიძე,—არ შეიძლება ჩვენი აზრი არ გაიზიაროს. ბესიკ ხარანაულის თავისუფალი ლექსი მკითხველის ყურადღებას იქცევს, უპირველეს ყოვლისა, მკვეთრად ცვალებადი და მრავალფეროვანი რიტმული ორგანიზაციით, სამყაროს მოვლენათა სავსებით ორიგინალური აღქმით, ჯერაც არ ნახული, „გონით მიუაზრებელი" პოეტური ხილვებით და, რაც მთავარია, აზრობრივი სიღრმითა და პრობლემის მოაზრების საკუთარი ხელწერით" (გვ. 182).

ოღონდ, კრიტიკოსის აზრით, ბ. ხარანაულის რამდენიმე ლექსი — „კარტოფილის ამოღება", „ყურის ტკივილი, ბავშვი და დედ-მამა", „მეგობრის წერილი ბავშვობის აგარაკიდან" „მოღალატე ცოლები" — ვერ დგას სათანადო მხატვრულ დონეზე. მათზე მსჯელობის აუცილებლობას კრიტიკოსი ასე ასაბუთებს: „საერთოდ, არ არსებობს შემოქმედი, რომელსაც არ გააჩნდეს მეტ-ნაკლებად სუსტი და ძლიერი ლექსი.. ამიტომაც, როცა ამდენი ნიჭიერად დაწერილი ლექსი აქვს პოეტს, იქნებ არც ღირდეს მის, ასე ვთქვათ, „სუსტ" ლექსებზე შეჩერება. მაგრამ კონკრეტულ შემთხვევაში სხვა ვითარებასთან გვაქვს საქმე: ჯერ ერთი, ეს ლექსები არსებული ლიტერატურული მოდის გამო მოწონებას იმსახურებს პროფესიონალურ თუ არა პროფესიონალურ წრეებში და, მეორეც, რაც მთავარია, ამჯერად საქმე გვაქვს არა შემთხვევით ჩავარდნასთან, არამედ პოეტის შეგნებულ შემოქმედებით პოზიციასთან და, თუ შეიძლება ასე ითქვას, წინასწარ განზრახულ პოზასთან" (გვ. 132).

ზემოთ ჩამოთვლილი ლექსებიდან, რომლებიც, კრიტიკოსის აზრით, პოეტს არ გამოუვიდა, იგი მხოლოდ „კარტოფილის ამოღებას" განიხილავს. ე. ჯაველიძის სიტყვით, „ეს ლექსი, თუ შეიძლება მას საერთოდ ლექსი ვუწოდოთ, ჭეშმარიტი პოეზიის სიმაღლეზე ვერ დგას" (გვ. 134), „უფრო მეტიც, ეს ლექსი, ეშვება ყოველგვარ პოეზიაზე დაბლა და, საერთოდ, მოკლებულია იმ ზემოქმედების უცილობელ ძალას, რომელიც, როგორც წესი და აუცილებელი პირობა, ყველა მხატვრულ ძეგლს უნდა გააჩნდეს" (გვ. 184).

ამის მიზეზი, ე. ჯაველიძის აზრით, ის არის, რომ ლექსი წვრილმან თემაზეა დაწერილი და პოეტი „ვერ ახერხებს ამ წვრილმანების მხატვრულ დონეზე განზოგადებას და იმ პირობითობამდე ამაღლებას, რაც უნდა ახასიათებდეს ხელოვნებას, როგორც ცნებას და რაზეც, ჯერ კიდევ, არისტოტელე წერდა" (გვ. 134-135). სხვა ადგილას იგი აღნიშნავს, რომ „გამიზნულმა „უბრალოებამ" პოეტი პრიმიტივიზმამდე მიიყვანა" (გვ. 134) და „მთელი ეს ვრცელი ნაწარმოები იკითხება დუნედ და პროზისა და პოეზიის ზღვარზე ლასლასებს" (გვ. 134).

იმის ნათელსაყოფად, რომ ლექსი უბრალო და უინტერესო ამბების უბრალო და უინტერესო გადმოცემად დარჩა და ვერ ამაღლდა ჭეშმარიტი პოეზიის დონემდე, კრიტიკოსი გადმოგვცემს ამ ლექსის შინაარსს. იგი წერს: „პოეტი მოგვითხრობს კარტოფილის მოპოვების ისტორიას, როგორ ილებდნენ მას მეორე სამამულო ომის დროს, როგორ ცვლიდნენ სხვა პროდუქტებში; როგორ ილებენ ახლა... მერე გადმოგვცემს თავის განსჯას ამ პროცესთან დაკავშირებით: „ამოვთხაროთ ჩვენი წარსული, ამოვყაროთ ოქროები, პირი ვუჩინოთ, ოთხ-ხუთ საათს მოვიწყინოთ, გული დავიტკბოთ და მერე ისევ გაისამდე მიწაში ჩავფლათ". პოეტს არ ავიწყდება გადმოგვცეს თავისი ამბოხი დედის წინააღმდეგ, რომელიც ყოველ გაზაფხულზე უთვლის - კარტოფილი „უნდა დავთესოთ", ხოლო შემოდგომაზე მოუწოდებს—„უნდა ამოვილოთ." მაგრამ ბოლოს პოეტის ამბოხი იმით მთავრდება, რომ აიკრავს გუდა-ნაბადს და მიდის თიანეთისკენ. შარშან კი კარტოფილის ამოსაღებად თავისი თხუთმეტი წლის ვაჟიც წაიყვანა, რომელმაც კარტოფილის ამოღებას ტოლ-ბიჭებთან თამაში ამჯობინა. ბოლოს „კარტოფილის ამოღება" „სენტიმენტური ვახშმით" მთავრდება"... (გვ. 138).

სრულიად აშკარაა, რომ აქ უგულებელყოფილია ამ ლექსის დრამატიზმი, რაც გარკვევით იკითხება ნაწარმოების გარეგნული, მოჩვენებითი უბრალოების მიღმა. მხედველობიდან გამორჩენილია რამდენიმე უაღრესად მნიშვნე-

ლოვანი მომენტი. საქმე ის არის, რომ ეს კარტოფილი, რომელზეც ამდენი ლაპარაკია ლექსში, როგორც საკვები პროდუქტი, არც ერთ პერსონაჟს არ აინტერესებს. ეს სავსებით ნათლად ჩანს შვილის ამბოხის გამომხატველი სტრიქონებიდან:

განა რა გახდა ბოლოს და ბოლოს,
ორი ტომარა მთელ წელსა გვყოფნის,
განა ღირს იმად, რომ ამდენს ვწვალობთ!
გაზაფხულზე იწერები — უნდა დავთესოთო,
შემოდგომაზე — ამოვიღოთო!

მოკლედ, ირკვევა, რომ კარტოფილი მხოლოდ საბაბია წელიწადში ორჯერ დედა-შვილის მშობლიურ მიწაზე ერთმანეთთან შესახვედრად. მოვიგონოთ, როცა შვილიშვილიც ჩაუყვანა სოფელში დედას, იგი „ლამის ანც გოგოს დაემსგავსა, ლამის დაავიწყდა, რომ ჩვენ კარტოფილი უნდა ამოგვეღო“, „და ისეთი უსუსური იყო იგი ამ სიხარულში, როგორც არასდროს არც ერთ გასაჭირში არა ყოფილა“. იქვე ვკითხულობთ: „სულ ასიოდე ძირილა გვითესია, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს!“

სრულიად აშკარაა, რომ აქ კარტოფილს დაკარგული აქვს თავისი ძირითადი ფუნქცია, იგი გაუცხოებულია თავისი თავისაგან, შესაბამისად ასევე გაუცხოებულია თავისი თავისაგან მისთვის გაწეული შრომაც. ეს უკვე სიმბოლური შრომაა, იგი უფრო მშობლიური მიწის მოფერების რიტუალს ჰგავს, ვიდრე სარჩოს მოპოვების პროცესს:

მაგრამ სულ სხვაა ამოღება —
შედეგი, ძიება და სიხარული.
შრომა, რა თქმა უნდა, დიდი არ უნდა,
მით უმეტეს, როცა ორნი იღებენ ხოლმე.
ერთი რომ ბარით კარტოფილს ამოჰყრის —
მეორე აჰკრეფს.
როცა დედაჩემი მიწას აცლის კარტოფილს,
ანდა
სადმე დამალულს ეძებს თავის გრძნეულ
თითებით,
მე, ბარის ტარს დაყუდებული
ვუყვები რამეს,
ხოლო როდესაც
ახალ ორმოს თხრას შევუდგები,
ის მეტყვის რამეს...

ეს შრომა, რაკი იგი მშობლიურ მიწასთან, ბავშვობასთან, შვილის მშობელთან მიახლების საშუალებაა, ამის გამო სასიამოვნო და სახალისო პროცესია. მაგრამ, მეორე მხრივ, რაკი იგი საარსებოდ აუცილებელი შრომა აღარ არის, ამიტომ არსებითად უკვე ბუტაფორიადაა ქცეული. ლექსში ასახული შრომითი პროცესის ეს შინაგანი წინააღმდეგობა არის სწორედ დრამატიზმის საფუძველი. ამას კარგად გრძნობს სამივე პერსონაჟი: დედაც, შვილიც და შვილიშვილიც. დედა-შვილი ჯერ-ჯერობით მაინც ახერხებს ამ შრომას „ნამდვილი“ შრომის ელფერი შეუნარჩუნოს, ისინი ახერხებენ ითამაშონ „ნამდვილი“ შრომა, იმიტომ, რომ ამ მიწასთან თავიანთი წარსულით, თავიანთი ტკბილ-მწარე მოგონებებით არიან დაკავშირებულნი. სამაგიეროდ, შვილიშვილს, რომელიც აქ სტუმრად გრძნობს თავს, არავითარი ხალისი არა აქვს მონაწილეობა მიიღოს ამ სიმბოლურ, პირობით შრომაში. დედა-შვილს შორის არსებულ კონვენციას იგი არ უერთდება, უფრო სწორად, ვერ უერთდება... მშობელ მიწასთან დამაკავშირებელი ძაფი მეტისმეტად სუსტია:

ჯერ კიდევ ჰკიდია ყუნწს ფოთოლი,
მაგრამ ქარი უკვე გზაშია.

ეს ორაზროვანი შინაარსის სტრიქონებია: ემპირიულ პლანში აქ ნამდვილ ფოთოლზეა ლაპარაკი, მაგრამ სიმბოლური პლანიც სრულიად აშკარაა: მშობლიურ მიწასთან კავშირი საცაა უნდა გაწყდეს.

ახლა ორიოდე სიტყვა კარტოფილის როლზე ამ ნაწარმოებში. კრიტიკოსის აზრით, რაკი პოეტი ლექსის თემად კარტოფილის ამოღებას ირჩევს, ამით „მას სურს მოულოდნელობის, სიახლისა და ორიგინალურობის ელემენტით მოახდინოს ეფექტი მკითხველზე“ (გვ. 132-133), რადგან, მისივე სიტყვით, „ბესიკ ხარანაულს კარგად აქვს გაცნობიერებული, რომ ქართველი კაცის ფსიქიკისათვის კარტოფილის ამოღება არავითარ ესთეტიკურ და პოეტურ განცდას არ წარმოადგენს. ყოველ შემთხვევაში, ვენახი და კარტოფილი ესთეტიკური ფენომენის მოაზრების თვალსაზრისით ქართველი მკითხველისათვის ტოლფარდი ცნებები არ არის“ (გვ. 132).

გამოდის, თითქოს პოეტის უმთავრესი საფიქრალი ის ყოფილა, რომ როგორმე გაეოცებინა და გაეკვირვებინა მკითხველი. ეს მხოლოდ ზედაპირული შთაბეჭდილებაა. სინამდვილეში კარტოფილს ამ ლექსში ბევრად უფრო მნიშვნელოვანი და საინტერესო ფუნქცია აკისრია, იგი აქ შეუცვლელი „პერსონაჟია“. საქმე ის არის, რომ კარტოფილის მოწევის პროცესი ისეთი პროცესია, რომელიც გვაიძულებს უშუალოდ, ხელშესახებად (ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით) დავუკავშირდეთ მიწას (მოვიგონოთ: „როცა დედაჩემი მიწას აცლის კარტოფილს, ანდა სადმე დამალულს ეძებს თავის გრძნეულ თითებით...“). ხოლო, რაკი კარტოფილს ამ ლექსში თავისი ძირითადი ფუნქცია დაკარგული აქვს და მხოლოდ მშობლიურ მიწასთან მიახლების საბაბად არის ქცეული, ამიტომ მისი მოპოვების პროცესი, არსებითად, მშობლიური მიწის მოფერების პროცესია, გარეგნულადაც კი. ამიტომ სრულიად ცხადია, რომ მას ამ ლექსში ვერც ვაზი და ვერც სხვა რომელიმე კულტურა

ვერ შეცვლის. ეს არის აქ ამ უსულო „პერსონაჟის“ ფუნქცია.

როგორც კი ვხვდებით, რომ ამ ლექსში კარტოფილი მისი ძირითადი დანიშნულებით არავის აინტერესებს, მაშინვე საცნაური ხდება შინაგანი კომიზმით შეფერილი სიტუაცია, რომელშიც ეს უტყვი „პერსონაჟი“ მოულოდნელად აღმოჩნდა, როგორც ის ლ ო ბ ე ცნობილი ქართული ანდაზიდან, რომელსაც ყურძნის სიყვარულით ეფერებიან. ამავე დროს, ისიც სრულიად აშკარაა, რომ არც იმ ლობეს და არც ბ. ხარანაულის კარტოფილს თვითონ არავითარი ბრალი არ მიუძღვით იმაში, რომ კომიკურ ვითარებაში აღმოჩნდნენ, მათ ეს არაფრით დაუმსახურებიათ. ამის გამო ეს კომიკური სიტუაცია ამავე დროს დრამატულიც არის. ეს უცნაური დრამატული კომიზმი, ბუნებრივია, რაღაც დოზით პერსონაჟთა მდგომარეობაზეც ვრცელდება, რაც კარგად იგრძნობა ლექსის ფინალში:

„ვახშამი ამჯერადაც სენტიმენტალური გვქონდა. — „კარგი ვქენით, რომ ამოვიღეთ და არ გადავდეთ, წვიმები რომ დაიწყოს... მერე ასეთ დროს... განიერება იცის ხოლმე და მიწაში ჩაგვილპებოდა“. მე დავლიე ერთი-ორი ჭიქა ჩვენი არყისა და დედაჩემს ვუმტკიცებდი, რომ ყველაფერი კარგად მიმდის, რომ გაზაფხულზე ჩამოვალ და კარტოფილს დავთესთ. ის, ასეთი პატარა და თითქმის მოხუცი მისმენდა მე, ჩემს ალთაბალთას, რაღაცის თქმაც დააპირა — დიდი რაღაცის, მაგრამ შემდეგ გადაიფიქრა, ის რაღაცა ნერწყვს ჩააყოლა... არ შეუძლია მას იოლი ლაპარაკი არც მიწაზე, არც ცხოვრებაზე, არც ზამთარზე და არც გაზაფხულზე, არც პურზე და არც კარტოფილზე, ყველაფერი ძალზე რთულია, ძალზე რთულია და ძალზე ძნელი“.

თითქოს დედა კმაყოფილი უნდა იყოს: შვილი და შვილიშვილი ჩამოუვიდა, კარტოფილი ამოიღეს, ჰპირდებიან გაზაფხულზე ისევ ჩამოვალთ და დავთესოთო. დედასაც ხომ ეს უნდოდა, რაღა აწუხებს, რამ დაანაღვლიანა? იგრძნობა, რომ ეს მოახლოებული დროებითი განშორებით გამოწვეული სევდა არ უნდა იყოს, ეს უფრო „დიდი რაღაცაა“, სიტყვით ძნელად გამოსათქმელი („...რაღაცის თქმაც დააპირა, დიდი რაღაცის, მაგრამ შემდეგ გადაიფიქრა...“) — აშკარაა — დედა გრძნობს ვითარების ბუტაფორიულობას.

ასე რომ, სრულიად ბუნებრივ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ, თუკი ეს ლექსი, — როგორც ე. ჯაველიძე ამბობს, — „მოწონებას იმსახურებს პროფესიონალურ თუ არა პროფესიონალურ წრეებში“.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გურამ შარაძე

# წერილები უორდროპებისადმი

უორდროპები წარჩინებული ინგლისური არისტოკრატული გვარია. მათი საგვარეულო მამული და სასახლე ლონდონთან ახლოს, სევენოუქსში (ქართულად „შვიდმუხას“ ნიშნავს) მდებარეობს.

ამ გვარის ღირსეული წარმომადგენელია თომას უორდროპი (25. II. 1836 — 22. VIII. 1905) და მისი მეუღლე მარჯორი (12. IV. 1839 —1. IX 1918), რომელთაც სამი შვილი ჰყავდათ: ოლივერ (10. X. 1864 — 19. X. 1948), თომას (25. XI. 1867 — 22. V 1932) და მარჯორი (26. XI. 1869 — 7. XII. 1909) უორდროპები. როგორც ვხედავთ, უმცროსი ქალ-ვაჟისათვის დედ-მამას თავიანთი სახელები დაურქმევიათ.

ოლივერ უორდროპმა საუნივერსიტეტო განათლება ოქსფორდში მიიღო და მოგზაურობით ყოფილა გატაცებული. ერთ-ერთი ასეთი მოგზაურობის დროს, კერძოდ, 1887 წლის აპრილში ჭაბუკი ოლივერი საქართველოში ჩამოსულა და მოუვლია ჩვენი სამშობლოს თითქმის ყველა კუთხე: ყოფილა ბათუმში, ქუთაისში, თბილისში, დაწვრილებით მოუხილავს კახეთი და ხევშიც კი ასულა. საქართველოს სტუმარს მასპინძლობდნენ ჩვენი ქვეყნის სახელოვანი შვილები და მათ შორის უპირველესნი — ილია ჭავჭავაძე და ივანე მაჩაბელი. მათ ისეთი თვალით დაანახეს ახალგაზრდა ინგლისელს საქართველო, ისე შეაყვარეს მისი წარსული დროება და უძველესი კულტურა, ისე ღრმად აგრძნობინეს ქართველი ხალხის აწმყო და ყოფა-ცხოვრება, რომ ინგლისში დაბრუნებისთანავე წარუშლელი შთაბეჭდილებებით აღსავსე ოლივერ უორდროპს დაუწერია შესანიშნავი წიგნი: „საქართველოს სამეფო“, რომელიც 1888 წლის სექტემბერში უკვე გამოსულა კიდეც ლონდონში. რაც ყველაზე მეტად საყურადღებოა, სწორედ ამ წიგნს გაუღვივებია საქართველოსადმი ინტერესი ოლივერის უმცროსი და სათაყვანო დისთვის — მარჯორისთვის, რომელიც მოგვიანებით, კერძოდ, 1894 წელს, ლონდონში გამოცემული „ქართული ხალხური ზღაპრების“ მისეულ ინგლისური თარგმანის წინასიტყვაობაში გამოტეხილად წერდა: „ჩემი ძმის მიერ დაწერილმა წიგნმა რამდენისამე წლის წინათ პირველად მიიზიდა ჩემი ცნობისმოყვარეობა და აღმიძრა გულში ინტერესი საქართველოსი და იმისის მხნე და მშვენიერის ერისა“.

ყმაწვილი ქალი დამოუკიდებლად შეუდგომია ქართული ენის შესწავლას მარი ბროსეს „ქართული ენის თვითმასწავლებლის“ (პარიზი, 1834) და სახარების ქართული თარგმანის მეშვეობით და სულ მალე საკმაო წარმატებისთვის მიუღწევია.

ამასობაში, კერძოდ, 1891 წელს, ოლივერ უორდროპი დიდი ბრიტანეთის ელჩის პირად მდივნად განაწესეს პეტერბურგში და ოლივერმა თავისი დაც თან წამოიყვანა რუსეთის იმპერიის სატახტო ქალაქში. აქ მათ გაიცნეს პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლური ფაკულტეტის ქართული ენის პროფესორი, გამოჩენილი ქართველი მეცნიერი ალექსანდრე ცაგარელი, რომლის დახმარებით მარჯორი უორდროპი ქართულსაც სწავლობდა და თან შეუდგა „ქართული ხალხური ზღაპრებისა“ და „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისურ ენაზე გადათარგმნას.

ამის შემდეგ საყოველთაოდ ცნობილია, და აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ, თუ რა დიდი ღვაწლი დასდეს მარჯორი და ოლივერ უორდროპებმა ქართულ კულტურას: „ქართული ხალხური ზღაპრები“ (ლონდონი, 1894), სულხან-საბა-ორბელიანის „წიგნი სიბრძნე-სიცრუისა“ (ლონდონი, 1894), ილია ჭავჭავაძის „განდეგილი“ (ლონდონი, 1895), „წმინდა ნინოს ცხოვ-

რება" (ოქსფორდი, 1900), „ვეფხისტყაოსანი" (ლონდონი, 1912), „ვისრამიანი" (ლონდონი, 1914), „გიორგი ბრწყინვალის ძეგლის-დება" (ლონდონი, 1914), ილია ჭავჭავაძის „ქართვლის დედას" (1919 წ.) პირველად სწორედ მათი თარგმანებით გახდა ცნობილი ინგლისურენოვანი სამყაროსათვის, ხოლო „ვეფხისტყაოსნის" კონსტანტინე ბალმონტისეული პირველი სრული რუსული პოეტური თარგმანის განხორციელებაზომ მარჯორი უორდროპისეულმა სწორუპოვარმა ინგლისურმა თარგმანმა განაპირობა!

ამას გარდა, 1911 წელს, ლონდონში, ინგლისის სამეფო სააზიო საზოგადოების ჟურნალის ივლისის ნომერში გამოქვეყნდა ოლივერ უორდროპის „ინგლისურ-სვანური ლექსიკონი". ამავე წელს, ლონდონში, „თეოლოგიური შტუდიების ჟურნალის" მე-12 ტომის № 48-ში დაიბეჭდა ოლივერ უორდროპის მიერ ინგლისურად თარგმნილი პროფ. ალ. ცაგარლის „ათონის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა" (სპბ., 1886), ხოლო ალ. ცაგარლისავე „იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა" (სპბ., 1889) ოლივერ უორდროპს ჯერ კიდევ 1894 წელს ჰქონდა თარგმნილი და გამოქვეყნებული ბოსტონის „ბიბლიური ლიტერატურის ჟურნალში". 1913 წელს კი ლონდონში გამოიცა ოლივერ უორდროპის მიერ შედგენილი „ბრიტანეთის მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა კატალოგი".

სოლომონ ცეზარ მალანთან ერთად უორდროპებმა გაუღვიძეს ინტერესი ქართული მწერლობისადმი ცნობილ ინგლისელ მეცნიერებს — სლავისტ უილიამ მორფილსა და არმენისტ ფრედერიკ კონიბირს, რომელთაც შემდეგ არაერთი ნაშრომი უძღვნეს მრავალსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურის ამა თუ იმ მნიშვნელოვან საკითხებს, ხოლო 1915 წელს, პარიზში გამოქვეყნდა „წმ. იაკობის ჟამისწირვის" ქართულიდან შესრულებული ოლივერ უორდროპისეული ინგლისური თარგმანი, რომელიც მას პროფ. ფ. კონიბირთან ერთად განუხორციელებია.

უორდროპებს გულით უყვარდათ საქართველო, ქართველი ხალხი. 1894 წლის დეკემბერსა და 1895 წლის იანვარში საქართველოში პირველად იმოგზაურა მარჯორი უორდროპმა, რომელსაც მაშინ თან ახლდნენ დედა და უფროსი ძმა — ოლივერი, ხოლო 1896 წლის ზაფხულში მარჯორი მეორედ ეწვია საქართველოს, ახლა უკვე დედ-მამისა და უმცროსი ძმის — თომასის თანხლებით. მარჯორის გარდაცვალების (1909 წლის 7 დეკემბერი) შემდეგ ოლივერ უორდროპს რამდენჯერმე მარტო მოუხდა ჩამოსვლა ჩვენს სამშობლოში.

პირადმა შეხვედრებმა და მიმოწერამ უორდროპებს ბევრი მეგობარი შესძინა საქართველოში, მათ შორის, ჩვენი ქვეყნის გამოჩენილი შვილები — მწერლები, მეცნიერები, საზოგადო მოღვაწეები — ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, ივანე მაჩაბელი, ალექსანდრე ცაგარელი, ალექსანდრე ხახანაშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, ნიკო მარი, მოსე ჯანაშვილი, კორნელი კეკელიძე, მიხაკო წერეთელი, თედო სახოკია, ივანე როსტომაშვილი, ბარბარე ჯორჯაძე, შიო ქუჩუკაშვილი-მღვიმელი, სამსონ ფირცხალავა, ილია ქუონია, სილოვან ხუნდაძე, ვასილ რცხილაძე, ფილიმონ ქორიძე, ოლღა გურამიშვილი-ჭავჭავაძისა, ტასო ბაგრატიონი-მაჩაბლისა, ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისა, ეკატერინე გაბაშვილი, დომინიკა ერისთავი-განდეგილი...

ეს მიმოწერა ბევრ ძვირფას ცნობას შეიცავს ქართული კულტურის ისტორიისათვის. ჩვენამდე მოღწეული მარჯორი და ოლივერ უორდროპების მიერ საქართველოში გამოგზავნილი წერილები, მიძღვნები, სურათები დღეს დაცულია კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში, გ. ლეონიძის სახელობის საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში, კ. მარქსის სახელობის საქართველოს რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში, ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალურ სახელმწიფო არქივში, აგრეთვე, კერძო არქივებშიაც (იოსებ იმედაშვილის ვაჟთან — პროფ. გაიოზ იმედაშვილთან, ივანე როსტომაშვილის ასულთან — ტასო როსტომაშვილთან, პლატონ ხელთუფლიშვილთან, ნიკო ავალიშვილის შვილიშვილთან — მანანა ავალიშვილთან და სხვ.), ნაწილს კიდევ ჩვენამდე არ მოუღწევია — დაიღუპა ან დაიკარგა (მაგალითად, იუნონა გურიელის ოჯახში დაცული უორდროპისეული წერილები და ნივთები ამ რამდენიმე წლის წინ დაიკარგა).

საქართველოში დაცული მარჯორი და ოლივერ უორდროპების წერილების ერთი ნაწილი დღეს უკვე გამოყენებული ან გამოქვეყნებულია ქართველი მკვლევარების (ვ. ჭელიძე, ლ. თაქთაქიშვილი-ურუშაძე, პ. წერეთელი, შ. გოზალიშვილი, ელ. კელენჯერიძე, შ. მარკოზაშვილი, ლ. იანვარაშვილი, ნ. ზედგინიძე,...) მიერ, რამდენიმე წერილი ადრე იყო გამოქვეყნებული აგრეთვე რევოლუციამდელ ქართულ პრესაშიც, ნაწილი კიდევ დღემდე გამოუქვეყნებელია (განსაკუთრებით ეს ითქმის უორდროპთა რუსულ, ინგლისურ და ფრანგულ ენოვან წერილებზე). ამჟამად ისინი მთლიანად მომზადებულია გამოსაცემად ჩვენს მიერ მარინე ჩერქეზიშვილთან და ფიქრია ლებანიძესთან ერთად.

მაგრამ მარტო ამით არ ამოწურულა უორდროპთა ღვაწლი ქართული კულტურის წინაშე: მარჯორი და ოლივერ უორდროპებმა წლების მანძილზე დიდი რუდუნებით შექმნეს ძველი ქართული ხელნაწერი და ნაბეჭდი წიგნების მდიდარი კოლექცია, ამასთან, ქართველ მწერლებთან, მეცნიერებთან და საზოგადო მოღვაწე-

ებთან მიმოწერით დაგროვილი ძვირფასი ეპისტოლარული მემკვიდრეობა, რომელიც დღეს დაცულია ინგლისში, ოქსფორდის უნივერსიტეტის ბოდლის ბიბლიოთეკაში.

მართალია, უორდროპთა კოლექციის პირველი არასრული ხელნაწერი კატალოგი ჯერ კიდევ 1923 წელს შეადგინა ჩვენმა თანამემამულემ ეკა ჩერქეზმა (ჩერქეზიშვილმა), რომელიც ორ ტომად დაცულია ოქსფორდის ბოდლის ბიბლიოთეკაში, ასევე ვრცელი მიმოხილვა ამ ფონდისა 1955 წელს გამოაქვეყნა პროფ. დევიდ ლანგმა, ხოლო 1973 წელს ოქსფორდში გამოიცა დევიდ ბარეტის „უორდროპთა კოლექციის კატალოგი", მაგრამ მიუხედავად ამისა, შეიძლება ითქვას, რომ ეს უბრწყინვალესი მასალა, რომელიც ქართული ეპისტოლარული ლიტერატურის ნამდვილ მშვენებას წარმოადგენს, მთლიანად ხელუხლებელი, და ამდენად, უცნობი იყო ქართველი მკითხველი საზოგადოებისათვის.

1981 წლის ოქტომბერში, ოქსფორდში სამეცნიერო მივლინებით ყოფნის დროს, ქართული კულტურისთვის საინტერესო სხვა მასალებთან ერთად, გადმოვწერე და საქართველოში ჩამოვიტანე უორდროპთა ფონდში დაცული ილია ჭავჭავაძის, იაკობ გოგებაშვილის, ივანე მაჩაბლის, ალექსანდრე ხახანაშვილის, ექვთიმე თაყაიშვილის, ნიკო მარის, მოსე ჯანაშვილის, კორნელი კეკელიძის, შიო მღვიმელის, ფილიმონ ქორიძის, სამსონ ფირცხალავას, ვასილ რცხილაძის, ოლღა ჭავჭავაძის, ტასო მაჩაბლის, ეკატერინე გაბაშვილის, ელისაბედ (ლიზა) ჭავჭავაძის, ანასტასია თუმანიშვილ-წერეთლის, ვენერა ბერიძის, დომინიკა ერისთავის (გარდეგილის), სანდრო შანშიაშვილის, მოსკოვში მოსწავლე ქართველი სტუდენტების და სხვათა წერილები. ზოგიერთი ფრაგმენტი ამ წერილებისა გამოვაქვეყნე გაზეთ „კომუნისტში" 1981 წლის ნოემბერ-დეკემბერში საერთო სათაურით: „ბედნიერების და სათნოების საუნჯე". ახლა „მნათობის" ფურცლებზე ვიწყებთ მათ მთლიან პუბლიკაციას.

პირველ რიგში, აღსანიშნავია ილია ჭავჭავაძის მეუღლისა და ნახევარი საუკუნის მანძილზე მისი ცხოვრების ერთგული თანამგზავრის ოლღა გურამიშვილი-ჭავჭავაძის 50-მდე უცნობი წერილი, რომლებშიც გაცოცხლებულია ილიას ცხოვრების უკანასკნელი პერიოდი (1894-1907 წ.წ.), პოეტის მუხანათური მკვლელობის შემზარავი დღეები და წიწამურთან დატრიალებული ტრაგედიით გამოწვეული უმძიმესი სულიერი განცდები... ამასთან, ეს წერილები თვალნათლივ გვარწმუნებენ იმ ურყევ ჭეშმარიტებაში, რომ თუ ილია ერის მამად იყო აღიარებული, მისი მეუღლის წმინდა ხახება, უეჭველად, ერის დედად უნდა იქნეს შერაცხილი.

შეუძლებელია აუღელვებლად წაიკითხოთ ოქსფორდში დაცული ილიას უმცროსი დის — ელისაბედ (ლიზა) ჭავჭავაძე-საგინაშვილის 1907 წლის 6 ნოემბრის წერილი, რომელიც წარმოადგენს მარჯორი უორდროპისადმი მიწერილი სამძიმრის პასუხს ილიას ტრაგიკული სიკვდილის გამო. ელისაბედ ჭავჭავაძის ეს წერილი, ერთი მხრივ, უკვდავი ძეგლია და-ძმური სიყვარულისა, ხოლო მეორე მხრივ, უბრწყინვალესი და სწორუპოვარი შეფასება ხასიქადულო ძმის ღვაწლისა და ადგილისა სამშობლო ქვეყნის ისტორიაში.

ილიას მკვლელობით შეძრწუნებულ საქართველოს და მის დიდებულ დასაფლავებას კარგად გვიხატავს ოქსფორდშივე გამოვლენილი ქუთაისელი პედაგოგის — ვენერა ბერიძის 1908 წლის 30 იანვრის წერილი მარჯორი უორდროპისადმი.

დიდი მეგობრობა აკავშირებდა ინგლისელ და-ძმა ქართველოლოგს შექსპირის უკვდავ ქართველ მთარგმნელთან ივანე მაჩაბელთან და მის მეუღლესთან — ტასო ბაგრატიონ-მაჩაბელთან. ოქსფორდში დაცულია ივანე მაჩაბლის 1898 წლის 12/24 აპრილის ფრანგულად დაწერილი წერილის დედანი ოლივერ უორდროპისადმი, რომელშიც იგი აგვიწერს თავისი შერყეული ჯანმრთელობის მდგომარეობას და შემოქმედებითი შრომის უკანასკნელ დღეებს. ამას გარდა, ივანე მაჩაბლის შემოქმედებითი მოღვაწეობის, მისი სიცოცხლის დაისისა და უგზოუკვლოდ დაკარგვის შესახებ ფასდაუდებელი ცნობების შემცველია ოქსფორდში დაცული ტასო მაჩაბლის უცნობი წერილები, რომლებიც 1895-1914 წლებშია მიწერილი მარჯორი და ოლივერ უორდროპებისადმი.

„სამაგალითო მოყვარე ქართველის ერისა" — ასე უწოდებს უორდროპებს დიდი ქართველი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე იაკობ გოგებაშვილი ერთ გამოუქვეყნებელ წერილში ტასო მაჩაბლისადმი, რომელიც ოქსფორდში აღმოჩნდა და 1911 წლის 24 იანვრითაა დათარიღებული. აქვეა დაცული იაკობ გოგებაშვილის კიდევ ორი უცნობი წერილი, რომელიც მას 1896 წლის 14 და 17 ივნისს გაუგზავნია საქართველოში ამ დროს უკვე მეორედ სტუმრად მყოფ მარჯორი უორდროპისათვის.

ოქსფორდიდან ჩამოვიტანე პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართული ენის პროფესორის ალ. ცაგარლის 1893-1912 წლების უცნობი წერილები მარჯორი და ოლივერ უორდროპებისადმი, რომლებიც ჩვენი კულტურის არაერთ საგულისხმო მხარეს ჰფენს შუქს. ასევე ჩვენი მეცნიერების ისტორიის ბევრ უცნობ ფურცელს შლის ალექსანდრე ხახანაშვილის, ექვთიმე თაყაიშვილის, ნიკო მარის, მოსე ჯანაშვილის, კორნელი კეკელიძის უცნობი წერილები.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ფილიმონ ქორიძის, შიო მღვიმელის, სამსონ ფირცხალავას, ვასილ რცხილაძის, სანდრო შანშიაშვილის, აგრეთვე ჩვენი ცნობილი მწერალი ქალების — ეკატერინე გაბაშვილის, განდეგილის, ანასტასია თუმანიშვილ-წერეთლის წერილები, რომლებიც არაერთ მნიშვნელოვან ცნობას შეიცავენ საქართველოს ახალი ისტორიისა და ქართული ლიტერატურის, აგრეთვე, ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ბევრი საკვანძო საკითხის გამოსარკვევად.

მაგრამ ყოველგვარ მოლოდინს აჭარბებს ოქსფორდში დაცული მოსკოვში მოსწავლე ქართველი სტუდენტების მიერ 1894 წლის 10 დეკემბერს საქართველოში მყოფი მარჯორი უორდროპისადმი გამოგზავნილი დიდი წერილი. ეს მართლაცდა „ჩინებული წერილი", როგორც მას მარჯორი უწოდებდა, იმავ დროს სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულისა და მისთვის თავდადებული სამსახურის გრძნობით გულაღტყინებულ ქართველ სტუდენტთა ერთგვარი პატრიოტული ფიცია, არაჩვეულებრივი შინაგანი ემოციით, დიდი ექსპრესიით დაწერილი. ვინ იცის, რამდენი ახალი შინაგანი ძალა და შთაგონება მისცა ქართველი პატრიოტი ჭაბუკების ამ „ჩინებული წერილის ბევრჯელ წაკითხვამ" ინგლისელ ქართველოლოგ ქალს მის მრავალწლიან და დაძაბულ შემოქმედებით შრომაში.

## ოლგა ჭავჭავაძის წერილები

1895 წლის 8/20 ივნისი, საგურამო.

დიდათ პატივცემულო და ჩემთვის უძვირფასესო ბატონო მარჯორ!

თქვენი სურათი და წერილი გუშინ მივიღე. ვერ წარმოიდგენთ რა რიგათ გავიხარე, რომ არ დაგვიწყებივართ და თქვენის ანბით მასიამოვნეთ. თუმცა ხშირათ არ მქონდა შემთხვევა თქვენთან ყოფნის, მაგრამ ჩემმა გულმა ისე შეგიყვარათ და შეგითვისათ, როგორც მახლობელი ნათესავი.

ერთი სიტყვით, ხართ ჩემთვის ძვირფასი, როგორც წარმომადგენელი უდიდესი ერისა. იმდენი შრომა და მეცადინეობა არ დაიშურეთ, რომ შეგესწავლათ ჩემი სამშობლოს ლიტერატურა, თუმცა დიდი წარსულის.

ამ კვირას გიახლებით საგურამოს, თან მიმაქვს თქვენი სურათი. იმედს არ ვკარგამ, რომ ზამთარს მაინც გვნახამთ; როგორც თქვენ მწერთ, გულით გინდათ რომ საგურამოს ამოხვიდეთ. დიდათ ვისიამოვნებთ თქვენი ძმის ნახვით.

ილიამ და ლიზამ უნდაბლესი პატივისცემა მოგახსენესთ და მადლობა ეგრეთვე ყველა თქვენმა ნაცნობებმა.

ბატონ ოლივერს ჩვენი ერთობ პატივისცემა და მოკითხვა გადაეცით.

დავრჩები მარად თქვენი ღრმათ პატივისმცემელი

**ოლგა ჭავჭავაძისა.**

P. S. იმედი მაქვს, როდესაც დრო გექნებათ, თქვენის წერილით მასიამოვნებთ. ჩვენს მაგიერ თქვენს ძმას ოლივერს პატივისცემა მოახსენეთ. მოგეხვევით ჩემს საყვარელს გულს და ჩემ ძვირფას თვალებს დედობრივის სიყვარულით დაგიკოცნით. ილიამ უნდაბლესი მადლობა და მოკითხვა მოგახსენათ. იყავით კარგათ, ნუ დამივიწყებთ.

თქვენი ულრმესი პატივისმცემელი და მოსიყვარულე მეგობარი

**ოლგა ჭავჭავაძისა.**

1896 წლის 12/24 თებერვალი, ტფილისი.

ჩემთვის უძვირფასესო ტკბილო მარჯორე!

თქვენმა წერილმა თქვენ ნახვასავით გამახარა. არ ვიცი, რით დავიმსახურე თქვენი ეგრეთი ყურადღება. იმ ცოტა ხნის განმავლობაში, როცა აქ ბრძანდებოდით, ვერაფრით

ვერ გასიამოვნეთ. თუ თქვენ ხსოვნაში არა ვარ დავიწყებული, სიტყვას ვერ ვპყოფ, რომ გამოვთქვა თქვენდამი მადლობა.

პირუთვნელად უნდა ვაღიარო თქვენ წინაშე: მას შემდეგ, რაც გაგიცანით, თქვენ შეადგენთ ჩემს სათაყვანო და სადიდებელ პირსთ. იქნება ამ სტრიქონის წაკითხვის დროს ღიმილი მოგივიდეთ და გეგონოთ, როგორც აზიელი, ყიზილბაშურ პატივისცემას გიცხადებთ; არა, დიდათ პატივცემულო ბატონო მარჯორი! თქვენ, დიდ ბრიტანის შვილმა, არ დაიზარეთ, შეისწავლეთ ჩემი საყვარელი დედა ენა იმ წერილობამდინ, რომ თქვენის ნათარგმნით გააცანით თქვენ განათლებულს ხალხს ჩემი პატარა დავიწყებული სამშობლო. ეხლა კიდენ გითარგმნიათ „ცხოვრება წმინდა ნინოსი“, რომელმანც ჩვენი ერი გაანათლა და გააქრისტიანა (აი, ახსნა იმ სიტყვებისა, რომელსაც მიბრძანებთ, ვრცელი ახსნილია). ამის შემდეგ არამც თუ მე, ვისაც კი გაუგონია თქვენი სახელი, იცის თქვენი შრომა, მოწამეა თქვენი ღრმა პატივისცემისა.

ვაზიანის [ვარლამ ჩერქეზიშვილის] კარგა ყოფნობამ გვასიამოვნა. მეტადრე კარგი იქნება მალე შეუდგეს „ივერიას“ უგზავნოს ხოლმე თავისი წერილები, უკეთესი თანამშრომელთაგანი „ივერიას“ (ვინ ეყოლება). დიდათ გავიხარებთ, თუ როგორც მიბრძანებთ, თქვენი დედ-მამა და ძმა გვესტუმრებიან, მეტადრე სასიამოვნო იქნება, თუ თქვენც ერთათ მობრძანდებით. ჩემმა მეულმა გულითადი მადლობა და პატივისცემა მოგახსენათ. ეგრეთვე კნეინა ბარბარემ და ყველა იმ პირთ, ვისაც მიბრძანებთ თქვენი სალამი გადავცე.

ილიამ უნდაბლესი პატივისცემა და მადლობა გიძღვნათ და იმედი აქვს მალე გვნახამთ. რაც შეეხება წყალდიდობას, დიდი უბედურება და ზარალი მოუტანა მთელ საქართველოს. ყველა ცდილობს როგორმე მიაშველონ თავიანთი წვლილი. რაც შეეხება კომიტეტის დაარსებას, ავირჩიეთ ერთი დიდათ პატივცემული პირი და იმან მიმართა, სადაც ჯერ არს. მაგრამ არაფერი ნაყოფი არ გამოვიდა. მგონია, სესხიც არ მოგვცეს. თქვენი დალოცვილი ქვეყანა გგონიათ, სადაც ასე ადვილათ შესდგება მიტინგები და არსდება კომიტეტები. მიუხედავად ამისა, ყველგან, სადაც როგორი შეძლება აქვსთ, ისე შველიან იმ ოჯახებს, ვისაც დაატყდა ისეთი უბედურება.

ამ წერილს ვათავებდი, რომ ილიამ მიიღო თქვენგან ბოძებული ჩინებული და ხელოვნებით ნათარგმნი „განდეგილი“. ილიას სურათმა აღტაცებაში მომიყვანა, ისე ცოცხლათ არის გამოყვანილი, თითქო, საცაა დაილაპარაკებსო. ჩინებული განძი აჩუქეთ ჩემს ქმარს! ჩვენთან იყო კარგი მცოდნე ინგლისურის ენისა და განცვიფრებაში მოვიდა, ისე ჩინებული ოსტატობით გითარგმნიათ. გთხოვთ, მე და ილია, თქვენ ძმას ჩვენი პატივისცემა მოახსენოთ. დიდათ გავიხარებთ, თუ სამაგიეროთ თქვენის წერილით გვასიამოვნებთ.

დავრჩები მარად თქვენი ღრმად პატივისმცემელი

**ოლგა ჭავჭავაძისა.**

1896 წლის 16/28 მაისი, ტფილისი.

დიდათ პატივცემულო და ჩემთვის უძვირფასესო დაო ბატონო მარჯორი!

მაპატიეთ, რომ ესე დაგიგვიანეთ პასუხი იმ ფრიად ჩემთვის სასიამოვნო წერილისა, რომელიც მებოძა თქვენგან და იმ საჩუქრისა, რომლითაც თქვენ დამასაჩუქრეთ. დიდით დიდათ გმადლობთ.

თითქმის მთელი თვე ავათ გახლდით და ეს ერთი კვირაა, როცა უკეთ გავხდი და ვესწრაფი მოგწერო წერილი. დიდათ ვისიამოვნებთ თქვენის ნახვით; და ეგრეთვე თქვენი მამის და ძმის გაცნობა ჩვენთვის დიდათ სასიამოვნო იქნება. საშინელი უამინდობაა, სულ წვიმს. შეწუხდა ხალხი, წყლები ადიდდა და რაც შარშან გადაურჩა, წელს ერთმაგათ ზარალი მიეცათ. გზები ყველგან შეკრულია და საშიში.

როგორც გათავდება თავადაზნაურობის ყრილობა და წერა-კითხვის საზოგადოება საზაფხულოდ შეისვენებს, საგურამოს გიახლებით და იმედი მაქვს იქ გნახოთ. გთხოვთ ჩემს და ილიას მაგიერ თქვენ დედ-მამას და ერთობ ყველას გულითადი პატივისცემა მოახსენო. მოკითხვა ჩემი მეულისაგან. მოგეხვევით და დაგკოცნი. ილიამ უნდაბლესი პატივისცემა მოგახსენათ. არ ვიცი, როგორ გამოვთქვა მადლობა იმ საჩუქრისათვის, რომელიც თქვენ მიბოძეთ.

თქვენი ღრმა პატივისმცემელი

**ოლგა ჭავჭავაძისა.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

1896 წლის 27 თიბათვეს, ხუთშაბათი. ტფილისი.

დიდათ პატივცემულო და ჩემთვის უძვირფასესო დაო ბატონო მარჯორი!

მე და ილია უნდაბლეს პატივისცემას მოვახსენებთ თქვენ დედ-მამას და თქვენ ძმას. ამასთან გთხოვთ ერთობ კახეთიდან რომ დაბრუნდებით, საგურამო მოიგონოთ და თქვენი კარგი მეგობრები და შეგვატყობინოთ, როდის ვისიამოვნებთ თქვენის და თქვენის ოჯახის ნახვით. წერილით შეგვატყობინეთ, როდის ეკიპაჟი დაგახვედროთ რკინის გზაზედ.

ილიაობას ჩვენი სტუმრები ბრძანდებით. ვისურვებ ყოველ კეთილს და მხიარულებას.

დავრჩები მარად თქვენი ერთგული

**ოლგა ჭავჭავაძისა.**

1899 წლის 2 იანვარს, ტფილისი.

დიდათ პატივცემულო და ჩემთვის უძვირფასესო დაო მარჯორი!

მეც მომეცით ნება მოგილოცოთ თქვენ და თქვენ ძმას ბატონ ოლივერს ახალი წელიწადი და ვისურვო ყოველი კეთილი და ბედნიერება ამა სოფლისა, იყავით დღეგრძელი და მრავალი წელიწადი მიეგებენით სიხარულით.

თქვენმა წიგნმა და კარგ ამბავმა თქვენ ნახვასავით მასიამოვნა. დიდი ხანია თქვენი ანბის მოკლებულმა, ნახეთ, არ ვიცოდით, კერჩში ბრძანდებით თუ ინგლისში. თქვენი და მეტადრე თქვენი ძმის კარგათ ყოფნობამ ძლიერ გვასიამოვნა მე და ილია.

მე და ილიამ უნდაბლესი პატივისცემით მოგიხსენეთ იმ შრომისათვის, რომელსაც თქვენ და თქვენი ძმა დაუღალავად ეკიდებით. კატალოგის შედგენა დიდი ღვაწლია ჩვენი პატარა საქართველოსთვის, მეტადრე, „ვისრამიანს“ გაიცნობს ევროპული მეცინერებაო. არ ვიცი, რა სიტყვით გამოვთქვათ ჩვენი სიხარული. მაპატიეთ და უნდა მოგახსენოთ პირუთვნელათ: ტყუილათ ემდურით თქვენ თავს, ვითომ მართლწერაში შეცდომით სწერიაო, უნდა გამოგიტყდეთ და მოგახსენოთ, ნეტავი ჩვენმა ქალებმა მესამედი იცოდნენ, რაც თქვენ იცით და დიდი ბედნიერება იქნებოდა ჩვენი დაქვეითებულ ოჯახისათვის და საქართველოსთვის!

მიბრძანებთ, რომ კიდენ ფიქრავთ მოგზაურობას. სასიამოვნოდ ვისურვებ მხიარული იმოგზაუროთ. არ ვკარგამთ იმედს მე და ილია, რომ კიდენ მოიგონებთ ჩვენ საქართველოს და თქვენ პატივისმცემლებს და გვნახამთ და მით გავიხარებთ.

იყავით კარგათ და თქვენი ჩემ სასიამოვნო ანბით გასახარებლათ.

ილიამ და ლიზამ და ყველა თქვენმა გულით პატივისმცემლებმა უნდაბლესი პატივისცემა და მადლობა მოგახსენათ.

თქვენ კი არ უნდა მიბრძანოთ მადლობა, ჩვენ უნდა მოგახსენოთ, რომ „ივერიას“ თქვენისთანა განათლებული პირი კითხულობს.

მოგეხვევით ჩემო საყვარელო გულო და დაგიკოცნით ჩემ საყვარელ თვალებს.

დავრჩები მარად თქვენი ღრმათ პატივისმცემელი

**ოლგა ჭავჭავაძისა.**

1900 წლის 3 მაისი, ტფილისი.

დიდათ პატივცემულო და უძვირფასესო დაო მისს მარჯორე!

თქვენმა წერილმა თქვენ ნახვასავით გვასიამოვნა. ილიას ანბავს კითხულობთ. ეხლა უკეთ არის. ძალიან დაიღალა ბევრი მუშაობით და ასე არის, რომ გული დაუსუსტდა. ეხლა უკეთობა ეტყობოდა, სამძღვარგარეთ გიახლებით. ილია და მე ნოსაუში ვიქნებით, ელიზავეტ გრიგოლის ასული საგინოვისა — კარლსბადში. მე მომიხდება ბერლინში ყოფნა, ესე ერთი თვე დავრჩებით და იმედია, რომ სრულებით განიკურნოს ილია.

ჩვენ ბედზედ ქალაქს თბილისს გამოიარა პროფესორმა ვაგნერმა, რომელმაც გაშინჯა

ილია და დარიგება მისცა ზედ, როგორ იწამლოს. დიდათ მოხარული ვიქნები თუ გამართლდა და ქალაქ თბილისში დასახლდებით.

თქვენ, ჩემთვის უძვირფასესო, ტყუილათ უჩივით, ვითომ არ გემყოფებოდა ქართული წერა. რამდენიც წიგნი მომეახლა, თქვენი მართლწერით ყველა ალტაცებაში მოდის. თუ ჩვენ მხარეს ეწვევით, მაშინ ქართულს ისე შეისწავლით, რომ ყველა ჩვენ ქართველ ქალს აჯობებთ.

ილიამ უნდაბლესი პატივისცემა მოგახსენათ და ეგრეთვე ლიზა საგინოვისამ. იყავით კარგათ და არ დაგვივიწყოთ.

თქვენი ულრმესი პატივისმცემელი

ოლგა ჭავჭავაძისა.

1901 წლის იანვარი, ტფილისი.

უძვირფასესო და სანახავათ სანატრელო დაო მარჯორი!

მომეცით ნება დედობრივის სიყვარულით მოგეხვიოთ და მრავალჯერ დაგიკოცნოთ ჩემი საყვარელი თვალები.

დიდათ გმადლობთ მე და ილია. ყოველთვის თანაგრძნობით ეგებებით ჩვენ ავკარგიანობას. ეხლა ილია სულ სამძლვარგარეთ იყო და იწამლა სრულობით. კარგი და თავისზე დამოკიდებული თუ ზომიერათ იმუშავა და არ დაიღლება, სრულიად კარგა იქნება.

ჩვენ სამნივე ბერლინში ლეიდენის სანატორიუმში ვიყავით. ვწუხართ, რომ თქვენ იქ ბრძანდებოდით და ჩვენ ვერ შევხვდით ერთმანეთს. ბერლინი თავის აგარაკებით და შესანიშნავი ალაგებით და ნიშებით ყველა ვნახეთ და დავათვალიერეთ. ძალიან მოგვეწონა, მრეწველობა უმაღლეს წერტილამდინ არის აყვანილი.

დრეზდენშიც გახლდით და ვნახეთ იქაც შესანიშნავი სურათების გალერეია და ქანდაკებანი. უმშვენიერესი იმაზედ, მგონი, არა არის რა.[1] სამი თვე გახლდით და შინ რომ დავბრუნდით, ჩვენი საქართველო ერთ-ერთი მშვენიერი გვეჩვენა.

ილიამ და ლიზამ უნდაბლესი პატივისცემა მოგახსენათ თქვენ და თქვენ ძმას ოლივერს.

დავრჩები მარად თქვენი პატივისმცემელი

ოლგა ჭავჭავაძისა.

1904 წლის 12 მაისი, ტფილისი.

დიდათ პატივცემულო და ჩემთვის სანახავათ სანატრელო გულით საყვარელო ბატონო მარჯორი!

ეს არის თქვენი წიგნი შემომიტანეს. თქვენს ნახვასავით გავიხარე. ვერ წარმოიდგენთ იმ ჩემ სიამოვნებას, რომელიც მაგრძნობინა თქვენმა ნათესაურმა მოკითხვამ. ეს ორი წელიწადი ჩემთვის გაუგებარი იყო, მიზეზს ვეძებდი თქვენ უანბობისას. მინდოდა მომეწერა და სწორეთ არ ვიცოდი, სად იმყოფებოდით. დიდხან იცოცხლეთ ბედნიერის ცხოვრებით, რომ მომიგონეთ, გამახარეთ თქვენის ანბით.

მე და ილია დიდათ შევწუხდით თქვენი ოჯახის მოვლენილ უბედურებას. წიგნს რომ სწერდეთ დედას თქვენს, გთხოვთ ჩვენს მაგიერ გამოუცხადოთ უსამზღვრო მწუხარება და სამძიმარი უდროოთ დაკარგული უმორჩილესი ქმრისა გამო. უზენაესმა ღმერთმა შეაძლებინოს მწუხარების ატანა, ღმერთმა თქვენი თავი უცოცხლოს და უბედნიეროს.

ჩემ დღეში არ დამავიწყდება ის ნეტარი დრო, როდესაც თქვენ და თქვენი დედ-მამა საგურამოს გვეწვიენით და მით ვისიამოვნეთ. იმის შემდეგ თქვენ და თქვენს ოჯახს ისე ვუყურებთ, როგორც გულის ნათესავს.

მიბრძანებთ ვითომ თქვენ წიგნში შეცდომა შეგპარვოდეს მართლწერაში. მე მაგ საგანზედ არაფერს არ ვიტყვი, მარტო ამას მოგახსენებთ, ნეტავი ჩვენმა ახალმა თაობამ და მეტადრე ჩვენმა ქალებმა ისე მართლწერა იცოდნენ, როგორც თქვენ იცით და მაშინ ჩვენი

---

1 ამით დოკუმენტურად დადასტურდა ჩვენი ვარაუდი ილია ჭავჭავაძის დრეზდენში ყოფნის თაობაზე: შდრ. გ. შ ა რ ა ძ ე, ილია ჭავჭავაძე ევროპაში, „ჭოროხი“, 1982, № 2.

ძველი ოჯახი ისევ ის იქნება, როგორც ძველათ იყო თავის ტრადიციით. რადგან სურვილი გაქვთ შეისწავლოთ ქართული ენა და მისი ისტორია და გრამატიკა, კარგს ინებებთ, რომ გაიცნოთ პროფესორი ქართული ენისა ცაგარელი ალექსანდრე, ჩინებული ადამიანი, დიდი მცოდნე თავის საგნისა, განათლებული და დიდი პატიოსანი. ის ყველაფერში დაგეხმარებათ და უფრო მალე მიაღწევთ მიზანსა. მანდ პეტერბურგში ბევრი ქართველობაა და ყველანი პატიოსანი არიან, რადგან მოშორებულნი არიან თავის მიწა-წყალს და სამშობლოს. სტუდენტობა მართლაც და ძალიან გაჭირებულ მდგომარეობაში იმყოფებიან. ჩემო ტკბილო და კარგო მეგობარო, ყველას ყურადღებით მოექეცით. ვერ წარმოიდგენთ, რა გულით მინდა თქვენი ნახვა, ბევრს საგულისხმიერო გულის ნადებს მოგახსენებდით, როგორც გულის და სულის მეგობარს.

ჩვენი დედაქალაქი არ შეცვლილა და ისეთი არაჩვეულებრივი არა მომხდარა რა. ისევ ის ფერი და იერი არის. ხოლო ეხლა ყველანი დიდ ფაცა-ფუცაში არიან, ჯარისკაცთა მზადებაში. აი, ეს არის ახალი ამბავი. ყველა ცვალებადია, დღეს რაც აქვს კაცს ანუ ერს, ხვალ შეიძლება ყველას გამოეცალოს ანუ უფრო წესიერი სამარცხვინო ბოძზედ იყოს მიკრული. სოფელი ტრიალებს ჩარხისავით. რაც ამ ორ წელიწადში წიგნები გამოვიდა, ყველას ილია მოგართმევთ, ხოლო რაც შეეხება გაზეთ „ივერიას“, ილიამ ამ ორ წელიწადში სხვას გადასცა და თვითონ აღარ ითვლება რედაკტორათა, რადგან ავადმყოფობის შემდეგ დიდ ჯაფას ვერ იტანდა და თქვენ უკეთ მოგეხსენებათ ყოველდღიური გაზეთი რა ჯაფას და ტვირთს ითხოვს. ეს ვერ შეძლო და სხვას გადასცა — სარაჯოვია გამომცემელი და რედაკტორი.

თქვენი ღრმათ პატივისმცემელი

**ოლგა ჭავჭავაძისა.**

1906 წლის 22 თიბათვეს, ს.-პეტერბურგი.

ჩემო გულით საყვარელო და სანახავათ სანატრელო დაო მარჯორი!

ეს არის თქვენი წიგნი მივიღე. ღმერთმა დაგლოცოთ და გაგახაროთ ისე, როგორც იმ თქვენმა სიამოვნებით მოწერილმა წიგნმა გაახარა ჩემი გული. დიდი დამნაშავე ვარ თქვენ წინაშე, ისე დავრჩი, რომ ვერ გიახელი. უნდა მოგახსენოთ, ბრმა შემთხვევა იყო: მივდიოდი მაღაზიაში და გადავდიოდი გზას, დიდი ფურგუნი დამეტაკა და წამაქცია, იმ მხარეზე დავეცი, რომელიც დაშავებული მაქვს. ღმერთმა უშველოს, ვიღაც კაცი იყო, ამაყენა და შევიძელ შინ მისვლა, რადგან ძალიან ახლო ვიყავ სახლთან. ეხლა რომ გავდივარ, ფეხით ან მეტადრე ეკიპაჟით, ძალიან შემაწუხებს ხოლმე და ისე ვიღლები, რომ მთელი საათები უნდა ვიწვე. ჩემმა უბედურებამ და ავადმყოფობამ ყველასთან დამაშორა.

წარმოდგენილი მაქვს როგორი სიამოვნებით ატარებთ დროს თქვენ სამშობლოში დედასთან და თქვენ ძმასთან და ყოველ თქვენ კეთილ ნაცნობებთან, მასთან, ბუნებაც შეჰფერის თქვენ სიამოვნებას. თუ მალე არ დაიშალა „გოსუდარსტვენ დუმა“, კიდევ მეღირსება თქვენი ნახვა. ჩემ მაგიერ უნდაბლესი პატივისცემა მოახსენეთ დედათქვენს და მადლობა რომ ვახსოვარ. თქვენ წიგნს ხშირად ვკითხულობ და ფიქრით თქვენში ვტრიალებ ოცნებით. კიდევ თუ ღმერთი შემეწევა, უნდა ვიახლო დედათქვენს, როდესაც იქ იქნებით და დავტკბე თქვენთან ყოფნით და თქვენის ბედნიერების მყუდროებით.

ილიამ უნდაბლესი პატივისცემა მოგახსენათ და მადლობა თქვენ, დედათქვენს და თქვენ ძმებს ხსოვნისათვის.

აქ საშინელი სიცხეები დაიჭირა, ისე ხარ, როგორადაც ხატში.

ჩემ მაგიერ ბატონ ოლივერს და ბატონ თომას უნდაბლესი პატივისცემა და მოკითხვა გადაეცით.

მოგეხვევით და სიყვარულით დაგიკოცნით ჩემ საყვარელს თვალებს და გულს.

იყავით კარგათ, ნუ დამივიწყებთ.

თქვენი უღრმესი პატივისმცემელი

**ოლგა ჭავჭავაძისა.**

1906 წლის 1 ნოემბერი ანუ გიორგობისთვე. (ტფილისი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ულრმესათ პატივცემულო და ჩემთვის უძვირფასესო და სანახავათ სანატრელო ბატონო მარჯორიო!

თქვენმა ნაცნობმა ბატონმა ნევინსონმა მოიტანა თქვენი წიგნი და დედისაგან გამოგზავნილი ჩემთვის ძვირფასათ სახსოვარი ნივთი.

როდესაც ილიას ეწვია ბატონი ნევინსონი, მე შინ არ გახლდით და ვწუხვარ, ვერ ვნახე. ღმერთმა დიდხან გაცოცხლოთ ბედნიერის ცხოვრებით ჩემდა სანუგეშოთ. თავის დღეში არ დავივიწყებ იმ გულით მაღალ ადამიანობას, რომელსაც იჩენთ ყოველთვის ჩემდამი. თქვენ ხომ თქვენ სამშობლოში ნაბრძანდით, ჩვენ დიდხან აღარ მოგვიხდა ყოფნა (ს.-პეტერბურგში). დუმამ ვერ იშოვა დარბაისლობა, ბავშვურათ ყველაფერს ეტანებოდა და თხოულობდა და ძალაუფლებისთვის კი მომზადებული არ იყო.

მე და ილია, გახარებული, რომ მალე გვეღირსა შინ დაბრუნება, რა დღესაც შეატყობინეს — დუმა დაიშალაო. მეორე დღესვე წამოვედით. მარტო ეს მაღონებს — ძალიან შევიწროებული ცხოვრება. ხალხი ჯერ არ დაწყნარებულა, ღელავს და ბობოქრობს, ძალიან სისასტიკით ექცევიან და ულმობელათ. ის მშვენიერი და კოპწია გურია ხომ სულ მიწასთან არის გასწორებული. მგონი ჩვენ კიდევ თებერვალში ან უფრო მალე მოგვიხდება პეტერბურგს წასვლა. როგორც დუმა იქნება ამორჩეული. მაშინვე ილიას დაიბარებენ. მაშინ გაცილებით ჩემთვის დიდი გულის დანაკლისი იქნება თქვენი იქ არ ყოფნა. მე გულით გავიხარე, რომ ისეთი მშვენიერ ბუნებით სავსე მხარეს, როგორიც რუმინიაა, მოუხდა სამსახური ბატონ ოლივერს...

ჩვენ ქალაქ თბილისშიც დღე არ გავა. რომ სადმე. იქვე. ქუჩაში ბომბი არ გაისროლონ და უდანაშაულო ხალხი საპყრობილეში არ მოათავსონ. ძალიან აუტანელი დროა!

ილიამ უნდაბლესი პატივისცემა მოგახსენათ, კარგათ გახლავსთ და ბევრს კითხულობს.

გთხოვთ მე და ილიასაგან უნდაბლესი პატივისცემა მოახსენოთ თქვენ ძმას ოლივერს და მიულოცო ახალ ადგილას კარგი ბედნიერი ცხოვრება.

ჩემო გულით საყვარელო, როდესაც დედათქვენს წიგნს წერდეთ, ჩემი ულრმესი პატივისცემა და ბოდიში გადაეცი სამსახურისათვის. თუ ღმერთი შემეწევა და როგორმე მოვხვდი ევროპას. უეჭველათ კიახლები და ვისიამოვნებ იმის ნახვით.

იყავით კარგათ, ნუ დამივიწყებთ. ბევრს გაკოცებთ ჩემ საყვარელ გულს და თვალებს.

დავრჩები თქვენი ულრმესი პატივისმცემელი

ოლგა ჭავჭავაძისა.

1908 წლის 16 მარტს, (ტფილისი).

დიდათ პატივცემულო და ჩემთვის დაუვიწყარო და სანახავათ სანატრელო შვილო მარჯორი!

ღმერთმა დიდხან გაცოცხლოთ და ბედნიერათ კარგის დედის და ძმების სიცოცხლით. თქვენმა წერილმა ნუგეში მცა და გულს ესალბუნა. ვიცი. ჩემო კარგო და გულით საყვარელო დაო, ყოველთვის მომიგონებთ და შემიბრალებთ.

მე ისეთი უბედურება დამატყდა, უეცრათ სიტყვას ვერ ვპოვებ რომ გამოვთქვა. იმ ურჯულოებმა ჩემი ნუგეში და თვალის სინათლე მომიკლეს, მე დამასახიჩრეს. მარცხენა თვალით თითქმის არ ვხედამ. თავზე დიდი ჭრილობა მაქვს. ჯანი გავარდეს, ამას ისა ჯობდა, მეც მოვეკალი და მღირსებოდა ილიასთან დასაფლავება.

ეხლა დავრჩი მარტო ყრუ და უძლური. ნუ დამივიწყებთ. თქვენი ანბით მასულდგმულეთ. ვერ წარმოიდგენთ, რა რიგათ გულმა გაიხარა და თვალმა ისიამოვნა კითხვით. თუ ღმერთი მომხედამს და დრო მექნება, უეჭველათ გნახამთ. მომეცით ნება, ჩემი დაუვიწყარი ილიას პორტრეტი მოგართვათ. გადავალებინე და ვინახამდი.

მე იმედს არ ვკარგამდი, რომ დღე გამითენდებოდა და მომიგონებდით. გთხოვთ გადასცეთ ჩემ მაგიერ ულრმესი მადლობა და მოკითხვა დედათქვენს და თქვენს ძმებს.

იყავით კარგათ. ჩემ საყვარელ გულს და თვალებს დაგიკოცნით და მოგეხვევით.

დავრჩები თქვენი ულრმესი პატივისმცემელი

უბედური ოლგა ჭავჭავაძისა.

P. S. ჩემი ადრესი: Андреевская № 22.

1908 წლის 11 მაისი, (ტფილისი).

დიდათ პატივცემულო და ჩემთვის უძვირფასესო და სანახავათ სანატრელო გულის ნადებო დაო მარჯორი!

ეხლა მიიღებდით, ამას წინეთ მოგართვით ილიას უკანასკნელათ გადაღებული სურათი. მოგართვით, რაც ჩემ ბედნიერების და სათნოების საუნჯეს შეადგენს. არ ვიცი, მიიღეთ თუ არა. თქვენი წიგნი რომ მებოძა, მოგწერეთ, თითონ არტურ ლაისტს დავაწერინე ადრესი და არ ვიცი, მოგივიდათ თუ არა. ამას იმიტომ მოგახსენებთ, რადგან თქვენი ბარათი ჩემთვის ძვირფასია და დიდი გულის ნუგეში.

რაც დრო გადის, უფრო და უფრო გულსაკლავათ ვერ ვინელებ ესეთ უბედურ მდგომარეობას. ფიქრში რომ წავალ, სულ იმედით ვცხოვრობ და მგონია შორს იმყოფება და რომ წარმოვიდგენ სინამდვილეს, აუტანელი მწუხარებაა და გული ვერ მომიბრუნებია. ვცდილობ ან ვიკითხო, ან რამე ვაკეთო და იმით ფიქრი გავიქარწყლო.

ჩემი თავის ტკივილი ვერას მაკეთებინებს. ჭრილობა ჯერ სულ არ არის მორჩენილი და ძალიან მაწუხებს.

შეპატიეთ, ყოველთვის გაბეზრებთ და გაწუხებთ, მაგრამ ვისაც გულით უფრო გინდა, იმას გულის სულისკვეთება გაუზიარო!

დედათქვენს და თქვენ ძმებს უნდაბლეს პატივისცემას მოვახსენებ. მოგეხვევით ჩემ საყვარელ გულს და დაგიკოცნით სიყვარულით. ნუ დამივიწყებთ და თქვენის ანბით მანუგეშეთ ან გამამხნევეთ.

დავრჩები თქვენი ულრმესი პატივისმცემელი

**ოლგა ჭავჭავაძისა.**

1906 წლის სექტემბერი, (ტფილისი).

ჩემო უძვირფასესო და დიდათ პატივცემულო და გულით საყვარელო მეგობარო დაო მარჯორი!

თქვენი ღია წერილი მივიღე, ღმერთმა ყოველი კეთილი ერთი-ორათ მოგანიჭოს იმ სიამოვნებისთვის, რომელიც მე იმ წერილმა გამახარა. თქვენ არ იცით ის გულით ალტაცება, როდესაც თქვენს წიგნს მივიღებ ხოლმე. თავის დღეს არ დავივიწყებ თქვენგან მიღებულ ლმობიერებას და ადამიანობას ჩემდამი.

დედათქვენს და თქვენ ძმას ჩემი უნდაბლესი პატივისცემა და მადლობა მოახსენეთ. ეგრეთვე როდესაც შინ დაბრუნდებით, ბატონ ოლივერს, თქვენ უფროს ძმას, უძლვენით ჩემი გულწრფელი სალამი.

მე სულ ავათ ვარ, ჩემი ჭრილობა უფრო იჩენს (თავს) და მაწუხებს. მასთან მარცხენა თვალი თითქმის არ ხედამს. ყურთ ხომ დიდი ხანია არ მესმის. თქვენი მტერი იყოს ისე შეწუხებული და დაავადებული, როგორც მე ვარ.

ვიცი, გიამებათ: წერა-კითხვის საზოგადოების კომისია ხვალ წავა საგურამოს და ხალხს გამოუცხადებს სკოლის გახსნას იმ სახლში, იქნება ხვალ, სადაც თქვენ და თქვენი ოჯახი ბრძანდებოდით.

ჩემი მამული ფონდათ მივართვი ილიას ხსოვნას და იმის სადიდებლათ.

ნუ დამივიწყებთ, როდესაც დრო გქონდეთ, მარტო ერთი სტრიქონით გამახარეთ ხოლმე.

თქვენი წიგნი ჯერ არ მიმილია და მოულოდნელათ ველი.

მოგეხვევით და დაგიკოცნით ჩემ საყვარელ თვალებს და გულს.

თქვენი ერთგული და ულრმესი პატივისმცემელი გულით მეგობარი

**ოლგა ჭავჭავაძისა.**

1908 წლის 25 სექტემბერი, (ტფილისი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდათ პატივცემულო და ჩემთვის უძვირფასესო და გულით საყვარელო მეგობარო მარჯორი!

გუშინ მივიღე თქვენი წიგნი. ძალიან გულს დამაკლდა, რომ შეუძლოთ ბრძანდებოდით, ღმერთსა ვთხოვდი თქვენ კარგს ყოფნობას. გენაცვალოს ჩემი თავი, კარგათ იყავით. თქვენ თავს გაუფრთხილდით და ყოველი დარიგება დედათქვენისა აასრულეთ. ხომ მოგეხსენებათ, დედის გული ულრმესი სიყვარულია შვილისადმი და ეს ერთი-ორათ არჩენს ადამიანს. ისიამოვნეთ და ნუ დაიღლებით.

გულით ვისიამოვნე, ბატონ ოლივერს რუმინიის ჰაერი მოხდენია. უწინ სადაც ბრძანდებოდით ძალიან სუსხიანი ადგილი და ბევრი სხვადასხვა უსწორმასწორობაა. თქვენ დარიგებას კეთილად ავასრულებ, ვეცდები, გული დავიმშვიდო. ყოველთვის თქვენ ადამიანობას წინ წავიმძღვარებ. მაგრამ, ჩემო ნუგეშო, მე ისეთი ულმობელი უბედურება უეცრათ დამატყდა, ძნელი მოსანელებელია. ბევრჯერ, როდესაც მარტო დავრჩები, უნებლიეთ წარმოვიდგენ ხოლმე: მე უბედური ცოცხალი გადაურჩი იმ საშინელ სტიხიონს და ჩემი ნეტარება სიცოცხლე კი არ არის. წელიწადი შესრულდა, უფრო და უფრო სევდა მომემატა. თუ ის დღე მეღირსა, რომ თქვენ განახოთ, ის დღე ჩემთვის სანეტარო დღე იქნება. როდესაც დააპირო წამოსვლა, ერთი ათიოდ დღის წინ მაუწყეთ. ვისიამოვნე გულით, რომ ვაზიანი (ვარლამ ჩერქეზიშვილი) თავის ცოლით გინახამთ. დიდათ ვიკითხებ იმათ მაღალკეთილშობილება ადამიანობას, ორივენი შემკულნი არიან მაღალი გულკეთილობით. როდესაც ნახოთ, ან სწერდეთ, ჩემი უგულითადესი ულრმესი პატივისცემა უძღვენით.

ეს ჩემი წიგნი დაგხვდებათ რუმინიაში. გთხოვთ დედათქვენს და თქვენ ძმებს მადლობა და ულრმესი პატივისცემა მოახსენოთ.

მე თვალთ წარმომიდგა ის ოთახი, რომელიც დედათქვენმა აგირჩიათ და თქვენ ქართულ ოთახათ გადააკეთეთ. ნეტავი დრო მოვიდეს ისეთი, რომ მეც ვნახო ის ოთახი.

ჩემმა მულმა ლიზამ და ყველა თქვენ ნაცნობმა მოკითხვა მოგახსენესთ. ჩემო კარგო და ნეტარო ჩემის გულისა! კარგათ იყავი და ნუ დამივიწყებ. შენს ადამიანობას მე ვალმერთებ! ნეტავი შენ იმ დროს ჩემთან ყოფილიყავ, მაშინ ჩემი მდგომარეობა უკეთესი იქნებოდა!

მოგეხვევი და ჩემ საყვარელ გულს და თვალებს დაგიკოცნი.

თქვენი ულრმესი პატივისმცემელი და მეგობარი

**ოლგა ჭავჭავაძისა.**

1908 წლის 29 ღვინობისთვე, (ტფილისი).

ჩემთვის უძვირფასესო და სანახავათ სანატრელო გულის მეგობარო შვილო დაო მარჯორი!

თქვენი წერილები მასულდგმულებენ. მარტო ღმერთს შეუძლიან მოგანიჭოთ ყოველი კეთილი იმ სიამოვნებისათვის, რომელსაც იჩენთ ჩემდამი.

თქვენი წერილი მივიღე სწორეთ 27-ს, მთაწმინდიდან რომ ვბრუნდებოდი.

ჩემი დაუვიწყარი ილიას დაბადების დღე იყო და მე ვიყავ მთაწმინდის ეკლესიაში. პანაშვიდი გადაუხადე და იქ ცოტას ხნობით დავრჩი. უნდა მოგახსენოთ, იქ რომ ვარ ხოლმე, გული დამშვიდებული მაქვს, თითქო იმასთან ვიმყოფები. და ეს მალამოსავით მომეცხობა ხოლმე — აი ჩემი ყოფა და ცხოვრება.

მე ავათა ვარ. ქრილობა თავისას იჩენს. მარცხენა თვალი არ ხედამს, ყოველდღე სინათლე აკლდება. ერთი სიამოვნება მქონდა — ვკითხულობდი და ესეც მესპობა.

თქვენ თავს გაუფრთხილდი. მანამ სულ კარგათ არ გახდეთ, მგზავრობას ნუ ინებებთ. ჩემ მაგიერ დედათქვენს და თქვენ ძმას თომას უნდაბლესი პატივისცემა მოახსენეთ. ბატონ ოლივერს ნახამთ, ჩემ ულრმეს პატივისცემას გადასცემთ.

აქ ჩინებული დღეებია, თითქო ზაფხულიაო. იყავით კარგათ და თქვენის კარგის ან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბით მანუგეშეთ. ჩინებული არის ფოტოგრაფია დიდი ბრიტანის კოროლის. მე დიდი პატივისმცემელი ვარ მეფისა. დიდათ გმადლობთ, რომ მისი სურათი მაჩუქეთ.

მოგეხვევი და დაგიკოცნი ჩემ საყვარელ გულს და თვალებს.

თქვენი ულრმესი პატივისმცემელი

**ოლგა ჭავჭავაძისა.**

1908 წლის 5 ნოემბერს, (ტფილისი).

დიდათ პატივცემულო და ჩემთვის სანახავათ სანატრელო გულის მეგობარო შვილო დაო მარჯორი!

ეს არის ეხლა მივილე თქვენგან გამოგზავნილი ფოტოგრაფია თქვენი სახლკარმიდამოსი. გულით გავიხარე, როდესაც დავინახე ყველანი, ვინც ჩემთვის უძვირფასესნი ბრძანდებით. ჩინებულათ ხართ გამოსულნი თქვენ, დედათქვენი და თქვენივ ორი ძმა.

ბევრი ვიტირე, მარტო სიხარულის ცრემლი იყო. ჩინებული კარ-მიდამო ბაღი და ბუჩქნარი მშვენივრათ არის მოწყობილი. ერთი-ორათ გავიხარე, ოდესაც წავიკითხე, რომ დღეს მიბრძანდებით ბუხარესტში. ეს ის ნიშანია, რომ თქვენ სრულიათ განიკურნეთ, თქვენ დაღლილობას და ავადმყოფობას ბოლო მოეღო.

ღმერთს ვთხოვ თქვენ ბედნიერებას და კარგათ ყოფნას. თქვენი მაღალი შეუნელებელი ადამიანობა მე მასულდგმულებს. ყოველი სტრიქონი ჩემთვის მალამოსავით გადაიცევა ხოლმე.

გთხოვთ ჩემ მაგიერ ბატონ ოლივერს უნდაბლესი პატივისცემით მოკითხვა განუცხადოთ.

იყავით კარგათ.

ათასჯერ მოგეხვევით და დაგიკოცნით ჩემ საყვარელ თვალებს და გულს. დიდი მადლობელი ვარ, იმ ალბომში თქვენ სურათებს ჩავდებ, ხოლო ვნუხვარ, დედათქვენის პორტრეთი არა მაქვს. ეს იმერული თხოვნა გამოვიდა! მაშინ მთელი ოჯახი მეყოლება და როდესაც ალბომს გადავშლი მოსეირნე დაგინახამთ, ვითამ თქვენთან ვყოფილვარ.

თქვენი ულრმესი პატივისმცემელი

**ოლგა ჭავჭავაძისა.**

1908 წლის 15 ნოემბერი ანუ გიორგობისთვე, (ტფილისი).

დიდათ პატივცემულო და ჩემთვის სანახავათ სანატრელო შვილო, დაო გულის ნადებო მარჯორე!

გთხოვთ (მიიღოთ) ეს ორი წიგნი ნემეცურ ენაზედ დაწერილი — ჩვენ სასიქადულო შოთა რუსთაველზედ დაწერილი და მეორე ლეისტის მიმოხილვა უფრო ვრცელი საქართველოზედ და ეს ხელსაქმე წმინდა ქართული, (რომელიც) ჩემმა ბიძაშვილმა კნეინა გურამოვისამ შემიკერა. ეს ყველა მიუმატეთ ნივთებს, რომელიც ამშვენებენ იმ ქართულ ოთახს, რომელიც თქვენ და თქვენმა ძმამ ოლივერმა მორთეთ და მოკაზმეთ. ყოველთვის ის ოთახი, თუმცა არ მინახამს, განუყრელათ თვალთ მიდგას და გული ნახულით თქვენთან ვარ. თუ ღმერთმა შემაძლებინა, უეჭველათ გნახამთ. თქვენ ძმას ბატონ ოლივერს უნდაბლეს პატივიხცემას მოვახსენებ.

ეხლა იმედი მაქვს სახლი დალაგებული არის და თქვენც მგზავრობით დაღალვას აღარ გრძნობთ. არ ვიცი, მანდ როგორი ზამთარია და აქ კი ადრე გვეწვია ზამთარი და დიდი თოვლიც დადო, რაც ქალაქში იშვიათია.

იყავით კარგათ ჩემო კარგო მარჯორი და ნუ მომაკლებთ თქვენ მაღალ ღმობიერებას და ადამიანობას, რომლითაც მე ვნუგეშობ. მოგეხვევით, ჩემო საყვარელო, გულს და ჩემ მარად სანახავს თვალებს დაგიკოცნით.

თქვენი ერთგული და ღრმად პატივისმცემელი გულით მეგობარი

**ოლგა ჭავჭავაძისა.**

1908 წლის 17 დეკემბერი ანუ ქრისტეშობისთვე, (ტფილისი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდათ პატივცემულო და ჩემთვის სანახავათ სანატრელო შვილო და დაო და გულის მეგობარო მარჯორი!

წუხელ მივილე თქვენი წიგნი, რომელმან დიდათ მანუგეშა, ხოლო გულს მიწყალებს ხოლმე თქვენი უქეიფოთ მყოფობა. ეხლა თქვენ კარგათ ხართ და მხიარული და ბედნიერი. ეს ჩემთვის დიდი სიხარულია. იმ დღეს წერილში მოგახსენეთ, რომ მოგართვით მეთქი ორი წიგნი ნემენცურ ენაზედ ჩვენ საქართველოს შესახებ და ორი ხელსაქმე.

ჩვენი შეკერილი ხელოვნით ჩემდა გასაკვირველათ პოშტას არ მიუღია, ჯერ. კარანტინია და ამ კვირას გიგზავნის ლეისტი. მგონი ეხლა საშიში არ არის. ეს იყო მიზეზი, რომ აქედან არ მოგივიდათ ის ნივთები, რომელიც მე მოგართვით. მწერთ, ჩემ ნახვას მოისურვებთ. მე ისე გულით მინდა თქვენი ნახვა, რომ კარგათ ვიყო, არ დავხედამდი სიშორეს და წამოვიდოდი ბუდაპეშთ (!) და ჩემ გულს გავახარებდი თქვენის ნახვით. აქ დიდი არაჩვეულებრივი ზამთარია. მე სულ შინ ვარ, არსად დავდივარ. არ ვიცი სიცივისგან თუ ისე, თავის ჭრილობა სულ მაწუხებს. მთელი თავის ქალა მტკივა. ისეც ძლივ ვწერდი და ეხლა მარცხენა თვალმა მიმტყუვნა და ძალიან მელლება თვალი.

ჩემი მული კარგადაა და უნდაბლეს პატივისცემას მოგახსენებსთ, ეგრეთვე ყველა თქვენი ნაცნობები.

გაზეთიდან წაიკითხავდი, რა დიდებით გადაუხადეს ქართველებმა აკაკი წერეთელს (მოღვაწეობის) 50 წლის იუბილე. თქვენი თელეგრამა წავიკითხე[1] როდესაც თქვენ მოწერილ წიგნს მივილებ ხოლმე, ისე წავალ ფიქრში, რომ მგონია, თქვენ წინაშე ვდგევარ და გესაუბრებით. ჩემი ულრმესი პატივისცემა გადაეცით თქვენ ძმას ბატონ ოლივერს. მე წარმოდგენილი მაქვს რა კარგათ და მშვენივრათ არის თქვენი ახალი ბინა. სადაც თქვენისთანა მაღალი სულით აღსავსე პირი მოიკიდებს ფეხს, იქ წალკოთზედ უკეთესია.

ბევრს გაკოცებთ, ჩემო საყვარელო, გულს და გთხოვთ თქვენ თავს გაუფრთხილდეთ და კარგათ იყოთ.

როდესაც დრო გქონდეთ ნუ დამივიწყებთ და თქვენ მაღალ ლმობიერ გულს ნუ მომაკლებთ. დედათქვენს რომ წერდეთ ჩემი ულრმესი პატივისცემა მოახსენეთ ხოლმე, ეგრეთვე, თქვენ ძმას ბატონ თომას.

თქვენი გულით და სულით მოსიყვარულე და უცვლელი პატივისმცემელი და მეგობარი

**ოლგა ჭავჭავაძისა.**

1909 წლის 16 იანვარს, (ტფილისი).

დიდათ პატივცემულო და ჩემთვის სანახავათ სანატრელო და გულის მეგობარო მარჯორი!

თქვენი ორი წიგნი მივილე და თქვენ ნახვასავით გამახარა. გულით ვსიამოვნებ, რომ ბედნიერათ და მყუდროთ ცხოვრობთ. ამ ჩვენ დაუდგრომელ დროში დიდი ბედნიერებაა. ღმერთმა დიდხანს გაცოცხლოთ, იყავით კარგათ და თქვენ ადამიანობას და ნუგეშს ნუ მომაკლებთ. თუ ღმერთი შემეწევა და როდისმე გნახავთ. მაშინ ყველაფერს დაწვრილებით გიამბობთ, რაც დრო გავიდა და არ მინახვიხართ.

საგურამოს შესახებ მკითხავ: ისევ ისეა, როგორც თქვენ დროს იყო. ხოლო სულ ქვევით სართულში სკოლა გახსნეს ილიას სახელობაზედ. მე შეძლება არ მქონდა ფულათ ფონდი შემეწირა და ჩემი მამული, რომელიც თქვენ მოგეწონათ, ფონდათ ვუძღვენ ილიას ხსოვნას და იქ ეხლა სკოლა გახსნა წერა-კითხვის საზოგადოებამ. ქალაქშიაც, სადაც მე ვდგევარ, იქ მომავალში მუზეუმს აპირებენ დაფუძნებას, ისიც ილიას სადიდებლათ. ოღონდ კი შემეძლოს იმის სახელი საუკუნო დიდებით მოვფინო, სულს არ დავიშურებ. რაც შეეხება ჩემ წიგნს, რომელიც „დროებაში“ იყო დაბეჭდილი, გარემოებამ მიხელმძღვანელა. მეთხოვა პატიება.[2] წერილით სავსებით ვერ გაგაგებინებთ და თუ ღმერთი მაღირსებს

1. შდრ. „დროება“. 9. XII. 1908, № 18.

2. იგულისხმება გაზეთ „დროებაში“ 1908 წლის 13 დეკემბერს (№ 22) გამოქვეყნებული „ილია ჭავჭავაძის ქვრივის თხოვნა“ თბილისის გენერალ-გუბერნატორისადმი:

„სამხედრო სასამართლომ სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა ჩემთვისა და მთელი საქა-

თქვენ ნახვას, მაშინ ყველაფერს თქვენ თვითონ გაითვალისწინებთ. ჩემი მული თავის სახლში ცხოვრობს, სადაც თქვენ პირველათ ბრძანდებოდით.[1]

მე იმ სახლში გახლავარ, რომელიც ილიამ თავის სიამოვნებით იყიდა და თავის ელფერით მორთო.[2]

მე ხშირათ ავალ ხოლმე მთაწმინდაში და იქ მყუდროებას და მოსვენებას ვგრძნობ ხოლმე. აი ესე ვატარებ ჩემ დაობლებულ და ბეჩავ გულდათუთქულ ცხოვრებას.

მაპატიეთ, ისეც ძალიან უსწორმასწორო წერა ვიცოდი, ეხლა მარცხენა თვალს ძალიან აკლდება სინათლე და მოწყვეტილად ვარ ხალხთანაც და დიდხანიც ვერ ვკითხულობ. ნუ იწყენ, რომ ყოველთვის გაწუხებთ და ჩემ თავზე გელაპარაკებით. ჩვენ ქალაქშიც წელს დიდი ზამთარია, კვირა არ გავა, ორი დღე არ ითოვოს. მოელიან სუსხიან ზამთარსა.

ყველა თქვენი ნაცნობები ხშირათ მეკითხებიან ხოლმე თქვენ ამბავს და მეც სურათებს ვუძლევნი ხოლმე.

აკაკის იუბილეი საეროვნო დღესასწაული იყო ისე რომ, ყველას ესიამოვნა და უკვირდათ მთელი საქართველო ყველა კუთხეებიდან იყო მოზღვავებული. ნეტავი აქა ბრძანებულიყავით.

გთხოვთ თქვენ ძმას ბატონ ოლივერს უნდაბლესი პატივისცემა გადასცეთ, ეგრეთვე, დედათქვენს და ბატონ თომას ჩემი ულრმესი პატივისცემა.

**ოლგა ჭავჭავაძისა.**

1909 წლის 12 მარტი, (ტფილისი).

დიდათ პატივცემულო და ჩემთვის სანახავათ სანატრელო გულის მეგობარო მარჯორი!

დიდი ხანია თქვენგან არა ვიცი რა და გულს აკლია თქვენი კეთილი და ლმობიერი ადამიანობა.

ამას წინათ მოგწერეთ, თქვენგან გამოგზავნილი ალბომი მივიღე და ჩემი გახარებით, როდესაც გაზეთების კითხვას გავათავებ, მიუჯდები ხელახლა და გავშინჯამ და ისეთ ფიქრში გავერთობი ხოლმე, რომ თითქო თქვენთან გახლავარ და თქვენ გესაუბრები.

ანგარიშით, როგორც ლეისტმა იანგარიშა, მიღებული გექნებათ ორი ნემენცური წიგნი და ქართული ხელსაქმე. რაღაც კარანტინი რომ იყო, უკან დაგვიბრუნეს. მალე აღდ-

---

რთველოსათვის ძვირფას ილია ჭავჭავაძის სამ მკვლელს. სიცოცხლეში ჩემმა ქმარმა მთელი თავისი სულიერი ძალ-ღონე, ღვთის მიერ მასზე მოვლენილი მაღალი ნიჭი შესწირა ადამიანის სულში ადამიანურ გრძნობის, კაცთა შორის სიყვარულის განმტკიცებას. მე ღრმად მრწამს, დღეს რომ ჩემი ქმარი ცოცხალი იყოს, შეუნდობდა იმათ, რომელთაც სასიკვდილოდ გაიმეტეს იგი, და თავის უბედურ, გზა-აბნეულ ძმებად მიიჩნევდა. დღეს კი ჩემი ქმრის თხოვნა საქართველოს ერის სულიერ ცხოვრებაში იმის მკვლელთა სიკვდილით დასჯით დაიჩრდილება. ეს საზარელი სასჯელი დაარღვევს იმ ღვაწლს სიყვარულისას, ცხოვრების მასწავლებელ ქრისტეს იმ საუკუნო მცნებას, რომლითაც ცოცხლობდა ჩემი განსვენებული ქმარი. მოგმართავთ თქვენ გულწრფელისა და მხურვალე თხოვნით: ნუ დაამტკიცებთ სასამართლოს განაჩენს ამ უბედურთა სიკვდილით დასჯის შესახებ. თვით მე მხოლოდ შემთხვევით გადავრჩი სიკვდილს ჩემი ქმრის გვერდით და თითქო მხოლოდ იმისთვის დავრჩი ამ სოფლად, რათა დავაბოლოო ის ღვაწლი კაცთა მიმართ მხურვალე სიყვარულისა, რომელსაც ჩემმა ქმარმა მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა — შეუნდო იმ უბედურ, გზადაბნეულ მოყვასთ, რომელთაც თვით ის შეუნდობდა. ჩემი დღეები დათვლილია. ამ ჟამად თქვენგანაა დამოკიდებული მოიქცეთ ისე რომ, სიცოცხლის აღსასრულის ჟამს ვიგრძნო უმაღლესი ნეეტარება, რომელსაც ადამიანის სულს ძალუძს მიაღწიოს ამ წუთი-სოფელში. შეერთება ღმერთთან, რომელიც განიცადა ქრისტემ, როცა, ჯვარზე განრთხმული, სიკვდილის ჟამს, ღვთიურ სიყვარულის შუქით განათებული, ევედრებოდა შემომქმედს შენდობას იმის მტრებისას, რამე-თუ „არ იციან რასა იქმან".

1. იგულისხმება ილიას დის — ელისაბედ ჭავჭავაძე-საგინაშვილის სახლი თბილისში, დღევანდელ კალინინის ქ. № 7-ში.

2. იგულისხმება ილია ჭავჭავაძის დღევანდელი სახლ-მუზეუმი თბილისში, ორჯონიკიძის ქ. № 22-ში.

გომა გაგვითენდება, ღმერთმა დიდხანს გაცოცხლოთ და ბედნიერის ცხოვრებით მხიარულათ მიგებებოდეთ კარგის დედითა და უსაყვარლესის ძმებით.

ნუ მომაკლებთ თქვენ გულკეთილობას და როდესაც დრო გქონდეთ, გამომელაპარაკეთ ხოლმე. თქვენ ძმას ბატონ ოლივერს უნდაბლეს პატივისცემას მოვახსენებ.

მოგეხვევით, ჩემო საყვარელო, გულს და დაგიკოცნით ჩემ საყვარელ თვალებს.

თქვენი ერთგული და ღრმათ პატივისმცემელი გულის მეგობარი

ოლგა ჭავჭავაძისა.

1909 წლის 31 მარტს, (ტფილისი).

დიდათ პატივცემულო და ჩემთვის დაუვიწყარო გულის მეგობარო მარჯორი!

წუხელ თქვენმა წიგნმა გამახარა. ძლივს კარანტინი გაუხსნიათ და ნივთი მოგერთვათ. ვწუხვარ წიგნებზედ. ლეისტს ვთხოვე, რათ დაუგვიანებიათ. დამპირდა შეიტყოს, რათა რადგან მეორე თვეა, რაც წიგნები გავაგზავნინე.

ვისიამოვნე, რომ მოგწონებიათ ჩვენი ქართული ხელსაქმე. რა მადლობა უნდა, მე ისე დავალებული ვარ თქვენგან. თქვენი მაღალი ლმობიერება და ადამიანობა ჩემთვის უძვირფასესი განძია. ღმერთმა დაგლოცოთ და ყოველი კეთილით აღგავსოთ მაცხოვარმა ღმერთმა. თუ ღმერთი შემეწევა და მეღირსება თქვენი ნახვა, მაშინ გაიგებთ, რანაირია ჩემთვის თქვენი მოგონება და ხსოვნა ჩემი. ყოველთვის თქვენგან ბოძებულ ალბომს ვშინჯამ ხოლმე და ვსტკბები ნახვით.

ლეისტმა უნდაბლესი პატივისცემა მოგახსენათ. როდესაც თქვენთან ვაპირებ ხოლმე წერილის გაგზავნას, შევეხვეწები და ადრესს ის დამიწერს ხოლმე.

გთხოვთ გადასცეთ ჩემი ულრმესი პატივისცემა თქვენ ძმას ბატონ ოლივერს. ეგრეთვე, რომ სწერდეთ დედათქვენს და თქვენ ძმას ბატონ თომას მიულოცეთ ბრწყინვალე აღდგომა და ჩემი უნდაბლესი პატივისცემა (გადაეცით).

ბევრს გაკოცებთ ჩემ საყვარელ თვალებს და გულს დაგიკოცნით.

თქვენი ულრმესი პატივისმცემელი და მეგობარი

ოლგა ჭავჭავაძისა.

1909 წლის 16 მაისი, (ტფილისი).

დიდათ პატივცემულო და ჩემთვის სანახავათ სანატრელო დაო და გულის მეგობარო მარჯორი!

თქვენი უანბობა გულს მიხუთავს. როგორ ბრძანდებით, ან ამ ზაფხულს სად გაატარებთ. როგორც იწერებოდით ამ წელს არ მოგიხდებათ სამშობლოში წასვლა. თუ ინებებთ, წელს, თქვენ, დედათქვენი და თქვენი ძმა თომას გვეწვიეთ. ღმერთსა ვთხოვ ხოლმე ის დღე გამითენდეს, რომ განახოთ და თქვენის ხილვით დავსტკბე. მე ჯერ ქალაქში ვარ და მგონი ისევ აბასთუმანს მომიხდება წასვლა. გთხოვთ მიბრძანოთ, რომელ გაზეთში იყო დასტამბული თქვენ მიერ აკაკის იუბილეს გამო წერილი. მე მინდოდა ის ნომერი მეყიდნა.

ყველა თქვენი ნაცნობები ხშირათ გიგონებენ და პატივისცემას გიძლვნიან. მე ხშირათ მთაწმინდაში ავალ ხოლმე და ჩემს ნუგეშს ილიას საფლავს ვემთხვევი ხოლმე. იქ რომ ვარ, თითქო, ჩემ ოჯახში ვიმყოფები, ისე მოსვენებას ვგრძნობ.

მაპატიეთ ისეც ძალიან გაურჩევლად ვწერდი და ეხლა მარცხენა თვალი თითქმის არ ხედამს და ძალიან მეძნელება გარჩევით წერა. იყავით კარგათ. ჩემი უნდაბლესი პატივისცემა გადაეცით თქვენ ძმას ბატონ ოლივერს. გეხვევით და დაგიკოცნით ჩემ საყვარელ გულს და თვალებს.

თქვენი ულრმესი პატივისმცემელი და გულით და სულით მეგობარი

ოლგა ჭავჭავაძისა.

P. S. ნუ დამივიწყებთ და ნუ მომაკლებთ თქვენ ადამიანობას, რითაც ვსულდგმულვარ.

ჩემო ბატონო და ჩემო გულით მეგობარო მარჯორე! ეს წიგნი დაწერილი ტყავზე, როდესაც თქვენგან მივიღე ჩინებული რუმინული ხელსაქმე — სადარბაზო წერილების ჩასადები. ძალიან წააგავს ქართველ ქალის ხელით ნაქარგს. ღმერთმა დიდხანს გაცოცხლოთ ჩემდა ნუგეშათ. ვერ წარმოიდგენთ ჩემ გულის აღფრთოვანებას, როდესაც ორიოდე კალმის მოწერამ თქვენს ნახვასავით გამახარა. იყავით კარგათ და დღეგრძელი.

ნუ დამივიწყებთ და ნუ მომაკლებთ თქვენის ამბით. დედათქვენს და თქვენს ძმას ბატონ თომას წერილს წერდეთ, ჩემი ულრმესი პატივისცემა გადაეცით.

მარად ღრმათ პატივისმცემელი

**ოლგა ჭავჭავაძისა.**

1909 წლის 2 თიბათვეს, (ტფილისი).

დიდათ პატივცემულო და სანახავათ სანატრელო ჩემთვის დაუფასებელო მეგობარო მარჯორე!

ეს არის თქვენი წიგნი მივიღე რომელმაც გულით გამახარა. თუმცა თქვენ მიბრძანეთ, რომ დავაგვიანე წიგნის მოწერა. ჩემის ანგარიშით ჩემი წიგნი ეხლა მიღებული გექნებათ. პატარა სადარბაზო ბარათების ჩასაწყობი მივიღე და აღტაცებაში მომიყვანა იმის ხელოვნებამ, რადგან ძალიან მოაგავს ჩვენი ქალების ხელსაქმეს—ოქრომკედ ნაკეთობას, რომლისთვისაც დიდ მადლობას გიძღვნით. თქვენი ღმობიერება და ადამიანობა მასულდგმულებს. ფრიად გამეხარდა, რომ ჩემი ნატვრა ახდა და დედათქვენი და ბატონი თქვენი ძმა თომას მესტუმრებიან. ამას წინათ გწერდით და გკითხავდით მოელით იმათ მოსვლას. ეხლა თქვენ და თქვენი ოჯახი მხიარულათ გაატარებთ ზაფხულს. ღმერთს ვთხოვ ყოველთვის კარგათ და მხიარულათ ბედნიერის ცხოვრებით ატარებდეთ დროს ძვირფას დედასთან და საყვარელ ძმებთან.

ძალიან იშვიათი წიგნი შეგიძენიათ, მაგისი ცალი წერა-კითხვის საზოგადოებაშია და ერთი უმშვენიერესია. გამეხარდა, რომ თქვენ კარგათ გაარჩევთ და თვის ფასს დასდებდით და გააცნობთ მკითხველებს, როგორც უმაღლეს რაიმეს. თქვენგან გამოგზავნილი ლაისტთან წიგნი უკვე გაუგზავნე.

გთხოვ უნდაბლესი პატივისცემა და მოკითხვა მოახსენოთ ჩემ მაგიერ დედათქვენს და თქვენ ძმებს. იყავით კარგათ და ნუ მომაკლებთ თქვენ ღმობიერებას და თქვენის ამბით გამახარებთ ხოლმე. მე სულ ავადმყოფობ. ეხლა თავის ქალა მტკივა და მარცხენა თვალი თითქმის არ ხედამს. ჩემი მული ყოველთვის თავის სალამს გიძღვნით ხოლმე. და ყველა თქვენი ნაცნობი გულით გაიხარებენ ხოლმე, როდესაც ვაჩვენებ ხოლმე თქვენ მოწერილ წიგნს. წაკითხვით კი არავის ვაკითხებ. მოგეხვევი და დაგიკოცნი ჩემ საყვარელ თვალებს და გულს.

თქვენი ულრმესი პატივისმცემელი და გულით მეგობარი

**ოლგა ჭავჭავაძისა.**

1909 წლის 1 მკათათვეს, (აბასთუმანი).

დიდათ პატივცემულო და ჩემთვის სანახავათ სანატრელო გულის მეგობარო ბატონო მარჯორ!

ეს მეორე დღეა, რაც აბასთუმანში გიახელით. ჩინებული ჰაერია და ჩემ მამიდაშვილთან კნიაჟნა მუხრანსკისთან გახლავარ. მალე წამლობასაც დავიწყებ. დიდი ხანია თქვენი წერილი არ მიმიღია. და გულს ეთანაღრება. თქვენი ამბავი და მოგონება ჩემთვის სადღესასწაულო დღეა ხოლმე. ღმერთმა დიდხანს გაცოცხლოთ, ყოველთვის ჩემი ნუგეშის მცემელი ხართ. როდესაც მარტო დავრჩები ხოლმე ფიქრით გავერთობი ხოლმე და თქვენ ოთახში ვიმყოფები: გხედამთ თქვენ, დედათქვენს და თქვენ ძმებს. სიამოვნებით იმყოფებით და მეც იმ ფიქრში თითქო თქვენთან ვარ. ლეისტი საზღვარგარეთ გიახლათ, დავით

სარაჯოვი თავის ცოლით (წავიდა) და ლეისტი იმათ გაყვა. გთხოვთ გადასცეთ ჩემი უღრმესი პატივისცემა დედათქვენს და თქვენ ძმებს — ბატონ ოლივერს და ბატონ თომას. ყველა თქვენმა ნაცნობმა პატივისცემა მოგახსენათ. აბასთუმანში ბევრი ქართველობაა და მათ შორის თქვენი ნაცნობნიც არიან.

ჩემო გულით საყვარელო მეგობარო, იყავით კარგათ და მხიარულათ გაატარეთ დრო. დიდი ბედნიერებაა როდესაც ადამიანს დედა ყავს და ძმები. მოგეხვევით და ჩემ საყვარელ გულს და თვალებს დაგიკოცნით.

თქვენი უღრმესი პატივისმცემელი და გულით და სულით მეგობარი

**ᲝᲚᲒᲐ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲘᲡᲐ.**

ჩემი ადრესი: Абастумани, Княжне Багратион-Мухранской, собст. дача.

1909 ᲬᲚᲘᲡ 5 ᲛᲐᲠᲘᲐᲛᲝᲑᲘᲡᲗᲕᲔ, (ᲐᲑᲐᲡᲗᲣᲛᲐᲜᲘ).

დიდათ პატივცემულო და ჩემთვის სანახავათ სანატრელო და გულის მეგობარო მარჯორო!

ღმერთმა დიდხანს გაცოცხლოთ ბედნიერის ცხოვრებით და იხარეთ იმ ადამიანობისათვის, რომელსაც თქვენ ყოველთვის ჩემდამი იჩენთ. ეს არის თქვენი ლია წერილი მივიღე და მთელი დღე მოგონებაში ვიყავ. ჩემ თავს თქვენ შორის ყოფას ვგრძნობდი და მოუთმენლად ველი თქვენ წიგნს. მე მალე წავალ ქალაქს, რადგან იმედი მაქვს ნიკოლაძე მალე წამოვა და ჩემ დაუვიწყარ სულმნათ ილიას საფლავისთვის შეკვეთებულ ძეგლს წამოილებს პარიჟიდან. აქაურ „დროებაში" იყო გამოცხადებული ნიკოლაძემ დაამთავრაო ძეგლიო თიხაში და ქარხანაში გადასცაო, სადაც უნდა ჩამოასხანო. მე ისე ვფიქრობ, რომ მალე მეღირსება ძეგლის დადგმა და კურთხევა. მე ხშირათ დავდივარ, როდესაც ქალაქს ჩავალ, მაშინვე ავალ ხოლმე. ჩემთვის იქ ასვლა და ყოფნაა ნეტარება. გთხოვთ გადასცეთ ჩემი უნდაბლესი პატივისცემა დედათქვენს და თქვენ ძმებს. დიდი მადლობელი ვარ, რომ ყოველთვის დედათქვენი მომიგონებს ხოლმე. იმედი მაქვს დედათქვენი დიდხანს დარჩება თქვენთან. ან ხომ არ აპირებთ ინგლისში ზამთრობით წასვლას.

იყავით კარგათ და ნუ დამივიწყებთ, ღმერთს ვთხოვ ყოველთვის მაღირსოს თქვენი ნახვა. ბევრს გაკოცებთ ჩემ საყვარელ თვალებს და გულს დაგიკოცნი.

თქვენი უღრმესი პატივისმცემელი და გულით მეგობარი

**ᲝᲚᲒᲐ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲘᲡᲐ.**

P. S. „დროებაში" წაიკითხავდით, რომ თბილისის ნაანდერძებ სახლში წერა-კითხვის საზოგადოებამ უნდა მოათავსოს მუზეუმი: მე წელს იქ აღარ ვიდგები. წერა-კითხვის საზოგადოებამ მთხოვა, რომ დაუთმო იმათ სადგური. იმის მაგიერ მე სახლს დამიჭერენ და თითონ ქირას გაილებენ. ამას იმიტომ მოგახსენებთ, როდესაც წიგნს მომწერთ, გთხოვთ ამ ადრესით: Елизаветская улица. Его Превосходительству Ивану Ивановичу Цинамдзгварову.

ჩემი საქმეები იმას აბარია ანდერძით რაც ილიამ დამიტოვა და როგორც ნოტარიუსი განაგებს. მე ვთხოვ მთაწმინდის უბანში მიქირავოს სახლი.

ბევრს გაკოცებთ და მოგეხვევი.

**Ო. Ჭ.**

1909 ᲬᲚᲘᲡ 22 ᲛᲐᲠᲘᲐᲛᲝᲑᲘᲡᲗᲕᲔ, (ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘ).

დიდათ პატივცემულო და ჩემთვის სანახავათ სანატრელო გულით მეგობარო მარჯორი!

ეს-ეს არის მივიღე ჩემთვის სანუკვარი თქვენი წიგნი და გულით ალსავსე მადლიანი წერილი. ღმერთმა დიდხანს გაცოცხლოთ და მე მეღირსოს თქვენი ნახვა. მიხარიან, რომ

დედათქვენი კარგათ და ყოჩაღათ ბრძანდება, ეგრე უნდა, ჯანმრთელათ და ყმაწვილური მხნეობით იმყოფებოდეს, ბედნიერი ბრძანდება, რადგან გარს ახვევიხართ სამი შვილი, თავს evლებით და ცდილობთ იმის კარგათ და მხიარულათ ყოფნას. ეს ისეთი ნაკურთხი ღვთაებრივი სამკაულია, რომ დედის გული აღსავსეა ბედნიერებით — შემკულნი სამი შვილი ყავს და მით ხარობს.

წუხელ გიახელით აბასთუმნიდამ, დღეს ჩემ სადგომში გადავალ, მთაწმინდის ქუჩა № 20.[1] სამი ოთახია და მეოთხე — მოსამსახურისათვის, ყველაფრით მოწყობილი. კარგი ბალკონი აქვს. მთელი დღე ვფუსფუსებ და ვალაგებინებ ოთახებს. ქალაქში ისე აღარ ცხელა, მეტადრე ჩემ სახლში გრილა. ძალიან მოხარული ვარ, რომ მე ახლო ვარ მთაწმინდის ეკლესიაზედ, როდესაც მინდა, ავალ, ისე ახლოა, რომ შემიძლიან მარტოც ავიდე, დავწვები ხოლმე ჩემ დაუვიწყარ ილიას საფლავთან.

გთხოვთ, რომ სწერდეთ დედათქვენს, ჩემი ულრმესი პატივისცემა მოახსენეთ, ეგრეთვე, თქვენ ძმებს — ბატონ ოლივერს და ბატონ თომას.

მოგეხვევით ჩემ საყვარელ გულს და დაგიკოცნი ჩემთვის ძვირფას თვალებს. იყავით კარგათ და როდესაც დრო გქონდეთ თქვენის ანბით გამახარეთ ხოლმე და ნუ მომაკლებთ თქვენ მაღალ ლმობიერებას და ადამიანობას.

თქვენი ულრმესი პატივისმცემელი და გულით მეგობარი

**ოლგა ჭავჭავაძისა.**

1909 წლის 21 სექტემბერს, (ტფილისი).

დიდათ პატივცემულო და ჩემთვის სანახავათ სანატრელო გულით საყვარელო მეგობარო მარჯორი!

დღეს ჩემთვის ფრიად სასიამოვნო დილა გათენდა, თქვენი ღია წერილი მივიღე, რომლითაც მე ვსულდგმულვარ, მიხარია, მალე მიბოძებთ დიდს და ვრცელ წერილს, ოღონდ თქვენი ანბავი ვიცოდე და თქვენი ადამიანობით სავსე პირისაგან გახარებული ვიყო. მაშინ სულ გული მაიმედებს ხოლმე და ჩემი ოცნებაა თქვენი ნახვა მეღირსოს.

მინდა რომ ნახოთ, როგორ მოვეწყვე ახალ სადგომში. ჩინებული ადგილია, ბაღი წინ, ქალაქს დიდი ბალკონი გადაჰყურებს საცა საზაფხულო გასტინია გავმართე ესე იგი სადარბაზო ოთახი. სულ ოთხი ოთახია, კარგა მოზრდილი სასტუმრო, სასადილო, საწოლი ოთახი და მეოთხე, სადაც ჩემი მოსამსახურე ქალი იძინებს. მალე ელექტრონის სინათლეს გავაკეთებინებ, ისე რომ ყველაფერი მოწყობილი იქნება. აქ სულ მარტო ორი ვართ. ხშირათ შემოდიან ჩემი ნაცნობნი და მეზობლები, ძალიან ბევრს ვკითხულობ. ასე ვატარებ დროს.

ახლოა მთაწმინდის მიდამო და მეც ხშირად ავდივარ და გულით მივესალმები ხოლმე იმ ადგილს, სადაც განისვენებს ჩემი დაუვიწყარი ილია. მე სულ ავადმყოფობ. ეხლა მთელი ქალა თავისა მტკივა და მარცხენა თვალი მეხუჭება, ძალიან თვალის სინათლე მაკლდება. ეს მაწუხებს.

გთხოვთ დედათქვენს რომ წერდეთ წიგნს, ჩემი უნდაბლესი პატივისცემა მოახსენოთ, ეგრეთვე, თქვენ ძმებს — ბატონ ოლივერს და ბატონ თომას. მაპატიეთ, რომ შეგაწუხებთ ხოლმე ჩემი წვრილმან მდგომარეობით. იყავით კარგათ და ბედნიერის ცხოვრებით, კარგის დედით და ძვირფასი ძმებით. იხარეთ. იცოცხლეთ დიდხან ჩემდა ნუგეშათ.

თქვენი ულრმესი პატივისმცემელი და გულით მეგობარი

**ოლგა ჭავჭავაძისა.**

1909 წლის 5 ღვინობისთვეს, (ტფილისი).

დიდათ პატივცემულო და ჩემთვის სანახავათ სანატრელო ბატონო მარჯორი!

ღმერთმა დიდხან გაცოცხლოთ და იმ ადამიანობისათვის, რომელსაც იჩენთ ჩემდამი. თქვენი ორი სადარბაზო ღია წერილი მივიღე და გულს მესალბუნა. მარტო ის გულს

1. იგულისხმება თბილისში, დღევანდელ ობოლაძის ქ. № 20-ში მდებარე სახლი, სადაც 1909-1927 წლებში ცხოვრობდა ოლგა ჭავჭავაძე. სასურველია ამ სახლს გაუკეთდეს მემორიალური დაფა.

მილონებს, მწერთ ავათმყოფობას. გენაცვალოს ჩემი თავი, თქვენ თავს გაუფრთხილდით. პირველი ბედნიერება ადამიანისთვის ჯანმრთელობაა, მერე — დანარჩენი, რაც შეადგენს ამა სოფლის ფუფუნებას. მე ავათ ვარ, თავის ქალა ძალიან მტკივა. მაინც მთელი დღე ვფუსფუსებ და ჩემ სასტუმრო ოთახს ვალაგებ. მინდა მყუდროთ მოვაწყო. იქნება მეღირსოს თქვენი ნახვა და გულით მინდა მოვაწყო ისე, რომ თქვენ მოგეწონოთ.

აქ თითქმის აცივდა, წვიმებმა გული წაილეს. დიდ ბრიტანიის სამეფოს პოლიტიკას ვადევნებ თვალს და დიდ შთაბეჭდილებას ახდენს იქაური პარლამენტის ახალი კანონპროექტის შეტანა. გამარჯვებას უსურვებ.

გთხოვთ თქვენ ძმას ბატონ ოლივერს ჩემი უნდაბლესი პატივისცემა მოახსენოთ. დედათქვენს რომ სწერდეთ, ჩემი ულრმესი პატივისცემა განუცხადეთ. იყავით კარგათ და ნუ მომაკლებთ თქვენ მაღალ ლმობიერებას.

თქვენი ულრმესი პატივისმცემელი

**ოლგა ჭავჭავაძისა.**

1909 წლის 12 ღვინობისთვეს, (ტფილისი).

დიდათ პატივცემულო და ჩემთვის სანახავათ სანატრელო და გულის მეგობარო და შვილო მარჯორი!

თქვენი წერილი მებოძა და თქვენს ნახვასავით გამახარა. მარტო ის მაწუხებს ხოლმე, რომ მალი-მალ ცივდებით და ავათ ხდებით. თქვენ თავს არ უფრთხილდებით. ჯანმრთელობა პირველი საუნჯეა ადამიანისა. გთხოვთ და გევედრებით, თქვენ თავს ყურადღება უმეტესათ მიაქციოთ. ჩემი სადარბაზო ოთახი უნდა აგიწეროთ: დიდი ვრცელი ოთახი, ხუთი ფანჯარა აქვს და სამი კარი. ერთი კარიც მინისა, რადგან ბალკონზედ გადის. მე ბალკონის მხარეს ორი ფანჯარა დავხურე და თახჩებათ ვაქციე. სადაც მარჯვნივ ტახტი დგას. იმ თახჩაში მთელ ფანჯარას ფარდაგი დაუფინე და ზედ ყველა ქვეყნისა და მსოფლიო მწერლების, პოეტების, გამოჩენილ ხუროთმოძღვრების, ისტორიკოსების და რეფორმატორების სურათებით შევამკე. ჩარჩო ლოკონებით გაუკეთე. მარცხნივ, სადაც ჩემი სამწერლო მაგიდა დგას, დიდია. მასზე დავდგი სხვადასხვა წვრილმანი. მეორე მხარეს ევროპული მებელი სდგას. კედლებზედ ოთხი სურათი მიკიდია ჩემი დაუვიწყარ სულმნათის ილიას დიდი სურათი, რომელიც გაბაშვილმა გააკეთა მშვენიერათ. ნეტავი ის წუთი დადგეს, რომ თქვენი ნახვა მეღირსოს.

არ ვიცი, თქვენ მხარეს ეხლა რა არი და ჩვენში კი ზამთარი შემოგვეპარა. წვიმებმა თავი წაილეს.

გთხოვთ თქვენ ძმას ბატონ ოლივერს ჩემი უნდაბლესი პატივისცემა და მადლობა გადასცეთ. ღმერთმა გაცოცხლოთ ორივენი ჩემდა ნუგეშათ.

იყავით კარგათ და დღეგრძელი და ნუ დამივიწყებთ და თქვენ მაღალ ლმობიერებას ნუ მომაკლებთ.

თქვენი ულრმესი პატივისმცემელი და გულით მეგობარი

**ოლგა ჭავჭავაძისა.**

1909 წლის 18 გიორგობისთვე, (ტფილისი).

დიდათ პატივცემულო და ჩემთვის სანახავათ სანატრელო გულის მეგობარო მარჯორი!

ეს-ეს არის თქვენმა ღია წერილმა ფრიად გამახარა. თქვენი ყოველი სტრიქონი ჩემთვის ძვირფასია და დიდი ნუგეში. მე ავათ ვარ, თავის ქალა ძალიან მტკივა და მერე ლავინების ტკაცატკუცი გულს მილონებს. უწინ არაფერს არ ვგრძნობდი. ეხლა ყოველი ასოს ძვალი მტკივა. ექიმები მოგახსენებენ, ძალიან დაბეჟილი და დამტვრეული მაქვს სხეული. პირველათ კარგათ არ გაუშინჯამთ. ეხლა გვიახლაარ. მე ისე დაავადებული ვარ, ფეხების სიმსივნე თავის ძალას იჩენს, სიარული მიძნელდება. ყოველ ჩემ მთაწმინდაში ასვლის შემდეგ ორი დღე უნდა ვიწვე, რომ ცოტა ღონეზე მოვიდე. აი ჩემი არასასიამოვნო მდგომარეობა.

მე ვერთობი სახლში, წიგნებს ვკითხულობ და ოთახს ვცდილობ კარგა მორთო და იმაში გულს ვართობ და ველი პოშტას და როდესაც თქვენ წერილს მივიღებ ხოლმე, ბავშვივით დაუწყებ ალერსს და კოცნას.

ღმერთმა დიდხანს გაცოცხლოთ ბედნიერის ცხოვრებით, ძვირფასი დედით და ძმებით. მე მინდა ჩემი ოთახის ფოტოგრაფია მოგართვათ. გუშინ ქალები იყვნენ და ჩამაცივდნენ, გადააღებინეთ ეს ოთახიო. მეტადრე იმათ მოსწონთ ის ოთახი, სადაც მთელი მსოფლიოს ნარჩინებული პირნი არიან გამოფენილნი, რომელთაც კაცობრიობისთვის თავისი ღვაწლმოსილობა შეუწირავს, უმუშავნიათ და თავისი დიდბუნებოვანი მუშაკობა უძღვნიათ საუკუნეობისათვის და ჩვენი ეხლანდელი ხალხისათვის.

ჩემ ილიას პორტრეტი, 1862 წელს გადაღებული, მოვათავსე გეინეს გვერდით და შელის ახლო და შილერის პირდაპირ. ეს პირნი ყოველთვის უყვარდა.

ჩინებული შემოდგომა დადგა. ჩემ ოთახს მთელი დღე მზე დაპყურებს. მოულოდნელად ველი თქვენ წიგნს. იყავით კარგათ ჩემო გულით საყვარელო მეგობარო. გთხოვთ ჩემი ულრმესი პატივისცემა გადასცეთ თქვენ ძმას ბატონ ოლივერს.

მოგეხვევით და ჩემ საყვარელ გულს და თვალებს დაგიკოცნით.

თქვენი ულრმესი პატივისმცემელი და გულით მეგობარი

**ᲝᲚᲒᲐ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲘᲡᲐ.**

P. S. ნუ დამივიწყებ და ნუ მომაკლებთ თქვენს ლმობიერებას.

4/17 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ, 1909 ᲬᲔᲚᲘ, ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘ.

ძვირფასო ბატონო ოლივერ!

გამოუთქმელია ის ტკივილი, რომელსაც განვიცდი ჩვენი ძვირფასი მეგობრის — მარჯორის გარდაცვალების გამო. თქვენმა წერილმა წამართვა ყოველი ძალა და ისე დამამწუხრა, რომ მთელი ღამე თვალი არ მომიხუჭავს.

ო, ღმერთო ჩემო! რა საშინელებაა იმის ფიქრი, რომ აღარ არის ასეთი ერთგული და ღირსეული მეგობარი, რომ ამ დიდებულმა გულმა ფეთქვა შეწყვიტა. რა გულით მანუგეშებდა იგი ჩემი საცოდავი მეუღლის დაღუპვის გამო!

სულმნათი მარჯორის წერილები მამხნევებდნენ და მე მათ ისე ვინახავ, როგორც ძვირფას განძს!

ძვირფასო ბატონო ოლივერ! დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ყველა თქვენი მეგობარი საქართველოში დამწუხრებულია თქვენი მძიმე დანაკლისის გამო და საწყალ მარჯორიზე საუკეთესო გრძნობები დიდხანს დარჩება მათ გულში.

მის მარჯორის გარდაცვალების ამბავი ხვალვე იქნება გამოქვეყნებული თბილისის ყველა ჟურნალ-გაზეთში და მე თქვენ გამოგიგზავნით ხვალის და მერმინდელ ნომრებსაც, როცა იქნება მათში წერილები მარჯორის ლიტერატურული ღვაწლის შესახებ.

ძვირფასო ბატონო ოლივერ! უმორჩილესად გთხოვთ, კეთილინებოთ და გამომიგზავნოთ ჩემი ძვირფასი სათნოებით სავსე მარჯორის სურათი და ნუ განწყვეტთ ჩვენს მეგობრობას. ანუგეშეთ თქვენი ძვირფასი დედა და ძმა.

დარწმუნებული იყავით, რომ თქვენი მწუხარება ჩემი მწუხარებაცაა და ნუ დაივიწყებთ თქვენს ძველ მეგობარს

**ᲝᲚᲒᲐ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲘᲡᲐᲡ.**[1]

6 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ, 1910 ᲬᲔᲚᲘ, ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘ, ᲛᲗᲐᲬᲛᲘᲜᲓᲘᲡ ქ. № 20.

ძვირფასო ბატონო ოლივერ!

მე თქვენ მოგწერეთ (მარჯორის გარდაცვალების შესახებ) თქვენი უწყების მიღებისთანავე. იმედი მაქვს, რომ ჩემმა წერილმა თქვენამდე უკვე მოაღწია.

1. ოქსფორდი, უორდროპთა ფონდი — C30 (№ 18). დაწერილია ფრანგულად. ხელმოწერა ოლღა ჭავჭავაძისაა. თარგმანი მანანა იამანიძისა.

თქვენ კარგად იცით, თუ რა სიყვარული მაკავშირებდა თქვენს ძვირფას დასთან. ალბათ წარმოიდგენთ, რა უდიდესი ტკივილი დატოვა მისმა სიკვდილმა ჩემს არსებაში.

მაშ, ნუ დამივიწყებთ და თქვენი ამბები ხშირად მომაწვდინეთ, რითაც მასულდგმულებთ და ისე ჩავთვლი, თითქოს, მარჯორისაგან ვღებულობდე მოკითხვას.

მთელი გულით ვიზიარებ თქვენს მწუხარებას და ღმერთს ვთხოვ, განუსვენოს ჩემს სულმნათ მარჯორის. იმედი მაქვს, რომ უფალი შეამსუბუქებს დედათქვენის და თქვენს ტანჯვას.

თქვენთვის თავდადებული

ოლგა ჭავჭავაძისა[1]

29 თებერვალი, 1910 წელი, ტფილისი, მთაწმინდის ქ. № 20.

ძვირფასო ბატონო ოლივერ!

ერთხელ კიდევ მადლობას მოგახსენებთ თქვენი თავაზიანი დაპირებისათვის თბილისში ჩამოსვლის შესახებ. ახლახან მივიღე თქვენი წერილი, რამაც ძალიან ამაღელვა.

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება თბილისში, ასევე ჩემს სახლში, რომელიც გთხოვთ ჩათვალოთ ისე, როგორც თქვენი საკუთარი. მე ბედნიერი ვიქნები, თუკი პატივს დამდებთ ჩემთან თქვენი მობრძანებით.

მოუთმენლად ველოდები ამ სიამოვნებას და გთხოვთ, ძვირფასო ბატონო ოლივერ, მიიღოთ ჩემი ღრმა პატივისცემა.

ოლგა ჭავჭავაძისა.[2]

1911 წლის 20 იანვარს. (ტფილისი).

დიდათ პატივცემულო ჩემთვის უძვირფასესო ბატონო ოლივერ!

მოგართვი დამატებითი „სახალხო გაზეთისა“ და „ფასკუნჯი“, მოგართვით როგორც საკითხავ მასალათ. ბევრი შესანიშნავი ძველი ქართული ჩვეულებისა არის და მასთან ბევრი ორნამენტები. გთხოვთ ეს პატარა ხალიჩა გადასცეთ ჩემ მაგიერ თქვენ ძმას ბატონ თომას სახსოვრათ საგურამოს ყოფნის დროსა. ჩემ უდიდეს ნატვრას ის შეადგენს, რომ ღმერთმა მაღირსოს თქვენი ქვეყნის ნახვა და ჩემი დაუვიწყარი სათნოებით სავსე მარჯორის საფლავის ნახვა და კრძალულებით იმის ნახატში ვემთხვიო.

ეს აზრი ჩემ ოცნებათ გადაქცეულა. ნუ დამივიწყებთ და თქვენ ლმობიერებას ნუ მომაკლებთ.

თქვენი უღრმესი პატივისმცემელი

ოლგა ჭავჭავაძისა.

1911 წლის 21 იანვარს, (ტფილისი).

დიდათ პატივცემულო ჩემთვის უძვირფასესო ბატონო ოლივერ!

ნუ გამიწყრებით, ბადრიჯნის მურაბა მოგართვით, ისე შევახვიე, რომ გზაზედ არ გატყდება და შინ კარგათ მივიდეს. იყავით კარგად და დღეგრძელი. ნუ მომაკლებთ თქვენ

---

1. ოქსფორდი, უორდროპთა ფონდი — C30 (№ 19). დაწერილია ფრანგულად. თარგმ. მ. იამანიძისა.

2. ოქსფორდი, უორდროპთა ფონდი — d38 (№ 36). დაწერილია ფრანგულად. თარგმ. მ. იამანიძისა.

ადამიანობას და ლმობიერებას. გთხოვთ ჩემი ულრმესი პატივისცემა მოახსენოთ დედათქვენს და თქვენ ძმას, იმედს არ ვკარგავ, წასვლის დროს მნახამთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვენი ულრმესი პატივისმცემელი

**ᲝᲚᲒᲐ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲘᲡᲐ.**

1911 ᲬᲚᲘᲡ 6 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ, (ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘ).

დიდათ პატივცემულო და ჩემთვის უძვირფასესო ბატონო ოლივერ!

თქვენმა წერილმა ბათუმიდგან თქვენ ნახვასავით გამახარა. იმედს არ ვკარგავ, ღმერთი შემეწევა, ბერლინში რომ წავალ, იქიდან მელირსება სალამი გიძღვნათ, მოვიდე და ჩემი სულმნათი სათნოებით სავსე მარჯორის საფლავს ვემთხვიო და თქვენი ოჯახის ნახვით ვისიამოვნო .გთხოვთ დედათქვენს და თქვენ ძმას ჩემი უნდაბლესი პატივისცემა გადასცეთ.

იყავით კარგათ და დღეგრძელი ჩემ ნუგეშათ.

როდესაც თავისუფალი დრო გქონდეთ, თქვენის ანბით ორიოდ სტრიქონით მანუგეშეთ ხოლმე.

თქვენი ულრმესი პატივისმცემელი

**ᲝᲚᲒᲐ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲘᲡᲐ.**

1911 ᲬᲚᲘᲡ 14 ᲛᲐᲠᲢᲡ, (ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘ).

დიდათ პატივცემულო და ჩემთვის უძვირფასესო ბატონო ოლივერ!

არ ვიცი, რა სიტყვით გამოვსთქვა ის მადლობა და სიხარული იმ ადამიანობისათვის, რომ მეც გამაბედნიერეთ და გამხადეთ მონაწილე თქვენი ოჯახის ბედნიერებისა ძვირფასი ასულის დაბადებით.[1] მე არ ვცდები, რომელსაც დაერქმევა ჩემი სანეტარო მარჯორის სახელი და იქნება სანეტარო ბავში თავის ანგელოზებრივი სათნოებით და სიხარულით ოჯახს ალავსებს. ეხლა ერთი-ორათ მენატრებით, ღმერთმა შემაძლებინოს წავიდე ბერლინს, ჩემი ნატვრა ამისრულდეს, მელირსოს ჩემი სათნო მარჯორის საფლავს თაყვანი ვცე და თქვენი და დედათქვენის და ბატონ თომას ბედნიერი ოჯახის ნახვით ეს სანეტარო ოცნება გამიმართლდეს. ფრანციცულ ენას ვსწავლობ და მანამ კარგ წერას არ შევძლებ, ქართულათ უფრო მეხერხება წერა.

გთხოვთ ჩემი ულრმესი პატივისცემა გადაეცით დედათქვენს და ბატონ თომას და თუმცა ცნობა არა მაქვს თქვენი რძლისა, მიულოცეთ ჩემ მაგიერ ბედნიერება თავის პატარა ასულით და მასთან ჩემი უნდაბლესი პატივისცემა (მოახსენეთ). იყავით კარგათ და დღეგრძელათ. ნუ მომაკლებთ თქვენ მაღალ ლმობიერებას. თქვენ ვერ წარმოიდგენთ იმ ნუგეშის ცემას, რომელსაც თქვენი წერილი მომავლენს ხოლმე. თქვენი ნათესაური მოკითხვა ნუგეშია ჩემთვის.

თქვენი ულრმესი პატივისმცემელი

**ᲝᲚᲒᲐ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲘᲡᲐ.**

1911 ᲬᲚᲘᲡ 14 ᲛᲐᲠᲢᲡ, (ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘ).

დიდათ პატივცემულო და ჩემთვის უძვირფასესო ბატონო ოლივერ!

თქვენმა წერილმა ისე გამახარა, რომ სამჯერ წავიკითხე და იმ ალტაცებაში ვიყავ, რომ თქვენ რძალს ქალი ყოლია, და ჩემ სათნო მარჯორის მაგიერობას ოჯახს გაგიწევთ

---

1. იგულისხმება მარჯორის უმცროსი ძმის — თომას უორდროპის ახლადშეძენილი შვილი. მომდევნო წერილიდან ირკვევა, რომ თვალში სინათლის ნაკლებობის გამო ოლღა ჭავჭავაძეს ოლივერის წერილში შეცდომით ქალი ამოუკითხავს, მაშინ როდესაც, სინამდვილეში, თომას უორდროპს ვაჟი შეეძინა.

და ეხლა მეოთხეთ რომ წავიკითხე, მაშინ ნათლათ დავინახე და გავარჩიე რომ ვაჟი ეყოლა. ჩემი სიბრმავის შედეგია. თითქმის სინათლე თანდათან მაკლდება. ჩემ მაგიერ თქვენ ძმას და რძალს მიულოცეთ ვაჟიანობა და ბედნიერება ოჯახს გულით და სულით. მინდა ველირსო თქვენი ოჯახის ნახვას და პატარის ნახვას.

მე მგონია უფრო ის იყო მიზეზი გარკვევით ვერ გავარჩიე — სიბრმვე და სიყრუე აუტანელი ყოფილა. გულით შევწუხდი და იმიტომ ამ მეორე წერილს ვწერ. ისე, რომ, ჩემი ორივე წიგნი ერთ დღეს მოგივათ.

გთხოვთ ჩემი ულრმესი პატივისცემა გადასცეთ თქვენ ძმას ბატონ თომას და მის მეუღლეს. ჩემთვის დიდი ნუგეშია რომ მიგონებთ და თქვენი ოჯახის ბედნიერებაში მონაწილეთ მხდით, რომელშიც ჩემთვის უდიდესი ნუგეშის ცემაა. დედათქვენს ჩემ მაგიერ მიულოცეთ შვილიშვილის შემატება და ბედნიერება ოჯახისა. თქვენ თავს გაუფრთხილდით, ნუ გაცივდებით. კარგათ იყავით. ნუ მომაკლებთ თქვენ კეთილ კაცთმოყვარეობას.

თქვენი ულრმესი პატივისმცემელი

**ოლგა ჭავჭავაძისა.**

1911 წლის 20 აპრილს, (ტფილისი).

ბატონო ოლივერ!

წუხელ მივიღე თქვენი წერილი. ღმერთმა დიდხან გაცოცხლოთ იმ ადამიანობისათვის, რომლითაც მე მანუგეშებთ. თუ ღმერთი შემეწია და ჩემი ოცნება გამართლდა და მოვახერხე სანამლებლათ წასვლა, უეჭველად გიახლებით და დედათქვენს და თქვენ რძალს და ძმას და თქვენ თავს დაგიკრამთ და თქვენი საერთოთ ნახვით გავიხარებ.

რაც ხანი გადის უფრო ვსნეულდები და წამლობა ჩემთვის აუცილებელია. მიხარიან, რომ მყუდროთ და სიამოვნებით ატარებთ დროს სახლში დედასთან. გაზაფხული დადგა და თავის მაცოცხლებელ ხალისს იძლევა.

გთხოვთ ჩემი უნდაბლესი პატივისცემა გადასცეთ დედათქვენს, ბატონ თომას და მის მეუღლეს. ვნატრულობ პატარის ნახვას, რომელიც ეხლა ყველას თქვენ გამხიარულებთ. იყავით კარგათ და დღეგრძელი ჩემდა ნუგეშათ.

ბატონი სარაჯოვი თავის მეუღლით ბერლინშია და რომ დაბრუნდებიან გადავცემ თქვენ სალამს. ლეისტსაც უკვე გადავეცი თქვენი მოკითხვა. თქვენის ანბით მასიამოვნეთ ხოლმე.

თქვენი ულრმესი პატივისმცემელი

**ოლგა ჭავჭავაძისა.**

1911 წლის 31 მაისს, (ტფილისი).

დიდათ პატივცემულო ჩემო ბატონო ოლივერ!

თქვენი სადარბაზო ღია წერილი მივიღე, რომლისთვისაც დიდ მადლობას გიძღვნით. თქვენი მაღალი ადამიანური ნუგეშისცემა და მოგონება ჩემთვის დიდი საჩუქარია. მე სულ თითქმის წელია ვარ ისე ავათმყოფი. ნეტავი ჩემი ნატვრა ამიხდეს და ის დღე გამითენდეს, რომ გიხილოთ და თქვენ და დედათქვენს პირადათ მადლობა მოგახსენოთ იმ აუარებელი ნუგეშისცემით. მაპატიეთ, რომ ვბედავ თქვენ შეწუხებას: როდესაც სულ მორჩეთ თქვენ დიად მუშაობას და გთხოვთ „ვეფხის ტყაოსანი" ერთი ცალი მიშოვოთ, რაც ეღირება მოგართმევთ. მუქთათ არავის არ უნდა უბოძოთ, რადგან მუზეუმს თავისი შემოსავალი არ აკლია, მასთან გთხოვთ ორი პაკეთი, როგორც იმ დღეს მიბოძეთ თქვენი ადრესით, ეხლაც მიბოძოთ. გაიცინებთ, რა ვქნა, როდესაც ვისაც ვთხოვ დამიწერონ ადრესი, ისე მართლწერა არ იციან. დიდი ჯაფა მოგივათ, რადგან ბევრი გასაკეთებელია. მიხარიან, რომ იბეჭდება და ჩემი სანეტარო მარჯორის სურვილი სრულდება. მე ისე წარმოდგენილი მაქვს, იმას ესმის თქვენი მუშაობის შესრულება და უხარია!

გთხოვთ დედათქვენს და თქვენ ძმას და რძალს ჩემი ულრმესი პატივისცემა მოახსენოთ. იყავით კარგათ და დღეგრძელი ჩემდა სანუგეშოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვენი ულრმესი პატივისმცემელი და მადიდებელი

**ოლგა ჭავჭავაძისა.**

1911 წლის 4 მკათათვეს, (ტფილისი).

დიდათ პატივცემულო და ჩემთვის დაუვიწყარო ნუგეშის მცემელო ბატონო ოლივერ!

ეს არის თქვენი წერილი მივიღე, რამაც დიდათ მასიამოვნა. ვიცი, ბევრ საქმეებში ხართ გართული და დრო ცოტა გაქვს. მე თავის დღეში თქვენ არ შეგაწუხებთ. როდესაც სულ მოცლილი იქნებით, მომიგონეთ ხოლმე, ორიოდ კალმის მოსმით მანუგეშეთ. მე თქვენ და თქვენ ოჯახს ისე ვუყურებ, როგორც ჩემ გულით ნადებ მახლობელ ნათესავს. ჩემი სულმნათის მარჯორის ოჯახი ჩემთვის ნუგეშსა და მოსვენებას შეადგენს. იმიტომ ვბედამ და ასე კადნიერებით გთხოვთ ხოლმე მანუგეშოთ თქვენი და თქვენი ოჯახის ანბით. გთხოვთ და გევედრებით თქვენ თავს გაუფრთხილდეთ, ბევრს ნუ იმუშავებთ.

მე სულ მარტო ვარ, ჩემი ნათესავები ყველანი სააგარაკოთ წავიდნენ. სულ ავათ ვარ. გულით მინდოდა ორიოდ თვე მომეხერხებინა საწამლებლათ წასვლა და ვერას გზით ვერ მოვახერხე.

უნდა მოგახსენოთ, უთუოთ გაზეთში წაიკითხავდით, ჩვენი კარგი ადამიანი 26 თიბათვეს დავით სარაჯოვი ეს ერთი კვირაა გარდაიცვალა და კვირას დაასაფლავეს. როგორ კარგი მამულიშვილი და ევროპულათ აღზრდილი და განათლებული მრეწველი, ისე დიდებულება გამოიჩინა თავის სამშობლოს ყველა კულტურული დაწესებულება უხვათ დააჯილდოვა: წერა-კითხვის საზოგადოებას უანდერძა 300 000 მანეთი: 150 000 — მუზეუმის ასაშენებლათ, 150 000 — სტიპენდიის თანხათ უნდა იყოს. თავისი სასახლე უანდერძა თავის დედაქალაქს თბილისს, როგორც პირველმა მოქალაქემ და მის შვილმა. თავის ქარხნის მუშებს 125 000, ფორაქიშვილს — 100 000, ა. სარაჯოვს 10 000, ლეისტს — 1000, მიშა მაჩაბელს — 1000, თავადაზნაურობის სკოლის შენობას — 2 500. დიდებულათ დაასაფლავეს დიდუბეში!

დიდი დანაკლისია ჩვენი ღარიბ უადამიანო მდგომარეობისთვის. მაგისთანა მხნე და გამჭრიახე გონების პატრონის უდროოთ დაკარგვა. ოჯახი არ იყო, რომ თვისი მადლიანი ნუგეშით არ მოევლო და არ ეპატრონა. თავის მხნეობით შეიძინა დიდი სიმდიდრე და თავის საყვარელ სამშობლოს უძღვნა. პირველი ადამიანი გამოჩნდა, რომელსაც მართლა უყვარდა ბეჩავი სახლი და ყველა ანუგეშა.

გთხოვთ ჩემი უნდაბლესი პატივისცემა გადასცეთ დედათქვენს და თქვენ რძალს და ძმას. იყავით კარგათ და დღეგრძელათ ჩემდა სანუგეშოთ. მიამა, ბექთაბეგოვი ყოფილა და თავისებურად მხიარული გაატარებდა დროს.

მაპატიეთ, მაგრამ არ შემიძლია არ გთხოვოთ თქვენ თავს გაუფრთხილდეთ.

თქვენი ულრმესი პატივისმცემელი

**ოლგა ჭავჭავაძისა.**

1911 წლის აგვისტო, (ტფილისი).

დიდათ პატივცემულო ბატონო ჩემო ოლივერ!

ღმერთმა დიდხანს გაცოცხლოთ ჩემდა სასიქადულოთ იმ კაცთმოყვარეობისათვის, რომელსაც ჩემდამი იჩენთ. ვერ წარმოიდგენთ იმ სიხარულს და გულის სიმშვიდეს, რომელსაც თქვენის წერილის მიღება მანუგეშებს ხოლმე. თქვენი და თქვენი დედის კარგა ყოფნობა ჩემთვის სიხარულს შეადგენს. სიამოვნებით გაგიტარებიათ დრო და კარგათაც ბრძანებულა დედათქვენი. ერთიორათ გავიხარეთ. თქვენ ოჯახს და თქვენ ისე გიყურებთ, როგორც ჩემ ღვთაებრივ სასოებით სავსე მარჯორის. თუ დამიგვიანდება ხოლმე თქვენგან წერილი, ვიცი, რომ დრო არის მიზეზი უქონლობა და ველი.

სარაჯოვის ცოლმა მაშინვე შემატყობინა, როგორც მოუვიდა თქვენი სამძიმრის ბარათი. დიდათ და დიდათ მადლობელი იყო. საწყალი ძალიან ავათმყოფობს. ამ თვის ბოლოს, პირველ სექდემბრის რიცხვში აპირებს ბერლინში საწამლებლათ წასვლას. ქმრის დამ ეკატერინე ერისთავისამ დავა აუტეხა ანდერძის შესახებ — ქალაქს სახლს არ დავანებებთო. ნება არ ქონდაო ქალაქისთვის ეანდერძნაო. ან 500 ათასი მოგვცენო, თუ არა და სახლს არ მივცემთო. ბევრს უსიამოვნებას იტანს იმათგან.

არ ვიცი, რა სიტყვით გამოვთქვა მადლობა „ვეფხის ტყაოსნის" მობოძებით, ჩემი მარჯორის მაგივრობას გამიწევს.

გთხოვთ ჩემი უნდაბლესი პატივისცემა და მადლობა მოახსენოთ დედათქვენს. იყავით კარგათ და თქვენის კარგის ანბით მანუგეშეთ ხოლმე.

თქვენი ულრმესი პატივისმცემელი

ᲝᲚᲒᲐ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲘᲡᲐ.

P. S. დიდი იმედი მქონდა, რომ ამ თვეში ძეგლს აკურთხებდნენ ილიას საფლავზე. მაგრამ მასალის უქონლობამ სექდემბრამდინ გადადო.

მოუთმენლათ მოველი იმ დღეს, მეღირსება იმ დღის ნახვა, შესაფერათ იქნება შემკული საფლავი.

Ო. Ჭ.

1911 ᲬᲚᲘᲡ 26 ᲡᲔᲥᲓᲔᲛᲑᲔᲠᲡ, (ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘ).

დიდად პატივცემულო ბატონო ჩემო ოლივერ!

თქვენი წიგნი მივიღე, თქვენმა კარგმა ამბავმა თქვენ ნახვასავით მანუგეშა. მწერთ, რომ ჩინებული შემოდგომაა, აქაც ძალიან კარგი დარი დაიჭირა. დედათქვენის და თქვენმა კარგათ მყოფობამ გამახარა. იყავით კარგათ და დღეგრძელი ჩემდა სანუგეშოთ. თქვენი ძმა და რძალი რომ დაბრუნდება, მომიკითხეთ პატივისცემით.

სიხარია, რომ ქართველები იყვნენ თქვენთან სადარბაზოთ. ბევრს საგულისხმიერო ანბავს მოგახსენებდნენ. ჩემ ანბავს იკითხამ: ვერაფერს სანუგეშოს ჩემდამი ვერას მოგახსენებთ, თავის ქალა ისე მტკივა, რომ თითქმის ნახევარ ადამიანათ ვარ ქცეული. დედათქვენს უნდაბლეს პატივისცემას მოვახსენებ იმ კაცთმოყვარეობისთვის და ხსოვნისთვის, რომელსაც ჩემდამი იჩენს ხოლმე.

ვერ წარმოიდგენთ, როგორ მოველი ჩემ სულმნათ მარჯორის თარგმანს („ვეფხვის ტყაოსნისას"). როგორც რუსთაველია დიდებული და დაუვიწყარი, ისე ჩემი სათნოებით სავსე მარჯორია. სასოებით ავიღებ ხელში იმის ნათარგმნს, როდესაც მიბოძებთ.

ეკატერინე სარაჯოვისა იმ დღეს ვნახე. არ არის კარგათ. წუხელ ლეისტი იყო ჩემთან და მითხრა ორ ოკტომბერს ბერლინში მიდისო საწამლებლათ, უთუოთ ექიმებს არჩევს. მეორეც ესაა, რომ ბევრი შარი არის, ყოველ მხრივ აწუხებენ, იქ მოვლაც კარგი ექნება და მოსვენებულიც.

თქვენ მაღალკეთილშობილებას და ადამიანობას ნუ მომაკლებთ. იყავით კარგათ და დღეგრძელი ჩემდა სანუგეშოთ. თქვენ ოჯახს, როგორც მახლობელ ნათესავს, ისე ვუყურებ და როდესაც მომივა თქვენი ანბავი, გავცოცხლდები ხოლმე.

თქვენი ულრმესი პატივისმცემელი

ᲝᲚᲒᲐ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲘᲡᲐ.

1911 ᲬᲚᲘᲡ 5 ᲦᲕᲘᲜᲝᲑᲘᲡᲗᲕᲔᲡ, (ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘ).

დიდათ პატივცემულო ბატონო ოლივერ!

გავიგე თქვენი აქ მობრძანება. გული მტკივა, რომ არ მნახეთ. გთხოვთ და გევედრებით, მობრძანდეთ და მნახოთ. თქვენ ისე გიყურებთ, როგორც ჩემ მახლობელ ნათესავს და

გთხოვთ მნახოთ. ნუ მოერიდები ნურავის, ისე შემობრძანდით. თქვენი ნახვა და მოსვლა მანუგეშებს და სიცოცხლეს მომიმატებს. ბევრი რამ მაქვს სათქმელი.

თქვენი ულრმესი პატივისმცემელი

**ოლგა ჭავჭავაძისა.**

P. S. შავი კიბიდან მობრძანდით, ჩემი დისწული გაგიღებთ. იმედს არ ვკარგავ მნახამთ.

**ო. ჭ.**

## ელისაბედ ჭავჭავაძე-საგინაშვილის წერილი

1907 წელს, 6 ნოემბერს, (ტფილისი).

საყვარელო დაო მარჯორ!

თქვენა და თქვენს ძმას მადლობას მოგახსენებთ, რომელთაც თქვენი ცრემლი შეუერთეთ ჩემს ცრემლს, ღრმა მწუხარება, გულის მტკივნეულობა გამომიცხადეთ სამგლოვიარო თქვენს წერილში ჩემის უძვირფასესის და დაუვიწყარის ძმის უბედური სიკვდილის გამო.

დავკარგე ჩემი სათაყვანებელი არსება, ერთათ-ერთი ძმა მშვენიერი ილია, ძვირფასი გვირგვინი და დიდება ჩემი და ჩემი სამშობლოს ოჯახისა, მამა საქართველოს ერისა.

დავრჩით მე და ოლგა ყოვლად უნუგეშოთ, საყვარელო დაო მარჯორ! გარდა ცრემლისა, ვაებისა და ღრმა მწუხარებისა, აღარა დამშთენია რა. ყოველივე ჩვენი სიხარული და ბედნიერება დაიმარხა ილიასთან, მისს სამარესთან. რათ ინება განგებამ ჩემი ასეთი მწარე სასჯელი, მე ცოცხალი ვიმყოფები, დავტირი ილიას ორის ტყვიით განგმირულს გულს და მშვენიერს შუბლს სისხლით გადმომდინარეს.

ბოდიშს ვითხოვ, თქვენთან პასუხი წერილისა დაგიგვიანეთ, შემდგომ ამ საშინელის უბედურებისა, ავათ ვიმყოფებოდი, ოლგა კარგათ იმყოფება, გამთელდა წყლულება. ამასთან მოგართვით ჩემი სასიქადულო ძმის ილიას დასაფლავების აღწერა.

თქვენს პატივცემულს ძმას გულითადი მადლობა და მოკითხვა სალამი გარდაეცით. იმედი მაქვს უბედურებაში მყოფს ილიას დას არ დამივიწყებთ.

თქვენი მარად პატივის მცემელი და მოსიყვარულე და

**ელისაბედ საგინოვისა.**

## ვენერა ბერიძის წერილი

1908 წლის 30 იანვარი, (ქუთაისი).

ჩემო უძვირფასესო მარჯორი!

მე დიდი ხანია მივიღე შენი ვრცელი წერილი, რომელმაც დიდათ, დიდათ მასიამოვნა და იმის შემდეგ კიდევ ღია წერილიც, მეც მსურდა პასუხის მოწერა და ისევ ვრცელი პასუხის. იმიტომ იყო, რომ დამიგვიანდა წერილის მოწერა, მინდოდა ყოველიფერზე პასუხი მომეცა, რასაც შენ შენს ბარათში მეკითხებოდი და ამასობაში ისეთი შემთხვევები შემხვდა, რომ შემიშალა ხელი შენთვის ვრცელი წერილი მომეწერა.

...ამ წელიწადს მაინც სულ მწუხარება და ცუდი შემთხვევები იყო და ამდენის გადატანა გამიჭირდა. ილიას ისეთნაირმა მოკვლამ ხომ საშინელი თავზარი დაგვცა მთელ საქართველოს და თვითეულათ კიდევ ყველას დიდსა და პატარას, ყმაწვილს და მოხუცებულს. ჯერე რომ დავკარგეთ ასეთი საუცხოო და იშვიათი მამულიშვილი და მერე კიდევ რანაირად დავკარგეთ! რა სირცხვილი, რა სირცხვილი ჩვენს ქვეყანას და მის შვილებს! ჩვენვე ჩვენი ხელით მოვკალით...

ილიას დასაფლავებას დავესწარი. აქედან გაგვაგზავნეს რამოდენიმე ქალები ქუთაისის ქალების საზოგადოებამ და გვირგვინის წაღება დაგვავალეს, მათ შორის მეც ვიყავი. დასაფლავებამ კი დიდათ მანუგეშა, რადგანაც დავინახე, რომ ჯერ კიდევ საქართველო სცოცხლობს, სული უდგას და კიდევ ყავს სასახელო და საიმედო შვილები. არც ერთს დიდებულთაგანს არა თუ რუსეთში, არამედ ევროპაშიაც არ ღირსებია ასეთი გასვენება და დასაფლავება, არც ერთ მეფეს! ნეტაი შენ გენახა, მარჯორი, ეს დიდებული ცერემონია, ეს ყველას შემაერთებელი მწუხარება და სიამაყეც! ვინუგეშე სწორეთ მაშინ...

შენი მარად მოყვარული მეგობარი

**ვენერა ბერიძე.**

☐ გაგრძელება იქნება ☐

პარლამენტის ბიბლიოთეკა

აკაკი ბაქრაძე

# ისევ «ქებაჲს» გამო

ამ ბოლო დროს განსაკუთრებული ყურადღების საგანი გახდა ჰიმნი „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“. თითქმის ზედიზედ გამოქვეყნდა წერილები (ნ. პაპუაშვილის, რ. პატარიძის, ზ. კიკნაძის, თ. ჩხენკელის), რომელთა მიზანია „ქებაჲს“ სიმბოლოების ამოხსნა და დედააზრის დადგენა. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ თუ „ქებაჲს“ ცალკეული სახე-სიმბოლოები ბუნდოვანი და რთული გასაგები იყო, საერთო შინაარსი ყველას მკაფიოდ ესმოდა. იოანე-ზოსიმეს სახელით ცნობილი ჰიმნი ქართულ მესიანისტურ იდეას ატარებდა: ქართული ქრისტეს ენაა და მეორედ მოსვლის ჟამს ამ ენით გაასამართლებს უფალი კაცობრიობას, დღეს ამგვარი აზრი შეიძლება მეტისმეტად პრეტენზიულად მოეჩვენოს მკითხველს, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ, რომ ყოველ ქრისტიან ერს აქვს მესიანისტური იდეა, მაშინ მოულოდნელი არაფერი იქნება. მესიანისტური იდეა ერის თვითგანმტკიცებას, თვითრწმენას, ძლიერებას უწყობს ხელს. ამა თუ იმ ისტორიულ სიტუაციაში ოპტიმიზმის საფუძველია და ებრძვის ეროვნულ სასოწარკვეთილებას. ბუნებრივია, რომ ძველმა ქართველმა მოაზროვნეებმაც გაითვალისწინეს ეს და გამოიმუშავეს და ჩამოაყალიბეს კიდეც ქართული მესიანისტური იდეა. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ თვალსაზრისით „ქებაჲ“ მარტო არ არის. ძველქართულ აზროვნებას მესიანისტური იდეა წითელ ხაზად მიჰყვება.

რა თქმა უნდა, უაღრესად საინტერესოა პარალელის გავლება ქართულ მესიანისტურ იდეასა და სხვა ხალხების (მაგალითად, რუსების, პოლონელების, სომხების) მესიანისტურ იდეას შორის, მაგრამ ეს დიდძალი მასალის ცოდნას მოითხოვს და მეტად რთულიც არის. ოღონდ სომხურ მესიანისტურ იდეასთან შედარება კი აუცილებელია. ეს დაგვეხმარება ზოგიერთი საკითხის გარკვევაში.

სომხური მესიანისტური იდეა ეფუძნება წარღვნის ამბავს. როგორც კარგად ცნობილია, წარღვნის შემდეგ ნოეს კიდობანი არარატის მთაზე გაჩერდა. აქ გამოვიდა გარეთ ნოე და მისი სახლობა. აქედან დაიწყო კაცობრიობის ხელმეორე აღორძინება. ამის თანახმად, ზოგიერთ ძველ სომეხ მემატიანეს მიაჩნია, რომ, წარღვნის შემდეგ, ნოემ მთელი ცხოვრება (ნან კი, ბიბლიის მიხედვით, 350 წელიწადი იცოცხლა) სომხეთში გაატარა, იცოდა სომხური ენა და დასაფლავებულია ნახჭევანში. ამიტომ სომხეთი კაცობრიობის რეგენერაციის აკვანია. ეს აძლევდა საფუძველს ზოგიერთ სომეხ მემატიანეს ემტკიცებინა — ყველა ხალხი სომხებისგან წარმოიშვა და ყველა ენის მშობელი სომხურიაო (იხ. ალ. აბდალაძის — „ქართლის ცხოვრება“ და საქართველო-სომხეთის ურთიერთობა“, 1922 წ., გვ. 101, 102, 107, 108, 144-5).

ნურვინ მიიჩნევს ამას უბრალო მიამიტობად. იგი სომხური მესიანისტური იდეაა. მძიმე ისტორიული კატაკლიზმების ეპოქაში ეხმარებოდა ეს აზრი სომეხ ხალხს და იმედით ასაზრდოებდა მის სიმტკიცეს, მხნეობას, ვაჟკაცობას. ამ იდეამ არსებითი როლი შეასრულა სომეხი ხალხის გადარჩენაში. სხვათა შორის, სომხური მესიანისტური იდეის გავლენა იმდენად დიდი ყოფილა, რომ რუსეთშიც არარატის მთებიდან, სომხეთიდან მოელოდნენ მესიას, მხსნელს. ასე ფიქრობდნენ მანამ, სანამ 1701 წელს სომეხ მოღვაწეს ისრაელ ორის წერილი არ გაუგზავნია პეტრე პირველისათვის და არ უცნობებია — მოსკოვიდან მოევლინებაო ქვეყნიერებას მესია.

მესიანისტური იდეა სომხეთს უპირველესად სჭირდებოდა ბიზანტიის მესიანისტური იდე-

ის წიხაალნდეგ, მასთან დასაპირისპირებლად. ასეა საქართველოშიც: მესიანისტური იდეით, ერთი მხრივ, ქართველობა თავს იცავს ბიზანტიის პოლიტიკური და რელიგიური აგრესიისაგან, მეორე მხრივ, გრიგორიანული ეკლესიის პრეტენზიისაგან.

ქართული მესიანისტური იდეა გაცხადებულია „ქართლის მოქცევაშიც“. როგორც ცნობილია, ეს თხზულება გვაცნობებს, რომ მცხეთელი ებრაელი ელიოზი იერუსალიმში წავიდა, ქრისტეს კვართი მიიღო და იგი მცხეთაში ჩამოიტანა („შატბერდის კრებული“, 1979 წ., გვ. 389). მაშასადამე, ქართული სამყაროს ცენტრი მცხეთა ქრისტეს კვართის მფლობელია. მაგრამ ამით არ კმაყოფილდება ძველი ქართული მწერლობა და კიდევ უფრო ალრმავებს ქრისტესთან კავშირს.

„მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ცნობას იმეორებს კიდევ ორი ქართული თხზულება — „ქართლის ცხოვრება“ და „ცხორება და მოქალაქობა“ ნინოისი“. მაგრამ თუ „ქართლის ცხოვრება არაფერს ამატებს „ქართლის მოქცევაში“ ნათქვამს, „ცხორება და მოქალაქობა ნინოისი“ ცალკეული დეტალებით ავსებს მას. კერძოდ შემდეგით:

იოანეს სახარება გვიამბობს (XII, 20—23), რომ ქრისტეს იერუსალიმში შესვლის დღესასწაულის სანახავად წარმართებიც ჩასულან მშვიდობის ქალაქში. ისინი ფილიპესთან მისულან და უთხოვნიათ — იესოს ნახვა გვინდაო, ფილიპემ წარმართთა ეს სურვილი ანდრიას გაანდო, ხოლო ორივემ ქრისტეს მოახსენა. პასუხად მიიღეს: მოიწია ჟამი, რაჲთა იდიდოს ძე კაცისაჲ.

„ნინოს ცხორება და მოქალაქობა“ გვარწმუნებს — იმ წარმართთა შორის, რომელთაც ქრისტეს ნახვა ეწადათ, ელიოზ მცხეთელიც ერიაო. „იყვნეს ვინმე წარმართთაგანნიცა აღმოსრულთა მათგანნი, რათა თაყვანისცენ დღესასწაულსა მას. ესენი მივიდეს ფილიპესა, რომელი იყო ბეთსაიდაით გალილეაისაით, და ეტყოდეს მას: „უფალო, გვნებავს იესუსი ხილვა“, მივიდა ფილიპე და ჰრქვა ანდრიას: მივიდეს ანდრია და ფილიპე და ჰრქვეს იესუს. ესენი იყვნეს ელიოზ და მისთანანი წარმართთაგანი მოსრულნი“ („ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები“, 1978 წ., გვ. 376).

არც „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ და არც „ქართლის ცხოვრებას“ არ უთქვამს, ქრისტეს სანახავად მისულ წარმართებს შორის ელიოზ მცხეთელიც იყოო. ასე მხოლოდ „ნინოს ცხორება და მოქალაქობა“ აზუსტებს.. ეს არ არის არც შემთხვევით და არც უბრალოდ ნათქვამი. იდეოლოგიურად ამას არსებითი მნიშვნელობა აქვს. ჯერ ერთი, ელიოზ მცხეთელის იერუსალიმში მგზავრობა და ქრისტეს კვართის მიღება გამაგრებულია იოანე მახარებლის ავტორიტეტით და მეორეც, უფრო საყურადღებო, სამივე ქართული თხზულების თანახმად, ელიოზ მცხეთელმა არ მიიღო ქრისტეს წამებაში მონაწილეობა.

როცა ელიოზი მცხეთიდან გაემგზავრა, დედამ დააბარა:

„წარვედ, შვილო, წოდებასა მეფისასა და წესსა შჯულისასა, ხოლო რომელსა იგინი განიზრახვენ, ნუ შეერთვინ ცნობაჲ შენი მას ყოვლადვე, ნუ, შვილო, ჩემო, რამეთუ სიტყუაჲ არს წინაისწარმეტყველთაჲ და იგავი ბრძენთაჲ, საიდუმლოჲ, არს დაფარული ჰურიათაგან, ხოლო წარმართთა ნათელ და ცხორება საუკუნო.“

ამასვე იმეორებენ „ქართლის ცხოვრებაც“ და „ცხორება და მოქალაქობა ნინოისი“. უაღრესად საყურადღებოა ქართველ ავტორთა დამოკიდებულება. მათ თანახმად, მცხეთელი ებრაელი ქალი იმას მიხვდა, რასაც ვერ ჩაწვდა მთელი პალესტინა. მცხეთაში უკვე იციან ის, რაც ჯერ არავინ უწყის: ქრისტეა საუკუნო ცხოვრება და არ შეიძლება მიიღო მონაწილეობა მაცხოვრის მკვლელობაში. ამას უნდა დავუმატოთ ისიც, რომ ელიოზის დედამ მცხეთაში, წინასწარ იგრძნო ქრისტეს კაცებრივი ალეს სიკვდილი. სამივე ქართველი ავტორი წერს, როცა იერუსალიმში ჯვარზე გაკრულ ქრისტეს სამსჭვალს ჭალათმა კვერი დასცა, მცხეთაში ელიოზის დედამ იკივლაო:

„მშვიდობით, მეფობაო ჰურიათაო, რამეთუ მოჰკალით თავისა მაცხოვარი და მხსნელი და იქმნენით ამიერითგან მტერ შემოქმედისა. ვაჲ თავსა ჩემსა, რომელ არა წინარე მოკუედ, რომელმცა ესე არღარა მსმენილ იყო, და არცა კნინ უკანაჲს-რე დავრჩი, რომელმცა მეხილვა ნათელი გამობრწყინებული წარმართთა ზედა და დიდებაჲ ერისა ისრაელისაჲ“.

ქრისტეს წინაშე ჩადენილი დანაშაულის მნიშვნელობას მცხეთაში მაშინვე მიხვდნენ.

ცხადია, ყველაფერი ეს ტყუილ-უბრალოდ არ იწერება. გატარებულია სრულიად მკაფიო აზრი: მცხეთა ქრისტეს კვართის მფლობელია, მაშასადამე, იგი განსაკუთრებული ქალაქია. თითქმის უთანაბრდება იერუსალიმს. კვართის პატრონიც კანონიერად და სამართლიანად არის. იგი ქართველთა სატახტოში ჩამოიტანა ებრაელმა კაცმა; ვინც არ მიიღო მონაწილეობა ქრისტეს წამებაში და რომლის დედამაც წინასწარ შეიცნო; ვინ იყო იესო და რა დანაშაულიც მოხდა მისი ჯვარცმით.

ასეთია ქართული მესიანისტური იდეის ერთი ნიშანი.

მეორე გახლავთ ის, რომ საქართველო ღვთისმშობლის წილხვდომილი ქვეყანაა.

იოანეს სახარება (XIX, 23-27) გვიამბობს, რომ გოლგოთაზე, ჯვარცმის წინ, „იესო ვითარცა იხილა დედაჲ თჳისი და მოწაფე იგი, რომელი უყვარდა, წინაშე მდგომარენი, ჰრქუა დედასა თჳსსა: დედაკაცო, აჰა, ძე შენი! და

მერმე მოწაფესა მას ჰრქუა: აჰა დედაჲ შენი და მიერითგან წარიყვანა იგი მოწაფემან მან თუისთა თანა.“

ძველი თუ ახალი კომენტატორების აზრით, „მოწაფე რომელი უყვარდა“ ქრისტეს და ვისაც წმ. მარიამზე ზრუნვა დაავალა, არის იოანე მოციქული.

„ნინოს ცხორება და მოქალაქობის“ ავტორი თავისებურად იზიარებს სახარების ამ ეპიზოდს და გვიყვება: ყველა მოციქული ქრისტიანობის საქადაგებლად თავთავიანთ წილხვდომილ ქვეყანაში გაემგზავრა. მხოლოდ იოანე არ წასულა ეფესოში. იგი მიზეზად იშველიებდა იმას, რომ არ შეეძლო ღვთისმშობლის უპატრონოდ დატოვება. შეწუხებულმა მარიამმა მაშინ იოანეს უთხრა, რომ არ იქნება სათნო უფლისათვის შენი უქმად ყოფნა და მხოლოდ ჩემზე ზრუნვა. წადი შენ იმ ქვეყანას, რომელიც წილად გერგო. მეც თან გამოგყვები. ორივე დავალება შესრულდება: ქრისტიანობასაც იქადაგებ და მეც შენთან ვიქნებით განუშორებლად.

ასეც მოიქცნენ. იოანე მოციქული, წმ. მარიამი, მარიამ მაგდალინელი და სხვა მენელსაცხებლენი საქადაგებლად გაეშურენ. სამი დღის შემდეგ ქრისტე გამოეცხადათ. იესოჲ ბრძანა ქადაგებად წასულიყვნენ იოანე და მენელსაცხებლენი, ხოლო წმ. მარიამი შინ დაბრუნებულიყო. „რამეთუ ნაწილ შენდა არიან ადვილ მოსაქცეველნი ერნი წარმართნი და ქვეყანა მათი.“ ღვთისმშობელი მორჩილად მობრუნდა უკან და დაისადგურა იოანეს სახლში ხიონად.

„ხოლო განვიდა რა სოფლისა ამისგან დიდებულითა მით მიცვალებითა და აღვიდა ხუფევად ძისა მისისა თანა. ამის შემდგომად წელთა მრავალთა შორის გარდასლვისა მოხედვა ყო ზეცით წყალობით ყოვლად-ახიერმან დედოფალმან და მოიხსენა უფლისა მიერ და ძისა თვისისა წილხვდომილი იგი მისდა ქვეყანა და ნათესავი ჩვენი. რამეთუ ნაწილ მისა ჩვენ ვართ, ნათესავი ქართველთანი, და ნეტარ ვართ ჩვენ და სამ ნეტარ, რამეთუ ნაწილ მისა ვიწოდებით და იგი არს შემდგომად ღმრთისა მხსნელი და განმათავისუფლებელი ჩვენი მწარისა მისგან მონებისა და სრულიადისა ტყვეობისა მთავრისა მის ბნელისა“ („ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები“, 1978 წ., გვ. 360).

თუკი საქართველო ღვთისმშობლის წილხვდომილია, ბუნებრივი და ლოგიკურია ქართულად მეტყველი წმ. მარიამის წარმოდგენაც. ბავშვობაში მძიმედ სნეულმა ექვთიმე მთაწმინდელმა იხილა ქართულად მოუბარი დედაღვთისა. „წარმომიდგა ვინმე დიდებული დედოფალი და მრქვა ქართულითა ენითა; — რაჲ არს, რაჲ გელმის, ეფთვიმე?..“ („ძველი ქართული მოთხრობა“, 1979 წ., გვ. 342).

ასეთია ქართული მესიანისტური იდეის მეორე ნიშანი.

მესამეს გვაუწყებს ბაგრატიონთა საგვარეულო ლეგენდა. ამის მიხედვით, ეს სამეფო დინასტია ქრისტეს ნათესავია, სუმბატ დავითის ძე თავის ქრონიკას „ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა“ ქრისტეს მიწიერი წინაპრების ჩამოთვლით იწყებს, ადამით მოყოლებული წმ. მარიამის ქმრით იოსებით დამთავრებული. შემდეგ გვატყობინებს, რომ იოსებს ჰყავდა ძმა კლეოპა. ბაგრატიონები ამ კლეოპას უშუალო შთამომავლად არიან მიჩნეული.

სასულიერო ლიტერატურაში ქრისტეს კაცებრივი წარმომავლობის მისანიშნებლად ხშირად შეხვდებით გამოთქმებს — ძირი იესესი, ძე დავითისი, შტო სოლომონისი. ბაგრატიონებიც დოკუმენტებში ასევე იხსენიებენ თავიანთ-თავს: იესიან-დავითიან-სოლომონიანი...

ამგვარი ნათესაობის იდეამ მისცა უფლება „ისტორიანისა და აზმანის“ ავტორს თამარის მიმართ ეთქვა:

„აქა კულა სამებისა თანა იხილვების ოთხებად თამარ, მისწორებული და აღმატებული“ („ქართლის ცხოვრება“, ტ. II, გვ. 25).

თამარზე „ტაბახმელისა ბეთლემ-მყოფელმან მუნ შვა ძე, სწორი ძისა ღმრთისა...“ (გვ. 56).

ქრისტიანული დოგმატის თვალსაზრისით, გაუგონარი მკრეხელობაა როგორც თამარის სამების (მამა-ღმერთი — სულიწმინდა — ქრისტე) მეოთხე წევრად გამოცხადება, ისე ლაშაგიორგი ღმრთის ძესთან ქრისტესთან, გათანაბრება. მაგრამ ეს აუცილებელია ქართული მესიანისტური იდეის გასამაგრებლად და მემატიანე აღარ ერიდება ერესსაც.

ქართული მესიანისტური იდეის ეს სამი ნიშანი მაინც არ კმაროდა ბიზანტიის იმპერიასთან საბრძოლველად. ბიზანტიელებიც ქრისტიანები იყვნენ და ქართველებიც. თან ორივენი ერთი და იმავე დოგმის — დიოფიზიტურის — აღმსარებელნი, რელიგიური თვალსაზრისით, ეს ბიზანტიელებს უფლებას აძლევდა ქართველისათვის „აღმოსავლელი ბერძენი“ ეწოდებინა. ამ მხრივ სომხებს უკეთ ჰქონდათ საქმე. მართალია, ისინიც ქრისტიანები იყვნენ. მაგრამ განსხვავებული დოგმის — მონოფიზიტურის — აღმსარებელნი. ამდენად სომხეთი ბიზანტიას ორი იარაღით უპირისპირდებოდა — ენით და მონოფიზიტური ქრისტიანობით. ცხადია, ბიზანტიელებს სომეხთა მონოფიზიტობა არ მოსწონდათ და ყოველ საშუალებას იყენებდნენ ისინიც დიოფიზიტები გაეხადათ, მაგრამ მაინც იძულებული იყვნენ წითელი კვერცხი ეგორებინათ სომხური ეკლესიისათ-

1 მითოსური კუთხით ეს განხილული აქვს ზ. კიკნაძეს წერილში — „თამარის ანდრეზული ხანა“ („მნათობი“, 1982 წ., № 10).

ვის. აშკარა და დაუნდობელი ბრძოლა არ შეეფერებოდა ქრისტიანული ძმობისა და ერთიანობის პროპაგანდას. ამ მდგომარეობით სომხეთი ოსტატურად სარგებლობდა და თავისთავადობას ინარჩუნებდა. ქართული ეკლესიის დიოფიზიტურობის გამო საქართველოს ამის საშუალება არ ჰქონდა. აუცილებელი იყო სხვა ფაქტორი, რომელიც გადაულახავ კედელს აღმართავდა ბიზანტიასა და საქართველოს შორის. ეს ფაქტორი იყო ენა. ამას ხაზგასმით, აღნიშნავს აკად. ნ. ბერძენიშვილი („საქართველოს ისტორიის საკითხები“, ტ. IX, გვ. 19). ამიტომ ქართულმა ლიტერატურულმა და პოლიტიკურმა აზრმა ქართული ენა ღვთაებრივის შარავანდედით შემოსა.

ქართული ქრისტეს ენაა და მეორედ მოსვლის ჟამს უფალი ქართულად განიკითხავს კაცობრიობას („ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“).

ღვთისმშობელი ქართულად მეტყველებს (გიორგი მთაწმინდელი — „იოანესა და ექვთიმეს ცხოვრება“).

საქართველოა ყველგან, სადაც წირვა-ლოცვა ქართულად სრულდება (გიორგი მერჩულე — „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“).

ასე ყალიბდება ქართული მესიანისტური იდეა: საქართველო ღვთისმშობლის წილხვდომილია, იგი ქრისტეს კვართის მფლობელია. ქართული ქრისტეს ენაა, ბაგრატიონები ქრისტეს ნათესავები არიან.

ეს აზრია ერთერთი ძირითადი მოტივი როგორც ქართული სასულიერო მწერლობისა, ისე მატიანისა. და ეს გრძელდება მანამ, სანამ ქართველი მეფე და პოეტი არ იტყვის:

„არვის უნდა სახარება, არცა წიგნი
მოციქულთა.
არ გიკვირს, რომ დაივიწყეს შემოქმედი
მისგან ქმნულთა?!“

„ქებაჲც“ ქართული მესიანისტური იდეის შემქმნელი ლიტერატურის ერთერთი ძირითადი თხზულებაა.

როცა ამ იდეაზე ვმსჯელობთ, შეუძლებელია ყურადღება არ მივაქციოთ ერთ გარემოებას — მემატიანეთა გამორჩეულ დამოკიდებულებას ფარნავაზისადმი.

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“ წინაქრისტიანული პერიოდის — აზოდან მირიანამდე — ოცდაშვიდ მეფეს ჩამოთვლის. მერე კი ნათქვამია: ოცდარვა წარმართი მეფე იყო. როგორც ჩანს, ჩამოთვლისას გადამწერს გამორჩა ერთი, მაგრამ ახლა ამას არა აქვს რაიმე არსებითი მნიშვნელობა. მთავარია ის, რომ ქრისტიანი მემატიანისათვის განსაკუთრებული მოკრძალებისა და პატივისცემის სუბიექტია წარმართი ფარნავაზი. რა თქმა უნდა, ამას თავისი კონკრეტული საფუძველი აქვს.

თუ გახსოვთ, აზოსგან შეშინებულმა ფარნავაზმა მამულის დატოვება და დედულეთს წასვლა გადაწყვიტა. მაშინ მან სიზმარი ნახა. „...იყო იგი სახლსა შინა უკაცურსა, და ეგულვებოდა განსვლა და ვერ განვიდა. მაშინ შემოვიდა სარკუმელსა მისსა შუქი მზისა და მოერტყა წელთა მისთა, და განიზიდა და განიყვანა სარკუმელსა მას. და ვითარ განვიდა ველად, იხილა მზე ქუე-მდაბლად, მიჰყო ხელი მისი, მოჰხოცა ცუარი პირსა მზისასა და იცხო პირსა მისსა. განილვიძა ფარნავაზ და განუკჳირდა, და თქუა: „სიზმარი იგი ესე არს, მე წარვალ ასპანს, და მუნ კეთილსა მივეცემი“ („ქართლის ცხოვრება“, ტ. I, გვ. 21).

ცხადია, ამას მემატიანე უმიზნოდ არ წერს. ისიც ზედმიწევნით იცის — რას წერს და რატომ წერს. ჩვენი ვალია როგორღაც ამოვხსნათ იგი.

თუ ამ სიზმარს მითოსური კუთხით განვიხილავთ, ყველაფერი ნათელი გახდება. აქ აღწერილია ღმერთის გამოცხადება.

ღმერთის გამოცხადება არც წარმართობისათვის არის უცხო და არც ქრისტიანობისათვის. ამის საბუთად უამრავი მაგალითის მოხმობა შეიძლება ბერძნულ-რომაული მითოლოგიიდან თუ ბიბლიიდან. მაგრამ ეს იმდენად ცნობილია, რომ ნიმუშების მოშველიება აუცილებლობას არ წარმოადგენს. ოღონდ ამ ორ გამოცხადებას შორის ერთი ძირეული და არსებითი განსხვავებაა. თუ წარმართობის აზრით, შესაძლებელია ღმერთი საკუთარი სახითაც ეჩვენოს ადამიანს, ბიბლიის კონცეფციით, ეს ყოვლად დაუშვებელია. ღმერთის ხილვა ადამიანს არ ძალუძს. ადამიანს ხელეწიფება მხოლოდ ღმერთის ნივთიერი სიმბოლოს დანახვა. ამიტომ იხილა მოსემ ღმერთი ცეცხლმოდებულ მაყვლის ბუჩქად, იაკობმა — კიბედ, დანიელმა —მთად, გედეონმა — საწმისად და ა. შ. ფარნავაზს კი ღმერთი მზედ ეზმანა. საყოველთაოდ ცნობილია ისიც, რომ მზე როგორც მამა-ღმერთის, ისე ქრისტეს სიმბოლოა.

ცვარიც, მზეს რომ მოწმინდა ფარნავაზმა და საკუთარ სახეზე წაიცხო, ღმერთის გამოცხადების დასტურია. ცვარით დაუდასტურა უფალმა გედეონსაც მიცემული აღთქმა (მსაჯულთა წიგნი, VX, 36-40). გედეონს ისრაელის გადარჩენა ეკისრებოდა, ფარნავაზს — ქართველობის. ფარნავაზი შეასრულებს კიდეც ამ მისიას, რამეთუ უფალი მისცემს ამის გეზსა და საშუალებას.

სიზმრით გამხნევებული ფარნავაზი სანადიროდ წავიდა. დევნა უყო ირემთა და დასჭრა კიდეც ერთი. „მცირედ წარვლო ირემმან და დაეცა ძირსა კლდისასა. მივიდა ფარნავაზ ირემსა ზედა; და დღე იგი, მწუხრი, გარდახდა და დაჯდა ირემსა მის თანა, რათამცა დაყო მუნ ღამე და დილეულმცა წარვიდა.

ხოლო კლდისა მის ძირსა ქუაბი იყო, რომ-

ლისა კარი აღმოქმნულ იყო ქუითა ძუელად, და სიძუელითა შემქმნოდა დარღუევა შენებულსა მას. მაშინ დაასხა წუიმა მძაფრი. ხოლო ფარნავაზ აღმოიღო ჩუგლუგი და გამოარღუია კარი ქუაბისა მის, რათამცა მუნ შიგა დაიმშრალა წუიმისა მისგან, და შევიდა ქუაბსა მას. და იხილა მუნ-შინა განძი მიუწვდომელი, ოქრო და ვერცხლი და სამსახურებული ოქროსა და ვერცხლისა მიუწდომელი“ („ქართლის ცხოვრება“, ტ. I, გვ. 21-22).

ამ განძით იხსნის სამეფოს ფარნავაზი.

არც ეს არის ნადირობის ყოფითი სურათი. ესეც ალეგორიული ტექსტია. ირემი ქრისტეს სიმბოლოა. ყური დაუგდეთ, რას ამბობს ბასილი კესარიელი:

„სახიმეტყუელმან თქუა ირემისაჲ, ვითარმედ ჯეკმა (=ძლიერ) მტერ არს გუელისა. და რაჟამს იხილის და ივლტინ გუელი და შთახდის ხრუქლად, მივიდის ირემი იგი და აღივსნის ფერდნი თუისნი წქლითა წყაროჲსაჲთა და მივიდის ხურელად, სადა-იგი გუელი დამალულ არნ და დაასხის წყალი იგი და აღავსის ხურელი იგი, ვიდრემდე გამოხდის გუელი იგი და დათრგუნის ფერხითა და მოიკლის.

ეგრეცა მაცხოვარმან ჩუენმან იესუ ქრისტემან მოკლა დიდი იგი ვეშაპი ეშმაკი წყლითა ცისაჲთა, რომელი აქუნდა ღმრთეებისა სიბრძნისაგან, რომელსა წყალსა ვერ დაუდგნეს ვეშაპთა ეშმაკთა“ („შატბერდის კრებული“, 1979 წ., გვ. 190).

მითოლოგიური სიმბოლოების ამგვარი ამოხსნა უფლებას გვაძლევს „ქართლის ცხოვრების“ ტექსტი ასე წავიკითხოთ: ფარნავაზს გამოეცხადა ქრისტე (მზე და ირემი), იხსნა იგი ტყვეობისაგან (კარდახშულში იყო და სარკმლიდან გაიყვანა) და დაავალა ქართული სამეფოს გადარჩენა (მზისგან მოწმენდილი ცვარის წაცხება სახეზე). ამისათვის უბოძა მტერთა ძლევის ნიჭი და ძალა (განძი).

ქრისტიანულ მოძღვრებაში ჩაუხედავ მკითხველს ნუ მოეჩვენება ეს გაუგებრობად. ქრისტიანული კონცეფციის თანახმად, იესო ანუ მესია არსებობს ხორციელ მოვლინებამდეც და, რა თქმა უნდა, მის შემდეგაც. „...უფალი ღმერთი, რომელი იყო და რომელი არს და რომელი მომავალ არს“. ამიტომ მას შველა ყოველთვის შეუძლია. ასეც არის გააზრებული ძველ აღთქმაში აღწერილი წინაქრისტიანულ ხანაში მომხდარი ამბები. ლეონტი მროველიც ზუსტად ძველი აღთქმის მოდელის შესაბამისად აღწერს ფარნავაზის თავგადასავალს.

ძველი აღთქმის მოდელის გამოყენება, ჩემი აზრით, მტკიცე საბუთია იმისა, რომ მართალია ის, რაც ფარნავაზის გაკეთებულად მიაჩნია მემატიანეს. კერძოდ: ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბება, ქართული ენის გავრცელება და ანბანის შექმნა. ესენი რომ წარმართი მეფის გაკეთებული არ იყოს, მაშინ ლეონტის არ დასჭირდებოდა ძველი აღთქმის მოდელის გამოყენება. ისიც ნიშანდობლივია, რომ ოცდარვა წარმართი მეფიდან ძველი აღთქმის მოდელი მხოლოდ ფარნავაზის მიმართ არის გამოყენებული. რატომ? იმიტომ, რომ ფარნავაზია შემოქმედი იმისა, რაც ქრისტიანულმა იდეოლოგიამ მიიღო და გაითავისა. ამ გათავისების ურყევი საფუძველი რომ არსებობდეს, აუცილებელია ფარნავაზის ქმედება ქრისტეს ნიერ იყოს შთაგონებული. ასეც აქვს გააზრებული ლეონტი მროველს.

არის თუ არა „ქებაჲში“ ქარაგმული მითითება ამისა? ვფიქრობ, რომ არის. „ქებაჲს“ ავტორი გვეუბნება: „და ესე ყოველი, რომელი წერილ არს, მოწამედ წარმოგითხარ ესე წილი ანბანისაჲ“. მართალია, ამ სტრიქონის სხვადასხვაგვარი წაკითხვა არსებობს,[1] მაგრამ, ჩემი აზრით, სწორი და მართალი ეს არის. თუ გავითვალისწინებთ, რომ ქართულში „წილს“ აქვს „ხვედრის“ მნიშვნელობაც, მაშინ ციტირებული სტრიქონი წაიკითხება — „და ესე ყოველი, რომელიც წერილ არს, მოწამედ წარმოგითხარ ესე ხვედრი ანბანისაჲ“. ხოლო რა ხვედრზეა ლაპარაკი, როგორც წარსულის, ისე მომავლის თვალსაზრისით, ეს ნათლად წერია ჰიმნში.

საერთოდ „წილს“ „ქებაჲში“ მრავალგვარი მნიშვნელობა აქვს. იგი მათეს სახარების დასაწყისსაც მიუთითებს. „სახარებასა შინა ქართულსა თავსა ხოლო მათეისა წილი ზის...“ მართლაც მათეს სახარება იწყება ასე — „წიგნი შობისა იესო ქრისტესი, ძისა დავითისი, ძისა აბრაჰამისი“. როგორც ვხედავთ, აქ წილი ქრისტეს ცხოვრების წიგნს მიუთითებს. და თუ ისევ ვიკითხავთ — რატომ? — უნდა ვუპასუხოთ იმიტომ, რომ „ქებაჲს“ ავტორის აზრით, საიდუმლო, რომელიც დამარხულია (დაცულია) ქართულ ენაში, არის ქრისტეს ცხოვრების საიდუმლო. ამ საიდუმლოს არსი კი ჩამოყალიბებულია იოანეს გამოცხადებაში.

იოანემ იხილა საყდარზე მჯდომარე. ცაში მდგომარე საყდრის გარშემო ოცდაოთხი მღვდელი იჯდა. ოქროს გვირგვინი ეხურა მათ და თეთრი სამოსი ეცვათ. შვიდი ლამპარი ენთო, რომელიც ღმრთის შვიდი სულია. საყდრის გარშემო ოთხი ცხოველი იდგა. ისინი გალობდნენ — „წმიდა არს უფალი ღმერთი, ყოვლისა მპყრობელი, რომელი იყო, და რომელი არს და რომელი მომავალ არს.“ საყდარზე მჯდომარეს მარჯვენა ხელით წიგნი ეპყრა, შვიდი ბეჭდით დაბეჭდილი. ანგელოსი ქადაგებდა: ვინ არის ღირსი ამ წიგნის გა-

---

1 დაწვრილებით ამის შესახებ შეგიძლიათ წაიკითხოთ რ. პატარიძის წერილში — „ქებაჲ ქართულისა ენისაჲ“ („მნათობი, 1981 წ., № 11, გვ. 153—154).

ლების და შვიდი ბეჭდის ახსნისა? იოანე ტიროდა, რამეთუ არვინ ჩანდა წიგნის გამღები. მაშინ ერთ-ერთმა მღვდელთაგანმა ანუგეშა იოანე: ნუ ტირი, აი, ლომი, თესლი იუდასი, ძირი დავითისი. იგი გაალებს წიგნს და ახსნის ბეჭდებს. მაშინ იოანემ დაინახა მღვდელთა და ცხოველთა შორის კრავი. იგი მივიდა და წიგნი გამოართვა მჯდომარეს. მღვდელნი დაემხნენ კრავის წინაშე და იძახდნენ — წიგნის მიღების და ბეჭედთა გახსნის ღირსი ხარ შენ, რადგან შენ დაიკალ და შენი სისხლით გამოგვისყიდე ჩვენ — ყველა თესლის, ენის, ერისა და ტომის კაცნი (იოანეს გამოცხადება, თავნი 4-5).

როცა ქრისტეს ცხოვრების წიგნში დაწერილი აღსრულდება, მაშინ ახალი იერუსალიმი აშენდება, უფალი ხალხთან ერთად იცხოვრებს, იგი მოწმენდს ყველას ცრემლს. აღარ იქნება აღარც სიკვდილი, აღარც კვნესა, აღარც ტირილი, აღარც სნეულება. ახალი იერუსალიმის (=მშვიდობის ქალაქის) ნათელში ივლიან გადარჩენილი ერები. აღარ დაიკეტება მისი კარები. აღარ იქნება ღამე. და ვერავინ, უწმინდური, ბოროტისა და ტყუილის მოქმედი, ვერ შევა შიგ (იოანეს გამოცხადება, თავი — 21).

ეს არის მეორედ მოსვლის ანუ აღდგომის საიდუმლო და იგი, „ქებაძს" ავტორის აზრით გაცხადდება ქართული ენით.

ამ რწმენას ემყარება ყველა ხალხის მესიანისტური იდეა. და კიდევ იმას, რომ საიდუმლოს ცხადად ქცევის საქმეში ყოველ ერს განსაკუთრებული როლი ეკისრება. ამ როლს მიუთითებს გარკვეული ნიშნები. ქართული მესიანისტური იდეისათვის ისინი უკვე აღინიშნა ზემოთ. ამ შუქით არის განათებული ჩვენი ლიტერატურის და ისტორიის ბევრი მოვლენა: იქნება ივერ ფარნავაზისათვის მზის გამოცხადება თუ მირიანისათვის ნათელის დაბნელება. ქართული ენის ლაზარედ მიჩნევა თუ თამარის სამების მეოთხე წევრად დასმა, „გალობანი სინანულისანი" თუ ქართველ მეფეთა თიკუნი — მესიის მახვილი, დავით გურამიშვილის მიერ ღმერთის ძიება თუ გალაკტიონის „და არ მშორდება ღვთისმშობლის ცქერა, სავსე ქართული პატიოსნებით."

# საზღვარგარეთის ლიტერატურა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დევიდ ლორენსი

## მობი დიკი

მობი დიკი, ანუ თეთრი ვეშაპი.

დევნა. უკანასკნელი დიდი დევნა.

ვის დევნიან?

უზარმაზარ, თოვლივით თეთრ, ბებერ კაშალოტს: ჰალარა, მარტოხელა მობი დიკს, რომელიც ესოდენ საშიშია განრისხებული. და მაინც, ვინ მოთვლის, რამდენჯერ ყოფილა დევნილი.

რასაკვირველია, იგი სიმბოლოა.

მაგრამ რისი?

ეჭვი მეპარება, რომ ეს თვით მელვილსაც ცოდნოდა.

მობი დიკი თბილსისხლიანია და მიმზიდველი. სამხრეთის ზღვის კუნძულების მკვიდრნი, პოლინეზიელები და მალაელები ზვიგენსა და ნიანგს სცემენ თაყვანს, ანდა ჩიტი-ფრეგატის დაუსრულებელ ცეკვას ასრულებენ. რატომ არ ეთაყვანებიან ისინი ვეშაპს? იმიტომ, რომ ვეშაპი უზარმაზარია, ძლევამოსილი და უბოროტო. იმიტომ, რომ ის არ იკბინება. მათი ღმერთები კი უნდა იკბინებოდნენ.

ვეშაპი არც წყლის გველია და არც დრაკონი. ის ლევიათანია. ის არ იგრიხება და იკლაკნება როგორც ჩინური მზის დრაკონი. ის თბილსისხლიანი და ძუძუმწოვარაა. და მას დევნიან, დევნიან უსასრულოდ.

ეს დიდი წიგნია.

თავდაპირველად წიგნის სტილი არ გიზიდავს. წიგნი ისე იკითხება, როგორც ჟურნალისტის ჩანაწერები და რაღაცნაირი თვალთმაქცობის იერი დაჰკრავს. ისეთი გრძნობა გეუფლება, თითქოს მელვილი ცდილობდეს თავისი გავლენის სფეროში მოგვაქციოს. მელვილი რამდენადმე სენტენციურია. იგი საკმაოდ კარგად იცნობს საკუთარ თავს, ისიც იცის, რომ გაუბედავია და ამიტომ თავის თავზეც ცდილობს გავლენის მოხდენას. კითხვის დაწყებისას ადვილად მიხვდებით, თუ რა ძნელია ამ ნაწარმოების მისტიკურ სიღრმეში შეღწევა.

სადაც მდარე გემოვნება ბატონობს, იქ არავინ იქნებოდა ჰერმან მელვილივით მოუქნელი ზნეობისმქადაგებელი, ისეთი დიდი წიგნითაც კი, როგორიც „მობი დიკია". იგი არ არის თავდაჯერებული და სწორედ ამის გამო ქადაგებს და ლაპარაკობს ამდენს. ამის გამო ლაყბობს ხშირად ასე დილეტანტურად.

ხელოვანი ადამიანზე დიდებული აღმოჩნდა. ადამიანი წარმოადგენს ახალი ინგლისიდან გამოსულ, მომაბეზრებელ, ზნეობის მქადაგებელ მისტიკურ-ტრანსცენდენტალურ ტიპს. ემერსონი, ლონგფელო და ჰოტორნი ამის მაგალითია.

მელვილი იუმორშიაც კი სადღესასწაულოდ გამოწყობილი სახედარი იყო. მკითხველმა შეიძლება იკითხოს: ღმერთო მაღალო, რა შუაშია ეს ყველაფერი? თუ ცხოვრება ტრაგედია, ფარსი, უბედურება, ან კიდევ სხვა რამეაც ჯანდაბაა, რა მესაქმება ყოველივე ამასთან? ცხოვრებამ თავისი გზით იდინოს, მე კი რაიმე დამალევინე. ამ წუთას მეტი არაფერი მინდა.

ცხოვრება ისეთია, რომ მე არცა ვცდილობ მის გაგებას, ეს არ არის ჩემი საქმე. ახლა დიდი სიამოვნებით დავლევდი ერთ ფინჯან ჩაის. ამ დილით ჩაი მწკლარტე იყო და ნაღველი ამიშალა. თუ შეიძლება შაქარი მომაწოდეთ.

შეიძლება დაიღალო ამ Grand Serieux-ით, იმიტომ, რომ აქ მელვილი ყალბია. აი ახლა კი უნდა გაფრთხილდეთ, რადგან აუტანელია, როდესაც მნიშვნელოვანი სახედარი ყროყინს იწყებს.

რაც არ უნდა თქვა, მელვილი უდიდესი მწერალია, მიუხედავად მისი ზნეობისმქადაგებლობისა. იგი ნამდვილი ამერიკელი იყო, რადგან თავის წინაშე ყოველთვის გრძნობდა აუდიტორიას. მაგრამ როდესაც ის ივიწყებს აუ-

დიტორიას და თავის ამერიკელობას, როდესაც გვაწვდის ჭეშმარიტად მისეულ სამყაროს გაგებას, მაშინ იგი მშვენიერია, მაშინ მისი წიგნი იწვევს სულის სიმშვიდეს და მოკრძალებას იმსახურებს.

ადამიანური „მე" კი მასთან მკვდარია. უფრო სწორად, თითქმის მკვდარია. იგი ძალიან ძნელად რეაგირებს ადამიანურ კონტაქტებზე და თუ რეაგირებს, წამიერად, ან იდეალისტურად. მისი ემოციური, ადამიანური „მე" სულს ღაფავს. მელვილი აბსტრაქტულია, ეწევა თვითანალიზს და აბსტრაგირებას. იგი მიზეზთა დაპირისპირებითა და უცნაური მოძრაობით უფრო გხიბლავს, ვიდრე ადამიანთა ურთიერთობით. ამით დანას წააგავს (რიჩარდ ჰენრი დანა 1815-1882, ამერ. იურისტი, მწერალი), მისი დრამა დაკავშირებულია მატერიალურ ელემენტებთან. ვიდრე ფუტურისტული მხატვრობა ასპარეზზე გამოვიდოდა, მელვილი კარგა ხნის ფუტურისტი იყო. მის შემოქმედებაში ვხვდებით აშკარად გაშიშვლებული ელემენტების მოძრაობას და ყოველივე ამას ადამიანის სული შინაგანი ტკივილით სძლევს ხოლმე. იგი ძალზე ხშირად სცილდება ნორმალურობის საზღვარს: შეშლილს ემსგავსება. ესეც, ცოტა არ იყოს, სიყალბესა ჰგავს, მაგრამ „მობი დიკი" დიდი წიგნია.

ამ ძველი სენისგან არც ერთი ამერიკელი არ არის დაზღვეული. ისინი მაშინ იცვამენ მოდიდან გასულ სერთუკს და იხურავენ ასევე მოძველებულ ცილინდრს, როდესაც ყოვლად წარმოუდგენელ საქმეებს ჰკიდებენ ხელს. ჰოდა, ჩვენც ვხედავთ, თუ როგორ არიან ჩახუტებული ერთ საწოლში სამხრეთის ზღვის, ტატუირებული, გოლიათი კუნძულელი და თვით მელვილი, მთელი სერიოზულობით, მხურვალედ რომ სწირავს მსხვერპლს ამ ველურის პატარა კერპს. სერთუკი კარგად ფარავს პერანგის კალთებს და ამიტომაც, როდესაც იგი კერპის წინაშე ქედმოხრილი დგას, ველარ ვხედავთ მის შიშველ უკანალს. რაც შეეხება ეთიკურ ცილინდრს, ქუდი საიმედოდ, მჭიდროდ აქვს მორგებული თავზე. ეს ტიპიური ამერიკული თვისებაა: ყოვლად წარმოუდგენელი საქმეები აკეთო ისე, რომ სახიდან ფერუმარული არ მოიცილო. მათი იდეალები შეიძლება შევადაროთ იმ დაჟანგულ ხმლებს, რომელთაც უკვე ვერასდროს შეელევი. რაც უფრო ღრმად მივყვებით თხრობას, მით უფრო შიშვლდება, ცოცხლდება და მგრძნობიარე ხდება ფიზიკური ცოდნა გარინდებულ ელემენტებს შორის. მელვილი მგრძნობიარობის ფიზიკური ვიბრაციით ჩამოჰგავს შესანიშნავ რადიოსადგურს, რომელიც ზუსტად გრძნობს გარესამყაროს ზემოქმედებას. იგი ავადმყოფური კმაყოფილებით აღნუსხავს იზოლირებული, გადახვეწილი სულის განსაკუთრებულ მოძრაობას. სულისა, რომელიც მარტოა და გაწყვეტილი აქვს ყოველგვარი ურთიერთობა ადამიანებთან.

პირველი ადამიანი, რომელიც გამოჩნდება ნიუ-ბედფორდში არის ისმაილი, — წიგნის „მე". სწორედ მისგან იწყებს თხრობას ავტორი. შემდეგ გვევლინება ტატუირებული, გოლიათური ძალის მქონე, სამხრეთის ზღვის მებარჯე — ქვიქეგი. წუთიერი ძმა და გულის მესაიდუმლე, რომელიც ისევე უყვარს მელვილს, როგორც დანას — „იმედი". ისმაილისა და მისი თანამეინახის ამბავი ჭეშმარიტად საოცარი და დაუვიწყარია. უფრო ქვემოთ დავინახავთ, როგორ დებენ პირველყოფილი ადათის მიხედვით „ქორწინების" ფიცს. ველური ქვიქეგი ისმაილის სულში კვლავ შეაღებს სიყვარულისა და ადამიანური ურთიერთობის დახშულ კარს.

„ოთახში ჩვენს გარდა არავინ იყო. ბუხარში ნელი ცეცხლი ენთო, რადგან ერთი პირი უკვე აგიზგიზებულიყო, ოთახი გაეთბო და ახლა მხოლოდ იმიტომ ღვიოდა, რომ დაფიქრებული კაცის მზერა მიეპყრო. ფანჯარასთან კიდამის მოჩვენებები და ლანდები მოჯარულიყვნენ და იმზირებოდნენ ოთახში, სადაც მარტოობასა და სიჩუმეში მხოლოდ ჩვენ ორნი ვისხედით, კედლის მიღმა ქარბუქი ხან საზეიმოდ აიმაღლებდა ხმას, ხან მიწყნარდებოდა. ჩემს სულში უცნაურმა გრძნობამ დაიბუდა. თითქოს რაღაც გამიქრა. ვიგრძენი, ჩემი გააფთრებული გული და ხელი აღარ ებრძოდნენ ამ მგლურ ქვეყანას. მისი მხსნელი და დამაშოშმინებელი ველური იყო. აი, ზის იგი ჩემს წინ და მშვიდად მანიშნებს, რომ მისი ხასიათისათვის უცხოა დაფარული ცივილიზებული თვალთმაქცობა და ზრდილობიანი სიცრუე. რა თქმა უნდა, იგი ველური და ამასთან იშვიათი საფრთხობელა იყო, მაგრამ ვგრძნობდი, რაღაც იდუმალი ძალა მეწეოდა მისკენ და ძლიერი მაგნიტივით სწორედ ის მიზიდავდა, რისთვისაც, ალბათ, სხვა ახლოსაც კი არ გაიკარებდა". მათ გააბოლეს ჩიბუხი და ერთმანეთს გადაეხვივნენ, მეგობრობა კი მყარდება მას შემდეგ, როცა ისმაილი ქვიქეგის პატარა კერპს, — იოჯოს მსხვერპლის შეწირვას შესთავაზებს.

„მე წესიერი ქრისტიანი ვარ, უცოდველი პრესვიტერიანული ეკლესიის წიაღში დაბადებული და გაზრდილი. როგორ უნდა ამება მხარი ამ ველური კერპთაყვანისმცემლისათვის? და როგორ მეცა თაყვანი რაღაც ხის ნაჭრისათვის? მაგრამ რას ნიშნავს თაყვანისცემა? ხომ არ გგონია ისმაილ, რომ ცისა და მიწის და იქნებ წარმართთა და სხვათა დიდსულოვანი ღმერთი შავი ხის ნაჭერზე იეჭვიანებს? ეგ არ მოხდება! მაგრამ რას ნიშნავს ღვთის თაყვანისცემა? მისი ნების აღსრულებას, ხომ? ღვთის ნება რაღაა? ჩემს მოყვასს ისე მოვექცე, როგორც მე მსურს, რომ მომექცეს, — აი,

რა არის ნება ღვთისა". როგორ „ჩამოჰგავს" ეს ყველაფერი ბენჯამენ ფრანკლინს, თავის უიმედოდ მდარე ღვთისმეტყველებით. მაგრამ ეს ტიპიური ამერიკული ლოგიკაა. „ქვიქეგი მოყვასია ჩემი. რას ვისურვებდი ქვიქეგისაგან? რა თქმა უნდა, ვისურვებდი, ღვთის თაყვანისცემის ჩემი, პრესვიტერიანული ფორმა გაეზიარებინა. მაშასადამე, მეც მისი ფორმა უნდა გავიზიარო, Ergo— კერპთაყვანისმცემელი უნდა გავხდე. ამიტომ ბურბუშელა ავანთე და ქვიქეგს ამ საცოდავი, უწყინარი კერპის დაყენებაში შევეშველე. მერე ქვიქეგთან ერთად დამწვარი ორცხობილათი გავუმასპინძლდი, ორჯერ თუ სამჯერ თავიც დავუკარი, ცხვირზეც ვაკოცე და მხოლოდ ამის შემდეგ გავიხადეთ ტანსაცმელი და, მთელი ქვეყნის წინაშე პირნათელნი, საწოლში ჩავწექით, მაგრამ სანამ დავიძინებდით, ცოტა კიდევ ვისაუბრეთ. არ ვიცი, რატომ, მაგრამ გულახდილი მეგობრული საუბრისათვის საერთო საწოლს ადგილი ვერ შეედრება. ამბობენ, ცოლქმარი გულს ყველაზე უფრო საწოლში გადაუშლიან ხოლმეო. ხოლო ხანში რომ შევლენ, ხშირად გათენებამდე წვანან და წარსულს იხსენებენო. ასე ვიწექით ჩვენც, მე და ქვიქეგი — განმარტოებული, მოსიყვარულე წყვილი — ჩვენი სულების თაფლობის თვეში".

თქვენ ალბათ გაიფიქრეთ, რომ ყოველივე ამის შემდეგ ურთიერთობა ქვიქეგთან რაიმეს ნიშნავს ისმაილისათვის. მაგრამ არა. ქვიქეგი გუშინდელი გაზეთივით დაივიწყეს. ცოცხალი არსებანი მხოლოდ წამიერად ალაგზნებენ, ანდა თავშესაქცევად თუ გამოდგებიან ამერიკელი ისმაილისათვის. ისმაილი — დევნილი. თუმცა ცნება — მდევარი უფრო მიესადაგება. რა არის მისთვის ქვიქეგი? რაა ცოლი? თეთრი ვეშაპი ბოლომდე უნდა იდევნებოდეს. ქვიქეგი უნდა გაიცნოს და უბრალოდ დაივიწყოს.

ბედისწერისათვის კი რაღას უნდა ნიშნავდეს ეს თეთრი ვეშაპი?

ერთგან ისმაილი იტყვის, რომ მას უყვარდა ქვიქეგის თვალები: „მისი დიდრონი, უძირო შავად მოელვარე თვალებიდან გამოსჭვიოდა სული, რომელიც ათას ეშმაკსაც არ შეუშინდებოდა". ეჭვგარეშეა, რომ მელვილი, ისევე როგორც ედგარ პო, ცდილობდა თვალების „გასაღები" მოეძებნა და მეტი არაფერი.

ნიუ-ბედფორდიდან ორი ადამიანი ნანტაკეტს მიემგზავრება, სადაც კვაკერულ, ვეშაპსანადირო ხომალდ „პეკოდის" ეკიპაჟში ჩაირიცხებიან. ამ მოგზაურობაში ყველაფერი უცნაურად ფანტასტიკური და ფანტასმაგორიულია. სულის მოგზაურობა. და მაინც, როგორც არ უნდა გავიკვირვოთ, ეს ნამდვილი ვეშაპსანადირო მოგზაურობაა. ამ უცნაურ ხომალდს და მის წარმოუდგენელ ეკიპაჟს ჩვენ უფრო და უფრო ღრმად მივყვებით ოკეანეში, არგონავტები მათთან შედარებით უმანკო კრავები იყვნენ. უკეთესი რომ ვერაფერი გამონახა, ულისე ცირცეს გულის „მოსანადირებლად" და ბოროტი, კუნძულელი კახპების დასაპყრობად გაემგზავრა. „პეკოდის" რაზმი ერთიანად მანიაკებისაგან შედგება, რომლებიც ფანატიკურად დევნიან მარტოხელა, უწყინარ თეთრ ვეშაპს.

თუ ამ წიგნს განვიხილავთ როგორც სულის ისტორიას, მაშინ მან შეიძლება უბრალოდ გაგვაცოფოს; როგორც ზღვის ისტორია, „მობი დიკი" შესანიშნავია: რაღაც მომხიბვლელი ყოველთვის არის და უნდა იყოს ზღვის ისტორიებში. წიგნში მაღალფარდოვან მისტიციზმთან ერთად ზღვაოსნის ჭეშმარიტი განცდები გვხვდება, რომლებიც მართლა მოქმედებენ ნერვებზე.

რაც შეეხება ბედ-იღბლის მხილებას, ამ თვალსაზრისით წიგნი იმდენად ღრმაა, რომ მის შესაცნობად სულიერი ძალების დაძაბვაა საჭირო.

კითხვის დაწყებისთანავე თქვენ უკვე ერთხანს კაპიტანს ელოდებით: ელოდებით აქაბს, მისტიურ კვაკერს. ო, ეს კაპიტანი ღვთისმოშიში კვაკერული ხომალდისა.

კაპიტანი აქაბი. სულის კაპიტანი.

მე ჩემი ბედის ვარ გამგებელი,
მე ჩემი სულის კაპიტანი ვარ.

აქაბი!

„ო, კაპიტანო, ჩემო კაპიტანო, ჩვენი თავზარდამცემი მოგზაურობა დამთავრდა".

ქანცგაწყვეტილი კვაკერი აქაბი, მისტიკური პიროვნება, ზღვაში გასვლიდან მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ გამოჩნდება ხომალდზე. მასში არის რაღაც იდუმალი. მაგრამ რა?

ის ავბედითი ადამიანია. ის მძიმედ დააბიჯებს ვეშაპის ძვლისაგან გაკეთებული ფეხით. მობი დიკმა, უზარმაზარმა თეთრმა ვეშაპმა მოგლიჯა აქაბს ფეხი მუხლს ქვემოთ, მაშინ როდესაც აქაბი თავს დაესხა მას. და მობი დიკი მართალი იყო. მას შეეძლო ორივე ფეხი წაერთმია კაპიტნისათვის; მაგრამ აქაბი ამაზე არ დაფიქრებულა. აქაბი მანიაკია. მისი მონომანია მობი დიკია, რომელიც უნდა „მოკვდეს", რადგან სხვანაირად აქაბი ვერ იცოცხლებს. სწორედ ამის გამო გახდა აქაბი ათეისტი.

„პეკოდზე", ამერიკული სულის ხომალდზე, სამი თანაშემწეა.

1. სტარბეკი: კვაკერი, ნანტაკეტის მკვიდრი, პასუხისმგებელი, კეთილგონიერი, წინდახედული და გამბედავი ადამიანი. ასეთები საიმედონი არიან; მაგრამ მას ეშინია.

2. სტაბი: „ხანძარივით თავზეხელაღებული და უზრუნველი". მამაცი, განსაცდელის დროსაც კი მხიარული კაცი. მაგრამ მასაც უნდა ეშინოდეს.

3. ფლასკი: ჯიუტი, შეუპოვარი, ყოველგვარ წარმოსახვას მოკლებული. მისთვის „მშვენი-

ერი ვეშაპი უზარმაზარი თავისა ან დიდი-დიდი, წყლის ვირთაგვას მსგავსი რაღაც იყო“.

თქვენს წინაშეა: მანიაკი კაპიტანი და მისი სამი თანაშემწე, სამი შესანიშნავი ზღვაოსანი, დიდებული ვეშაპმონადირე და თავიანთი საქმის მცოდნე, სამი პირველხარისხოვანი სპეციალისტი.

ამერიკა!

ეს ყველაფერი გვაგონებს მისტერ ვილსონს თავისი „ნაყოფიერი“ ეკიპაჟით მშვიდობის კონფერენციაზე, ოღონდ ერთი განსხვავებით, — არც ერთ „პეკოდელს“ მეუღლე თან არ წამოუყვანია.

მანიაკი — კაპიტანი, სულის კაპიტანი და სამი შესანიშნავი, პრაქტიკული თანაშემწე.

აი, ეკიპაჟი: განდგომილები, განკიცხულნი, კანიბალები: ისმაილი, კვაკერები.

ამერიკა!

სამი გოლიათი მებარჯე მზად არის განგმიროს დიდი, თეთრი ვეშაპი.

1. ქვიქეგი, — სამხრეთის ზღვის ტატუირებული, ვეებერთელა და ძალუმი კუნძულელი.

2. თეშტიგო, — წითელი ინდიელი, მკვიდრი იმ ქვეყნისა, რომლის ნაპირებსაც დღემუდამ ზღვა აწყდება.

3. დეგუ, — უზარმაზარი, შავი ზანგი.

თქვენს წინაშეა,—სამი მძვინვარე რასა, ამერიკული დროშითა და მანიაკი კაპიტნითურთ, რომლის ბრძანებითაც მზად არიან თავიანთი ბასრი ბარჯები მოუღირონ თეთრ ვეშაპს.

ზღვაში გასვლიდან მხოლოდ მრავალი დღის შემდეგ გამოჩნდებიან აქაბის პირადი ველბოტის ეკიპაჟის წევრები. უცნაური, მდუმარე, გულჩათხრობილი და შავადმოსილი ხალხი, — მალაელები, ცეცხლთაყვანისმცემელი პარსები. ისინი მაშინ უნდა შეერწყან ხომალდის ეკიპაჟს, როდესაც ვეშაპს დაედევნებიან.

თქვენ რაღას ფიქრობთ „პეკოდზე“, — ამერიკული სულის ხომალდზე?

რასები, ნაციები, ხალხები, — შეფარებულნი დროშის ვარსკვლავებსა და ზოლებს. მრავალნაგვემნი, ხანდახან თუ ჰკრეტენ ვარსკვლავებს.

შეშლილთა ხომალდი, შეშლილი კაპიტანი და არანორმალური, ფანატიკური დევნა.

ვის დევნიან?

მობი დიკს, დიად, თეთრ ვეშაპს.

სამი ბრწყინვალე თანაშემწე, რომლებითაც ოსტატურად განმგებლობს კაპიტანი აქაბი. მათი მუშაობისას ყველაფერი ბრწყინვალედ პრაქტიკულია. ამერიკული ინდუსტრია!

და მთელი ეს პრაქტიკულობა ემსახურება გიჟურ, არანორმალურ დევნას.

მიუხედავად ყოველგვარი ფანტაზიისა, მელვილი გვაიძულებს ვირწმუნოთ, თითქოს ჩვენ ნამდვილ ვეშაპსარეწაო ხომალდზე ვიმყოფებით და ნამდვილად ვმოგზაურობთ. საოცარი, შესანიშნავი მოგზაურობა. წიგნის სიმშვენიერე მისტიურ წყლებში ავტორის შემზარავი ფართხალის გამოა ესოდენ შთამბეჭდავი. მელვილს მეტაფიზიკურ სიღრმეებში სურდა შეეღწია. და მეტაფიზიკაზე შორს კი წავიდა. ეს არის მშვენიერი, ლამაზი წიგნი საშინელი აზრით დატვირთული და სულის შემძვრელი.

საინტერესო იქნება მელვილისა და დანას ალბატროსის აღწერილობის შედარება. მელვილი ზნეობისმქადაგებელია. „მახსოვს, როგორ დავინახე პირველად ალბატროსი. ანტარქტიკის წყლებში ვიყავით, ქარიშხალი დიდი ხანია მძვინვარებდა. მორიგეობა მოვათავე; ნისლში გახვეულ გემბანზე ამოვედი და ლუკის სახურავზე დავინახე თოვლივით თეთრი დიდებული ფრთოსანი, რომელსაც მართლაც, რომაული — მოკაუჭებული ნისკარტი ჰქონდა. დროდადრო თავის უზარმაზარ სამთავარანგელოზო ფრთებს ფართოდ შლიდა, საოცრად თრთოდა და კანკალებდა, უვნებელი იყო, მაგრამ უკიდურეს მჭმუნვარებაში მყოფი მეფის აჩრდილივით წამოიყვირებდა ხოლმე. ხოლო მის არაფრისგამომხატველ და უცნაურ თვალებში თითქოს საიდუმლოს ვკითხულობდი. ეს თეთრი არსება ისე ქათქათებდა, ფრთებს ისე ფართოდ შლიდა, რომ მაშინ, იმ წყლებში სამუდამოდ განდევნილმა, დავივიწყე ცივილიზაცია და ქალაქი, რაც ჩემს ხსოვნაში საცოდავად და დამამცირებლად ღიმლამებდა. გარწმუნებთ, ამ ფრინველის მისტიკური მომხიბვლელობის საიდუმლო მისივე სითეთრეა“.

მელვილის ალბატროსი ტუსაღია, რომელიც ანკესით და სატყუარით დაიჭირეს. მეც მინახავს ალბატროსი, ავსტრალიის სამხრეთით, უშუალოდ ანტარქტიკის სიახლოვეს რომ მოგვაცილებდა. სამხრეთული ზამთარი იდგა. თითქმის ცარიელ გემზე ინდოელებისაგან შემდგარი ეკიპაჟი ერთიანად კანკალებდა სიცივისაგან. და მხოლოდ უზარმაზარფრთებიანი ფრინველი მოგვყვებოდა; შემდეგ იმანაც მიგვატოვა. უნახავად არავის შეუძლია წარმოიდგინოს სამხრეთის ზღვების უდაბურება და სიმარტოვე. ავსტრალიის სანაპიროც ძალზე იშვიათად გამოკრთება ხოლმე.

ეს ყველაფერი გვარწმუნებს, რომ ჩვენი დღე, მხოლოდდამხოლოდ დღეა და სხვა არაფერი. და რომ ღამის წყვდიადში კვლავ იშვებიან დღეები, მაშინაც კი, როდესაც შეწყდება ჩვენი არსებობა.

ვინ უწყის, როგორ დადგება აღსასრული?

მაგრამ მელვილი კვლავ იძიებს „სითეთრის“ ბუნებას. მას დიადი აბსტრაქცია აჯადოებს. აბსტრაქცია, რომელშიც ჩვენი ბოლო და აღსასრული დევს. თეთრი თუ შავი. ჩვენი თეთრი, აბსტრაქტული აღსასრული!

და ამის შემდეგ კვლავ სასიამოვნოა „პე-

კოდზე“ ყოფნა, როდესაც ფეხქვეშ მიწის ერთ პატარა ნაგლეჯსაც ვერა გრძნობ.

„ცხელი და ღრუბლიანი დღე იყო, მეზღვაურები ზანტად დააბიჯებდნენ გემბანზე, ან მოაჯირზე გადაყრდნობილნი დუმილით ადევნებდნენ თვალს ტყვიისფერ ტალღებს. მე და ქვიქეგი ნელა ვქსოვდით ჰილობს ჩვენი; ველბოტისათვის. გარშემო ისეთი სიმშვიდე სუფევდა, თითქოს ჰაერში რაღაც ჯადოსნობა, რაღაც სიხარული იმალებოდა, თითქოს ყოველი დადუმებული მეზღვაური უხილავი იყო და თავის თავში გათქვეფილიყო“.

სიჩუმის პრელუდიას პირველი ყვირილი არღვევს: „შადრევანი! აგერ! აგერ! შადრევანია! შადრევანი! ამას მოსდევს პირველი ნადირობის აღწერა — ეს არის მშვენიერი, მართლაც და ნამდვილი საზღვაო მოთხრობა, რომელშიაც ზღვის არსებებზე ნადირობაა გადმოცემული. ზღვას ისე აღწერს მელვილი, რომ დედამიწა გავიწყდება და ჭეშმარიტად ზღვაოსნური მღელვარება გეუფლება.

„—ნელა ბიჭებო,—ჩაგვჩურჩულა სტარბეკმა და იალქნის ტილო კიდევ უფრო უკან გადასწია. — დრო კიდევ გვაქვს, სანამ ღელვა თავს დაგვატყდებოდეს, ვეშაპს ბოლოს მოვუღებთ. აგერ კიდევ გამოჩნდა თეთრი წყალი! სულ ახლოსაა! დააწექით! ამის შემდეგ ზედიზედ მოგვესმა წამოძახილები, რაც იმის მაუწყებელი იყო, რომ იმ ორ ველბოტს უკვე დაეხოცა ვეშაპები. ჯერ კიდევ სიჩუმე არ იყო ჩამოვარდნილი, რომ უეცრად სტარბეკის სტვენასავით ჩურჩული გაისმა: „ადექ!“ — და ქვიქეგი, რომელსაც ხელში ბარჯი ეჭირა, ფეხზე წამოხტა. თუმცა წინიდან დამუქრებულ განსაცდელს ვერც ერთი მებარჯე ვერ ხედავდა, მაგრამ უფროსი თანაშემწის დაძაბულმა სახემ ყველა მიახვედრა, რომ გადამწყვეტი წუთი დგებოდა; მათ დგაფუნიც ესმოდათ, თითქოს წყალში ასამდე სპილოს გაჰქონდა ტყაპა-ტყუპი. კანჯო კი ნისლს მიარღვევდა და ტალღები ისე იგრიხებოდნენ და სისინებდნენ, გეგონებოდათ, გესლმორეული და ზეალმართული გველები არიანო.

„აგერ, აგერ, მისი კუზი. აბა, მიდი, მიართვი! — ჩურჩულებდა სტარბეკი. ნავში უეცრად რაღაცამ დაიწუვლა: ეს ქვიქეგმა ისროლა ბარჯი. იმავე წამში ველბოტი ტალღამ აიტაცა, წინ გაისროლა და ცხვირით წყალქვეშა კლდეს დაახალა. იალქანი მოწყდა, ძირს დაეცა, გვერდით ცხელი ორთქლის ნაკადი ავარდა და ფეხქვეშ ყველაფერი ისე დაგვერწა და აძაგძაგდა, თითქოს მიწა იძრაო. ნახევრადგონებადაკარგული ეკიპაჟი აქაფებულ ტალღებში მიმოიფანტა. გრიგალი, ვეშაპი და ბარჯი ერთმანეთში აირია და ბარჯით ოდნავ გვერდგაკრული ვეშაპი გაიქცა“.

მელვილი ულმობელი, ქაოტური და ფიზიკური აღწერის ოსტატია. მისი ნადირობის სურათები უნაკლოდ არის შესრულებული. მაგრამ მელვილი მშვიდი სურათების აღწერის დროსაც სრულყოფილია.

ხომალდი წმ. ელენეს კუნძულის სამხრეთით, კეროლის მიწის სიახლოვეს მიცურავს. „და, აი, ერთ წყნარ მთვარიან ღამეს, როცა კეროლის მიდამოებში მივცურავდით, როცა ზვირთები ხომალდის ქიმთან აქეთ-იქით ვერცხლისფერი ნაწნავებივით ბრწყინავდა და უდაბნოს მყუდროებას კი არა, ვერცხლისფერ სიმშვიდეს მხოლოდ მათი დუდუნი არღვევდა; აი ასეთ მყუდრო ღამეში წინ, ხომალდის წვეტიან ცხვირთან აქაფებული ვერცხლისფერი შადრევანი გამოჩნდა. მთვარის შუქით განათებული, იგი მაღალ, ზღვის სიღრმიდან ამოსულ ბრწყინვალე ფრთოსან ღმერთს ჰგავდა“.

ამის შემდეგ მელვილი პლანქტონს აღწერს: „კროზეს კუნძულებიდან კურსი ჩრდილო აღმოსავლეთისაკენ ავიღეთ და მალე „ბრიტით“ — წვრილი ყვითელი პლანქტონით მოფენილ წყლის უსაზღვრო სივრცეში ამოვყავით თავი. ეს წვრილი ყვითელი პლანქტონი, რომლითაც ნამდვილი ვეშაპი იკვებება, ისე ირხეოდა ჩვენს გარშემო მრავალი მილის მანძილზე, თითქოს ვრცელ, ოქროსფრად მოლივლივე, დამწიფებულ ყანაში მივცურავდით. მეორე დღეს ნამდვილი ვეშაპები შემოგვხვდნენ, მაგრამ ისინი „პეკოდზე“ მყოფ ვეშაპმონადირეებს სულაც არ იზიდავდა; ხახადაღებულნი პლანქტონით მოფენილ ზვირთებზე ზანტად ირწეოდნენ; პლანქტონი ხაოიან ლაშებზე რჩებოდათ და ეს ლაშები, საიდანაც განუწყვეტლივ გადმოდიოდა წყალი, რაღაც უცნაურ ქალუზებს მოგაგონებდათ. ურჩხულები ისე მიცურავდნენ, როგორც განთიადზე ერთმანეთის მხარდამხარ დამდგარი მთიბავები, რომლებიც ჩუმი შრიალით მიიკვლევენ გზას მაღალ, ნამიან ბალახში; ბალახის შრიალივით რაღაც ხმას გამოსცემდნენ და ყვითელ ზვირთებზე უსასრულო ცისფერ კვალს ტოვებდნენ. მაგრამ მხოლოდ მათ მიერ „ბრიტის“ გაწურვისას გამოცემული ეს ხმა თუ მოგაგონებდათ მთიბავებს. მათი უზარმაზარი, შავი სხეულები კი, განსაკუთრებით მაშინ, როცა წამით უმოძრაოდ გაიყინებოდნენ ხოლმე, უსიცოცხლო, გაქვავებულ ლოდებს წააგავდა“.

ამ მშვენიერ პასაჟს აგრძელებს რვაფეხას მოულოდნელი გამოჩენა.

„პეკოდი“, ნელა მიიწევდა პლანქტონის მინდვრებზე და კვლავინდებურად კურსი ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ, კუნძულ იავას მიმართულებით ეჭირა; ნიავი ხომალდს წინ მიერეკებოდა და ზღვის მოსარკულ ზედაპირზე სამი მაღალი, წაწვეტებული ანძა ისე ირწეოდა, როგორც ველზე — სამი ტანკენარი პალმა. ცისკიდურთან კი ვერცხლისფერ მთვარიან ღამით კვლავინდებურად ჩანდა მომხიბლავი ობოლი შადრევანი.

„მაგრამ ერთხელ, დილით, როცა ცა ლურჯი იყო და ჰაერი გამჭვირვალე, როცა ზღვაზე არაამქვეყნიური მდუმარება იყო გამეფებული, რასაც სამარისებურ სიჩუმესთან არაფერი ჰქონდა საერთო, როცა მზის ათინათი გრძლად გაწვა წყალზე, თითქოს ვიღაცამ ტალღებს ოქროს თითი მიაფარა, საიდუმლო არ გაამხილოთო; როცა ტალღები შხეფებს ისროდნენ, შორს უხმაუროდ მიგორავდნენ და თან ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ; ყველგან გამეფებულ ამ მყუდროებაში გროტ-ანძის წვერზე მეთვალყურედ მდგომ შავკანიან დეგუს თვალწინ უცნაური სანახაობა გადაიშალა.

შორს ზღვის სიღრმიდან ნელა ამოდიოდა რაღაც თეთრი მასა; რაც უფრო უახლოვდებოდა ზღვის ზედაპირს და ლურჯ ტალღებს თავს აღწევდა, მთიდან დაქანებული ზვავივით უფრო თეთრად ქათქათებდა ხომალდის საცალ გზაზე. ჩვენს თვალწინ მხოლოდ ერთი წუთით გაიელვა, მერე ნელა ჩავიდა წყალში და გაუჩინარდა. მალე ისევ ზევით ამოვიდა. ვეშაპს არა ჰგავს, მობი დიკი ხომ არ არის? გაიფიქრა დეგუმ“.

ნავები წყალში ჩაუშვეს და სწრაფად გაემართნენ სანადიროდ.

„უცებ იმ ადგილას, სადაც წელან გაუჩინარდა, ისევ ამოვიდა ზევით. მობი დიკზე ვიღა ფიქრობდა, მივშტერებოდით ყველაზე უფრო საოცარ სანახაობას, რომელიც ოდესმე საიდუმლოებით მოცულ ზღვას ადამიანისათვის გადაუშლია. ჩვენს წინ იყო შვიდასი ფუტის სიგანისა და სიგრძის უზარმაზარი მასა, რომელსაც მოთეთრო-მოყვითალო ფერი დაჰკრავდა, ამ მასას აქეთ-იქიდან გამობმული ჰქონდა მრავალი გრძელი ფეხი; ფეხებს ისე გრეხდა და კლაკნიდა, ანაკონდების გორგალი გეგონებოდათ, თითქოს, განურჩევლად, რასაც კი ახლომახლო იპოვიდა, ყველაფრის კლანჭებში მოგდებას აპირებდა. არც თავი უჩანდა და არც ბოლო, გრძნობისა და ინსტინქტების ორგანოების არავითარი ნიშან-წყალი არ ეტყობოდა; ტალღებზე არაამქვეყნიურ უფორმო მოჩვენებად თვით უაზრო ცხოვრება ირწეოდა, რომელიც ნელი ბუყბუყით ისევ წყალში გაუჩინარდა“.

მომდევნო თავებში ვეშაპებზე ნადირობასა და მათ აქნა-აჩარიქებაზეა ლაპარაკი. ამას მოსდევს უცნაური შეხვედრა „იეროვოამთან“ რომლის ეკიპაჟსაც ერთიანად მბრძანებლობს რელიგიური მანიაკი. ავტორი ზედმიწევნით აღწერს სპერმაცეტის მოპოვებას ვეშაპის თავიდან; შემდეგ საკმაოდ ვრცლად ლაპარაკობს კაშალოტის თავის ტვინის მოცულობაზე და მნიშვნელოვნად შენიშნავს: „მე მწამს, რომ კაცის ხასიათს მისი ხერხემალი გამოხატავს. და ვინც არ უნდა ბრძანდებოდეთ თქვენ, გაცნობისას ვამჯობინებდი თავის ქალაზე ადრე თქვენი ხერხემალი გამესინჯა“.

„კაშალოტის თავის ტვინის შედარებით მცირე ზომას მეტისმეტად ჭარბად ანაზღაურებს მისი ხერხემლის ტვინის უჩვეულოდ დიდი ზომა“.

მაგრამ მელვილს თვით ყველაზე საშინელი ნადირობის დროსაც კი დახატული აქვს უმშვენიერესი პასაჟები:

„და ხმელეთზე მცხოვრებ ადამიანთაგან მარად ლურჯი ცარგვალის ქვეშ ტალღებზე უდრტვინველად დარწეული ამ სამი ველბოტის დანახვისას ვის მოუვიდოდა აზრად, ვინ იფიქრებდა, რომ მაშინ, როცა სიღრმიდან არც კვნესა ისმის, არც ძახილი, და წყლის ერთი ბუშტიც კი არ მოჩანს ზედაპირზე, ვინ დაიჯერებდა, რომ ამ დროს ასე უშფოთველი სიჩუმის წიაღში აგონიაში ბორგავს და აქეთ-იქით აწყდება ზღვის საშინელი ურჩხული!“

წიგნში ყველაზე გასაოცარი თავი „უძლეველი არმადაა“. „პეკოდი“ ზონდის ვიწრო სრუტის გავლით კუნძულ იავას მიმართულებით მიცურავდა; ამ კუნძულის სიახლოვეს უამრავი სპერმაცეტული ვეშაპი დაუჭერიათ. „ხომალდის წინ, ორი თუ სამი მილის სიშორეზე განიერ ნახევარწრეს ჰქმნიდა, თამაშობდა და ჰაერში ნაპერწკლებს ისროდა უწყვეტი ჯაჭვივით გაჭიმული ვეშაპების ათასობით შადრევანი“. მაგრამ ვეშაპებს დადევნებული „პეკოდი“, თავად იქცა დევნილად, — იაველი მეკობრეები დაედევნენ, — და თავაწყვეტილი მთელი სისწრაფით განაგრძობდა წინსვლას. მაინც ჩაუშვეს ველბოტები. ამასობაში ვეშაპმონადირეებს რაღაც უცნაური, ინერტული გაუბედაობა დაეუფლათ — ამ მდგომარეობას მეზღვაურები გალერეაზე მომუშავე, ქანცგაწყვეტილი მონების მდგომარეობას ადარებენ. და იმის ნაცვლად, რომ ნელ-ნელა შემჭიდროებულიყვნენ ვეშაპების მრავალრიცხოვან, საბრძოლო, სამხედრო რიგებში, გაშმაგებულნი, უაზროდ აწყდებოდნენ ცხოველებისაგან აქაფებულ ტალღებს. სტარბეკის ნავი უბრალოდ გამოათრიეს აქვითინებული ლევიათანების ქაოსიდან. მოძრაობის სიშლეგეს დამორჩილებული და აქოჩრილი ტალღების სივრცეს მოწყვეტილი ველბოტი წყნარ ლაგუნაში აღმოჩნდა; ვრცელი, არანორმალური და შემზარავი ჯოგის შუაგულში. მაგრამ თვითონ ცხოველებისათვის ეს იყო უნაზესი და უწყნარესი სამყარო — პატარა ვეშაპები ნავის ფერდებს ეხახუნებოდნენ და ძაღლებივით ყნოსავდნენ. აქვე, განცვიფრებულმა მეზღვაურებმა დაინახეს თუ როგორ ეწაფებიან სიყვარულის ფიალას ეს გასაოცარი მონსტრები, ეს ძუძუმწოვრები. „სიღრმეში კი, ამ უშფოთველი სამყაროს ქვეშ, როცა ქიმიდან ვიცქირებოდით, ჩვენს თვალწინ სხვა, უფრო უცნაური და საოცარი სამყარო იშლებოდა. იქ ცურავდნენ მეძუძური დედა ვეშაპები, აგრეთვე სხვა ვეშაპებიც. მათ გრანდიოზულ წელთა ხილვისას

მიხვდებოდით, დღე-დღეზე დედები უნდა გამხდარიყვნენ. ტბა, რომელზედაც ჩვენ ვსრიალებდით — ეს ზემოთ უკვე აღვნიშნე — კარგა სიღრმემდე უაღრესად გამჭვირვალე იყო. და მსგავსად ჩვილი ბავშვისა, დედის მკერდს რომ დასწაფებია და თან მშვიდად და უზრუნველად იმზირება სადღაც შორს, თითქოს ერთდროულად ორი ცხოვრებით ცხოვრობდეს — თან მიწიერ საზრდოს შეექცეოდეს, და თან არამიწიერი მოგონებებით სულიერადაც ნაყრდებოდეს — ასევე ეს უასაკო ვეშაპუნებიც თითქოს ჩვენსკენ იცქირებოდნენ, მაგრამ ვერ კი გვხედავდნენ — მათ ახალშობილ მზერას მურა წყალმცენარეთა კონად თუ ვეჩვენებოდით. ის კი არა და, გვერდზე ამობრუნებული მათი დედებიც ასევე მშვიდად გვათვალიერებდნენ... ასე ძრწოლვისა და საშინელების ალყაში მომწყვდეული ეს იდუმალი ქმნილებანი წრის შუაგულში უშიშრად და უდარდელად აკეთებდნენ ყოველგვარ მშვიდობიან საქმეს, უშფოთველად ტკბებოდნენ სამიჯნურო თამაშის სიხარულითა და ალტაცებით. მაგრამ მეც ხომ ასე ვარ და ჩემი არსების მღელვარე ატლანტიკაში მოხეტიალე — მუნჯი მყუდროების წიაღში ვიმყოფები ნიადაგ, და მაშინ, როცა ჩემს ირგვლივ მარად მოგიზგიზე უბედურებათა ვეება პლანეტები ბრუნავენ, იქ, ჩემი სულის ყველაზე იდუმალ სიღრმეებში მე, სულ ერთია, სიხარულის ალერსიან სხივებში დავცურავ".

და მართლაც, ვეშაპების დევნაში არის რაღაც განსაცვიფრებელი, რომელიც ყოველივე ამას ზეადამიანურ, ანდა პირიქით, არაადამიანურ ძალას ანიჭებს, უფრო უმეტესს ვიდრე თავად ცხოვრებაა, და უფრო საშინელს — ვიდრე ადამიანის აქტიურობა. იგივე მეორდება — „ნაცრისფერ ამბრში", — ყველაფერი ისე უცნაურია, ისე რეალური და თან, ამავე დროს, — არამიწიერი. ხოლო თავი „სუტანა" — მსოფლიო ლიტერატურაში ფალიციზმის აღწერის პირველი ცდაა.

შემდეგ მოთხრობილია თუ როგორ გარდაიქმნება გამჭვარტლული ხომალდი ოკეანის შუაგულში ქონსადნობ ფაბრიკად, ღამით, ღუმელის წითელი შუქით განათებულ გემბანზე, მელვილს წარსულთან დაბრუნების შემზარავი გრძნობა შეიპყრობს. საჭესთან მდგარი, ცეცხლს აკვირდება და ახლა უკვე იმას იგრძნობს, თუ რა მისტიკურად უბრუნდება ნამყოს მისი ხომალდი, „და ყოველივე ამას ჩემს სულში დაეუფლა რაღაც მბრძანებლური განცდა, თითქოს სწრაფად მსრბოლი საგანი, რომელზედაც მე ვიდექი, წინ კი არ ილტვოდა შორეული ნავსადგურებისაკენ, არამედ შორდებოდა მის უკან მყოფ ყველა ნავსადგურს. სიკვდილის განცდის მსგავსმა მძიმე შეუძრწუნებელმა გრძნობამ შეიპყრო, ჩემი მთრთოლვარე ხელები რუმპელს მიაცივდა და ამასთან მომეჩვენა, თითქოს იგი რაღაც ჯადოქრობით თავბოლოშექცეული იყო. ღმერთო ჩემო! რა მემართება? — გავიფიქრე მე".

სიზმარეული განცდა, ჭეშმარიტად, ყველაზე ნაღდი სულიერი განცდაა. მელვილი ყველას აფრთხილებს, არ ჩააცქერდნენ წითელ ცეცხლს, როდესაც მისი მეწამული ფერი ყოველგვარ საგანს საშინელ მოჩვენებად გარდაქმნის. მას ჰგონია, თითქოს სწორედ ცეცხლში ცქერამ გამოიწვია დაბრუნების საშინელი გრძნობა, განადგურება.

შესაძლოა ასეც ყოფილიყო. ის ხომ წყალში იშვა.

გემზე ჯანმრთელობისათვის მავნე სამუშაოს შემდეგ ქვიქეგს ციება შეეყარა და საამქვეყნო პირი აღარ უჩანდა. „როგორ დადნა და დასუსტდა ამ რამდენიმე გრძელ, დაუსრულებელ დღეში! სიცოცხლის ნიშან-წყალიც აღარ ეტყობოდა, ცარიელი ძვლები და სვირინგებიღა იყო. მთლად ჩამოხმა, ლაწვის ძვლები ამოუცვივდა, მხოლოდ თვალები უფართოვდებოდა სულ უფრო და უფრო, და შიგ რაღაც უცნაური, რბილი ელვარება ჩაუდგა. ესინი ნაზად, მაგრამ სერიოზულად გიცქერდნენ მისი ავადმყოფობის სიღრმიდან, გაბრწყინებულნი უკვდავი სულიერი სიჯანსაღით. რომლის არც ჩაკვლა ძალუძს რაიმეს და არც შერყევა. და მსგავსად წყლის ზედაპირზე გაჩენილი წრეებისა, რომლებიც გაქრობისას სულ უფრო და უფრო განიერდება, ასევე მისი თვალებიც, მარადიულობის წრეების დარად, სულ ფართოვდებოდა და ფართოვდებოდა. გაურკვეველი ძრწოლა გეუფლებოდათ, როცა ამ ჩასაქრობად გამზადებული ველურის გვერდით იჯექით და ამჩნევდით მის სახეზე რაღაც უცნაურს, რაც ჯერ კიდევ ზოროასტრას სიკვდილის მოწმეთ შენიშნეს".

მაგრამ ქვიქეგი არა კვდება და „პეკოდი" აღმოსავლეთის სრუტით წყნარი ოკეანისაკენ მიემართება. „ყოველი მოხეტიალე მეოცნებემისტიკოსისათვის, თუ ერთხელ მაინც შეავლო თვალი, ეს უშფოთველი წყნარი ოკეანე სამუდამოდ მისი სულის რჩეულ ზღვად იქცევა ხოლმე".

წყნარ ოკეანეში ბრძოლები გრძელდება: „დღეს რა ხანია მწუხრი შეპარვოდა; და როგორც კი დასრულდა სისხლიან-მეწამული ბრძოლა და დაისში გახვეულ მშვენიერ ზღვაზე მოქანავე ვეშაპი და დაისში გახვეულ ასევე მშვენიერ ცაზე მოლივლივე მზე — ორივე ჩუმად მოკვდა, ამ დროს ყველგან ისეთი კაეშნიანი სილამაზე დაიღვარა ვარდისფერ ჰაერში, ისეთი გულშიჩამწვდომი ლოცვები აბოლდა ზემოთ, კაცი იფიქრებდი, მანილის მწვანე დაბლობ-მონასტრებიდან წამოსული ნაპირის ქარი — ესპანელი უეცრად მეზღვაურად გადაქცეულა და, მწუხრის საგალობლებით დატვირთული, ტალღებზე შედგომიაო

გზას. რაღაც მიზეზით დაწყნარებულმა და ამის გამო კიდევ უფრო პირქუშ მწუხრში ჩაფლულმა აქაბმა ის-ის იყო გაიყვანა თავისი ველბოტი უხიფათო ადგილზე და ახლა იჯდა და უმოძრაოდ ნავიდან თვალს ადევნებდა, როგორ კვდებოდა ვეშაპი. საკვირველი სანახაობაა ყოველი სულთმობრძავი კაშალოტი, როცა ნელა მიაბრუნებს ხოლმე თავს მზისკენ და ეთხოვება სულს. მაგრამ ეს საკვირველი სანახაობა არასდროს ისე მრავალმნიშვნელოვანი და საოცარი არ მოსჩვენებია აქაბს, როგორც ახლა, ამ წყნარ საღამოს. „იგი იწყებს შემობრუნებას, როგორ ნელ-ნელა, მაგრამ როგორ ჯიუტად, — თაყვანისმცემელსა და მავედრებელს, უკანასკნელი ძალა მოუკრებია სიკვდილის წინ, რათა მზისკენ მიაბრუნოს შუბლი. ისიც თაყვანს სცემს ცეცხლს..“

აქაბი თავის თავს ელაპარაკება: მაშ ასე, თბილსისხლიანი ვეშაპი უკანასკნელად ამოიმართება ზღვის სიღრმიდან, რათა შეხედოს მზეს, რომელმაც იგი შექმნა.

მაგრამ, როგორც შემდეგ დავინახავთ, აქაბი სინამდვილეში მხოლოდ მეხს, — ამ ცოცხალ, გამთიშველ ძალას ეთაყვანება. თაყვანს სცემს გამთიშველ ცეცხლს, — ელვას, რომლისაგანაც თხემით ტერფამდე დაღადღულია: ეს არის შტორმი, „პეკოდის“ ელექტრონული შტორმი, როდესაც ზეცა ელვისაგან ნაფლეთებადაა ქცეული, როდესაც სუსტად, არაბუნებრივად მკრთალად ანთია ანძების კენწეროები, და როდესაც კომპასის ისრები ჩრდილოეთის ნაცვლად სამხრეთს უჩვენებენ. ამის შემდეგ ყველაფერი ფატალურია. თვით ცხოვრებაც მისტიკურად უხვევს გეზიდან, და გაუმართავ კომპასს ემსგავსება. მობი დიკს დადევნებული ყველა მონადირე უგუნურებას შეუპყრია. კაპიტანი აქაბი კი ხელიხელგაყრილი დააბიჯებს საწყალ, გონებასუსტ ზანგის ბიჭუნა პიპთან ერთად, რომელიც მას შემდეგ შეიშალა, რაც მარტოდმარტო აღმოჩნდა გაშლილ ზღვაში. მზის შეშლილი შვილი ხელიხელგაყრილი დააბიჯებს ჩრდილოელ მანიაკთან, — თავის კაპიტანთან და პატრონთან.

მოგზაურობა გრძელდება. ისინი ხვდებიან ჯერ ერთ, შემდეგ სხვა ხომალდებს. ჩვეულებრივი დღეები იდგა, მაგრამ მიუხედავად ამისა, იგრძნობოდა გარდაუვალი სიშლეგისა და შიშის დაძაბულობა, იგრძნობოდა უკანასკნელი შერკინების მოახლოებული საშინელება. „მაღლა ფრთებშეუბღალავი, მსუბუქი, ქათქათა ჩიტუნები დაფრინავდნენ; ისინი ქალწულებრივი ლაჟვარდის უწყინარი ფიქრები იყვნენ; სიღრმეში კი, ულურჯეს უფსკრულში, ამ დროს აქეთიქით დაჰქროდნენ მძვინვარე ლევიათანები, ხმმერები და ზვიგენები; ესენი უმძლავრესი ოკეანის ჯიუტი, მოუსვენარი, მომაკვდინებელი მამაკაცური ფიქრები იყვნენ“. ამ დღეს აქაბი აღიარებს დაღლილობას თავისი ტვირთის გამო: „მაგრამ ვითომ ძალიან ბებერი ვჩანვარ, სტარბეკ? ვითომ ასე ბებერი და დაჩაჩანაკებული ვჩანვარ? მე ვგრძნობ, როგორ სასიკვდილოდ ვარ გატანჯული, გატეხილი, წელში მოხრილი, თითქოს ადამი ვიყო, საუკუნეების სიმძიმისაგან ფეხარეული“. ეს არის აქაბის გეთსიმანიის ბაღი უკანასკნელი ბრძოლის წინ. ეს არის გეთსიმანიის ბაღი ადამიანის სულისა, რომელიც ეძებს საბოლოო გამარჯვებას საკუთარ თავთან, და რაც საბოლოო შენაძენია უსაზღვრო შემეცნებისა.

ბოლოს და ბოლოს მიაკვლევენ თეთრ ვეშაპს.

ნავები ჩაუშვეს და ფრთხილად, მიპარვით გაემართნენ თეთრი ვეშაპისაკენ. „და აი, სუნთქვაშეკრული მონადირე იმდენზე მიუახლოვდა თავის მსხვერპლს, რომელიც, ეტყობოდა, გუმანშიაც კი არ იყო, რომ უკვე გარკვევით ჩანდა მისი უზარმაზარი, თვალისმომჭრელი კუზი, მომწვანო ქაფის თხელი ბოლქვებისაგან წარმოქმნილ ტრიალა რკალში თითქოს თავისთავად რომ მისრიალებდა. ბოლქვებს იქით კი შეიძლებოდა გაგერჩიათ უზარმაზარი, ციცაბო შუბლის ღრმა, ერთმანეთში გადახლართული ნაოჭები. ფართო ქათქათა შუბლისაგან ახსლეტილი მოელვარე თეთრი ჩრდილი შორს ეცემოდა ოკეანის რბილ თათრულ ხალიჩას და გარბოდა წინ, თან მსუბუქი მელოდიური რაკრაკი მიაცილებდა; უკან კი ლურჯი წყალი ბზინავდა და თანაბარი კვალის მსრბოლავ ღარად იწელებოდა; ხოლო ნადირის ფერდებთან გამუდმებით ამოდიოდნენ და როკავდნენ ნაპერწკლოვანი ბუშტულები. ამ ბუშტულებს ამსხვრევდნენ მსუბუქი, პაწია ფეხები უთვალავი მხიარული ჩიტუნასი. წინ და უკან რომ დაფრინავდნენ და ჟამიდან ჟამზე მკერდით ეხებოდნენ გამჭვირვალე წყალს; ვეშაპის თეთრი ზურგიდან ჭვილთის გრძელი, მაგრამ შუაგახლეჩილი ტარი ისე გადმოკიდებულიყო, როგორც დიდი ფრეგატის შეღებილ კორპუსზე აღმართული ფლაგშტოკი; რამდენიმე წვრილფეხა ჩიტი, რომელთა გუნდიც თევზს ჯაყჯაყა ბალდახინივით თავს დასტრიალებდა, დროდადრო ამ ჭოკზე ჯდებოდა და, გრძელკუდებგაშვერილნი, ზედ ფერადი ვიმპელებივით ირწეოდნენ.

„მხიარული სიმსუბუქით მიცურავდა ტალღებზე ვეშაპი და მის ელვისებურ მოძრაობაში სიმშვიდის ზანტი ძლიერება გამოკრთოდა“.

ბრძოლა კაშალოტთან იმდენად აღმაფრთოვანებელი და შემზარავია, რომ მისი გადმოცემა, თუ წიგნს არ ჩახედე, შეუძლებელია. ბრძოლა სამ დღეს გრძელდება. მესამე დღეს საშინელი სანახაობის მოწმენი გახდებიან, — ვეშაპის ზურგზე ლინებით მაგრად დაკრულ და დასახიჩრებულ მებარჯე პარსის გვამს დაინახავენ. გაცოფებული ვეშაპი კი ხომალდს, — ჩვენი სამყაროს ცივილიზაციის სიმბოლოს — მოუბრუნდება. ის გამაყრუებელი

ლაწალუწით ამსხვრევს „პეკოდს“. ცოტა ხნის შემდეგ მარტო დარჩენილი ველბოტიდან ბლავილი გაისმის: „ხომალდი! ღმერთო მაღალო, სად არის ხომალდი?“ და აი, ბურუსიან, ავბედით საბურველს იქით მათ დაინახეს ხომალდის ამოწვდილი აჩრდილი, რომელიც ნისლიან ფატა-მორგანასავით ქრებოდა; მხოლოდ ანძებიღა ირწეოდა წყალზე ჯერ კიდევ; ანძებზე კი სიგიჟის, ერთგულებისა თუ ბედის გამო ისევ ისე იდგა სამი მზვერავი — სამი წარმართი მებარჯე, იმავე წუთში კონცენტრულმა წრეებმა უკანასკნელ ველბოტამდე მიაღწიეს. და ის, მთელ ეკიპაჟთან ერთად, შორიახლოს რომ ცურავდნენ ნიჩბებისა თუ ჰვილთების სახელურებით, ყველაფერთან ერთად, თუკი რამ იყო ზედ სულიერი და უსულო, უზარმაზარ ძაბრში დატრიალდა, რომელმაც უკანასკნელ ნაფოტამდე შთანთქა ყველაფერი, რაც ოდესღაც „პეკოდი“ იყო“.

ღვთაებრივი ფრინველი, არწივი, წმ. იოანესა და წითელი ინდიელების ფრინველი, ამერიკელები, იმ ხომალდთან ერთად იძირებიან, რომელიც თეშტიგოს, — ამერიკელი ინდიელის ხელითაა აგებული. სულის არწივი. ყველაფერი ჩაიძირა!

„ფრინველები ყივილით დასტრიალებდნენ თავს მორევის დაფჩენილ ხახას; პირქუში. თეთრი ფურთუნი მიენარცხა მის დამრეც კედლებს; მერე ძაბრი გასწორდა; და აი, ზღვის უსამანო სუდარა ისევ ისე ალივლივდა გარშემო, როგორც ხუთი ათასი წლის წინათ“.

ასე მთავრდება მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე უცნაური და საოცარი, იდუმალებითა და მტანჯველი სიმბოლიზმით აღსავსე წიგნი. ეს არის ეპიკური პოემა ზღვის შესახებ; ეს არის ეგზოტერიკული სიმბოლიზმით, ღრმა აზრით დატვირთული და გამთანგავი წიგნი.

მაგრამ ეს დიდი წიგნია, ძალიან დიდი წიგნი, უდიდესი წიგნი, ოდესმე ზღვის შესახებ დაწერილი. სულის შემძვრელი.

ბედისწერა! ბედისწერა! რაღაც ჩურჩულებს ამერიკის ულრან ტყეებში განგება! აღსასრული, მაგრამ რისი?

ჩვენი თეთრი დღის აღსასრული. ჩვენ განწირულები ვართ, ვიღუპებით. ჩვენი ბოლო ამერიკაშია დაბუდებული. ჩვენი თეთრი დღის ბოლო. კარგია, თუ კი ჩემი დღე განკითხულია და მეც განკითხული ვარ მასთან ერთად. რაღაც არსებობს ჩემზე უდიადესი, რომელმაც განაჩენი გამომიტანა. ამიტომ ჩემს ბედისწერას ისე ვილებ, როგორც ნიშანს ჩემზე გაცილებით უდიადესის.

მელვილმა იცოდა. მან იცოდა, რომ მისი რასა განკითხულია. მისი თეთრი სულიცა და მისი თეთრი ეპოქაც განკითხულია. განკითხულია თვითონ მელვილი, — იდეალისტი, სულია განკითხული.

დაბრუნება: „წინ კი არ ილტვოდა შორეული ნავსადგურებისაკენ, არამედ შორდებოდა მის უკან მყოფ ყველა ნავსადგურს“.

ყველა ჩვენგანის უდიდესი განსაცდელი! ეს ჩვენი ცივილიზაცია შორდება მის უკან მყოფ ყველა ნავსადგურს.

უკანასკნელი საშინელი ნადირობა. თეთრი ვეშაპი.

მაშ, ვინ არის ეს მ ო ბ ი დ ი კ ი? ის არის თეთრი რასის ღრმა და ცოცხალი ბუნება. და ჩვენი თეთრი ცნობიერების მანიაკური ფანატიზმით იდევნება, იდევნება, იდევნება, ჩვენ მისი შეპყრობა გვინდა; დამორჩილება. და ჩვენივე თავის გაცნობიერებულ, მანიაკურ დევნაში ვაიძულებთ ბნელ რასებს დაგვეხმარონ. — წითელი, ყვითელი და შავი, აღმოსავლეთი და დასავლეთი, კვაკერი და ცეცხლთაყვანისმცემელი, — ყველა გვეხმარება ამ საშინელ. მანიაკურ დევნაში, — ჩვენს ბედისწერას თვითმკვლელობამდე მივყავართ.

თეთრი ადამიანის უკანასკნელი ფალიკური არსება, სიკვდილამდე დევნილი უმაღლესი შემეცნებისა და იდეალური ნებისყოფისაგან. ჩვენი სისხლი ჩვენივე ნებას ემორჩილება. ჩვენი ნაღდი ხორციელი არსება, დაშრეტილი პარაზიტული გონებრივი, ან იდეალური შემეცნებით.

თბილსისხლიანი, ზღვაში შობილი მობი დიკი. იდეის მონომანიაკებისაგან დევნილი.

ოჰ, ღმერთო, ღმერთო, რა იქნება მერე, „პეკოდი“ ხომ ჩაიძირა? ის ბრძოლაში ჩაიძირა. ჩვენ კი მხოლოდ გამორიყული ნამსხვრევები ვართ. და რა იქნება მერე? — ვინ იცის? პასუხს ვერც ესპანელთა და ვერც საქსონელთა ამერიკა გასცემს.

„პეკოდი“ ჩაიძირა, ის იყო თეთრი ამერიკული სულის ხომალდი, ჩაიძირა და თან წარიტანა ზანგი, ინდიელი და პოლინეზიელი, აზიელი და კვაკერი, კარგი საქმიანი ამერიკელი და ისმაილი, — მან ყველანი თან წარიტანა, „ქექა-ქუხილი!“ როგორც იტყოდა ურჩელ ლინდზი.

იესოს სიტყვებით რომ ვთქვათ: „აღესრულა“.

Consummatum est!

მაგრამ „მობი დიკი“ პირველად 1851 წ. დაიბეჭდა. თუ დიდმა თეთრმა ვეშაპმა დიდი თეთრი სულის ხომალდი 1851 წ. ჩაძირა, მას მერე რაღა ხდებოდა? ალბათ ის, რაც სიკვდილის შემდეგ ხდება ხოლმე. რამეთუ პირველ საუკუნეებში იესო იყო — ხეტუსი — ვეშაპი. ქრისტიანები კი პატარა თევზები იყვნენ.

იესო — მაცხოვარი იყო ხეტუსი, — ლევიათანი. და ყველა ქრისტიანი მისი პაწაწინა თევზები იყვნენ.

ინგლისურიდან თარგმნა
ბიბი სულაკაურმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლიტერატურულ ჭეშმარიტებათა ძიებაში

თუ თანამედროვე ქართულ კრიტიკულ აზროვნებაში ორ ძირითად — ესეისტური მანერისა და ლოგიკურ-მსჯელობითი ტიპის მიმართულებას დავინახავთ, მაშინ კრიტიკის დარგში აქტიურად მომუშავე ლევან ბრეგაძეს, რომელიც ათიოდე წელია ამ რთულ და საპასუხისმგებლო საქმეს შესჭიდებია, უთუოდ მეორე ტიპის კრიტიკოსად უნდა ჩაითვალოს.

ჩვენს მიერ განსახილველ კრიტიკული წერილების კრებულში კრიტიკოსი მრავალმხრივ საინტერესო შემოქმედად გვევლინება. იგი ცოცხალი ლიტერატურული პროცესის უშუალო და ოპერატიული მკვლევარია. ისეთ წერილებში, როგორიცაა „რითმა და აზრი", „ახალგაზრდული პროზის პრობლემები", „პერსონაჟები ხვდებიან ერთმანეთს", სადაც ავტორი შემოქმედებითი პროცესის საიდუმლოებათა შესახებ ზოგადთეორიულ მოსაზრებებს გვთავაზობს და კონკრეტული მაგალითებას მოხმობით გვარწმუნებს პოეტიკისა და ლიტერატურის თეორიის მრავალი პრობლემის თავისებური გადაწყვეტის სისწორეში. ზოგადთეორიული განზოგადებანი არც კონკრეტული საკითხების კვლევისას აკლდება კრიტიკოსის კალამს. კონკრეტულ პოეტებსა და პროზაიკოსებზე მსჯელობას ეძღვნება წერილები: „ბესიკ ხარანაულის პოეზია", „ყარამან კიკვიძის მოთხრობები", „პირველი წიგნის სათქმელი" და სხვ. ამ წერილებში ლევან ბრეგაძე აღწევს კონკრეტული ანალიზის ზღვრულ სიმართლეს. მასალის სწორ და მართებულ ანალიზთან ერთად გვაძლევს ღრმა თეორიულ განზოგადებებსაც. ასევე ავტორი გვევლინება ნიჭიერ მკვლევარ-მეცნიერად, რომლის ნარკვევებიც — „არტურ ლაისტის გაზეთი და საქართველო", „ფრანგული ჟურნალი თბილისში" სათანადო მეცნიერული აპარატის მოშველიებისა და მოცულობის მცირეოდენი გაზრდის შემთხვევაში თამამად უპასუხებდა სადისერტაციო ნაშრომის მოთხოვნებსაც. აქვე ზოგადად იმაზეც უნდა მივუთითოთ, რომ ლევან ბრეგაძე გერმანული ენისა და ლიტერატურის შესანიშნავი მცოდნეა და თანამედროვე მთარგმნელობითი პრინციპების მომარჯვებით იგი გერმანულიდან ნათარგმნი ლიტერატურის შესახებაც დამაჯერებლად, საინტერესოდ მოგვითხრობს.

ამრიგად, ზემოთქმულიდან გამომდინარეობს ერთი ზოგადი დასკვნა, რომ წიგნი თემატურშინაარსობრივად მრავალფეროვანია და იგი მოიცავს პრობლემათა ფართო წრეს, რაც გულდინჯად საკითხავი, მეტად საინტერესო კრებულის ღირსებებს სძენს მას.

კრიტიკოსი გულისყურით ულრმავდება რითმის მეტად მნიშვნელოვან პრობლემას. საქმე ისაა, რომ ამ ორი ათეული წლის წინათ ჩვენს ლიტერატურას ერგვარმა „ურითმობის ქარიშხალმა" გადაუარა. რითმის ბუმი მისი აღზევების ბოლო პერიოდში რეგრესულ მოვლენად იქცა, რამაც დაამკვიდრა აზრი, თითქოსდა „რითმა მხოლოდ გარეგნული სამკაულია და ლექსის დედააზრს არ უკავშირდება". ლევან ბრეგაძე ამგვარად მსჯელობს: „ეს მცდარი შეხედულებაა. რითმასა და აზრს შორის ბევრად უფრო რთული ურთიერთობა არსებობს". მართალია, აქ არ არის ნახსენები აკაკი გაწერელიას მოსაზრება, მაგრამ ავტორი სავსებით ეთანხმება „ქართული კლასიკური ლექსის" ავტორს, რომელიც თავის პოეტიკურ გამოკვლევაში არაერთხელ მიუთითებს, რომ რითმა მხოლოდ გარეგნული სამკაული კი არ არის, არამედ ლექსის აზრსა და განწყობილებასთან მკაცრად დაკავშირებული ორგანული ნაწილია. მთავარი ისაა, რომ კრიტიკოსი თავისებური გზით, ახალი არგუმენტებით ასაბუთებს ამ მართებულ აზრს და მეტად დამახასიათებელი მაგალითები მოჰყავს მსოფლიო, რუსული და ქართული ლიტერატურიდან. ამასთან, იგი უპირისპირდება ბ. გონჩაროვის მკაფიოდ გამოკვეთილ თვალსაზრისს: „რითმას, თვით ბგერით განმეორებას, არ შეუძლია გამოხატოს ესა თუ ის ცნება". ლევან ბრეგაძემ ნათლად გვიჩვენა და დაგვარწმუნა,

---

**ლევან ბრეგაძე, „პერსონაჟები ხვდებიან ერთმანეთს"; გამომცემლობა „მერანი", 1982 წ.**

რომ „რითმას, თვით ბგერით განმეორებას, შეუძლია უშუალოდაც გამოხატოს ესა თუ ის ცნება". აქ მას მოჰყავს ხალხური ლექსი, რომლის ბოლორითმოვანი სიტყვებიც გამოყოფენ ელემენტს — „ქოსა" და ლექსის მიზანიც სახე-ხატის, ცნების (ქოსაც) წარმოდგენაა. საარგუმენტოდ მოხმობილია, აგრეთვე, ბესიკის — „დედოფალს ანაზედ" და სხვ. ამ მართებული თვალსაზრისის პოზიციიდან ავტორი არკვევს „ურითმობის მოდის" არსს, მის კანონზომიერებებს. კერძოდ, ამტკიცებს, რომ ზოგ სიტუაციაში რითმა შესაძლოა ხელსაც უშლიდეს განწყობილების შექმნას, ანდა ამსუბუქებდეს მას, ან კიდევ, ზედმეტად ატკბილებდეს სათქმელს. აქ, — დასძენს კრიტიკოსი — მძლავრად მოქმედებს პოეტის ინტუიცია და განწყობილების მისეული თარგი აუქმებს რითმას. ამ სწორი ლოგიკური დასკვნიდან გამომდინარეობს არაზუსტი რითმის არსის მისეული ინტერპრეტაციაც: „შემოქმედი ინტუიციით გრძნობს, სად როგორი რითმა იხმაროს" (ან არ იხმაროს სულაც). ბოლოს ამ ძიებების ავტორი სავსებით ლოგიკურ კითხვას აყენებს: პოეტის არჩევანი — რითმიანი თუ ურითმო ლექსი — ხომ არ მიგვანიშნებსო თემისადმი დამოკიდებულების სხვადასხვა ასპექტზე? აქ როგორც ლოგიკურ-აბსტრაჰირებული მსჯელობით, ისე ჩვენების ხერხის მოშველიებით გვარწმუნებს კრიტიკოსი, რომ თემისადმი დამოკიდებულებაც კი იჩენს თურმე თავს რითმისადმი დამოკიდებულებაში. აქ უკვე მკაფიოდ ცხადდება სათქმელი — რითმა და აზრი ორგანულ ურთიერთკავშირს ამჟღავნებენ. საყოველთაოდ ცნობილია, რომ დედის გარდაცვალების გამო დაწერილ ლექსში კონსტანტინე ჭიჭინაძე საგანგებოდ აღნიშნავდა:

**...მწუხარებამ ამ ლექსისათვის,**
**როგორც ბრჭყვიალა სამკაული ძაძაზე, ისე**
**ჩემი უბრალო რითმაც კი ამაკრძალვინა...**

ლიტერატურული პარალელების საკითხი დიდად საინტერესო და თანამედროვე პრობლემაა. მხატვრული აზროვნების ენიგმურ ფენომენზე ბევრს ლაპარაკობს ყოველი პარალელის გაშიფვრა, მისი კრიტიკული გააზრება. ზოგჯერ დგინდება ამ პარალელთა საერთო წყარო და ირკვევა გენეზისის საკითხი; ზოგჯერ აზრთა კონგენიალურ დამთხვევებსაც გადავეყრებით ხოლმე. ამგვარი კვლევა ორიგინალურიც არის და ლიტერატურის შესწავლის ისტორიული მეთოდისაგან განსხვავებით, უფრო თანამედროვეა. ლევან ბრეგაძე მსჯელობს თომას მანის ნოველა „მარიო და ჯადოქრისა" და აკაკი ბელიაშვილის — „ქემეთ ქალდანის" შემხვედრ პარალელებზე, ლეო ქიაჩელის იმპრესიონისტული პერიოდის „შეურაცხყოფილისა" და გოეთეს ლექსის — „ილუზიის" ურთიერთმსგავსებაზე.

ამ პარალელების მოყვანით ავტორისათვის ცხადდება ის, რომ ქართველი მწერლები ევროპელი მწერლების აზროვნების დონეზე ადიან და ზოგიერთ მომენტში მათ კიდეც თანხვდებიან.

ლევან ბრეგაძე ფილოსოფიაში კარგად ჩახედული კრიტიკოსია, ვისაც დიალექტიკური მატერიალიზმის დებულებანი ყოველთვის აქტიურად ემსახურებიან ამა თუ იმ ლიტერატურული პრობლემის გახსნისას. წერილში — „ნატვრის ხის" სიბრძნე" მისი მსჯელობა ფილოსოფიურ წანამძღვრებზეა აგებული და ამიტომაც ამ ღრმად ფილოსოფიურ კინოფილმს ადვილად არგებს გასაღებს: ციციკორემ „ისე მოულოდნელად გადალახა სიკეთის საზღვარი და შეაბიჯა ბოროტებაში, რომ თავადაც ვერ გაეგო, რა მოხდა".

ლევან ბრეგაძე კიდევაც განსჯის, კიდევაც ადასტურებს და ამტკიცებს, მაგრამ არანაკლებ გვაწონებს თავს მისი გონების სიფხიზლე, ზომიერება და გემოვნების სიფაქიზე. პრაქტიკული განხილვის შედეგთა თავმოყრის შემდეგ იგი უცბად, ბრმად როდი გადაეშვება განზოგადების უსასრულო ოკეანეში, რადგან იცის, რა მაცდურიცაა ერთი-ორი კონკრეტული მაგალითის იმედზე „ცად ამაღლება". ფასეული, წონიანია მისი ასეთი განზოგადებანი: „ჩვენი წარმოდგენა „მხატვრულობაზე" ისევე იცვლება, ვითარდება, როგორც სხვა ყოველივე ამქვეყნად". ვლ. სიხარულიძის მოთხრობათა განხილვის ერთ ეპიზოდში კრიტიკოსი გვარწმუნებს: „არ შეიძლება ერთი მხატვრული პრინციპებით შესრულებული ნაწარმოები სხვა პრინციპების პოზიციებიდან შეაფასო". თუმცა კრიტიკოსს საამისო მაგალითები არ მოჰყავს, მაგრამ კურიოზული ფაქტების მოძებნა ძნელი არაა.

კრიტიკოსის ფხიზელ ჭკუას არ გამოჰპარვია ენობრივი და აზრობრივი ლაფსუსები, რაც ახალგაზრდა პროზაიკოსთა კალამს ხშირად მოსდევს ხოლმე. ერთი ახალგაზრდა მწერალი აცხადებს: მთვარეულივით დადიოდა, სკამებს ეჯახებოდა და აყირავებდაო. „მთვარეული სწორედ რომ არაფერს არ ეჯახება", — შენიშნავს კრიტიკოსი; მეორე ახალგაზრდა პროზაიკოსს დიდი კომბინატორი ქარაფშუტა პიროვნებად გამოჰყავს. „ცხადია, ასეთ კაცს ფულსა და საქმეს არავინ ანდობს", — უხსნის მწერალს კრიტიკოსი. ვ. ჩხუმიანის ერთ შესანიშნავ შედარებას რომ აქებს („ქალის უეცრად გაფართოებულ თვალებში წამით ამოტივტივდა გაოცება, თითქოს მიწისქვეშა ბიძგით შეშფოთებული თევზიაო — წამით გაიბრწყინა ტბის ზედაპირზე და ისევ გაუჩინარდა სიღრმეში"), იქვე იძლევა საერთო შენიშვნასაც: „შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ავტორები

ცდილობენ თავის ნებაზე წაიყვანონ მოვლენათა განვითარება, სინამდვილეში კი მწერალი კვალში უნდა მისდევდეს მოვლენათა განვითარების ლოგიკას".

კრიტიკული ანალიზისა და კონკრეტული მაგალითების ურთიერთშეჯერების განზოგადების ძალით, აგრეთვე, სტილისა და აზრის სიმკვრივით საუკეთესო ლიტერატურული წერილია „იდუმალი ბრძოლა", რომელიც ჯ. ქარჩხაძის მოთხრობათა განხილვას ეძღვნება. აქ გამოვლენილია პროზაიკოსის სტილისათვის დამახასიათებელი ელემენტები, მიგნებულია ცრუ ფინალისა და ბოლო ფინალის ურთიერთკავშირი; ორმაგფინალიანი ნაწარმოების ეფექტი სწორედ მოულოდნელობაა. მკითხველი პირველ, ე. წ. ცრუფინალში ელის ამბის მოულოდნელ დასასრულს და იმედი უმტყუნდება, მაგრამ იმედგაცრუებულს ესტუმრება ბოლო ფინალის მოულოდნელობანი და ეს ქმნის მხატვრულ ეფექტს. ჯ. ქარჩხაძის პარადოქსული ფრაზის არსს რომ არკვევს ავტორი, ამასთანავე, ამჩნევს მწერლის საგულისხმო გამოთქმებსაც. აი, ზოგიერთი: „ვერ იტანს მამიდას დაძახებას, რადგან ეს სიტყვა, ცოტა არ იყოს, ფამილარულად ჟღერს და, თუ კარგად დავუკვირდებით, მემკვიდრეობის ერთგვარ პრეტენზიასაც შეიცავს"; „ისე მშვენივრად ამჩნევ ყველაფერს, როგორც ჰირისუფალი პანაშვიდზე. არაფერი გამოგეპარება".

კრიტიკოსმა უწინარეს ყოვლისა, გონიერ განხილვასთან ერთად უნდა აღმოაჩინოს შეცდომები, ლაფსუსები, წუნი; მის ფხიზელ გონებას არ უნდა გამოეპაროს არც ერთი ზადი, მხატვრული ნაწარმოების არც ერთი არაორგანული ნოტი. ასეც არის — ლევან ბრეგაძე თვალს არ უხუჭავს ნაკლს, პირუთვნელია ყველას მიმართ, ოღონდ, რაც დიდად მოსაწონია, იგი არასოდეს არ კარგავს თანადგომის უნარს: მოწყალედ ზემოდან კი არ დასცქერის მწერლის, მთარგმნელის ანდა კრიტიკოსის შეცდომასა თუ ხარვეზს, არამედ მათთან ერთად, გულითადობის ატმოსფეროს შენარჩუნებით, ეძებს მიზეზს ამ ნაკლისა და ცდილობს იგი სამერმისოდ მაინც აღმოაფხვრევინოს თანამოკალმეს. ეს თვისებები ბუნებრივად განაპირობებს მისი, როგორც ლიტერატურისმცოდნის, ბუნების ჩამოყალიბებას.

ასე რომ განსახილველი წიგნით ჩვენს წინაშე წარმოსდგება სერიოზული, დაფიქრებული, საკუთარი საქმისა და კალმის უსაზღვროდ ერთგული კრიტიკოსი, მკვლევარი-მეცნიერი, ვისთვისაც, ერთი მწერლის სიტყვებით რომ ვთქვათ — „უკან" არ არსებობს. „უკან" იმის მოგონილი სიტყვაა, ვისაც თავი „წინ" ჰგონია.

**მურმან თავდიშვილი**

რედაქციის მისამართი:
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, № 12.

ტელეფონები: რედაქტორის — 93-55-11, მთ. რედ. მოადგილის — 93-55-18, პ/მგ. მდივნის და განყოფილებების — 93-55-15; 93-55-17, 93-55-20.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა, 1982.

გადაეცა ასაწყობად 23. 11. 82 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 11. 01. 33 წ., ანაწყობის ზომა 7 1/4 X 12, ქაღალდის ფორმატი 70 X 108, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 11, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 15,5. სააღ-საგამომცემლო თაბახი 16,58.

უე 08730. ტირაჟი 31.800 შეკვ. 2744. საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

6/23

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 80 კაპ.

ინდექსი 76128

«М Н А Т О Б И»

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ